

საქართველოში

მართლმსაჯულების,

კორუფციის წინააღმდეგ

ბრძოლისა და აღაშენის

უფლებების სფეროში

არსებული მდგომარეობის შეფასება

ევროკავშირის სტანდარტით

საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი

საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი ღია საზოგადოების ფონდების ქსელის წევრი ორგანიზაციაა, რომელიც 1994 წელს ნიუ-იორკის „ღია საზოგადოების ინსტიტუტმა“ დააფუძნა. ფონდი ხელს უწყობს ღია, დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, ემსახურება საზოგადოებრივი ინტერესების წარმოჩენას, მოქალაქეთა ფუნდამენტური უფლებების დაცვას და საზოგადოებაში განსხვავებული აზრის მიმართ პატივისცემის დამკვიდრებას.

საქართველოს ღია საზოგადოების ფონდმა, სხვა დონორ ორგანიზაციებთან ერთად, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში სამოქალაქო სექტორის და მედიის განვითარებაში. ფონდი ახორციელებს პროექტებს და მხარს უჭერს ისეთ ინიციატივებს და ინიციატივების მიდგომებს, რომლებიც ემსახურება კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებების დაცვას, სამოქალაქო ორგანიზაციებისა და მედიის განვითარებას, სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრებას, ეროვნულ და ევროპულ ინტეგრაციას, ჯანდაცვის სფეროს განვითარებასა და სოციალურ თანასწორობას.

წინამდებარე ანგარიში საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის ევროინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში მომზადდა.

ანგარიშზე მუშაობდნენ:

ორგანიზაციები:



ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი



ეთნიკურობის და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი



ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის



ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)



პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის



სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება



საფარი



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია



სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი



ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი



ციხის საერთაშორისო რეფორმა

ავტორები:

აბაშიძე ანა, არგანაშვილი ანა, გზირიშვილი თამარ, გობრონიძე გიორგი, გოგოსაშვილი მარიამ, გოლიჯაშვილი თამარ, გოცირიძე გიორგი, დაუშვილი მერი, კუკავა ქეთევან, ლეჟავა დიანა, ნიკოლეიშვილი კარლო, პატარაია ბაბუცა, სორდია გიორგი, ღვთაძე მარიამ, ჩიხლაძე ნინო, ციმაკურიძე ეკატერინე, ჭანტურია ცირა, ჯანიაშვილი მარიამ.

რედაქტორი: მაგდა კალანდაძე

დამკავალანებელი: მაკა ცომიაი



გამოცემულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი	4
----------	---

მოხსენების ძირითადი მიზნები	5
-----------------------------	---

I თავი. მართლმსაჯულება

დამოუკიდებლობა (კითხვა 1-9)	11
მიუკერძოებლობა (კითხვა 10-18)	58
პროფესიონალიზმი/კომპეტენტურობა (კითხვა 19-21)	88
ეფექტურობა (კითხვა 22-34)	119
სასამართლო რეფორმა (კითხვა 35)	138

II თავი. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

პოლიტიკა და ეროვნული ინსტიტუტები (კითხვა 36-46)	143
ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო (კითხვა 47-57)	174
საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩო და ინსტიტუტები (კითხვა 58-60)	195

III თავი. ძირითადი უფლებები

ადამიანის უფლებები

სიცოცხლის უფლება და პირადი ხელშეუხებლობის უფლება (კითხვა 61-63)	203
წამების და არაადამიანური, ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა ან დასჯის აკრძალვა (კითხვა 64-65)	211
მონობის, იძულებითი და სავალდებულო შრომის აკრძალვა (კითხვა 66-68)	220
პირადი და ოჯახური ცხოვრებისა და კომუნიკაციის პატივისცემა (კითხვა 69-71)	242
ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება (კითხვა 72-73)	249
აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება (კითხვა 74-78)	251
გამოხატვის თავისუფლება, მათ შორის, მედიის თავისუფლება (კითხვა 79-82)	273
შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება, მათ შორის პოლიტიკური პარტიების ფორმირების უფლება, პროფკავშირების შექმნის უფლება (კითხვა 83-86)	289
სოციალურად მოწყვალდი პირებისა და შშმ პირების დაცვა და არადისკრიმინაციის პრინციპი (კითხვა 87-91)	302
განათლების უფლება (კითხვა 92)	321
საკუთრების უფლება (კითხვა 93-94)	333
გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები (კითხვა 95-97)	335
ბავშვთა უფლებები (კითხვა 98-103)	344

პროცედურული გარანტიები

თავისუფლება და უსაფრთხოება (კითხვა 104-112)	365
სამართლიანი სასამართლოს უფლება (კითხვა 113-120)	393
უმცირესობებისა და კულტურული უფლებების დაცვა (კითხვა 121-129)	410
მექანიზმები რასიზმისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ (კითხვა 130-134)	427
ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო (კითხვა 135)	441
პერსონალური მონაცემების დაცვა (კითხვა 136-150)	442

IV თავი. ევროკავშირის მოქალაქეთა უფლებები

მუნიციპალურ არჩევნებში კენჭისყრისა და ხმის მიცემის უფლება (კითხვა 151)	467
გადაადგილებისა და თავისუფლად ცხოვრების უფლება (კითხვა 152-154)	468
დიპლომატიური და საკონსულო დაცვა (კითხვა 155)	474
აბრევიატურები	476

მხსავალი

ევროკავშირის წევრობა საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს, რომელიც საქართველოს მოსახლეობის ურყევ ნებას ეფუძნება. ევროკავშირში გაწევრიანებას მხარს ქვეყნის მოსახლეობის %80 უჭერს.

ევროინტეგრაციის პროცესში საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება აქტიურად მონაწილეობს და ეს დოკუმენტიც სწორედ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა ორწლიანი მუშაობის შედეგია.

აღნიშნული ინიციატივა საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის ევროინტეგრაციის პროგრამას ეკუთვნის და მისი მიზანია, შეფასდეს საქართველოში მართლმსაჯულების, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, ადამიანის უფლებებთან და ძირითად თავისუფლებათა დაცვისა და თანასწორობის კუთხით არსებული კანონმდებლობა და პრაქტიკა იმ კითხვარის (-23ე თავი) გამოყენებით, რომელზეც პასუხების მომზადება, როგორც წესი, ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში ქვეყნის სახელმწიფო სტრუქტურებს მოეთხოვებათ.

ეს არის მცდელობა, რომ საქართველომ უფრო აქტიური ნაბიჯები გადადგას ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე და სანამ გაწევრიანების პროცესი ოფიციალურად დაიწყება, წინასწარ ცალმხრივად შეაფასოს საკუთარი მიღწევები და გამოავლინოს ნაკლოვანებები იმ სტანდარტების მიხედვით, რომელსაც ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში მყოფი ქვეყანა უნდა აკმაყოფილებდეს.

დოკუმენტის მომზადდა სერჯან მაისტროვიჩის ხელმძღვანელობით, რომელიც 2017-2015 წლებში სერბეთის ევროკავშირში გაწევრიანების მომლაპარაკებელი ჯგუფის წევრი იყო და უშუალოდ ხელმძღვანელობა გაწევრიანების კითხვარის -23ე თავის მომზადებას.

შეფასებები ეფუძნება საჯარო ინფორმაციის ანალიზს, რასაც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა ხედავ და რეკომენდაციები ერთვის იმასთან დაკავშირებით, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგას სახელმწიფომ მართლმსაჯულების, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, ადამიანის უფლებებთან და ძირითად თავისუფლებათა დაცვისა და თანასწორობის კუთხით ქვეყანაში არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკისა გასაუმჯობესებლად.

ევროკავშირში გაწევრიანების კითხვარი წარმოადგენს ევროკომისიის დოკუმენტს, რომელიც გაწევრიანების მსურველ ქვეყანას ეძლევა წევრობისთვის მზადყოფნის შესაფასებლად. კითხვარი სტანდარტულად 33 თავისგან შედგება და მიიჩნევა, რომ -23ე თავი მათ შორის ყველაზე რთული და კომპლექსურია.

ვანო ჩხიკვაძე
ევროინტეგრაციის პროგრამის მენეჯერი
საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი

მოსხენების ძირითადი მიზნები

საქართველოს ახალი კონსტიტუცია ამოქმედდა 2018 წლის ბოლოს, ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ და სრულად შეცვალა პროკურატურის სისტემის ინსტიტუციური მოწყობა. პროკურატურა გახდა დამოუკიდებელი ინსტიტუცია, რომელიც აღარ არის აღმასრულებელი ხელისუფლების დაქვემდებარებაში. პროკურატორის სისტემის რეფორმისა და “პროკურატურის შესახებ” ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებების მიუხედავად საპროკურორო საბჭოს შემადგენლობა ვერ უზრუნველყოფს პროკურატურის სისტემის დამოუკიდებლობას. ის რჩება პოლიტიზებული და წინააღმდეგობაში მოდის განახლებული კონსტიტუციის მოთხოვნებთან. მიუხედავად იმისა, რომ კანონი ადგენს პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებას, გადაწყვეტოს სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების ან შეწყვეტის საკითხი, კანონი არ ადგენს სათანადო გარანტიებს საიმისოდ, რომ პროკურორმა აღნიშნული უფლებამოსილებები განახორციელოს ზემდგომი პროკურორისაგან დამოუკიდებლად. ასევე არ არის დადგენილი პროკურორის შეუცვლელობა, უფლებამოსილების გარანტირებული ვადა, ქვემდგომი პროკურორის მხრიდან ზემდგომი პროკურორის უკანონო გადაწყვეტილებების შეწინააღმდეგებისა თუ ქვემდგომი პროკურორისთვის ინსტრუქციების მიცემის პროცედურა და სხვა. მნიშვნელოვანია, გაუმჯობესდეს პროკურორების შერჩევის და დაწინაურების საკითხი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ გადაწყვეტილებები დაეფუძნება ნათელ და ობიექტურ კრიტერიუმებს, კერძოდ – დამსახურებას.

განხორციელდა რეფორმები მოსამართლეთა შერჩევისა და დაწინაურების მიმართულებითაც. მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი წესი განსაზღვრავს კრიტერიუმებს მოსამართლის დაწინაურებისთვის, აღნიშნული კრიტერიუმები არ შეესაბამება ობიექტური კრიტერიუმის სტანდარტს. ამასთან, კანონმდებლობა არ ადგენს დაწინაურების შესახებ საბჭოს გადაწყვეტილების დასაბუთების მოთხოვნას. გარდა ამისა, დისციპლინური საჩივრების რაოდენობასთან შედარებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის მაჩვენებელი ძალიან დაბალია.

სასამართლო სისტემის 2017-2020 წლების სტრატეგიის დოკუმენტი განსაზღვრავს სასამართლო სისტემის მართვის ხარვეზებს, კერძოდ: მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობა, საქმეთა ნაკადის პრობლემა და საქმეთა არათანაბარი განაწილება მოსამართლეთა შორის და სხვა. სტრატეგიის დოკუმენტი განმარტავს, რომ აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად მოსამართლეთა საჭირო რაოდენობა უნდა იქნეს განსაზღვრული, საჭიროების შემთხვევაში მოსამართლეთა რაოდენობა უნდა გაიზარდოს, უნდა დაინერგოს საქმეთა ეფექტური მენეჯმენტი და საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა. არსებულმა პრაქტიკამ, სადაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო განსაზღვრავს მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციას და სპეციალიზებულ მოსამართლეთა რაოდენობას, ასევე ვიწრო სპეციალიზაციისთვის კონკრეტული მოსამართლის მიკუთვნების საკითხს, რისთვისაც არ სჭირდება დასაბუთება, შეიძლება, საფრთხე შეუქმნას ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობას, ასევე – საქმეთა შემთხვევითი განაწილების პრინციპს. სასამართლოს, კოლეგიის, პალატის თავმჯდომარეების შერჩევისა და დანიშვნის წესი არ არის განსაზღვრული კანონით ან საბჭოს გადაწყვეტილებით.

ზოგიერთი შემთხვევა ართულებს სასამართლო გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობას, ვინაიდან არ არსებობს სპეციალური ონლაინ პროგრამა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებზე

ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად და აღნიშნული სასამართლოები არ აქვეყნებენ პროაქტიულად თავიანთ გადაწყვეტილებებს. ეს, თავის მხრივ, ზღუდავს საზოგადოებრივ ზედამხედველობას სასამართლოზე. საქართველოს კანონმდებლობა საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შესახებ და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე უპირობო პრიორიტეტს ანიჭებს პერსონალური მონაცემების დაცვას, მიუხედავად კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით შესაძლო საჯარო ინტერესის არსებობისა. საჯარო ინფორმაციის ღიაობის კანონმდებლობა და პრაქტიკა, რომელიც გამოიყენება საქართველოში, შეუსაბამოა ამავე საკითხებზე დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებთან.

საქართველო რიგი საერთაშორისო შეთანხმების ხელმომწერი ქვეყანაა კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით. საქართველოში მოქმედებს ანტიკორუფციული კანონმდებლობა და თანხმდები მექანიზმები, ასევე პრევენციული და საზედამხედველო მექანიზმები, როგორებიცაა ქონებრივი დეკლარაციების გამოქვეყნება და მონიტორინგი, მამხილებელთა დაცვა, ეთიკის კოდექსები, საჯარო მოსამსახურეების ტრენინგები და სხვა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონვენცია, რომელზეც საქართველოს ხელი არ მოუწერია, არის კონვენცია საერთაშორისო ბიზნესტრანზაქციებში უცხოელი სახელმწიფო მოხელეების მექრთამეობასთან ბრძოლის შესახებ, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი დოკუმენტია კორუფციასთან ბრძოლაში, რადგან ტრანზაქციებში „მიმწოდებელ მხარეზე“ არის ორიენტირებული.

საქართველოს 2017–2018 წლების ანტიკორუფციული სტრატეგია გაყოფილია სამ მთავარ ნაწილად: კორუფციის პრევენცია, კორუფციის კრიმინალიზაცია და საერთაშორისო თანამშრომლობა. ანტიკორუფციული პოლიტიკა ორიენტირებულია კორუფციასთან ბრძოლსა და პრევენციულ ღონისძიებებზე ისევე, როგორც კორუფციული რისკების შემცირებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში კორუფციის პრევენციაზე, გამოვლენასა და გამოძიებაზე პასუხისმგებელი რამდენიმე უწყება არსებობს, სამოქალაქო საზოგადოება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს აღნიშნული უწყებების ეფექტიანობისა და დამოუკიდებლობის ხარისხს. სამოქალაქო საზოგადოებამ არაერთხელ მოუწოდა დამოუკიდებელი ანტიკორუფციული უწყების შექმნისკენ, რომელსაც ექნება შესაბამისი უფლებამოსილებები და რესურსები იმისათვის, რომ კორუფციის პრევენციისა და ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე ანტიკორუფციული ღონისძიებების კოორდინაცია განახორციელოს. ამასთან, ანგარიში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე ხაზს უსვამს სამსახურის ხელში ძალაუფლების კონცენტრაციას და აღნიშნული უწყების გამჭვირვალობის ნაკლებობას. უფრო მეტიც, კვლავ აქტუალური რჩება საზოგადოებრივად მაღალი ინტერესის საქმეებზე სამართლიანი და დამოუკიდებელი გამოძიების საკითხი. საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ იცავს საჯარო და კერძო სექტორში მომუშავე იმ პირებს, რომლებიც ინფორმაციას საჯარო სექტორში დაშვებულ დარღვევებზე ამჟღავნებენ. თუმცა, არ იცავს ისეთ პირებს, რომლებიც კერძო სექტორში დაშვებულ დარღვევებს ამხელენ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს დადებითად აფასებენ სხვადასხვა საერთაშორისო ანგარიშში. განსაკუთრებით დადებითი შეფასება დაიმსახურა პლატფორმამ budgetmonitor.ge, რომელიც ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) 2016–2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში შეიქმნა. ასევე დადებითად შეფასდა ვებპლატფორმა procurement.gov.ge, როგორც პლატფორმა, რომელიც არსებული და სამომავლო ტენდერების გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. თუმცა, უპასუხოდაა დარჩენილი რამდენიმე რეკომენდაცია.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველომ მიზანმიმართული ნაბიჯები გადადგა წამებისა და არასათანადო მოპყრობის აღსაკვეთად. მიუხედავად ამისა, საქართველოს კანონმდებლობა არ პასუხობს სტამბოლის პროტოკოლის მოთხოვნებს, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო სახელმძღვანელოს წამებისა და თანმდევი შედეგების აღრიცხვის თვალსაზრისით. მაგალითად, ციხის თანამშრომლების მიერ სავარაუდოდ

ჩადენილი წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის შემთხვევებში ციხის ექიმებმა უნდა შეატყობინონ სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს და არა – დამოუკიდებელ ორგანოს, როგორც მთავარი პროკურატურაა, რომლის საგამოძიებო ქვემდებარეობაც ითვალისწინებს სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებას. სამინისტროს შიდა ორგანოს მიერ წარმოებული გამოძიება ვერ იძლევა ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას, რომელიც საჭიროა ამ ტიპის დანაშაულების ეფექტური გამოძიებისთვის. იგივე შეიძლება, ითქვას სავარაუდო წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შემთხვევების შესახებ დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

საქართველოში კვლავ არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები იძულებითი შრომისა და შრომის ექსპლუატაციის აკრძალვის საკითხებთან დაკავშირებით. შრომითი ექსპლუატაციის კვალიფიკაციის კრიტერიუმები ბუნდოვანია, რაც გამოიხატება პრობლემის მიმართ არსებულ არაერთგვაროვან მიდგომაში. აქედან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია, ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში აისახოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტები, როგორცაა არასათანადო სამუშაო პირობები, ზეგანაკვეთური სამუშაო დღეები და საათები, ხელფასით მანიპულირება და ა.შ.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია რწმენის, რელიგიისა და სინდისის თავისუფლება. 2017 წელს საქართველოს პარლამენტმა კონსტიტუციაში ცვლილებების ინიცირება მოახდინა. სხვა საკითხებთან ერთად ცვლილებები შეეხო რელიგიის თავისუფლების მარეგულირებელ მუხლებსაც. პარლამენტმა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლებს დაამატა ახალი კრიტერიუმები: “სახელმწიფო უსაფრთხოება”, “დანაშაულის თავიდან აცილება” და “მართლმსაჯულების განხორციელება”.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით დაწესებულია რელიგიური ნეიტრალობისა და რელიგიის თავისუფლების დაცვის მაღალი სტანდარტი, პრაქტიკაში რელიგიური უმცირესობებისა და სახალხო დამცველის თანახმად კანონის მოთხოვნები ხშირად ირღვევა, საჯარო სკოლებში ადგილი აქვს რელიგიური სიმბოლოების არაკადემიური მიზნებით გამოფენას, ინდოქტრინაციასა და პრობლიტიზმს. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენა საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებზე ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს უმცირესობას მიკუთვნებული მოსწავლეების დისკრიმინაციასა და რელიგიური ნეიტრალობის დარღვევაში. გარდა ამისა, საგადასახადო შეღავათები მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე ვრცელდება. საქართველოს ხელისუფლება ნაკლებად თანამშრომლობს რელიგიათა საბჭოსთან, რომელსაც კოორდინირებას უწევს საქართველოს სახალხო დამცველის ტოლერანტობის ცენტრი. ხელისუფლებამ უნდა დაავალოს რელიგიის საკითხთა ახალშექმნილ სახელმწიფო სააგენტოს, რომ ითანამშრომლოს რელიგიათა საბჭოსთან და გამოიყენოს მისი გამოცდილება და რეკომენდაციები რელიგიური შეუწყნარებლობის პრობლემის მოსაგვარებლად.

საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს და ამავდროულად ადგენს ამ უფლებების დაცვის გარანტიებს. კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს დისკრიმინაციას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნით. ამჟამად, საქართველოში არ არსებობს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების პრევენციისა და ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებში მუშაობის სპეციალური მიდგომები. ბოლო წლების განმავლობაში ახლად ჩამოყალიბებული რასისტული, ექსტრემისტული და ნეონაციონალისტური ჯგუფების შემამოფთებელი ზრდა ფიქსირდება. ნეონაციონალისტური ჯგუფები გააქტიურდნენ როგორც ვირტუალურ სივრცეში სოციალური მედიის საშუალებით, ისე – საჯარო სივრცეში. ასევე შემამოფთებელია რასობრივი და ქსენოფობიური ნიშნით მოტივირებული დანაშაულების მზარდი რაოდენობა. მათი სამიზნე ჯგუფი არის უცხოელები აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან, არადომინანტი რელი-

გიური ჯგუფები, უფლებადამცველი არასამთავრობოები, ლგბტ+ და ლიბერალური ჯგუფები. სახელმწიფოს ოფიციალური მონაცემები რასობრივი მოტივით ჩადენილ სიძულვილის დანაშაულზე შესამჩნევად ნაკლებია მსხვერპლთა მიერ აღნიშნულთან შედარებით.

გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად არსებული ქართული საკანონმდებლო ჩარჩო მეტწილად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. თუმცა, შესაძლებელია კანონების შემდგომი დახვეწა; მაგალითად, საქართველოს შრომის კოდექსში არ არის გაწერილი მკაფიო დებულებები გენდერული დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად და არ არის ნახსენები თანაბარი ანაზღაურების პრინციპი. სექსუალური შევიწროება შრომის კოდექსში ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის. გარდა ამისა, გენდერული თანასწორობის კანონი არ კრძალავს შევიწროებას და სექსუალურ შევიწროებას შრომითი ურთიერთობების მიღმა.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება, ასევე ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების უფლება. ქართული მედიაგარემო პლურალისტული და კრიტიკულია, ხოლო სამართლებრივი ჩარჩო უზრუნველყოფს გამოხატვის თავისუფლებასა და სარედაქციო პოლიტიკის დამოუკიდებლობას. მიუხედავად ამისა, 2017 წლის ანგარიშში აღნიშნულია მედიის დამოუკიდებლობის თვალსაზრისით განვითარებული უარყოფითი მოვლენები. კერძოდ, საზოგადოებრივი მაუწყებლის აშკარად პოლიტიზებული სარედაქციო პოლიტიკა, ზეწოლა კრიტიკულ სატელევიზიო არხ „რუსთავი 2“-ზე და ხელისუფლების მხარდამჭერი კერძო სატელევიზიო არხების საკუთრების კონსოლიდაცია. კერძო მედიაზე პოლიტიკური გავლენა როგორც ოპოზიციის, ასევე მმართველი პარტიის მხრიდან მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შეზღუდვასთან დაკავშირებით პრობლემები კანონმდებლობაზე მეტად პრაქტიკას უკავშირდება. კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომლებიც მუშაობენ დემოკრატიისა და სასამართლო რეფორმების, ასევე ადამიანის უფლებების დაცვისა და არჩევნების კუთხით, რეგულარულად ხორციელდება თავდასხმები იმ შემთხვევაში, თუ მათი რეკომენდაციები ან კრიტიკა მმართველი პარტიისთვის მიუღებელია.

საქართველოს მოქალაქეებისათვის განათლების უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით და რეგულირდება სხვადასხვა კანონით, საკანონმდებლო აქტითა და ნორმატიული დოკუმენტით. სპეციალური საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების უფლებებს სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ხელს უშლის სხვადასხვა ფაქტორი, კერძოდ: არაადაპტირებული ინფრასტრუქტურა, ინკლუზიური საგანმანათლებლო პროგრამების არარსებობა და სკოლამდელი აღზრდის მასწავლებლების მიერ ინკლუზიური განათლების არასაკმარისი ცოდნა. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებისთვის უმაღლესი განათლების დაწესებულებათა ხელმისაწვდომობა კვლავ პრობლემად რჩება სხვადასხვა მიზეზის გამო, როგორცაა ინკლუზიური განათლების კომპონენტის ნაკლებობა, დისტანციური სწავლების ობიექტების არარსებობა და სხვა.

საქართველო, როგორც წესი, უზრუნველყოფს ევროკავშირის მოქალაქეების უფლებების პატივისცემას. საქართველოს კონსტიტუცია წარმოადგენს სასამართლოზე წვდომის სამართლებრივ საფუძველს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის დისკრიმინაციის გარეშე. თუმცა, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის დაწესებულია შეზღუდვები სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების უფლებაზე. საქართველომ უნდა მოახდინოს საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროკავშირის კანონმდებლობასთან, რათა ევროკავშირის მოქალაქეებს საქართველოში მუნიციპალურ არჩევნებში კენჭისყრისა და ხმის მიცემის უფლება ჰქონდეთ.

I
თეზი

მართლმსაჯულება

დამოუკიდებლობა

1 როგორ არის კანონმდებლობით უზრუნველყოფილი სასამართლოს დამოუკიდებლობა და პროკურორების ავტონომიურობა? არის თუ არა მოსამართლეების დამოუკიდებლობა და პროკურორების ავტონომიურობა კონსტიტუციით გარანტირებული? როგორ არის მართლმსაჯულება გარანტირებული? ყოფილა თუ არა საჩივარი სასამართლოს დამოუკიდებლობისა და პროკურორების ავტონომიურობის თაობაზე და, თუ ყოფილა, როგორ გადაწყდა ასეთი საჩივრები?

2015 წლიდან საქართველოს პროკურატურის სისტემაში რამდენიმე რეფორმა განხორციელდა. რეფორმა დღესაც მიმდინარეობს. 2015 წლის ბოლომდე საქართველოს მთავარი პროკურატურა იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურული ერთეული, ხოლო იუსტიციის მინისტრი ხელმძღვანელობდა პროკურატურის სისტემას. საქართველოს კონსტიტუციის 81⁴-ე (მიღებულია 24/08/1995 N786, კონსოლიდირებული ვერსია 04/10/2013, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) მუხლის პირველი წინადადება განსაზღვრავდა შემდეგს: „პროკურატურის ორგანოები შედის იუსტიციის სამინისტროს სისტემაში და მათ საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს იუსტიციის მინისტრი.“

2015 წლის მიწურულს პროკურატურის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად შეიქმნა საპროკურორო საბჭო. ეს რეფორმა განხორციელდა პროკურატურის სისტემის იმ დროს არსებული კონსტიტუციური მოწესრიგების ფარგლებში. შესაბამისად, საპროკურორო საბჭოს შექმნის მიუხედავად, პროკურატურა რჩებოდა იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში, ხოლო იუსტიციის მინისტრი რჩებოდა პროკურატურის სისტემის საერთო ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირად; ამასთან, მინისტრი თანამდებობრივად გახდა საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარე (ცვლილებების მიღების თარიღი 13/10/2017 N1324-რს, კონსოლიდირებული ვერსია 23/03/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge).

კონსტიტუციის გადასინჯვის შედეგად, ახლებურად ჩამოყალიბებული კონსტიტუციის 65-ე მუხლით განისაზღვრა:

- „1. საქართველოს პროკურატურა თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს;
2. პროკურატურას ხელმძღვანელობს გენერალური პროკურორი, რომელსაც 6 წლის ვადით საპროკურორო საბჭოს წარდგინებით ორგანული კანონით დადგენილი წესით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი;
3. პროკურატურის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად იქმნება საპროკურორო საბჭო, რომელიც შედგება ორგანული კანონით დადგენილი წესით არჩეული 15 წევრისაგან. საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარეს 2 წლის ვადით ირჩევს საპროკურორო საბჭო;
4. პროკურატურა ყოველწლიურად წარუდგენს პარლამენტს თავისი საქმიანობის ანგარიშს;
5. პროკურატურის უფლებამოსილება, სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.“

განახლებული კონსტიტუცია ამოქმედდა 2018 წლის 16 დეკემბერს და სრულად შეცვალა პროკურატურის სისტემის ინსტიტუციური მოწყობა, პროკურატურა გახდა დამოუკიდებელი ინსტიტუცია, რომელიც აღარ არის აღმასრულებელი ხელისუფლების დაქვემდებარებაში.

პროკურატურის სისტემის რეფორმა, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში კონსტიტუციის გადასინჯვით გამოწვეული ცვლილებების განხორციელება, კვლავ მიმდინარეობს. „პროკურა-

ტურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტი, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ განიხილება,¹ ადგენს საპროკურორო საბჭოს დაკომპლექტებას შემდეგი წევრებით: პროკურორთა კონფერენციის მიერ არჩეული 8 პროკურორი; საპარლამენტო უმრავლესობის წევრთა მიერ არჩეული ერთი წევრი; პრემიერმინისტრის წარდგინებით საპარლამენტო უმრავლესობის გარეთ არჩეული ერთი წევრი; აკადემიის, სამოქალაქო საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან პარლამენტის მიერ არჩეული 2 წევრი; იუსტიციის მინისტრის მიერ დანიშნული ერთი წევრი.

უნდა აღინიშნოს, რომ საპროკურორო საბჭოს დაკომპლექტების ასეთი წესი ვერ უზრუნველყოფს პროკურატურის სისტემის დამოუკიდებლობას. ის რჩება პოლიტიზირებული, რაც წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციის მოთხოვნებთან. ამასთან, კანონით სათანადოდ არ არის გარანტირებული საპროკურორო საბჭოს ფუნქციური დამოუკიდებლობა. საპროკურორო საბჭოს აქვს მხოლოდ შემდეგი ფუნქციები:

- გენერალური პროკურორის შერჩევა;
- გენერალური პროკურორის პირველი მოადგილისა და მოადგილის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტა;
- გენერალური პროკურორის საქმიანობის პერიოდული ანგარიშის მოსმენა და რეკომენდაციების გაცემა;
- სისხლის სამართლის პოლიტივიდან გამომდინარე, მისი სახელმძღვანელო პრინციპების განსაზღვრის, პროკურატურის საქმიანობის ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის ხელის შეწყობი რეკომენდაციების შემუშავება და გენერალური პროკურორისთვის წარდგენა;
- საპროკურორო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის საკითხზე გადაწყვეტილების მიღება.

“პროკურატურის შესახებ” საქართველოს კანონის (მიღებულია 21/10/2008 N382, კონსოლიდირებული ვერსია 05/09/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) 35-ე მუხლი ადგენს, რომ პროკურორი/პროკურატურის გამომძიებელი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. დაუშვებელია მისი გათავისუფლება ან მისი უფლებამოსილების შეწყვეტა გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისა და დადგენილი წესით.

კანონი ასევე ადგენს, რომ არავინ შეიძლება, ჩაერიოს პროკურორის საქმიანობაში.

კანონი განსაზღვრავს პროკურატურის სისტემის მუშაობის შემდეგ პრინციპებს: კანონიერება, ადამიანის უფლებების დაცვა, პროფესიონალიზმი და კომპეტენცია, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა, ერთიანობა და ცენტრალიზაცია, ყველა პროკურორის დაქვემდებარება გენერალური პროკურორისადმი, პოლიტიკური ნეიტრალიტეტი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (მიღებულია 09/10/2009 N1772, კონსოლიდირებული ვერსია 05/09/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) მე-16 მუხლი ადგენს პროკურორის დისკრეციას, დაიწყო ან შეწყვიტოს სისხლის სამართლებრივი დევნა, კერძოდ, დევნის დაწყების ან შეწყვეტის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას პროკურორმა უნდა იხელმძღვანელოს საჯარო ინტერესით.

1. 2018 წლის 1 დეკემბრამდე მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (მიღებულია 09/10/2009 N1772, კონსოლიდირებული ვერსია 05/09/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) 33-ე მუხლი ადგენს: პროკურორი თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს სახელმწიფოს სახელით. სასამართლოში პროკურორი არის სახელმწიფო ბრალმდებელი. მას ეკისრება ბრალდების მტკიცების ტვირთი. სასამართლოში თავისი უფლებამოსილებების განხორციელებისას პროკურორი დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. ზემდგომი პროკურორი უფლებამოსილია, გააუქმოს ქვემდგომი პროკურორის მიერ მიღებული უკანონო ან/და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, შეიტანოს მასში ცვლილება ან შეცვალოს იგი ახალი გადაწყვეტილებით. პროკურორი უფლებამოსილია: საგამოძიებო ქვემდებარეობის მოთხოვნათა დაცვით სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დაავალოს ამა თუ იმ სამართალდამცავ ორგანოს ან გამომძიებელს; საქმე ჩამოართვას ერთ გამომძიებელს და გადასცეს მეორეს. საქართველოს გენერალურ პროკურორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, ერთი საგამოძიებო ორგანოდან ამოიღოს საქმე და გამოსაძიებლად გადასცეს სხვა საგამოძიებო ორგანოს; გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას ჩამოაშოროს ქვემდგომი პროკურორი და მისი ფუნქციები დააკისროს სხვა პროკურორს. პროკურორი უფლებამოსილია, მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში ან თვითონ აწარმოოს წინასწარი გამოძიება სრული მოცულობით. პროკურორი უფლებამოსილია, გამოძიებისას სავალდებულო მითითება მისცეს საართალდამცავი ორგანოს თანამშრომელს ან/და ქვემდგომ პროკურორს, გააუქმოს გამომძიებლის ან ქვემდგომი პროკურორის დადგენილება და სხვა.

მართალია, კანონი ადგენს პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებას, გადაწყვეტოს სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების ან შეწყვეტის საკითხი, თუმცა კანონი არ ადგენს სათანადო გარანტიებს საიმისოდ, რომ პროკურორმა აღნიშნული უფლებამოსილებები განახორციელოს ზემდგომი პროკურორისაგან დამოუკიდებლად: არ არის დადგენილი პროკურორის შეუცვლელობა, უფლებამოსილების გარანტირებული ვადა, არ არის დადგენილი პროცედურა ქვემდგომი პროკურორის მხრიდან ზემდგომი პროკურორის უკანონო გადაწყვეტილებების შეწინააღმდეგებისთვის, არ არის დადგენილი ქვემდგომი პროკურორისთვის ინსტრუქციების მიცემის პროცედურა და სხვა.

საქართველოს კონსტიტუციის (მიღებულია 24/08/1995 N786, კონსოლიდირებული ვერსია 23/03/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) 59-ე მუხლის თანახმად სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და საქართველოს საერთო სასამართლოები. საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ხოლო მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები. სპეციალიზებული სასამართლოები შეიძლება, შეიქმნას მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემაში. სამხედრო სასამართლოს შემოღება შეიძლება საომარი მდგომარეობის დროს და მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემაში. საგანგებო სასამართლოების შექმნა დაუშვებელია. საერთო სასამართლოებში საქმეებს ნაფიცი მსაჯულები განიხილავენ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. საერთო სასამართლოების სისტემა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

“საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი (მიღებულია 04/12/2009 N2257, კონსოლიდირებული ვერსია 31/10/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) ადგენს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება მიიღება საქართველოს სახელით. გადაწყვეტილება ეფუძნება კონსტიტუციას, კანონს, რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს და კანონით დადგენილი

წესით მიღებულ კანონქვემდებარე აქტებს. სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა ყველასათვის და მისი შეცვლა ან გაუქმება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რომელიც დადგენილია “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-3, მე-4 და მე-5 მუხლებით, არის ის, რომ სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ სასამართლოები და ისინი დამოუკიდებელი არიან საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან, სასამართლო გადაწყვეტილებების შეუსრულებლობა ან შესრულებისათვის ხელის შეშლა იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. პირის საქმე უნდა განიხილოს იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება აღნიშნული საქმე.

“საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი ადგენს, რომ მოსამართლე დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში, მოსამართლე ახორციელებს მართლმსაჯულებას და გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების, რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებების, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული წესებისა და მოსამართლის შინაგანი რწმენის საფუძველზე. არავის აქვს უფლება, მოსამართლეს მოსთხოვოს ანგარიში ან მიუთითოს, როგორი გადაწყვეტილება მიიღოს კონკრეტულ საქმეზე. მოსამართლის საქმის განხილვისაგან ჩამოცილება, მისი თანამდებობიდან გათავისუფლება ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დასაშვებია მხოლოდ ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას მოსამართლე დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ესა თუ ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, შეიძლება, მიხნეული იქნეს საქართველოს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ.

სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, დაწესებულებას, საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ გაერთიანებას, თანამდებობის პირს, იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს ეკრძალებათ სასამართლოს დამოუკიდებლობის შელახვა. მოსამართლეზე რამე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით (მუხლი 8).

მხარეებსა და სამართალწარმოების სხვა მონაწილეებს, დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ, გაასაჩივრონ მოსამართლის ქმედება, თუ მიიჩნევენ, რომ ადგილი აქვს რამე სახის არაკანონიერ ზემოქმედებას საქმის განხილვის მიმდინარეობას ან სამართალწარმოების შედეგზე. საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში, რომელიც უფლებამოსილია, აწარმოოს საჩივრის წინასწარი გამოკვლევა და საქმე განსახილველად წარუდგინოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს. იუსტიციის უმაღლესი საბჭო დამოუკიდებელი ინსპექტორის წარდგინების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემის შესახებ. დისციპლინური ან ეთიკის წესების დარღვევისთვის გამო მოსამართლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ საკითხს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს საერთო სასამართლოების სადისციპლინო კოლეგია. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება შეიძლება, გასაჩივრდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში.

2018 წლის განმავლობაში საერთო სასამართლოების სადისციპლინო კოლეგიამ განიხილა მხოლოდ ერთი საქმე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემის შესახებ.

2017 წლის განმავლობაში საერთო სასამართლოების სადისციპლინო კოლეგიამ განიხილა ორი საქმე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

2016 წლის განმავლობაში საერთო სასამართლოების სადისციპლინო კოლეგიამ განიხილა ორი საქმე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

2014 და 2015 წლებში იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ მიუმართავს საერთო სასამართლოების სადისციპლინო კოლეგიისათვის მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საკითხზე. გასათვალისწინებელია იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის მოსამართლეების წინააღმდეგ სადისციპლინო საჩივრებით მიმართვის სტატისტიკური მონაცემები:

- 2017 წლის მონაცემებით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში იყო მიმდინარე 391 საჩივარი, აქედან 345 საჩივართან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო საქმის განხილვის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით 7 საჩივარი შეეხებოდა კორუფციასა და ინტერესთა კონფლიქტს, ხოლო ყველაზე მეტი საჩივარი – სულ 116 – შეეხებოდა სამოსამართლო უფლებამოსილების არაჯეროვნად შესრულებას.
- 2016 წელს 488 დისციპლინური საჩივარი იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განხილვაში (მათ შორის, 277 საჩივარი გადმოსული იყო 2015 წლიდან). 209 საქმე შეწყდა. თემატური სტატისტიკა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ გამოუქვეყნებია.
- 2015 წლის მონაცემებით, 375 დისციპლინური საჩივარი იყო იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე, (აქედან 70 საქმე გადმოსული იყო 2014 წლიდან). 93 საქმე შეწყდა. თემატური სტატისტიკა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ გამოუქვეყნებია.

2

გთხოვთ, აღწერეთ მოსამართლეთა და პროკურორების შერჩევის (არა ხელახალი დანიშვნის), დაწინაურების, დისციპლინირებისა და უფლებამოსილების შეწყვეტის პროცედურა და მიუთითეთ, როგორ უზრუნველყოფს ეს პროცედურა მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობასა და ანგარიშვალდებულებას (პროკურორების ავტონომიურობას). ყოფილა თუ არა რამე კრიტიკა აღნიშნული პროცედურების მიმართ? თუ – კი, როგორ მოხდა მათი გადაწყვეტა?

პირველი და სააპელაციო ინსტანციის მოსამართლეების შერჩევასა და დანიშვნას უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად (მიღებულია 04/12/2009 N2257, კონსოლიდირებული ვერსია 31/10/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესით (მიღებულია 09/10/2009 N308, კონსოლიდირებული ვერსია გამოქვეყნებულია www.hcoj.gov.ge).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები და თავმჯდომარე აირჩევიან საქართველოს პარლამენტის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების საფუძველზე. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევის ეს წესი ახლახანს იქნა მიღებული, მას შემდეგ, რაც საქართველოს

კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები ამოქმედდა 2018 წლის დეკემბერში. პირველი და სააპელაციო ინსტანციის მოსამართლეებისთვის დადგენილი მოთხოვნები მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დასრულების შესახებ, არ ვრცელდება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებზე. ამასთან, “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 34.4-ე მუხლის თანახმად იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია, წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი, რომლის პროფესიული გამოცდილება შეესაბამება უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მაღალ სტატუსს.

პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატების შეფასებას ახორციელებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ორი ძირითადი კრიტერიუმის შესაბამისად: კომპეტენტურობა და კეთილსინდისიერება. იუსტიციის უმაღლესი საბჭო აცხადებს კონკურსს, რომელშიც მონაწილეობის უფლება აქვთ მათ, ვინც აკმაყოფილებს კანონით დადგენილ შემდეგ მოთხოვნებს: უმაღლესი იურიდიული განათლება; სულ მცირე 5 წლის პროფესიით მუშაობის გამოცდილება; არის სულ მცირე 30 წლის; წარმატებით ჩააბარა მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა და დაასრულა იუსტიციის უმაღლესი სკოლის 10 თვიანი სასწავლო კურსი.

იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლის მოთხოვნისაგან თავისუფლებიან:

- უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი;
- ყოფილი მოსამართლე, რომელსაც ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა, კონკურსის წესით დანიშნული იყო მოსამართლის თანამდებობაზე საერთო სასამართლოში და აქვს მოსამართლედ მუშაობის სულ მცირე 18 თვიანი გამოცდილება.

მოსამართლის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე. განაცხადების მიღების ვადა უნდა შეადგენდეს სულ მცირე 15 კალენდარულ დღეს. განაცხადების მიღების ვადის დასრულებიდან 5 დღის ვადაში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება კანდიდატების კონკურსზე დაშვების შესახებ, გამოაქვეყნოს კანდიდატების სია და მათი მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად: ინფორმაციის მოძიება და კანდიდატებთან ინტერვიუების ჩატარება, რომლის შემდეგაც გადაწყვეტილება მოსამართლის დანიშვნის შესახებ მიიღება კენჭისყრის საფუძველზე.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო და მისი დეპარტამენტი მოიძიებენ ინფორმაციას კანდიდატის შესახებ. ინფორმაციის წყაროების მინიმალურ ნუსხას, საიდანაც უნდა იქნეს მოძიებული ინფორმაცია კანდიდატების შესახებ, ადგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ N308 გადაწყვეტილებით. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, შესაბამისი კონკურსის ფარგლებში, მოსამართლეობის კანდიდატის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შეუძლია, გამოიყენოს აღნიშნული ინფორმაცია მისი ავთენტურობის შემოწმების შემდეგ. კანდიდატებს უფლება აქვთ, მიიღონ თავიანთ შესახებ კონკურსის ფარგლებში მოძიებული ინფორმაცია, ასევე, წარუდგინონ საბჭოს დამატებითი ინფორმაცია ან მტკიცებულებები.

ინფორმაციის მოძიების დასრულების შემდეგ ტარდება ინტერვიუ მოსამართლეობის კანდიდატებთან. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N308 გადაწყვეტილება ადგენს, რომ ინტერვიუები უნდა ჩატარდეს საბჭოს დახურულ სხდომაზე.

მართალია, გასულ წლებში იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეობის კანდიდატებთან ინტერვიუებს ატარებდა საბჭოს ღია სხდომაზე, მაგრამ ბოლო 2 წლის განმავლობაში აღნიშნული პრაქტიკა შეიცვალა და სულ უფრო მეტი კანდიდატი არჩევს, რომ მასთან ინტერვიუ ჩატარდეს საბჭოს დახურულ სხდომაზე. აღსანიშნავია, რომ ინტერვიუ არის მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის ერთადერთი ნაწილი, რომელიც შეიძლება, საზოგადოებისთვის ღიად ჩატარდეს, ყველა სხვა პროცედურა ტარდება დახურულად და საზოგადოებას არ მიუწვდება ხელი კანდიდატების შესახებ ინფორმაციაზე, რომელზე დაყრდნობითაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო შეარჩევს კანდიდატებს. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის ვალდებული, დაასაბუთოს გადაწყვეტილება მოსამართლის დანიშვნის შესახებ.

კანდიდატებთან ინტერვიუების დასრულების შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები ინდივიდუალურად აგებენ შეფასების ფორმას, სადაც კანდიდატები ფასდებიან ქულებით კანონით დადგენილი წესით. კანდიდატებს ქულები დაეწერებათ კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას, თუმცა, კეთილსინდისიერების კრიტერიუმში კანდიდატების შეფასება არ გამოიხატება ქულებით. ამასთან, კანონი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს არ უდგენს ქულებისა და კანდიდატების შეფასების დასაბუთების მოთხოვნას.

აღნიშნული ხარვეზი მოსამართლეობის კანდიდატების შეფასების სისტემას ხდის სუბიექტურ გადაწყვეტილებაზე დამოკიდებულს და წლებია, ეჭვქვეშ აყენებს პროცესის ობიექტურობასა და დამსახურების პრინციპზე დაყრდნობით მოსამართლეობის დანიშვნას.

კანდიდატების შეფასების შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ნიშნავს მოსამართლეებს ფარული კენჭისყრის საფუძველზე, საბჭოს წევრების ხმათა 2/3-ის უმრავლესობით. პირველად მოსამართლის დანიშვნა ხდება 3 წლით, გამოსაცდელი ვადით. ისინი, ვისაც აქვთ მოსამართლედ მუშაობის სულ მცირე 3 წლის გამოცდილება, ასევე ისინიც, ვისზეც არ ვრცელდება გამოსაცდელი ვადით დანიშვნის წინაპირობა, მოსამართლის თანამდებობაზე ინიშნებიან უვადოდ.

გენერალური პროკურორის შერჩევა და დანიშვნა

საქართველოს კონსტიტუციის 65.2-ე მუხლი (მიღებულია 25/08/1995 N786, კონსოლიდირებული ვერსია 23/03/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) ადგენს, რომ პროკურატურას ხელმძღვანელობს გენერალური პროკურორი, რომელიც აირჩევა 6 წლის ვადით, საპროკურორო საბჭოს წარდგინებით, საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მიერ, ორგანული კანონით დადგენილი წესით.

“პროკურატურის შესახებ” კანონი (მიღებულია 21/10/2008 N382, კონსოლიდირებული ვერსია 05/09/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) ადგენს გენერალური პროკურორობის კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს: არ ყოფილა ნასამართლევი, არის საქართველოს მოქალაქე უმაღლესი იურიდიული განათლებით, აქვს სისხლის სამართლის საქმეთა მოსამართლედ, პროკურორად ან ადვოკატად მუშაობის სულ მცირე 5 წლის გამოცდილება ან არის სისხლის სამართლის აღიარებული სპეციალისტი უმაღლესი სასწავლებლისა ან არასამთავრობო ორგანიზაციიდან და აქვს იურიდიულ

პროფესიაში მუშაობის სულ მცირე 10 წლის გამოცდილება. კანდიდატს უნდა ჰქონდეს კარგი მორალური და პროფესიული რეპუტაცია.

გენერალური პროკურორის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 6 თვისა, ხოლო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – დაუყოვნებლივ, გენერალური პროკურორობის კანდიდატების შესარჩევად საპროკურორო საბჭო იწყებს ერთთვიან კონსულტაციებს აკადემიურ წრეებთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და სამართლის დარგის სპეციალისტებთან. კონსულტაციების შედეგად საპროკურორო საბჭო შეარჩევს გენერალური პროკურორობის არანაკლებ 3 კანდიდატს, რომელთა 1/3 მაინც განსხვავებული სქესის უნდა იყოს. კონსულტაციების შედეგად საპროკურორო საბჭომ უნდა შეარჩიოს და პარლამენტს ასარჩევად წარუდგინოს გენერალური პროკურორობის კანდიდატი. საპროკურორო საბჭო გადაწყვეტილების მისაღებად გამართავს ფარულ კენჭისყრას. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ საპროკურორო საბჭოს სრული შემადგენლობის ორი მესამედისა. თუ ორმა ან მეტმა კანდიდატმა ხმების თანაბარი რაოდენობა მიიღო, გადაწყვეტია საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარის ხმა. თუ ხმების საჭირო რაოდენობა ვერცერთმა კანდიდატმა მიიღო, არჩევნების მეორე ტურში კენჭი ეყრება საუკეთესო შედეგის მქონე ორ კანდიდატს. თუ ამჯერადაც ვერცერთმა კანდიდატმა მიიღო საპროკურორო საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის მხარდაჭერა, საპროკურორო საბჭო ერთი კვირის ვადაში შეარჩევს სხვა კანდიდატებს.

საქართველოს პარლამენტი აირჩევს გენერალურ პროკურორს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით. თუ პარლამენტი ვერ აირჩევს ნომინირებულ კანდიდატს, შერჩევის პროცედურა ხელახლა დაიწყება.

გენერალური პროკურორის გათავისუფლება

გენერალური პროკურორი შეიძლება, გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან მხოლოდ იმპიჩმენტის წესით. გენერალური პროკურორის უფლებამოსილების შეწყვეტის სხვა საფუძვლებია: პირადი განცხადება, სამსახურებრივი შეუთავსებლობა, სასამართლოს გადაწყვეტილებით გენერალური პროკურორის შემზღვევლ ქმედუნარიანად აღიარება, საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა, გარდაცვალება.

პროკურორის დანიშვნისა და გათავისუფლების წესი

გენერალური პროკურორი უფლებამოსილია, თანამდებობაზე დანიშნოს და გაათავისუფლოს გენერალური პროკურორის მოადგილე, ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი, ქალაქ თბილისის პროკურორი, საოლქო და რაიონული პროკურატურის ხელმძღვანელები, პროკურორები. საჯარო სამსახურში პირის დანიშვნისა და გათავისუფლების ზოგადი წესის მოქმედება არ ვრცელდება პროკურატურის მუშაკებზე. პროკურორის დანიშვნის კონკურსის წესი დადგენილია იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. თუმცა, ამ წესის მიხედვით პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნისათვის სავალდებულო არ არის კონკურსის ჩატარება.

“პროკურატურის შესახებ” საქართველოს კანონის 31-ე მუხლი ადგენს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს პროკურორის თანამდებობის დასაკავებლად: უმაღლესი იურიდიული განათლება, პროკურატურის სისტემაში 6 თვიდან 1 წლამდე ვადის სტაჟირების გავლა, პროკურორის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, კანდიდატის საქმიანი და მორალური თვისებები, ჯანმრთელობის მდგომარეობა საშუალებას აძლევს მას, განახორციელოს პროკურორის ფუნქციები.

საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მოთხოვნა შეიძლება, არ გავრცელდეს და პირი დანიშნოს პროკურორის თანამდებობაზე გამცდის ჩაბარების გარეშე, თუ კანდიდატი აკმაყოფილებს ერთ-ერთ

შემდეგ პირობას: აქვს მოსამართლედ ან ადვოკატად მუშაობის სულ მცირე 1 წლის გამოცდილება, ან ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა, ან აქვს იურიდიულ პროფესიაში მუშაობის სულ მცირე 3 წლის გამოცდილება.

პროკურორი შეიძლება, გათავისუფლდეს თანამდებობიდან გენერალური პროკურორის გადაწყვეტილებით შემდეგი საფუძვლების არსებობისას: ჯანმრთელობის მდგომარეობა, რაც მას ხელს უშლის განახორციელოს პროკურორის ფუნქციები, მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება, სამსახურებრივი შეუთავსებლობა, დისციპლინური დარღვევა, სამუშაო ადგილების შემცირება, ეთიკის წესების დარღვევა და სხვა.

ევროპის საბჭოს ანტიკორუფციული მონიტორინგის მექანიზმი, კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფი GRECO

გრეკოს ანგარიშში პრობლემის სახით აღნიშნულია, რომ პროკურორების შერჩევისა და კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებული საკითხები მხოლოდ ფრაგმენტულად არის მოწესრიგებული, რაც მნიშვნელოვნად აზიანებს ამ პროცესის გამჭვირვალობის ხარისხს. შერჩევის პროცესთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ კანონი საკმარისად დეტალურად არ განსაზღვრავს შერჩევის პროცედურას, პრინციპებსა და კრიტერიუმებს, რაც წარმოადგენს სტაჟირების კომისიისა და გენერალური პროკურორის მიერ გადაწყვეტილების მიღების საფუძველს. ანგარიშში გამოთქმულია წუხილი იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილების მიღება პირებს აქვთ ან აღიქმება, რომ აქვთ ზედმეტად დიდი დისკრეციული უფლებამოსილება, რაც საფრთხის ქვეშ აყენებს ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს ამ პროცესში ისევე, როგორც აზიანებს მოქალაქეთა ნდობას პროკურატურის სისტემის მიმართ. ამ წუხილებს აძლიერებს ისიც, რომ კანონი არ მოითხოვს პროკურორის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთებას, რამაც შეიძლება, დააზიანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ეფექტურობა. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ იუსტიციის მინისტრის ბრძანება სტაჟირების გავლის წესის შესახებ შეიცავს გარკვეულ პრინციპებსა და კრიტერიუმებს სტაჟირების კომისიისა და გენერალური პროკურორის მიერ გადაწყვეტილების მიღებისთვის, თუმცა, არის საჭიროება, რომ აღნიშნული წესი გადაისინჯოს. განსაკუთრებით ხაზგასმულია ამ თვალსაზრისით წესის მე-15 მუხლი, რომელიც ანიჭებს სტაჟირების კომისიას დისკრეციას, გამოიყენოს ან არ გამოიყენოს კითხვარი და შეფასების ფორმა, რომლებიც ამ მიზნით იქნა შემუშავებული. ასევე, წუხილი გამოითქვა ამავე წესის მე-18 მუხლის გამო, რომელიც უფლებას ანიჭებს სტაჟირების კომისიას, არ მოახდინოს არცერთი კანდიდატის ნომინირება. ანალოგიური ვითარებაა პროკურორების დაწინაურების საკითხზე, რომელიც არ არის დეტალურად მოწესრიგებული კანონით, თუმცა, უწყებები მიუთითებდნენ, რომ პროკურორის დაწინაურების კრიტერიუმები შემუშავებულია და დარიგებულია პროკურატურის სისტემაში. ანგარიში კვლავ გამოთქვამს წუხილს იმის გამო, რომ კანონი არ ავალდებულებს დაწინაურების შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთებას, მიუხედავად იმისა, რომ დადგენილია აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა.²

ასევე, გრეკოს ანგარიში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ცხადი, კონკრეტული და ერთგვაროვანი შერჩევის წესი და კრიტერიუმები, კერძოდ კი, დამსახურების კრიტერიუმი, უნდა იქნეს განმტკიცებული კანონით როგორც პროკურორების პირველად დანიშვნის, ისე დაწინაურების

2. FOURTH EVALUATION ROUND Corruption prevention in respect of members of parliament, judges and prosecutors EVALUATION REPORT GEORGIA; Adoption: 2 December 2016, Publication: 17 January 2017 <https://rm.coe.int/16806dc116> para, 154.

შემთხვევაში. ასევე, გადაწყვეტი მნიშვნელობისაა, უზრუნველყოფილი იქნეს პროცედურების გამჭვირვალობა და ყველა გადაწყვეტილების დასაბუთება. ამასთან დაკავშირებით ანგარიში მიუთითებს ევროპულ სტანდარტებზე, რომელთა თანახმადაც პროკურორების კარიერასთან დაკავშირებული საკითხები, მათი დაწინაურებისა და გადაყვანის წესი უნდა იყოს წინასწარ დადგენილი და ისეთ ობიექტურ კრიტერიუმებზე დამყარებული, როგორებიცაა კომპეტენტურობა და გამოცდილება, და მიმდინარეობდეს პროცედურით, რომელიც გამორიცხავს დისკრიმინაციას და ითვალისწინებს გადაწყვეტილების გადასინჯვის მიუკერძოებლობას. დასკვნის სახით, ანგარიში ხაზს უსვამს, რომ პროცედურები, რომლებიც მიმდინარე რეფორმის ფარგლებში იქნება მიღებული, ხელს შეუწყობს პროკურატურის სისტემის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გაძლიერებას ისევე, როგორც ამ ინსტიტუციის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას. ამასთან დაკავშირებით ანგარიშში გამოთქმულია ინტერესი, რომ გრეკოს ექსპერტების ვიზიტის შემდეგ მათთვის ცნობილი გახდა, რომ იგეგმება პროკურორების შერჩევისა და დაწინაურების პროცედურების მოწესრიგება შესაბამისი კრიტერიუმების უფრო დეტალურად ჩამოყალიბების გზით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გრეკოს რეკომენდაცია: 1. უფრო დეტალურად მოწესრიგდეს პროკურორების შერჩევისა და დაწინაურების საკითხები იმისათვის, რათა უზრუნველყოფილი იქნეს, რომ გადაწყვეტილებები დაფუძნდება ნათელ და ობიექტურ კრიტერიუმებს, კერძოდ, დამსახურებას; 2. დადგინდეს გამჭვირვალე პროცედურა, მათ შორის, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების საჯაროდ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, და ამ პროცედურით მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების დასაბუთება.³

3 გთხოვთ, დეტალურად აღწერეთ, როგორ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან პროკურორი და ზემდგომი პროკურორი, მოსამართლე და მოსამართლის თანაშემწე მათი სტატუსის, უფლებამოსილების ვადისა და სხვა თვალსაზრისით.

საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის თანახმად (მიღებულია 25/08/1995 N786, კონსოლიდირებული ვერსია 23/03/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) გენერალური პროკურორის უფლებამოსილების ვადა ფიქსირებულია და შეადგენს 6 წელს. “პროკურატურის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად (მიღებულია 21/10/2008 N382, კონსოლიდირებული ვერსია 05/09/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) გენერალური პროკურორი არ შეიძლება, ზედიზედ ორჯერ იქნეს არჩეული აღნიშნულ თანამდებობაზე. გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის, მოადგილისა და ქვემდგომი პროკურორებისათვის კანონი არ განსაზღვრავს უფლებამოსილების ფიქსირებულ ვადას. გენერალური პროკურორის მოადგილეები და სხვა პროკურორები თანამდებობაზე ინიშნებიან გენერალური პროკურორის გადაწყვეტილებით. აღნიშნული პროკურორები თანამდებობაზე ინიშნებიან განუსაზღვრელი ვადით, თუმცა, ისინი შეიძლება, გათავისუფლებულ იქნენ გენერალური პროკურორის გადაწყვეტილებით კითხვარის მეორე საკითხში აღწერილი პროცედურის შესაბამისად.

3. კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) საქართველოს შესახებ შეფასების მეოთხე რაუნდის ანგარიში, კორუფციის პრევენცია პარლამენტის წევრების, მოსამართლეების და პროკურორების შემთხვევაში, მიღებულია 2016 წლის 2 დეკემბერს, გამოქვეყნებულია: <https://rm.coe.int/16806dc116> პარა. 155 (ხელმისაწვდომია მხოლოდ ინგლისურ ენაზე).

პროკურატურის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს (ავტონომიური რესპუბლიკის, რაიონული და საოლქო, თბილისის პროკურატურა) ჰყავთ მოადგილეები, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გენერალური პროკურორი. პროკურატურის სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული ყველა ქვემდგომი პროკურორი ასევე ინიშნება და თავისუფლდება თანამდებობიდან გენერალური პროკურორის გადაწყვეტილებით.

“პროკურატურის შესახებ” საქართველოს კანონი ადგენს ქვემდგომი პროკურორების დაქვემდებარების სისტემას ზემდგომი პროკურორებისადმი. სუბორდინაციის პრინციპი მოიცავს შემდეგ წესებს:

- ქვემდგომი პროკურორი ვალდებულია, შეასრულოს ზემდგომი პროკურორის მითითებები;
- ქვემდგომი პროკურორი ანგარიშვალდებულია ზემდგომი პროკურორის მიმართ;
- ზემდგომი პროკურორი უფლებამოსილია, გააუქმოს ან შეცვალოს ქვემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება;
- ზემდგომი პროკურორი უფლებამოსილია, განიხილოს საჩივრები ქვემდგომი პროკურორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

ამასთან, გენერალური პროკურორი უფლებამოსილია, დაადგინოს სუბორდინაციის სხვა ფორმები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციასა და კანონს. ქვემდგომი პროკურორი ვალდებულია, შეასრულოს ზემდგომი პროკურორის ნებისმიერი კანონიერი მოთხოვნა ან მითითება.

საქართველოს კონსტიტუციის 63.3 მუხლი და “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლი (მიღებულია 04/12/2009 N2257, კონსოლიდირებული ვერსია 31/10/2018 გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) უზრუნველყოფს მოსამართლის დანიშვნას უვადოდ (კანონით განსაზღვრული ასაკის მიღწევამდე). ამავე მუხლის თანახმად პირველი და სააპელაციო ინსტანციის მოსამართლეების პირველად დანიშვნის შემთხვევაში გამოიყენება 3 წლიანი გამოსაცდელი ვადა. აღნიშნული დანაწესი ვრცელდება მათზე, ვისაც არ აქვს მოსამართლედ მუშაობის სულ მცირე 3 წლის გამოცდილება.

კანონი არ განსაზღვრავს უფლებამოსილების ფიქსირებულ ვადას მოსამართლის თანაშემწისათვის. მოსამართლის თანაშემწის დანიშვნისა და გათავისუფლების წესი რეგულირდება საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონით (მიღებულია 27/10/2015 N4346 სს, კონსოლიდირებული ვერსია 05/09/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge), რომელიც განსაზღვრავს ზოგად გარანტიებს საჯარო მოხელეებისთვის. საჯარო მოხელის გათავისუფლების საფუძვლებია: უხეში დისციპლინური დარღვევა, საჯარო მოხელეების ქცევის პერიოდულ შეფასებაში უარყოფითი შეფასების მიღება, კანონით დადგენილი უფლებამოსილების შეწყვეტის სხვა ზოგადი საფუძვლები. იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის თანაშემწისა და მდივნის რაოდენობის განსაზღვრის შესახებ თითოეული სასამართლოსთვის. მოსამართლის თანაშემწისა თუ მდივნის დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარე.

4 როგორ არის მოწესრიგებული ბუნებრივი მოსამართლის პრინციპი საქართველოს კანონმდებლობაში და როგორია მისი გამოყენების პრაქტიკა?

სასამართლოში საქმეთა განაწილების რეგულირება არის პრინციპი *Ius De Non Evocando*-ის ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს, რომ არავინ შეიძლება, ჩაერიოს საქმის წარმოების პროცესში იმ მიზნით, რომ მიიღოს მისთვის სასურველი შედეგი; არც გარედან ჩარევის გზით – სპეციალური სასამართლოს შექმნით,

და არც შიდა ჩარევის გზით – შიდა ადმინისტრაციული მექანიზმების გამოყენებით, იმ მიზნით, რომ დაუმეგობრდეს ან მოისყიდოს საქმის განხილველი მოსამართლე ან იმისთვის, რომ საქმე ჩამოართვას მოსამართლეს, გადასცეს ის სხვა ნაკლებად გამოცდილ მოსამართლეს. ამიტომ, პრინციპი *Ius De Non Evocando* აღიარებული პრინციპია მართლმსაჯულების ნებისმიერ სისტემაში, მიუხედავად იმისა, რამდენად განსხვავებულია მათი მოწყობა.⁴

ბუნებრივი მოსამართლის პრინციპი არის *Ius De Non Evocando*-ის ნაწილი მოსამართლეთა შეუცვლელობის პრინციპთან ერთად. ეს ორ რამეს ნიშნავს: საქმეთა განაწილება სასამართლოს შიგნით უნდა იყოს ორგანიზებული შემთხვევითობის პრინციპით ან ძალიან კარგად დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად ისე, რომ შეუძლებელი იყოს იმის განჭვრეტა, თუ რომელ მოსამართლეს დაეწერება კონკრეტული საქმე. ეს პრინციპი ასევე იმასაც გულისხმობს, რომ, თუ საქმე დაეწერა მოსამართლეს, მისი ჩამოშორება ამ საქმის განხილვისაგან და საქმის გადაცემა სხვა მოსამართლისათვის დაუშვებელია.⁵

სასამართლოში საქმეთა განაწილების წესი უნდა შეესაბამებოდეს ევროპული კონვენციის მე-6.1 მუხლის მოთხოვნებს, კერძოდ, მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნებს.⁶ მართალია, ევროპული სასამართლო, ისევე, როგორც გაერო⁷, მიიჩნევს, რომ საქმეთა განაწილება სასამართლოს შიდა ადმინისტრირების საკითხია, თუმცა, ევროპული სტანდარტები და ბუნებრივი მოსამართლის პრინციპი მოითხოვს, რომ საქმის განაწილების რეგულირება იყოს ობიექტური და შემთხვევითი.

საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების მომწესრიგებელი წესი 2017 წლის 31 დეკემბერს იქნა მიღებული⁸ და გავრცელდა პირველი და სააპელაციო ინსტანციის ყველა სასამართლოში. კანონმა მოაწესრიგა საქმეთა განაწილების სისტემა სასამართლოს შიგნით ინდივიდუალურ მოსამართლეზე.⁹ აღნიშნული კანონი არ ითვალისწინებდა საქმეთა განაწილებას შემთხვევითობის პრინციპით. სასამართლოს თავმჯდომარე ადგენდა შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეთა ანბანურ სიას და შემოსული საქმეები ნაწილდებოდა მოსამართლეებზე ამ სიის მიხედვით. ამ წესის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლესთან ბევრი საქმე დაგროვდებოდა განსახილველად ან თუ ნებისმიერი სხვა მიზეზით მოსამართლეს არ შეეძლო, განეხილა საქმე, სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე ან კოლეგიისა თუ პალატის თავმჯდომარე წყვეტდა საქმის ხელახლა განაწილების საკითხს.¹⁰ საქმის განაწილების ამ ზოგადი წესის გარდა, “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 30(5)-ე მუხლი დისკრეციას ანიჭებდა სასამართლოების თავმჯდომარეებს, საქმის

4. მარკო ფაბრი და ფილიპ მ. ლენბრუკი, სასამართლოებს შორის და სასამართლოებში საქმეთა განაწილება ევროპის ექვს სასამართლო ადმინისტრაციასა და კვებეკში: შედარებითი ანალიზი. გვ. 10, პარა. 2.1.1. ხელმისაწვდომია მხოლოდ ინგლისურ ენაზე http://www.irsig.cnr.it/joomla/images/stories/file/chapter_2004_fabri_case_assignment.pdf

5. მარკო ფაბრი და ფილიპ მ. ლენბრუკი, სასამართლოებს შორის და სასამართლოებში საქმეთა განაწილება ევროპის ექვს სასამართლო ადმინისტრაციასა და კვებეკში: შედარებითი ანალიზი. გვ. 10, პარა. 2.1.2. ხელმისაწვდომია მხოლოდ ინგლისურ ენაზე http://www.irsig.cnr.it/joomla/images/stories/file/chapter_2004_fabri_case_assignment.pdf

6. Bochan v. Ukraine, N. 7577/02, 03/08/2007, para.: 71.

7. გაეროს ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ, 1985, პარა. 14. დოკუმენტი ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi14.pdf>

8. “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-3.2 მუხლი, რომელიც მიღებულ იქნა 2017 წლის 8 თებერვალს, აუქმებს საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების შესახებ საქართველოს კანონს 2017 წლის 31 დეკემბრიდან.

9. “საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების შესახებ” საქართველოს 1998 წლის კანონის მე-4 და მე-5 მუხლები.

10. “საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების შესახებ” საქართველოს 1998 წლის კანონის მე-6 მუხლი.

განაწილების წესის გვერდის ავლით კონკრეტული მოსამართლისათვის დაეწერა საქმე ან ცვლილება განხორციელებინა საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობაში ზოგადი საფუძვლით და კონკრეტული დასაბუთების გარეშე, რათა თავიდან აეცილებინა დაბრკოლებები მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.

2017 წლის თებერვალში საქმეთა განაწილების კანონი გაუქმდა (ამოქმედდა 2017 წლის დეკემბრიდან) და საქმეთა განაწილების შემთხვევითი და ელექტრონული წესი იქნა შემოღებული “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 58¹ –ე მუხლით (მიღებულია 04/12/2009 N2257, კონსოლიდირებული ვერსია 31/10/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge). საქმეთა შემთხვევითი განაწილების სისტემა საქართველოს სასამართლოებში სრულად ამოქმედდა 2018 წლის იანვრიდან. თუმცა, სასამართლოს თავმჯდომარის დისკრეცია, საქმის განაწილების წესის გვერდის ავლით განსაზღვროს საქმის განმხილველი მოსამართლე (“საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 30(5)–ე მუხლი) ძალაში რჩება.

საქმის განაწილების ახალ წესზე დაყრდნობით იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა საქმის ელექტრონული განაწილების დეტალური რეგულაციები (მიღებულია 01/05/2017 N1/56, კონსოლიდირებული ვერსია გამოქვეყნებულია <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/56.pdf>). სხვა საკითხებთან ერთად აღნიშნული წესი არეგულირებს იმ საგამონაკლისო შემთხვევებს, როცა საქმეთა შემთხვევითი განაწილების პრინციპი არ მოქმედებს. ამასთან, საერთო სასამართლოებში საქმეები მოსამართლეებს შორის ნაწილდება მათი სპეციალიზაციის მიხედვით. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში, სადაც სასამართლო კოლეგიები შექმნილი ან სადაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განსაზღვრულია მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია, საქმეები შესაბამისად ნაწილდება კოლეგიების ან ვიწრო სპეციალიზაციების მიხედვით. იმ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში, სადაც ასეთი კოლეგიები არ არის შექმნილი, საქმეები ნაწილდება მოსამართლეებს შორის მათი სპეციალიზაციის მიხედვით.

მოსამართლეთა სპეციალიზაციის გადაჭარბებული გამოყენება, ასევე სააპელაციო სასამართლოების პალატებში სამი მოსამართლის შემადგენლობაში მოსამართლეთა განაწილება, შეიძლება, დამაზიანებელი იყოს საქმეთა შემთხვევითი პრინციპით განაწილებისა და ბუნებრივი მოსამართლის პრინციპის დაცვისთვის.

“საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი განსაზღვრავს მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის წესს სასამართლო კოლეგიებისა და პალატების შიგნით.¹¹ მართალია, ზოგადად მოსამართლეთა სპეციალიზაცია არ არის მიუღებელი, თუმცა, ის არ მიიჩნევა აუცილებელ მექანიზმად სასამართლოს ადმინისტრირებისთვის და მისი გამოყენება მხოლოდ მაშინ არის რეკომენდებული, როცა საამისოდ სათანადო წინაპირობები არსებობს (მაგალითად, კანონში შეტანილი ცვლილებების იმპლემენტაციის ხელშეწყობა, მოსამართლეს სჭირდება მეცნიერების ამა თუ იმ დარგში სპეციალური ცოდნა და სხვა).¹² ამავე რეკომენდაციის თანახმად არსებობს გარემოებები, როცა მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია დამაზიანებელიც შეიძლება იყოს სასამართლო სისტემისთვის; მაგალითად, მოსამართლეთა სპეციალიზაცია პატარა სასამართლოებში. მცირე ზომის სასამართლოები, სადაც შეუძლებელია სპეციალიზებული კოლეგიების შექმნა, აიძულებს მოსამართლეებს, რომ განიხილონ განსხვავებული შინაარსის საქმეები. მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციას კი შეუძლია, ზიანი მიაყენოს

11. “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 30.2-ე მუხლი.

12. ევროპულ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა (2012) No.15, პარა.: 8 და 12 <https://rm.coe.int/1680747d9>

მოსამართლის ამ უნარს, განიხილოს მრავალფეროვანი საქმეები.¹³

“საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 23.2-ე მუხლი სააპელაციო სასამართლოებში ქმნის ოთხ დარგობრივ პალატას. ამავე კანონის 23.3-ე მუხლის თანახმად პალატებში მოსამართლეთა რაოდენობასა და პალატების შემადგენლობას განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ამავე კანონის თანახმად სააპელაციო სასამართლოებში სამოქალაქო საქმეები განიხილება სამი მოსამართლის შემადგენლობით. ამასთან, სააპელაციო სასამართლოებში საქმეები ნაწილდება ინდივიდუალურ მოსამართლეებზე და არა – შესაბამის პანელებზე. თუმცა, კანონი არ არეგულირებს სამი მოსამართლისაგან შემდგარი სასამართლო შემადგენლობის შექმნის ან მოსამართლეთა შემადგენლობაში ცვლილების შეტანის საკითხს.

ამიტომ, საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ ნაწილდება საქმეები კონკრეტულ სასამართლო შემადგენლობაზე ან როგორ ხდება მოსამართლეთა შემადგენლობის ცვლილება, კანონსა და პრაქტიკაშიც ბუნდოვანია. სამი მოსამართლის შემადგენლობაზე საქმის განაწილება ან სასამართლო შემადგენლობაში ერთი ან ყველა მოსამართლის ცვლილება შეუსაბამოა ობიექტურობის მოთხოვნასთან და ეჭვქვეშ აყენებს სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.

5

რამდენი და რა სახის სპეციალიზებული მოსამართლისა და პროკურორის თანამდებობა არსებობს?

“საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 30-ე და 49-ე მუხლების თანახმად (მიღებულია 04/12/2009 N2257, კონსოლიდირებული ვერსია 31/10/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციას პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებში განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

ორგანული კანონით სპეციალიზებული მოსამართლის განსაზღვრის ორი გზა არსებობს: 1. სპეციალიზებული კოლეგიებისა და პალატების შექმნით პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებში და ამ კოლეგიებსა და პალატებში გასანაწილებელი მოსამართლეების რაოდენობის განსაზღვრით; 2. სპეციალიზებული კოლეგიებისა და პალატების შიგნით სპეციალიზაციის უფრო ვიწრო სფეროების დადგენით და ამ სპეციალიზაციის საქმეების განმხილველი მოსამართლის განსაზღვრით.

1. “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის თანახმად პირველი ინსტანციის სასამართლოებში, სადაც 2 მოსამართლე ახორციელებს ფუნქციებს, ერთი მოსამართლე განიხილავს სისხლის სამართლის, ხოლო მეორე – სამოქალაქო და სხვა კატეგორიის საქმეებს. პირველი ინსტანციის სასამართლოებში, სადაც ბევრი საქმე განიხილება და სადაც ორზე მეტი მოსამართლე ახორციელებს უფლებამოსილებას, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება, განისაზღვროს მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია ან შეიძლება, შეიქმნას სპეციალიზებული სასამართლო კოლეგია. პირველი ინსტანციის სასამართლოებში სპეციალიზებული მოსამართლეების რაოდენობა და

13. ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა (2012) No. 15, პარა.: 17. <https://rm.coe.int/16807477d9>

მათი ვინაობა განისაზღვრება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ. კოლეგიის თავმჯდომარე ინიშნება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით 5 წლის ვადით ამავე კოლეგიის მოსამართლეებისაგან. პირველი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია, მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით მოსამართლეს დაავალოს საქმის განხილვა სხვა სპეციალიზებულ კოლეგიაში, ან მაგისტრატ მოსამართლეს დაავალოს საქმის განხილვა თავისი სამოქმედო ტერიტორიის მიღმა.

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის თანახმად იუსტიციის უმაღლესი საბჭო განსაზღვრავს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობას. კანონით სააპელაციო სასამართლოში შექმნილია შემდეგი სპეციალიზებული პალატები: სამოქალაქო საქმეთა პალატა, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა და საგამოძიებო კოლეგია. ამასთან, კანონი ადგენს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, სააპელაციო სასამართლოში შეიძლება, განისაზღვროს მოსამართლეთა უფრო ვიწრო სპეციალიზაცია. იუსტიციის უმაღლესი საბჭო ინიშნავს სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს, პალატებისა და კოლეგიების თავმჯდომარეებსა და მათ მოადგილეებს 5 წლის ვადით. პირველი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარის მსგავსად, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია, მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად მოსამართლეს დააკისროს საქმის განხილვა სხვა პალატასა ან კოლეგიაში.

➤ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით (მიღებულია 30/04/2018 N1/175, გამოქვეყნებულია <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/175-2018.pdf>) თბილისის სააპელაციო სასამართლოში განსაზღვრულია მოსამართლეების სპეციალიზაცია შემდეგი კატეგორიის საქმეებზე:

A კატეგორია – საკუთრებასთან დაკავშირებული დავები, საოჯახო და სამემკვიდრეო დავები;

B კატეგორია – ვალდებულებითი სამართლის დავები;

C კატეგორია – კომერციული სამართალი, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 500 000 ლარს (164 000 ევრო)¹⁴; გამარტივებული წარმოების საქმეები, შრომითი დავები, გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული დავები, ინტელექტუალური საკუთრების დავები;

D კატეგორია – საარბიტრაჟო დავები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში განსაზღვრულია მოსამართლეთა შემდეგი სპეციალიზაცია:

A კატეგორია – ადმინისტრაციული აქტის კანონიერებასთან დაკავშირებული დავები, რეალ-აქტის კანონიერებასთან დაკავშირებული დავები, სამშენებლო სამართლიდან გამომდინარე საკითხები, სოციალური დაცვის საკითხები, საარჩევნო დავები;

B კატეგორია – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურების დავები, საგადასახადო დავები, შრომითი დავები, ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, სახელმწიფო ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებული დავები, მიწის სამართალი, საარჩევნო დავები;

C კატეგორია – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში განსაზღვრულია

14. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გაცვლითი კურსი 2018 წლის ნოემბრისთვის.

მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია A, B და C კატეგორიებად, რომლებშიც, თავის მხრივ, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სხვადასხვა დანაშაულებია გაერთიანებული. ასეთი კატეგორიებია: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, ეკონომიკური დანაშაულები, დანაშაულები უსაფრთხოებისა და წესრიგის წინააღმდეგ, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება (მიღებულია 24/07/2017 N1/233, გამოქვეყნებულია <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/233-2017.pdf>) განსაზღვრავს მოსამართლეთა სპეციალიზაციას თბილისის საქალაქო სასამართლოში:

- არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები, ნაფიცი მსაჯულების განსახილველი საქმეები, საპროცესო შეთანხმებებზე სასამართლო კონტროლი;
- სიცოცხლის წინააღმდეგ დანაშაულები, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ დანაშაულები, ეკონომიკური დანაშაულები, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ნარკოტიკული დანაშაულები, ტერორიზმი, სამოხელეო დანაშაულები;
- ჯანმრთელობის წინააღმდეგ დანაშაულები, ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნა, დანაშაულები საბანკო სექტორში, საფინანსო დანაშაულები, შრომის უსაფრთხოების ხელყოფა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და მორალის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, სატრანსპორტო დანაშაულები, სახელმწიფოს კონსტიტუციური მოწყობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, სამოხელეო დანაშაულები, ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევა;
- პირის სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, საკუთრების წინააღმდეგ დანაშაული, კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, კიბერდანაშაული, სამოხელეო დანაშაული, გარემოსა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებული დანაშაულები, სამხედრო დანაშაულები, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები;
- საგამოძიებო ეტაპი – პირველი წარდგენის სხდომები, გამოძიების ეტაპზე მოწმის დაკითხვა, საგამოძიებო მოქმედებებზე სასამართლო კონტროლის სხვა საკითხები;
- წინასასამართლო სხდომები.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება ადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის დავებში უფრო ვიწრო კატეგორიზაციას (მიღებულია 03/10/2006 N1/92-2016 გამოქვეყნებულია <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202016/92-2016.pdf>).

“პროკურატურის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად (მიღებულია 21/10/2008 N382, კონსოლიდირებული ვერსია 05/09/2018, გამოქვეყნებულია www.matsme.gov.ge) დროებით შეიძლება, შეიქმნას პროკურატურის სპეციალიზებული დანაყოფი. იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად (11/09/2018 N8153) 2015–2018 წლებში პროკურატურის სპეციალიზებული დანაყოფი არ შექმნილა.

საქართველოს მთავარი პროკურორის პერიოდული ანგარიში (2018 წლის ნოემბრამდე პროკურატურას ხელმძღვანელობდა მთავარი პროკურორი) 2018 წლის თებერვლის მდგომარეობით აღნიშნავს, რომ 2017 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე ორი კურსი ჩატარდა პროკურორებისთვის,

გამომძიებლებისა და პროკურატურის მენეჯერებისთვის ევროკავშირის, იუნისეფისა და აშშ საელჩოს დახმარებით. ანგარიშში არ არის მითითებული რაოდენობრივი ან ხარისხობრივი მონაცემები სპეციალიზებული პროკურორების შესახებ. ასევე, აღნიშნულია, რომ არასრულწლოვანთა საკითხებზე მედიაციისა და განრიდების მიმართულებით 6 მულტიდისციპლინური სამუშაო ჯგუფის შეხვედრა ჩატარდა 72 სპეციალიზებული პროკურორის მონაწილეობით.

6 ადამიანური რესურსები:

ა) აღწერეთ მართლმსაჯულების სისტემაში კანდიდატების დანიშვნისა და დაწინაურების მეთოდები და კრიტერიუმები. როგორ შეირჩევიან მოსამართლეები და პროკურორები (კონკურენტული და საჯარო გამოცდა, კანდიდატებთან გასაუბრებები, ბიოგრაფიების შედარება და ა.შ.)?

საქართველოს კონსტიტუციის 63.3-ე მუხლის თანახმად (მიღებულია 25/08/1995 N786, კონსოლიდირებული ვერსია 23/03/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge), მოსამართლეს წაეყენება შემდეგი მინიმალური მოთხოვნები: უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, სულ მცირე 30 წლის ასაკის და უნდა ჰქონდეს სულ მცირე 5 წლიანი პროფესიული მუშაობის გამოცდილება. კონსტიტუცია ადგენს, რომ დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონით. საერთო სასამართლოს მოსამართლე თანამდებობაზე ინიშნება უვადოდ, კანონით განსაზღვრული საპენსიო ასაკის მიღწევამდე. პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეები ინიშნებიან 3 წლის გამოსაცდელი ვადით, გარდა იმ კანდიდატებისა, ვისზეც არ ვრცელდება 3 წლით გამოსაცდელი ვადით დანიშვნის წესი.

კონსტიტუცია ადგენს მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის ორ ძირითად კრიტერიუმს: კომპეტენტურობა და კეთილსინდისიერება.

განახლებული კონსტიტუციის 61-ე მუხლი (მიღებულია 25/08/1995 N786, კონსოლიდირებული ვერსია 23/03/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge), რომელიც ძალაში შევიდა ახლადარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან, 2018 წლის დეკემბერში, ადგენს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო უნდა შედგებოდეს 28 მოსამართლისაგან. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები აირჩევიან უვადოდ, საპენსიო ასაკის მიღწევამდე, პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით. კონსტიტუციის 63.6-ე მუხლი ადგენს, რომ მოსამართლეები შეირჩევიან კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების ნიშნით. “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს კანონის 34.4-ე მუხლი (მიღებულია 04/12/2009 N2257, კონსოლიდირებული ვერსია 31/10/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) ადგენს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის პოზიციაზე წარადგინოს პირი, რომელსაც არ აქვს ჩაბარებული მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა და, რომელიც სამუშაო გამოცდილებით შეესაბამება უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მაღალ სტატუსს. ამავე კანონის 34.3-ე მუხლის თანახმად იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლის მოთხოვნა არ ვრცელდება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებზე. კანონის 35-ე მუხლით დადგენილი მოსამართლეთა შერჩევის წესები (ღია კონკურსი, კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მოძიება, კანდიდატებთან ინტერვიუს ჩატარება, შეფასების ქულათა სისტემა და სხვა პროცედურები) არ ვრცელდება უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ დასანიშნი პირის შერჩევაზე.

პირველი და სააპელაციო ინსტანციის მოსამართლეები თანამდებობაზე ინიშნებიან იუსტიციის უმაღლესი

საბჭოს გადაწყვეტილებით. კონსტიტუციის 63.6-ე მუხლი ადგენს, რომ საერთო სასამართლოების მოსამართლეები თანამდებობაზე ინიშნებიან უვადოდ, საპენსიო ასაკის მიღწევამდე. საერთო სასამართლოების მოსამართლეები შერჩეული უნდა იქნენ კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით. გადაწყვეტილება პირველი და სააპელაციო ინსტანციის მოსამართლეების დანიშვნის შესახებ მიღებულ უნდა იქნეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა 2/3-ის გადაწყვეტილებით. მოსამართლეთა დანიშვნისა და გათავისუფლების პროცედურა განისაზღვრება ორგანული კანონით.

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის 35-ე მუხლის თანახმად იუსტიციის უმაღლესი საბჭო პირველი და სააპელაციო ინსტანციის მოსამართლეთა შესარჩევად აცხადებს ღია კონკურსს ქვემოთ აღწერილი პროცედურების მიხედვით.

ორგანული კანონი ადგენს კანდიდატების შეფასების შემდეგ კრიტერიუმებს:

- კომპეტენტურობა – სამართლის ნორმების ცოდნა, სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია, წერისა და ზეპირი მეტყველების უნარები, პროფესიული მახასიათებლები, აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა, პროფესიული აქტივობები;
- კეთილსინდისიერება – პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, პირადი და პროფესიული ქცევა, პირადი და პროფესიული რეპუტაცია.

გემოაღნიშნულ კრიტერიუმებთან ერთად, კანონი უფრო დეტალურად განსაზღვრავს მახასიათებლებს, რომლებიც გამოიყენება სხენებული კრიტერიუმებით კანდიდატების შეფასებისთვის. მაგალითად, იმისთვის, რომ დადგინდეს, აკმაყოფილებს თუ არა კანდიდატი „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის“ კრიტერიუმს, შემდეგი მახასიათებლების არსებობა უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული: პატიოსნება, კეთილსინდისიერება, პასუხისმგებლობების სათანადო აღქმა, გამჭვირვალობა, სხვადასხვა მოვალეობის შესრულების კორექტულობა და სიზუსტე (სამსახურებრივი, ფინანსური და სხვა) და ა.შ. მსგავსი მახასიათებლები არის დადგენილი თითოეული კრიტერიუმით კანდიდატის შეფასებისთვის.

კომპეტენტურობის კრიტერიუმთან კანდიდატის შესაბამისობა შეფასდება ქულათა სისტემით შემდეგნაირად: სამართლებრივი ნორმების ცოდნა – 25 ქულა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია – 25 ქულა; წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარი – 20 ქულა; პროფესიული მახასიათებლები – 15 ქულა; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა – 10 ქულა; პროფესიული აქტივობები – 5 ქულა.

რაც შეეხება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატის შეფასებას, ის არ ეფუძნება ქულათა სისტემას და კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასების შედეგად იუსტიციის უმაღლესი საბჭო მიიღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს; კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს; კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის მეხუთე თავი ადგენს პირველი და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა დანიშვნის ოთხ გზას: მოსამართლეთა პირველად დანიშვნა გამოსაცდელი ვადით (კონკურსის წესი); გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების უვადოდ დანიშვნა; იმ მოსამართლეების უვადოდ დანიშვნა, ვისზეც არ ვრცელდება გამოსაცდელი ვადით დანიშვნის წესი; მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის გარდამავალი წესი. კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით მოსამართლეთა შერჩევის მოთხოვნა ვრცელდება მოსამართლეთა დანიშვნის ოთხივე ფორმის შემთხვევაში. შერჩევის ოთხივე წესისთვის დადგენილია განსხვავებული პროცედურები.

ორგანული კანონის 34-ე მუხლის თანახმად გამოსაცდელი ვადით მოსამართლის თანამდებობაზე პირველად დანიშნვის კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელიც აკმაყოფილებს კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა, დაასრულა იუსტიციის უმაღლესი სკოლის 10 თვიანი სასწავლო კურსი, არ აქვს მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება ან აქვს მოსამართლედ მუშაობის 3 წელზე ნაკლები გამოცდილება და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართავს განაცხადით კონკურსში მონაწილეობის შესახებ.

კონკურსის პროცედურა დადგენილია “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონით და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ (მიღებულია 09/10/2009 N1/308, გამოქვეყნებულია <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/308.pdf>). კონკურსის წესით მოსამართლეთა შერჩევის პროცედურა შემდეგია:

- იუსტიციის უმაღლესი საბჭო აცხადებს მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსს საჯარო განცხადების გამოქვეყნებით. კონკურსში განაცხადების შეტანის ვადა არ უნდა იყოს 15 კალენდარულ დღეზე ნაკლები;
- განაცხადების მიღების ვადის გასვლიდან 5 დღის ვადაში იუსტიციის უმაღლესი საბჭო განიხილავს შეტანილ განაცხადებს და ადგენს კონკურსში მონაწილე კანდიდატების სიას. ყველა, ვინც აკმაყოფილებს დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, დაიშვება კონკურსზე. აღნიშნულ 5 დღიან ვადაში იუსტიციის უმაღლესი საბჭო აქვეყნებს კანდიდატების მოკლე ბიოგრაფიულ მონაცემებს. კანდიდატების მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები შეიცავს ინფორმაციას კანდიდატის განათლების, სამუშაო გამოცდილების, პროფესიული და აკადემიური მიღწევების შესახებ. კანდიდატების მოკლე ბიოგრაფიული მონაცემების გამოქვეყნებიდან 14 დღის ვადაში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიაწოდოს ინფორმაცია კონკურსში მონაწილე კანდიდატის შესახებ;
- კონკურსის პირველი ეტაპი მოიცავს ინფორმაციის მოძიებას კანდიდატის კანონით დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დეპარტამენტს ევალება, მოიძიოს ინფორმაცია კანდიდატების შესახებ შემდეგი წყაროებიდან: შინაგან საქმეთა სამინისტროდან – ბოლო 3 წლის განმავლობაში კანდიდატის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ; ფინანსთა სამინისტროდან – ინფორმაცია კანდიდატის საგადასახადო ვალდებულებების შესახებ; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურიდან – კანდიდატის წინააღმდეგ წარმოებული დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ; კანდიდატის კომპეტენტურობის და ანგარიშვალდებულების შესახებ სულ მცირე ორი სარეკომენდაციო წერილი; ინფორმაცია სასამართლოებიდან კანდიდატის მიერ განხილული საქმეების რაოდენობის, კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობისა და გადაწყვეტილებათა სტაბილურობის შესახებ, თუ კანდიდატი ყოფილი მოსამართლეა. დამატებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტი ვალდებულია, მოიძიოს კანდიდატის შესახებ შემდეგი ინფორმაცია: მედიით გავრცელებული ინფორმაცია, კანდიდატის ქონებრივი დეკლარაცია, ინფორმაცია კანდიდატის ბიზნეს საქმიანობის შესახებ, სამართლებრივ პროცედურებში კანდიდატის მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია და სასამართლო სხდომების ვიდეო ოქმები, თუ კანდიდატი ყოფილი მოსამართლეა.

შესაბამისი დეპარტამენტი მოძიებულ ინფორმაციას გადასცემს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს შემდგომი განხილვისთვის.

კანდიდატებთან გასაუბრების ეტაპის დაწყებამდე სულ მცირე 10 დღის განმავლობაში კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია მისთვის და შეუძლია, გაეცნოს დეპარტამენტის მიერ მასზე მოძიებულ ინფორმაციას; ასევე, კანდიდატი უფლებამოსილია,

იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს თავისი პასუხები მოძიებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით;

- ▶ კონკურსის მეორე ეტაპი არის კანდიდატებთან გასაუბრება. გასაუბრების ჩატარების მიზანია კანონით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან კანდიდატის შესაბამისობის დადგენა. ორგანული კანონი არ განსაზღვრავს გასაუბრების ჩატარების დეტალურ პროცედურას. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 1/308 გადაწყვეტილებით დამტკიცებული რეგულაციები ადგენს გასაუბრების შემდეგ წესებს: კანდიდატებთან გასაუბრება ტარდება საბჭოს დახურულ სხდომაზე. როგორც წესი, თითოეული ინტერვიუსთვის განისაზღვრება თანაბარი დრო. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები უფლებამოსილი არიან, კანდიდატებს დაუსვან მსგავსი შინაარსის წინასწარ მომზადებული კითხვები იმისთვის, რომ მიიღონ კანდიდატის პასუხები მისი უნარების, კვალიფიკაციისა და ცოდნის შესამოწმებლად. რეგულაციები უფლებამოსილებას ანიჭებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, ჩაატაროს კანდიდატებთან გასაუბრებები ფსიქოლოგის მონაწილეობით, რომელსაც შეუძლია, კითხვები დაუსვას კანდიდატს. ფსიქოლოგი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს გაუზიარებს თავის მოსაზრებებს კანდიდატის შესახებ და არ არის უფლებამოსილი, გაუზიაროს თავისი შეფასება კანდიდატს. ფსიქოლოგის მოსაზრებას კანდიდატის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის არ აქვს სავალდებულო ძალა;
- ▶ გასაუბრების ეტაპის დასრულებიდან 5 დღის ვადაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა თითოეული კანდიდატის შესახებ ინდივიდუალურად უნდა შეავსონ შეფასების ფორმა, სადაც უნდა აღნიშნონ კანდიდატისათვის კომპეტენტურობის კრიტერიუმში მინიჭებული ქულები და კეთილსინდისიერების კრიტერიუმში კანდიდატის შეფასება;
- ▶ შეფასების ფორმების შევსების შემდეგ ტარდება კენჭისყრის პროცედურა. კენჭისყრაზე დგება მხოლოდ იმ კანდიდატების საკითხი, რომელთაც შეფასების შედეგად დააკმაყოფილეს კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების მინიმალური მოთხოვნები;
- ▶ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, კენჭი არ უყაროს კანდიდატს, არ ექვემდებარება გასაჩივრებას;
- ▶ კენჭისყრა არის ფარული და გადაწყვეტილება მიიღება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა 2/3-ის უმრავლესობით;
- ▶ უარი კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ შეიძლება, გასაჩივრდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში.

აღნიშნული პროცედურა ვრცელდება იმ კანდიდატების მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნაზეც, რომლებსაც აქვთ მოსამართლედ მუშაობის სულ მცირე სამწლიანი გამოცდილება და რომლებზეც არ ვრცელდება გამოსაცდელი ვადით დანიშვნის მოთხოვნა. გარდა ზემოაღნიშნული პროცედურისა, აღნიშნული კანდიდატების შეფასება, ასევე, ხდება მათ მიერ მიღებული იმ გადაწყვეტილებების/განაჩენების შეფასების საფუძველზე, რომლებიც მათ სამოსამართლო საქმიანობის დროს მიიღეს.

მოსამართლის უვადოდ დანიშვნის გარდამავალი წესი ვრცელდება იმ მოსამართლეებზე, რომლებიც 3 წლით გამოსაცდელ ვადაში ახორციელებენ უფლებამოსილებას და რომლებზეც, კანონში შეტანილი ცვლილებით, აღარ ვრცელდება გამოსაცდელი ვადით დანიშვნის მოთხოვნა (2017 წლის 1 ივლისამდე გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეები). ამ პროცედურის მიხედვით, თუ მოსამართლე მიმართავს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გამოსაცდელი ვადის შეწყვეტისა და უვადოდ დანიშვნის მოთხოვნით, ის დაექვემდებარება კონკურსის წესისთვის დადგენილ შეფასების პროცედურას იმ განსხვავებით, რომ არ ჩატარდება ღია კონკურსის პროცედურები.

მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის პროცედურის ძირითადი ხარვეზები შემდეგია:

- მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმები არ აკმაყოფილებს ობიექტური კრიტერიუმების სტანდარტს;
- კანდიდატების შეფასებისა და მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის გადაწყვეტილება არ საჭიროებს დასაბუთებას. კანონი არ ავალდებულებს იუსტიციის საბჭოს, დაასაბუთოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები, მათ შორის – მოსამართლის დანიშვნის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები კანდიდატების შეფასებისა და შეფასების ფორმის შევსებისას არ არიან ვალდებული, დაასაბუთონ, თუ რატომ ჩათვალეს, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს დადგენილ კრიტერიუმებს, რა მტკიცებულებებსა და ინფორმაციის წყაროებზე დაყრდნობით შეაფასეს მათ კანდიდატის შესაბამისობა კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმებთან, ქულებით თუ ქულების გარეშე შეფასებისას;
- შეფასების ქულათა სისტემა მოქმედებს მხოლოდ კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას. ქულათა სისტემით შეფასების წესი არ ვრცელდება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატის შეფასებისთვის;
- შეფასების მიუხედავად, კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრის საფუძველზე;
- დასაბუთებისა და ობიექტური კრიტერიუმების არარსებობა არაეფექტურს ხდის მოსამართლის დანიშვნასთან დაკავშირებით საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმს.

მოსამართლეები, რომლებიც დანიშნული არიან 3 წლით გამოსაცდელი ვადით, გამოსაცდელ ვადაში ექვემდებარებიან ყოველწლიურად შეფასებას. აღნიშნულ შეფასებას ახორციელებენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების მიხედვით. საბჭოს ორი წევრი, ჯამში კი ექვსი წევრი, ახორციელებს გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების ყოველწლიურ შეფასებას. საბჭოს აღნიშნული წევრები მოსამართლის შეფასებას ახორციელებენ ინდივიდუალურად. თუ, გამოსადეგი ვადის დასრულებისთვის ექვსიდან სულ მცირე 4 შემფასებელი გადაწყვეტს, რომ მოსამართლე არ აკმაყოფილებს კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების მინიმალურ კრიტერიუმებს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გამოსცემს აქტს აღნიშნული მოსამართლის უვადოდ დანიშვნის საკითხის განხილვაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც შეიძლება, გასაჩივრდეს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 6 წევრის მიერ გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის შეფასების პროცედურა შემდეგია:

- შეფასება ხორციელდება კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით;
- ყოველწლიურად შეირჩევა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორი წევრი, რომლებიც შეაფასებენ გამოსაცდელ ვადაში მყოფი მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, უსწრებიან აღნიშნული მოსამართლის მიერ ჩატარებულ სასამართლო სხდომებს, გამოითხოვენ სხდომების ვიდეო-აუდიო ჩანაწერებს, მოიძიებენ ინფორმაციას ინფორმაციის მოძიებისთვის დადგენილი წესის მიხედვით; შეუძლიათ, სამართლებრივი კონსულტაციისთვის მიმართონ იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს და დაუსვან მათ კონკრეტული კითხვები. შემფასებელი იუსტიციის საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, დაუსვას შესაფასებელ მოსამართლეს

კითხვები, რომლებიც შესაძლოა, წარმოადგენდეს მისგან ანგარიშის მოთხოვნას კონკრეტულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გამო;

- ▶ გამოსაცდელ ვადაში მყოფი მოსამართლეების საქმიანობის შეფასება ხდება ქულათა სისტემის გამოყენებით;
- ▶ შეფასების პროცედურის დასრულების შემდეგ შემფასებლები ავსებენ შეფასების ფორმას. შესაფასებელ მოსამართლეს აქვს წვდომა თავის შეფასებასთან დაკავშირებულ მასალებზე;
- ▶ თუ ნ შემფასებლიდან 4 დაადგენს, რომ მოსამართლე არ შეესაბამება დადგენილ მინიმალურ კრიტერიუმებს, საბჭოს თავმჯდომარე გამოსცემს აქტს აღნიშნული მოსამართლის უვადოდ დანიშვნის საკითხის განხილვაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც შეიძლება, გასაჩივრდეს იუსტიციის საბჭოში;
- ▶ მოსამართლეებთან, რომლებმაც დააკმაყოფილეს მინიმალური კრიტერიუმები, ტარდება გასაუბრება;
- ▶ განსხვავებით მოსამართლის თანამდებობაზე პირველად დანიშვნის პროცედურისა, გადაწყვეტილება გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის უვადოდ დანიშვნის შესახებ მიიღება იუსტიციის საბჭოს წევრების ხმათა 2/3-ის უმრავლესობით, ღია კენჭისყრით;
- ▶ უარი მოსამართლის უვადოდ დანიშვნის შესახებ შეიძლება, გასაჩივრდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში.

მოსამართლეთა დაწინაურების საკითხი რეგულირდება “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 41-ე მუხლით. პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე შეიძლება, დანიშნულ იქნეს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ, თუ ის მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა სულ მცირე 5 წლის განმავლობაში. ორგანული კანონი ადგენს, რომ მოსამართლის დაწინაურების დეტალური პროცედურები განისაზღვრება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის თანახმად (მიღებულია 25/09/2007 N1/208, კონსოლიდირებული ვერსია გამოქვეყნებულია <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/2007-208.pdf>) საბჭო განსაზღვრავს სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის თანამდებობაზე ვაკანსიების რაოდენობას, რომლებიც შევსებული იქნება მოსამართლეთა დაწინაურების წესით. დაუშვებელია მოსამართლის დაწინაურება, რომელიც დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადაშია. დაწინაურების კრიტერიუმებს აკმაყოფილებს მოსამართლე, რომლის კომპეტენცია, პროფესიული გამოცდილება და მორალური რეპუტაცია შეესაბამება სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მაღალ სტატუსს. ამ კრიტერიუმების მიხედვით მოსამართლეები ფასდებიან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ. დაწინაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას საბჭოს წევრმა მხედველობაში უნდა მიიღოს შემდეგი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები: განხილულ საქმეთა რაოდენობა და სირთულე, დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების სტანდარტებთან შესაბამისობა, საქმის განხილვის წესებთან შესაბამისობა, გადაწყვეტილებების სტაბილურობა, სამუშაო დისციპლინა, კოლეგებს შორის მოსამართლის პიროვნული ავტორიტეტი, ახალგაზრდა პროფესიონალების სწავლებასა და გადამზადებაში მოსამართლის მონაწილეობა, სამართლებრივ დისკუსიებში კანდიდატის აქტიური მონაწილეობა, ორგანიზაციული უნარები, აკადემიური და სწავლების აქტივობები, ეთიკისა და პროფესიული სტანდარტების დაცვა, პროფესიული ზრდის ტენდენციები და სხვა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტი მიაწვდის იუსტიციის საბჭოს წევრებს მოსამართლის დაწინაურების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო სტატისტიკურ ინფორმაციას. იუსტიციის საბჭოს წევრები უფლებამოსილი არიან, პროაქტიულად და ინდივიდუალურად მოიძიონ ინფორმაცია დასაწინაურებელი მოსამართლის შესახებ.

დაწინაურების კანდიდატი მოსამართლე უფლებამოსილია, წარუდგინოს საბჭოს თვითშეფასების შესახებ წერილობითი ინფორმაცია და მოტივაცია, რათა დაწინაურებულ იქნეს სააპელაციო ინსტანციაში.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-13¹.18 მუხლის თანახმად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები მოსამართლის დაწინაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა მოქმედებდნენ მართლმსაჯულების ინტერესების შესაბამისად, უნდა იხელმძღვანელონ ობიექტურობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებით და გადაწყვეტილება მიიღონ იმ კანდიდატის სასარგებლოდ, რომელიც თავისი კვალიფიკაციითა და პიროვნული მახასიათებლებით ყველაზე მეტად შეესაბამება სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მაღალ სტატუსს, თავი აარიდონ დისკრიმინაციას და დაწინაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის დაწინაურების შესახებ წევრების ხმათა 2/3-ის უმრავლესობით.

მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი წესი განსაზღვრავს კრიტერიუმებს მოსამართლის დაწინაურებისთვის, აღნიშნული კრიტერიუმები არ შეესაბამება ობიექტური კრიტერიუმის სტანდარტს. რეგულაციები არ განსაზღვრავს, თუ რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით და ინფორმაციის რა წყაროების გამოყენებით უნდა მიიღოს საბჭომ დაწინაურების შესახებ გადაწყვეტილება. ამასთან, კანონმდებლობა არ ადგენს დაწინაურების შესახებ საბჭოს გადაწყვეტილების დასაბუთების მოთხოვნას.

“პროკურატურის შესახებ” საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად (მიღებულია 21/10/2008 N382, კონსოლიდირებული ვერსია 05/09/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge), პროკურორებისა და პროკურატურის სისტემის გამომძიებლებისათვის დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები: უმაღლესი იურიდიული განათლება, ფლობს სახელმწიფო ენას, გაიარა 6 თვიდან 1 წლამდე სტაჟირების პროგრამა პროკურატურის სისტემაში, ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა პროკურორებისთვის შემდეგ დისციპლინებში: კონსტიტუციური სამართალი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, სასჯელალსრულების სამართალი, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა კანონმდებლობა; თავისი პროფესიული და მორალური მახასიათებლებით, ჯანმრთელობის მდგომარეობით შესწევს უნარი, განახორციელოს პროკურორისა და პროკურატურის გამომძიებლის ფუნქციები.

პროკურორის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისაგან გათავისუფლებული არიან შემდეგი კანდიდატები: გენერალური პროკურორის, გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის, გენერალური პროკურორის მოადგილის თანამდებობაზე დასანიშნი პირი; ასევე, ის კანდიდატები, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ ადვოკატის ან მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა.

პროკურატურის სისტემაში სტაჟირების გავლის ვალდებულებისაგან თავისუფლებიან შემდეგი კანდიდატები: გენერალური პროკურორის, გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის, გენერალური პროკურორის მოადგილის თანამდებობაზე დასანიშნი პირი; ასევე, ის კანდიდატები, რომლებიც აკმაყოფილებენ ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას: აქვს მოსამართლედ, გამომძიებლად, ადვოკატად მუშაობის სულ მცირე 1 წლის გამოცდილება; ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა; აქვს იურიდიული პროფესიით მუშაობის სულ მცირე 3 წლის გამოცდილება.

პროკურორის საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება ტესტური მეთოდით. ტესტები წინასწარ ქვეყნდება. საქართველოს მთავრობის დადგენილებით მტკიცდება გამოცდის ჩატარების პროცედურა.

თბილისის პროკურორის ან თბილისის პროკურორის მოადგილის, რაიონული პროკურატურის ხელმძღვანელის ან მისი მოადგილის, საოლქო პროკურატურის ხელმძღვანელის ან მისი მოადგილის და სპეციალიზებული პროკურორის თანამდებობაზე შეიძლება, დანიშნოს პირი, რომელსაც აქვს იურიდიული პროფესიით მუშაობის სულ მცირე 3 წლის გამოცდილება. განსაკუთრებულ შემთხვევაში აღნიშნული 3 წლის გამოცდილების მოთხოვნა შეიძლება, შემცირდეს 18 თვემდე თბილისის პროკურორის, მისი მოადგილის, საოლქო პროკურატურის ხელმძღვანელის ან მისი მოადგილის თანამდებობაზე დასანიშნი პირების შემთხვევაში ან 12 თვემდე – რაიონული პროკურატურის ხელმძღვანელის და მისი მოადგილის, სპეციალიზებული პროკურორის შემთხვევაში.

“პროკურატურის შესახებ” საქართველოს კანონის მე-9.3 მუხლის თანახმად და ზემოაღნიშნული კრიტერიუმების საფუძველზე, პროკურორებს და პროკურატურის სისტემის გამომძიებლებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გენერალური პროკურორი. ამასთან, “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონი ადგენს, რომ საჯარო მოხელის დანიშვნისა და გათავისუფლების ზოგად წესები არ ვრცელდება პროკურორებისა და პროკურატურის სისტემის გამომძიებლების დანიშვნასა და გათავისუფლებაზე. კანონმდებლობა არ ადგენს პროკურორების შერჩევის კონკურსის წესს. თუმცა, იუსტიციის მინისტრის ბრძანებით (მიღებულია 15/08/2014 N43, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) დადგენილი წესით შესაძლებელია პროკურატურის სისტემაში დანიშვნა კონკურსის წესით.

იუსტიციის მინისტრის ბრძანება ადგენს, რომ პროკურატურის სისტემაში კონკურსის წესით დანიშვნა უნდა მოხდეს ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიალურობის და კორექტულობის პრინციპების დაცვით. კანდიდატების შესარჩევად იქმნება კომისია. კომისიის ხელმძღვანელი ინიშნება საჯარო სამსახურის ეროვნული ბიუროს მიერ გენერალური პროკურორის წარდგინებით. კომისიის წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა განისაზღვრება და წევრები ინიშნება კომისიის თავმჯდომარის მიერ. კომისიის წევრები ასევე შეიძლება, იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და სპეციალისტები.

პროკურორების შესარჩევი კონკურსი ცხადდება საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე გამოქვეყნებით (www.hr.gov.ge). კონკურსი ტარდება გასაუბრების ან წერიითი გამოცდის ფორმით. კონკურსის ჩატარების ფორმას განსაზღვრავს საკონკურსო კომისია გენერალურ პროკურორთან შეთანხმებით. კომისიის წევრები ინდივიდუალურად აფასებენ კანდიდატებს წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით. გადაწყვეტილება კანდიდატების დანიშვნის შესახებ მიიღება გენერალური პროკურორის მიერ საკონკურსო კომისიის მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე.

ბ) ხდება თუ არა მართლმსაჯულების სისტემაში დანიშნული პირების შეფასება? თუ – კი, აღწერეთ უწყება, რომელიც პასუხისმგებელია შეფასების განხორციელებაზე, ასევე შესაბამისი შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. რა ტიპის კარიერული სისტემა არის შექმნილი საქართველოში (დამსახურების პრინციპზე დაფუძნებული, იერარქიული, შერეული)?

“პროკურატურის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად (მიღებულია 27/10/2008 N382, კონსოლიდირებული ვერსია 05/09/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) ყოველ სამ წელიწადში ერთხელ პროკურორებმა უნდა გაიარონ ატესტაცია. პროკურორების სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესები დადგენილია იუსტიციის მინისტრის ბრძანებით (მიღებულია 21/12/2013 N101, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge). ბრძანება ადგენს ატესტაციის შემდეგ პროცედურას:

- სერტიფიცირება უნდა ჩატარდეს ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობისა და კოლეგიალობის პრინციპების საფუძველზე;
- ატესტაციის მიზანები შემდეგია: პროკურორების პროფესიული უნარების, კვალიფიკაციის, პიროვნული მახასიათებლების შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან; პროკურორის კომპეტენციების სათანადო გამოყენების პერსპექტივის განსაზღვრა, შემდგომი ტრენინგის საჭიროების განსაზღვრა, პროკურორის პროფესიული ზრდის სტიმულირება, პროკურორების კარიერის დაგეგმვა და მართვა;
- საატესტაციო გამოცდის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გენერალური პროკურორი. ადამიანური რესურსების დეპარტამენტის წარდგინების საფუძველზე გენერალური პროკურორი განსაზღვრავს იმ პროკურორების ნუსხას, ვინც უნდა გაიაროს საატესტაციო გამოცდა, ასევე, განსაზღვრავს გამოცდის ჩატარების განრიგს. აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს შესაბამის პროკურორებს გამოცდამდე სულ მცირე 2 კვირით ადრე და ასევე, გასაჯაროვდეს;
- საატესტაციო გამოცდა ტარდება წერიითი ფორმით, ასევე საჭიროების შემთხვევაში შეიძლება, ჩატარდეს გასაუბრების ფორმითაც. საატესტაციო კომისია იღებს გადაწყვეტილებას გასაუბრების ჩატარების საჭიროების შესახებ;
- გენერალური პროკურორი განსაზღვრავს ატესტაციის საკითხებსა და მეთოდს;
- წერიითი გამოცდა ტარდება 100 წინასწარ შემუშავებული ტესტური კითხვების მეშვეობით. წერიითი გამოცდის ჩატარების პროცესს აკვირდებიან დამკვირვებლები;
- საატესტაციო გამოცდის შედეგებსა და საატესტაციო კომისიის რეკომენდაციაზე დაყრდნობით გენერალური პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას პროკურორის დაწინაურების, დაქვეითების, სავალდებულო ტრენინგის გავლის ან გათავისუფლების შესახებ;
- გენერალური პროკურორის გადაწყვეტილებით სააპელაციო კომისია იქმნება საატესტაციო გამოცდის ჩატარებასა და მის შედეგებთან დაკავშირებული სააპელაციო საჩივრების განხილვის მიზნით;
- საატესტაციო და სააპელაციო კომისიის შექმნის წესი დადგენილია იუსტიციის მინისტრის ბრძანებით (მიღებულია 25/09/2013 N96, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge), რომელიც ასევე განსაზღვრავს პროკურორების შერჩევისა და დანიშვნის კონკურსის წესს და რომელიც უფრო დეტალურად წინამდებარე კითხვებშია აღწერილი.

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა განგრძობადი შეფასების წესი (მიღებულია 27/12/2011 N1/226, კონსოლიდირებული ვერსია გამოქვეყნებულია <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/226-2011.pdf>). აღნიშნული წესის თანახმად იუსტიციის საბჭომ უნდა შეაფასოს მოსამართლის დატვირთულობა ყოველ 6 თვეში ერთხელ. მოსამართლის დატვირთულობის კომპონენტის შეფასება ითვალისწინებს საქმის სირთული კოეფიციენტებით შეფასების წესს, ასევე მოსამართლის მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადების დაცვასა და გადაწყვეტილებების სტაბილურობას. აღნიშნული წესის თანახმად შეფასების შედეგი შეიძლება, იყოს ერთ-ერთი შემდეგი: სამუშაო გაწეულია უმაღლეს დონეზე, რაც აჭარბებს მოლოდინს; სამუშაო კარგად არის გაწეული, შეესაბამება მოლოდინს; სამუშაო გაწეულია დამაკმაყოფილებლად, ნაწილობრივ შეესაბამება მოლოდინს; სამუშაო გაწეულია დამაკმაყოფილებლად; სამუშაო გაწეულია ნაწილობრივ დამაკმაყოფილებლად; სამუშაო გაწეულია ხარვეზებით, საჭიროებს გაუმჯობესებას; სამუშაო გაწეულია არადამაკმაყოფილებლად, არ შეესაბამება მოთხოვნებს. ამასთან, წესი ითვალისწინებს, რომ შეფასების შედეგების გათვალისწინებით იუსტიციის უმაღლესი საბჭო გასცემს რეკომენდაციას მოსამართლის წახალისების შესახებ (მათ შორის, შრომის ანაზღაურებაზე დანამატის განსაზღვრის შესახებ).

გ) არის თუ არა დანიშვნის ვადა კანონით გარანტირებული? დადგენილია თუ არა სავალდებულო საპენსიო ასაკი?

მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის ვადა გარანტირებულია კონსტიტუციით. კონსტიტუციის 61-ე მუხლის თანახმად საერთო სასამართლოების მოსამართლეები ინიშნებიან უვადოდ, ორგანული კანონით განსაზღვრული საპენსიო ასაკის მიღწევამდე. ამასთან, კონსტიტუცია ადგენს მოსამართლის სამწლიანი გამოსაცდელი ვადით დანიშვნის წესს მათთვის, ვისაც არ აქვს მოსამართლედ მუშაობის სულ მცირე 3 წლის გამოცდილება. სამწლიანი გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭო წყვეტს მოსამართლის უვადოდ დანიშვნის საკითხს. მოსამართლის უფლებამოსილება შეიძლება, შეწყდეს მხოლოდ კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში. კონსტიტუცია ადგენს, რომ მოსამართლის გათავისუფლება, მისი უფლებამოსილების შეწყვეტა ან მისი სხვა თანამდებობაზე გადაყვანა შესაძლებელია მხოლოდ ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. კონსტიტუცია ადგენს, რომ ორგანული კანონი უზრუნველყოფს მოსამართლის შეუცვლელობის პრინციპს. კონსტიტუციით ასევე დადგენილია, რომ სასამართლოს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია არ შეიძლება, გახდეს უვადოდ დანიშნული მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი.

გენერალური პროკურორის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება კონსტიტუციით და ის 6 წელს შეადგენს. ყველა სხვა ქვემდგომი პროკურორი თანამდებობაზე ინიშნება განუსაზღვრელი ვადით, მათ არ აქვთ გარანტირებული უფლებამოსილების ვადა, რაც გულისხმობს, რომ ისინი თანამდებობაზე ინიშნებიან იქამდე, ვიდრე მათი გათავისუფლებისთვის კანონით გათვალისწინებული კონკრეტული საფუძველი არ იარსებებს. პროკურორების შეუცვლელობის პრინციპი არ არის გათვალისწინებული კანონმდებლობით.

დ) გთხოვთ, გუსტად აღწერთ პროკურორისა და მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების პროცედურა (სამართლებრივი საფუძველი, პროცედურის ინიცირებაზე უფლებამოსილი უწყება, გათავისუფლების საფუძველები და სხვა).

“საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 42-ე მუხლის თანახმად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და უზენაესი სასამართლოს სხვა წევრები შეიძლება, გათავისუფლდნენ თანამდებობიდან მხოლოდ იმპიჩმენტის წესით. საქართველოს პარლამენტის წევრთა სულ მცირე 1/3-ს უფლება აქვს, დააყენოს უზენაესი სასამართლოსა და უზენაესი სასამართლოს სხვა წევრების გათავისუფლების საკითხი საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის ან მოსამართლის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საფუძველით. საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია, გაათავისუფლოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და სხვა წევრები პარლამენტის წევრების ხმათა უმრავლესობით, საქართველოს კონსტიტუციის მიერ გამოცემული შესაბამისი დასკვნის საფუძველზე. პირველი და სააპელაციო ინსტანციის მოსამართლეების თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო წევრების ხმათა 2/3-ის უმრავლესობით.

ორგანული კანონის 43-ე მუხლის თანახმად მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია:

- პირადი განცხადება;
- დისციპლინური გადაცდომა (გარდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისა);
- თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მოსამართლე შემლუღულ ქმედუნარიანია;
- საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა;
- სასამართლოს განაჩენით მოსამართლე ცნობილ იქნა დამნაშავედ სისლხის სამართლის დანაშაულის ჩადენაში;
- 65 წლის ასაკის მიღწევას;

- კორუფციისა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევა (გარდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისა);
- სასამართლოს ლიკვიდაცია (გარდა უვადოდ დანიშნული მოსამართლეებისა);
- მოსამართლის სხვა სასამართლოში გადაყვანა;
- თანამდებობრივი შეუთავსებლობის წესის დარღვევა;
- უფლებამოსილების ვადის ამოწურვა.

ამასთანავე, ორგანული კანონის 36.6-ე მუხლის თანახმად იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლისთვის უფლებამოსილების ვადის გახანგრძლივების შესახებ იქამდე, ვიდრე მოსამართლე დაასრულებს მის წარმოებაში არსებული საქმის განხილვას. კანონით არ არის დადგენილი უფლებამოსილების ვადის გახანგრძლივების დასაშვები ვადა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას იმ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, რომელიც 12 თვის განმავლობაში 4 თვეზე მეტი ხნით ვერ ახორციელებს თავის უფლებამოსილებას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ შესაბამისი დოკუმენტით დასტურდება, რომ ის ვერ შეძლებს სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების გაგრძელებას (“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის 43.2¹-ე და 43.2²-ე მუხლები).

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონი ადგენს მოსამართლეთა დისციპლინირების შემდეგ საფუძვლებს:

- კორუფცია და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება მართლმსაჯულებისა და სასამართლოს ინტერესების საზიანოდ. კორუფცია განისაზღვრება საჯარო სამსახურში კორუფციისა და ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, თუ ქმედება არ აღწევს სისხლის სამართლის დანაშაულს ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. აღნიშნული დისციპლინური დარღვევისთვის შემდეგი სახდელები შეიძლება იქნეს გამოყენებული: საყვედური, მკაცრი საყვედური და გათავისუფლება;
- მოსამართლის თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობა ან სამოსამართლო ვალდებულებებთან ინტერესთა კონფლიქტი. აღნიშნული დარღვევისთვის შეიძლება, გამოყენებულ იქნეს შემდეგი სახდელები: მკაცრი საყვედური ან გათავისუფლება;
- მოსამართლისთვის შეუფერებელი ქცევა, რომელიც ზიანს აყენებს მოსამართლის რეპუტაციას ან სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობას. აღნიშნული დისციპლინური დარღვევებისთვის შეიძლება, გამოყენებულ იქნეს შემდეგი სახდელები: საყვედური, მკაცრი საყვედური, გათავისუფლება;
- სასამართლო პროცესების დაუსაბუთებელი გაჭიანურება. აღნიშნული დისციპლინური დარღვევისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სახდელები: გაფრთხილება ან საყვედური;
- სამოსამართლო ფუნქციის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. აღნიშნული დარღვევისთვის შეიძლება, გამოყენებულ იქნეს შემდეგი სახდელები: გაფრთხილება, საყვედური, მკაცრი საყვედური, გათავისუფლება;
- სასამართლო თათბირის ან პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნება. გამოყენებულ იქნეს შემდეგი სახდელები: გაფრთხილება ან საყვედური;
- სადისციპლინო ორგანოს მუშაობის ხელშეშლა ან აღნიშნული ორგანოს მიმართ უპატივცემლობის გამოხატვა. გამოყენებულ იქნეს შემდეგი სახდელები: გაფრთხილება ან საყვედური;
- სამოსამართლო ეთიკის წესების დარღვევა. გამოყენებულ იქნეს შემდეგი სახდელები: გაფრთხილება, საყვედური, მკაცრი საყვედური, ან გათავისუფლება.

მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოება შეიძლება, დაიწყოს:

- ნებისმიერი პირის განცხადების/საჩივრის საფუძველზე, გარდა ანონიმური განცხადების/საჩივრისა;
- სხვა მოსამართლის, სასამართლოს ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის ან აპარატის წევრის მიმართვის საფუძველზე;
- საგამოძიებო ორგანოს შეტყობინების საფუძველზე;
- მედიაში გავრცელებული ინფორმაციის, ასევე საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში მითითებული ინფორმაციის საფუძველზე.

დისციპლინური სამართალწარმოება დაიწყება და წინასწარი მოკვლევა ტარდება დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაშია. დამოუკიდებელი ინსპექტორი თავის დასკვნებსა და მოსაზრებებს წარუდგენს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. წინასწარი მოკვლევისვადაარუნდააღემატებოდეს 2 თვეს. დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძველი შეიძლება, გახდეს საქმის გარემოებები, რომლებიც არ ყოფილა განცხადებაში/საჩივარში მითითებული, თუმცა დამოუკიდებელი ინსპექტორისთვის ცნობილი გახდა დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძველების შესახებ წინასწარი მოკვლევის დროს.

დამოუკიდებელი ინსპექტორის მიმართვის საფუძველზე იუსტიციის უმაღლესი საბჭო ხმათა 2/3-ის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური დევნის დაწყებისთვის საკმარისი საფუძველების არსებობის შესახებ. თუ კენჭისყრის შედეგად წევრთა 2/3 არ დაუჭერს მხარს მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების გადაწყვეტილებას, სამართალწარმოება უნდა შეწყდეს. თუ საბჭო მიიღებს დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილებას, საქმე განსახილველად გადაეცემა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიას, ხოლო იუსტიციის უმაღლესი საბჭო წარადგენს ბრალდებას კოლეგიაში საქმის განხილვისას. სადისციპლინო კოლეგია შედგება 5 წევრისაგან, რომელთაგან 3 არის მოსამართლე წევრი, 2 – არამოსამართლე წევრი, რომლებიც პარლამენტის მიერ აირჩევიან. პარლამენტი უფლებამოსილია, სადისციპლინო კოლეგიის წევრად აირჩიოს კანდიდატი, რომელიც არის საქართველოს მოქალაქე, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, აქვს პროფესიით მუშაობის სულ მცირე 10 წლის გამოცდილება, არის მაღალი რეპუტაციის და არის აღიარებული პროფესიონალი. სადისციპლინო კოლეგიის არამოსამართლე წევრისთვის კანონი ადგენს თანამდებობრივი შეუთავსებლობის წესს. კანონი განსაზღვრავს, რომ კოლეგიაში საქმის განხილვა უნდა მოხდეს მხარეთა (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელი და მოსამართლე) მონაწილეობით. სადისციპლინო კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, ჩაიდინა თუ არა მოსამართლემ ის დისციპლინური გადაცდომა, რასაც მას იუსტიციის უმაღლესი საბჭო ედავება, წარმოადგენს თუ არა მოსამართლის ქმედება დისციპლინურ გადაცდომას და ბრალეულია თუ არა ქმედება. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სამი გარემოება იქნება დადგენილი, სადისციპლინო კოლეგია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება მოსამართლის დისციპლინურ დამრღვევად ცნობის შესახებ და დააკისროს მას სახდელი. სადისციპლინო კოლეგია უფლებამოსილია, შეცვალოს გადაცდომის კვალიფიკაცია, რომელიც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ განსაზღვრა.

სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება შეიძლება, გასაჩივრდეს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში. მხოლოდ დისციპლინური სამართალწარმოების მხარეებს (იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოსამართლეს) აქვთ უფლება, გაასაჩივრონ კოლეგიის გადაწყვეტილება. სადისციპლინო პალატა გადაწყვეტილებას იღებს როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ გარემოებებთან, ასევე განსაზღვრული სახდელის სამართლიანობასთან დაკავშირებით.

სადისციპლინო კოლეგიის და სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებები ქვეყნდება შესაბამის ოფიციალურ ვებგვერდზე მათი ძალაში შესვლისთანავე. რაც შეეხება იუსტიციის საბჭოს მიერ სადისციპლინო

საჩივრის განხილვას, აღნიშნულ ეტაპზე განხილვა დახურულად მიმდინარეობს. ქვეყნდება მხოლოდ ზოგადი სტატისტიკური მონაცემები საბჭოს მიერ დისციპლინური საჩივრების განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე. მოსამართლეს უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი საქმის საჯაროდ განხილვა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სადისციპლინო კოლეგიისა და პალატის მიერ, გარდა თათბირისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურისა.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, რაც ხელმისაწვდომია იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიის ვებგვერდზე, დისციპლინური საჩივრების რაოდენობასთან შედარებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის მაჩვენებელი ფაქტობრივად ნულის ტოლია.¹⁵

2017 წელს 391 მიმდინარე საჩივრიდან 345 საქმე შეწყდა; 15 საქმეზე მოსამართლეებს ეთხოვათ ახსნა-განმარტების წარდგენა; 2 საქმეზე საბჭოს მიერ გაცემულ იქნა სარეკომენდაციო ბარათი; 3 საქმეზე მოსამართლეებს წაეყენათ ბრალი და საქმეები განსახილველად გადაგზავნა სადისციპლინო კოლეგიას; 41 საქმის განხილვა არ დასრულებულა და გადავიდა 2018 წელს.

2016 წელს 488 მიმდინარე საქმიდან იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შეწყვიტა 209; 3 საქმეზე მოსამართლეებს გაეგზავნათ სარეკომენდაციო ბარათები; მხოლოდ 1 საქმეზე მოსამართლე მიცემულ იქნა დისციპლინურ პასუხისგებაში და საქმე განსახილველად გაეგზავნა სადისციპლინო კოლეგიას. ყველა სხვა საქმის განხილვა გადავიდა მომდევნო წელს.

2015 წელს 375 განსახილველი საქმიდან 93 შეწყდა; 19 საქმეზე მოსამართლეებს ეთხოვათ ახსნა-განმარტების წარდგენა; 4 საქმეზე გაცემულ იქნა სარეკომენდაციო ბარათები; 1 საქმეზე მოსამართლე მიცემულ იქნა დისციპლინურ პასუხისგებაში და საქმე განსახილველად გადაეცა სადისციპლინო კოლეგიას. სხვა საქმეების განხილვა არ დასრულებულა და გადავიდა მომდევნო წელს.

2014 წელს 383 მიმდინარე საქმიდან იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სამართალწარმოება შეწყვიტა 266 საქმეზე; 17 საქმეზე მოსამართლეებს ეთხოვათ ახსნა-განმარტება; მოსამართლეთაგან არცერთი იქნა მიცემული დისციპლინურ პასუხისგებაში. სხვა საქმეების განხილვა არ დასრულებულა.

გენერალური პროკურორის შერჩევის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და პროცედურა შემდეგია:

- უმაღლესი იურიდიული განათლება; ნასამართლობის არქონა; არის საქართველოს მოქალაქე; აქვს მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; აქვს სისხლის სამართლის მოსამართლედ, პროკურორად, ან ადვოკატად მუშაობის სულ მცირე 5 წლის გამოცდილება, ხოლო, იურიდიულ პროფესიაში მუშაობის სულ მცირე 10 წლის გამოცდილება, ამასთან, არის აკადემიური დაწესებულებების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ აღიარებული სისხლის სამართლის სპეციალისტი;
- გენერალური პროკურორი თანამდებობაზე ინიშნება 6 წლის ვადით, ხელახლა დანიშნვის უფლების გარეშე;
- საქართველოს საპროკურორო საბჭო ატარებს კონსულტაციებს გენერალური პროკურორობის

15. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები. ხელმისაწვდომია: <http://hcoj.gov.ge/ge/distiplinuri-samaraltalsarmoeba/sadistsiplino-statistika>

კანდიდატის შესარჩევად. კონსულტაციები ტარდება საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამოქალაქო საზოგადოების წევრებისა და იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებთან. კონსულტაციები გრძელდება 1 თვეს. კონსულტაციების შედეგად საპროკურორო საბჭო შეარჩევს 3 კანდიდატს, რომელთაგან 2 განსხვავებული სქესის უნდა იყოს;

- საპროკურორო საბჭო კენჭს უყრის აღნიშნულ სამ კანდიდატს ცალ-ცალკე, ფარული კენჭისყრით. შერჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს საპროკურორო საბჭოს წევრების ხმათა არანაკლებ 2/3-ს. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა;
- საპროკურორო საბჭო შერჩეულ კანდიდატს წარუდგენს საქართველოს პარლამენტს;
- პარლამეტი ირჩევს გენერალურ პროკურორს პარლამენტის წევრების ხმათა უმრავლესობით.

გენერალური პროკურორი თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ქვემდგომ პროკურორებს.

გენერალური პროკურორი შეიძლება, გათავისუფლდეს თანამდებობიდან მხოლოდ იმპიჩმენტის პროცედურით. მისი უფლებამოსილების შეწყვეტის სხვა საფუძვლებია: პირადი განცხადება, თანამდებობრივი შეუთავსებლობა, სასამართლოს გადაწყვეტილებით გენერალური პროკურორის შეზღუდულ ქმედუნარიანად ცნობა, საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა, გარდაცვალება.

პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლების დანიშვნაზე არ ვრცელდება საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი. საქართველოს კანონმდებლობა არ ადგენს პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლების შერჩევითვის კონკურსის სავალდებულო წესს.

“პროკურატურის შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლი ადგენს ქვემდგომი პროკურორების და პროკურატურის გამომძიებლების გათავისუფლების შემდეგ საფუძვლებს:

- პირადი განცხადება;
- ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, რაც ხელს უშლის მას პროკურორის ფუნქციების შესრულებაში;
- მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;
- თანამდებობრივი შეუთავსებლობა;
- სამუშაო დისციპლინის უხეში ან სისტემატური დარღვევა;
- სამუშაო ადგილების შემცირება;
- სხვა საჯარო თანამდებობაზე არჩევა/დანიშვნა;
- პროკურორის ფიცის დარღვევა, პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნება ან არასათანადო ქცევა;
- სასამართლოს განაჩენით დამნაშავედ ცნობა;
- საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა;
- თანამდებობაზე დანიშვნისთვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევა;
- საპენსიო ასაკის მიღწევა;
- ნასამართლობა;
- ალკოჰოლზე, ნარკოტიკზე დამოკიდებულება ან სხვა ქრონიკული დაავადება;
- სასამართლოს მიერ პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად ცნობა.

ე) მოსამართლეების/პროკურორების გამოსაცდელი ვადა:

– რამდენია გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობა?

იმ პირის მოსამართლის თანამდებობაზე პირველად დანიშვნა, რომელსაც არ აქვს მოსამართლედ მუშაობის სულ მცირე 3 წლის გამოცდილება, ხდება 3 წლიანი გამოსაცდელი ვადით.

გამოსაცდელი ვადით დანიშვნის წესი არ ვრცელდება პროკურორებზე და პროკურატურის გამომძიებლებზე. თუმცა, “პროკურატურის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად პროკურორის თანამდებობაზე დანიშნამდე პირმა უნდა გაიაროს 6 თვიდან 1 წლამდე ვადით სტაჟირება პროკურატურის სისტემაში. აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება კანონით განსაზღვრულ პირებზე, რაც დეტალურად ზემოთ არის აღწერილი. “პროკურატურის შესახებ” საქართველოს კანონი ადგენს, რომ პროკურორის ფუნქციებს ახორციელებენ გენერალური პროკურორი, მისი მოადგილეების, ქალაქის, რაიონის და საოლქო პროკურორების, სპეციალიზებული პროკურორებისა და პროკურორ-სტაჟიორების მიერ.

- რა განსხვავებაა გამოსაცდელი ვადით დანიშნული და უვადოდ დანიშნული მოსამართლის/პროკურორის ფუნქციებს შორის?

გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის სამოსამართლო ფუნქციები არ განსხვავდება უვადოდ დანიშნული მოსამართლის ამავე ფუნქციებისაგან. გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამართლეს ებღუდება სასამართლო სისტემის შიგნით ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავება.

- გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლე/პროკურორი ვადის თუ არა გადამზადების სპეციალურ კურსებს?

გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეები ვადიან იუსტიციის სკოლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს, რაც საერთოა ყველა მოსამართლისათვის. იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად (წერილი 13/19/2018 NO2/2110) იუსტიციის უმაღლესი სკოლა არ ახდენს ტრენინგებში მონაწილეთა დიფერენცირებას მათი გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის სტატუსის ან სხვა ნიშნით. ყველა მოსამართლეს აქვს თანაბარი შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ შეთავაზებულ ნებისმიერ ტრენინგში. ამასთან, სკოლა სთავაზობს ახლად დანიშნულ მოსამართლეებს ტრენინგებს ეთიკის, სასამართლო პროცესის ჩატარების ტექნიკისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე.

- დადგენილი არის თუ არა გამოსაცდელ ვადაში მყოფი პირის შეფასების ობიექტური და წინასწარ განჭვრეტადი პროცედურა? ვინ არის შეფასებაზე პასუხისმგებელი?

მოსამართლის საქმიანობის შეფასების მიზნით, თანამდებობაზე დანიშნიდან ერთი წლის და ორი წლის თავზე, ასევე სამწლიანი გამოსაცდელი ვადის ამოწურვამდე 4 თვით ადრე, იუსტიციის უმაღლესი საბჭო წილისყრით შეარჩევს საბჭოს ერთ მოსამართლე და ერთ არამოსამართლე წევრს, შესაბამის წელს ერთი თვის განმავლობაში – გამოსაცდელ ვადაში მყოფი მოსამართლის შესაფასებლად. შემფასებელები შეფასებას ახორციელებენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. აღნიშნული 6 შეფასება უნდა განხორციელდეს სხვადასხვა შემფასებლის მიერ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო ატარებს კენჭისყრას საბჭოს დახურულ სხდომაზე. მოსამართლის შეფასებასთან დაკავშირებული მასალა კონფიდენციალურია შესაბამისი მოსამართლის გამოსაცდელი ვადის ამოწურვამდე. არც საბჭოს წევრებს და არც საბჭოს აპარატის თანამშრომლებს არ აქვთ უფლება, გაასაჯაროონ აღნიშნული ინფორმაცია.

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის თანახმად გამოსაცდელი ვადის დაწყებისთანავე მოსამართლეს ეცნობება შეფასების პროცედურებისა და იმ გარემოებების შესახებ, რაც მხედველობაში იქნება მიღებული მისი საქმიანობის განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასებისა და უვადოდ დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

სასამართლო პროცესების მონიტორინგის შესახებ ეუთოს ანგარიში¹⁶ შეიცავს მნიშვნელოვან რეკომენდაციებს, რომლებიც საბჭოს ურჩევს, დაადგინოს გამოსაცდელ ვადაში მყოფი მოსამართლეების შეფასების დამატებითი პროცედურა. აღნიშნული რეკომენდაცია გამომდინარებს ვენეციის კომისიის მიერ დადგენილი მოსამართლეთა დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტებიდან:

- თუ, საქართველოში შენარჩუნებული იქნება გამოსაცდელი ვადით მოსამართლეთა დანიშვნა, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა დაადგინოს გამოსაცდელ ვადაში მყოფი მოსამართლეების მონიტორინგისა და შეფასების დეტალური პროცედურა და მხედველობაში მიიღოს საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების საერთაშორისო სტანდარტები, მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების სტანდარტების გათვალისწინებით;
- იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა შეიმუშაოს ძირითადი კრიტერიუმები მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის შესახებ, მიუხედავად იმისა, შენარჩუნებული იქნება თუ არა მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნის წესი. აღნიშნული უნდა შეიცავდეს გამოსაცდელი ვადის ბოლოს მოსამართლის უვადოდ დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურას. აღნიშნული პროცედურები უნდა ითვალისწინებდეს საბჭოს ყველა გადაწყვეტილების წერილობით მტკიცებულებებზე დაფუძნების ვალდებულებას.

თუმცა, აღნიშნული რეგულაციები იუსტიციის საბჭოს მიერ ამ დრომდე არ არის მიღებული. ამასთან, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიშის¹⁷ მიხედვით გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების შეფასების პროცედურა, რომელიც ორგანული კანონით არის დადგენილი, არ არის საკმარისად ცხადი და გამჭვირვალე, ხოლო შეფასების კრიტერიუმები არ აკმაყოფილებს ობიექტური კრიტერიუმის სტანდარტს.

კანონის თანახმად მოსამართლის საქმიანობა ფასდება ორი ძირითადი კრიტერიუმით: კეთილსინდისიერება (იგულისხმება პიროვნული სინდისი და პროფესიული კეთილსინდისიერება, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, პიროვნული და პროფესიული ქცევა, პირადი და პროფესიული რეპუტაცია, ფინანსური ვალდებულებები) და კომპეტენტურობა (იგულისხმება სამართლის ნორმების ცოდნა, სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია, წერის უნარები, ზეპირი კომუნიკაციის უნარი, პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში, აკადემიური მიღწევები და პროფესიული ტრენინგი, პროფესიული აქტივობები).

ორგანული კანონი ადგენს შეფასების კრიტერიუმებს და განსაზღვრავს შეფასების მახასიათებლებს თითოეული კრიტერიუმისათვის. მიუხედავად ამისა, კანონი არ ადგენს ინფორმაციის წყაროსა და მტკიცებულებებს, რომლებსაც უნდა დაეყრდნოს შემფასებელი შეფასებისას. მაგალითად,

16. გვ. 21-22. ხელმისაწვდომია: <http://www.osce.org/odihr/130676?download=true>

17. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების შეფასება და უვადოდ გაშვება, 2017 <https://www.gyla.ge/files/news/2008/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%95%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98%E1%83%97%20%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%A3%E1%83%95%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%93%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90.pdf>

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია: პატიოსნება, პირადი ქცევა, პიროვნული რეპუტაცია და სხვა. თუმცა, კანონი არ განსაზღვრავს, როგორ, რა ინფორმაციასა თუ წყაროებზე დაყრდნობით უნდა შეფასოს შემფასებელმა კანდიდატის პატიოსნება და სხვა თვისებები. აღნიშნული კი შეფასების პროცესს აქცევს გაუმჭვირვალეს, ქმნის არაერთგვაროვანი, არათანაბარი მიდგომისა და უფლებამოსილების არასათანადოდ გამოყენების შესაძლებლობას და არღვევს მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპს.

კანონის თანახმად შემფასებლები პარალელურად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ახორციელებენ მოსამართლის შეფასებას და ვალდებული არიან, არ გაამჟღავნონ ინფორმაცია, რომელიც მათთვის ხელმისაწვდომი გახდა შეფასების პროცესში. ერთთვისანი შეფასების პერიოდში შემფასებელი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მიიღოს მოსამართლის შეფასებისთვის კანონით დადგენილი აუცილებელი ზომები:

- შემფასებლებმა ერთმანეთის პარალელურად, მაგრამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად უნდა შეისწავლონ ერთი და იგივე სულ მცირე 5 საქმე, რომლებიც შესაბამისი მოსამართლის მიერ არის განხილული. კანონი ადგენს, რომ აღნიშნული საქმეები შემთხვევითი პრინციპით უნდა იქნეს შერჩეული;
- ორგანული კანონის თანახმად გადაწყვეტილებების შეფასებისას შეფასებას ექვემდებარება შემდეგი საკითხები: აქვს თუ არა მოსამართლეს მატერიალური და პროცესუალური ნორმების, ადამიანის უფლებების სამართლის, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ცოდნა, შესაბამისი სამართლის ნორმის შეფარდების სისწორე მიღებულ გადაწყვეტილებასთან მიმართებაში, გადაწყვეტილების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა;
- კანონი ადგენს, რომ შემფასებელი უფლებამოსილია, მოსამართლის შეფასების მიზნით დაესწროს მისი თავმჯდომარეობით ჩატარებულ სასამართლოს სხდომებს;
- კანონი შემფასებელს ანიჭებს უფლებამოსილებას, მიიღოს შეფასებისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია;
- კანონი უფლებამოსილებას ანიჭებს შემფასებელს; კონსულტაციისთვის მიმართოს იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს;
- შემფასებელი უფლებამოსილია, შეხვდეს შესაფასებელ მოსამართლეს და სხვა პირებს პირადად და დაუსვას მათ კითხვები კონკრეტული ინფორმაციის მისაღებად.

კანონის თანახმად, თუ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლის შეფასებისას შემფასებელთა ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ მოსამართლე ვერ აკმაყოფილებს კრიტერიუმს, აღნიშნული წარმოადგენს საკმარის საფუძველს იმისთვის, რომ მოსამართლე არ იქნეს დაშვებული გასაუბრების ეტაპზე. ამასთან, თუ კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მოსამართლე მიიღებს შესაძლო მაქსიმალური ქულების 70%-ზე ნაკლებს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი გამოსცემს სამართლებრივ აქტს აღნიშნული მოსამართლის უვადოდ დანიშვნის საკითხის განხილვაზე უარის თქმის შესახებ.

“საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 36⁴ –ე მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის აქტი მოსამართლის უვადოდ დანიშვნის საკითხის განხილვაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება, გასაჩივრდეს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, აქტის მოსამართლისთვის გადაცემიდან ერთი კვირის ვადაში. გასაჩივრების შემთხვევაში იუსტიციის უმაღლესი საბჭო წევრების ხმათა 2/3-ის უმრავლესობით, ღია კენჭისყრით იღებს გადაწყვეტილებას აქტის გაუქმებისა და გასაუბრების ეტაპზე მოსამართლის დაშვების შესახებ. ამავე მუხლის მე-16 პუნქტის თანახმად, თუ იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ გააუქმებს თავმჯდომარის აქტს და ძალაში დატოვებს

გადაწყვეტილებას მოსამართლის უვადოდ დანიშვნის საკითხის განხილვაზე უარის თქმის შესახებ, აღნიშნული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

კანონი უშვებს შესაძლებლობას, რომ მოსამართლის უვადოდ დანიშვნის საკითხის განხილვა არ გადავა შემდეგ ეტაპზე, თუ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სულ მცირე სამი წევრი (სამი შემთავსებელი) დაასკვნის, რომ კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს ან, თუ შეფასების შედეგად კანდიდატის მიერ მიღებული ქულები 70%-ს არ აღწევს. აღნიშნული გადაწყვეტილება არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

კანონის თანახმად, თუ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასების შედეგად სამი ან სამზე მეტი შემთავსებელი დაასკვნის, რომ მოსამართლე აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს და, თუ პროფესიონალიზმის კრიტერიუმით შეფასების შედეგად მოსამართლემ მიიღო ქულების 70% მაინც, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა ჩაატაროს გასაუბრება აღნიშნულ მოსამართლესთან და მოისმინოს მისი მოსაზრებები შეფასების შედეგებთან დაკავშირებით. მოსამართლე უფლებამოსილია, თავისი მოსაზრებები იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წერილობითაც წარუდგინოს, ასევე წარადგინოს ზეპირი ან წერილობითი თვითშეფასება, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსამართლემ უნდა წარუდგინოს საბჭოს თავისი მოსაზრებები, თუ რა მიაჩნია თავის ყველაზე წარმატებულ და ყველაზე წარუმატებელ გადაწყვეტილებად, ასევე შეცდომები, რომლებიც დაუშვია გადაწყვეტილების მიღების დროს გამოსაცდელ ვადაში ყოფნის სამი წლის განმავლობაში.

- ვინ იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის უვადოდ დანიშვნის შესახებ და რა კრიტერიუმების საფუძველზე?

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის თანახმად იუსტიციის უმაღლესი საბჭო ანალიზებს სამწლიანი გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მოსამართლის შესახებ მომზადებულ ყველა შეფასებას. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მოსამართლის მიერ მიღებული შეფასებების შეჯერების მიზნით გამოიანგარიშება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებით შეფასების სამივე პერიოდში განხორციელებული ექვსი შეფასებისას მოსამართლის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი, რის შემდეგაც განისაზღვრება ამ ჯამის პროცენტული სიდიდე კომპეტენტურობის კრიტერიუმისათვის განსაზღვრული ქულების შესაძლო მაქსიმალური რაოდენობის მიმართ. იუსტიციის უმაღლესი საბჭო გამართავს დისკუსიას მოსამართლის შეფასების შედეგების ანალიზის შესახებ და იღებს გადაწყვეტილებას გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის უვადოდ დანიშვნის შესახებ ღია კენჭისყრით, საბჭოს წევრთა 2/3-ის უმრავლესობით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, რომელიც არ ეთანხმება საბჭოს გადაწყვეტილებას, უფლებამოსილია, დაწეროს თავისი განხილვის ვადის აზრი, რომელიც დაერთვება საქმის მასალებს.

- გამოსაცდელი ვადით დანიშვნის გადაწყვეტილება ექვემდებარება თუ არა სასამართლო ან ადმინისტრაციულ კონტროლს?

ორგანული კანონის 36^ე-ე მუხლის თანახმად მოსამართლეს უფლება აქვს, გაასაჩივროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება უვადოდ მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ უზენაესო სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში. გასაჩივრება დასაშვებია შემდეგი საფუძველებით:

- შემთავსებელი (შეფასების პროცესში) ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი (მოსამართლესთან გასაუბრების დროს) იყო მიკერძოებული;
- შემთავსებელი (შეფასების პროცესში) ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი (მოსამართლესთან გასაუბრების დროს) ახდენდა მოსამართლის დისკრიმინაციას;

- ▶ შემფასებელმა ბოროტად ისარგებლა უფლებამოსილებით, რამაც გამოიწვია მოსამართლის უფლებების დარღვევა ან საფრთხე შეუქმნა სასამართლოს დამოუკიდებლობას;
- ▶ ინფორმაცია, რომელიც გამოყენებულ იქნა შეფასების დროს, არასწორია, რაც დადასტურებულია მოსამართლის მიერ წარდგენილი ინფორმაციით;
- ▶ შეფასება განხორციელდა დადგენილი პროცედურების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო, გავლენა მოეხდინა შეფასების შედეგზე.

საჩივარი შეიძლება, წარდგენილ იქნეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების მოსამართლისთვის ჩაბარებიდან 2 კვირის ვადაში. საჩივარი განხილულ უნდა იქნეს და გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული 1 თვის ვადაში. ორგანული კანონი განსაზღვრავს საჩივრის განხილვის პროცესულურ წესებს. საკვალიფიკაციო პალატა უფლებამოსილია, გააუქმოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნოს საბჭოს ან ძალაში დატოვოს საბჭოს გადაწყვეტილება. საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ვ) მართლმსაჯულების საბჭო და საპროკურორო საბჭო:

- რა პრივილეგიებით სარგებლობენ წევრები?

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის 47.14-ე მუხლის თანახმად იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია, საბჭოს მოსამართლე წევრებს განუსაზღვროს დანამატი. რაც შეეხება საბჭოს არამოსამართლე წევრების, მათ განესაზღვრებათ ანაზღაურება, რომელიც არ უნდა იყოს სააპელაციო სასამართლოს ხელფასზე ნაკლები.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო შედგება 15 წევრისაგან. საბჭოს წევრები არიან: მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული 8 მოსამართლე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული 5 მოსამართლე, საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 1 მოსამართლე.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე საბჭოს წევრთაგან აირჩევა საბჭოს წევრების მიერ 4 წლის ვადით საბჭოს წევრების ხმათა უმრავლესობით.

საქართველოს საპროკურორო საბჭო შედგება 15 წევრისაგან. საბჭოს წევრები არიან: პროკურორთა კონფერენციის მიერ არჩეული 8 პროკურორი, რომელთაგან ¼ განსხვავებული სქესის უნდა იყოს; იუსტიციის მიერ დანიშნული 1 წევრი; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებისაგან საბჭოს მიერ არჩეული 2 მოსამართლე, რომელთაც აქვთ მოსამართლედ მუშაობის სულ მცირე 5 წლის გამოცდილება; საპარლამენტო უმრავლესობის მიერ არჩეული 2 პარლამენტის წევრი; სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიის წარმომადგენელთაგან არჩეული 2 წევრი.

საპროკურორო საბჭოს წევრობა არ არის ანაზღაურებადი.

- დასაშვებია თუ არა ხელახალი ვადით დანიშვნა/არჩევა და ვინ არის აღნიშნულზე უფლებამოსილი სუბიექტი?

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის 47.12-ე მუხლის თანახმად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი. ერთი და იგივე პირი საბჭოს წევრად არ შეიძლება, აირჩეს ზედიზედ ორჯერ. 47.21-ე მუხლის თანახმად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე აირჩევა საბჭოს წევრთაგან 4 წლის ვადით.

საპროკურორო საბჭოს წევრები აირჩევიან 4 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი არ შეიძლება, არჩეულ იქნეს საპროკურორო საბჭოს წევრად ზედიზედ ორჯერ. საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარე აირჩევა საბჭოს წევრთაგან 2 წლის ვადით, საბჭოს დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით.

- საკვალიფიკაციო მოთხოვნები?

ორგანული კანონის 47.4-ე მუხლის თანახმად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არ შეიძლება, არჩეულ იქნეს გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლე, გარდა იმ მოსამართლეებისა, რომელთაც აქვთ მოსამართლედ მუშაობის სულ მცირე 5 წლის გამოცდილება. იუსტიციის საბჭოს წევრად არ შეიძლება, არჩეულ იქნეს სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის წევრი. სასამართლოების თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები, კოლეგიებისა და პალატების თავმჯდომარეები არ უნდა შეადგენდნენ საბჭოს მოსამართლე წევრთა ნახევარზე მეტს იუსტიციის საბჭოს შემადგენლობაში. პარლამენტის მიერ არჩეული საბჭოს არამოსამართლე წევრი შეიძლება, გახდეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, იურიდიულ პროფესიაში მუშაობის სულ მცირე 5 წლის გამოცდილება, მაღალი პირადი რეპუტაცია, არის სამართლის სფეროს აღიარებული სპეციალისტი. ორგანული კანონის 47.5-ე მუხლის თანახმად საბჭოს არამოსამართლე წევრად არ შეიძლება, არჩეულ იქნეს პარლამენტის წევრი, მოსამართლე ან პროკურორი. საბჭოს არამოსამართლე წევრები უნდა შეირჩნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორებისა და მკვლევარების, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრების, ან არასამთავრო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი კანდიდატებიდან.

“პროკურატურის შესახებ” საქართველოს კანონის მე-8¹ მუხლის თანახმად საპროკურორო საბჭოს პროკურორი წევრი უნდა იყოს პროკურორი/პროკურატურის გამომძიებელი, რომელსაც აქვს იურიდიულ პროფესიაში მუშაობის სულ მცირე 5 წლის გამოცდილება, მათ შორის, პროკურორად/პროკურატურის გამომძიებლად მუშაობის სულ მცირე 3 წლის გამოცდილება. პარლამენტის მიერ არჩეული საპროკურორო საბჭოს წევრი უნდა იყოს უმაღლესი იურიდიული განათლების, იურიდიულ პროფესიაში მუშაობის სულ მცირე 5 წლის გამოცდილების, მაღალი პიროვნული რეპუტაციის მქონე, სამართლის სფეროს აღიარებული სპეციალისტი. პარლამენტის წევრი, მოსამართლე ან პროკურორი არ შეიძლება, პარლამენტის მიერ არჩეულ იქნეს საპროკურორო საბჭოს წევრად.

- მართლმსაჯულების საბჭო და საპროკურორო საბჭო იღებენ თუ არა გადაწყვეტილებას მათი საქმიანობის მარეგულირებელი წესების შესახებ?

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის 49.2-ე მუხლის თანახმად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტს ამტკიცებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო წევრების ხმათა 2/3-ის უმრავლესობით. იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამტკიცებს მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის, დაწინაურების, განგრძობადი შეფასების, მოსამართლის გადაყვანის, საქმეთა განაწილებისა და მართლმსაჯულების ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ დეტალურ წესებს.

საპროკურორო საბჭოს საქმიანობის წესები განისაზღვრება საპროკურორო საბჭოს წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

- როგორ არის უზრუნველყოფილი ანგარიშვალდებულება?

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის 47.1¹-ე მუხლის თანახმად იუსტიციის უმაღლესი საბჭო ანგარიშვალდებულია მოსამართლეთა კონფერენციის წინაშე.

“პროკურატურის შესახებ” საქართველოს კანონის მე-8^{1.3} მუხლი (მიღებულია 21/10/2008 N382, კონსოლიდირებული ვერსია 05/09/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) ადგენს, რომ საპროკურორო საბჭოს წევრები ანგარიშვალდებული არიან მათი ამრჩევი ორგანოების წინაშე. კანონი

ასევე განსაზღვრავს, რომ პროკურატურა ექვემდებარება საპარლამენტო კონტროლს პარლამენტისთვის წარდგენილი გენერალური პროკურორის ყოველწლიური ანგარიშის ფორმით. კანონი ადგენს, რომ ანგარიშით არ უნდა მოხდეს ანგარიშის ჩაბარება კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე.

- როგორ ხდება პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენა და თავიდან არიდება?

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის 35³-ე მუხლი ადგენს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების წესს მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის პროცედურის ჩატარებისთვის. კანდიდატს უფლება აქვს, დასაბუთებული განცხადებით მიმართოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოითხოვოს საბჭოს წევრის აცილება, თუ სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი, კერძოდ, გარემოებები, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საბჭოს წევრის მიუკერძოებლობას, დამოუკიდებლობას ან ობიექტურობას. მეორე მხრივ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ვალდებულია, განაცხადოს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ და აიცილოს მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის პროცედურაში მონაწილეობა. ამასთან, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, მონაწილეობა მიიღოს მოსამართლის შერჩევის/დანიშვნის პროცედურაში, თუ აღნიშნული წევრი თავად არის კანდიდატი მოსამართლის შერჩევის/დანიშვნის ამავე პროცესში. საბჭოს წევრის აცილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ხმათა უმრავლესობით.

საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონი ვრცელდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებზე, მოსამართლეებზე, გენერალურ პროკურორსა და სხვა პროკურორებზე. კანონი განსაზღვრავს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების წესს, არეგულირებს ქონებრივი დეკლარაციის შევსების საკითხებს, საჩუქრის მიღების, მამხილებლის დაცვისა და სხვა საკითხებს.

- საბჭოების იმ წევრებს, რომლებიც თანამდებობრივად შედიან საბჭოს შემადგენლობაში, აქვთ თუ არა ხმის მიცემის უფლება და რა არის მათი კონკრეტული როლი და ფუნქციები?

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის 47.2-ე მუხლის თანახმად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ex officio წევრი – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე – სრულუფლებიანად მონაწილეობს საბჭოს სხდომებში და აქვს ხმის მიცემის უფლება.

- აქვს თუ არა ხმის უფლება იუსტიციის მინისტრს და, თუ – კი, რა შემთხვევებში?

იუსტიციის მინისტრი არ არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.

იუსტიციის მინისტრი არ არის საპროკურორო საბჭოს წევრი, თუმცა, ის ერთპიროვნულად ნიშნავს საპროკურორო საბჭოს ერთ წევრს, რომელიც სრულუფლებიანი წევრის სტატუსით მონაწილეობს საბჭოს საქმიანობაში.

8) არსებობს თუ არა მართლმსაჯულების სისტემაში ინსპექტირების სამსახური? (არის თუ არა შექმნილი შიდა კონტროლის მექანიზმები?) თუ – კი, აღწერეთ მისი შექმნის წესი, როლი, საქმიანობის წესი, ბიუჯეტი და მის მიერ განსახილველი საქმეების რაოდენობა. რა შესაძლებლობები არსებობს აღნიშნული სამსახურის გადაწყვეტილებების გასაჩივრებისთვის და ვინ იღებს საბოლოოდ გადაწყვეტილებას?

სასამართლო სისტემის რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში, “საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონით (მიღებულია 04/12/2009 N2257, კონსოლიდირებული ვერსია 31/10/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) შეიქმნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტი. დეპარტამენტის ფუნქციაა სასამართლოების ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის პროცესის

ზედამხედველობა. კანონით დეპარტამენტს აქვს განსაზღვრული შემდეგი ფუნქციები:

- შეისწავლის საქმეთა განაწილებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, სასამართლოთა დატვირთულობას, მოსამართლეთა დროებით გადაყვანის საჭიროებას, ინფორმაციას საქმის წარმოების შესახებ და რეკომენდაციებს წარუდგენს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და შესაბამის სასამართლოს;
- ზედამხედველობს საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემას და წარუდგენს რეკომენდაციების იუსტიციის უმაღლეს საბჭოს;
- ზედამხედველობს სასამართლოების რესურსების ეფექტიან და მიზნობრივ გამოყენებას და ამ მიზნით კოორდინირებას უწევს საერთო სასამართლოების დეპარტამენტსა და სასამართლოებს შორის თანამშრომლობას;
- ახორციელებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

საქართველოს პროკურატურის სისტემაში შექმნილია გენერალური ინსპექციის სამსახური. გენერალური ინსპექცია ანგარიშვალდებულია გენერალური პროკურორის წინაშე, რომელიც ზედამხედველობს ინსპექციის მუშაობას. გენერალური ინსპექციის ფუნქციებია:

- ზედამხედველობა გაუწიოს კანონის მოთხოვნათა შესრულებას პროკურატურის ორგანოების მიერ;
- ზედამხედველობას უწევს პროკურატურის სისტემაში ქცევისა და კანონიერების პრინციპის დაცვას, რეაგირებას ახდენს დისციპლინურ გადაცდომასა და ადამიანის უფლებებისა თუ კანონიერი ინტერესების დარღვევაზე;
- ახდენს კანონის დარღვევის პრევენციას პროკურატურის სისტემაში;
- აკონროლებს პროკურატურის სისტემის ფინანსებსა და საბიუჯეტო ხარჯებს;
- გამოიძიებს პროკურორების მიერ ჩადენილ დანაშაულებს;
- ასრულებს კანონით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

საქართველოს გენერალური პროკურორის ანგარიშში მითითებული მონაცემების თანახმად, რომელიც წარედგინა საპროკურორო საბჭოს,¹⁸ 2017 წელს პროკურატურის გენერალურმა ინსპექციამ ჩაატარა 68 საკონტროლო ღონისძიება 115 პროკურორისა და პროკურატურის გამომძიებლის წინააღმდეგ. აქედან 23 თანამშრომლის მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა (10 გაფრთხილება, 7 საყვედური, 4 თანამდებობიდან გათავისუფლება, 14 რეკომენდაცია, 9 გათავისუფლდა პირადი განცხადებით). 2017 წელს გენერალურმა ინსპექციამ დაიწყო გამოძიება 13 შემთხვევაზე. აქედან, 2 საქმეზე გამოძიება დაიწყო მოქალაქეების მიერ პროკურატურის სისტემის სახელით დანაშაულის ჩადენაზე. სხვა ინფორმაცია გენერალური ინსპექციის მუშაობასთან დაკავშირებით არ იქნა გამჟღავნებული.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტი შეიქმნა ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებების კანონით (08/02/2017 N255-III გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) და ძალაში შევიდა 08/03/2018 წელს. მას შემდეგ მენეჯმენტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი არ არის დანიშნული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ.

18. საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიში, თებერვალი 2018, თავი მე-9, გვ. 54-ე <http://pc.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%2F%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%206.02.2018.pdf>

არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიშის თანახმად¹⁹ რამდენიმე პრობლემა არის დაკავშირებული მენეჯმენტის დეპარტამენტის სტრუქტურასა და ფუნქციებთან: ა. მენეჯმენტის დეპარტამენტი პასუხისმგებელია საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის ფუნქციონირებასა და რეკომენდაციების გაცემაზე, თუმცა, კანონი არ განსაზღვრავს აღნიშნული უფლებამოსილების იმ ნაწილს, დეპარტამენტის ფუნქციები შემოიფარგლება ტექნიკური ზედამხედველობით თუ, ამასთანავე, დეპარტამენტს ექნება შესაძლებლობა, გააკონტროლოს საქმეთა საგამონაკლისო წესით განაწილების შემთხვევებიც; ბ. მენეჯმენტის დეპარტამენტს კანონი განუსაზღვრავს რამდენიმე ფართო და ბუნდოვან უფლებამოსილებას, რამაც შეიძლება, შელახოს ცალკეული სასამართლოების ავტონომიურობა, მათ შორის, მოსამართლის დატვირთულობის შესახებ ინფორმაციის გაანალიზება, საქმეთა განხილვის ინდექსი და მოქალაქეთა მომსახურების ხარისხი; გ. ამჟამად სასამართლო სისტემაში ფუნქციონირებს რამდენიმე ორგანო, რომელთა ფუნქცია სასამართლოების ადმინისტრაციული და ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესებაა. სასამართლოების თავმჯდომარეებისა და სასამართლოს მენეჯერების გარდა, სასამართლო სისტემაში ასევე შექმნილია საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოებს მატერიალური და ტექნიკური მხარდაჭერით. თუმცა, საერთო სასამართლოების დეპარტამენტისა და მენეჯმენტის დეპარტამენტის ფუნქციები მსგავსია. კერძოდ, ორივე შემთხვევაში დეპარტამენტის ხელმძღვანელი ინიშნება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ. არსებული ადმინისტრაციული ერთეულების გათვალისწინებით, ბუნდოვანია იმავე ფუნქციების მქონე ახალი დეპარტამენტის შექმნის მიზანშეწონილობა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მათ ფუნქციებში დამთხვევები აშკარაა.

პროკურორი/გამომძიებელი პასუხს აგებს დანაშაულის ჩადენისთვის ზოგადი წესების მიხედვით.

ცოტა ხნის წინ პარლამენტმა მიიღო კანონი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ (მიღებულია 21/07/2018 N3273-რს, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge), რომელიც არის დამოუკიდებელი ორგანო და პასუხისმგებელია სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი შემდეგი დანაშაულების გამოძიებაზე: სისხლის სამართლის კოდექსის 144¹-143³-ე, 332.3-ე მუხლის ბ და დ ქვეპუნქტები, 333.3-ე მუხლის ბ და გ ქვეპუნქტების 335-ე, 378.2-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები, თუ აღნიშნული დანაშაულები ჩადენილ იქნა სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლის მიერ; ასევე სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლის მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულები, რამაც გამოიწვია პირის სიკვდილი ამ პირის წინასწარი დაკავების ადგილას ყოფნის ან პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის, ან სამართალდამცავი უწყების მიერ კონტროლირებად სხვა ადგილას ყოფნის დროს, ან თუ პირი სხვაგვარად იმყოფებოდა სახელმწიფო კონტროლის ქვეშ.

გამომძიებლის წარმართვა და მასზე საპროკურორო ზედამხედველობა, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, ასევე ამ საქმეებზე სისხლის სამართლებრივი დევნა ხორციელდება გენერალური პროკურატურის სტრუქტურული ერთეულის მიერ, რომელიც გენერალურ პროკურორს ექვემდებარება.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური დამოუკიდებელი უწყებაა და არ ექვემდებარება რომელიმე სხვა უწყების ან თანამდებობის პირის მხრიდან კონტროლს. ინსპექტორის საქმიანობაზე გავლენის მოხდენა ან მის საქმიანობაში ჩარევა აკრძალულია და ისჯება კანონით დადგენილი წესით. სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატის შერჩევას ახორციელებს პრემიერმინისტრი განაცხადების მიღების

19. კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, “სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები”, 2017, გვ. 89-90 <https://www.gyla.ge/files/news/2006/sasamrtlo%20sistema%20kvleva.pdf>

საჯაროდ გამოცხადების შემდეგ. სახელმწიფო ინსპექტორი აირჩევა საქართველოს პარლამენტის მიერ პრემიერმინისტრის წარდგინების საფუძველზე. მისი უფლებამოსილების ვადაა 6 წელი. ერთი და იგივე პირი სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობაზე არ შეიძლება, არჩეულ იქნეს ზედიზედ ორჯერ.

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული მოსაზრებების თანახმად²⁰ ძირითადი პრობლემები, რაც ხელს უშლის სახელმწიფო ინსპექტორის დამოუკიდებელ და ეფექტურ მუშაობას, შემდეგია: ინსპექტორის უფლებამოსილება შეზღუდულია მხოლოდ განსაზღვრული დანაშაულების გამოძიების უფლებამოსილებით, რაც არ მოიცავს ყველა დანაშაულს, რომელიც შეიძლება, ჩადენილ იქნეს სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას; ინსპექტორის ფუნქციაა მხოლოდ დანაშაულის გამოძიება და მას არ აქვს სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება, ასევე სახელმწიფო ინსპექტორის მიერ განხორციელებულ გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობის ფუნქცია რჩება გენერალური პროკურატურის ხელში.

7

მოსამართლეთა გადაყვანა:

ა) რა პროცედურით ხდება მოსამართლეთა გამწესება კონკრეტულ სასამართლოებში?

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის 35.5-ე მუხლი (მიღებულია 04/12/2009 N2257, კონსოლიდირებული ვერსია 31/10/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) ადგენს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო აცხადებს კონკურსს პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში ვაკანსიების შესავსებად. კონკურსში მონაწილე კანდიდატებმა უნდა მიუთითონ კონკრეტული სასამართლო, კოლეგია/ პალატა, რომელში დანიშნავენ საბჭოს. მათ შეუძლიათ, მიუთითონ ერთი ან მეტი ვაკანტური ადგილი, რომელზეც შეაქვთ განაცხადი. ამდენად, პირველად დანიშნვის ეტაპზე, მოსამართლეები ინიშნებიან კონკრეტულ ვაკანტურ პოზიციაზე მათივე მითითებულის შესაბამისად.

მოსამართლის თანამდებობა ვაკანტური ხდება მას შემდეგ, რაც აღნიშნულ პოზიციაზე მყოფი მოსამართლის უფლებამოსილების ვადა ამოიწურება.

ბ) შეიძლება თუ არა მოსამართლის გადაყვანა სხვა სასამართლოში ან რეგიონში? როგორ და ვინ იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის გადაყვანის შესახებ?

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის 37-ე მუხლი ადგენს მოსამართლის გადაყვანას სხვა სასამართლოში ვაკანტურ პოზიციაზე, კონკურსის გარეშე და გადასაყვანი მოსამართლის თანხმობით.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის (მიღებულია 25/09/2007 N208, კონსოლიდირებული ვერსია გამოქვეყნებულია <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20>

20. კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, მოსაზრებები სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ საქართველოს კანონის პროექტზე, 25/04/2018 http://coalition.ge/index.php?article_id=185&clang=0

gadackvetilebebi/2007-2008.pdf) მე-13 მუხლი ადგენს, რომ საბჭო უფლებამოსილია, კონკურსის გარეშე გადაიყვანოს მოსამართლე სხვა სასამართლოში. აღნიშნული მუხლი ასევე განმარტავს, რომ ორგანული კანონის 37-ე მუხლის გამოყენების მიზანია მართლმსაჯულების ინტერესების ეფექტურად და შეფერხების გარეშე დაცვა. მოსამართლის სხვა სასამართლოში გადაყვანის საფუძველი შეიძლება, იყოს ერთ-ერთი შემდეგი:

- ▶ შესაბამის სასამართლოში მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობა ან განსახილველ საქმეთა მკვეთრი ზრდა;
- ▶ თუ კონკურსი მოსამართლეთა დასანიშნად არ იქნა გამოცხადებული ან შეუძლებელია კონკურსის საჭირო ვადაში ჩატარება;
- ▶ მოსამართლის განცხადება სხვა სასამართლოში კონკურსის გარეშე დანიშვნის შესახებ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი ადგენს, რომ მოსამართლის გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე საბჭომ უნდა გაითვალისწინოს შესაბამის სასამართლოში მოსამართლის გადაყვანის საჭიროება, მოსამართლის საცხოვრებელი ადგილი, მისი და მისი ოჯახის წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობა, გადაწყვეტილების გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე და სხვა გარემოებები.

რეგლამენტი ასევე ადგენს მოსამართლის უკონკურსოდ გადაყვანის პროცედურას. კერძოდ, ორგანული კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებული გადაყვანის წესით ვაკანსიის შევსების შესახებ ცხადდება საჯაროდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია, მიმართოს საბჭოს გადაყვანის შესახებ განცხადებით. საბჭო განიხილავს განცხადებებს და მოსამართლეთა ატარებს გასაუბრებას. მოსამართლის კონკურსის გარეშე გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილებას იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს ხმათა 2/3-ის უმრავლესობით.

მოსამართლის დროებით გადაყვანა

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონი უფლებამოსილებას ანიჭებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, მოსამართლე მიავლინოს ერთი სასამართლოდან სხვა სასამართლოში. კანონით დადგენილია გარკვეული გარანტიები მოსამართლის მივლინებისას მისი დამოუკიდებლობის ხელყოფის რისკის დასაბღვევად: კონკრეტულ სასამართლოში საქმეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდის შემთხვევაში, თუ სასამართლოში არ არის მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობა, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ პირველ რიგში უნდა მიმართოს მოსამართლეთა სარეზერვო სიიდან. მხოლოდ მას შემდეგ, რაც არცერთი მოსამართლე არ გამოთქვამს თანხმობას დროებით გადაყვანაზე, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მივლინება უნდა შესთავაზოს ახლომდებარე სასამართლოს მოსამართლეთა. თუ არც აღნიშნული მოსამართლეები გამოთქვამენ გადაყვანის შესახებ თანხმობას, იუსტიციის უმაღლესი საბჭო შესთავაზებს დროებით გადაყვანას იმავე ინსტანციის სხვა მოსამართლეთა. ნებისმიერი ზემოაღნიშნული მოსამართლე შეიძლება, მივლინებულ იქნეს სხვა სასამართლოში მხოლოდ მისივე თანხმობით და არა უმეტეს 1 წლის ვადით. მივლინების ვადა შეიძლება, გაგრძელდეს კიდევ ერთი წლით, რაც ასევე მოსამართლის თანხმობით შეიძლება, განხორციელდეს. თუ მოსამართლე არ იქნება თანახმა მივლინების ვადის გაგრძელებაზე, დროებით გადაყვანის ვადა უნდა შეწყდეს. მოსამართლის დროებით სხვა სასამართლოში გადაყვანის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.

თუ არცერთი მოსამართლე არ განაცხადებს თანხმობას გადაყვანის შესახებ, იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების შესახებ მისი თანხმობის გარეშე. კანონი ითვალისწინებს რამდენიმე გარანტიას აღნიშნულთან დაკავშირებით: იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია, შეარჩიოს დროებით გადასაყვანი მოსამართლე მხოლოდ

იმ სასამართლოს ახლომდებარე სასამართლოდან, სადაც უნდა იქნეს მოსამართლე გადაყვანილი. საბჭოს გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იქნეს კონკრეტული მიზეზები მოსამართლის მივლინების საჭიროების დასაბუთებლად. გადაწყვეტილება გადასაცემი მოსამართლის შერჩევის შესახებ მიიღება წილისყრით. წილისყრის საფუძველზე შერჩეული მოსამართლე უფლებამოსილია, მიმართოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დასაბუთებული განცხადებით სხვა სასამართლოში გადასვლის შეუძლებლობის შესახებ. თუ საბჭო ჩათვლის, რომ მოსამართლის გადაყვანა არ არის მიზანშეწონილი, წილისყრის პროცედურა ხელახლა ჩატარდება.

ერთი და იგივე მოსამართლე მივლინების წესით შეიძლება, გადაყვანილ იქნეს სხვა სასამართლოში 10 წელიწადში მხოლოდ ერთხელ.

მოსამართლის მივლინების პროცედურების განხორციელების პარალელურად იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებულია, დაიწყოს მოსამართლის შერჩევის კონკურსის პროცედურების ჩატარება იმ სასამართლოში ვაკანტური ადგილების შესავსებად, სადაც გაჩნდა მოსამართლის დროებით გადაყვანის საჭიროება.

8

რა მექანიზმები არსებობს სასამართლოს შიდა დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად? ქვედა ინსტანციის სასამართლო არის თუ არა დამოუკიდებელი ზედა ინსტანციის სასამართლოებისაგან და უზენაესი სასამართლოსაგან? უზენაეს სასამართლოს ეკრძალება თუ არა ინსტრუქციების, მითითებების, რეკომენდაციების, განმარტებების გაცემა ან ქვედა ინსტანციის სასამართლოების ზედამხედველობა? სასამართლოს ხელმძღვანელები ახორციელებენ თუ არა შეფასებას, წახალისებას ან დისციპლინირებას? დადებითი პასუხის შემთხვევაში, რა მექანიზმები არსებობს მართლმსაჯულების სისტემის შიდა იერარქიის მხრიდან არასათანადო გავლენისაგან თავის არიდებისთვის?

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის (მიღებულია 24/08/1995 N786, კონსოლიდირებული ვერსია 23/03/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) თანახმად მოსამართლე დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და უნდა ემორჩილებოდეს მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. მოსამართლეზე ნებისმიერი ზემოქმედება ან ჩარევა მის საქმიანობაში მის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით. არავინ არის უფლებამოსილი, მოსამართლეს მოსთხოვოს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. მოსამართლის დამოუკიდებლობის შემზღვეველი ნებისმიერი აქტი ბათილია.

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის მე-4 მუხლი (მიღებულია 04/12/2009 N2257, კონსოლიდირებული ვერსია 31/10/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) ადგენს, რომ მხოლოდ სასამართლო არის უფლებამოსილი, კანონით დადგენილი წესით გააუქმოს, შეცვალოს ან შეაჩეროს სასამართლოს გადაწყვეტილება. სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან შესრულებისათვის ხელის შეშლა იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.

“საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის თანახმად მოსამართლე დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტებს აფასებს და საქმეზე გადაწყვეტილებას იღებს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის აღიარებული ნორმებისა და პრინციპების, სხვა კანონებისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე. არავის აქვს უფლება, მოსამართლეს მოსთხოვოს ანგარიში კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. აკრძალულია მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან, მისი უფლებამოსილების ვადის შეწყვეტა ან მისი გადაყვანა სხვა თანამდებობაზე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მოსამართლის შეუცვლელობის პრინციპი გარანტირებულია კონსტიტუციით.

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის მე-8 მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, ინსტიტუციებს, სამოქალაქო ან პოლიტიკურ გაერთიანებას, სახელმწიფო მოხელეს, იურიდიულ ან ფიზიკურ პირს ეკრძალებათ მოსამართლის დამოუკიდებლობის ხელყოფა.

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის 75¹-ე მუხლის თანახმად კანონის არასწორი განმარტება, რაც გამომდინარეობს მოსამართლის შინაგანი რწმენიდან, არ წარმოადგენს დისციპლინურ დარღვევას და არ შეიძლება, იყოს მოსამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის საფუძველი.

თუმცა, ორგანული კანონის 30-ე მუხლი ადგენს მოსამართლეთა სპეციალიზაციას. კანონი ადგენს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო განსაზღვრავს მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციას და სპეციალიზებულ მოსამართლეთა რაოდენობას. სასამართლოს თავმჯდომარე განსაზღვრავს ვიწრო სპეციალიზაციისთვის კონკრეტული მოსამართლის მიკუთვნების საკითხს, რისთვისაც არ სჭირდება დასაბუთება. აღნიშნული საფრთხეს უქმნის ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობას, ასევე საქმეთა შემთხვევით განაწილების პრინციპს.

რაც შეეხება სასამართლოთა იურისდიქციასა და სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრებას, პირველი ინსტანციის სასამართლოთა გადაწყვეტილებებს სააპელაციო წესით განიხილავს ორი სააპელაციო სასამართლო თბილისსა და ქუთაისში. საქართველოს უზენაესი სასამართლო არის სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებების გადასინჯვაზე უფლებამოსილი ინსტანცია. 59.3-ე მუხლი ადგენს, რომ მართლმსაჯულებას ახორციელებს საერთო სასამართლოები. სპეციალიზებული სასამართლოების შექმნა დასაშვებია მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემაში. სამხედრო სასამართლო შეიძლება, შეიქმნას მხოლოდ საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში და საერთო სასამართლოების სისტემაში სპეციალური სასამართლოების შექმნა დაუშვებელია.

საქართველოს უზენაესი სასამართლო განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს შემდეგ საქმეებზე:

- თუ საჩივარი ეხება სამართლებრივ საკითხს, რომელზე გადაწყვეტილების მიღებაც ხელს შეუწყობს სამართლის და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის განვითარებას;
 - თუ უზენაეს სასამართლოს მსგავს სამართლებრივ საკითხზე არ უმსჯელია;
 - მოსალოდნელია, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ საქმის განხილვით შეიცვლება ამავე საკითხზე იქამდე დადგენილი პრაქტიკა;
 - სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება უზენაესი სასამართლოს მიერ ამავე საკითხზე ადრე დადგენილი პრაქტიკისაგან;
 - სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას დაარღვია მატერიალური ან პროცესუალური კანონმდებლობა, რასაც შეუძლია, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს საქმის შედეგზე;
 - სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება იმავე საკითხზე უზენაესი სასამართლოს ან ევროპული სასამართლოს მიერ იქამდე დადგენილ პრაქტიკას;
 - მომჩივანი არასრულწლოვანია.

საქართველოს უზენაესი სასამართლო შედგება 28 მოსამართლისაგან. მოსამართლეთა რაოდენობას განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია და ორგანული კანონი. უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ დასანიშნ პირს წარადგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭო და ირჩევს საქართველოს პარლამენტი, ხოლო პირველი და სააპელაციო ინსტანციის მოსამართლეებს თანამდებობაზე ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსაგან დამოუკიდებლად, გადაწყვეტილებას იღებს უზენაესი სასამართლოს დამოუკიდებლობასა და ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ შემდეგ საკითხებზე:

- ▶ ირჩევს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის წევრებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით;
 - ირჩევს უზენაესი სასამართლოს პალატების თავმჯდომარეებს;
 - ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს 3 წევრს;
 - წარდგინებით მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური შეთანხმების, კანონის, პრეზიდენტისა და მთავრობის ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით;
 - საქართველოს პრეზიდენტს ან მთავრობას წარუდგენს რეკომენდაციას უზენაესი სასამართლოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ;
 - წყვეტს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე წარმართავს უზენაესი სასამართლოს მუშაობას, სასამართლო სისტემის სახელით ურთიერთობს სახელმწიფო ხელისუფლების სხვა შტოებთან, მედიასა და ფართო საზოგადოებასთან, წყვეტს უზენაესი სასამართლოს აპარატის წევრთა დანიშვნისა და გათავისუფლების საკითხს, თანამდებობრივად არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.

პირველი და სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეები, კოლეგიებისა და პალატების თავმჯდომარეები თანამდებობაზე ინიშნებიან იუსტიციის საბჭოს მიერ 5 წლის ვადით. სასამართლოების თავმჯდომარეების მოადგილეები, კოლეგიებისა და პალატების თავმჯდომარეების მოადგილეები თანამდებობაზე ინიშნებიან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ. იუსტიციის საბჭო ასევე ნიშნავს სასამართლოების, კოლეგიების, პალატების თავმჯდომარეთა მოვალეობის შემსრულებლებს.

სასამართლოს თავმჯდომარეს აქვთ შემდეგი უფლებამოვალეობები:

- ▶ განიხილავს საქმეებს;
 - ზედამხედველობს სასამართლოს აპარატის მუშაობას, წყვეტს სასამართლოს მენეჯერის, მოსამართლის თანაშემწის, სასამართლო სხდომის მდივნის დანიშვნასა და გათავისუფლებას, მათი დისციპლინირების საკითხს;
 - აუცილებლობის შემთხვევაში მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით უფლებამოსილია, საქმის განხილვა დაავალოს მოსამართლეს სხვა კოლეგიაში ან პალატაში, ან სხვა სასამართლოს შემადგენლობაში, ან მაგისტრატ მოსამართლეს დაავალოს საქმის განხილვა მისი იურისდიქციის გარეთ არსებულ ტერიტორიაზე მისივე თანხმობით;
 - ორგანიზებას უწევს სასამართლოს მუშაობას, შეისწავლის საქმეთა განაწილების შესახებ ინფორმაციას (მათ შორის, მონაცემებს საქმეთა შეტანისა და განხილვის დასრულების, საქმის განაწილების, საქმეთა განხილვის გაჭიანურების შესახებ) და განზოგადებულ ინფორმაციას წარუდგენს მოსამართლეებსა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს ზომებს საქმეთა განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილების შესახებ;
 - უზრუნველყოფს სასამართლოში წესრიგის დაცვას;
 - ასრულებს კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება, მოსამართლეს საქმის განხილვა დაავალოს სხვა კოლეგიაში, პალატასა ან შემადგენლობაში, ან მაგისტრატ მოსამართლეს დაავალოს საქმის განხილვა მისი სამოქმედო ტერიტორიის გარეთ, საფრთხის ქვეშ აყენებს მოსამართლის შიდა დამოუკიდებლობას. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ სასამართლოს, კოლეგიის, პალატის თავმჯდომარეების შერჩევისა და დანიშვნის წესი არ არის განსაზღვრული კანონით ან საბჭოს გადაწყვეტილებით. საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შერჩევის კრიტერიუმები, დეტალური პროცედურა სასამართლოების თავმჯდომარეთა დანიშვნის შესახებ კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული. პრაქტიკაში სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნის პროცესი გაუმჭვირვალეა. ამასთან, არ არსებობს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის მარეგულირებელი წესი, რაც პრაქტიკაში ასევე აჩენს კითხვებს აღნიშნული მექანიზმის არასათანადოდ გამოყენების შიშისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან.²¹

სასამართლოს თავმჯდომარეებს მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები აქვთ განსაზღვრული სასამართლოში საქმეთა შემთხვევით განაწილების წესის მიხედვით (მიღებულია 01/05/2017 N1/56, კონსოლიდირებული ვერსია გამოქვეყნებულია <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/56.pdf>). აღნიშნული წესის თანახმად სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია, გააკონტროლოს საქმეთა რაოდენობა, რაც კონკრეტულ მოსამართლეს დაეწერება. ასევე, როცა ელექტრონულ სისტემას ხარვეზი აქვს, თავმჯდომარე უფლებამოსილია, გაანაწილოს საქმეები ელექტრონული სისტემის გამოსწორებამდე ანბანური განაწილების წესით.

ზოგადი წესის თანახმად სასამართლოს, კოლეგიის, პალატის თავმჯდომარეები უფლებამოსილი არიან, გაანაწილონ საქმეები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული სისტემის შეფერხება 2 დღეს აღემატება. საქმის განაწილების წესი ასევე ადგენს საგამონაკლისო შემთხვევებს, როცა თავმჯდომარე უფლებამოსილია, გაანაწილოს საქმეები შემთხვევითი პრინციპის გვერდის ავლით. ასეთი საქმეებია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განხილული ან საქმეები, რომელთა განხილვის ვადა არის 24 ან 48 საათი იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული განაწილების სისტემის შეფერხება 3 საათზე მეტ ხანს გრძელდება.

საქმის განაწილების წესში 2017 წლის 24 ივლისს განხორციელებული ცვლილებით (მიღებულია 24/07/2017 N1/243, გამოქვეყნებულია <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/243-2017.pdf> last visited 01/12/2018) კოლეგიის, პალატის თავმჯდომარე ასევე უფლებამოსილია, საქმეები გაანაწილოს ანბანურად, თუმცა, კანონი არ განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაში შეუძლიათ მათ საქმის ანბანური წესით განაწილების უფლებამოსილების გამოყენება.

საქმის განაწილების ახალ მოდელში ყველაზე პრობლემური და აღსანიშნავია სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება, განსაზღვროს მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალიზაციის სფეროებს განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სასამართლოს თავმჯდომარე ერთპიროვნულად წყვეტს კონკრეტულ სპეციალიზაციაში შემავალი მოსამართლეების ვინაობას. აღნიშნული რეალურ საფრთხეს უქმნის საქმის განაწილების სისტემას. პრობლემას აღრმავებს ის გარემოება, რომ არ არსებობს პროცედურა მოსამართლეთა სპეციალიზაციის განსაზღვრისთვის.

21. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში, გვ. 33-37 [https://gyla.ge/files/news/2006/MONITORING%20REPORT%20OF%20THE%20HIGH%20COUNCIL%20OF%20JUSTICE%202017%20ENGLISH%20\(3\).pdf](https://gyla.ge/files/news/2006/MONITORING%20REPORT%20OF%20THE%20HIGH%20COUNCIL%20OF%20JUSTICE%202017%20ENGLISH%20(3).pdf)

საქმის განაწილების ახალი სისტემის შეფასების ანგარიში გამოქვეყნდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ.²²

9 ხელმისაწვდომია თუ არა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები და რა ფორმით?

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები გამოქვეყნებულია და ხელმისაწვდომია სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით (www.supremecourt.ge) სპეციალური საძიებო სისტემის გამოყენებით (<http://prg.supremecourt.ge/>). ამასთან, სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებები თავმოყრილია ამავე ვებგვერდის ცალკე ბმულზე (<http://supremecourt.ge/ganmartebebi/>) და ცალკე ქვეყნდება უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა (<http://supremecourt.ge/uniform-court-practice/>). უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები ქვეყნდება პერსონალური მონაცემების დაცვით. ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები ქვეყნდება ოფიციალურ ვებგვერდზე www.info.court.ge.

2016 წლის სექტემბერში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ წესი (მიღებულია 12/09/2016 N1/250 და შეტანილია ცვლილება 17/10/2016 N1/260). აღნიშნული რეგულაცია განსაზღვრავს გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობისა და მათი პროაქტიულად გამოქვეყნების წესს, რომელიც ვრცელდება სამივე ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებების გამოქვეყნებაზე.

ზემოაღნიშნული წესი ადგენს, რომ ყველას აქვს უფლება, მოითხოვოს და მიიღოს სასამართლოს გადაწყვეტილება (გარდა დახურულ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებისა) პერსონალურ მონაცემთა დაცვით (სასამართლოს გადაწყვეტილება არ გასაჯაროვდება, თუ გასაჯაროება გამოიწვევს სხვა პირის პერსონალური მონაცემების პირდაპირ ან არაპირდაპირ გასაჯაროებას).

წესი ადგენს სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიან რეესტრს, რომლის მეშვეობითაც გადაწყვეტილებები ზემოთ აღნიშნულ ვებგვერდებზე ქვეყნდება. პროაქტიული გამოქვეყნების მიზნებისთვის სასამართლოს გადაწყვეტილებებში ხდება პერსონალური მონაცემების დაფარვა. დაშტრიხვას ექვემდებარება შემდეგი პერსონალური მონაცემები: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია, სამუშაო ადგილი, იურიდიული პირის მისამართი, მანქანის სარეგისტრაციო ნომერი, ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიწვევს პერსონალური მონაცემის პირდაპირ ან არაპირდაპირ გამჟღავნებას.

გამოქვეყნებულ სასამართლო გადაწყვეტილებებში სრულად დაფარულია ნებისმიერი პერსონალური ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვნად ართულებს ტექსტის წაკითხვასა და მისი შინაარსის აღქმას.

სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ საკასაციო წესით გასაჩივრებას ექვემდებარება მხოლოდ გარკვეული კატეგორიის საქმეები. სამოქალაქო საპროცესო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებით

22. EMC, “როგორ მუშაობს საქმის განაწილების ახალი სისტემა სასამართლოში” <https://emc.org.ge/ka/products/rogor-mushaobs-sakmis-ganatsilebis-akhali-sistema-sasamartloshi>

დადგენილი გასაჩივრების საფუძვლები ზღუდავს საქმეთა კატეგორიებს, რომლებიც შეიძლება, საკასაციო წესით გასაჩივრდეს. ამასთან, საარჩევნო დავები და ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა კოდექსიდან გამომდინარე დავები საკასაციო წესით არ საჩივრდება, რაც კიდევ უფრო ზღუდავს სასამართლოს იურისდიქციას. აღნიშნული შეზღუდვები იწვევს სასამართლო გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვას, ვინაიდან არ არსებობს სპეციალური ონლაინ პროგრამა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად და აღნიშნული სასამართლოები პროაქტიულად არ აქვეყნებენ საკუთარ გადაწყვეტილებებს.

პირველი და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის წესით. 2015 წლის ოქტომბრამდე აღნიშნული გადაწყვეტილებების გამოთხოვა თავისუფლად იყო შესაძლებელი. თუმცა, 2015 წლის ოქტომბრის შემდეგ საერთო სასამართლოებმა დაიწყეს გადაწყვეტილებების გაცემაზე უარის თქმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოტივით. შედეგად, ამჟამად შეუძლებელია სასამართლო გადაწყვეტილებების მიღება, მათ შორის სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული განაჩენების გამოთხოვა, რომლებიც ყოფილი მაღალჩინოსნების მიმართ იქნა გამოტანილი. გადაწყვეტილებების გამოთხოვა მხოლოდ შესაძლებელია დეპერსონალიზებული ფორმით, ისე, რომ საქმეში მონაწილე კონკრეტული პირების ან კონკრეტული საქმის იდენტიფიცირება შეუძლებელია.

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის კუთხით შემდეგი პრობლემები არსებობს: სასამართლოები იყენებენ პერსონალურ მონაცემთა ცნებისა და დეპერსონალიზების ვალდებულების ფართო ინტერპრეტაციას; მხედველობაში არ იღებენ საჯარო ინტერესს კონკრეტული სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჯაროებისას; დარღვეულია ბალანსი პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ინტერესებს შორის; სასამართლოები არ გაცემენ ყოფილი მაღალჩინოსნების საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს; სასამართლოები პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებას ავრცელებენ იურიდიულ პირებზე; ხშირად სასამართლოები უარს ამბობენ გადაწყვეტილებების გაცემაზე დეპერსონალიზაციის უზრუნველყოფისთვის არასაკმარისი რესურსების გამო და სხვა.²³

სასამართლო გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობის არსებული პრობლემები ასევე ხარვეზიანი კანონმდებლობითაც არის განპირობებული. ამავე არასამთავრობო ორგანიზაციის სხვა ანგარიში აფასებს საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მარეგულირებენ კანონმდებლობას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს და მიუთითებს შემდეგს: კანონმდებლობა უპირობო პრიორიტეტს ანიჭებს პერსონალური მონაცემების დაცვას; კანონმდებლობა მხედველობაში არ იღებს კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით შესაძლო საჯარო ინტერესის არსებობას.²⁴ ამავე ანგარიშის მიხედვით საჯარო ინფორმაციის ღიაობის კანონმდებლობა და პრაქტიკა, რომელიც გამოიყენება საქართველოში, შეუსაბამოა ამავე საკითხებზე დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებთან.

23. „სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა საქართველოში: საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი“ (2016), IDFI https://idfi.ge/en/access_to_court_decisions_in_georgia_analyses_of_general_courts_practices

24. „სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის გაზრდა საქართველოში – პროექტის შედეგების პრეზენტაცია“ (2017), IDFI https://idfi.ge/en/increasing_access_to_judicial_decisions_in_georgia_presentation_of_project_results

მიუკერძოებლობა

10 როგორ არის კანონმდებლობით უზრუნველყოფილი მიუკერძოებელი მართლმსაჯულება?

საქართველოს კონსტიტუციის 63.1-ე მუხლი (მიღებულია 24/08/1995 N786 კონსოლიდირებული ვერსია 23/03/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) ადგენს მოსამართლის დამოუკიდებლობას და განსაზღვრავს, რომ მოსამართლე ვალდებულია, დაემორჩილოს კონსტიტუციასა და კანონს.

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის მე-7.1 მუხლი (მიღებულია 04/12/2009 N2257, კონსოლიდირებული ვერსია 31/10/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) ადგენს, რომ მოსამართლე დამოუკიდებელია. ის აფასებს ფაქტებს და გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონებისა და საკუთარი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

მართლმსაჯულების განმახორციელებელ პირთა და ინსტიტუციების დამოუკიდებლობა გარანტირებულია სხვადასხვა კანონით. “საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის 72-ე მუხლის თანახმად საქმის სასამართლოში შეტანიდან სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე, ასევე, სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს, სამართალწარმოების მონაწილეთა, ნებისმიერი დაინტერესებული პირის, საჯარო მოხელის ან პოლიტიკური თანამდებობის პირის მხრიდან მოსამართლესთან კომუნიკაცია საქმის გამოძიების, საქმის განხილვასთან ან შესაძლო შედეგთან დაკავშირებით აკრძალულია და წარმოადგენს მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის, შევზღუდვითი პრინციპის დარღვევას. ამავე კანონით დადგენილია მოსამართლესთან არასათანადო კომუნიკაციის შემთხვევაში პასუხისმგებლობის ზომები.

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის 75-ე მუხლი ადგენს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს, რომელთაგან ერთ-ერთია სამოსამართლო ეთიკის პრინციპების დარღვევა. სამოსამართლო ეთიკის წესები დამტკიცებულია საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ. წესები აღიარებს მოსამართლის მიუკერძოებლობის მნიშვნელობას და შეიცავს რამდენიმე ნორმას მოსამართლის მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, „მოსამართლე ვალდებულია, უზრუნველყოს, რომ მისი ქცევა, როგორც ინდივიდუალურ, ისე ინსტიტუციურ დონეზე, აძლიერებს სასამართლოს მიმართ ნდობას, სამართლიანობასა და მის მიუკერძოებლობას.“

აღსანიშნავია, რომ მიმდინარეობს სასამართლო რეფორმის მეოთხე ტალღა, რომელიც ითვალისწინებს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის სრულიად ახალი სისტემის შემოღებას. დადგენილი იქნება მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის ახალი საფუძველები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებთან და ბანგალორის პრინციპებთან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29–36-ე მუხლები (მიღებულია 14/11/1997 N1106, კონსოლიდირებული ვერსია 05/07/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59–66-ე მუხლები (მიღებულია 09/10/2009 N1772, კონსოლიდირებული ვერსია 05/09/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) ადგენს საქმის განხილვისაგან მოსამართლის აცილების წესებს იმ შემთხვევაში, თუ სახეგა გარემოებები, რომლებიც აღძრავს ეჭვებს მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით (აცილება და თვითაცილება). აღნიშნული წესის დაუცველობა წარმოადგენს სერიოზულ პროცესუალურ დარღვევას, რაც შეიძლება, გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში.

საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები ითვალისწინებს საქართველოს პროკურატურის სრულიად დამოუკიდებელ ინსტიტუციად ჩამოყალიბებას. კონსტიტუციის 65.1-ე მუხლი ადგენს, რომ საქართველოს პროკურატურა დამოუკიდებელია და ვალდებულია, იმოქმედოს მხოლოდ კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად.

“პროკურატურის შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლი ადგენს პროკურატურის სისტემის მუშაობის შემდეგ პრინციპებს: კანონიერება, ადამიანის უფლებათა დაცვა, პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა, ცენტრალიზაცია, ქვედა იერარქიის პროკურორების ზემდგომ პროკურორთან სუბორდინაცია, პოლიტიკური ნეიტრალიტეტი.

იუსტიციის მინისტრის ბრძანებით (მიღებულია 25/05/2017 N234, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) დამტკიცებულია პროკურორთა ეთიკის კოდექსი. კოდექსით დადგენილია, რომ მისი მიზანია ეთიკის წესების განსაზღვრა, რაც ხელს შეუწყობს მიუკერძოებელ სისხლის სამართლებრივ დევნას. კოდექსი ასევე ადგენს, რომ პროკურორებმა მკაცრად უნდა დაიცვან კერძო ინტერესებისგან დამოუკიდებლობის პრინციპი, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა. პროკურორებმა უნდა მიმართონ ღონისძიებებს იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ მიკერძოებული მოქმედების აღქმაც კი. კონკრეტულ საქმეზე სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებისას პროკურორი არ უნდა მოექცეს ცალკეული პირის (მათ შორის, პოლიტიკოსებისა და მაღალი თანამდებობის პირების), მედიის ან საზოგადოებრივი აზრის გავლენის ქვეშ. მინისტრის აღნიშნული ბრძანება ასევე ადგენს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების წესებს. პროკურორის მიერ ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევამ შესაძლოა, გამოიწვიოს მისი დისციპლინური პასუხისმგებლობა, რაც ამავე კოდექსით არის გათვალისწინებული.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59–66-ე მუხლების თანახმად პროკურორი შეიძლება, ჩამოცილებულიქნეს საქმეს, თუ სახეზეა გარემოებები, რომლებიც აღძვრის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობა წარმოადგენს საპროცესო კანონმდებლობის სერიოზულ დარღვევას და შეიძლება, გასაჩივრდეს სააპელაციო წესით.

11 ანგარიშვალდებულება და დისციპლინა:

ა) მიღებულია თუ არა ეთიკის კოდექსი მართლმსაჯულების განმახორციელებელთათვის? თუ – კი, ვის მიერ იქნა ის დამტკიცებული? რა არის მისი სამართლებრივი სტატუსი? როგორ ხდება მისი იმპლემენტაცია?

“პროკურატურის შესახებ” საქართველოს კანონი (მიღებულია 21/10/2008 N382, კონსოლიდირებული ვერსია 05/09/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) ადგენს იუსტიციის მინისტრის უფლებამოსილებას, დაამტკიცოს პროკურორთა ეთიკის წესები (კონსტიტუციის გადასინჯვის ძალაში შესვლის შემდეგ აღნიშნული უფლებამოსილება გადაეცემა გენერალურ პროკურორს ან საპროკურორო საბჭოს).

იუსტიციის მინისტრის ბრძანება (მიღებულია 25/05/2017 N234, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) პროკურორთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ ავალდებულებს პროკურორებს, დაიცვან ეთიკის სტანდარტები და ხელი შეუწყონ პროკურატურის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას. კოდექსი ავალდებულებს ყველა პროკურორს, დაიცვან და პატივი სცენ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს, კანონსა და საერთაშორისო ნორმებს, დისკრიმინაციის

აკრძალვის წესებს. კოდექსი ადგენს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ წესებს, ყველა პროკურორისაგან მოითხოვს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის, ეფექტიანობისა და პროფესიონალიზმის პრინციპების დაცვას, ადგენს კოლეგებთან ურთიერთობის ეთიკის წესებს, კონფიდენციალურობის, პერსონალური მონაცემების დაცვის, კონკრეტულ საქმეებზე განმარტებების გაკეთების, საქმის მხარეებთან ურთიერთობის, მედიასთან ურთიერთობისა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების წესებს.

ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს კოდექსის იმპლემენტაციის შემდეგ წესებს: დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს, რაც გამომდინარეობს ეთიკის წესების დარღვევიდან.

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის 65-ე მუხლის თანახმად (მიღებულია 04/12/2009 N2257, კონსოლიდირებული ვერსია 31/10/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენცია ამტკიცებს მოსამართლეთა ეთიკის წესებს. მოსამართლეთა კონფერენცია არის მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო და შედგება სამივე ინსტანციის ყველა მოსამართლისაგან. მოსამართლეთა კონფერენციის უფლებამოსილებებში შედის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებისა და მდივნის არჩევა.

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის 75-ე მუხლი ადგენს მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს, რომელთაგან ერთ-ერთია სამოსამართლო ეთიკის წესების დარღვევა.

სამოსამართლო ეთიკის წესები ოთხი ნაწილისაგან შედგება (გამოქვეყნებულია <http://www.supremecourt.ge/judges-self-governance/judges-ethics-code/>): მოსამართლის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული ეთიკური სტანდარტები; მოსამართლის კომპეტენტურობა და გულისხმიერება; მოსამართლის კომუნიკაცია მედიასა და ფართო საზოგადოებასთან; მოსამართლის არასამოსამართლო საქმიანობა.

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის ნორმა, რომელიც სამოსამართლო ეთიკის წესების დარღვევას აცხადებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთ-ერთ საფუძვლად, მნიშვნელოვანი კრიტიკის საგანია მისი ზოგადი შინაარსის გამო, რომელიც არ შეესაბამება კანონის განჭვრეტადობის პრინციპს და ამით შეუსაბამოა მოსამართლის დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების დაბალანსების საჭიროებასთან.²⁵

სასამართლო სისტემის რეფორმის მეოთხე ტალღის სამუშაო ჯგუფი, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ არის შექმნილი, მუშაობს “საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონში შესატან ცვლილებებზე. მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის კონკრეტული და წინასწარ განჭვრეტადი საფუძვლების პროექტი შემუშავებულია და შეთანხმებულია ჯგუფის წევრებს შორის. პროექტი შესაბამისობაშია ბანგალორის პრინციპებთან. თუმცა, რეფორმის პროცესი ძალიან გაჭიანურებულია, ხოლო შემუშავებული პროექტის პარლამენტში ინიცირება ამ დრომდე არ მომხდარა.

25. ვენეციის კომისიისა და ვეროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის (DGI) ადამიანის უფლებათა დირექტორატის (DHR) ერთობლივი დასკვნა “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონში ცვლილებების კანონპროექტზე, CDL-AD(2014)032, პარა.: 28. [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdfFile=CDL-AD\(2014\)031-geo](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdfFile=CDL-AD(2014)031-geo)

ბ) უზრუნველყოფილია თუ არა მოსამართლეთა, პროკურორთა შეუცვლელობის პრინციპი მათი კარიერის დასაწყისიდანვე? როგორ ხორციელდება აღნიშნული პრინციპი პრაქტიკაში?

“პროკურატურის შესახებ” საქართველოს კანონის 35-ე მუხლი ადგენს, რომ პროკურორი დამოუკიდებელია, რომ ის არ შეიძლება, გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისა და კანონით დადგენილი პროცედურის გამოყენებით.

პროკურორი შეიძლება, გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან გენერალური პროკურორის გადაწყვეტილებით შემდეგი საფუძვლების არსებობისას: ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც ხელს უშლის პროკურორს მისი ფუნქციების შესრულებაში; მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება; თანამდებობრივი შეუთავსებლობა; დისციპლინური გადაცდომა; სამუშაო ადგილების შემცირება; სისტემატური ან უხეში დისციპლინური დარღვევა; ფიცის გატეხა; პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნება; შეუფერებელი ქცევა; გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა; საპენსიო ასაკის მიღწევა.

გათავისუფლების ზოგადი საფუძვლების პარალელურად, პროკურორი შეიძლება, თანამდებობიდან გათავისუფლებულ იქნეს მის მიმართ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალის წარდგენისა და აღნიშნულ საკითხზე გამოძიების მიმდინარეობის დროს, ვიდრე საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული.

პროკურორი შეიძლება, დაქვეითებულ იქნეს და გათავისუფლდეს თანამდებობიდან შემდეგი დისციპლინური დარღვევის ჩადენის გამო: ფიცის გატეხა; სამუშაო დისციპლინის დარღვევა; შეუფერებელი ქცევა; კანონის მოთხოვნების შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება.

პროკურორის კარიერასთან დაკავშირებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას იღებს გენერალური პროკურორი. ამასთან, გენერალური პროკურორი უფლებამოსილია, გააუქმოს, შეამსუბუქოს ან გამოიყენოს უფრო მკაცრი სანქცია.

კანონი არაფერს ადგენს პროკურორის სხვა თანამდებობაზე გადაყვანის ან ასეთი გადაყვანის შემთხვევაში მისი თანხმობის საჭიროების შესახებ. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ადგენს, რომ პროკურორი საგამოძიებო ზედამხედველობის განხორციელების ფარგლებში და საგამოძიებო ქვემდებარეობის წესების დაცვით უფლებამოსილია, გასცეს ინსტრუქცია საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით ან პროკურორს მისცეს ინსტრუქცია დევნის განხორციელებასთან დაკავშირებით. აგრეთვე ზემდგომ პროკურორებს აქვთ უფლებამოსილება, საგამოძიებო ქვემდებარეობის წესების დაცვის გარეშე გადასცენ საქმე ერთი საგამოძიებო ორგანოდან სხვა საგამოძიებო ორგანოს, ჩამოაცილონ პროკურორი საქმის საპროკურორო ზედამხედველობას და ზედამხედველობის განხორციელება სხვა პროკურორს დაავალონ.

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლი ადგენს, რომ მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან, მისი თანამდებობიდან გათავისუფლება ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მოსამართლის შეუცვლელობის პრინციპი გარანტირებულია ორგანული კანონით. სასამართლოს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია არ წარმოადგენს უვადოდ დანიშნული მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველს.

ორგანული კანონი ადგენს მოსამართლის სხვა თანამდებობაზე გადაყვანის შემდეგ მექანიზმებს: მოსამართლის გადაყვანა კონკურსის გარეშე, მოსამართლის დროებით გადაყვანა, მოსამართლის დაწინაურება.

მოსამართლის უკონკურსოდ გადაყვანა²⁶ — “საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის 37-ე მუხლი ადგენს, რომ ვაკანსიის არსებობისას მოსამართლე შეიძლება, კონკურსის გარეშე, მისივე თანხმობით, გადაყვანილ იქნეს მოსამართლის სხვა თანამდებობაზე. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ, 25 სექტემბერი, 2007 №1/208-2007, შესწორებულია: 19 ოქტომბერი, 2015 №1/166)) მე-13¹ მუხლი ადგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებას, გადაწყვიტოს მოსამართლის ქვემდგომ, იმავე ან ზემდგომ ინსტანციაში გადაყვანის საკითხი კონკურსის ჩატარების გარეშე. რეგლამენტი ასევე განსაზღვრავს, რომ აღნიშნული წესის მიზანია მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან აცილება. მოსამართლის უკონკურსოდ გადაყვანის საკითხის ინიცირების საფუძველი შეიძლება, იყოს შემდეგი: მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობა კონკრეტულ სასამართლოში ან განსახილველ საქმეთა მკვეთრი ზრდა; თუ მოსამართლეთა შერჩევის კონკურსი არ იქნა გამოცხადებული ან დროის განსაზღვრულ მონაკვეთში შეუძლებელია კონკურსის ჩატარება; მოსამართლის პირადი განცხადება სხვა სასამართლოში გადაყვანის შესახებ. რეგლამენტი ასევე ადგენს, რომ მოსამართლის გადაყვანის შესახებ საკითხზე მსჯელობისას იუსტიციის უმაღლესი საბჭო მხედველობაში მიიღებს იმ სასამართლოს საჭიროებას, სადაც უნდა იქნეს მოსამართლე გადაყვანილი, გადასაყვანი მოსამართლის საცხოვრებელ ადგილს, ოჯახურ მდგომარეობას, საბიუჯეტო ხარჯებსა და სხვა. საბჭოს რეგლამენტით ასევე დადგენილია უკონკურსოდ გადაყვანის პროცედურები. საბჭო აცხადებს უკონკურსოდ გადაყვანისთვის განსაზღვრულ ვაკანსიებს და ადგენს ვადას გადაყვანის მსურველი მოსამართლეების განცხადებების მისაღებად. საბჭო ატარებს გასაუბრებას გადაყვანის მსურველ მოსამართლეთა და იღებს მოსამართლის გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილებას ხმათა 2/3-ის უმრავლესობით.

ვენეციის კომისიის რეკომენდაციებისა და მოსაზრებების კომპილაციის დოკუმენტში²⁷ აღნიშნულია, რომ „მოსამართლის სხვა თანამდებობაზე გადაყვანა ან დროებით მივლინება შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრული და ნათელი კრიტერიუმებით, მაგალითად, მიმღებ სასამართლოში არსებულ განსახილველ საქმეთა რაოდენობა, საქმეთა რაოდენობა იმ სასამართლოში, საიდანაც უნდა მოხდეს მოსამართლის გადაყვანა, გადასაყვანის მოსამართლის მიერ განხილული საქმეების რაოდენობა. ბუნდოვანი კრიტერიუმები, როგორცაა „მართლმსაჯულების ინტერესი“, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მკაცრ კრიტერიუმად. ასევე, მოსამართლის გადაყვანის ვადა კანონით უნდა იყოს განსაზღვრული.“

მოსამართლის დროებით გადაყვანა (მივლინება) — “საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის 37¹-ე მუხლი ადგენს მოსამართლის სხვა სასამართლოში დროებით გადაყვანის წესს. კანონით დადგენილი რიგი გარანტიები მოსამართლის დროებით გადაყვანისას მისი დამოუკიდებლობის ხელყოფის თავიდან აცილებისთვის: კონკრეტულ სასამართლოში განსახილველ საქმეთა მკვეთრი ზრდის შემთხვევაში ან, თუ აღნიშნულ სასამართლოში აღარ არის მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობა, იუსტიციის

26. მოსამართლის შეუცვლელობის პრინციპი მოიცავს მოსამართლეთა სხვა სასამართლოში გადაყვანის საკითხსაც: ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)12 მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და მოვალეობების შესახებ, პარაგრაფი 52. მოსამართლე არ უნდა იქნეს გადაყვანილი სხვა პოზიციაზე ან სხვა სასამართლოში მისივე თანხმობის გარეშე, გარდა დისციპლინური პასუხისმგებლობის და სასამართლოში რეორგანიზაციის შემთხვევებისა. მოსამართლეთა შეუცვლელობის პრინციპის აღნიშნული შინაარსი აღიარებულია მოსამართლის დამოუკიდებლობის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების, ასევე, რეკომენდაციის №R(92)12, პრინციპი I(2)(a)(ii) და პრინციპი VI(1) and (2). მოსამართლეთა შეუცვლელობის პრინციპი ასევე აღიარებულია ევროპულ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნით №1(2001), მოსამართლის დამოუკიდებლობისა და შეუცვლელობის სტანდარტები, პარა., 57.

27. COMPILATION OF VENICE COMMISSION OPINIONS AND REPORTS CONCERNING COURTS AND JUDGES, CDL-PI(2015)001, p.45.

უმაღლესი საბჭო პირველ რიგში მიმართავს რეზერვში მყოფ მოსამართლეებს კონკრეტულ სასამართლოში დროებით უფლებამოსილების განხორციელების შესახებ. თუ რეზერვში მყოფი არცერთი მოსამართლე არ გამოთქვამს სურვილს, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მივლინება უნდა შესთავაზოს ახლომდებარე სასამართლოს მოსამართლეებს. თუ არც აღნიშნული მოსამართლეები გამოთქვამენ გადაყვანის შესახებ თანხმობას, იუსტიციის უმაღლესი საბჭო შესთავაზებს დროებით გადაყვანას იმავე ინსტანციის სხვა მოსამართლეებს. ნებისმიერი ზემოაღნიშნული მოსამართლე შეიძლება, მივლინებულ იქნეს სხვა სასამართლოში მხოლოდ მისივე თანხმობით და არა უმეტეს 1 წლის ვადით. მივლინების ვადა შეიძლება, გაგრძელდეს კიდევ ერთი წლით, რაც ასევე, მოსამართლის თანხმობით შეიძლება, განხორციელდეს. თუ მოსამართლე არ იქნება თანახმა მივლინების ვადის გაგრძელებაზე, დროებით გადაყვანის ვადა უნდა შეწყდეს. მოსამართლის დროებით სხვა სასამართლოში გადაყვანის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.

თუ არცერთი მოსამართლე არ განაცხადებს თანხმობას გადაყვანის შესახებ, იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების შესახებ მისი თანხმობის გარეშე. კანონი ითვალისწინებს რამდენიმე გარანტიას აღნიშნულთან დაკავშირებით: იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია, შეარჩიოს დროებით გადასაცემი მოსამართლე მხოლოდ იმ სასამართლოს ახლომდებარე სასამართლოდან, სადაც უნდა იქნეს მოსამართლე გადაყვანილი. საბჭოს გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს კონკრეტული მიზეზები მოსამართლის მივლინების საჭიროების დასაბუთებლად. გადაწყვეტილება გადასაცემი მოსამართლის შერჩევის შესახებ მიიღება წილისყრით. წილისყრის საფუძველზე შერჩეული მოსამართლე უფლებამოსილია, მიმართოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დასაბუთებული განცხადებით სხვა სასამართლოში გადასვლის შეუძლებლობის შესახებ. თუ საბჭო ჩათვლის, რომ მოსამართლის გადაყვანა არ არის მიზანშეწონილი, წილისყრის პროცედურა ხელახლა ჩატარდება.

ერთი და იგივე მოსამართლე მივლინების წესით შეიძლება, გადაყვანილ იქნეს სხვა სასამართლოში 10 წელიწადში მხოლოდ ერთხელ.

მოსამართლის მივლინების პროცედურების განხორციელების პარალელურად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებულია, დაიწყოს მოსამართლის შერჩევის კონკურსის პროცედურების ჩატარება იმ სასამართლოში ვაკანტური ადგილების შესავსებად, სადაც გაჩნდა მოსამართლის დროებით გადაყვანის საჭიროება.

მოსამართლის დაწინაურება — ორგანული კანონის 41-ე მუხლი ადგენს, რომ პირველი ინსტანციის მოსამართლე შეიძლება, დაწინაურებულ იქნეს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, თუ მას აქვს პირველი ინსტანციის მოსამართლედ მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება. კანონი განსაზღვრავს, რომ დაწინაურების კრიტერიუმებს ადგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭო და აღნიშნული კრიტერიუმებით ახორციელებს დასაწინაურებელი მოსამართლის შეფასებას.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში განხორციელებული ცვლილებების თანახმად (სექტემბერი 25, 2007 №1/208-2007) მე-13¹.11 მუხლი განსაზღვრავს, რომ მოსამართლე შეიძლება, დაწინაურებულ იქნეს სააპელაციო სასამართლოში, თუ მისი კომპეტენტურობა, გამოცდილება, სამუშაო და პიროვნული რეპუტაცია შეესაბამება სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მაღალ სტატუსს. რეგლამენტი ასევე ადგენს, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაწინაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გაითვალისწინოს შემდეგი: მოსამართლის მუშაობის ხარისხის ინდიკატორები, განხილულ საქმეთა რაოდენობა, სირთულე, საქმის განხილვისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური წესების დარღვევა, გადაწყვეტილებების სტაბილურობა, სამუშაო დისციპლინა, კოლეგებს შორის რეპუტაცია, სწავლებაში მონაწილეობა, პრობლემურ სამართლებრივ საკითხებზე დისკუსიებში მონაწილეობა, ორგანიზაციული უნარები, აკადემიური საქმიანობა, ეთიკის წესებისა და პროფესიული სტანდარტების დაცვა, პროფესიული ზრდის ტენდენცია და სხვა.

არც კანონი და არც რეგლამენტი არ ავალდებულებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, დაასაბუთოს მოსამართლის დაწინაურების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება. პრაქტიკაში პრობლემურად გამოიკვეთა ის გარემოება, რომ მოსამართლის დაწინაურების მექანიზმი ფაქტობრივად არ გამოიყენება და მოსამართლეების სააპელაციო ინსტანციაში გადაყვანა ხდება არა დაწინაურების, არამედ კონკურსის გარეშე გადაყვანის ან გამოცხადებულ კონკურსში მოქმედი მოსამართლეების მონაწილეობის გზით, მაშინაც კი, როცა თავისი არსით მოსამართლის სააპელაციო ინსტანციაში უკონკურსოდ ან კონკურსის გზით გადაყვანა დაწინაურებას წარმოადგენს.

გ) ითვალისწინებს თუ არა კანონმდებლობა მოსამართლის/პროკურორის იმუნიტეტს? დადებითი პასუხის შემთხვევაში, რა სახის პასუხისმგებლობისაგან იცავს იმუნიტეტი? როგორია იმუნიტეტის მოხსნის პროცედურა? რა უზრუნველყოფს აღნიშნულის გამჭვირვალობას და სიცხადეს? გთხოვთ, მოიყვანეთ იმუნიტეტის მოხსნის პროცედურის პრაქტიკაში გამოყენების მაგალითები. რა შესაძლო სანქციებია გათვალისწინებული?

საქართველოს კონსტიტუციის 63.2-ე მუხლის თანახმად (მიღებულია 24/08/1995 N786 კონსოლიდირებული ვერსია 23/03/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირადი განხრევა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შესაბამისად იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. თუ იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ მისცემს თანხმობას, თავისუფლებაშემღუდული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (მიღებულია 22/07/1999 N2287, კონსოლიდირებული ვერსია 21/07/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) სპეციალური მუხლი დანაშაულად აცხადებს მოსამართლის მიმართ მუქარას, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით 3 წლამდე. სასამართლოს უპატივცემლობა კრიმინალიზებულია სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლით და ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით 2 წლამდე.

“საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 75¹.3-ე მუხლი ადგენს, რომ მოსამართლე არ შეიძლება, მიეცეს დისციპლინურ პასუხისგებაში კანონის არასწორი განმარტების გამო, რაც მისი შინაგანი რწმენიდან გამომდინარეობს.

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლი და “საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის მე-7 მუხლი ადგენს, რომ არავის აქვს უფლება, მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ვრცელდება მოსამართლეებზე და არ შეიცავს მითითებებს მოსამართლეებთან დაკავშირებით. აღნიშნულის გამო ის შეიძლება, მოერგოს ურთიერთობების ფართო სპექტრს, რაც შეიძლება, საფრთხის შემცველი იყოს მოსამართლის დამოუკიდებლობისთვის. ასევე, სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავს ფართო შინაარსის დანაშაულის დეფინიციებს, როგორებიცაა საჯარო მოხელის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ან გადამეტება და სხვა, რასაც სჭირდება დაკონკრეტება იმისათვის, რომ განჭვრეტადი გახდეს, რა ქმედების შემთხვევაში შეიძლება, მოსამართლე მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არ ყოფილა მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შემთხვევა, თუმცა, იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა დაწყებული იყო გამოძიება საქმეებზე, რომლებშიც მოსამართლეები ფიგურირებდნენ (გამოძიება მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდის ტესტების გამჟღავნებასთან დაკავშირებით, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და იუსტიციის საბჭოს უკავშირდებოდა; არასრულწლოვანის ცემის ფაქტზე დაწყებული გამოძიება, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით). ამ გამოძიებებიდან არცერთი არ დასრულებულა ან შეწყვეტილა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი (მიღებულია 26/06/1997 N786, კონსოლიდირებული ვერსია 21/07/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) ადგენს სახელმწიფოს მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, ზიანისთვის, რომელიც საჯარო მოხელის მოქმედებით იქნა გამოწვეული და რომელიც განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით იქნა ჩადენილი. აღნიშნული მუხლი ადგენს სახელმწიფოსთან სოლიდარულად აღნიშნული საჯარო მოხელის პასუხისმგებლობას. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, ანაზღაუროს ზიანი, არ წარმოიშობა, თუ დაზარალებული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობითარშეეცადასამართლებრივიგზებითთავიდანაეცილებინაზიანი. რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის, დისციპლინური პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოს სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს ანაზღაურებს სახელმწიფო, გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვისას ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს.

საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის თანახმად კონსტიტუციის დარღვევის ან ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საფუძველით უზენაესი სასამართლოს მოსამართლის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ს. საკითხი გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც განიხილავს და პარლამენტს დასკვნას წარუდგენს ერთი თვის ვადაში. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევა ან მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა, პარლამენტი დასკვნის წარდგენიდან 2 კვირის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის იმპიჩმენტის წესით მისი თანამდებობიდან გადაყენების საკითხს.

საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს პროკურორის იმუნიტეტს. “პროკურატურის შესახებ” კანონის 38-ე მუხლი ადგენს, რომ პროკურორი პასუხს აგებს დანაშაულის ჩადენისთვის საერთო წესით. ამავე მუხლით დადგენილია, რომ პროკურორის წინააღმდეგ გამოძიების წარმოებისას, ვიდრე საქმეზე მიღებული იქნება გადაწყვეტილება, პროკურორი გათავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან.

12 როგორია მოსამართლისა და პროკურორის ხელფასის ოდენობა? როგორ მიმართება- შია მათი ხელფასი იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლების ხელფასთან (მა- ლალი თანამდებობის საჯარო მოხელის, ადვოკატის, კერძო კომპანიების იურისტების, სხვა) და საშუალო შემოსავალთან? როგორ ხდება მოსამართლისა და პროკურორის ხელფასის განსაზღვრა და შესაბამისობის უზრუნველყოფა? ვინ იღებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას?

პროკურატურის კანონის თანახმად იუსტიციის მინისტრი მთავარი პროკურორის წარდგინებით ადგენს პროკურორების სახელფასო განაკვეთს საბიუჯეტო ასიგნების ფარგლებში. იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 26 იანვრის N276 ბრძანების თანახმად პროკურორის ხელფასი შემდეგნაირად განისაზღვრა:

N	თანამდებობა	ხელფასი ლარში	ხელფასი ევროში
1	მთავარი პროკურორი	6600	2129
2	მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე	6200	2000
3	მთავარი პროკურორის მოადგილე	6000	1935
4	დეპარტამენტის უფროსი	5600	1806
5	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	4100	1322
6	სამმართველოს უფროსი	3500	1129
7	ზემდგომი პროკურორები (საგამოძიებო სამმართველო, გენერალური ინსპექცია, მართლმსაჯულების ხარვეზების საქმეების საგამოძიებო დეპარტამენტი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში საქმეთა წარმოება)	3000	967
8	ამავე დეპარტამენტის ქვემდგომი პროკურორები (საგამოძიებო სამმართველო, გენერალური ინსპექცია, მართლმსაჯულების ხარვეზების საქმეების საგამოძიებო დეპარტამენტი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში საქმეთა წარმოება)	2900	935
9	ზემდგომი პროკურორები	2565	827
10	პროკურორი	2530	816
11	განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა მთავარი გამომძიებელი	3000	967
12	განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი	2900	935

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის 69-ე მუხლის თანახმად მოსამართლის შრომის ანაზღაურება შედგება ხელფასისა და დანამატისაგან. ხელფასისა და მატერიალური სარგებლის ოდენობა განისაზღვრება კანონით. მოსამართლის ხელფასის შემცირება მისი უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში დაუშვებელია. იუსტიციის უმაღლესი საბჭო განსაზღვრავს პირველი და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლისთვის გადასახდელი დანამატის ოდენობას. უზენაესი სასამართლოს პლენული განსაზღვრავს დანამატის ოდენობას უზენაესი სასამართლოს მოსამართლისთვის.

N	მოსამართლის თანამდებობა	ხელფასი ლარში	ხელფასი ევროში
1	უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე	7000	2258
2	უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	6500	2096
3	უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე	6300	2032
4	უზენაესი სასამართლოს მოსამართლე	6000	1935

5	სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე	5800	1870
6	სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე	5600	1806
7	სააპელაციო სასამართლოს პალატის თავმჯდომარე	5300	1709
8	სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე	5000	1612
9	პირველი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარე	4600	1483
10	პირველი ინსტანციის სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარე	4300	1387
11	პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე და მაგისტრატი მოსამართლე	4000	1290
12	რეზერვის მოსამართლე	500	161

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის 69-ე მუხლის საფუძველზე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა პირველი და სააპელაციო ინსტანციის მოსამართლეებისთვის დანამატების განსაზღვრის წესი (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 5 თებერვლის N1/89 გადაწყვეტილება, გამოქვეყნებულია <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/89.pdf>). აღნიშნული წესის მეორე მუხლი ადგენს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებმა შეიძლება, მიიღონ ყოველთვიური დანამატი. ასევე, წესი ადგენს, რომ გარდა აღნიშნული დანამატისა მოსამართლეს შეიძლება, მიეცეს მეორე დანამატი მისიდატვირთულობის გათვალისწინებით. ცალკეული გადაწყვეტილებების მიღებით (მიღებულია 15/01.2018 N1/65, გამოქვეყნებულია <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/65-2018.pdf>) იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ განსაზღვრა ყოველთვიური დანამატები პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების ყველა მოსამართლისთვის:

თანამდებობა	ყოველთვიური დანამატი ლარში	ყოველთვიური დანამატი ევროში
სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე	1950	629
სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე	1900	612
სააპელაციო სასამართლოს პალატის თავმჯდომარე	1800	580
სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე	1700	548
თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე	2250	725
თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარე	2150	693
თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე	2050	661
ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე	2250	725
ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე და მაგისტრატი მოსამართლე	2050	661
ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე	2250	725

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე და მაგისტრატი მოსამართლე	2050	661
სხვა რაიონული/საქალაქო სასამართლოების თავმჯდომარეები	1150	370
სხვა რაიონული/საქალაქო სასამართლოების მოსამართლეები და მაგისტრატი მოსამართლეები	1350	435

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზემოაღნიშნულ წესზე დაყრდნობით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ განსაზღვრა დამატებით ერთჯერადი დანამატები ცალკეული მოსამართლეებისათვის. ასე მაგალითად, 2018 წლის განმავლობაში, სხვადასხვა დროს მიღებული ცალკეული გადაწყვეტილებით, მეორე დანამატები განესაზღვრა სულ 4 მოსამართლეს. კერძოდ:

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი	სასამართლო	მოსამართლე	მეორე დანამატი ლარში	მეორე დანამატი ევროში
30 ივლისი, 2018 N1/239	თბილისის საქალაქო სასამართლო	ერთი მოსამართლე	10408,68	3357
30 ივლისი, 2018 N1/239	ბოლნისის რაიონული სასამართლო	ერთი მოსამართლე	8689,47	2803
19 მარტი, 2018 N1/155	თბილისის სააპელაციო სასამართლო	ერთი მოსამართლე	ხელფასის სრული ოდენობის 179%	
19 მარტი, 2018 N1/155	თბილისის საქალაქო სასამართლო	ერთი მოსამართლე	ხელფასის სრული ოდენობის 231%	

2017 წელს მეორე, ერთჯერადი დანამატი მიიღო 52-მა მოსამართლემ. დანამატების განსაზღვრის შესახებ მიღებული ინდივიდუალური გადაწყვეტილებები არ არის დასაბუთებული და შეუძლებელია იმის განსაზღვრა, დადგენილი წესის დაცვით მოხდა თუ არა დანამატების გაცემა. იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთება არ არის გათვალისწინებული კანონით და საბჭო არც პრაქტიკაში უზრუნველყოფს თავისი გადაწყვეტილებების დასაბუთებას.

მოსამართლეთა შრომის ანაზღაურება უნდა ეფუძნებოდეს ზოგად სტანდარტს და დამოკიდებული იყოს ობიექტურ კრიტერიუმებზე და არა – ინდივიდუალური მოსამართლის მუშაობის შეფასებაზე. დანამატი და არაფინანსური სარგებლის გაცემა, რომელიც შეიცავს დისკრეციულ ელემენტს, უნდა იყოს გამორიცხული.²⁸

საჯარო მოხელის შრომის ანაზღაურება დადგენილია საჯარო მოხელეთა შრომის ანაზღაურების კანონითა და შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით, სადაც განსაზღვრულია რანგირების მიხედვით შრომის ანაზღაურება. სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი ასევე განსაზღვრავს შრომის

28. European Network for Councils for the Judiciary ENCJ, FUNDING OF THE JUDICIARY, principle 5 https://www.encj.eu/images/stories/pdf/workinggroups/encj_2015_2016_report_funding_judiciary_adopted_ga.pdf

ანაზღაურების გამოთვლის წესს. აღნიშნული კანონმდებლობის თანახმად 2018 წელს მინისტრის შრომის ანაზღაურება განისაზღვრა 8500 ლარით/2741 ევრო (დანამატების გარეშე), პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარისა და პრემიერმინისტრის შრომის ანაზღაურება განისაზღვრა 10000 ლარით/3225 ევრო (დანამატების გარეშე), პარლამენტის წევრის ხელფასი განისაზღვრა 8000 ლარით/2580 ევრო (დანამატების გარეშე), ყველაზე მაღალი საჯარო პოზიციისთვის (გარდა პოლიტიკური პოზიციისა) – 2000–დან 6000 ლარამდე/645–დან 1935 ევრომდე, რანგის გათვალისწინებით.

არ არის დადგენილი კრიტერიუმები, რომლებიც შესაძლებელს გახდიდა საჯარო მოსამსახურეების შრომის ანაზღაურების შედარებას ადვოკატის შრომის ანაზღაურებასთან. ადვოკატის შრომის ანაზღაურებისთვის არ არის დადგენილი საბაზისო ოდენობა.

13 იღებენ თუ არა მოსამართლეები/პროკურორები დამატებით, არაფულად სარგებელს, როგორცაა საცხოვრებელი, უძრავი ქონება და სხვა? ვინ იღებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას და რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით?

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის (მიღებულია 04/12/2009 N2257, კონსოლიდირებული ვერსია 31/10/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) 68-ე მუხლის თანახმად მოსამართლე, რომელსაც არ აქვს საცხოვრებელი იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ის დანიშნულია მოსამართლედ, უზრუნველყოფილი იქნება საცხოვრებლით ან საცხოვრებელი ქირით სახელმწიფოს ხარჯზე. ამავე მუხლის თანახმად გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს მოსამართლის საცხოვრებლით უზრუნველყოფის შესახებ მიიღება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ, ხოლო გადაწყვეტილებას პირველი და სააპელაციო ინსტანციის მოსამართლეების საცხოვრებლით უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მოსამართლეთა საცხოვრებლით უზრუნველყოფისა და მათთვის დანამატების განსაზღვრის შესახებ (მიღებულია 05/02/2018 N1/89, გამოქვეყნებულია <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/89.pdf>) ადგენს, რომ იუსტიციის საბჭო განსაზღვრავს მოსამართლის საცხოვრებლით უზრუნველყოფისთვის საჭირო ქირის განაკვეთებს. ქირის განაკვეთები განისაზღვრება იმის შესაბამისად, თუ რომელ მუნიციპალიტეტში უნდა მოხდეს საცხოვრებლით უზრუნველყოფა. ქირის ხარჯები ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სასამართლო ხელისუფლებისთვის გამოყოფილი ასიგნებებიდან.

კანონმდებლობა არ ადგენს პროკურორის თანამდებობაზე მყოფი პირის საცხოვრებლით ან სხვა არაფულადი სიკეთეებით უზრუნველყოფას.

14 მოსამართლეებს/პროკურორებს ეკისრებათ თუ არა ქონებრივი დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება (მაგალითად, ანტიკორუფციული სააგენტოსთვის)? თუ – კი, რამდენად დეტალურია აღნიშნული დეკლარაციები და რა მექანიზმი უზრუნველყოფს მისი შინაარსის სისწორეს?

საჯარო სამსახურში ინტერერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონი (მიღებულია 17/10/1997 N982, კონსოლიდირებული ვერსია 21/07/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) ვრცელდება მართლმსაჯულების სისტემის შემდეგ წარმომადგენლებზე:

- მოსამართლე;
- იუსტიციის საბჭოს წევრი;
- გენერალური პროკურორი, გენერალური პროკურორის მოადგილე, პროკურატურის დეპარტამენტის და სამმართველოს უფროსი და მათთან გათანაბრებული პირები, აფხაზეთისა და აჭარის ა/რ პროკურატურის პროკურორები, თბილისის პროკურორი, საოლქო პროკურორები.

ჩამოთვლილ თანამდებობებზე დანიშნვიდან 2 თვეში და თანამდებობაზე ყოფნის ყოველ წელს პირმა უნდა შეავსოს ქონებრივი დეკლარაცია. ასევე, თანამდებობის პირმა ქონებრივი დეკლარაცია უნდა შეავსოს თანამდებობის დატოვებიდან 2 თვეში და ერთი წლის გასვლის შემდეგ. მოსამართლეობის კანდიდატმა ქონებრივი დეკლარაცია უნდა შეავსოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოცხადებულ მოსამართლის შესარჩევ კონკურსში განაცხადის შეტანიდან 7 დღის ვადაში.

ქონებრივი დეკლარაცია შეიცავს თანამდებობის პირის შესახებ შემდეგ ინფორმაციას:

- თანამდებობის პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი სახლის მისამართი და ტელეფონის ნომერი, პირადი ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი;
- სამუშაო ადგილი, პოზიცია, სამუშაო ადგილის მისამართი და ტელეფონის ნომერი;
- თანამდებობის პირის ოჯახის წევრების სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი და ადგილი, ინფორმაცია თანამდებობის პირთან ნათესაური კავშირის შესახებ;
- ინფორმაცია თანამდებობის პირისა და მისი ოჯახის წევრის უძველესი ქონების შესახებ – მესაკუთრის/ თანამესაკუთრის ვინაობა, თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის კუთვნილი წილის ოდენობა უძრავ ქონებაში, თუ ის თანასაკუთრების ობიექტია, ქონების შეძენის თარიღი, შეძენის ფორმა, გადახდილი საფასურის ოდენობა, უძრავი ქონების ადგილსამყოფელი და მისამართი;
- ინფორმაცია თანამდებობის პირისა და მისი ოჯახის წევრის სხვა ქონების შესახებ (ფასიანი ქაღალდები, საბანკო ანგარიშები და/ან შენატანები), რომელთაგან თითოეულის ღირებულება აღემატება 10 000 ლარს (3225 ევრო) – მესაკუთრის ვინაობა (თუ ნივთი საერთო საკუთრებაშია – აგრეთვე თანამესაკუთრის ვინაობა და პირის, მისი ოჯახის წევრის წილის ოდენობა), შეძენის თარიღი, შეძენის ფორმა და გადახდილი საფასურის ოდენობა;
- თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდები – ფასიანი ქაღალდის ემიტენტი, მესაკუთრის ვინაობა, ფასიანი ქაღალდის სახეობა, გადახდილი საფასურის ოდენობა, ნომინალი და რაოდენობა, შეძენის თარიღი, შეძენის ფორმა;
- თანამდებობის პირისა და მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში საქართველოსა და საზღვარგარეთ არსებული სხვა საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაცია;
- თანამდებობის პირისა და მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ნაღდი ფული, რომლის ოდენობა აღემატება 4000 ლარს (1290 ევროს), შემოსავლის წყარო;
- საქართველოში ან სხვა ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობაში პირის, მისი ოჯახის წევრის პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობა;
- თანამდებობის პირისა და მისი ოჯახის წევრის მიერ საქართველოში ან სხვა ქვეყანაში შესრულებული ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაოს შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- თანამდებობის პირის ან მისი ოჯახის წევრის მიერ საქართველოში ან სხვა ქვეყანაში გაფორმებული ნებისმიერი კონტრაქტის შესახებ ინფორმაცია, რომლის ღირებულება აღემატება 3000 ლარს (967 ევროს);
- თანამდებობის პირისა და მისი ოჯახის წევრის მიერ მიღებული საჩუქრის შესახებ ინფორმაცია, რომლის ღირებულება აღემატება 500 ლარს (161 ევროს);
- თანამდებობის პირის და მისი ოჯახის წევრის ნებისმიერი შემოსავალი, რომლის ღირებულება თითოეულ შემთხვევაში აღემატება 1500 ლარს (483 ევროს);

- ▶ საიდუმლო ქონების შესახებ ინფორმაციის დეკლარირება ხდება საიდუმლო ქონების აღრიცხვისთვის განკუთვნილ ცალკე გრაფაში.

ქონებრივ დეკლარაციას მიიღებს, გაასაჯაროებს და მონიტორინგს ახორციელებს საჯარო სამსახურის ბიურო. ქონებრივი დეკლარაციის შევსებაზე მონიტორინგის დაწყების საფუძველია მონიტორინგისთვის ქონებრივი დეკლარაციების შემთხვევითი პრინციპით შერჩევა და ბიუროში შესული დასაბუთებული წერილობითი განცხადება. კანონი განსაზღვრავს ადმინისტრაციულ ჯარიმას ქონებრივი დეკლარაციის შევსების ვალდებულის დარღვევისთვის.

15 საქმეთა განაწილების როგორი სისტემა მოქმედებს? რა გამოწვევები არსებობს საქმეთა განაწილების პრაქტიკაში?

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის (მიღებულია 04/12/2009 N2257, კონსოლიდირებული ვერსია 31/10/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) 58-ე მუხლი ადგენს, რომ პირველი, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეთა განაწილება ხდება ელექტრონულად, შემთხვევითი პრინციპით. კანონი ასევე განსაზღვრავს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ადგენს საქმეთა განაწილების მარეგულირებელ წესს. კანონი ადგენს, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქმის განაწილების ელექტრონული პროგრამა დროებით მწყობრიდან გამოვა, საქმეების განაწილება მოხდება ელექტრონული სისტემის გარეშე, ანბანური თანმიმდევრობის წესით, საქმის შეტანის დროისა და მოსამართლეთა ანბანური სიის მიხედვით.

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა საქმეთა ელექტრონულად განაწილების წესი (მიღებულია 01/05/2017 N1/56, კონსოლიდირებული ვერსია გამოქვეყნებულია <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/56.pdf>). საქმეთა შემთხვევითი პრინციპით განაწილების სისტემა საქართველოს სასამართლოებში 2018 წლის იანვრიდან ამოქმედდა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ (GDI) ახორციელებს სასამართლოში საქმეთა განაწილების მონიტორინგს.¹⁴ მონიტორინგმა გამოავლინა შემდეგი:

საკანონმდებლო მოწესრიგება

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, მოსამართლეთა თანაბარი დატვირთულობისა და საქმეთა განაწილებაში სასამართლოს თავმჯდომარის როლის შემცირების მიზნით ცვლილებები განხორციელდა ორგანულ კანონში სასამართლო სისტემის რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში.¹⁵ ცვლილებების შედეგად 201 საქმე იქნა განაწილებული ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემთხვევითი განაწილების პრინციპით.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქმეთა განაწილების სისტემის შემოღება წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა, ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფი კანონმდებლობა არ არის სრულყოფილი. აღნიშნულს ისიც ადასტურებს, რომ საქმეთა განაწილების ელექტრონული წესის შემოღების შემდეგ მალევე არაერთი ცვლილების განხორციელება გახდა საჭირო. ორგანული კანონის თანახმად საქმეთა ელექტრონული განაწილების პროგრამულ დავალებაზე სრული კონტროლი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელშია. აღსანიშნავია, რომ ვენეციის კომისიამ

დადებითად შეაფასა ელექტრონული სისტემის შემოღება, თუმცა, მან ასევე აღნიშნა, რომ კანონი უნდა იქნეს ფორმულირებული ნათლად და დეტალურად უნდა მოაწესრიგოს საქმეთა განაწილების წესი იმ შემთხვევისთვის, როცა ელექტრონული პროგრამა შეფერხდება.

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2017 წლის 1 მაისის N 1/56 გადაწყვეტილებით დაამტკიცა საქმეთა ელექტრონული განაწილების პროცედურა. სისტემა ეფუძნება შემთხვევითი განაწილების პრინციპს სპეციალური ალგორითმის გამოყენებით. საქმეები მოსამართლეებს შორის ნაწილდება მათი სპეციალიზაციის მიხედვით. ზოგადი წესის თანახმად პროგრამა უზრუნველყოფს საქმეთა თანაბარ განაწილებას მოსამართლეებს შორის. სისტემა აიდენტიფიცირებს განაწილებული საქმის საშუალო ინდიკატორებს და თითოეულ მოსამართლეზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობას, შემდეგ გამოყავს რიცხვი შემთხვევითი შერჩევით და ყველა ამ პარამეტრს ასახავს პროგრამაში.

საქმეთა განაწილების ახალი წესის შემოღების ერთ-ერთი მიზანი იყო სასამართლოების თავმჯდომარეთა როლის შემცირება საქმის განაწილებაში. ახალი წესის შემოღებამდე სასამართლოების თავმჯდომარეებს ჰქონდათ ექსკლუზიური უფლებამოსილება საქმეების განაწილების, რაც აჩენდა ეჭვებს, რომ კონკრეტული საქმეები, რომელთა მიმართ არსებობდა ინტერესი, განაწილდებოდა ლოიალურად განწყობილ მოსამართლეზე საქმეზე სასურველი შედეგის მიღწევის უზრუნველსაყოფად.

ელექტრონული განაწილების სისტემა კვლავ ტოვებს შესაძლებლობას სასამართლოს თავმჯდომარის მხრიდან ჩარევისა და არასათანადო გავლენის მოხდენისთვის.

ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობის განსაზღვრა და შემადგენლობის ცვლა საკუთარი შეხედულებით

ორგანული კანონი “საერთო სასამართლოების შესახებ” ადგენს, რომ საქმეთა წარმოების განსაკუთრებული ინტენსიურობის მქონე რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ორზე მეტი მოსამართლეა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება, განხორციელდეს მოსამართლეთა უფრო ვიწრო სპეციალიზაცია ან შეიქმნას სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები, ხოლო სააპელაციო სასამართლოში მხოლოდ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება, განხორციელდეს მოსამართლეთა უფრო ვიწრო სპეციალიზაცია. 2018 წლის 30 აპრილამდე ვიწრო სპეციალიზაცია მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებობდა, ხოლო 30 აპრილიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ვიწრო სპეციალიზაციები ასევე შეიქმნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ ადგენს სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას, განსაზღვროს ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლეთა შემადგენლობა, დამკვიდრებული არასწორი პრაქტიკით თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მას განსაზღვრავს ერთობიროვნულად, საკუთარი ბრძანებით. ეს იმას გულისხმობს, რომ მართალია, ელექტრონული პროგრამა საქმეებს კონკრეტული სპეციალიზაციისა და ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეთა შორის ანაწილებს, თუმცა რომელი მოსამართლე იქნება მის შემადგენლობაში, ეს მთლიანად სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებაზე დამოკიდებული. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 30 აპრილის გადაწყვეტილებით იგივე უფლებამოსილება მიენიჭა თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს. ამგვარი უფლებამოსილების არსებობა კი სასამარ-

თლოს თავმჯდომარის მხრიდან საქმეთა განაწილების პროცესში ჩარევისა და შედეგზე ზეგავლენის მოხდენის რეალურ რისკების წარმოშობს.²⁹

სასამართლო კოლეგიების შემადგენლობის ფორმირება

საინტერესოა იმგვარი შემთხვევები, როდესაც სასამართლოში საქმე განიხილება არა ინდივიდუალურად ერთი მოსამართლის მიერ, არამედ კოლეგიურად (სამი მოსამართლის შემადგენლობით). რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში საქმის კოლეგიურად განხილვისას არა თავად პროგრამა, არამედ სასამართლოს თავმჯდომარე განსაზღვრავს კოლეგიურ შემადგენლობას, საქმის განხილველი თავდაპირველი მოსამართლის აუცილებელი მონაწილეობით. აღსანიშნავია, რომ საქმეთა ელექტრონული განაწილების წესში (მიღებულია 01/05/2017 N1/56, კონსოლიდირებული ვერსია გამოქვეყნებულია <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/56.pdf>) ეს ცვლილება 2017 წლის 24 ივლისს შევიდა, მანამდე მოქმედი რედაქციით კი რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში საქმის კოლეგიურად განხილვისას მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის შერჩევას ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფდა.

განსაკუთრებით პრობლემურია სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში კოლეგიების/პალატების ფორმირების წესი. საქმეთა ელექტრონული განაწილების წესი ადგენს მხოლოდ სხდომის თავმჯდომარეზე/მომხსენებელ მოსამართლეზე საქმის განაწილების წესს და არაფერს ამბობს იმაზე, თუ როგორ ხდება კოლეგიის/პალატის ფორმირება. ამ პუნქტში ცვლილებები 2017 წლის 18 დეკემბერს შევიდა (ცვლილება მიღებულია 18/12/2017 N1/326, გამოქვეყნებულია <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/326..pdf>), თავდაპირველ რედაქციაში დაკონკრეტებული არ ყოფილა სასამართლოები, მითითებული იყო მხოლოდ საქმის კოლეგიურად განხილვის შემთხვევაზე, ამასთან, ელექტრონული სისტემა დამატებით უზრუნველყოფდა შესაბამისი კოლეგიის/პალატის შემადგენლობიდან საჭირო რაოდენობის მოსამართლეთა (გარდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი მოსამართლისა) შერჩევას. იმ მოცემულობაში, როდესაც სასამართლოს თავმჯდომარე ძალიან მარტივად და დაუსაბუთებლად გადაადგილებს მოსამართლეებს ვიწრო სპეციალიზაციებში, იზრდება ჩარევის რისკი კოლეგიის ფორმირებაში.

მოსამართლეთა მორიგეობის დადგენა

სასამართლოს თავმჯდომარე საკუთარი ბრძანებით განსაზღვრავს მოსამართლეთა მორიგეობის გრაფიკს და, როგორც არასამუშაო, ისე სამუშაო საათებში, სპეციალიზაციისა და შემთხვევითობის პრინციპის დაუცველად, სისხლისა და ადმინისტრაციული სამართლის ის ცალკეული საქმეები, რომელთა განხილვის ვადა 72 საათს არ აღემატება, მორიგეობის გრაფიკის შესაბამისად ნაწილდება კონკრეტულ მოსამართლეზე. ზემოაღნიშნული დისკრეციით სასამართლოს თავმჯდომარეს უნარჩუნდება მნიშვნელოვანი ბერკეტი, საქმე განსახილველად გადასცეს სასურველ მოსამართლეს და, შესაბამისად, გავლენა იქონიოს განხილვის შედეგზე.

29. <http://www.hrm.org.ge/en/activity/implementation-electronic-random-distribution-cases-system-courts>

მოსამართლეთა საქმის განაწილების პროცენტული (დატვირთულობის) მაჩვენებლის განსაზღვრა

საქმეთა განაწილების წესი (მიღებულია 01/05/2017 N1/56, კონსოლიდირებული ვერსია გამოქვეყნებულია <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/56.pdf> last visited 01/12/2018) სასამართლოს თავმჯდომარეს ანიჭებს უფლებამოსილებას, მოსამართლეზე საქმეთა განაწილების პროცენტული მაჩვენებელი 25%-იანი ბიჯით გაუზარდოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრს, სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარეს და სხვ. ასევე, მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, მოსამართლის ჯანმრთელობისა და ოჯახური მდგომარეობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გათვალისწინებით, სასამართლოს თავმჯდომარემ მოსამართლეზე საქმეთა განაწილების პროცენტული მაჩვენებელი შესაძლებელია, არაუმეტეს 50%-იანი ბიჯით შეამციროს.

2017 წლის 24 ივლისის N1/243 გადაწყვეტილებით თავმჯდომარესა და კოლეგიის/პალატების თავმჯდომარეებს, 2017 წლის 27 დეკემბრის N1/329 გადაწყვეტილებით კი უკვე თავმჯდომარის მოადგილესა და კოლეგიის/პალატების თავმჯდომარეებსაც ენიჭებათ მოსამართლეებზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობის ხედვისა და სისტემის დროებითი შეფერხების შემთხვევაში მისი გვერდის ავლით მოსამართლეთა რიგითობის მიხედვით საქმეთა განაწილების უფლებამოსილება. თავად იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამ ცვლილებას თავმჯდომარეების ადმინისტრაციული ვალდებულებებისაგან განტვირთვით ხსნის, თუმცა წარმოდგენილი ცვლილების პროექტში არაფერი იყო ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა შემთხვევებში შეეძლოთ ამ უფლებამოსილებით სარგებლობა, მაგალითად, თავმჯდომარის მოადგილეს ან კოლეგიებისა და პალატების თავმჯდომარეებს, რაც უფლებამოსილების დუბლირების რეალურ საფრთხეს წარმოშობს.

მოგვიანებით, 2018 წლის 8 იანვარს, ზემოაღნიშნულ წესში კიდევ ერთი ცვლილება აისახა (ცვლილება მიღებულია 08/01/2018 N1/1, გამოქვეყნებულია <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/1-2018.pdf>), რომლის თანახმადაც ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხებისას საქმეთა რიგითობით განაწილების უფლებამოსილება კანცელარიის შესაბამის უფლებამოსილ პირს დაეკისრა, ხოლო სასამართლოს თავმჯდომარეებს, თავმჯდომარის მოადგილეებსა და კოლეგიის/პალატის თავმჯდომარეებს მხოლოდ მოსამართლეებზე განაწილებული საქმეების ხედვის უფლებამოსილება შეუნარჩუნდათ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე ცვლილების ინიცირებისას ითქვა, რომ ეს ცვლილება საქმეთა განაწილების პროცესში სასამართლოების თავმჯდომარეთა ჩაურევლობის მიზანს ემსახურება, თუმცა, ჩვენი აზრით, ეს თავმჯდომარეების მხრიდან ფორმალური პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მექანიზმი უფროა, ვიდრე – მათი პროცესში მონაწილეობის გამორიცხვა, რადგან მიგვაჩნია, რომ არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა თავმჯდომარეების დისტანცირება საქმის განაწილების პროცესისგან.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის საპილოტე რეჟიმში ამოქმედების შემდეგ ელექტრონული პროგრამის ტექნიკური დავალება არაერთხელ გამოვითხოვეთ როგორც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან, ისე – საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან. მიუხედავად ამისა, არც ტექნიკური დავალება მოუწოდებიათ და არც ნათელი პასუხი გაუციათ, საერთოდ არსებობს თუ არა აღნიშნული დოკუმენტი. მოგვიანებით, პირადი კომუნიკაციისას, დაგვიდასტურეს, რომ პროგრამის ტექნიკური დავალება ამ დრომდე არ არსებობს. თუკი არ არსებობს პროგრამის ფუნქციონალის

წინასწარ გაწერილი მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც დეტალურად ადგენს: რა ტიპის პროდუქტის შექმნაა გამიზნული, რა ტიპის ფუნქციები გააჩნია პროგრამას, მომხმარებელთა ტიპები და მათი უფლებამოსილებანი, როგორ დგინდება პროგრამის ალგორითმის შესაბამისობა საქმეთა ელექტრონული განაწილების წესთან, ან ის, თუ რაზე დაყრდნობით შეიძლება, დადგეს პროგრამის შემქმნელი ჯგუფის პასუხისმგებლობა, თუკი გარე დამკვირვებლის აზრით პროგრამა ხარვეზიანია.

ელექტრონული პროგრამის მთავარი ნოვაციაა საქმეთა შემთხვევითი განაწილების მოდულის (randomizer) არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს საქმეების განაწილებას პროგრამის მიერ შემთხვევით შერჩეულ მოსამართლეზე. პროგრამა იყენებს Microsoft-ის სტანდარტულ ფუნქციურ random-ს, რომელიც არაპროფესიონალური და შედარებით ნაკლებად დაცულია. სათამაშო ბიზნესები (მაგალითად, კაზინოები), რომელთათვისაც ზემოაღნიშნული ფუნქცია უმნიშვნელოვანესია, იყენებს randomizer-ის სპეციალურ ფასიან device-ებს, რომლებიც გაცილებით უფრო პროფესიონალური და სანდოა.

საქმეთა განაწილების პროგრამის მთავარი გამოწვევაა თავად პროგრამის მთავარი მოდულის დაუცველობა, კერძოდ, ე.წ. Hard lock (hardening) არარსებობა, რაც გულისხმობს სისტემის დალუქვას და სისტემის რამდენიმე გასაღებიან დაცვას იმგვარად, რომ მასში ნებისმიერი სახის პროგრამული ცვლილების (ცვლილება პროგრამის ალგორითმში, მომხმარებლებისათვის გაწერილი ფუნქციების გაზრდა/შემცირება, ახალი მომხმარებლების მიბმა და ა.შ.) განსახორციელებლად საჭირო იყოს ყველა გასაღების მფლობლის თანხმობა. დაუცველი პროგრამა ტოვებს იმის შესაძლებლობას, რომ პროგრამის ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფმა პროგრამაში ნებისმიერ დროს შეიტანოს ისეთი ტიპის ცვლილებები, რომლებიც საშუალებას მისცემს პროგრამას, გააკონტროლოს საქმეთა განაწილების პროცესი და კონკრეტული საქმე სასურველ მოსამართლესთან მოახვედროს.

16 რა მექანიზმები არსებობს მართლმსაჯულების სისტემაში ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად? ვინ იღებს აღნიშნულზე გადაწყვეტილებას? პრაქტიკაში როგორ არის უზრუნველყოფილი ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება და რა პრაქტიკული გამოწვევები არსებობს?

საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონი (მიღებულია 17/10/1997 N982, კონსოლიდირებული ვერსია 21/07/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) განსაზღვრავს საჯარო მოხელის (მოსამართლეები, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები, გენერალური პროკურორი, გენერალური პროკურორის მოადგილე, დეპარტამენტებისა და სამმართველოების უფროსები და მათთან გათანაბრებული პირები, აფხაზეთის და აჭარის ა/რ პროკურორები, თბილისის პროკურორი, საოლქო პროკურორები და რაიონული პროკურორები, მათი ოჯახის წევრები) თანამდებობრივ შეუთავსებლობას სხვა ანაზღაურებად თანამდებობასთან ან იმ ორგანიზაციაში მუშაობასთან, რომელიც საჯარო მოხელის კონტროლს ექვემდებარება ან არის შესაბამისი საჯარო დაწესებულების კონტროლს ქვეშ.

ზემოაღნიშნულ თანამდებობის პირებს და მათი ოჯახის წევრებს ეკრძალებათ ფლობდნენ წილს იმ საწარმოში, რომლის საქმიანობის კონტროლიც ამ თანამდებობის პირის ან მისი სამსახურის უფლებამოსილებას განეკუთვნება.

კანონით აკრძალულია გემოაღნიშნული თანამდებობის პირის ახლო ნათესავის დანიშვნა საჯარო პოზიციაზე, რომელიც აღნიშნული საჯარო თანამდებობის პირის ზედამხედველობის ქვეშ არის (გარდა კონკურსის წესით დანიშვნისა).

გემოაღნიშნული თანამდებობის პირი ან მისი ოჯახის წევრი უნდა გადადგეს შეუთავსებელი თანამდებობიდან ან შეწყვიტოს შეუთავსებელი საქმიანობა საჯარო თანამდებობის თაკავებიდან 10 დღის ვადაში.

გემოაღნიშნული თანამდებობის პირი უნდა გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან, თუ:

- მან ან მისმა ოჯახის წევრმა დაარღვია თანამდებობრივი შეუთავსებლობის წესი;
- სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურდა, რომ ის უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონების მფლობელია.

“პროკურატურის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად (მიღებულია 21/10/2008 N382, კონსოლიდირებული ვერსია 05/09/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) პროკურორისა და პროკურატურის გამომძიებლის თანამდებობა შეუთავსებელია სხვა საჯარო თანამდებობასთან სახელმწიფო დაწესებულებასა ან ადგილობრივ თვითმმართველობაში, ასევე სამეწარმეო ან სხვა ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა აკადემიური, პედაგოგიური, სამეცნიერო ან შემოქმედებითი საქმიანობისა. პროკურორს ან პროკურატურის გამომძიებელს შეუძლიათ, ეკავთ შეთავსებითი პოზიცია ან ახორციელებდნენ სხვა ანაზღაურებად სამუშაოს პროკურატურის სისტემაში.

პროკურორს და პროკურატურის გამომძიებელს ეკრძალებათ პოლიტიკური პარტიის წევრობა ან პოლიტიკური აქტივობა.

საქართველოს კონსტიტუციის (მიღებულია 24/08/1999 N786, კონსოლიდირებული ვერსია 23/03/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) თანახმად მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა აკადემიური და პედაგოგიური საქმიანობისა. მოსამართლე არ უნდა იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან ეწეოდეს პოლიტიკურ საქმიანობას.

ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონის დარღვევა არის მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომელიც ვრცელდება როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზე (მიღებულია 14/11/1997 N1106, კონსოლიდირებული ვერსია 31/10/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (მიღებულია 09/10/2009 N1772, კონსოლიდირებული ვერსია 05/09/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) ადგენს კონკრეტული საქმიდან მოსამართლის აცილების საფუძვლებს იმ მიზნით, რომ არ შეიქმნას საქმეზე სასამართლოს მიკერძოებულობის ან ინტერესთა კონფლიქტის ეჭვი. საპროცესო კანონმდებლობა ადგენს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური (მიუკერძოებლობის პრეზუმფცია) მიუკერძოებლობის მოთხოვნას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად მოსამართლეს, ნაფიც მსაჯულს, პროკურორს, გამომძიებელს, სასამართლო სხდომის მდივანს ეკრძალებათ სამართალწარმოებაში მონაწილეობა, თუ:

- ისინი დანიშნული იყვნენ თანამდებობაზე კანონით დადგენილი წესის დარღვევით;
- ისინი მონაწილეობენ ან მონაწილეობდნენ იმავე საქმეში ბრალდებულის, ადვოკატის, დაზარალებულის, ექსპერტის, თარჯიმნის ან მოწმის სახით;
- გამოძიება მიმდინარეობს ამავე საქმეში ერთ-ერთი დასახელებული თანამდებობის პირის მიერ

- სავარაუდოდ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის ირგვლივ;
- არის ბრალდებულის, ადვოკატის ან დაზარალებულის ნათესავი ან ოჯახის წევრი;
- არიან ერთმანეთის ნათესავები ან ოჯახის წევრები;
- არსებობს სხვა გარემოებები, რაც წარმოშობს ეჭვებს მისი მიუკერძოებლობის შესახებ.

მოსამართლეს ეკრძალება მონაწილეობა ისეთი სისხლის სამართლის საქმის განხილვაში, რომელშიც ის მონაწილეობდა პროკურორის, გამომძიებლის, წინასასამართლო, პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციის მოსამართლედ ან მდივნად. მოსამართლეს ეკრძალება მონაწილეობის მიღება სააპელაციო წესით განხილვაში იმ საქმეზე, რომელიც პირველი ინსტანციის წესით თავად განიხილა.

სამართალწარმოების მონაწილეებს მოეთხოვებათ, განაცხადონ შეუთავსებლობის შესახებ და მოახდინონ თვითაცილება. ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ განცხადება უნდა გაკეთდეს შესაბამისად, ზემდგომი თანამდებობის პირის წინაშე პროკურორისა და გამომძიებლის შემთხვევაში, და სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე – მოსამართლის შემთხვევაში. საქმის მხარეებს უფლება აქვთ, დააყენონ მოსამართლის ან პროკურორის/პროკურატურის გამომძიებლის აცილების საკითხი ინტერესთა შეუთავსებლობის საფუძველით. მხარის შუამდგომლობა აცილების შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული. მოსამართლის საქმის განხილვისაგან აცილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე ან შესაბამისი სასამართლო შემადგენლობა.

17 რა მექანიზმები არსებობს გარეშე ზეგავლენისაგან თავისუფლების უზრუნველსაყოფად და როგორ არის ეს უზრუნველყოფილი პრაქტიკაში? ითვალისწინებს თუ არა კანონმდებლობა პასუხისმგებლობას იმ პირთა წინააღმდეგ, ვინც ეცდება, გავლენა მოახდინოს მოსამართლეზე? პასუხს აგებს თუ არა მოსამართლე სისხლის სამართლის წესით სამოსამართლო უფლებამოსილების მიღმა ჩადენილი დანაშაულისთვის? არსებობს თუ არა მოსამართლის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სისტემა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო?

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის 63-ე მუხლი (მიღებულია 04/12/2009 N2257, კონსოლიდირებული ვერსია 31/10/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) ადგენს მოსამართლეთა კონფერენციის ფუნქციას, დაიცვას და უზრუნველყოს მოსამართლის დამოუკიდებლობა, ხელი შეუწყოს სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას და იზრუნოს მოსამართლეთა ავტორიტეტის გაზრდაზე. მოსამართლეთა კონფერენცია არის მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო სასამართლო სისტემის შიგნით, რომელიც შედგება საერთო სასამართლოების ყველა მოსამართლისაგან.

სამოსამართლო ეთიკის წესები მიღებულია მოსამართლეთა კონფერენციის მიერ, რომელიც ადგენს: მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს, რომ მისი ქცევა, როგორც ინდივიდუალურ, ისე ინსტიტუციურ დონეზე, ამყარებდეს სასამართლოს მიმართ ნდობას, სამართლიანობასა და მიუკერძოებლობას. მოსამართლის მიერ ეთიკის ნორმების დარღვევა წარმოადგენს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს.

მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 62-66-ე (მიღებულია 09/10/2009 N1772, კონსოლიდირებული ვერსია 05/09/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-36-ე მუხლები, რომლებიც ასევე ვრცელდება ადმინისტრაციულ

სამართალწარმოებაზე (მიღებულია 14/11/1997 N1106, კონსოლიდირებული ვერსია 31/10/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) ადგენს მოსამართლის საქმის განხილვისაგან აცილების საფუძვლებს. მოსამართლემ არ უნდა განიხილოს საქმე, თუ არსებობს საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ის არ იქნება მიუკერძოებელი (მიუკერძოებლობის სუბიექტური და ობიექტური ტესტები).

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის 1¹-ლი მუხლი ადგენს, რომ მოსამართლესთან კომუნიკაცია გულისხმობს ნებისმიერი ფორმით მოსამართლესთან ურთიერთობის დამყარებას, მათ შორის, წერილობით, ზეპირად, კომუნიკაცია ტელეფონის ან სხვა ტექნიკური საშუალებით. კანონით, დაინტერესებულ მხარედ განისაზღვრება პირი, რომელსაც აქვს საქმის შედეგის მიმართ დაინტერესება და ამ მიზნით ცდილობს, დაამყაროს კომუნიკაცია მოსამართლესთან.

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის 72¹-ე მუხლი კრძალავს სამართალწარმოების მონაწილის, დაინტერესებული მხარის, საჯარო მოხელის, სახელმწიფო თანამდებობის პირის, პოლიტიკური თანამდებობის პირის კომუნიკაციას მოსამართლესთან საქმის სასამართლოში შეტანიდან საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, ასევე, საქმის გამოძიების ეტაპზე. აკრძალული კომუნიკაცია კანონით განისაზღვრება, როგორც კომუნიკაცია, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საქმის ან საკითხის განხილვასთან და/ან საქმის შედეგთან და არღვევს მოსამართლის/სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას, შეჯიბრებითობის პრინციპს. აღნიშნული კანონი არ ვრცელდება მოსამართლესთან ისეთ კომუნიკაციაზე, რომელიც დანაშაულის კატეგორიას არ განეკუთვნება.

მოსამართლე ვალდებულია, დაუყოვნებლივ და წერილობით აცნობოს სასამართლოს თავმჯდომარეს არასათანადო კომუნიკაციის შესახებ მხარის, დაინტერესებული პირის, საჯარო მოხელის, სახელმწიფო თანამდებობის პირის ან პოლიტიკოსის მხრიდან. სასამართლოს თავმჯდომარე ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ გემდგომი სასამართლოს თავმჯდომარეს. თუ დადგინდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლესთან არასათანადო კომუნიკაციის ფაქტი, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს, რომელსაც დაკისრებული აქვს აღნიშნული ფუნქცია. თუ არასათანადო კომუნიკაცია დამყარდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლესთან, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

გემოაღნიშნული უფლებამოსილი მოსამართლეები და იუსტიციის უმაღლესი საბჭო არასათანადო კომუნიკაციის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ უფლებამოსილი არიან, მიიღონ შემდეგი ზომები მხარის, დაინტერესებული პირის, საჯარო მოხელის, სახელმწიფო თანამდებობის პირისა და პოლიტიკური თანამდებობის პირის წინააღმდეგ:

- დაჯარიმება კანონით დადგენილი წესით;
- საჯარო მოხელის შემთხვევაში დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება.

მოსამართლის ან სასამართლოს თავმჯდომარის მიერ არასათანადო კომუნიკაციის აკრძალვის წესების დარღვევა წარმოადგენს მათი დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს.

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის 72³-ე მუხლი ადგენს, რომ პროკურორის მიერ არასათანადო კომუნიკაციის აკრძალვის წესების დარღვევა წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას და ითვალისწინებს ჯარიმას, ასევე დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომას, რაც “პროკურატურის შესახებ” კანონით არის განსაზღვრული.

“საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ” კანონის 72⁴-ე მუხლის თანახმად ადვოკატის მიერ არასათანადო კომუნიკაციის აკრძალვის წესების დარღვევა წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას და იწვევს ადვოკატის დისციპლინურ პასუხისმგებლობას ადვოკატთა შესახებ

კანონით დადგენილი წესით, ასევე ჯარიმას, რაც “საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონით არის განსაზღვრული.

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის 72^ა-ე მუხლი ადგენს, რომ გამომძიებლის მიერ არასათანადო კომუნიკაციის აკრძალვის წესების დარღვევა წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას და ითვალისწინებს ჯარიმას, ასევე, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომას, რაც “პროკურატურის შესახებ” კანონით არის განსაზღვრული.

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის 72^ბ-ე მუხლი ადგენს, რომ საჯარო მოხელის, სახელმწიფო თანამდებობის პირის ან პოლიტიკოსის მიერ არასათანადო კომუნიკაციის აკრძალვის წესების დარღვევა წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას, ასევე თვალისწინებს ჯარიმას “საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონით გათვალისწინებული ოდენობით.

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონით გათვალისწინებული ჯარიმა მხარის, დაინტერესებული პირისა და საჯარო მოხელის მიერ არასათანადო კომუნიკაციის აკრძალვის წესის დარღვევისთვის შეადგენს 5 000 ლარს (1612 ევროს).

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონით გათვალისწინებული ჯარიმა სახელმწიფო თანამდებობის პირისა და პოლიტიკოსის მიერ არასათანადო კომუნიკაციის აკრძალვის წესის დარღვევისთვის შეადგენს 10 000 ლარს (3225 ევროს).

უფლებამოსილმა მოსამართლემ უნდა განიხილოს ინფორმაცია მოსამართლესთან აკრძალული კომუნიკაციის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 14 დღის ვადაში და მიიღოს გადაწყვეტილება ჯარიმის დაკისრების შესახებ. მოსამართლეს, რომელმაც განაცხადა აკრძალული კომუნიკაციის შესახებ, უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს აღნიშნული საკითხის განხილვაში. მოსამართლეს, რომელიც განიხილავს აკრძალული კომუნიკაციის საკითხს, აქვს უფლებამოსილება, მოიწვიოს მოწმეები, რომელთა ჩვენებას შეიძლება, მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს საკითხზე, მოუწოდოს მხარეებს, წარადგინონ მტკიცებულებები, ჩაატაროს ზეპირი მოსმენა ორივე მხარის მონაწილეობით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა უნდა განიხილოს საკითხი აკრძალული კომუნიკაციის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 1 თვის ვადაში. თუ საკითხის შესწავლით გამოვლინდება სავარაუდო დანაშაულის ნიშნები, საქმე უნდა გადაეცეს საგამომძიებო ორგანოებს.

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა დაამუშაოს სტატისტიკური ინფორმაცია მოსამართლეებთან აკრძალული კომუნიკაციის შესახებ. შემდეგი ინფორმაცია ექვემდებარება გასაჯაროებას: მოსამართლესთან აკრძალული კომუნიკაციის დამყარების შესახებ ინფორმაცია მოსამართლის ვინაობის გამჟღავნების გარეშე; ინფორმაცია საქმის შესახებ, სადაც დადგინდა მოსამართლესთან აკრძალული კომუნიკაციის ფაქტი.

“კოალიციის დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის” კვლევა მიუთითებს მოსამართლესთან არასათანადო კომუნიკაციის საკითხის მარეგულირებელ კანონმდებლობაში არსებულ შემდეგ ხარვეზებზე:

- კანონი არ იცავს მოსამართლეს სასამართლო სისტემის შიგნით განხორციელებული არასათანადო კომუნიკაციის შემთხვევაში; არასათანადო კომუნიკაციის საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც არ საჩივრდება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში;
- მოსამართლეებს არ აქვთ შესაძლებლობა, მიმართონ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არასათანადო კომუნიკაციის შემთხვევებთან დაკავშირებით. თუ იუსტიციის უმაღლესი საბჭო მონაწილეობს პროცესში, ის საბჭოს მდივნით არის წარმოდგენილი;

- მოსამართლესთან აკრძალული ექს-პარტე კომუნიკაციის დეფინიცია არასაკმარისად განჭვრეტადია;
- კანონი ნათლად არ განსაზღვრავს მოსამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლებს კომუნიკაციის წესების დარღვევისთვის, რაც ასუსტებს მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების სისტემას და ზრდის მისი არასათანადოდ გამოყენების რისკებს.³⁰

კონსტიტუციის 63.2-ე მუხლი ადგენს: “მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირადი გაჩხრეკა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. თუ იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ მისცემს თანხმობას, თავისუფლებაშემზღუდული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. მოსამართლის დაკავებაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანხმობა ვაიცემა საბჭოს წევრთა 2/3-ის ხმათა უმრავლესობით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი (მიღებულია 26/06/1997 N786, კონსოლიდირებული ვერსია 31/10/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) ადგენს სახელმწიფოს სამოქალაქო პასუხისმგებლობას საჯარო მოხელის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისთვის. თუ ზიანი განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით იქნა გამოწვეული, საჯარო მოხელე სახელმწიფოსთან სოლიდარულად აგებს პასუხს აღნიშნული ზიანისთვის. სახელმწიფოს ვალდებულება, აანაზღაუროს ზიანი, არ წარმოიშობა, თუ დაზარალებული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადა, სამართლებრივი გზებით თავიდან აეცილებინა ზიანი. რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის, დისციპლინური პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს აანაზღაურებს სახელმწიფო, გამოძიების, პროკურატურის ორგანოების და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვისას ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს.

18 ყოფილა თუ არა კორუფციის შემთხვევები გამოვლენილი მართლმსაჯულების სისტემაში და თუ ყოფილა, ყოფილა პასუხისგებაში მიცემის შემთხვევები?

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (მიღებულია 22/07/1999 N2287, კონსოლიდირებული ვერსია 31/10/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) XXXIX თავი ადგენს სამოხელეო დანაშაულებს. მათ შორის, მოსამართლეებსა და პროკურორებზე შეიძლება, გავრცელდეს ისეთი დანაშაულები, როგორებიცაა: უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (მუხლი 332-ე); უფლებამოსილების გადამეტება (მუხლი 333-ე); ბრალდებულის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან უკანონო გათავისუფლება (მუხლი 334-ე); განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება (მუხლი 335-ე); ქრთამის აღება (მუხლი 338-ე); კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება (მუხლი 340-ე); სამსახურებრივი სიყალბე (მუხლი 341-ე); სამსახურებრივი გულგრილობა (მუხლი 342-ე); სხვა დანაშაულები, რომლებიც შეიძლება, ჩადენილ იქნეს მოსამართლი ან პროკურორის მიერ.

30. კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები, გვ.: 74-81 <https://gyla.ge/files/news/2006/The%20Judicial%20System-3.pdf>

საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონი (მიღებულია 17/10/1997 N982, კონსოლიდირებული ვერსია 21/07/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) ადგენს საჯარო სამსახურში ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის, გამოვლენისა და აღმოფხვრის წესებს. კანონი განსაზღვრავს კორუფციულ დარღვევებს და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას აღნიშნული დარღვევებისთვის. კანონი განსაზღვრავს საჯარო თანამდებობის პირთა ჩამონათვალს, რომლებზეც ვრცელდება აღნიშნული კანონი, კორუფციულ დარღვევებსა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომას. კორუფციის პრევენციისთვის კანონი ადგენს საჯარო მოხელის შემოსავლების შესახებ ინფორმაციის დეკლარირების მოთხოვნას, საჩუქრის მიღების წესს, ქმნის ანტიკორუფციულ უწყებათაშორის საბჭოს. ასევე, კანონი განსაზღვრავს თანამდებობრივი შეუთავსებლობის შემთხვევებს. კანონი ადგენს კონკრეტულ კორუფციულ დარღვევებს, რომლებიც არ წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს და ადგენს პასუხისმგებლობის ზომებს. მამხილებლის დაცვის მექანიზმები ამავე კანონით არის დადგენილი.

“საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო” გამოსცა ანგარიში სავარაუდო კორუფციის შემთხვევების შესახებ:³¹

- დავით ძოწენიძის საქმე შეეხება სასამართლოს მიერ საქმის წარმოების განახლებას, რომელიც ჯერ კიდევ 2012 წელს (ხელისუფლების შეცვლამდე) დავით ძოწენიძის სასარგებლოდ იყო გადაწყვეტილი. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი, რომელიც 2016 წელს (ახალი ხელისუფლების პირობებში) წარედგინა სასამართლოს, იყო თავდაპირველად საქმეზე წარდგენილი დოკუმენტის იდენტური, თბილისის საქალაქო სასამართლომ ახალ მტკიცებულებად მიიჩნია აღნიშნული დოკუმენტი, განაახლა საქმისწარმოება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ამასთან, ორივე საქმე ერთი და იმავე მოსამართლემ, ლაშა ქოჩიაშვილმა, განიხილა. “საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო” ანგარიშის მიხედვით საქმის განახლების შესახებ გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი იყო.³²
- რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საქმეზე იმავე მოსამართლემ, ლაშა ქოჩიაშვილმა, ჯერ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და ყადაღა დაადო საწარმოს ქონებას, რომლის ღირებულება ათობით მილიონ ლარს შეადგენდა, 5000 ლარის (1612 ევრო) ოდენობის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად და აღნიშნულით შეაფერხა კომპანიის მუშაობა, ხოლო შემდეგ ბათილად ცნო ხელშეკრულებები, რომელთა ნამდვილობა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით იყო დადგენილი.³³
- 2016 წელს მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძემ 93 მილიონი ლარი (30 მილიონი ევრო) ჯარიმა დააკისრა თამბაქოს მწარმოებელ კომპანია “ფილიპ მორისს” ასევე თამბაქოს მწარმოებელი კომპანიის, სს “თბილისის თამბაქოს”, სასარგებლოდ გადაწყვეტილებით, რომელიც არ იყო სამართლებრივად და ფაქტობრივად დასაბუთებული. აღნიშნული გადაწყვეტილება გაუქმებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს მიერ. მიუხედავად იმისა, რომ საქმის განხილვა მნიშვნელოვანი დარღვევებით მოხდა და სერიოზული კითხვები გაჩნდა სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ არ გამოიკვლია აღნიშნული საკითხი. პარალელურად, 2017 წლის 21 სექტემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ დააჯარიმა საერთაშორისო სავაჭრო პალატის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე ფადი ასლი3000

31. საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, “კორუფციის რისკები საქართველოში”, 2018 <https://transparency.ge/post/korupciis-riskebi-sasamartlo-sistemashi>

32. საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, “კორუფციის რისკები საქართველოში”, 2018, გვ.: 57,58 <https://transparency.ge/sites/default/files/corruption-risks-eng.pdf>

33. საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, “კორუფციის რისკები საქართველოში”, 2018, გვ.: 60, 61 <https://transparency.ge/sites/default/files/corruption-risks-eng.pdf>

ლარით (967 ევრო) აღნიშნული საქმის გაკრიტიკების გამო. ფადი ასლიმ საქმის განმხილველ მოსამართლეს კორუმპირებული უწოდა. აღნიშნული პრეცედენტი სახიფათოა, ვინაიდან სასამართლო სისტემაში, სადაც ანგარიშვალდებულების მექანიზმი არაეფექტურია, ხოლო ძლიერი საზოგადოებრივი პროტესტი პრობლემების იდენტიფიცირების ფაქტობრივად ერთადერთ მექანიზმად რჩება, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა (სასამართლოს რეპუტაციის დაცვის მოტივით) შეიძლება, გახდეს კორუფციის რისკების გაზრდის საფუძველი.³⁴

- ▶ “საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს” ანგარიშში განხილულია შპს “მეგაკოსა” და შპს “ტრანსკაუკასუს კრისტალს” შორის დავა, რომელშიც მონაწილეობდა ნიამ ხალვაში, ხელისუფლებასთან აფილირებული ბიზნესმენის, ქიბარ ხალვაშის, ძმა (პირი, რომელიც ჩართული იყო ტელეკომპანია “რუსთავი 2-ის” წინააღმდეგ წარმოებულ სამოქალაქო დავაში). საქმის გარემოებებმა გააჩინა ეჭვი, რომ სასამართლო, სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად, მოქმედებდა ნიამ ხალვაშის სასარგებლოდ, რომელმაც შეძლო, რამდენიმე მილიონის ღირებულების შპს “ტრანსკაუკასუს კრისტალის” ქონება შეეძინა სულ რაღაც 942,600 ლარად (314,200 ევრო) საჯარო აუქციონის გზით.³⁵
- ▶ “საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ” შეისწავლა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 11 მაისის ბრძანება, რომლითაც სპეციალური მმართველი იქნა დანიშნული შპს “საქართველოს მანგანეზში” ნებართვებისა და ლიცენზიების პირობების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. მოთხოვნა კომპანიაში სპეციალური მმართველის დანიშვნის შესახებ შეტანილ იქნა 2017 წლის 10 მაისს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ და სსიპ გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ, რომლებიც აცხადებდნენ, რომ შპს “საქართველოს მანგანეზმა” დაარღვია ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები. საქმის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, საქმის დაჩქარებულად განხილვით დარღვეულ იქნა რიგი პროცესუალური მოთხოვნები და მხარეთა ინტერესების გათვალისწინების გარეშე. ამასთან, განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს მოსამართლის ბრძანების ის ნაწილი, რომელიც სპეციალურ მმართველს ანიჭებს დაუსაბუთებლად ფართო უფლებამოსილებებს.³⁶
- ▶ პროკურატურას არ გამოუძიებია მართლმსაჯულების სისტემაში მომხდარი სავარაუდო კორუფციის შემთხვევები. მაგალითად, ტელეკომპანია “რუსთავი 2-ის” საქმის განხილვისას მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ, მამუკა ახვლედიანმა, კორუფციული შეთანხმების შედეგად მიიღო თანხა. აღნიშნული ბრალდების ავტორები მიუთითებდნენ მამუკა ახვლედიანსა და “რუსთავი 2-ის” დირექტორს შორის საუბარზე, რომლის ჩანაწერი მედიაში გავრცელდა და მამუკა ახვლედიანის მიერ ძვირადღირებული უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელ გარიგებაზე. კერძოდ, ეჭვები გაჩნდა მამუკა ახვლედიანის მიერ 2016 წელს სკოლა “ოლიმპის” შეძენისთვის საჭირო თანხის წარმომავლობას შესახებ. აუდიო ჩანაწერის გავრცელების შემდეგ “რუსთავის 2-ის” საქმეში კორუფციის ნიშნების შესახებ განცხადებები გააკეთეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმაც. მამუკა ახვლედიანმა უარყო კორუფციულ გარიგებაში ჩართვა და რაიმე უკანონო შემოსავლის მიღება. იგი აცხადებდა, რომ მან ქონება შეიძინა საბანკო კრედიტით (რომლის პირობები ბანკის მიერ იქნა შეთავაზებული), რომელსაც ის ფარავს სკოლიდან მიღებული შემოსავლით. საზოგადოებას არ მისწოდებია

34. საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, “კორუფციის რისკები საქართველოში,” 2018, გვ.: 43 <https://transparency.ge/sites/default/files/corruption-risks-eng.pdf>

35. საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, “კორუფციის რისკები საქართველოში,” 2018, გვ.: 64, 65 <https://transparency.ge/sites/default/files/corruption-risks-eng.pdf>

36. საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, “კორუფციის რისკები საქართველოში,” 2018, გვ.: 66, 67 <https://transparency.ge/sites/default/files/corruption-risks-eng.pdf>

- სათანადო ინფორმაცია საქმის აღნიშნული შემთხვევის ირგვლივ, ვინაიდან გამოძიება არ დაწყებულა და არც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გაუკეთებია რაიმე დასკვნა.³⁷
- ▶ “საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო” ანგარიში ასევე მიუთითებს: „გამოძიება დაიწყო, მაგრამ მისი შედეგების შესახებ საზოგადოებას არ მისწოდებია ინფორმაცია მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდის ტესტების წინასწარ გამჟღავნების საქმეზე, რომელშიც, სავარაუდოდ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მონაწილეობა იკვეთებოდა. გამოძიების ასეთი არაეფექტურობა ზიანს აყენებს მართლმსაჯულების ინტერესებს, ვინაიდან ის ქმნის დაუსჯელობის განცდას და, ამავე დროს, ზრდის კონკრეტულ თანამდებობის პირებზე ზეგავლენის მოხდენის რისკებს.“ “საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ” არაერთხელ მოითხოვა ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ. პროკურატურის მიერ სხვადასხვა დროს გაცემული პასუხებიდან ირკვევა, რომ გამოძიება კვლავ მიმდინარეობს და დევნა არავის მიმართ არ დაწყებულა.
 - ▶ 2012 წლის 19 დეკემბერს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება სასამართლოს თანამშრომელთან სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლების მხრიდან არასათანადო კომუნიკაციისა და ზეგავლენის მოხდენის შესახებ. განცხადება შეეხებოდა ზეწოლას, რომელიც სპეცდანიშნულების სამსახურის წარმომადგენლებმა განახორციელეს სასამართლოს თანამშრომელზე იმ მიზნით, რათა მიეღოთ ინფორმაცია სასამართლოს შიდა ადმინისტრაციულ საკითხებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარესთან დაკავშირებით. მოგვიანებით მთავარმა პროკურატურამ გააკეთა განცხადება, რომ დაიწყო გამოძიება, თუმცა აღნიშნული გამოძიების შედეგების შესახებ არაფერია ცნობილი.
 - ▶ 2018 წლის თებერვალში ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ირაკლი შავაძემ საჯაროდ განაცხადა, რომ მას მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ დანიშვნაზე (სამწლიანი გამოსაცდელი ვადის ამოწურვის შემდეგ) იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უარი უთხრა იმ მიზეზით, რომ მასა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს შორის არსებობდა დაპირისპირება. მოსამართლე შავაძემ განაცხადა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ (რომელიც არის სასამართლო სისტემაში არსებული გავლენიანი ჯგუფის წევრი და საჯაროდ ამ ჯგუფის დამცველი) რამოდენიმეჯერ სცადა მის გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა. ამავე წლის 1 მარტს კოალიციამ დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის მოუწოდა შესაბამის უწყებებს, გამოიძიონ მოსამართლე შავაძის განცხადებაში მითითებული სავარაუდო კანონდარღვევები.³⁸ პროკურატურის მიერ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისთვის გაგზავნილი პასუხის თანახმად დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო მოსამართლე შავაძის მიერ დასახელებული გარემოებების ირგვლივ გამოძიება არ დაწყებულა.

37. საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, “კორუფციის რისკები საქართველოში,” 2018, გვ.: 49,50 <https://transparency.ge/sites/default/files/corruption-risks-eng.pdf>

38. კოალიცია ეხმარება სასამართლო სისტემაში განვითარებულ მოვლენებს და იწყებს კამპანიას „მინდა ვენდო სასამართლოს“, 2018.03.01. „მოსამართლეთა შერცხვისა და დანიშვნის ყოველ ეტაპზე იქმნება აღქმა, რომ მოსამართლეთა დანიშვნის პროცესი ეფუძნება გავლენიან მოსამართლეთა ჯგუფის მიმართ ლოიალურობასა და ნეპოტიზმს. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო თავის უფლებამოსილებებს და კანონმდებლობის ხარვეზებს იყენებს იმისთვის, რომ სასამართლო სისტემიდან გააძევოს განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეები და გაიმყაროს თავისი ძალაუფლება. ამ ვითარებაში მოსამართლეები თავს არიდებენ სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემების შესახებ კრიტიკული მოსაზრებების გამოხატვას. აღნიშნული დასტურდება ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ირაკლი შავაძის ირგვლივ განვითარებული მოვლენებითაც. მოსამართლის განცხადებები აშკარად შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, რომელიც უნდა იქნეს გამოკვლეული გამოძიების მიერ.“ <http://coalition.ge/>

სავარაუდო პოლიტიკური ინტერესის შემცველი საქმეები

ახლახანცამეტმარტამთავრობო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა განცხადება 2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში ხორავას ქუჩაზე ორი ახალგაზრდის მკვლელობის საქმეზე განხორციელებული გამოძიების თაობაზე, რომელმაც დიდი საზოგადოებრივი გამოხმაურება და პროტესტი გამოიწვია. ქუჩის აქციების შედეგად თანამდებობიდან გადადგა იმ დროს ქვეყნის მთავარი პროკურორი, ირაკლი შოთაძე, და შეიქმნა დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომისია საქმის გამოსაძიებლად. საგამოძიებო კომისიის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ სამართალდამცავ უწყებაში მნიშვნელოვანი პრობლემები ფიქსირდებოდა აღნიშნული საქმის ობიექტური და სრულყოფილი გამოძიების კუთხით. არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოუწოდეს პროკურატურას, მიიღონ ზომები იმ პირთა პასუხისმგებლობის მისაცემად, ვინც განზრახ ან გულგრილობით დაბრკოლებები შეუქმნეს საქმის გამოძიებას და ხელი შეუშალეს მართლმსაჯულების განხორციელებას და რომელთა მოქმედებებიც, სავარაუდოდ, შეიცავდნენ კანონის დარღვევასა და დანაშაულის ნიშნებს.³⁹ საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის დასკვნა შეიცავს 32 რეკომენდაციას საჯარო მოხელეთა და იმ საჯარო თანამდებობის პირთა მიმართ გამოსაყენებელი ღონისძიებების შესახებ, რომელთაც ეკისრებოდათ აღნიშნული საქმის გამოძიების პასუხისმგებლობა. საგამოძიებო კომისიის დასკვნამ კიდევ ერთხელ გამოავლინა გამოძიების პროცესში დაშვებული არაერთი ხარვეზი, რომელთა რაოდენობა და მნიშვნელოვანი ხასიათი ეჭვებს წარმოშობს გამოძიების ობიექტურობაზე. ეჭვებს აღრმავებს ორი ფაქტორი: ერთი მხრივ, საგამოძიებო ორგანოს მიერ განუხორციელებელი საგამოძიებო მოქმედებები, რაც საჭირო იყო დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის მ.კ.-ს როლის გამოსაკვეთად ან ასეთი საგამოძიებო მოქმედებების დაგვიანებით ჩატარება; მეორე მხრივ, არსებობდა მ.კ.-ს ბიძის, მირზა სუბელიანის, მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც იყო პროკურატურის მაღალჩინოსანი, რაც საქმეში არსებული არა მხოლოდ ცალკეული და ზედაპირული, არამედ ფუნდამენტური ხარვეზების გათვალისწინებით ქმნის აღქმას, რომ გამოძიება მიკერძოებული იყო. საპარლამენტო საგამოძიებო კომისიამ დაადგინა, რომ პროკურატურას უნდა სცოდნოდა გამოძიების მასალებიდან, რომ მ.კ.-ს სავარაუდოდ ჰქონდა იარაღის მსგავსი საგანი მოზარდებს შორის მომხდარი ჩხუბის დროს; პროკურატურას მოწმეთაგან უნდა მიეღო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მ.კ.-ს ჯიბეში ჰქონდა ხელი ჩაყოფილი ჩხუბის დაწყების დროისათვის. გამოძიებას შეეძლო, დაედგინა, იყო თუ არა მ.კ.-ს ტანსაცმელზე მოკლულის სისხლის კვალი; მას უნდა დაედგინა დანაშაულის მოტივი. თუმცა, სამართალდამცავებმა სათანადოდ არ შეისწავლეს ვიდეო კამერის ჩანაწერი, რომელიც გამოძიების ფარგლებში იქნა ამოღებული. მოწმეებს არ დაესვათ სათანადო კითხვები. დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნაში ვკითხულობთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, პროკურორმა მოწმეს განუმარტა, რომ მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, რომ მ.კ.-ს ჯიბეში ჰქონდა ხელი ჩხუბის დაწყების მომენტში, არ იყო მნიშვნელოვანი ინფორმაცია და არწმუნებდა, არ მიეწოდებინა აღნიშნული ინფორმაცია სასამართლოსთვის. სამართალდამცავებს არ მოუხდენიათ მ.კ.-ს სავარაუდოდ სისხლიანი ტანისამოსის ამოღება და არ განუხორციელებიათ ფარული საგამოძიებო მოქმედებები ჩხუბის მთავარი მონაწილეების, მათ შორის, მ.კ.-ს მიმართ. მათ არ გამოუკითხავთ ყველა მოწმე, რომელთა შესახებაც ცნობილი იყო გამოძიებისთვის და რომელთაც ჰქონდათ ინფორმაცია მ.კ.-ს და სხვების შესახებ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ საქმის გამოძიების ფორმა და მიკერძოების კონკრეტული ნიშნები გამოძიებაში გამორიცხავს იმას, რომ აღნიშნული ხარვეზები უმნიშვნელო პროცედურული ხარვეზები იყო, რაც შეიძლება, ინდივიდუალური გამოძიებლების დონეზე მომხდარიყო. მიუხედავად ფაქტისა, რომ ზოგადად გამოძიების ხარისხი დაბალია ქვეყანაში, ზემოაღნიშნული მთელი რიგი ფაქტორების არსებობა ამ საქმეში მიუთითებს აღნიშნული ინციდენტის სპეციფიკურ ბუნებაზე.

39. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება ე.წ. ხორავას ქუჩის საქმეზე შექმნილი დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის მიერ მომზადებული დასკვნისა და რეკომენდაციების 2018.09.18 <https://gyla.ge/en/post/arasamtavrobo-organizaciebis-ganckhadeba-khoravas-quchaze-momkhdari-danashaulis-shemstsvavleli-droebiti-sagamodziebo-komisiis-daskvnastan-da-rekomendaciebtan-dakavshirebitNsthash.sWwnBQOO.dpbs>

თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა რჩებოდა წინასწარ პატიმრობაში ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში იმ საფუძვლით, რომ სასამართლო დაეყრდნო სისხლის სამართლის პროცესის იმ ნორმას, რომელიც შემდგომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად იქნა მიჩნეული. შესაბამისი ანგარიშები მიუთითებს, რომ ამ საქმეზე სამართალდამცავი უწყებების მიერ განხორციელებული მოქმედებების ქრონოლოგია და წინასწარი პატიმრობის მარეგულირებელ ნორმებში არსებული ხარვეზების გამოყენება ააშკარავებს აღნიშნულ საქმეზე პოლიტიკური მოტივის უპირატესობას. აღნიშნულ საქმეში პოლიტიკური მოტივის არსებობაზე სხვადასხვა დროს სხვადასხვა ნეიტრალურმა აქტორმა მიუთითა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 2014 წელს გამოქვეყნებული ანგარიში მიუთითებს: „ივლისში სამართალდამცავმა უწყებამ დააკავა გიგი უგულავა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში 5 ივნისს მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიმართ ზეწოლის განხორციელებისა და ჯგუფური მოქმედების ორგანიზებისთვის, სავარაუდოდ, იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალა კომისიის თავმჯდომარის კანონიერი მოქმედებისთვის. პროკურატურამ ასევე ბრალი წარუდგინა გიგი უგულავას უკანონო შემოსავლის ლეგალიზებისა და ყალბი დოკუმენტების გამოყენებისთვის. უგულავა, რომელსაც ადრე ბრალი ჰქონდა წარდგენილი სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის მითვისებისთვის, იმყოფებოდა წინასწარ პატიმრობაში ერთი მიმდინარე და ორი მოსალოდნელი სასამართლო განხილვის პირობებში. პროკურატურამ დაკავების შემდეგ მოითხოვა გიგი უგულავასთვის პატიმრობის შეფარდება და მიუთითა, რომ მან დაარღვია თავდაპირველი გირაოს პირობები, როცა მან ქვეყნის დატოვება სცადა. თბილისის საქალაქო სასამართლომ გიგი უგულავას შეუფარდა წინასწარი პატიმრობა, ხოლო სააპელაციო სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია გიგი უგულავას საჩივარი აღკვეთის ღონისძიების შეფარდებათან დაკავშირებით. “ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ” გამოთქვა ეჭვი, რომ უგულავას დაკავება ადგილობრივი არჩევნების წინ მიზნად ისახავდა ქვეყნის მთავარი ოპოზიციური ძალის განეიტრალებას. “საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ” და “საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო” მიუთითეს, რომ უგულავას დაკავება არღვევდა წინასაარჩევნო მორატორიუმის პირობებს, არ იყო დასაბუთებული და ეწინააღმდეგებოდა კანონით დადგენილ მოთხოვნებს. მათ მოუწოდეს სამართალდამცავ უწყებებს, დაეკონკრეტებინათ უგულავას დაკავების გადაუდებელი აუცილებლობა. იუსტიციის მინისტრმა გააკეთა კომენტარი, რომ უგულავა ცდილობდა ქვეყნის დატოვებას და ამის გამო აღარ სარგებლობდა იმუნიტეტით შეთანხმებული მემორანდუმის პირობებში. უგულავა და მისი დამცველი მიუთითებდნენ მის მიერ უკან დასაბრუნებელი ბილეთის შეძენაზე, რომელიც მედიითაც იქნა გავრცელებული, და მიუთითებდნენ რომ ის იმავე დღეს აპირებდა საქართველოში დაბრუნებას. ამავე წლის დეკემბერში უგულავას წინააღმდეგ საქმეები კვლავ მიმდინარე იყო.”⁴⁰ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ გამოთქვა ეჭვი ამ საქმეზე პროკურატურის მიერ პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევის შესახებ.⁴¹

ე.წ. კაბელების საქმე 2015 წლიდან წარმოშობდა ეჭვებს პოლიტიკური ინტერესების დომინირების შესახებ საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე. “საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო” ზემოაღნიშნული ანგარიში მიუთითებს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმეებს წინ უძღოდა პოლიტიკური დაპირისპირება მმართველ პარტიასა და იმ დროს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას შორის, რაც 2014 წლის ნოემბერში მინისტრის თანამდებობიდან გადადგომით დასრულდა. ანგარიში მიუთითებს, რომ აღნიშნული საქმის განვითარება წარმოშობს ეჭვებს არასათანადო და პოლიტიზირებული მართლმსაჯულების შესახებ. “ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ” 2016 წლის მაისში გამოქვეყნებულ

40. Country Report on Human Rights Practices in Georgia, US Department of State, 2014 <https://www.state.gov/j/drl/rls/hrrpt/2014humanrightsreport/index.htm#wrapper>

41. საიას განცხადება გიგი უგულავას საქმის განხილვის დაუსაბუთებელი გაჭიანურების შესახებ, ივნისი, 2014 <https://gyla.ge/ge/post/saias-ganckhadeba-gigi-ugulavas-saqmis-gankhilvis-ganmeorebit-dausabuteblad-gadadebis-shesakheb-20Nesthash.7yKiL2Yy.dpbs>

განცხადებაში გამოთქვა ეჭვი, რომ სასამართლომ კაბელების საქმეზე მიიღო უკანონო, უსამართლო და დაუსაბუთებელი განაჩენი.⁴²

“საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს” ანგარიშის მიხედვით ტელეკომპანია “რუსთავი 2-ის” საქმე მყარ საფუძველს ქმნის იმისთვის, რომ აღნიშნულ საქმეზე სასამართლო მიკერძოებული იყო. საქმის პოლიტიზებულობის შესახებ კითხვები 2015 წელს გაჩნდა, როცა სასამართლომ გამოსცა ბრძანება იმ ტელეკომპანიის ქონების სრულად დაყადაღების შესახებ, რომელიც მმართველი ხელისუფლების მიმართ კრიტიკულობით გამოირჩეოდა. სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება გახდა დამოუკიდებელი ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევის ნათელი მაგალითი. 2017 წლის მარტში ევროპულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება “რუსთავი 2-ის” მესაკუთრის ცვლილებაზე ეროვნული სასამართლოს მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების შეჩერების შესახებ და დაავალა სახელმწიფო უწყებებს, თავი შეიკავონ ტელეკომპანიის სარედაქციო პოლიტიკაში ნებისმიერი სახით ჩარევისაგან. 2017 წლის აპრილში გამოქვეყნებულ საზოგადოებრივი აზრის კვლევაში, რომელიც NDI-ის მიერ ჩატარდა, რესპონდენტების 56% ეთანხმება განცხადებას, რომ „რუსთავი 2-ის” საქმეში ადგილი ჰქონდა ხელისუფლების მხრიდან ჩარევას. “რუსთავი 2-ის” საქმე აღნიშნულია აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის 2015 წლის ანგარიშშიც:

“გამოთქვა ეჭვები ქვეყნის ყველაზე რეიტინგული ტელევიზიის, “რუსთავი 2-ის”, საქმეზე სასამართლოს დამოუკიდებლობაში ხელისუფლების მხრიდან ჩარევის შესახებ. “რუსთავი 2” გამოთქვამს ეჭვებს ტელეკომპანიის ქონების დაყადაღების შესახებ სასამართლოს მიერ აგვისტოში მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით კომპანიის ერთ-ერთი ყოფილი მესაკუთრის მიერ შეტანილი სარჩელის უბრუნველყოფისთვის. 10 აგვისტოს ქვეყნის წამყვანი 7 არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გამოთქმული იქნა ეჭვი, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება არ აკმაყოფილებდა გონივრული ეჭვის სტანდარტს და გამოიწვია ტელეკომპანიის უფლებების არაპროპორციული შეზღუდვა. ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებმა აღნიშნეს, რომ ერთი შეხედვით კერძო პირებს შორის სამოქალაქო დავა აღძრავდა ეჭვებს მასზე პოლიტიკური გავლენების შესახებ. “ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის” მიერ 10 აგვისტოს გამოქვეყნებულ განცხადებაში კი კითხვის ნიშნის ქვეშ არის დაყენებული სასამართლოს ამ გადაწყვეტილების დასაბუთებულობა და პროპორციულობა და მიუთითებს, რომ გადაწყვეტილება მხედველობაში არ იღებს შეუქცევადი ზიანის საფრთხეს, რაც ასეთი გადაწყვეტილების მიღებით შეიძლება, მიადგეს საჯარო ინტერესს ტელეკომპანიის მაყურებელთა რიცხვის გათვალისწინებით. ოქტომბერში ქვეყნის ყოფილმა პრეზიდენტმა და ოპოზიციის ლიდერმა მოუწოდა რევოლუციური სცენარის განვითარებისკენ სასამართლო გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რის თაობაზე ჩანაწერიც უცხოური მედიის მეშვეობით გავრცელდა.

ნოემბერში სასამართლომ მიიღო “რუსთავი 2-ის” ყოფილი მფლობლის სასარგებლო გადაწყვეტილება და მას მიაკუთვნა ტელეკომპანიის 100% წილი. ასევე, სასამართლომ გამოსცა ტელეკომპანიის დროებითი მმართველის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება, რომელსაც უნდა ჩაენაცვლებინა ტელეკომპანიის მოქმედი დირექტორი და მთავარი ფინანსური მენეჯერი. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მოსამართლემ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა “რუსთავი 2-ის” სარედაქციო პოლიტიკა და დროებით მმართველს მიანიჭა უფლებამოსილება, მიეღო ისეთი გადაწყვეტილებები, როგორებიცაა ჟურნალისტების გათავისუფლება და სხვა სამართლებრივი მოქმედებების განხორციელება. 30 ნოემბერს სააპელაციო სასამართლომ გააუქმა მოსამართლის განჩინება დროებითი მმართველის დანიშვნის შესახებ, რომლითაც ტელეკომპანიის გენერალურმა დირექტორმა და ფინანსურმა მენეჯერმა შეინარჩუნეს თავიანთი პოზიციები.

42. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება ე.წ. კაბელების საქმესთან დაკავშირებით <https://gyla.ge/en/post/saia-ets-kabelebis-saqmeze-sasamartlom-ukanono-usamartlo-da-dausabutebeli-ganacheni-gamoitanaNsthash.EuFKbz20.dpbs>

მართალია, ხელისუფლება აპელირებდა, რომ “რუსთავი 2-ის” საქმე იყო კერძო პირებს შორის დავა, თუმცა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოქმედებები საზოგადოებაში აღქმულ იქნა, როგორც ტელეკომპანიის სარედაქციო პოლიტიკის შეცვლის მცდელობა, რომელიც ხშირად ოპოზიციური პარტიის, “ნაციონალური მოძრაობისთვის” მისაღებ აზრებს ავითარებდა. ბევრისთვის, სასამართლოს გადაწყვეტილებამ ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მმართველი ხელისუფლების ერთგულება მედიის თავისუფლებისადმი, პოლიტიკური პლურალიზმისა და სასამართლოს დამოუკიდებლობისადმი. ნ ნოემბერს დიპლომატიური მისიების წარმომადგენელთა ჯგუფმა თბილისში გაავრცელა ერთობლივი განცხადება, რომლითაც გამოხატა წუხილი “რუსთავი 2-ის” დროებითი მმართველის დანიშვნის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების გამო და აღნიშნა, რომ სასამართლოს ეს განჩინება წარმოშობდა სერიოზულ კითხვებს სასამართლოს დამოუკიდებლობის და ქვეყანაში მედიის თავისუფლების რეალური ხარისხის შესახებ.

გარდა პრეზიდენტისა, ხელისუფლების წარმომადგენლები აკნინებდნენ “რუსთავი 2-ის” გარშემო განვითარებული მოვლენების მნიშვნელობას.

“რუსთავი 2-ის” მესაკუთრეობასთან დაკავშირებულმა დავამ გამოიწვია ყურადღების გადატანა ტელეკომპანიის დამფუძნებლის, ეროსი კიწმარიშვილის, 2014 წლის ივლისში გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების საქმიდან. მართალია, გამოძიება აღნიშნულ გარდაცვალებას მიიჩნევს თვითმკვლელობად, თუმცა კიწმარიშვილის ოჯახის წევრები არ დაეთანხმნენ გამოძიების ამ ვერსიას და აღნიშნავენ, რომ კიწმარიშვილი იყო ერთ-ერთი იმ მცირე რაოდენობის ადამიანებს შორის, რომელმაც იცოდა “რუსთავი 2-ის” მესაკუთრეობის ისტორია.

მედიანალიტიკოსები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები გამოთქვამენ ეჭვებს, რომ ქვეყნის ყოფილი პრემიერმინისტრი განაგრძობს გავლენის მოხდენას მთავრობასა და სასამართლოზე, მათ შორის ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ “რუსთავი 2-ის” საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის 2015 წლის ანგარიშში აღნიშნულია ცალკეულ საქმეთა განხილვისას მოსამართლეებზე განხორციელებული ზეწოლის შესახებ.

ევროპული პარლამენტის 2017 წლის 15 ივნისის რეზოლუციაში (2017/2722(RSP)) აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის, საქმესთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლების მიერ დევნილი საგამოძიებო ჟურნალისტი, რომელიც თბილისში გადავიდა საცხოვრებლად 2015 წელს, თბილისიდან გაუჩინარდა 2017 წლის 29 მაისს და რამდენიმე საათში გამოჩნდა ბაქოში. რეზოლუციაში ევროპარლამენტმა დაგმო აფგან მუხთარლის გატაცება თბილისში და მისი შემდგომი უკანონო დაკავება ბაქოში, როგორც ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევის შემთხვევა, და მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, უზრუნველყოს სწრაფი, სრულყოფილი, გამჭვირვალე და ეფექტიანი გამოძიება ჟურნალისტის გაუჩინარების ფაქტზე.⁴³

არსებობს თუ არა მართლმსაჯულების სისტემაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია/სამოქმედო გეგმა? დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ, მიუთითოთ, რა პრაქტიკული შედეგები არის მიღწეული მათ განხორციელებაში.

სასამართლო სისტემის რეფორმის 2017–2021 წლების სტრატეგია განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზანს (4.3.3.), დამკვიდრდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ანგარიშების ყოველწლიურად გამოქვეყნების პრაქტიკა, რომელიც უნდა მოიცავდეს ანტიკორუფციული ღონისძიებების გატარებისა და კორუფციის დასამარცხებლად გადადგმული ნაბიჯების ეფექტურობის შესახებ ინფორმაციას. სტრატეგიის დოკუმენტის

43. [http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2018/621833/EPRS_STU\(2018\)621833_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2018/621833/EPRS_STU(2018)621833_EN.pdf)

პროგრამები, მე-2 ნაწილი, განსაზღვრავს კორუფციის პრევენციის მექანიზმებს, კერძოდ: კორუფციის პრევენციის მექანიზმების განვითარება მართლმსაჯულების სისტემაში, სისტემა უნდა კონცენტრირდეს კორუფციული დარღვევების გამოვლენასაზე, ანალიზსა და აღმოფხვრაზე, ვიდრე დასჯაზე; დისციპლინური დარღვევების პრევენციული ღონისძიებები; სასამართლო სისტემაში კორუფციის პრევენციის სისტემური მექანიზმის შექმნა.⁴⁴ სამოქმედო გეგმა შეიცავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2018 წლამდე განსახორციელებელ შემდეგ ანტიკორუფციულ აქტივობებს: იუსტიციის საბჭოს საქმიანობის პროცედურული წესების დახვეწა; საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთება და გადაწყვეტილებებზე უკეთესი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; მოსამართლეთა დანიშვნის პროცესის რეფორმა და სხვა.

ანტიკორუფციული აქტივობები უმეტესად ეფუძნება ეროვნულ ანტიკორუფციულ სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას 2017–2018 წლისთვის, რომელიც ანტიკორუფციული საბჭოს მიერ არის მიღებული.⁴⁵ სტრატეგიის დოკუმენტი შეიცავს ცალკე თავს სასამართლო სისტემაში კორუფციის პრევენციის შესახებ (მე-ნ თავი). სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები, მათ შორის, არის: სამოსამართლო ეთიკის ნორმების, ინტერესთა კონფლიქტისა და თანამდებობრივი შეუთავსებლობის ნორმების იმპლემენტაციის მექანიზმის რეფორმა; დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმის რეფორმა; მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების სისტემის რეფორმა; საქმეთა შემთხვევითი განაწილება; სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიანი ბაზის ფუნქციონირების გაუმჯობესება.

გთხოვთ, მიუთითოთ, ბოლო 5 წლის განმავლობაში მართლმსაჯულების სისტემაში კორუფციის დანაშაულებზე ბრალის წარდგენისა და განაჩენის გამოტანის სტატისტიკური მონაცემები.

პროკურატურამ არ გაასაჯაროვა აღნიშნული ინფორმაცია.

პროფესიონალიზმი/კომპეტენცია

19 განათლების სისტემა:

ა) იურიდიული ფაკულტეტების კურსდამთავრებულთათვის არსებობს თუ არა სტაჟირების შესაძლებლობა სასამართლო სისტემაში? თუ – კი, როგორ არის სტაჟირება უზრუნველყოფილი?

იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამტკიცებს საბჭოში, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში სტაჟირების გავლის წესს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება (მიღებულია 18/09/2017 N1/251, გამოქვეყნებულია <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/251-2017.pdf>) ადგენს, რომ სტაჟირების მიზანია მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსების მოზიდვა სასამართლო სისტემის ეფექტიანი და პროფესიონალური მუშაობისათვის და სტაჟირების პროფესიონალიზმისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება.

სასამართლო სისტემაში სტაჟირი შეიძლება, გახდეს: იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული, იურიდიული ფაკულტეტის მესამე ან მეოთხე წლის სტუდენტი.

44. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2017w-n2.pdf>

45. <http://justice.gov.ge/Ministry/Index/174>

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სტაჟირებაზე მიღება ხდება კონკურსის გზით, ხოლო პირველ და სააპელაციო სასამართლოებში სტაჟირების შერჩევა არ ხდება კონკურსის მეშვეობით.

სტაჟირების შერჩევისა და მათი საქმიანობის კოორდინაციისთვის იქმნება სტაჟირების კომისია. სტაჟირების კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სტაჟირების კომისიის თავმჯდომარეს – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი. შესაბამისი სტაჟირების კომისიის თავმჯდომარე გადაწყვეტილებას იღებს კომისიის წევრთა რაოდენობის შესახებ, ნიშნავს და ათავისუფლებს კომისიის წევრებს. სტაჟირების კომისია უფლებამოსილია, კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით კომისიაში მოიწვიოს შესაბამისი სპეციალისტები.

სტაჟირების კომისიის თავმჯდომარე იღებს გადაწყვეტილებას სტაჟირებაზე მისაღები სტაჟირების რაოდენობის შესახებ, ნიშნავს სტაჟირების კომისიის მდივანს და კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, ხელმძღვანელობს კომისიის მუშაობას.

სტაჟირების კომისია უფლებამოსილია, თუ კომისიის სხდომას წევრთა ნახევარზე მეტი მინც ესწრება. კომისია გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა. სტაჟირების კომისიები აწარმოებენ საქმიანობის ოქმებს.

სტაჟირებაზე მისაღები კონკურსი საჯაროდ ცხადდება საჯარო სამსახურის ეროვნული ბიუროს ოფიციალურ ვებგვერდზე www.hr.gov.ge. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად: დოკუმენტების ფორმალური შერჩევა და გასაუბრება. კანდიდატების შეფასება ხდება ინდივიდუალურად და სტაჟირებაზე მიიღება ის კანდიდატი, რომელიც გამოავლენს ცოდნის, გამოცდილებისა და კონკურსის საუკეთესო შედეგებს. შერჩევის შედეგების საფუძველზე სტაჟირების კომისია წარუდგენს სასამართლოს თავმჯდომარეს ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს იმ კანდიდატების სიას, ვინც წარმატებით გაიარა კონკურსი. გადაწყვეტილებას კანდიდატის სტაჟირებაზე მიღების შესახებ იღებს სასამართლოს თავმჯდომარე ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.

სტაჟირება გრძელდება არაუმეტეს 6 თვისა. აღნიშნული ვადის გაგრძელება დასაშვებია კიდევ 6 თვით სტაჟირის განცხადებისა და სტაჟირების ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე. სტაჟირების ვადის წარმატებით დასრულების შემდეგ სტაჟირის გადაეცემა სერტიფიკატი.

პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებში კონკურსის გარეშე სტაჟირების მიღების წესი დადგენილია საქართველოს მთავრობის დადგენილებით (მიღებულია 18/06/2014 N410, კონსოლიდირებული ვერსია 20/06/2014, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge), რომელიც განსაზღვრავს საჯარო სამსახურში სტაჟირების გავლის ზოგად წესებსა და პირობებს. აღნიშნული წესის მიხედვით სტაჟირების შესაძლებლობის შეთავაზების უზრუნველყოფა სავალდებულოა საჯარო დაწესებულებებისთვის (გარდა პროკურატურისა).

საჯარო სამსახურში სტაჟირების შესახებ დადგენილების თანახმად დადგენილია შემდეგი დასაშვებობის კრიტერიუმები: კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, აკრედიტებული საბაკალავრო პროგრამის ბოლო წლის სტუდენტი, აკრედიტებული მაგისტრის ან სადოქტორო პროგრამის სულ მცირე GPA 3.0-ის მქონე ბაკალავრის, მაგისტრის ან სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული იმავე აკადემიური მოსწრებით.

ამავე დადგენილების თანახმად საჯარო დაწესებულებები განსაზღვრავენ სტაჟირების კვოტას, რაც უნდა იყოს შესაბამისი საჯარო დაწესებულების თანამშრომელთა საერთო რაოდენობის სულ მცირე 10%.

საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების ხანგრძლივობა განისაზღვრება 6 თვიდან 1 წლამდე ვადით.

საჯარო სამსახურში სტაჟირებაზე მიღების წესები შემდეგია: კანდიდატი განაცხადით მიმართავს შესაბამის საჯარო დაწესებულებას საჯარო სამსახურის ეროვნული ბიუროს ვებგვერდის მეშვეობით. განაცხადების მიღება, კანდიდატების რეგისტრაცია და მათი განაწილება შესაბამის საჯარო დაწესებულებებში (გემოაღნიშნული კრიტერიუმების, კანდიდატის ადგილსამყოფელის და უნივერსიტეტის პროფილის გათვალისწინებით) ხორციელდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომლის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამსახურის ეროვნული ბიურო. კანდიდატების რეგისტრაციისთვის განსაზღვრული ვადა არ უნდა იყოს 10 დღეზე ნაკლები. ის კანდიდატიები, რომელთა განაწილება ვერ განხორციელდა ვაკანტური ადგილების არასაკმარისობის გამო, ჩაირიცხებიან სარეზერვო სიაში და ჩაერთვებიან სტაჟირების პროგრამაში ავტომატურად, ხელახალი რეგისტრაციის გარეშე.

პროკურატურის სისტემაში სტაჟირების გავლის წესი დადგენილია იუსტიციის მინისტრის ბრძანებით (მიღებულია 15.08.2014 N43, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge). სტაჟირების კომისია იქმნება სტაჟირების შერჩევისა და მათი მუშაობის კოორდინირების მიზნით. სტაჟირების კომისიის წევრებს შეარჩევს გენერალური პროკურორი. კომისია შედგება კომისიის თავმჯდომარის, მოადგილისა და წევრებისაგან. სტაჟირების კომისიის წევრი შეიძლება, იყოს იუსტიციის სამინისტროს და პროკურატურის სისტემის თანამშრომელი, არასამთავრობო ორგანიზაციისა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.

პროკურატურის სისტემაში სტაჟირების შერჩევა ხდება კონკურსის გზით. კანდიდატი შეიძლება, იყოს იურიდიული ფაკულტეტის დამამთავრებელი წლის სტუდენტი ან კურსდამთავრებული. კონკურსი რამდენიმე ეტაპისაგან შედგება: წერიტი გამოცდა, კანდიდატთან გასაუბრება. გენერალური პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას კონკურსის ეტაპებისა და ფორმის შესახებ, კონკურსის პროგრამისა და წერიტი გამოცდის მინიმალური ზღვარის შესახებ.

პროკურატურის სისტემაში სტაჟირების კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება მედიაში. გენერალური პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას შესაბამის წელს მისაღები სტაჟირების რაოდენობის შესახებ.

სტაჟირების კომისია ორგანიზებას უწევს წერიტი გამოცდას და გამოცდის შედეგების მიხედვით კანდიდატები გადადიან კონკურსის მეორე, გასაუბრების ეტაპზე. კომისია უფლებამოსილია, გამოიყენოს სპეციალური კითხვარი გასაუბრების ჩასატარებლად, რაც ხელს შეუწყობს კომისიის წევრებს, მიიღონ ინფორმაცია კანდიდატის უნარების, პროფესიული კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ. გადაწყვეტილების მისაღებად კომისიის წევრებს შეუძლიათ, გამოიყენონ შეფასების ფორმა.

სტაჟირების კომისიის თავმჯდომარე გენერალურ პროკურორს წარუდგენს კანდიდატთა სიას, რომელთაც წარმატებით გაიარეს კონკურსი. გენერალური პროკურორი, ვაკანტური ადგილების რაოდენობისა და პროკურატურის სისტემის საჭიროებების გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას სტაჟირების კომისიის მიერ რეკომენდებული კანდიდატების სტაჟირებაზე მიღების შესახებ.

ბ) არსებობს თუ არა პირველადი მომზადების სხვა ფორმა?

მოსამართლეობის კანდიდატების პირველადი ტრენინგი გათვალისწინებულია “საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონით. იუსტიციის უმაღლესი სკოლა ატარებს 10 თვიან სწავლების კურსს მომავალი მოსამართლეებისთვის, რომლებიც კონკურსის წესით შეირჩებიან. იუსტიციის სკოლაში პირველადი მომზადების გასაველად კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს მოსამართლის თანამდებობაზე დანიშნისთვის გათვალისწინებულ ზოგად მოთხოვნებს, მათ შორის, ჩაბარებული უნდა ჰქონდეს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა. გარკვეული კატეგორიის მომავალი მოსამართლეები

გათავისუფლებული არიან პირველადი ტრენინგის გავლის ვალდებულებისაგან (უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ კითხვარის მე-20 ნაწილი).

20 ტრენინგი:

ა) გთხოვთ, აღწერეთ მოსამართლეებისა და პროკურორების გადამზადების სისტემა. სავალდებულოა თუ არა გადამზადება? იმ შემთხვევაში, როცა გადამზადების გავლა მოსამართლისა და პროკურორისთვის სავალდებულოა, როგორია მათი გადამზადების პროგრამაზე მიღების კრიტერიუმები? თუ დადგენილია გადამზადების კურსის გავლის შედეგად საბოლოო გამოცდის ჩაბარება, როგორ არის ასეთი გამოცდა ორგანიზებული?

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის (მიღებულია 04/12/2009, N2257 კონსოლიდირებული ვერსია 31/10/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) 34-ე მუხლის თანახმად იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლების კურსის დასრულება მოსამართლის დანიშვნის სავალდებულო წინაპირობაა, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ დასანიშნი კანდიდატები;
- ყოფილი მოსამართლეები, რომელთაც აქვთ მოსამართლედ მუშაობის სულ მცირე 18 თვის გამოცდილება, დანიშნული იყვნენ უზენაეს, სააპელაციო ან პირველი ინსტანციის სასამართლოში კონკურსის შედეგად და ჩაბარებული აქვთ მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია, საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატები, რომლებმაც არ ვრცელდება საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მოთხოვნა. გამოცდის ჩაბარების ვალდებულებისაგან გათავისუფლებული ასევე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი;
- უზენაესი სასამართლოს ყოფილი და მოქმედი წევრები ასევე გათავისუფლებული არიან მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისა და იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლის ვალდებულებისაგან.

ისინი, ვისაც მოეთხოვება იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლა, სკოლაში მიიღებიან მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების საფუძველზე. სწავლის შედეგები (საკვალიფიკაციო სიაში კანდიდატის რეიტინგი და სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება) მიიღება მხედველობაში სკოლის კურსდამთავრებულის მოსამართლის პოზიციაზე დანიშვნისას (იმავე კანონის 35.13-ე მუხლი).

კანონი არ ადგენს საალდებულო განგრძობადი ტრენინგის გავლას მოსამართლეებისთვის. ყველა მოსამართლეს უფლება აქვს, გაიაროს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ორგანიზებული განგრძობადი ტრენინგ კურსი. ამასთან, მოთხოვნა, რომ მოსამართლე მუდმივად ზრუნავდეს საკუთარ განვითარებაზე, სამოსამართლო ეთიკის წესების შემადგენელი ნაწილია.

კანონი არ განსაზღვრავს მოსამართლის ვალდებულებას, გაიაროს ან სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს მოსამართლის სავალდებულო განგრძობადი გადამზადების პროგრამა იმ მოსამართლეებისთვის, რომლებიც პირველად არიან დანიშნული მოსამართლის პოზიციაზე

და რომლებზეც არ ვრცელდება იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლის ან მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების ვალდებულება. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო სისტემაში არიან მოსამართლეები, რომლებიც თანამდებობაზე დანიშნული არიან იუსტიციის უმაღლესი სკოლის დაარსებამდე და იქამდე, ვიდრე სავალდებულო პირველადი ტრენინგი იქნებოდა შემოღებული. ამჟამად სასამართლოში მუშაობენ მოსამართლეები, რომელთაც არასოდეს უსწავლიათ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში და არ გაუვლიათ სავალდებულო მომზადება. აღნიშნული გავლენას ახდენს მოსამართლეთა პროფესიონალიზმზე. იმ მოსამართლეთა უმრავლესობის უფლებამოსილების ვადა, რომლებიც 2005 და 2006 წლებში იყვნენ დანიშნული, მაშინ, როცა იუსტიციის უმაღლესი სკოლა ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი, ამოიწურა 2015 და 2016 წლებში. აღნიშნული მოსამართლეები ხელახლა დანიშნენ მოსამართლის თანამდებობაზე, ნაწილი უვადოდ არიან დანიშნული, სავალდებულო პირველადი ტრენინგის გავლის გარეშე. ამავე დროს, კანონით არ არის დადგენილი სავალდებულო განგრძობადი ტრენინგის უზრუნველყოფა.

სავალდებულო ტრენინგის გავლის მოთხოვნა არც სამი წლით გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეებისთვის არის დადგენილი მაშინ, როცა გამოსაცდელი ვადით უმეტესად დანიშნული არიან მოსამართლეები, რომლებიც კანონით გათავისუფლებული არიან პირველადი გადაამზადების სასწავლო კურსის გავლისაგან. გამოსაცდელ მოსამართლეებს უფლება აქვთ, გაიარონ განგრძობადი ტრენინგის კურსები ზოგადი წესით. იუსტიციის უმაღლესი სკოლის წერილიდან ირკვევა, რომ (წერილი N02/2110, 13/09/2018 გაგზავნილი “საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისათვის”) „იუსტიციის უმაღლესი სკოლა არ განასხვავებს ტრენინგის მომაწილეებს ერთმანეთისაგან დანიშვნის ვადის ან მათი სტატუსის მიხედვით და ყველა მოსამართლეს აქვს თანაბარი შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს ტრენინგებში სკოლის მიერ შექმნილი ვებპორტალის მეშვეობით. ამასთან, სკოლა სთავაზობს ახლად დანიშნულ მოსამართლეებს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ სპეციალურ ტრენინგებში სამოსამართლო ეთიკის, სასამართლო განხილვის ჩატარებისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე.“

მართალია, არ არსებობს ზოგადი მოთხოვნა სავალდებულო განგრძობადი ტრენინგების გავლის შესახებ, თუმცა, კანონი ადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში უფლებამოსილების განსახორციელებლად სავალდებულო ტრენინგის გავლას მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის.

იუსტიციის უმაღლესი სკოლა შეიქმნა 2006 წელს. “იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად (მიღებულია 28/12/2005 N2602, კონსოლიდირებული ვერსია 08/02/2017, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) სკოლა შექმნილია მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნ პირთა პროფესიული ტრენინგის უზრუნველსაყოფად. სკოლის მიზანია, გაუღრმავოს კანდიდატებს თეორიული ცოდნა ისევე, როგორც ხელი შეუწყოს მათ იმ უნარ-ჩვევების განვითარებაში, რაც მათი პრაქტიკული საქმიანობისთვის არის აუცილებელი, დაეხმარონ კანდიდატებს, გაიარონ მათი მომავალი პასუხისმგებლობები და მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედების თავისუფლება, ხელი შეუწყოს კანდიდატების ინტეგრაციას მათი მომავალი საქმიანობის სივრცეში. სკოლის ვალდებულებაა ასევე, უზრუნველყოს მოქმედი მოსამართლეების განგრძობადი ტრენინგი და მოამზადოს მაღალკვალიფიციური კადრები სასამართლო სისტემისთვის.

სკოლაში მიღება ხდება კონკურსის წესით. კანონი ადგენს, რომ კონკურსი, როგორც წესი, წელიწადში ორჯერ ტარდება. გადაწყვეტილება კონკურსის გამომცხადების შესახებ მიიღება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. კონკურსის

წესი, სკოლის მსმენლების შერჩევის კრიტერიუმები, კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები დადგენილია იუსტიციის სკოლის წესდებით.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდება დამტკიცებულია სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ (18.04.2008 N1/1). კანონისა და სკოლის წესდების თანახმად გადაწყვეტილება კონკურსის ჩატარების შესახებ მიიღება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ. კონკურსი ცხადდება კონკურსის ჩატარებამდე სულ ცოტა 2 კვირით ადრე და არა უგვიანეს კონკურსის ჩატარებამდე 1 თვისა. კონკურსი ცხადდება საჯაროდ. იუსტიციის უმაღლესი საბჭო გასაზღვრავს ვადას განაცხადების მიღებისთვის. იუსტიციის უმაღლესი საბჭო ქმნის კონკურსის ჩატარების სამდივნოს, რომელიც შედგება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანამშრომლებისაგან. სამდივნოს მუშაობას ხელმძღვანელობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი წევრი. განაცხადების მიღების ვადის დასრულების შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ატარებს კონკურსს.

კონკურსში მონაწილეობისთვის სავალდებულო მოთხოვნებია: კანდიდატს უნდა ჰქონდეს იურისტის განათლება და ჩაბარებული უნდა ჰქონდეს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა.

კანდიდატების შერჩევის კრიტერიუმები შემდეგია: მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები, პიროვნული რეპუტაცია, პიროვნული მახასიათებლები, პროფესიული უნარები, კვალიფიკაცია, დასაბუთებისა და გამოხატვის უნარები, ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნება, გადაწყვეტილების მიღების უნარი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდება ადგენს დამატებით კრიტერიუმებს: პიროვნული რეპუტაცია განისაზღვრება, როგორც კანდიდატის დამოკიდებულება სოციალური ფასეულობებისადმი, მორალური და ეთიკის ნორმები, მიუკერძოებლობა, საზოგადოების დამოკიდებულება კანდიდატის მიმართ. პირადი მახასიათებლები განისაზღვრება, როგორც გაწონასწორებულობა, სანდოობა, გულწრფელობა, ხასიათის სიძლიერე, ობიექტურობა. კვალიფიკაცია განისაზღვრება, როგორც მატერიულური და პროცესუალური სამართლის ცოდნა, იურიდიული პრაქტიკა, ნორმის განმარტების მეთოდები, მისწრაფება, გაიღრმავოს ცოდნა, პროფესიული გამოცდილება, აკადემიური ხარისხი. პროფესიული უნარები შემდეგია: პროფესიონალიზმი, შრომისმოყვარეობა, მონდომებულობა, მუშაობის ნაყოფიერება, პერსპექტიულობა, პირის უნარი, შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები დიდი პასუხისმგებლობით, სიფრთხილით, საფუძვლიანად, კეთილსინდისიერად და საიმედოდ. მიუდგეს საქმეს გეგმიურად, ეკონომიურად, კონცენტრირებულად და, საჭიროების შემთხვევაში, ვალდებულებათა სხვა სფერო ჰარმონიულად შეუსადაგოს სამსახურებრივ ვალდებულებებს. მტკიცებისა და გამოხატვის უნარი განიმარტება შემდეგნაირად: პირის უნარი, დამაჯერებელი არგუმენტებით დაიცვას და სათანადოდ წარმოაჩინოს საკუთარი თვალსაზრისი, რა დროსაც უნდა გამოიჩინოს კონსტრუქციულობა, ტაქტიანობა და თვითკრიტიკულობა; ცალსახად, კომპეტენტურად, გასაგებად, მოქნილად, კონცენტრირებულად და დამაჯერებლად გამოხატოს თავისი აზრი როგორც ზეპირად, ისე – წერილობით; შემოიფარგლოს არსებითი განმარტებებით და მოახდინოს პრობლემის ამომწურავი არგუმენტირება. ანალიტიკურ-ლოგიკური აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი განიმარტება შემდეგნაირად: პირის უნარი საქმის რთული, უცხო გარემოებები და ურთიერთკავშირები აღიქვას სწორად; ცხოვრებისეული ურთიერთობების სოციალური, ეკონომიკური და სხვა არაიურიდიული ფონის გათვალისწინებით, პროფესიული ცოდნის გამოყენებით გაანალიზოს და ლოგიკურად მოაწესრიგოს ისინი; კონცენტრირება გააკეთოს საქმის არსებით გარემოებებზე; სათანადო მომენტში საკუთარი პასუხისმგებლობით მიიღოს სწორი და საფუძვლიანი გადაწყვეტილება.

კანდიდატების შერჩევისას გამოიყენება შემდეგი სახის შეფასებები: ა) აჭარბებს მოთხოვნებს შესამჩნევად; ბ) აჭარბებს მოთხოვნებს ნაწილობრივ; გ) შეესაბამება მოთხოვნებს; დ) შეესაბამება მოთხოვნებს ნაკლებად; ე) არ შეესაბამება მოთხოვნებს. პიროვნული თვისებების კრიტერიუმის მიხედვით უარყოფითი შეფასების შემთხვევაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი უფლებამოსილია, სხვა კრიტერიუმების შეუფასებლად მიიღოს უარყოფითი გადაწყვეტილება.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება კანდიდატის სკოლაში მიღების შესახებ ორ ეტაპად მიიღება: კანდიდატის შერჩევა დოკუმენტების ფორმალური შემოწმების საფუძველზე და ზემოაღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით კანდიდატის შეფასებით, მისი მოსმენის გარეშე. იუსტიციის უმაღლესი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს კონკურსის მეორე ეტაპზე იმ კანდიდატების გადაყვანის შესახებ, რომლებიც დადებითად იქნენ შეფასებული იუსტიციის საბჭოს წევრების მიერ კონკურსის პირველ ეტაპზე. იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია, გაესაუბროს იმ კანდიდატებს, რომელთაც წარმატებით გადალახეს კონკურსის პირველი ეტაპი.

თუმცა, კანდიდატების შერჩევისა და შეფასების წესი არ ადგენს პროცედურას, რომელიც შექმნიდა ობიექტური შეფასების გარანტიას: კანონი არ განსაზღვრავს ინფორმაციის წყაროებსა და მტკიცებულებებს, რომელთაგან დაყრდნობითაც უნდა მოხდეს კანდიდატების შეფასება, არ არის დადგენილი გადაწყვეტილების დასაბუთების მოთხოვნა. აღნიშნული გარემოებები დადგენილ კრიტერიუმებს აქცევს სუბიექტურ კრიტერიუმებად.

სწავლის მთელი პერიოდის განავლობაში იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი მიიღებს ანაზღაურებას, რაც არ უნდა იყოს პირველი ინსტანციის მოსამართლის შრომის ანაზღაურების 1/4-ზე ნაკლები.

სკოლაში სწავლება გრძელდება 10 თვეს და შედგება თეორიული კურსისგან, სტაჟირებისა და სემინარული მუშაობისაგან. მათთვის, ვისაც აქვს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დეპარტამენტის უფროსად, სასამართლოს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელად, მოსამართლის თანაშემწედ, მდივნად, გამომძიებლად, პროკურორად ან პრაქტიკოს ადვოკატად მუშაობის სულ მცირე 10 წლის მუშაობის გამოცდილება, კურსი 6 თვეს გრძელდება.

კანონის თანახმად სკოლის პროგრამა შემდეგი საკითხებისაგან შედგება: პირველი ინსტანციის, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმეთა განხილვა, სასამართლო გადაწყვეტილებების პროექტების წერა, პროფესიული ეთიკა, ადამიანის უფლებები, უცხო ენა, ა სხვა საკითხები, რაც სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ იქნება დადგენილი.

სწავლების ფორმები შემდეგია: სემინარი, სასამართლო სხდომის სიმულაცია, დისკუსია, გადაწყვეტილების მიღების და მისი დასაბუთების საკითხების სწავლება, სადამოს ლექციები, სწავლების სხვა ფორმები, რაც სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ იქნება დადგენილი. სკოლას შეუძლია სასწავლო პროგრამაში გაითავალისწინოს სასამართლოებსა და პროკურატურაში მოკლევადიანი მივლინებები.

თეორიული სწავლების ბოლოს მსმენელი აბარებს გამოცდას, რომელიც მიზნად ისახავს მიღებული ცოდნის შემოწმებას. საგამოცდო კომისია იქმნება სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ. სკოლის წესდება ადგენს გამოცდის ჩატარებისა და შეფასების წესს.

თეორიული კურსის დასრულების შემდეგ მსმენელი მივლინებული იქნება სავალდებულო ან არჩევით სტაჟირებაზე. სავალდებულო სტაჟირება ტარდება სასამართლო სისტემაში, ხოლო ალტერნატიული სტაჟირება – ნოტარიუსში, პროკურატურაში ან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში. ალტერნატიული სტაჟირების ადგილი განისაზღვრება მსმენლის სურვილის შესაბამისად. სტაჟირებას კოორდინირებას უწევს მოსამართლე, პროკურორი ან შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს თანამშრომელი.

კურსის დასასრულს მსმენელი აბარებს გამოცდას, რომელიც მიზნად ისახავს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შემოწმებას. გამოცდა ტარდება წერილობით. მსმენელს ეძლევა პრაქტიკული მაგალითი და მოეთხოვება სასამართლო გადაწყვეტილების შედგენა ან სხვა სასამართლო აქტი.

გამოცდას ატარებს საგამოცდო კომისია, რომელიც შედგება უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის პროფესორის, სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ დანიშნული სამი წევრისა და სკოლის დირექტორისაგან. კომისიას ქმნის სკოლის დამოუკიდებელი საბჭო.

თუმცა, კანონით ან სკოლის მარეგულირებელი აქტებით არ არის დადგენილი მოთხოვნა, რომ სწავლების პროგრამა შედგენილ იქნეს მსმენლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

რაც შეეხება მოსამართლეთა განგრძობად ტრენინგს, სკოლა უზუნველყოფს ტრენინგების ჩატარებას მოსამართლეების, სასამართლოს თანამშრომლების და პროკურორებისთვის, რაც არ არის სავალდებულო და ყველას აქვს მონაწილეობის უფლება. იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ საქართველოს კანონის 32–35-ე მუხლები ადგენს განგრძობადი ტრენინგის ჩატარების წესებს. კანონი განსაზღვრავს, რომ სკოლამ ყოველწლიურად უნდა დაამტკიცოს აკადემიური პროგრამა განგრძობადი ტრენინგისთვის. განგრძობადი ტრენინგი ტარდება სემინარის, სასწავლო კურსის, კონფერენციის, თეორიული და პრაქტიკული ტრენინგისა და დისკუსიის ფორმით. განგრძობადი ტრენინგები ტარდება სკოლის მასწავლებლების მიერ.

სკოლის მიერ შესაბამისი წლის აკადემიური პროგრამის გამოქვეყნების შემდეგ ტრენინგში მონაწილეობის მსურველმა მოსამართლეებმა უნდა მიმართონ სკოლას. მოსამართლემ უნდა განმარტოს კონკრეტული კურსით დაინტერესების მიზეზები. სკოლამ პასუხი უნდა გასცეს მოსამართლეს და/ან ჩართოს ტრენინგში, ან უარი უთხრას ჩართვაზე. მოსამართლეს პასუხი უნდა გაეგზავნოს მიმართვიდან 2 კვირის ვადაში. ტრენინგის კურსში ჩართვაზე უარი უნდა იყოს დასაბუთებული.

კანონი არ ადგენს მოსამართლის სავალდებულო გადამზადებას როცა იცვლება მისი სპეციალიზაცია.

პროკურატურის სისტემის ვალდებულება, მუდმივად იზრუნოს პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლების პროფესიულ განვითარებაზე გამომდინარეობს “პროკურატურის შესახებ” კანონის მე-9 მუხლიდან, რომელიც ადგენს გენერალური პროკურორის ვალდებულებას, ყოველ 6 თვეში ერთხელ ანგარიში წარუდგინოს საპროკურორო საბჭოს, მათ შორის, ინფორმაცია პროფესიული და განვითარების პროგრამების შესახებ, რაც პროკურატურის სისტემაში შესაბამის საანგარიშო პერიოდში იქნა განხორციელებული. ამასთან, კანონი ადგენს სტაჟირების სისტემას, რომლის მიზანია, მიიზიდოს და განავითაროს პროფესიონალები პროკურატურის სისტემაში მომავალი საქმიანობისათვის. იუსტიციის მინისტრის ბრძანება (მიღებულია 15/08/2014 N43, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) არეგულირებს კონკურსის, სტაჟირებაზე მიღებისა და სტაჟირების გავლის, სტაჟირების შეფასების წესს. ამასთან, “პროკურატურის შესახებ” კანონი ადგენს სავალდებულო პერიოდულ საატესტაციო გამოცდას პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლებისათვის (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ კითხვარის ნაწილი ნბ).

იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ კანონი და სკოლის წესდება უფლებამოსილებას ანიჭებს სკოლას, განგრძობადი ტრენინგები ჩაატაროს პროკურორებისა და ადვოკატებისთვისაც. თუმცა,

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ამჟამად სკოლა არ ატარებს ტრენინგებს პროკურორებისთვის. პროკურორებს არ გაუვლიათ სკოლაში ტრენინგი 2016–2018 წლების განმავლობაში.⁴⁶

ბ) მართლმსაჯულების სკოლა:

მიუთითეთ ინფორმაცია მისი პროგრამების, თანამშრომლების, მსმენელთა რაოდენობის, ფინანსების და სხვა საკითხების შესახებ. არის თუ არა ტრენინგის სხვა სივრცეები?

იუსტიციის უმაღლესი სკოლა შეიქმნა 2006 წელს. “იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად (მიღებულია 28/12/2005 N2602, კონსოლიდირებული ვერსია 08/02/2017, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) სკოლა შექმნილია მოსამართლეობის კანდიდატების პროფესიული მომზადების მიზნით, რომლებიც უნდა დაინიშნოს მოსამართლის პოზიციაზე საერთო სასამართლოების სისტემაში. სკოლის მიზნია, კანდიდატებს გაუღრმავოს თეორიული ცოდნა, ასევე განუვითაროს მათ პრაქტიკული მუშაობისთვის საჭირო უნარები, დაეხმაროს კანდიდატებს მომავალი პასუხისმგებლობისა და კანონის ფარგლებში მოქმედების თავისუფლების გააზრებაში, დაეხმაროს კანდიდატების ინტერგრაციას იმ გარემოში, სადაც ისინი მომავალში იმუშავენ. სკოლას ასევე ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს მოქმედ მოსამართლეთა განგრძობადი ტრენინგი, ასევე სასამართლო სისტემისთვის მოამზადოს მაღალკვალიფიციური კადრები – მოსამართლის თანაშემწე და სხვა. გარდა ზემოაღნიშნული უფლებამოსილებებისა, იუსტიციის სკოლის შესახებ კანონის 35-ე მუხლი უფლებამოსილებას ანიჭებს სკოლას, დაადგინოს სხვა პროფესიონალთა გადამზადების წესები, კერძოდ, პროკურორების, ადვოკატებისა და სხვა. აღნიშნული მუხლის საფუძველზე სკოლის წესდების 24-ე მუხლი ადგენს, რომ განგრძობადი ტრენინგის პროგრამაზე სკოლაში შეიძლება, მიღებულ იქნენ გენერალური პროკურორის წარდგინებით პროკურორები, ადვოკატთა ასოციაციის წარდგინებით – ადვოკატები. განგრძობადი გადამზადების პროგრამაზე მისაღები პროკურორებისა და ადვოკატების რაოდენობას განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭო.

იუსტიციის უმაღლესი სკოლა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ კანონით. ის შედგება დამოუკიდებელი საბჭოსა და დირექტორატისაგან.

სკოლის დამოუკიდებელი საბჭო განსაზღვრავს სკოლის საქმიანობის მიმართულებებს, კოორდინირებსა და ზედამხედველობას უწევს მათ აღსრულებას. დამოუკიდებელი საბჭო შედგება 5 წევრისაგან, რომელთაგან 5 წევრს ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. მათგან ერთ-ერთი არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი, რომელიც შეირჩევა დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით. დამოუკიდებელი საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადაა 3 წელი.

დამოუკიდებელი საბჭოს მე-6 წევრი არის დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს მოსამართლეთა კონფერენცია კონფერენციის წევრებიდან. დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადაა 3 წელი. დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარედ ერთი და იგივე პირი შეიძლება, აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

სკოლის დირექტორატი შედგება სკოლის დირექტორის, დირექტორის მოადგილის და სტაჟირების პროგრამის ხელმძღვანელისაგან. სკოლის დირექტორს ირჩევს სკოლის დამოუკიდებელი საბჭო 5 წლის ვადით.

46. იუსტიციის უმაღლესი სკოლის წერილი N02/2111 13/09/2018 გაგზავნილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისთვის.

სკოლის ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან. სკოლა უფლებამოსილია, მიიღოს სხვა შემოსავალი და მატერიალური მხარდაჭერა სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. სკოლა იღებს დაფინანსებას დონორი ორგანიზაციებისაგან კონკრეტული აქტივობების შესასრულებლად. მოსამართლის და სასამართლოს სხვა თანამშრომლეთა პირველადი და განგრძობადი ტრენინგები აღნიშნული პირებისთვის უფასოდ ტარდება.

მართალია, სკოლა შექმნილია, როგორც განცალკევებული და დამოუკიდებელი ინსტიტუტი, ის დიდწილად დამოკიდებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებზე. სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დაკომპლექტება ხდება იუსტიციის საბჭოს მიერ. სკოლას არ აქვს სათანადო სტრუქტურული და ფუნქციური დამოუკიდებლობის გარანტიები:

- სკოლის არასათანადო სტრუქტურული დამოუკიდებლობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოსაგან – სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს 6 წევრიდან 5–ს ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭო;
 - სკოლის არასათანადო ფუნქციური დამოუკიდებლობა – მოსამართლის საკვალი-ფიკაციო გამოცდის ჩატარების და სკოლაში მსმენელთა მიღების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. სკოლა არ მონაწილეობს მოსამართლეთა დაწინაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში;
 - სკოლაში მიღების კრიტერიუმები არ შეიცავს საკმარის გარანტიებს ობიექტურობის უზრუნველსაყოფად;
 - კანონი არ განსაზღვრავს სკოლაში მისაღები მსმენლების შესახებ ინფორმაციის მოძიებას და ინფორმაციას წყაროები შესახებ;
 - სკოლაში მიღების კონკურსის წესი არასათანადოდ გამჭვირვალეა;
 - არც კანონი და არც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი წესი არ განსაზღვრავს მოსამართლის საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრთა შერჩევის კრიტერიუმებს. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აქვს ფართო დისკრეცია და შეუზღუდავი უფლებამოსილებები მოსამართლის საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის დაკომპლექტების პროცესში.

სკოლაში ფუნქციონირებს ორი ტიპის აკადემიური პროგრამა: მოსამართლეთა პირველადი მომზადების პროგრამა და მოქმედი მოსამართლეების განგრძობადი გადამზადების პროგრამა.

მოსამართლის პირველადი მომზადების პროგრამა

მოსამართლის პირველადი მომზადების 10 თვიანი პროგრამა უზრუნველყოფს მომავალი მოსამართლისთვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების განვითარებას.

მოსამართლის კანდიდატის 10 თვიანი პირველადი მომზადების პროგრამა შემდეგი საფეხურებისაგან შედგება:

- **თეორიული კურსი** – 5 თვიანი თეორიული კურსის ფარგლებში მოსამართლეობის კანდიდატები იღებენ სამართლის ყველა ძირითად დარგში სიღრმისეულ ცოდნას, ასევე განივითარებენ მოსამართლისთვის საჭირო უნარებს, როგორებიცაა სამოსამართლო ეთიკა, კომუნიკაციის უნარები და სხვა. თეორიული კურსის დასასრულს კანდიდატები აბარებენ თეორიულ გამოცდას, რომელიც ტარდება ტესტური გამოცდის ფორმით;

- **სტაჟირება** — 4 თვის განმავლობაში სკოლის მსმენლები სტაჟირებას გადიან თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეების ზედამხედველობით (სტაჟირების კოორდინატორი) და მოსამართლის ხელმძღვანელობით მუშაობენ რეალურ საქმეებზე. სტაჟირების განმავლობაში სკოლის მსმენლები ამზადებენ სხვადასხვა სასამართლო დოკუმენტს, მათ შორის – სასამართლო გადაწყვეტილებებს. სტაჟირება ტარდება სამართლის სამივე დარგში. სტაჟირების ფარგლებში მსმენლები ყოველდღიურად შეფასდებიან, ხოლო სტაჟირების ვადის ბოლოს ინდივიდუალური შეფასება მომზადდება;
- **სასემინარო მუშაობა**—სასემინარო მუშაობა 1 თვეს გრძელდება დამისიმიზანია სკოლაში სწავლის პერიოდში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების განზოგადება, ასევე მსმენლების მომზადება საბოლოო გამოცდისთვის. სასემინარო მუშაობის დროს მსმენლებს ეძლევათ ყოველდღიური დავალებები ჰიპოთეტურ საქმეზე იმიტირებული პროცესის ჩატარებისა და სასამართლო გადაწყვეტილების პროექტის შედგენის სახით. სასემინარო მუშაობა მოიცავს სამართლის სამივე დარგს და თითოეულისთვის განსაზღვრულია სასემინარო მუშაობის ხელმძღვანელი. სასემინარო მუშაობის შედეგად თითოეულ მსმენელზე მომზადდება ინდივიდუალური შეფასება;
- **საბოლოო გამოცდა** – 10 თვიანი კურსის დასრულების შემდეგ მსმენლებმა უნდა წაიკითხონ, გააანალიზონ და დაწერონ საბოლოო გადაწყვეტილება რეალურ საქმეზე, რომელიც საქართველოს სასამართლოში იყო განხილული. საბოლოო გამოცდა ამოწმებს არა მხოლოდ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს, არამედ ასევე შეზღუდულ დროში ხარისხიანი გადაწყვეტილების შედგენის უნარსაც.

სწავლების ყველა სტადიის დასრულების შემდეგ სკოლის მსმენელს მიენიჭება საკვალიფიკაციო სარეიტინგო ადგილი და შეფასება სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ.

სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნებული აკადემიური პროგრამის თანახმად⁴⁷ თეორიული და პრაქტიკული ტრენინგები მოიცავს შემდეგ ძირითად თემატურ სფეროებს: ა) პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვა; ბ) საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში; გ) საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში; დ) სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში ქმედების კვალიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხები; ე) პროცესუალური დოკუმენტის შედგენა; ვ) ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; ზ) პროფესიული ეთიკა; თ) უცხო ენა.

ლექციები

ლექციები მიზნად ისახავს განსახილველ საკითხზე დეტალურ დისკუსიას, საკითხის არსზე, მნიშვნელობაზე, მიზანზე, დანიშნულებაზე, განვითარების ისტორიაზე, ძირითად ტენდენციებსა და უცხო ქვეყნების გამოცდილებაზე. ლექციების ფარგლებში რეკომენდებულია, გაკეთდეს მითითება საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე, გამოყენებულ იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილებები. ლექციები უნდა უკავშირდებოდეს მიმდინარე სასამართლო პრაქტიკას და ნორმის განმარტების ტენდენციებს. ლექციები უნდა ეფუძნებოდეს ინტერაქტიულ მეთოდებს, რომლის განმავლობაშიც სკოლის მსმენლებს შეეძლება, განიხილონ არსებული თეორიები და რელევანტური პრაქტიკული საკითხები, ასევე წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებზე. დისკუსიები უნდა ჩატარდეს სკოლის მსმენლების ანალიტიკური აზროვნების განვითარების მიზნით; გააუმჯობესოს სკოლის მსმენლის მიერ საკუთარი მოსაზრების ნათლად გადმოცემისა და სამართლებრივი არგუმენტებით გამყარების უნარი; განსხვავებული მოსაზრების მოსმენისა და პატივისცემის კულტურის განსავითარებლად; დაეხმაროს სკოლის მსმენლებს, გაიაზრონ

47. http://www.hsoj.ge/uploads/Uploads/Initial_Training_Program_for_Judicial_Candidates_Group_XIII.pdf

და გააანალიზონ მიღებული ინფორმაცია. ინფორმაციის უკეთ აღქმის მიზნით სკოლის მსმენლები ასევე მიიღებენ საშინაო დავალებებს წერილობითი ან ზეპირი ფორმით, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად შესრულებისთვის. ლექციების ფარგლებში გამოყენებულ უნდა იქნეს ტრენინგის თანამედროვე ტექნიკური საშუალებები, რომლებიც გამოცდილი და დამტკიცებულია საერთაშორისო პრაქტიკით. ლექციების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს თეორიული ტრენინგის კურსისთვის განკუთვნილი დროის 40%-ს.

პრაქტიკული ტრენინგი

პრაქტიკული ტრენინგი მიზნად ისახავს თეორიული ცოდნის გაღრმავებას სხვადასხვა ინტერაქციული მეთოდის გამოყენებით. პრაქტიკული ტრენინგის ფარგლებში სკოლის მსმენლები იმუშავენ საქმეებზე, მონაწილეობას მიიღებენ იმიტირებულ პროცესებში, განიხილავენ და გააანალიზებენ სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომლებიც ძალაშია შესული, შეადგენენ შესაბამის საპროცესო დოკუმენტებს და ჩაატარებენ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვადასხვა საპროცესო მოქმედებას. დისკუსიები უნდა გაიმართოს ინტერაქტიულად, სკოლის მსმენლების ანალიტიკური აზროვნების განვითარების, სკოლის მსმენლის მიერ აზრის ნათლად გამოხატვისა და სამართლებრივი არგუმენტებით გამყარების უნარების განვითარების, განსხვავებული მოსაზრების მოსმენისა და პატივისცემის კულტურის განსავითარებლად; დაეხმაროს სკოლის მსმენლებს, გაიზარონ და გააანალიზონ მიღებული ინფორმაცია. ინფორმაციის უკეთ აღქმის მიზნით სკოლის მსმენლები ასევე მიიღებენ საშინაო დავალებებს. საკითხების სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზების მიზნით, ზოგადად, სკოლის მსმენლებმა უნდა შეასრულონ პროცესის სხვადასხვა მონაწილეთა როლები იმიტირებული პროცესის ფარგლებში. ლექციების ფარგლებში გამოყენებულ უნდა იქნეს ტრენინგის თანამედროვე ტექნიკური საშუალებები, რომლებიც გამოცდილი და დამტკიცებულია საერთაშორისო პრაქტიკით. ლექციების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს თეორიული ტრენინგის კურსისთვის განკუთვნილი დროის 60%-ს. კურსის დასასრულს სკოლის მსმენლებმა უნდა ჩააბარონ თეორიული კურსის საბოლოო გამოცდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდებით დადგენილი წესით.

სტაჟირება

თეორიული კურსის დამთავრების შემდეგ იუსტიციის მსმენელი გაივლის სავალდებულო სტაჟირებას საერთო სასამართლოებში. 10-თვიანი სასწავლო კურსისთვის სავალდებულო სტაჟირების პერიოდია 4 თვე, ხოლო 6 თვიანი სასწავლო კურსისთვის — ნახევარი თვე. იუსტიციის მსმენლის სავალდებულო სტაჟირებას წარმართავს და ზედამხედველობს სტაჟირების კოორდინატორი. იუსტიციის მსმენლის სურვილის შემთხვევაში სავალდებულო სტაჟირების გარდა იუსტიციის მსმენელმა შეიძლება, დამატებით გაიაროს ალტერნატიული სტაჟირება. სკოლის დირექტორის წარდგინებით ალტერნატიული სტაჟირების ადმინისტრაციული ორგანოების ჩამონათვალს ამტკიცებს სკოლის დამოუკიდებელი საბჭო. სავალდებულო სტაჟირებისას იუსტიციის მსმენელი დეტალურად შეისწავლის სასამართლოს საქმიანობის ეტაპებს და ასრულებს სტაჟირების კოორდინატორის დავალებებს. სტაჟირებისას იუსტიციის მსმენელი ვალდებულია, ჩაინიშნოს ის საკითხები, რომელთა დაკავშირებითაც მას სჭირდება დამატებითი ინფორმაცია, რათა შემდგომში სტაჟირების კოორდინატორთან ან/და სემინარის მასწავლებელთან იმსჯელოს აღნიშნულ საკითხებზე. სტაჟირების კოორდინატორი იუსტიციის მსმენელს ყოველდღიურად აძლევს დავალებას, რომელიც მსმენელმა უნდა შეასრულოს განსაზღვრული დროის განმავლობაში. დავალება სრულდება წერილობითი ფორმით და მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების შედგენა, სხვადასხვა საპროცესო დოკუმენტის მომზადება, სასამართლოს საპროცესო

დოკუმენტების პროექტების ანალიზი და მათზე დასკვნის მომზადება. სტაჟირების პროცესში მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით იუსტიციის მსმენელი უნდა დაესწროს სასამართლო სხდომებს. სტაჟირების კოორდინატორი ვალდებულია სხვა დავალებებთან ერთად იუსტიციის მსმენელს პერიოდულად დაავალოს სასამართლო გადაწყვეტილების შედგენა. სტაჟირების კოორდინატორი იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდებით დადგენილი წესით ყოველდღიურად ქულობრივად აფასებს იუსტიციის მსმენლის მიერ შესრულებულ სამუშაოს. სტაჟირების კოორდინატორი სტაჟირების დასასრულს მასთან გამწესებულ იუსტიციის თითოეულ მსმენელზე ადგენს რეკომენდაციას (იუსტიციის მსმენლის დახასიათების ფორმა), აგრეთვე სტაჟირების ხელმძღვანელს წარუდგენს ანგარიშს სტაჟირების პროგრამის შესრულების შესახებ. სტაჟირების კოორდინატორი სტაჟირების პროცესში ხელმძღვანელობს „სტაჟირების კოორდინატორთა სახელმძღვანელო დოკუმენტით (სტაჟირების სტანდარტი)“, რაც უზრუნველყოფს სტაჟირების პროცესში ერთიანი მიდგომის დანერგვას. მსმენელი ვალდებულია, დაიცვას სასამართლო პროცესის მონაწილე სუბიექტებთან დაკავშირებული იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სასამართლოში სტაჟირების პროცესში. ნ იუსტიციის მსმენლის მიერ მომზადებული არცერთი დოკუმენტი არ გამოიყენება სასამართლოს საქმიანობაში და იგი მიზნად ისახავს მხოლოდ იუსტიციის მსმენლის ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარებას. იუსტიციის უმაღლესი სკოლა ვალდებულია, სტაჟირების კოორდინატორის მოთხოვნის შესაბამისად უზრუნველყოს სტაჟირების გავლისათვის აუცილებელი საკანცელარიო საქონელით მომარაგება. იუსტიციის მსმენლის ყოველდღიური შეფასება აისახება სტაჟირების საბოლოო შეფასებაზე, ხოლო სტაჟირების კოორდინატორის რეკომენდაციას (დახასიათების ფორმა) დამოუკიდებელი საბჭო ითვალისწინებს შეფასების შედგენისას. სავალდებულო სტაჟირების დასასრულს იუსტიციის მსმენელი ადგენს წერილობით ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ, აგრეთვე წერს ნაშრომს სტაჟირების ორგანოს ფუნქციონირების, იქ არსებული პრობლემებისა და მათი გადაწყვეტის გზების თაობაზე. წერილობითი ანგარიში და ნაშრომი წარედგინება სტაჟირების ხელმძღვანელს, ილუქება და ერთვის იუსტიციის მსმენლის პირად საქმეს.

სემინარული მუშაობა

სტაჟირების დასრულების შემდეგ იუსტიციის მსმენელი გაივლის სემინარულ მუშაობას. 10 თვიანი სასწავლო კურსისთვის სემინარული მუშაობის ხანგრძლივობაა 1 თვე, ხოლო ნ თვიანი სასწავლო კურსისთვის — ნახევარი თვე. სემინარულ მუშაობას წარმართავს სკოლის მასწავლებელი ან მოწვეული სპეციალისტი. სემინარული მუშაობის მიზანია თეორიული კურსისა და სტაჟირების დროს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების განზოგადება, აგრეთვე იუსტიციის მსმენლის მომზადება სკოლის დამამათავრებელი გამოცდისთვის. სემინარული მუშაობის დროს იუსტიციის მსმენელს ეძლევა პრაქტიკული დავალებები (კაზუსების საფუძველზე სასამართლო გადაწყვეტილებების მომზადება, სხვადასხვა საპროცესო დოკუმენტაციის შედგენა, იმიტირებული სასამართლო პროცესების გამართვა და სხვ.). სემინარის ხელმძღვანელი სემინარული მუშაობის პროცესში ხელმძღვანელობს „სემინარის ხელმძღვანელთა სახელმძღვანელო დოკუმენტით (სემინარული მუშაობის სტანდარტი)“, რაც უზრუნველყოფს სემინარული მუშაობის პროცესში ერთიანი მიდგომის დანერგვას. სემინარული მუშაობის დასასრულს სემინარის ხელმძღვანელი თითოეულ მსმენელზე ადგენს სემინარული მუშაობის აღწერის ფორმას, რომელსაც გაითვალისწინებს დამოუკიდებელი საბჭო შეფასების შედგენისას

უცხო ენის შესწავლა

იუსტიციის მსმენლები სწავლის პერიოდში შეისწავლიან ინგლისურ ენას. 10 თვიანი სასწავლო კურსის ფარგლებში იუსტიციის მსმენელი გადის ინგლისური ენის არანაკლებ 7 თვიან სწავლებას, ხოლო 6 თვიანი სასწავლო კურსის ფარგლებში - არანაკლებ 4თვიან სწავლებას. ინგლისური ენის სწავლება არ ტარდება იუსტიციის მსმენელთა სემინარული მუშაობის პერიოდში. ინგლისური ენის ცოდნის დონის მიხედვით იუსტიციის მსმენლები დაიყოფიან ჯგუფებად და შეისწავლიან ინგლისურ ენას განსხვავებული პროგრამით. სწავლება შესაძლებელია, განხორციელდეს კვირაში არანაკლებ 2-ჯერ, საჭიროებისამებრ, შაბათის ჩათვლით. თითოეული მეცადინეობის ხანგრძლივობა არანაკლებ ორი საათი. ინგლისური ენის სწავლების ფარგლებში ცოდნის დონის შემოწმების მიზნით იუსტიციის მსმენლები გადიან შუალედურ და დამამთავრებელ შეფასებებს.

თეორიული სწავლების კურსი სკოლის მსმენლებისთვის

№	საკითხი	ხანგრძლივობა
1	სამოსამართლო ეთიკა და პროფესიული ქცევის სტანდარტები	1 დღე
2	წარმატების მიღწევის უნარები	3 დღე
3	გამოყენებითი ფსიქოლოგია; სასამართლოში ზრდასრულ ადამიანთა ქცევის ფსიქოლოგია	2 დღე
4	მართლმსაჯულება და საინფორმაციო ტექნოლოგიები	1 დღე
5	ნორმის განმარტება	2 დღე
6	კონსტიტუციური უფლებები და საკონსტიტუციო კონტროლი	1 დღე
7	კონსტიტუციური წარდგინება	1 დღე
8	საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (პრეცედენტები)	2 დღე
9	ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტები	1 დღე
10	ევროპული სასამართლოს პრაქტიკა (ECHR)	5 დღე
11	დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა	1 დღე
12	მართლმსაჯულების ხელშეწყობა გენდერული თანასწორობის გზით	1 დღე
13	სანივთო სამართალი	1 დღე
14	გარიგებები	1 დღე
15	ვალდებულებითი სამართალი	2 დღე
16	ხელშეკრულებები	4 დღე
17	კანონისმიერი ვალდებულებები	2 დღე
18	საოჯახო სამართალი	2 დღე
19	მემკვიდრეობითი სამართალი	2 დღე
20	საკორპორაციო სამართალი	2 დღე
21	ინტელექტუალური საკუთრების სამართალი	1 დღე
22	საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ	1 დღე
23	შემაჯამებელი დისკუსია სამოქალაქო სამართლის საკითხებთან დაკავშირებით	1 დღე
24	სამოქალაქო საქმეების წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში	3 დღე
25	სამოქალაქო საქმეების წარმოება სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში	1 დღე

26	რელაციისა და სუბსუმციის ტექნიკები	2 დღე
27	მედიაცია და სასამართლო მორიგება	1 დღე
28	შემაჯამებელი დისკუსია სამოქალაქო პროცესის საკითხებზე	1 დღე
29	ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები	2 დღე
30	ინფორმაციის თავისუფლება და პერსონალურ მონაცემთა დაცვა	1 დღე
31	ადმინისტრაციული ხელშეკრულება	1 დღე
32	ადმინისტრაციული წარმოების სახეები	3 დღე
33	ადმინისტრაციული საჩივარი	1 დღე
34	ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულება; ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა	1 დღე
35	შემაჯამებელი დისკუსია ადმინისტრაციული სამართლის საკითხებზე	1 დღე
36	ადმინისტრაციული საქმეების წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში	2 დღე
37	ადმინისტრაციული საქმეების წარმოება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში	1 დღე
38	ადმინისტრაციული სამართალწარმოება მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებით	1 დღე
39	ადმინისტრაციული წარმოება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებით	1 დღე
40	ადმინისტრაციული წარმოება ლტოლვილის სტატუსის მინიჭებასთან ან თავშესაფრის მიცემასთან დაკავშირებით	1 დღე
41	ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოება	2 დღე
42	შემაჯამებელი დისკუსია ადმინისტრაციული სამართალწარმოების საკითხებთან დაკავშირებით	1 დღე
43	გადაწყვეტილების დასაბუთება	2 დღე
44	სამართლებრივი წერა	1 დღე
45	მოსამართლის გამართული მეტყველება – საორატორო ხელოვნება	1 დღე
46	მოსამართლის მიერ დოკუმენტების გამართული ენით წერა	1 დღე
47	საგადასახადო სამართალი	4 დღე
48	სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები და დანაშაულის კატეგორიები	1 დღე
49	ბრალი სისხლის სამართალში	1 დღე
50	სასჯელი	1 დღე
51	სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება	1 დღე
52	დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ	1 დღე
53	დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ	1 დღე
54	ეკონომიკური დანაშაული	1 დღე
55	ტრეფიკინგთან დაკავშირებულ საქმეთა განხილვა	1 დღე
56	შემაჯამებელი დისკუსია სისხლის სამართლის საკითხებთან დაკავშირებით	1 დღე
57	საპროცესო მოქმედებები, რომელთაც ადგილი აქვთ სასამართლოში საქმის განხილვამდე	1 დღე
58	ალკვეთის ღონისძიებები	1 დღე
59	მტკიცებულებანი და მტკიცებულებათა შეფასება	1 დღე

60	საპროცესო შეთანხმება	1 დღე
61	ნაფიც მსაჯულთა სასამართლო	1 დღე
62	განაჩენი, განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა და აღსრულება	1 დღე
63	საერთაშორისო თანამშრომლობა სისხლის სამართლის სფეროში	1 დღე
64	სისხლის სამართლის საქმეების წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში	2 დღე
65	სისხლის სამართლის საქმეების წარმოება სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში	1 დღე
66	განაჩენის დასაბუთება; სამართლებრივი მართლწერა	2 დღე
67	ოჯახში ძალადობა (მათ შორის ზღვარი ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას შორის; შემაკავებელი და დამცავი ორდერი)	1 დღე
68	შემაჯამებელი დისკუსია სისხლის საპროცესო სამართლის საკითხებზე	1 დღე
69	სასამართლო პროცესზე კომუნიკაცია და სხდომის წარმართვის ტექნიკა	2 დღე

სტაჟირების პროგრამა 2016 წლის 6 თვიანი ტრენინგის კურსისთვის, რომელიც გამოქვეყნებულია იუსტიციის უმაღლესი სკოლის ვებგვერდზე, შემდეგია: 2016 წლის იუსტიციის მსმენელთა (XIII ჯგუფი) სავალდებულო სტაჟირების პროგრამა იწყება 2017 წლის 24 აპრილს და დასრულდება 2017 წლის 9 მაისს. სტაჟირება განხორციელდება ყოველდღიურად, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, შუალედში ერთი ერთსაათიანი შესვენებით (საჭიროების შემთხვევაში – შაბათ-კვირის ჩათვლით). იუსტიციის მსმენელი, რომელიც დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებით დაშვებული იქნება თეორიული კურსის დამატებით დამამთავრებელ გამოცდაზე (დამატებით თეორიულ გამოცდაზე) და წარმატებით ჩააბარებს მას, ნახევართვიან სტაჟირებას გაივლის სკოლის დირექციის მიერ განსაზღვრულ ვადებში. იუსტიციის მსმენელმა, რომელიც დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებით დაშვებულ იქნა თეორიული კურსის დამატებით დამამთავრებელ გამოცდაზე, აგრეთვე მსმენელმა, რომელიც სტაჟირებაზე არ გამოცხადდა საპატიო მიზეზით, სტაჟირება შეიძლება, გაიაროს შაბათ-კვირის დღეებშიც. სტაჟირების დღეების განრიგი სტაჟირების კოორდინატორთან შეთანხმებით დგინდება სკოლის დირექციის მიერ.

სტაჟირების პროგრამა 2017 წლის 10 თვიანი ტრენინგის კურსისთვის, რომელიც გამოქვეყნებულია იუსტიციის უმაღლესი სკოლის ვებგვერდზე, შემდეგია:

2016 წლის იუსტიციის მსმენელთა (XIII ჯგუფი) სავალდებულო სტაჟირების პროგრამა იწყება 2017 წლის 24 აპრილს და დასრულდება 2017 წლის 24 აგვისტოს. სტაჟირება განხორციელდება ყოველდღიურად, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, შუალედში ერთი ერთსაათიანი შესვენებით (საჭიროების შემთხვევაში – შაბათ-კვირის ჩათვლით). სკოლის წესდებით დადგენილი სავალდებულო სტაჟირების დღეების გავლის მიზნით საჭიროების შემთხვევაში იუსტიციის მსმენელი სტაჟირებას ასევე გადის შაბათ-კვირის დღეებში. იუსტიციის მსმენელი, რომელიც დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებით დაშვებული იქნება თეორიული კურსის დამატებით დამამთავრებელ გამოცდაზე (დამატებით თეორიულ გამოცდაზე) და წარმატებით ჩააბარებს მას, ოთხთვიან სტაჟირებას გაივლის სკოლის დირექციის მიერ განსაზღვრულ ვადებში. იუსტიციის მსმენელმა, რომელიც დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებით დაშვებულ იქნა თეორიული კურსის დამატებით დამამთავრებელ გამოცდაზე, აგრეთვე მსმენელმა, რომელიც სტაჟირებაზე არ გამოცხადდა საპატიო მიზეზით, სტაჟირება შეიძლება, გაიაროს შაბათ-კვირის დღეებშიც. სტაჟირების დღეების განრიგი სტაჟირების კოორდინატორთან შეთანხმებით დგინდება სკოლის დირექციის მიერ.

სემინარული მუშაობის პროგრამა 2017 წლის 6 თვიანი ტრენინგის კურსისთვის, რომელიც გამოქვეყნებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე, შემდეგია: 2016 წლის იუსტიციის მსმენელთა (XIII ჯგუფი)

„იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესაძლებლობების გაძლიერების“ პროექტის ფარგლებში გაცემულია მოსამართლეობის კანდიდატთა პირველადი ტრენინგის შესახებ ევროპის საბჭოს 2017 წლის რეკომენდაციები.⁴⁸ რეკომენდაციები, მათ შორის, შეეხება შემდეგ საკითხებს:

- ▶ ტრენინგის კურსების ხანგრძლივობა უნდა გაიზარდოს;
- ▶ სტაჟირება სავალდებულო უნდა გახდეს მოსამართლეობის ყველა კანდიდატისათვის;
- ▶ მოსამართლეობის კანდიდატების შეფასების წესი უნდა შეიცვალოს და დაინერგოს მაფორმირებელი და შემაჯამებელი შეფასება;
- ▶ კანდიდატების გადამზადება უნდა მოხდეს ინდივიდუალური პროგრამის მიხედვით, რომელიც ამ კონკრეტული კანდიდატისთვის იქნება შექმნილი.

როგორც მოსამართლეობის კანდიდატების გადამზადების წესებიდან ირკვევა, არ არსებობს კანდიდატის პერსონალური წარსული გამოცდილების მხედველობაში მიღების მოთხოვნა და სკოლის მსმენლების აკადემიური პროგრამების შედგენა ხდება წინასწარ განსაზღვრული ზოგადი წესის მიხედვით, რომელიც საერთოა ყველა კანდიდატისთვის.

განგრძობადი ტრენინგი

მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლებისთვის განკუთვნილი განგრძობადი ტრენინგის პროგრამებს ამტკიცების იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭო და მის იმპლემენტაციას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორი.

კანონი განსაზღვრავს, რომ სკოლამ უნდა დაამტკიცოს განგრძობადი განათლების აკადემიური პროგრამა ყოველწლიურად. განგრძობადი ტრენინგები ტარდება სემინარის, სასწავლო კურსის, კონფერენციის, თეორიული და პრაქტიკული ტრენინგისა და დისკუსიის ფორმით. განგრძობად ტრენინგებს ატარებენ სკოლის მასწავლებლები.

მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდება შესაბამისი წლის აკადემიური პროგრამა, ტრენინგებში მონაწილეობის მსურველმა მოსამართლეებმა უნდა მიმართონ სკოლას. ტრენინგში მონაწილეობის მსურველი მოსამართლე უნდა განმარტოს შესაბამისი კურსით დაინტერესების მიზეზი. სკოლამ პასუხი უნდა გასცეს მოსამართლეს და უფლებამოსილია, ან ჩართოს მოსამართლე ტრენინგში, ან უარი უთხრას ტრენინგში მონაწილეობაზე. მოსამართლეს პასუხი უნდა გაეცეს 2 კვირის ვადაში. მოსამართლის ტრენინგში ჩართვაზე უარი უნდა იყოს დასაბუთებული.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად სკოლამ USAID/JILEP – თან თანამშრომლობით 2015 წელს დანერგა ინტერნეტპორტალი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მოსამართლეებსა და სასამართლოს სხვა თანამშრომლებს, მოახდინონ თავიანთი სწავლის პროცესის მართვა ვებგვერდის მეშვეობით, მათ შორის, დარეგისტრირდნენ ტრენინგის შერჩეულ კურსზე. თავის მხრივ იუსტიციის უმაღლესი სკოლა განსაზღვრავს ტრენინგის საკითხებს და სამიზნე აუდიტორიას აღნიშნული ინტერნეტპორტალის გამოყენებით.⁴⁹

სკოლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად განხორციელებული განგრძობადი ტრენინგის კურსების შესახებ სტატისტიკური მონაცემები შემდეგია:

48. <http://www.hsoj.ge/uploads/recommendations.pdf>

49. Letter of the High School of Justice N02/2111 13/09/2018 sent to the Georgian Young Lawyers' Association.

2016 წელს სკოლამ ჩაატარა 93 ტრენინგი ჯამში 1524 მონაწილით(აღნიშნულ ჯამურ რაოდენობაში შესაძლოა, მოსამართლეებისა და სხვა მონაწილეების ვინაობა მეორდებოდეს, რადგან სტატისტიკური მონაცემების დამუშავებისას განმეორებითი მონაწილეობის მაჩვენებელი გათვალისწინებული არ არის). 93 ტრენინგიდან 67 (1124 მონაწილე) ჩატარდა მოქმედი მოსამართლეებისთვის, ხოლო 26 (400 მონაწილე) ჩატარდა სასამართლოს სხვა თანამშრომლებისთვის.

მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლებისთვის 2016 წელს ჩატარებული განგრძობადი ტრენინგები:

ტრენინგის სფერო	ტრენინგის შინაარსი	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა
კონსტიტუციური სამართალი	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები	3	17 მოსამართლე 12 მოსამართლე დასასამართლოს 1 თანამშრომელი სასამართლოს 24 თანამშრომელი
ადამიანის უფლებათა ევროპული და საერთაშორისო სამართალი	ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის გამოყენება	3	20 მოსამართლე 19 მოსამართლე დასასამართლოს 3 თანამშრომელი სასამართლოს 22 თანამშრომელი
	ევროპული სასამართლოს პრეცედენტები	1	17 მოსამართლე
	ადამიანის უფლებათა ევროპული და საერთაშორისო სტანდარტები	2	15 მოსამართლე 14 მოსამართლე
	სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება	2	14 მოსამართლე დასასამართლოს 4 თანამშრომელი 11 მოსამართლე დასასამართლოს 11 თანამშრომელი
	გამოხატვის თავისუფლება; სიძულვილის ენა	1	16 მოსამართლე
	წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა	6	12 მოსამართლე 6 მოსამართლე და სასამართლოს 3 თანამშრომელი 14 მოსამართლე 16 მოსამართლე სასამართლოს 15 თანამშრომელი სასამართლოს 15 თანამშრომელი

	დისკრიმინაციის აკრძალვა	2	7 მოსამართლე დასასამართლოს 11 თანამშრომელი 5 მოსამართლე დასასამართლოს 15 თანამშრომელი
	მართლმსაჯულების განვითარება გენდერული თანასწორობის მეშვეობით	2	10 მოსამართლე დასასამართლოს 6 თანამშრომელი 10 მოსამართლე დასასამართლოს 8 თანამშრომელი
	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეფექტური ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე	3	13 მოსამართლე სასამართლოს 13 თანამშრომელი სასამართლოს 8 თანამშრომელი
	თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ სხვა პირთა უფლებები	2	15 მოსამართლე სასამართლოს 16 თანამშრომელი
	ბავშვის უფლებები	2	9 მოსამართლე დასასამართლოს 3 თანამშრომელი 13 მოსამართლე
	ნარკომომხმარებელთა უფლებები	2	15 მოსამართლე 14 მოსამართლე
	შრომის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველოს შრომის კოდექსი	1	15 მოსამართლე
	პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა	4	18 მოსამართლე 10 მოსამართლე სასამართლოს 6 თანამშრომელი სასამართლოს 12 თანამშრომელი
სამოქალაქო სამართალი	სამეწარმეო სამართალი	3	20 მოსამართლე 20 მოსამართლე 19 მოსამართლე
	ინტელექტუალური საკუთრების სამართალი	1	25 მოსამართლე
	მედიაცია/მორიგება	2	19 მოსამართლე 18 მოსამართლე
	არბიტრაჟი	1	10 მოსამართლე
	შეზღუდვის ვადები	2	15 მოსამართლე სასამართლოს 19 თანამშრომელი
	უსაფუძვლო გამდიდრება	1	20 მოსამართლე

	პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად ცნობა და მხარდაჭერის დანიშვნა	1	28 მოსამართლე
	სახელშეკრულებო სამართალი	1	სასამართლოს 20 თანამშრომელი
	სამოქალაქო პროცესის აქტუალური საკითხები	1	სასამართლოს 19 თანამშრომელი
ადმინისტრაციული სამართალი	საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა	3	10 მოსამართლე სასამართლოს 18 თანამშრომელი სასამართლოს 16 თანამშრომელი
	ოჯახში ძალადობა, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნა, შემაკავებელი და დამცავი ორდერები	2	9 მოსამართლე სასამართლოს 13 თანამშრომელი
	უძრავი ქონების რეგისტრაცია, მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები	2	12 მოსამართლე 15 მოსამართლე
	სამშენებლო დავების განხილვის პრობლემური ასპექტები	1	14 მოსამართლე
	ადმინისტრაციული პროცესის აქტუალური საკითხები	2	16 მოსამართლე სასამართლოს 13 თანამშრომელი
	ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხელშეკრულებები	1	სასამართლოს 12 თანამშრომელი
საგადასახადო სამართალი	საგადასახადო სამართლის პრობლემური ასპექტები	1	16 მოსამართლე
სისხლის სამართალი	განაჩენის დასაბუთება (ფორმა, დასაბუთება და სტილი)	4	18 მოსამართლე 13 მოსამართლე სასამართლოს 19 თანამშრომელი სასამართლოს 14 თანამშრომელი
	ნაფიც მსაჯულთა სასამართლო	2	10 მოსამართლე დასასამართლოს 8 თანამშრომელი 11 მოსამართლე დასასამართლოს 9 თანამშრომელი
	ტრეფიკინგი, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა	2	7 მოსამართლე დასასამართლოს 6 თანამშრომელი სასამართლოს 17 თანამშრომელი
	ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია	1	8 მოსამართლე დასასამართლოს 6 თანამშრომელი

	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	5	33 მოსამართლე 31 მოსამართლე 23 მოსამართლე 9 მოსამართლე 26 მოსამართლე
	საზღვრის უკანონო გადაკვეთა	2	10 მოსამართლე სასამართლოს 11 თანამშრომელი
	კორუფციის საქმეთა განხილვა იურიდიული პირის პასუხისმგებლობის ჭრილში	2	13 მოსამართლე 8 მოსამართლე
	მტკიცებულებათა სამართალი	2	27 მოსამართლე სასამართლოს 18 თანამშრომელი
	აღკვეთის ღონისძიებები	1	21 მოსამართლე
	სისხლის სამართლის საქმისწარმოების განახლება	2	9 მოსამართლე დასასამართლოს 9 თანამშრომელი 11 მოსამართლე დასასამართლოს 9 თანამშრომელი
	საპროცესო შეთანხმება	1	16 მოსამართლე
	სისხლის სამართლის პროცესის აქტუალური საკითხები	2	18 მოსამართლე სასამართლოს 13 თანამშრომელი
ზოგადი საკითხები	შესავალი სამოსამართლო ეთიკაში	2	19 მოსამართლე 22 მოსამართლე
	სამოსამართლო ეთიკის სიდრმისეული კურსი	1	15 მოსამართლე
	სასამართლო დოკუმენტების მომზადება	3	სასამართლოს 21 თანამშრომელი სასამართლოს 13 თანამშრომელი სასამართლოს 13 თანამშრომელი

2017 წელს იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ ჩაატარა 92 განგრძობადი ტრენინგი, რომელშიც ჯამში მონაწილეობა მიიღო 1364 მონაწილემ (აღნიშნულ რიცხვში არ არის გათვალისწინებული მონაწილეთა განმეორებით მონაწილეობის მონაცემები). 56 ტრენინგი ჩატარდა მოქმედი მოსამართლეებისთვის, ჯამში 778 მონაწილით, 33 ტრენინგი – სასამართლოს თანამშრომლებისთვის, ჯამში 552 მონაწილით, 3 ერთობლივი ტრენინგი მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მონაწილეობით – ჯამში 64 მონაწილე.

2017 წელს მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლებისთვის ჩატარებული განგრძობადი ტრენინგები:

ტრენინგის სფერო	ტრენინგის შინაარსი	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა
კონსტიტუციური სამართალი	საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები	1	16 მოსამართლე სასამართლოს 19 თანამშრომელი
ადამიანის უფლებათა ევროპული და საერთაშორისო სამართალი	ადამიანის უფლებათა ევროპული და საერთაშორისო სტანდარტები	2	13 მოსამართლე სასამართლოს 15 თანამშრომელი
	ევროპული სასამართლოს პრეცედენტები	2	16 მოსამართლე სასამართლოს 14 თანამშრომელი
	გამოხატვის თავისუფლება, სიძულვილის ენა	1	13 მოსამართლე
	წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა	2	15 მოსამართლე სასამართლოს 9 თანამშრომელი
	დისკრიმინაციის აკრძალვა	2	16 მოსამართლე სასამართლოს 16 თანამშრომელი
	გენდერული თანასწორობით მართლმსაჯულების ხელშეწყობა	2	17 მოსამართლე სასამართლოს 17 თანამშრომელი
	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეფექტური ხელმისაქვლადობა მართლმსაჯულებაზე	1	11 მოსამართლე
	თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი სხვა პირების უფლებები	1	20 მოსამართლე
	ნარკომომხმარებელთა უფლებები	1	15 მოსამართლე
	შრომის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველოს შრომის კოდექსი	1	16 მოსამართლე
	ადამიანის უფლებები	6	სასამართლოს 31 თანამშრომელი სასამართლოს 12 თანამშრომელი სასამართლოს 14 თანამშრომელი სასამართლოს 31 თანამშრომელი სასამართლოს 25 თანამშრომელი სასამართლოს 20 თანამშრომელი
	საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი	1	13 მოსამართლე

	ოჯახში ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა	2	13 მოსამართლე სასამართლოს 9 თანამშრომელი
	ბავშვის უფლებები	1	12 მოსამართლე
სამოქალაქო სამართალი	სამეწარმეო სამართალი	4	18 მოსამართლე 19 მოსამართლე 19 მოსამართლე სასამართლოს 14 თანამშრომელი
	სასამართლო გადაწყვეტილებების მომზადება	1	სასამართლოს 14 თანამშრომელი
	ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ ჰააგის 1980 წლის კონვენცია	1	13 მოსამართლე
	სახელშეკრულებო სამართალი	1	სასამართლოს 18 თანამშრომელი
	სამოქალაქო პროცესის აქტუალური საკითხები	2	13 მოსამართლე სასამართლოს 14 თანამშრომელი
	გადახდისუნარობის წარმოება	1	13 მოსამართლე
	საბანკო დავები	1	15 მოსამართლე
	ინტელექტუალური საკუთრების სამართლის აქტუალური საკითხები	1	27 მოსამართლე
	მორიგება	3	15 მოსამართლე 17 მოსამართლე 4 მოსამართლე
	სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეებზე ურთიერთთანამშრომლობის ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები	1	11 მოსამართლე
	რელაციისა და სუბსუმციის ტექნიკები სამოქალაქო სამართალში	1	13 მოსამართლე
	საარბიტრაჟო სამართალი	1	13 მოსამართლე
ადმინისტრაციული სამართალი	პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და საჯარო ინფორმაციის კანონმდებლობა	1	17 მოსამართლე
	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (ადმინისტრაციული სამართალი)	2	20 მოსამართლე 21 მოსამართლე
	სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავები	1	16 მოსამართლე
	ადმინისტრაციული სამართალდარღვევა	1	სასამართლოს 7 თანამშრომელი
	ადმინისტრაციული პროცესის აქტუალური საკითხები	2	21 მოსამართლე სასამართლოს 14 თანამშრომელი

სისხლის სამართალი	ნაფიც მსაჯულთა სასამართლო	4	13 მოსამართლე 6 მოსამართლე 11 მოსამართლე 19 მოსამართლე სასამართლოს 25 თანამშრომელი
	ტრეფიკინგი	2	13 მოსამართლე სასამართლოს 5 თანამშრომელი
	კიბერდანაშაული	1	10 მოსამართლე
	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	1	6 მოსამართლე
	მოწმის დაკითხვის ახალი წესი	1	9 მოსამართლე
	სასამართლო აქტების მომზადება	1	სასამართლოს 14 თანამშრომელი
	კორუფციის საქმეთა განხილვა	2	15 მოსამართლე 14 მოსამართლე
	სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე ეფექტური მართლმსაჯულება	1	13 მოსამართლე
	სისხლის სამართლის საქმის წარმოების განახლება	2	11 მოსამართლე 11 მოსამართლე
	საპროცესო შეთანხმება	1	14 მოსამართლე
	განაჩენის დასაბუთება	1	11 მოსამართლე დასასამართლოს 4 თანამშრომელი
	სისხლის სამართლის პროცესის აქტუალური საკითხები	1	სასამართლოს 15 თანამშრომელი
	საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული საკითხები	1	7 მოსამართლე დასასამართლოს 6 თანამშრომელი
საგადასახადო სამართალი	საგადასახადო დავების პრობლემური საკითხები	1	11 მოსამართლე
ზოგადი დებულებები	შესავალი სამოსამართლო ეთიკაში	1	9 მოსამართლე
	სიღრმისეული კურსი სამოსამართლო ეთიკაში	1	11 მოსამართლე
	ხელმძღვანელობა და მენეჯმენტი სასამართლოში	2	12 მოსამართლე სასამართლოს 15 თანამშრომელი
	გამოყენებითი ფსიქოლოგია	1	13 მოსამართლე
	პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის უნარები	2	12 მოსამართლე სასამართლოს 17 თანამშრომელი
	საქმეთა განაწილება	2	13 მოსამართლე სასამართლოს 11 თანამშრომელი
	სტრესის მართვა	1	15 მოსამართლე

	მართლმსაჯულება და საინფორმაციო ტექნოლოგიები	2	8 მოსამართლე სასამართლოს 19 თანამშრომელი
	აკადემიური წერა	1	სასამართლოს 18 თანამშრომელი
	ეფექტური კომუნიკაცია	2	სასამართლოს 14 თანამშრომელი სასამართლოს 15 თანამშრომელი
	ეთიკის წესები სასამართლოს თანამშრომელთათვის	1	სასამართლოს 16 თანამშრომელი
	საჯარო სამსახურის კანონმდებლობის სიახლეები	1	9 მოსამართლე დასასამართლოს 31 თანამშრომელი

2018 წელს (1 იანვრიდან 12 სექტემბრამდე პერიოდში) იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ ჩატარა 55 ტრენინგი ჯამში 759 პირის მონაწილეობით (მონაწილეთა საერთო რაოდენობაში არ არის გათვალისწინებული განმეორებით მონაწილეთა რიცხვი). 35 ტრენინგი ჩატარდა მოსამართლეებისთვის ჯამში 469 მოსამართლის მონაწილეობით, 20 ტრენინგი ჩატარდა სასამართლოს 290 თანამშრომლის მონაწილეობით.

2018 წელს (1 იანვრიდან 12 სექტემბრამდე პერიოდში) მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლებისთვის ჩატარებული განგრძობადი ტრენინგები:

ტრენინგის სფერო	ტრენინგის შინაარსი	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა
კონსტიტუციური სამართალი	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები	2	11 მოსამართლე სასამართლოს 14 თანამშრომელი
ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ევროპული სამართალი	ადამიანის უფლებების საერთაშორისო და ევროპული სტანდარტები	3	14 მოსამართლე 16 მოსამართლე სასამართლოს 11 თანამშრომელი
	ევროპული სასამართლოს პრეცედენტები	1	14 მოსამართლე
	წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა	2	10 მოსამართლე სასამართლოს 12 თანამშრომელი
	დისკრიმინაციის აკრძალვა	1	10 მოსამართლე
	თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ სხვა პირთა უფლებები	1	12 მოსამართლე
	საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი	1	11 მოსამართლე
	ოჯახში ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა	2	15 მოსამართლე სასამართლოს 14 თანამშრომელი
	საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი	1	11 მოსამართლე

სამოქალაქო სამართალი	სამეწარმეო სამართალი	4	13 მოსამართლე 12 მოსამართლე 14 მოსამართლე სასამართლოს 16 თანამშრომელი
	ვალდებულებითი სამართლის პრობლემური საკითხები	2	8 მოსამართლე სასამართლოს 15 თანამშრომელი
	სამოქალაქო საქმის წარმოების განახლება	1	10 მოსამართლე დასასამართლოს 5 თანამშრომელი
	შრომის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველოს შრომის კოდექსი	2	16 მოსამართლე სასამართლოს 15 თანამშრომელი
	ინტელექტუალური საკუთრების სამართალი	1	26 მოსამართლე
	სამოქალაქო პროცესის აქტუალური საკითხები	2	15 მოსამართლე სასამართლოს 15 თანამშრომელი
	საარბიტრაჟო სამართალი	1	8 მოსამართლე
ადმინისტრაციული სამართალი	პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და საჯარო ინფორმაციის კანონმდებლობა	3	16 მოსამართლე 23 მოსამართლე 10 მოსამართლე
	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (ადმინისტრაციული სამართალი)	2	23 მოსამართლე სასამართლოს 13 თანამშრომელი
	სამშენებლო დავების პრობლემური ასპექტები	1	12 მოსამართლე
	ადმინისტრაციული სამართალდარღვევა	1	14 მოსამართლე
	ადმინისტრაციული სამართალწარმოების აქტუალური საკითხები	2	15 მოსამართლე სასამართლოს 14 თანამშრომელი
სისხლის სამართალი	ტრეფიკინგი	1	სასამართლოს 14 თანამშრომლები
	კიბერ დანაშაული	1	9 მოსამართლე
	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	2	14 მოსამართლე სასამართლოს 14 თანამშრომელი
	სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობა	1	11 მოსამართლე
	კორუფციის საქმეების განხილვა	2	9 მოსამართლე სასამართლოს 13 თანამშრომელი
	სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტური წარმოება	1	7 მოსამართლე
	სისხლის სამართლის საქმის წარმოების განახლება	1	15 მოსამართლე დასასამართლოს 2 თანამშრომელი

	სისხლის სამართლის პროცესის აქტუალური საკითხები	2	15 მოსამართლე სასამართლოს 13 თანამშრომელი
ზოგადი საკითხები	შესავალი სამოსამართლო ეთიკაში	1	25 მოსამართლე
	სამოსამართლო ეთიკის სიღრმისეული კურსი	1	10 მოსამართლე
	ხელმძღვანელობა და მართვა სასამართლოში	2	15 მოსამართლე სასამართლოს 16 თანამშრომელი
	საქმეთა განაწილება	2	13 მოსამართლე სასამართლოს 14 თანამშრომელი
	ეფექტური კომუნიკაცია/კომუნიკაციის სტანდარტები	1	სასამართლოს 11 თანამშრომელი

ტრენინგის პროგრამები პროკურორებისთვის:

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად⁵⁰ 2016 წელს ჯამში 2123 პროკურორმა და პროკურატურის გამომძიებელმა მიიღო მონაწილეობა 132 ტრენინგში, რომელიც პროკურატურის მიერ იყო ორგანიზებული (აღნიშნულ საერთო რაოდენობაში მონაწილეთა ვინაობა შესაძლოა, მეორედებოდეს).

ტრენინგების საკითხები მოიცავდა სამართლის შემდეგ სფეროებს:

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განხილვის უნარები; ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ევროპული სტანდარტები; დისკრიმინაციის აკრძალვა (ტრენერთა ტრენინგი); ანტიდისკრიმინაციული სტანდარტები; სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით; სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიება; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაცია; პირადი ცხოვრების უფლება; წამების აკრძალვა ევროპული კონვენციის მიხედვით; არასათანადო მოპყრობის სათანადო კვალიფიკაცია; ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა; მართლმსაჯულებაზე ხელმწიასწვდომობის გაზრდა ქალებისათვის აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ 5 ქვეყანაში; ტრენერთა ტრენინგი სამართლებრივ წერაში; პროფესიული ეთიკის სტანდარტები; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, არასრულწლოვანთან კომუნიკაციის ფსიქოლოგია და მეთოდოლოგია; განრიდება და მედიაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში; საპროკურორო დისკრეცია; ბავშვთა მიმართ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა; მოწმის დაკითხვის საკანონმდებლო სიხლეები; მოწმის დაკითხვის უნარების განვითარება; ეფექტური კომუნიკაცია და საჯარო კომუნიკაცია; წინასასამართლო სხდომები და მისი პრაქტიკული ასპექტები; კიბერდანაშაულის გამოძიება; კიბერუსაფრთხოების საბაზისო კურსი; კიბერდანაშაული და ელექტრონული მტკიცებულებები; ციფრული მტკიცებულებები; უკანონო შემოსავლის ლეგალიზების დანაშაულის გამოძიება; ფინანსური დანაშაულების გამოძიება; საერთაშორისო თანამშრომლობა კორუფციის, უკანონო შემოსავლის კონფისკაციისა და პროკურორის დამოუკიდებლობის სფეროში; ეკონომიკური დანაშაულები; აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნების პოლიციის სამსახურებთან თანამშრომლობა; კორუფციის დანაშაულების გამოძიება და დევნა; იურიდიული პირის მიერ ჩადენილი კორუფციული დანაშაულის გამოძიება და დევნა; უკანონო მიგრაცია; ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა; რისკის შეფასება და მართვა: ძალადობის პრევენცია; მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები; ტერორისტული

50. საქართველოს თავარი პროკურატურის წერილი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას 24/09.208 N13/72524

მიზნებით ინტერნეტრესურსების გამოყენება; ტერორისტულ დანაშაულში ბრალდებულის დაკითხვა; უკანონოდ მიღებული ქონების ან შემოსავლის დაბრუნება; ნარკოტიკებით ვაჭრობა; კონსპირაცია და სხვა კომპლექსური დანაშაულების გამოძიება; ნარკოტიკული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა; ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და კვლევის მეთოდები; მოწმის დაცვა; არაპირდაპირი მტკიცებულება და ევროპული სასამართლოს სტანდარტი; საქმის ელექტრონული განაწილების სისტემა; ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული სტრატეგია; საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში დანაშაულის გამოვლენა და გამოძიება – პროკურორების და პოლიციის ოფიცრებისთვის გამართული რეგიონალური სემინარი; დანაშაულის ოპერატიული ანალიზი; ინტელექტუალური საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები; თაღლითობა; საგადასახადო კანონმდებლობა და სახელმწიფო შესყიდვები; მოწმისა და დაზარალებულთან კომუნიკაცია; საერთაშორისო თანამშრომლობა (ექსტრადიცია, იურიდიული დახმარება და სხვა).

ზემოაღნიშნული ტრენინგები ჩატარდა აშშ-ის საელჩოს, ევროპის საბჭოს, ევროკავშირის, საქართველოს სახალხო დამცველის, გაეროს ქალთა პროგრამის, იუნისეფის, ნატოს თბილისის ოფისის, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და სხვათა მხარდაჭერით. 30-ზე მეტი ტრენინგი ჩატარდა პროკურატურის სისტემისა და სხვა ეროვნული ინსტიტუტების ფინანსური რესურსებით.

30-ზე მეტი ტრენინგი იყო 4 დღიანი ხანგრძლივობის, დანარჩენები 3 დღიანი, ორ დღიანი და ერთ დღიანი ხანგრძლივობის.

პროკურატურამ არ გაასაჯაროვა ინფორმაცია 2017 და 2018 წლებში ჩატარებული ტრენინგების შესახებ.

გ) ტრენინგის პროგრამები მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის მოიცავს თუ არა როგორც პირველად, ისე განგრძობად ტრენინგს? სავალდებულოა თუ არა ტრენინგის გავლა? გთხოვთ, მიუთითეთ ინფორმაცია პირველადი და განგრძობადი ტრენინგის ხანგრძლივობის (მათ შორის, კვირაში გამოყენებული საათების საშუალო ოდენობა), პროგრამის შესახებ, ასევე წელიწადში საშუალოდ რა დროს ხარჯავენ მოსამართლეები, პროკურორები, მართლმსაჯულების სისტემის სხვა თანამშრომლები განგრძობად ტრენინგზე?

პროკურატურის სისტემის ვალდებულება, მუდმივად იზრუნოს პროკურორების/პროკურატურის გამოძიებულების პროფესიულ განვითარებაზე, გამოძინარეობს “პროკურატურის შესახებ” საქართველოს კანონის მე-9 მუხლიდან, რომელიც ადგენს გენერალური პროკურორის ვალდებულებას, ყოველ ექვს თვეში საპროკურორო საბჭოს წრუდგინოს ანგარიში პროკურატურის საქმიანობის შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში განხორციელებული პროფესიული განვითარების პროგრამების შესახებ. ამასთან, კანონი ადგენს პროკურატურის სისტემაში სტაჟირების გავლის წესს, რომლის მიზანია პროკურატურაში სამუშაოდ მოიზიდოს პროფესიონალები და უზრუნველყოს მათი პროფესიონალიზმის ამაღლება. იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული წესი განსაზღვრავს სტაჟირებაზე მიღების კონკურსის წესს, სტაჟირების პროცესს, სტაჟირების შეფასების წესს (მიღებულია 15.08.2014 N43, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge).

იუსტიციის მინისტრის ზემოაღნიშნული ბრძანების თანახმად პროკურატურის სისტემაში სტაჟირების ვადა არის 1 წელი. სტაჟიორი შეიძლება, დაინიშნოს პროკურატურის სისტემაში სტაჟირების პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ ან, განსაკუთრებულ შემთხვევაში, სტაჟირების ვადის 6 თვის გასვლის შემდეგ, სტაჟირების კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად პროკურატურის სისტემაში სტაჟირების გავლის გზით პროკურორის პოზიციაზე დანიშვნის სტატისტიკური მონაცემები შემდეგია: 2016 წელს ჯამში

დანიშნული 42 პროკურორისა და პროკურატურის გამომძიებლისაგან 32 პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი დანიშნა სტაჟირების კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე; 2017 წელს სულ დანიშნული 40 პროკურორისა და პროკურატურის გამომძიებელთაგან 30 დანიშნა სტაჟირების კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე; 2018 წელს სულ დანიშნული 5 პროკურორისა და პროკურატურის გამომძიებელიდან არცერთი ყოფილა დანიშნული სტაჟირების კომისიის რეკომენდაციით.

2016 წელს 58 სტაჟიორი იქნა მიღებული სტაჟირებაზე; 2017 წელს – არცერთი; 2018 წელს – 61 სტაჟიორი.

სტატისტიკური მონაცემები მოცემულია საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ “საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისთვის” გაგზავნილი N13/75500 03/10/2018 წერილის მიხედვით.

დ) გთხოვთ, აღწერეთ იურისტების გადამზადების როგორი სისტემა მოქმედებს ქვეყანაში.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია უზრუნველყოფს ადვოკატების გადამზადებას. საქართველოს კანონით ადვოკატის შესახებ (მიღებულია 06/07/2001 N976, კონსოლიდირებული ვერსია 04/05/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge), მუხლით 23.3, შექმნილია ადვოკატთა სასწავლო ცენტრი, რომლის ფუნქციაა პროფესიული ტრენინგების ჩატარება ასოციაციის წევრი ადვოკატებისათვის.

ადვოკატის შესახებ კანონის მე-5 მუხლი ადგენს ადვოკატის ვალდებულებას, გაიაროს სავალდებულო განგრძობადი ტრენინგის კურსი, რომელსაც ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო ამტკიცებს. კანონის აღნიშნული მუხლის მოთხოვნების დარღვევა წარმოადგენს ამავე ადვოკატის ამავე კანონით დადგენილი დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს.

ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებგვერდზე www.gba.ge გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად ასოციაცია ადვოკატებს სთავაზობს ტრენინგის შემდეგ კურსებს: სამართლებრივი წერა და დასაბუთება, ადვოკატის როლი არბიტრაჟში, ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, მორალური ზიანი, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით, საბანკო სამართლის აქტუალური საკითხები, მოწმის ჯვარედინი დაკითხვის ტექნიკა.

ე) მოიცავს თუ არა მოსამართლის, პროკურორისა და ადვოკატის ტრენინგები უცხო ენის სწავლებას?

უცხო ენის სწავლება არის მოსამართლეობის კანდიდატების მომზადების აკადემიური პროგრამის ნაწილი იუსტიციის სკოლის ფარგლებში და, შესაბამისად, სავალდებულოა. სკოლის აკადემიური პროგრამის თანახმად, რომელიც სკოლის ვებგვერდზეა გამოქვეყნებული, ტრენინგის განმავლობაში სკოლის მსმენლები შეისწავლიან ინგლისურ ენას, რაც სულ მცირე 7 თვის ხანგრძლივობისაა 10 თვიანი სასწავლო პროგრამის ფარგლებში და 4 თვის ხანგრძლივობის 6 თვიანი პროგრამის ფარგლებში. ინგლისური ენის ცოდნის დონის შესაბამისად სკოლის მსმენლები დაიყოფიან ჯგუფებად და შეისწავლიან ინგლისურ ენას განსხვავებული პროგრამების მეშვეობით. ტრენინგი უნდა ჩატარდეს სულ მცირე კვირაში ორჯერ, საჭიროების შესაბამისად – შაბათი დღის ჩათვლით. თითოეული გაკვეთილის ხანგრძლივობა სულ მცირე 2 საათია. ინგლისურ ენაში მომზადების პროცესში სკოლის მსმენლები შეფასდებიან ორჯერ – შუალედური შეფასება და საბოლოო შეფასება, რაც მიზნად ისახავს მათი ცოდნის დონის შემოწმებას.

ვ) ტარდება თუ არა სპეციალური ტრენინგის კურსები მოსამართლეობისთვის ახალ სფეროებში, როგორებიცაა სამეწარმეო სამართალი, კიბერდანაშაული, ფინანსური დანაშაული, ევროკავშირის

სამართალი, ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, ასევე სამოსამართლო ეთიკის, ფუნდამენტური უფლებებისა და სხვა საკითხებზე? არის თუ არა დანერგილი მოსამართლეთა განგრძობადი გადამზადების სისტემა?

მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის სპეციალური ტრენინგები ტარდება სამართლის სხვადასხვა სფეროში და პროფესიული უნარების განვითარების კუთხით, მათ შორის, კანონმდებლობის სიახლეები, აქტუალური სამართლებრივი საკითხები, ეთიკა, ფუნდამენტური უფლებები, და სხვა. პირველადი და განგრძობადი ტრენინგის დეტალური ჩამონათვალი მოცემულია კითხვარის შესაბამის ნაწილში. თუმცა, მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის განკუთვნილი ტრენინგის კურსები არ მოიცავს ევროკავშირის სამართლის საკითხებს.

ზ) როგორ არის უზრუნველყოფილი სპეციალიზებული მოსამართლისა და პროკურორის გადამზადება?

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (მიღებულია 12/06/2015 N3708-III, კონსოლიდირებული ვერსია 05/07/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) არასრულწლოვანთა სამართალწარმოების ყველა მონაწილისთვის (მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი, პოლიციის თანამშრომელი, ადვოკატი, სოციალური მუშაკი, მედიატორი, პრობაციის ოფიცერი და სხვა) ადგენს სავალდებულო მოთხოვნას, გაიარონ სპეციალური ტრენინგი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში.

თ) ბოლო 5 წლის განმავლობაში მოსამართლეების, პროკურორებისა და მართლმსაჯულების სისტემის სხვა თანამშრომლების რა პროცენტმა გაიარა განგრძობადი ტრენინგი (პროფესიის სხვა წარმომადგენლებთან შედარებით)?

სასამართლო სისტემამ და პროკურატურამ გაასაჯაროვა ინფორმაცია ტრენინგებში მონაწილე მოსამართლეებისა და პროკურორების საერთო რაოდენობის შესახებ ერთი და იმავე პირის განმეორებითი მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის დამუშავების გარეშე. ამიტომ, შეუძლებელია დადგინდეს, იმ მოსამართლეთა და პროკურორთა ზუსტი რიცხვი, რომელთაც გაიარეს გადამზადება იმ მოსამართლეებთან და პროკურორებთან შედარებით, რომელთაც არ მიუღიათ მონაწილეობა გადამზადების პროცესში.

21

სასამართლოს თანამშრომლები:

გთხოვთ, მიუთითოთ დეტალური ინფორმაცია სასამართლოსა და პროკურატურის სხვა თანამშრომლების (თანაშემწე, მდივანი) გადამზადების შესახებ. გადიან თუ არა ისინი ტრენინგებს საქმის განაწილების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სხვა მსგავს საკითხებზე?

მოსამართლის თანაშემწისა და მდივნისთვის ჩატარებული ტრენინგების, მათი სახის, პასუხისმგებელი უწყების შესახებ და სხვა ინფორმაცია დეტალურად არის მოცემული კითხვარის მე-20 პუნქტში, მოსამართლეთათვის ჩატარებული ტრენინგების შესახებ ინფორმაციასთან ერთად.

კანონი არ ადგენს პროკურორის დამხმარე პერსონალის არსებობას. პროკურატურის სისტემა შედგება პროკურორის, გამომძიებლის, სტაჟიორის და სხვა ტექნიკური თანამშრომლებისაგან. პირველადი ტრენინგი უზრუნველყოფილია პროკურატურის სტაჟიორებისთვის, რის შესახებაც დეტალური ინფორმაცია ზემოთ არის მოცემული.

ეფექტურობა

22 რამდენს შეადგენს მართლმსაჯულების სისტემის წლიური ბიუჯეტი? გთხოვთ, წარმოადგინეთ ბოლო 5 წლის შესახებ ინფორმაცია. რა პროცედურაა გათვალისწინებული ბიუჯეტის დასამტკიცებლად? ვინ არის ბიუჯეტის მართვაზე პასუხისმგებელი?

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის (მიღებულია 28/12/2005 N2602, კონსოლიდირებული ვერსია 08/02/2017, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) 67-ე მუხლის თანახმად სასამართლოები ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. უზენაესი სასამართლოს ორგანიზაციასა და საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსები განისაზღვრება სახელმწიფო ბიუჯეტის ცალკე მუხლით.

ამავე მუხლის თანახმად იუსტიციის უმაღლესი საბჭო წარუდგენს საქართველოს მთავრობას საერთო სასამართლოების (გარდა უზენაესი სასამართლოსი) ბიუჯეტის პროექტს. იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია, თავისი მოსაზრება წარუდგინოს პარლამენტს ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის გადამუშავებულ ვერსიაზე პარლამენტის მიერ მის განხილვამდე.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კანონით დადგენილი წესით საქართველოს მთავრობას წარუდგენს უზენაესი სასამართლოს ბიუჯეტის პროექტს, რომელიც განსაზღვრავს ამ სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობისთვის საჭირო ფინანსებს.

“საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის იგივე მუხლი განსაზღვრავს, რომ საქართველოს სასამართლოებისთვის გამოყოფილი ხარჯების შემცირება დასაშვებია მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინასწარი თანხმობით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი ყოველწლიურად მიიღება და ქვეყნდება შესაბამის ვებგვერდზე www.matsne.gov.ge. სასამართლო სისტემისთვის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსები მოიცავს უზენაესი სასამართლოს, საერთო სასამართლოების, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სასამართლო სისტემაში ტრენინგებისა და განვითარებისთვის შესაბამისი წლისთვის განკუთვნილ ხარჯებს.

შენიშვნა: ეკვივალენტი ევროში გამოთვლილია შესაბამისი წლის საშუალო გაცვლითი კურსის გამოყენებით. ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304> :

წელი	ბიუჯეტის ასიგნება ლარში	ბიუჯეტის ასიგნება ევროში
2018	154.450.000 — ჯამი 8.400.000 — უზენაესი სასამართლო 71.150.000 — საერთო სასამართლოები 69.530.000 — სასამართლო სისტემის განვითარება 1.620.000 — მოსამართლეთა და სასამართლოს თანამშრომელთა ტრენინგი 3.750.000 — იუსტიციის უმაღლესი საბჭო	52.179.054 — ჯამი
2017	128.400.000 — ჯამი 7.700.000 — უზენაესი სასამართლო 59.000.000 — საერთო სასამართლოები 57.470.000 — სასამართლო სისტემის განვითარება 1.530.000 — მოსამართლეთა და სასამართლოს თანამშრომელთა ტრენინგი 2.700.000 — იუსტიციის უმაღლესი საბჭო	45.371.024 — ჯამი
2016	175.380.100 — ჯამი 7.140.600 — უზენაესი სასამართლო 52.833.500 — საერთო სასამართლოები 51.386.100 — სასამართლო სისტემის განვითარება 1.447.400 — მოსამართლეთა და სასამართლოს თანამშრომელთა ტრენინგი 2.598.400 — იუსტიციის უმაღლესი საბჭო	67.195.440 — ჯამი
2015	109.612.800 — ჯამი 6.596.700 — უზენაესი სასამართლო 50.219.000 — საერთო სასამართლოები 48.698.700 — სასამართლო სისტემის განვითარება 1.520.300 — მოსამართლეთა და სასამართლოს თანამშრომელთა ტრენინგი 2.578.100 — იუსტიციის უმაღლესი საბჭო	43.670.438 — ჯამი
2014	205.246.400 — ჯამი 6.593.100 — უზენაესი სასამართლო 47.435.100 — საერთო სასამართლოები 45.818.800 — სასამართლო სისტემის განვითარება 1.616.300 — მოსამართლეთა და სასამართლოს თანამშრომელთა ტრენინგი 2.319.800 — იუსტიციის უმაღლესი საბჭო	87.712.136 — ჯამი

“პროკურატურის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად პროკურატურის სისტემა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. პროკურატურის სისტემისთვის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ასიგნება ცალკე ორგანიზაციული კოდის ქვეშ. პროკურატურის სისტემისთვის გათვალისწინებული ბიუჯეტის ასიგნების შემცირება ან ცვლილება წინა წელს გამოყოფილ ასიგნებასთან შედარებით შესაძლებელია მხოლოდ გენერალური პროკურორის წინასწარი თანხმობით. გენერალური პროკურორის მიერ დასამტკიცებლად წარდგენილი პროკურატურის სისტემის ბიუჯეტის პროექტში შეიძლება, შევიდეს ცვლილება მხოლოდ გენერალური პროკურორის წინასწარი თანხმობით.

პროკურატურის სისტემისთვის ცალკე ორგანიზაციული კოდით ბიუჯეტის განსაზღვრის შესახებ ცვლილება ახალი შესულია “პროკურატურის შესახებ” კანონში და ძალაში არ შესულა. ამიტომ პროკურატურის სისტემისთვის წინა წლებში გამოყოფილი ასიგნებები გათვალისწინებულია იუსტიციის სამინისტროს სისტემის ორგანიზაციული კოდის ქვეშ, რომელიც განსაზღვრავს ასიგნებებს პროგრამისთვის –

„საგამოძიებო ზედამხედველობის, სისხლის სამართლებრივი დევნის, დანაშაულის პრევენციისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა“ – შემდეგი ოდენობით:

წელი	საბიუჯეტო ასიგნება ლარში	საბიუჯეტო ასიგნება ევროში
2018	36.000.000	12.116.724
2017	35.000.000	12.357.884
2016	35.048.900	13.390.219
2015	34.924.000	13.860.380
2014	34.254.200	14.599.241

შენიშვნა: ეკვივალენტი ევრო გამოთვლილია შესაბამისი წლის საშუალო გაცვლითი კურსის გამოყენებით, რომლის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>.

23

როგორია სასამართლოში საქმის განხილვის საშუალო ხანგრძლივობა ა) სამოქალაქო სამართლის საქმეებზე; ბ) სისხლის სამართლის საქმეებზე; გ) ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე? ასეთის არსებობის შემთხვევაში, ძირითადად რა არის საქმეთა განხილვის გაჭიანურების მიზეზები? (მაგალითად: სამართალწარმოების მონაწილეთა დაბარების რთული პროცედურა; მტკიცებულებათა მოპოვების ხანგრძლივი პერიოდი; პოლიციის მტკიცებულებები არ არის სასამართლოში დასაშვები; მოწმეების გამოუცხადებლობა; სასამართლო ექსპერტების გამოუცხადებლობა; საწარმოთა რეგისტაციასთან დაკავშირებული საქმეების დიდი ოდენობა; სააპელაციო წესით გასაჩივრების მაღალი მაჩვენებელი; დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების არარსებობა; საქმეთა წარმოების რთული სისტემა; ტექნიკური მოწყობილობების ნაკლებობა).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად (19/10/2018 Np-476-18) საქმეთა განხილვის საშუალო ხანგრძლივობის გამოთვლა ხდება CEPEJ სტანდარტების მიხედვით, კერძოდ, გამოითვლება საქმის სასამართლოში შეტანიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო დროის საშუალო არითმეტიკული მონაცემი.

აღნიშნული მონაცემების თანახმად პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებელი 2018 წლის პირველი რვა თვის განმავლობაში შეადგენს 2.6 თვეს. სააპელაციო სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის საშუალო მაჩვენებელი 2.9 თვეა.

უზენაესი სასამართლოს ინფორმაციით, ის არ ამუშავებს პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განხილვის საშუალო ხანგრძლივობის მონაცემს.

უზენაესი სასამართლოს მონაცემებით, უზენაესი სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 5 თვეს სისხლის სამართლის საქმეებისთვის, 4.1 თვე – სამოქალაქო საქმეებისთვის; 4.5 თვე – ადმინისტრაციული დავებისთვის.

უმენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ საქმეთა განხილვის ზემოაღნიშნული ხანგრძლივობა შესაბამისობაშია საპროცესო კოდექსებით დადგენილ საქმეთა განხილვის მაქსიმალურ ვადებთან და ამიტომ არ არის მითითებული ინფორმაცია საქმეთა განხილვის გაჭიანურების შესახებ.

საქმეთა განხილვის გაჭიანურება საქართველოს სასამართლო სისტემის უპირველესი პრობლემაა, რომლის არსებობა აღიარებულია ყველა დაინტერესებული მხარის მიერ (ადვოკატები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მოსამართლეები, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები, კანონმდებელი, სხვა). იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ანგარიშის⁵¹ პრობლემებისა და გამოწვევების თავში მითითებულია, რომ სასამართლო სისტემაში არ არის მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობა და სასამართლოები გადატვირთულია. საბჭოს ანგარიშში აღნიშნულია, რომ მოსამართლეებს დიდი რაოდენობით საქმეები აქვთ განხილვაში, რაც მნიშვნელოვნად ზრდის შეცდომებისა და გაჭიანურების რისკებს. ასევე, აღნიშნულია, რომ არსებობს სასამართლო სხდომის დარბაზებისა და სასამართლოს დამხმარე თანამშრომელთა სიმცირის პრობლემა. მოსამართლეთა დატვირთულობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა თბილისის საქალაქო სასამართლოში. მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობის პრობლემა შესწავლილია ანგარიშში, რომელიც ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის მხარდაჭერით მომზადდა.⁵² ანგარიშში გაცემულია რეკომენდაცია, რომ მოსამართლეთა არსებული რაოდენობა, რაც შეადგენს 300 მოსამართლეს, უნდა გაიზარდოს 410-450-მდე.

სასამართლო სისტემის რეფორმის 2017-2021 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს მოსამართლეთა, სასამართლოს თანამშრომელთა და სასამართლოების რაოდენობის ოპტიმალური რაოდენობის მიღწევას. სამოქმედო გეგმის აქტივობები სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრისთვის საჭირო აქტივობებს, მათ შორის სასამართლო სისტემის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის საშუალებით.⁵³

უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია საქმეთა განხილვის გაჭიანურების ზუსტი და ყველა მიზეზის დასახელება, საქართველოში არასოდეს ჩატარებულა საქმეთა განხილვის გაჭიანურების, საქმეთა განხილვის საშუალო ხანგრძლივობის, მოსამართლეთა და სასამართლოს თანამშრომელთა ხანგრძლივობის და პერიოდული შეფასების პერიოდული კვლევა. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის რეკომენდაციები უნდა იქნეს გათვალისწინებული პარლამენტისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ იმისთვის, რომ დადგინდეს გაჭიანურების კონკრეტული მიზეზები და აღნიშნული პრობლემა მოგვარდეს კომპლექსური და არა ფრაგმენტული მიდგომით.⁵⁴

51. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013-2017 წლების შემადგენლობის მიერ მომზადებული საბჭოს საქმიანობის ანგარიში, გვ. 46 http://hcoj.gov.ge/files/news/angarishi/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%20%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%2003072017%20%E1%83%95%E1%83%9D%E1%83%9A12_Eng.pdf

52. Assessment Report on the Number of Judges in Georgia <https://www.coe.int/en/web/tbilisi/-/facilitating-the-efficient-functioning-of-the-court-system>

53. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2017w-n2.pdf>

54. კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები, 2017, გვ. 54. “საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულმა კანონმა უნდა დაადგინოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვალდებულება, მიიღოს მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრის წესი და რაოდენობის განსაზღვრის ძირითადი პრინციპები; ასევე, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უნდა განესაზღვროს ვალდებულება, ჩაატაროს სასამართლოში საქმეთა განხილვის გაჭიანურების მიზეზების პერიოდული კვლევა; საბჭომ უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, აუცილებელი რესურსების განსაზღვრის წესის და მეთოდოლოგიის მიღება; ორგანულმა კანონმა უნდა დაავალდებულოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, პერიოდულად გამოაქვეყნოს სასამართლოებში საქმეთა განხილვის გაჭიანურების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია და მიიღოს ზომები აღნიშნული მიზეზების აღმოსაფხვრელად; საბჭომ უნდა განსაზღვროს იმ სტატისტიკური მონაცემების ჩამონათვალი, რომელიც აუცილებელია

24 გთხოვთ, მიუთითოთ მონაცემები: რამდენი საქმის განხილვა გაჭიანურდა 1 წელზე მეტი, 2 წელზე მეტი და 3 წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად სასამართლო სისტემაში არ ხდება სტატისტიკური მონაცემების დამუშავება, რომელიც გამოიანგარიშებდა 1, 2 და 3 წელზე მეტი ვადის განმავლობაში გაჭიანურებული საქმეების რაოდენობას (წერილი 19/10/18 Np-516-18).

25 არსებობს თუ არა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა გამარტივებული წესით განხილვის პროცედურები? თუ – კი, გთხოვთ, აღწერეთ აღნიშნული პროცედურები და მოიყვანეთ მათი გამოყენების შესახებ სტატისტიკური მონაცემები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (მიღებულია 14/11/1997 N1106, კონსოლიდირებული ვერსია 31/10/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) ადგენს სამოქალაქო სამართალწარმოების წესებს. ჩვეულებრივი საპროცესო წესების გარდა კანონი განსაზღვრავს ცალკეულ სამოქალაქო დავებს, რომელთა განხილვა წარმოებს დაჩქარებულ ვადებში და გამარტივებული პროცედურის გამოყენებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად პირველი ინსტანციის სასამართლოები განიხილავენ მათ იურისდიქციას დაქვემდებარებულ საქმეებს. პირველი ინსტანციის სასამართლოში შეიძლება, დანიშნულ იქნეს მაგისტრეტი მოსამართლე, რომელიც განიხილავს ამავე კოდექსის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ საქმეებს. მაგისტრეტი მოსამართლე განიხილავს პირველი ინსტანციის სასამართლოსაგან ტერიტორიულად მოშორებულ დასახლებაში ამავე სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ საქმეებს. მაგისტრეტი მოსამართლე განიხილავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ საქმეებს:

- დავები, რომელთა ღირებულება არ აღემატება 5000 ლარს (1612 ევრო);
- უდავო წარმოებით განსახილველი საქმეები;
- გამარტივებული წარმოების წესით განსახილველი საქმეები;
- საოჯახო დავები, გარდა ბავშვის აყვანასთან დაკავშირებული დავებისა და მშობლობის დადგენის საქმეებისა.

იურიდიული ფაქტის დადგენის, პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადების საკითხები განიხილება მაგისტრეტი მოსამართლის მიერ ან სასამართლოს საჯარო მოხელის მიერ, რომელსაც პირველი ინსტანციის სასამართლოში ამ ტიპის დავების განხილვის უფლებამოსილება აქვს მინიჭებული. მაგისტრეტი მოსამართლის ან სასამართლო მოხელის გადაწყვეტილება შეიძლება, გასაჩივრდეს იმავე პირველი ინსტანციის სასამართლოში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 217¹-ე მუხლის თანახმად მაგისტრეტი მოსამართლისა და სასამართლო მოხელის მიერ აღნიშნული დავების განხილვისთვის დაჩქარებული და გამარტივებული წესია დადგენილი.

პირველი ინსტანციის სასამართლოები გამარტივებული წესით განიხილავენ შემდეგ საქმეებს: ჩეკისა და

მოსამართლეთა დატვირთვის, საქმეთა გაჭიანურების და მისი მიზეზების დასადგენად, ასევე, საბჭომ უნდა დაადგინოს სტატისტიკის წარმოების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი წესები; საბჭომ უნდა უზრუნველყოს, რომ საქმეთა გაჭიანურებისა და მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოებისთვის.“
<https://gyfa.ge/files/news/2006/The%20Judicial%20System-3.pdf>

თამასუქის, ლიზინგის, აქციათა სავალდებულო მიყიდვის, დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ დავებს. ამ საქმეთა განხილვის შედეგად სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გამოსცემს ბრძანებას იმ შემთხვევაში, თუ საქმეზე წარდგენილია ავთენტური დოკუმენტები (საჯარო დოკუმენტები, ქვითრები, ინვოისი, სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი და სხვა). სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ბრძანების გაცემის შესახებ მოპასუხეს შეუძლია, შეიტანოს საჩივარი იმავე მოსამართლესთან, რომელმაც გამოსცა ბრძანება. ასეთ შემთხვევაში მოსამართლე ზეპირი განხილვით გადაწყვეტს საჩივარს. სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება, გასაჩივრდეს სააპელაციო წესით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლი ადგენს მოსამართლის ვალდებულებას, ხელი შეუწყოს მხარეთა შორის მორიგების მიღწევას. ამ მიზნით მოსამართლეს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, მხარის ან საკუთარი ინიციატივით გამოაცხადოს შესვენება და მოუსმინოს მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს დახურულ სხდომაზე. საქმის მორიგებით დასრულებამდე მოსამართლე უფლებამოსილია, მიუთითოს მხარეებს დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე და მხარეებს შესთავაზოს მორიგების პირობები.

ამავე მუხლის თანახმად მოსამართლეს შეუძლია, მხარეებს შესთავაზოს მედიაციის პროცედურით სარგებლობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187¹-ე მუხლის თანახმად მედიატორი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია, მორიგებით მოაგვაროს მხარეთა შორის დავა მას შემდეგ, რაც სარჩელი შეტანილ იქნა სასამართლოში. სასამართლო უფლებამოსილია, მედიაციისთვის გადასცეს შემდეგი დავები: საოჯახო დავა (გარდა ბავშვის აყვანის, მშობლის უფლების შეზღუდვის, მშობლის უფლების ჩამორთმევის, ოჯახში ძალადობის ან ქალის მიმართ ძალადობის საქმეებისა); მემკვიდრეობითი დავები; სამეზობლო დავები; ნებისმიერი სხვა დავა, მხარეთა თანხმობით. მედიაციისთვის გათვალისწინებული მაქსიმალური ვადა არის 45 დღე, მაგრამ არანაკლებ მედიაციის 2 შეხვედრისა. თუ მედიაცია წარმატებით დასრულდა, სასამართლო საქმის განხილვას მორიგებით დაასრულებს, თუ მედიაცია წარუმატებელია, მხარეებს შეუძლიათ, მიმართონ სასამართლოს ზოგადი წესების შესაბამისად.

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი (მიღებულია 19/06/2009 N1280, კონსოლიდირებული ვერსია 04/05/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) არის დავის გადაწყვეტის სწრაფი და ეფექტური კიდევ ერთი საშუალება. კანონი მოითხოვს, რომ მხარეები წერილობით შეთანხმდნენ დავის არბიტრაჟის მეშვეობით გადაწყვეტის შესახებ. თუ ასეთი შეთანხმება მხარეებს შორის არსებობს, დავა აღარ ექვემდებარება სასამართლოს მიერ განხილვას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად კერძო პირებს შორის ნებისმიერი დავა შეიძლება, განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟის მოდავე მხარეების თანხმობით.

ამასთან, მხარის აღიარება სასამართლომ შეიძლება, საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლი). კანონი ადგენს საქმეთა განხილვის დისპოზიციურობის პრინციპს, რომლის თანახმადაც მხარეები წყვეტენ საქმის წარმოების გაგრძელებისა და შეწყვეტის საკითხს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლი) და საქმის დაუსწრებლად გადაწყვეტა მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში ხდება შესაბამისი წინაპირობების არსებობისას სარჩელის დაკმაყოფილების გზით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავი).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილის (02/10/2018 Np-491-18) თანახმად მორიგებით დასრულებულ საქმეთა სტატისტიკა შემდეგია:

2016–2018 წლებში მორიგებით დასრულებულ საქმეთა რაოდენობა

მორიგებით დასრულებული დავის კატეგორია	პირველი ინსტანციის სასამართლო			სააპელაციო სასამართლო			უზენაესი სასამართლო		
	2016	2017	2018 წლის 6 თვეში	2016	2017	2018 წლის 6 თვეში	2016	2017	2018 წლის 6 თვეში
სამოქალაქო დავები	4351	6634	4594	150	225	152	9	9	14
ადმინისტრაციული დავები	73	23	12	13	10	5	1	2	2

უზენაესი სასამართლოს ამავე წერილის მიხედვით თბილისის საქალაქო სასამართლოს მედიაციის ცენტრს გადაეცა 106 დავა 2016–2018 წლების განმავლობაში. მედიაციის ცენტრისთვის გადაცემული აღნიშნული 106 საქმიდან დავების მორიგებით დასრულების მაჩვენებელი არის 60%.

ზოგიერთი კატეგორიის სამოქალაქო დავა შეიძლება, გადაწყდეს ნოტარიუსის მიერ სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე. ნოტარიუსი უფლებამოსილია, გასცეს სააღსრულებო ფურცელი იმ მოთხოვნებზე, რომლებიც გამომდინარეობს ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულებიდან.

ასევე, ნოტარიუსი უფლებამოსილია, მოახდინოს მხარეთა შორის მედიაცია შემდეგ საქმეებზე: საოჯახო დავები, მემკვიდრეობის დავები, სამეზობლო დავები, ნებისმიერი სხვა დავა, თუ კანონით მედიაციის სპეციალური წესი არ არის დადგენილი. ნოტარიუსის მიერ მედიაცია შეიძლება, განხორციელდეს, თუკი დავის მონაწილე ორივე მხარე თანახმაა აღნიშნულზე. ადმინისტრაციული ორგანოებისთვის სავალდებულოა ნოტარიუსისთვის მიმართვა, თუ არსებობს მედიაციის საჭიროება. საქართველოს იუსტიციის მინისტრი განსაზღვრავს მედიაციის წესებს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს საპროცესო შეთანხმების მექანიზმს, როგორც სისხლის სამართლის საქმეზე სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების შესაძლებლობას.

26 გთხოვთ, წარმოადგინოთ სტატისტიკური მონაცემები ბოლო 5 წლის განმავლობაში მიმდინარე საქმეების შესახებ (სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეებზე ცალ-ცალკე).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად (19/10/18 Np-475-18 წერილი) მიმდინარე საქმეების შესახებ სტატისტიკური მონაცემები შემდეგია:

2018 წლის 8 თვის განმავლობაში სასამართლოში შესული და დასრულებული საქმეების რაოდენობა

	პირველი ინსტანციის სასამართლო			სააპელაციო სასამართლო			უზენაესი სასამართლო		
	საქმეთა ჯამური რაოდენობა საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის	შესული საქმეები	დასრულებული საქმეები	საქმეთა ჯამური რაოდენობა საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის	შესული საქმეები	დასრულებული საქმეები	საქმეთა ჯამური რაოდენობა საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის	შესული საქმეები	დასრულებული საქმეები
სამოქალაქო	44516	56112	45368	2303	4014	3941	440	1129	936
ადმინისტრაციული	5144	9219	8372	1785	2538	2562	438	886	657
სისხლი	2783	10188	9774	520	1481	1350	352	590	501

პირველი ინსტანციის სასამართლოებში 2018 წლის იანვრისთვის მიმდინარე 2783 სისხლის სამართლის საქმიდან: 1817 საქმე იყო 2017 წლიდან მიმდინარე, 2016 წლიდან მიმდინარე – 371 საქმე, 2015 წლიდან მიმდინარე – 410 საქმე, 2014 წლიდან მიმდინარე – 98 საქმე, 2010–2013 წლებიდან მიმდინარე – 66 საქმე, 2010 წლიდან მიმდინარე 18 საქმე.

2018 წლის იანვრისთვის სააპელაციო სასამართლოში მიმდინარე 520 სისხლის სამართლის საქმიდან: 2017 წლიდან მიმდინარე 475 საქმე, 2016 წლიდან მიმდინარე – 33 საქმე, 2015 წლიდან მიმდინარე – 7 საქმე, 2014 წლიდან მიმდინარე – 4 საქმე, 2011 წლიდან მიმდინარე – 1 საქმე.

2018 წლის იანვრისთვის უზენაეს სასამართლოში მიმდინარე 310 სისხლის სამართლის საქმიდან ყველა საქმე მიმდინარეობს 2017 წლიდან.

რაც შეეხება ანალოგიურ სტატისტიკას სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვის შესახებ, უზენაესი სასამართლოს ინფორმაციით, ის მოკლებულია შესაძლებლობას, დაამუშაოს აღნიშნული სტატისტიკა.

27 როგორია სასამართლო გადაწყვეტილებათა სააპელაციო წესით გასაჩივრების სტატისტიკა პირველ ინსტანციაში წარმოებული საქმეების ჯამურ რაოდენობასთან მიმართებაში? როგორია სააპელაციო საჩივრების დაკმაყოფილების სტატისტიკა სააპელაციო საჩივრების საერთო რაოდენობასთან მიმართებაში?

ქვემოთ მოყვანილი მონაცემები გაცემულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ (10/10/2018 Np-493-18 წერილი).

პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ 2016 წლის განმავლობაში მიღებული გადაწყვეტილებების სააპელაციო წესით გასაჩივრების სტატისტიკა (01/10/2018 მდგომარეობით)

	პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილული საქმეების რაოდენობა	სააპელაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილებების რაოდენობა (2018 წლის სექტემბრამდე)	%
სამოქალაქო	54707	2038	3.7
ადმინისტრაციული	17629	2389	13,9
სისხლი	14398	1759	12.2

პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ 2017 წლის განმავლობაში მიღებული გადაწყვეტილებების სააპელაციო წესით გასაჩივრების სტატისტიკა (01/10/2018 მდგომარეობით)

	პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილული საქმეების რაოდენობა	სააპელაციო წესით გასაჩივრებული საქმეების რაოდენობა (2018 წლის სექტემბრამდე)	%
სამოქალაქო	62079	2748	4.4
ადმინისტრაციული	13794	2869	20.8
სისხლი	13437	1468	10.9

პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ 2018 წლის 6 თვეში მიღებული გადაწყვეტილებების სააპელაციო წესით გასაჩივრების სტატისტიკა (01/10/2018 მდგომარეობით)

	პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილული საქმეების რაოდენობა	სააპელაციო წესით გასაჩივრებული საქმეების რაოდენობა (2018 წლის სექტემბრამდე)	%
სამოქალაქო	35722	1530	4.3
ადმინისტრაციული	6074	1220	20.1
სისხლი	7181	1143	15.9

სააპელაციო საჩივრების განხილვის შედეგები 2016 წლის მონაცემებით

	სააპელაციო სასამართლოების მიერ განხილული საქმეების რაოდენობა	მიღებულ გადაწყვეტილებებს შორის:	
		ძალაში იქნა დატოვებული %	გაუქმდა/შეიცვალა %
სამოქალაქო	2244	67.7	32.3
ადმინისტრაციული	1669	74.1	25.9
სისხლი	1816	77.3	22.7

**სააპელაციო საჩივრების განხილვის შედეგები
2017 წლის მონაცემებით**

	სააპელაციო სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა რაოდენობა	მიღებულ გადაწყვეტილებათა შორის:	
		ძალაში იქნა დატოვებული %	გაუქმდა/შეიცვალა %
სამოქალაქო	2818	72.0	28.0
ადმინისტრაციული	1899	74.4	25.6
სისხლი	1635	79.1	20.9

**სააპელაციო საჩივრების განხილვის შედეგები
2018 წლის 6 თვის მონაცემებით**

	სააპელაციო სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა რაოდენობა	მიღებულ გადაწყვეტილებათა შორის:	
		ძალაში იქნა დატოვებული %	გაუქმდა/შეიცვალა %
სამოქალაქო	2062	71.8	28.2
ადმინისტრაციული	1376	80.4	19.6
სისხლი	1079	81.5	18.5

**სააპელაციო სასამართლოების მიერ 2016 წელს მიღებული
გადაწყვეტილებების საკასაციო წესით გასაჩივრების სტატისტიკა
(01/10/2018 მდგომარეობით)**

	სააპელაციო სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა რაოდენობა	საკასაციო წესით გასაჩივრებულ საქმეთა რაოდენობა	%
სამოქალაქო	2244	940	41.9
ადმინისტრაციული	1669	951	57.0
სისხლი	1816	764	42.1

**სააპელაციო სასამართლოების მიერ 2017 წელს მიღებული
გადაწყვეტილებების საკასაციო წესით გასაჩივრების სტატისტიკა
(01/10/2018 მდგომარეობით)**

	სააპელაციო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა	საკასაციო წესით გასაჩივრებული საქმეების რაოდენობა	%
სამოქალაქო	2818	1072	38.0
ადმინისტრაციული	1899	1061	55.9
სისხლი	1635	702	42.9

**სააპელაციო სასამართლოების მიერ 2018 წლის 6 თვეში მიღებული გადაწყვეტილებების
საკასაციო წესით გასაჩივრების სტატისტიკა
(01/10/2018 მდგომარეობით)**

	სააპელაციო სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა რაოდენობა	საკასაციო წესით გასაჩივრებული საქმეების რაოდენობა	%
სამოქალაქო	2062	761	36.9
ადმინისტრაციული	1376	622	45.2
სისხლი	1079	520	48.2

**საკასაციო წესით საქმეთა განხილვის შედეგები
2016 წლის მონაცემებით**

	უზენაესი სასამართლოს მიერ განხილული საჩივრების რაოდენობა	მიღებულ გადაწყვეტილებათა შორის:	
		უცვლელად იქნა დატოვებული %	გაუქმდა/შეიცვალა %
სამოქალაქო	860	82.9	17.1
ადმინისტრაციული	699	92.1	7.9
სისხლი	757	91.0	9.0

**საკასაციო წესით საქმეთა განხილვის შედეგები
2017 წლის მონაცემებით**

	უზენაესი სასამართლოს მიერ განხილული საქმეების რაოდენობა	მიღებულ გადაწყვეტილებათა შორის:	
		ძალაში იქნა დატოვებული %	გაუქმდა/შეიცვალა %
სამოქალაქო	1020	85.5	14.5
ადმინისტრაციული	895	93.2	6.8
სისხლი	712	91.7	8.3

**საკასაციო წესით საქმეთა განხილვის შედეგები
2018 წლის 6 თვის მონაცემებით**

	უზენაესი სასამართლოს მიერ განხილულ საქმეთა რაოდენობა	მიღებულ გადაწყვეტილებათა შორის:	
		ძალაში იქნა დატოვებული	გაუქმდა/შეიცვალა
სამოქალაქო	472	83.7	16.3
ადმინისტრაციული	541	92.1	7.9
სისხლი	362	92.0	8.0

28 არსებობს თუ არა საქმეთა რაოდენობის შემცირების გეგმა? დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ, აღწეროთ დეტალები.

სასამართლო სისტემის 2017-2020 წლების სტრატეგიის დოკუმენტი ჩამოთვლის სასამართლო სისტემის წინაშე არსებულ ძირითად გამოწვევებს, რომელთა შორის მოხსენიებულია სასამართლო სისტემის მართვის ხარვეზები. კერძოდ, მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობა, საქმეთა ნაკადის პრობლემა და საქმეთა არათანაბარი განაწილება მოსამართლეებს შორის და სხვა. სტრატეგიის დოკუმენტი განმარტავს, რომ აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად მოსამართლეთა საჭირო რაოდენობა უნდა იქნეს განსაზღვრული, საჭიროების შემთხვევაში, მოსამართლეთა რაოდენობა უნდა გაიზარდოს, საქმეთა ეფექტური მენეჯმენტი უნდა იქნეს დანერგული, საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა უნდა დაინერგოს.

სტრატეგიის დოკუმენტში გათვალისწინებული სტრატეგიული ამოცანაა: მოსამართლეთა, სასამართლოთა, სასამართლო მოხელეთა ოპტიმალური რაოდენობისა და დატვირთვის უზრუნველყოფა. აღნიშნული სტრატეგიული ამოცანა შემდგომში განმარტებულია, როგორც მოსამართლეთა და მოსამართლის თანაშემწეთა რაოდენობის ოპტიმიზაცია იმგვარად, რომ მათ შეუძლიათ, გონივრულ ვადაში გაართვან თავი სამუშაოს მუშაობის მაღალი ხარისხის შენარჩუნებით; მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა დატვირთვის პერიოდული ანალიზის განხორციელება და მისი რაოდენობის რაციონალიზაცია; საქმეთა წონის განსაზღვრის სისტემის შემოღება, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სასამართლო სისტემას, განსაზღვროს/გაზარდოს მოსამართლეთა რაოდენობა კონკრეტული სასამართლოების მიხედვით; მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრის მარეგულირებელი წესები უნდა იქნეს შემოღებული; საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის შემოღება და საქმეთა ნაკადის მართვა სასამართლოს მუშაობის პროდუქტიულობის გაზრდისა და სასამართლო რესურსების ეფექტურად გამოყენების მიზნით; თითოეული მოსამართლის მიერ განსახილველი საქმეების მინიმალური რაოდენობის დადგენა საქმის კატეგორიის, სირთულის და სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით.

სტრატეგიის დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს ამოცანას, რომელიც ითვალისწინებს საქმეთა განხილვის გაჭიანურების პრობლემის შესწავლასა და შესაბამისი ზომების მიღებას დროის მენეჯმენტის პოლიტიკის შემუშავებისა და შემოღებისთვის, გაჭიანურების პრევენციისთვის, გაჭიანურებული საქმეების რაოდენობის ეფექტურად შემცირებისთვის.

სტრატეგიის დოკუმენტი განსაზღვრავს ამოცანებს, რომლებიც დაკავშირებულია დავების ალტერნატიული მოგვარების მექანიზმებთან იმ მიზნით, რომ შემცირდეს მოსამართლეთა განსახილველი საქმეების რაოდენობა.

განსახილველ საქმეთა რაოდენობის შემცირების კუთხით, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის აქტივობების შესრულების ინდიკატორებად განსაზღვრულია შემდეგი: მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთა რაოდენობის განსაზღვრის წესის დოკუმენტი მიღებულია (2017); მოსამართლეთა გონივრული დატვირთულობის მაჩვენებელი შესაბამისი კვლევით; საქმეთა ელექტრონული და შემთხვევითი განაწილების საპილოტე სისტემა დანერგულია; საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა დანერგულია სასამართლოებში; სასამართლო სისტემის რუკა განახლებულია და შესაბამისი ცვლილებები განხორციელებულია “საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანულ კანონში (2018).

ზემოთჩამოთვლილი ინდიკატორებიდან ორი შესრულებულია: საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის საპილოტე პროგრამა დაინერგა; საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამა ამოქმედდა ყველა სასამართლოში. მოსამართლეთა განტვირთვისა და საქმეთა გაჭიანურების თავიდან აცილებისთვის გათვალისწინებული სხვა აქტივობები 2017 და 2018 წლებში არ შესრულებულა.

ცოტა ხნის წინ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შეიქმნა მენეჯმენტის დეპარტამენტი საერთო სასამართლოების ორგანულ კანონში 2017 წლის თებერვალში შეტანილი ცვლილების საფუძველზე. დეპარტამენტის ფუნქციებს შორისაა: შეისწავლოს სასამართლო სისტემაში საქმეთა მართვის შესახებ ინფორმაცია, მოსამართლეთა დატვირთულობის და საქმეთა განხილვის ინდიკატორები, მოსამართლეთა დროებით გადაყვანის საჭიროება, ინფორმაცია საქმეთა მართვისა და სასამართლო სერვისების ხარისხის შესახებ და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს შესაბამისი რეკომენდაციები. მენეჯმენტის დეპარტამენტი ახორციელებს ზედამხედველობას საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის ფუნქციონირებაზე და შესაბამის რეკომენდაციებს წარუდგენს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

რაც შეეხება კონკრეტული აქტივობების შესრულებისთვის საჭირო ფინანსურ რესურსებს, შესაბამისი აქტივობის გასწვრივ მითითებულია მისი შესრულების დაფინანსების წყარო. დაფინანსების წყაროებს შორის არის სასამართლო სისტემისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარება. თუმცა, ინფორმაცია შესაბამისი აქტივობების შესრულებისთვის საჭირო ფინანსების კონკრეტული ოდენობის შესახებ სამოქმედო გეგმაში მითითებული არ არის.

29

რა როლი, კომპეტენცია გააჩნიათ მოსამართლეებს (მათ შორის, ჩვეულებრივი სამართალწარმოების მიღმა, მაგალითად, გადაწყვეტილებების აღსრულების, რეგისტრაციის საკითხებზე და სხვა)? რა როლი, კომპეტენციები აქვთ პროკურორებს (მათ შორის, სისხლის სამართალწარმოების მიღმა, მაგალითად, გადაწყვეტილებების აღსრულების, სამოქალაქო ან საოჯახო სამართლის საქმეებზე და სხვა)?

მოსამართლეებს არ აქვთ სამართალწარმოების მიღმა ფუნქციები, როგორებიცაა გადაწყვეტილებების აღსრულება, რეგისტრაციების განხორციელება ან სხვა მსგავსი ფუნქციები. პროკურორისთვის არ არის გათვალისწინებული სხვა ფუნქციები სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ფუნქციების მიღმა. სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცესში პროკურორის როლი შემოიფარგლება სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის დანაშაულთან დაკავშირებული გამოძიებისა და დევნის განხორციელებით.

პროკურორს აქვს განსაზღვრული ფუნქციები ადმინისტრაციული სამართალდარღვევის პროცესში. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (მიღებულია 15/12/1984 N161, კონსოლიდირებული ვერსია 31/10/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge) 274-ე მუხლის თანახმად პროკურორი უფლებამოსილია, წარუდგინოს სასამართლოს პროტესტი სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე გამოტანილ დადგენილებაზე; ამავე კოდექსის 279-ე მუხლის თანახმად პირველი ან სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე შეიძლება, გაუქმდეს ან შეიცვალოს ამავე სასამართლოს მიერ პროკურორის პროტესტის საფუძველზე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად საპროკურორო ზედამხედველობა არის ადმინისტრაციული სანქციების გამოყენების კანონიერების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმი.

საქართველოს პროკურატურის სისტემა ახორციელებს საპროკურორო ზედამხედველობას საქართველოს საგამოძიებო ორგანოების მიერ განხორციელებულ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებაზე (სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაქვემდებარებაში არსებული სხვა სპეციალური საგამოძიებო ორგანოების ფუნქცია). “პროკურატურის შესახებ” საქართველოს კანონის 27-ე

მუხლის თანახმად კანონით დადგენილ შემთხვევებში პროკურატურა უფლებამოსილია, წერილობითი ინსტრუქციები მისცეს საგამოძიებო ორგანოებს. გამოძიების საკითხებზე პროკურორის ინსტრუქციების შესრულება სავალდებულოა.

30

სამოქალაქო საქმეების რა პროცენტის აღსრულების მოთხოვნით მიმართავენ გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე უფლებამოსილ უწყებას? გთხოვთ, წარმოადგინოთ ანალოგიური ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმეებზე შეფარდებული ჯარიმების აღსრულების შესახებ (საქმეთა პროცენტული რაოდენობა, სადაც ჯარიმა აღსასრულებლად მიექცევა აღსრულების ორგანოს მიერ). საშუალოდ რა დრო სჭირდება გადაწყვეტილების აღსრულებას? არსებობს თუ არა გეგმა აღსრულების პროცესის გასაუმჯობესებლად?

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, რომელიც უზენაესი სასამართლოს მიერ არის მოწოდებული (02/10/2018, Np-477-18), პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ შეფარდებული ჯარიმების ოდენობა შემდეგია:

- 2016 წლის განმავლობაში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის სანქციის სახით ჯარიმა შეეფარდა 3568 მსჯავრდებულს;
- 2017 წლის განმავლობაში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის სანქციის სახით ჯარიმა შეეფარდა 3079 მსჯავრდებულს;
- 2018 წლის 8 თვის განმავლობაში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის სანქციის სახით ჯარიმა შეეფარდა 2024 მსჯავრდებულს.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, რომელიც უზენაესი სასამართლოს მიერ არის მოწოდებული (10/10/2018 Np-493-18), პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებულია 14398 განაჩენი 2016 წელს, 13437 განაჩენი - 2017 წელს, 7181 განაჩენი - 2018 წლის 8 თვის განმავლობაში.

შესაბამისად, სასამართლოს მიერ გამოყენებული ჯარიმების პროცენტული ოდენობა საერთო ჯამში სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში შემდეგია: 24.7% - 2016 წელს, 22.9% - 2017 წელს, 28% - 2018 წლის 8 თვის განმავლობაში.

აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ გაუსაჯაროვებია აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

31

გთხოვთ, აღწერეთ სამოქალაქო/სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების პროცედურა.

სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების საკითხები რეგულირდება სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონით (მიღებულია 16/04/1999 N1908, კონსოლიდირებული ვერსია 20/07/2018, გამოქვეყნებულია www.matsne.gov.ge). აღსრულებათა ეროვნული ბიურო არის სახელმწიფო ორგანო, რომელიც არის იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში და რომელიც პასუხისმგებელია შემდეგი გადაწყვეტილებების აღსრულებაზე:

- საერთო სასამართლოების მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებები სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე;

- საერთო სასამართლოების მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე, სადაც სასჯელის სახით ჯარიმა იქნა გამოყენებული;
- საერთო სასამართლოების მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებები ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე, სადაც სახდელის სახით ჯარიმა იქნა გამოყენებული;
- ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომელიც საქართველოს სახელმწიფოსთვის სავალდებულოა შესასრულებლად;
- უცხო ქვეყნის სასამართლოს, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს გადაწყვეტილებები;
- ეროვნული, უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება;
- სანოტარო აქტი;
- სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოს, ეროვნული დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილებები;
- სხვა.

სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების პროცედურის დაწყების საფუძველია კრედიტორის განცხადება და სააღსრულებო ფურცელი, რომელიც გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლის/სასამართლოს მიერ არის გაცემული. კრედიტორი აღსრულების შესახებ განცხადებით მიმართავს აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიულ ორგანოს მოვალის ადგილსამყოფელის ან მისი ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით.

სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან 5 დღის ვადაში ბიურომ უნდა შეატყობინოს მოვალეს აღსრულების პროცესის დაწყების შესახებ. მოვალეს მიეწოდება შემდეგი ინფორმაცია:

- გაფრთხილება, რომ თუ მოვალე 7 დღის ვადაში ნებაყოფლობით შეასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებას, ის გათავისუფლდება აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდის ვალდებულებისაგან. იმ შემთხვევაში თუ, მოვალე ნებაყოფლობით არ აღასრულებს გადაწყვეტილებას, აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები მთლიანად მას გადახდება;
- მოვალე გაფრთხილებულ უნდა იქნეს მისი უფლებების შესახებ აღსრულების პროცესში;
- ინფორმაცია აღსრულების პროცედურის სამართლებრივი შედეგის შესახებ;
- ინფორმაცია იმ მოსალოდნელი ღონისძიებების შესახებ, რომლებიც შეიძლება, გამოყენებულ იქნეს იძულებითი აღსრულების პროცესში;
- სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

აღსრულების ბიუროს მიერ გაგზავნილ შეტყობინებასთან ერთად აღსრულების ოფიცერი იწყებს ინფორმაციის შეგროვებას მოვალის შემოსავლებისა და ქონების შესახებ და კანონით დადგენილი წესით დააყადაღებს მოვალის ქონებას.

კანონი ადგენს აღსრულების პროცესის ეტაპებს მოვალის ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად:

1. აღსრულების პროცესის დაწყება;
2. ქონების დაყადაღება;
3. აუქციონის ჩატარება;
4. კრედიტორის მოთხოვნის ანაზღაურება.

აღსრულების ოფიცერმა უნდა შეადგინოს ოქმი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ყოველი მოქმედებისთვის.

როცა მოვალის პოვნა შეუძლებელია, აღმასრულებელი უფლებამოსილია, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით, რომლის საფუძველზეც მოსამართლე გასცემს ბრძანებას პოლიციის მიერ მოვალის

მოძებნისა და მოყვანის შესახებ.

კანონი ადგენს გადაწყვეტილების აღსრულების ალტერნატიულ მექანიზმს, გადაწყვეტილების აღსრულებას კერძო აღმასრულებლის მეშვეობით, რომელიც აღსრულების ღონისძიებებს ახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული სპეციალური ნებართვის საფუძველზე. კერძო აღმასრულებელს მოეთხოვება, ჰქონდეს საკუთარი ბიურო. ის უფლებამოსილია, დაიქირაოს მუშახელი შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღსრულების ეროვნული ბიურო აწარმოებს კერძო სააღსრულებო ბიუროების რეესტრს.

კერძო აღმასრულებელი უფლებამოსილია, აღასრულოს სამოქალაქო საქმეებზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები. კერძო აღმასრულებლის უფლებამოსილება არ ვრცელდება სისხლის სამართლის განაჩენების აღსრულებაზე. ამასთან, კერძო აღმასრულებელი უფლებამოსილია, თუ აღსასრულებელი საქმის მხარეები კერძო პირები არიან და თუ აღსრულების დოკუმენტის მიხედვით მოვალეზე დაკისრებული თანხა არ აღემატება 500 000 ლარს. კერძო აღმასრულებელი ახორციელებს აღსრულებას იმავე პროცედურების მიხედვით, რაც გათვალისწინებულია აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის აღსრულების შესახებ კანონმდებლობით.

სააღსრულებო წარმოების მონაწილეები არიან: კრედიტორი და მოვალე, აღმასრულებელი ან კერძო აღმასრულებელი, სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე სხვა პირები. სააღსრულებო წარმოების მხარეები არიან კრედიტორი და მოვალე. მხარეს უფლება აქვს, დააყენოს აღმასრულებლის აცილების საკითხი მოსამართლის აცილებისთვის დადგენილი ზოგადი საფუძვლებით. აღმასრულებლის აცილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ზემდგომი აღმასრულებელი. გადაწყვეტილება შეიძლება, გასაჩივრდეს სასამართლოში.

აღმასრულებლის აღსრულების პროცედურებთან დაკავშირებული მოთხოვნა სავალდებულოა სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული ყველა პირისთვის. აღმასრულებელი უფლებამოსილია, მოითხოვოს და მიიღოს მოვალის ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია და დოკუმენტაცია და ვალდებულია, დაიცვას პერსონალური ონფორმაციის კონფიდენციალურობა. აღმასრულებელი უფლებამოსილია, შევიდეს მოვალის საკუთრებაში და დაათვალიეროს მისი ქონება. იძულებითი აღსრულების მიზნებისთვის აღმასრულებელი უფლებამოსილია: ქონების დაყადაღების გზით უზრუნველყოს იძულებით გადახდა, მოახდინოს კონფისკაცია და სხვა. მხარეებს უფლება აქვთ, გაასაჩივრონ სააღსრულებო მოქმედებები ზემოდგომ აღმასრულებელთან და სასამართლოში.

32 ალჭურვილობა:

ა) დანერგილი არის თუ არა სასამართლოებში საქმეთა ელექტრონული მართვის სიტემა? (ეროვნულ დონეზე არსებული კომპიუტერიზაციის უზრუნველყოფის საჭიროება მოითხოვს, რომ განისაზღვროს საჭიროებები, დაინერგოს კომპიუტერიზაცია, მათ შორის, შესაბამისი პროგრამების შექმნა, ისევე როგორც, კომპიუტერიზებული სასამართლოების რეკომენდაციების მიცემა და დახამრება). გთხოვთ, მოკლედ აღწერეთ სისტემის ძირითადი შესაძლებლობები.

უმენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად (05/10/2018 Nos/165-18) ყველა სასამართლოში, ყველა დონეზე და მთელი ქვეყნის მასშტაბით მოქმედ სასამართლოებში მოქმედებს

საქმეთა მართვის ელექტრონული სისტემა. საქმეთა მართვის ელექტრონული პროგრამა შეიცავს შემდეგ პროცესებს:

- იღებს და ამუშავებს განცხადებებს;
- არეგისტრირებს საქმეს, ქმნის საქმის ციფრულ ფაილს, რომელიც საშუალებას აძლევს მოსამართლესა და მის აპარატს, მიიღოს ინფორმაცია საქმის შესახებ და ხელს უწყობს მათ მუშაობას;
- საქმის ელექტრონული მართვის სისტემა საშუალებას იძლევა საქმის ელექტრონულ ფაილზე აუდიო და ვიდეო ფაილების ატვირთვისთვის;
- საქმე მოძრაობს სისტემის შიგნით და ხელმისაწვდომია სასამართლოს შესაბამისი თანამშრომლებისთვის (კანცელარია, მიმღები, მოსამართლე);
- სისტემა ავტომატურად და შემთხვევითი პრინციპით ანაწილებს საქმეებს მოსამართლეებს შორის;
- ელექტრონული სისტემის მეშვეობით იგვეგება სასამართლო სხდომები და ავტომატურად საჯაროდ ქვეყნდება სასამართლო პროცესის შესახებ ინფორმაცია;
- სასამართლო გადაწყვეტილების მომზადება ხდება ელექტრონულად, სისტემის გამოყენებით;
- სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაში მოცემული პერსონალური მონაცემების დაფარვა და გადაწყვეტილების გამოქვეყნება ხდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით;
- ქვედა ინსტანციის სასამართლოდან ზედა ინსტანციის სასამართლოში საქმის მასალების გადაცემა ხდება ელექტრონული პროგრამის მეშვეობით;
- საქმის მასალების დაარქივება ხდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

ბ) უზენაეს სასამართლოში ფუნქციონირებს თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილებათა ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება სასამართლოების და იურიდიული პროფესიის წარმომდგენელთათვის?

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები ქვეყნდება უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე <http://prg.supremecourt.ge/>. პროგრამას აქვს საძიებო სისტემა, რომელიც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალებას აძლევს, მოიძიოს სასამართლოს გადაწყვეტილება საქმის ნომრის, გადაწყვეტილების თარიღის ან საძიებო სიტყვის გამოყენებით. გადაწყვეტილებები ქვეყნდება პერსონალურ მონაცემთა დაცვით.

გ) სამართალდამცავი სისტემის საინფორმაციო ბაზები ხელმისაწვდომია თუ არა სასამართლოებისთვის?

უზენაესი სასამართლოს წერილში (05/10/2018 Nos/165-18) აღნიშნულია, რომ საქმეთა მართვის ელექტრონულ პროგრამას არ აქვს წვდომა სხვა საინფორმაციო ბაზებსა თუ სამართალდამცავი უწყებების ინფორმაციაზე.

დ) როგორ ხდება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ რეესტრის განახლება ახალი სასჯელებისა და მათი აღსრულების შესახებ, მათ შორის, პირობითი სასჯელის შესახებ?

უზენაესი სასამართლოს წერილში (05/10/2018 Nos/165-18) აღნიშნულია, რომ საქმეთა ელექტრონული მართვის სისტემას არ აქვს წვდომა სისხლის სამართლის სანქციების, წინასწარი პატიმრობისა და პირობითი სასჯელების გამოყენების შესახებ ინფორმაციაზე.

33 ზოგადი სამუშაო პირობები:**ა) აქვთ თუ არა მოსამართლეებსა და პროკურორებს სათანადო ოფისები, კომპიუტერები, ჰყავთ თუ არა საკმარისი თანაშემწეები და მდივნები?**

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის წერილის თანახმად (04/10/2018 N06-6315) პირველი და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებს აქვთ პერსონალური სამუშაო სივრცე საჭირო ტექნიკით, პერსონალური კომპიუტერით, გარდა 3 სასამართლოსი, სადაც ორი მოსამართლე ინაწილებს ერთ სამუშაო სივრცეს და/ან თანაშემწესა და მდივანს. ასეთი სასამართლოებია:

- თბილისის საქალაქო სასამართლო, რომელიც ქვეყნის ყველაზე დატვირთული სასამართლოა. თბილისის საქალაქო სასამართლოში ორი მოსამართლე ინაწილებს ერთიან სამუშაო სივრცეს. წერილში აღნიშნულია, რომ ეს პრობლემა მოგვარდება მას შემდეგ, რაც ახალი შენობის მშენებლობის მიმდინარე პროცესი დასრულდება. სასამართლოს ახალი შენობა შენდება იმავე ადგილზე, სადაც მდებარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობა და დასრულდება 2018 წლის ნოემბერში;
- გორის რაიონულ სასამართლოში ყველა მოსამართლე (სულ 4 მოსამართლე) სამუშაო სივრცეს ინაწილებს თანაშემწესა და მდივანთან. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად რამდენიმე სამუშაო სივრცე რეაბილიტირებულ იქნა. ამასთან, მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს იმისთვის, რომ სასამართლოს არქივი გადატანილ იქნეს შენობის პირველ სართულზე, რის შემდეგაც რეკონსტრუირებული სივრცე გამოყენებული იქნება მოსამართლეთა სამუშაო სივრცეების მოსაწყობად;
- ახალქალაქის რაიონულ სასამართლოში მოსამართლე, მისი თანაშემწე და მდივანი ინაწილებენ საერთო სამუშაო სივრცეს. 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია ფინანსური რესურსები სამუშაო სივრცეების გასაფართოებლად. იმ შემთხვევაში, თუ ბიუჯეტი დამტკიცდება აღნიშნული სახით, სამშენებლო სამუშაოები დასრულდება 2019 წლის მესამე კვარტალში.

პროკურატურის წერილის თანახმად (12/10/2018 N13/78248), როგორც წესი, პროკურორები და პროკურატურის დამხმარე თანამშრომლები ინაწილებენ საერთო სამუშაო სივრცეს და ერთსა და იმავე სივრცეში მომუშავე პირების რაოდენობა შესაბამისად იცვლება, ინდივიდუალური სამუშაო სივრცეების რაოდენობა ასევე იცვლება პროკურორების მუშაობის სპეციფიკისა და მათი ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად.

ყველა პროკურორი და მათი დამხმარე პერსონალი ფლობენ ინდივიდუალურ კომპიუტერებს საკუთარ განკარგულებაში. ძველი კომპიუტერების ახალი კომპიუტერებით ჩანაცვლების მიზნით პროკურატურის სისტემაში ტარდება ტენდერი და ხდება ახალი კომპიუტერების შესყიდვა ყოველწლიურად.

ბ) აქვთ თუ არა მოსამართლეებსა და პროკურორებს წვდომა არქივსა და იურიდიული ლიტერატურის ბაზაზე? როგორ არის ახალმიღებულ კანონმდებლობაზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი?

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის წერილის (04/10/2018 N06-6315) თანახმად სასამართლო სისტემას შეძენილი აქვს წვდომა 2 ელექტრონულ ბაზაზე: პროგრამა “კოდექსი” და www.matsne.gov.ge

პროკურატურის წერილის თანახმად (12/10/2018 N13/78248) საქართველოს კანონმდებლობაზე ხელმისაწვდომობისთვის პროკურატურის სისტემის ყოველი წევრი იყენებს კანონმდებლობის ელექტრონულ ბაზას www.matsne.gov.ge, რომელზე წვდომას ყოველწლიურად ყიდულობს პროკურატურა. პროკურატურის სისტემის წარმომადგენლებს ასევე აქვთ წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე LexisNexis (www.lexisnexis.com).

გ) არის თუ არა სასამართლოს არქივი კარგად მართული და კომპიუტერიზებული? გთხოვთ, განმარტოთ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული წესი (02/08/2010 N1/91) ადგენს საერთო სასამართლოების სისტემაში დასრულებული საქმეების დაარქივების წესს. 2012 წლიდან ყველა სასამართლოში ფუნქციონირებს საქმის წარმოების ელექტრონული მართვის სისტემა, თუმცა, საერთო სასამართლოების არქივი არ არის ინტეგრირებული აღნიშნულ სისტემაში და არქივი დასრულებულ საქმეებს მატერიალური ფორმით ინახავს. 1925–2016 წლების საქმეები მხოლოდ მატერიალური სახით ინახება არქივში, ხოლო ამ საქმეების სია ელექტრონული სახით არის ხელმისაწვდომი. დაარქივებული საქმეების ძიება ხდება შესაბამისირაიონის ელექტრონული ფაილების მიხედვით (რომელიც რაიონებისა და საქმეების რაოდენობის გათვალისწინებით არასრულია), ასევე საქმის მიღებისა და არქივის თაროზე მისი ადგილის მიხედვით. დაარქივებული დოკუმენტების მიღების შემდეგ ხდება მათი დასკანერება და საერთო სასამართლოების სერვერზე შენახვა შემდგომი გამოყენებისათვის. არქივს გააჩნია საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამა “scqrol”, რომელიც მოქმედებს მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით და რომლის მეშვეობითაც ხდება საბოლოო გადაწყვეტილებებისა და საქმის მასალების გამოთხოვა. საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებები ატვირთული და ხელმისაწვდომია ამავე პროგრამის მეშვეობით, ხოლო საქმის მასალები არქივს გადაეცემა მატერიალური სახით.

დეპარტამენტის ცნობით, არქივის მუშაობის პროცესის გასაუმჯობესებლად დეპარტამენტი ამზადებს დამატებით საცავს. 2018 წლის ოქტომბრის მონაცემებით იდენტიფიცირებულია კომპანია, რომელიც განახორციელებს სამშენებლო სამუშაოებს და მშენებლობა მალე დაიწყება. ამასთან, დეპარტამენტი მუშაობს რესურსების მობილიზებისთვის შემდეგი სამუშაოს გასაწევად: 2005 წლამდე განხილულ საქმეებზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებების დასკანერება და 2005–2016 წლებში განხილული საქმეების სრული მასალების დასკანერება.

34 სასამართლოს თანამშრომლები:

ა) წარმოადგინეთ სასამართლოს თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. როგორია აღნიშნული რიცხვის მოსამართლეთა და პროკურორების რაოდენობასთან მიმართება? ვინ არის უფლებამოსილი, გადაწყვიტოს სასამართლოს აპარატის წევრთა რაოდენობის საკითხი?

2018 წლის ნოემბრისთვის პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში მუშაობს მოსამართლის 279 თანამშემწე, 71 უფროსი კონსულტანტი და 288 მდივანი.⁵⁵ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეთა საერთო რაოდენობა განისაზღვრება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

55. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი 31/10/2018 N2156/2879-03-თ

მიერ და შეადგენს 340-ს (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებული 09/08/2007 N1/150, კონსოლიდირებული ვერსია გამოქვეყნებულია <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/150.pdf>). 2018 წლის ნოემბრისთვის ქვეყნის მასშტაბით პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში სულ დანიშნულია 299 მოსამართლე.

საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიშის მიხედვით⁵⁶ პროკურატურის სისტემაში სულ 442 პროკურორი და 93 პროკურორ გამოძიებელია. სხვა საჯარო მოხელეთა რაოდენობა შეადგენს 140-ს, ხოლო ხელშეკურლებით დაქირავებულთა რაოდენობა – 126-ს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო განსაზღვრავს მოსამართლის თანაშემწეთა და მდივნების რაოდენობას პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებში. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების მინიმალური რაოდენობა დადგენილია საქართველოს კონსტიტუციით, ხოლო “საერთო სასამართლოების შესახებ” ორგანული კანონის მე-14 მუხლით უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვრა 28 მოსამართლით.

ბ) განსაზღვრულია თუ არა მათი სამუშაო აღწერილობები?

შესაბამისმა უწყებებმა არ გაასაჯაროვეს აღნიშნული ინფორმაცია.

გ) რომელი მოწყობილობებით (კომპიუტერი, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი, სხვა) სარგებლობენ სასამართლოების თანამშრომლები თავიანთი ფუნქციების შესრულებისას? აღწერეთ, როგორ არის მოწყობილი არქივი და რამდენად არის არქივის სისტემა ელექტრონულად მხარდაჭერილი. სათანადოდ ხელმისაწვდომია თუ არა სამართლებრივი აქტების ბაზები?

პასუხები აღნიშნულ კითხვებზე მოცემულია კითხვარის 32-ე და 33-ე პუნქტებში.

სასამართლო რეფორმა

35 როგორ აღმოიფხვრება მართლმსაჯულების სისტემაში ბოლო დროს გატარებული რეფორმების სარგებები? გთხოვთ, მიუთითოთ რეფორმის სტრატეგია და შემდგომი სამოქმედო გეგმა. ვინ არის ან იქნება პასუხისმგებელი სამომავლო ნაბიჯების იმპლემენტაციაზე, კოორდინირებასა და მონიტორინგზე?

სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების რეფორმის სტრატეგია და 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ. სტრატეგიის პირველი ნაწილი აღწერს სასამართლო სისტემის მისიასა და სასამართლო ხელისუფლების ხედვას სასამართლო სისტემის მომავალი განვითარების

56. საქართველოს მთავარი პროკურორის 2018 წლის თებერვლის ანგარიში, გვ., 56 <http://pc.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%2F%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%206.02.2018.pdf>

შესახებ. დოკუმენტის მეორე ნაწილი ადგენს 5 სტრატეგიულ მიმართულებას და აღნიშნავს გამოწვევებს, რაც თითოეული მიმართულებით არსებობს, ძირითად მიზნებსა და მიზნების მიღწევის გზებს. ბოლო ნაწილი განმარტავს სტრატეგიის იმპლემენტაციის მექანიზმებს და მონიტორინგისა და შეფასების პროცედურას.

სტრატეგიის დოკუმენტში ჩამოყალიბებული 5 მიმართულება შეეხება სასამართლო ხელისუფლების მუშაობის, ფაქტობრივად, ყველა ასპექტს. აღნიშნული 5 სტრატეგიული მიმართულებაა: დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა; ანგარიშვალდებული სასამართლო; ხარისხიანი მართლმსაჯულება და პროფესიონალიზმი; სასამართლო სისტემის ეფექტიანობის უზრუნველყოფა; სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

გარდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტისა, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულია ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს აქტივობებს, რაც დაკავშირებულია სასამართლო სისტემის რეფორმასთან.

ასევე, იუსტიციის სამინისტროს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის უწყებათაშორისი საბჭოს მიერ დამტკიცებულია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

პროკურატურამ დაამტკიცა 2017-2021 წლების სტრატეგია, რომელიც შეიცავს აქტივობებს პროკურატურის სისტემის დამოუკიდებლობის გაზრდის, კონკრეტული სახის დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის გაზრდის, ადამიანის უფლებათა დაცვის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და სხვა მიმართულებებით. სხვა დოკუმენტებისაგან განსხვავებით, სტრატეგია შეიცავს აქტივობებს, რომელთა შესრულება მხოლოდ პროკურატურის სისტემის პასუხისმგებლობა და კომპეტენციაა.

პროკურატურის სისტემის რეფორმა, რომელიც ახლად მიღებული კონსტიტუციის გადასინჯვის შედეგად უნდა განხორციელდეს, მიმდინარე პროცესია და უნდა მოიცავს პროკურატურის სისტემის როგორც ინსტიტუციური რეფორმები, ისე აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან მისი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისა და დეპოლიტიზირების საკითხები.

II
თავი

კორუფციის
წინააღმდეგ
ბრძოლა

პოლიტიკა და ეროვნული ინსტიტუციები

36 არსებობს თუ არა სფეროები, სადაც კორუფცია უფრო გავრცელებულია? თუ ასეა, როგორ ხდება ამ სფეროების იდენტიფიცირება და რა ზომები მიიღება?

საქართველომ 2004 წლიდან უმეტესწილად აღმოფხვრა წვრილმანი კორუფცია მთავრობის მიერ გატარებული ფუნდამენტური რეფორმებისა და სამართალდამცავ ორგანოებსა და სერვისის მიმწოდებელ უწყებებში ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის გატარების შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო გამჭვირვალობის (TI) კორუფციის გლობალური ბარომეტრის (GCB) მიხედვით მცირედით გაზრდილია ქრთამის აღების მაჩვენებელი, 2013 წელს იყო 4%, ხოლო 2016-ში 7%⁵⁷, დაბალი წვრილმანი კორუფციის მაჩვენებლით საქართველო კვლავ რჩება ლიდერად რეგიონში. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის მოსახლეობის 12%-ის აზრით, კორუფცია ქვეყნის სამ უდიდეს გამოწვევათა შორისაა. ამასთან, ბოლო ანგარიშის მიხედვით მოსახლეობის 41% უარყოფითად აფასებს მთავრობის ძალისხმევას კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით.

კორუფციასთან ბრძოლის კუთხით ყველაზე მაღალი რისკის სფეროები იდენტიფიცირებულია ანტიკორუფციული მიმართულებით ქვეყნის მთავარ დოკუმენტში, კერძოდ, ანტიკორუფციულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში, რომელიც პირველად მიღებული იქნა 2005 წელს. ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელსაც იღებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკურ დეპარტამენტთან არსებული ანტიკორუფციული საბჭო, მომდევნო წლების პრიორიტეტულ სფეროებსა და სხვადასხვა უწყების მიერ განსახორციელებელ აქტივობებს განსაზღვრავს. საბჭო შედგება საჯარო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისგან და იგი განსაზღვრავს მომავალი წლების პრიორიტეტულ სფეროებსა და წევრი უწყებების მიერ შესაბამის განსახორციელებელ აქტივობებს (უწყებების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად იხილეთ 37-ე შეკითხვა).

ბოლო, 2017-2018 წლების ანტიკორუფციული სტრატეგია (2017-2018 წლების საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 სექტემბრის 443 დადგენილებით)⁵⁸, გაყოფილია სამ მთავარ ნაწილად: კორუფციის პრევენცია, კორუფციის კრიმინალიზაცია და საერთაშორისო თანამშრომლობა.

საქართველოს მთავრობის ხედვა კორუფციასთან ბრძოლის შესახებ სტრატეგიაში ასახულია შემდეგნაირად: „ანტიკორუფციული პოლიტიკა კვლავ პრევენციულ ღონისძიებებზე უნდა იყოს ორიენტირებული, ხოლო ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია ქვეყნის წინაშე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით იდენტიფიცირებული გამოწვევების ეფექტიანი გადაჭრისა და კორუფციული რისკების შემცირებისაკენ უნდა იყოს მიმართული.“⁵⁹

შესაბამისად, სტრატეგია ასახავს პრევენციის პრიორიტეტულ სფეროებს, კერძოდ:

1. საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენცია;
2. სამართალდამცავ ორგანოებში კორუფციის პრევენცია;

57. საერთაშორისო გამჭვირვალობა (TI), „ხალხი და კორუფცია: ევროპა და ცენტრალური აზრია“, 2016 წლის ნოემბერი. <http://bit.ly/2JVcNAI>

58. საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია 2017-2018 დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 სექტემბრის 443 დადგენილებით. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ხელმისაწვდომია ინგლისურად: <http://justice.gov.ge/Ministry/Index/174>

59. საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია 2017-2018

3. კორუფციის პრევენცია სასამართლოში;
4. საჯარო ფინანსებისა და სახელმწიფო შესყიდვების სფეროში კორუფციული რისკების გამჭვირვალობისა და პრევენციის უზრუნველყოფა;
5. კორუფციის პრევენცია საბაჟო და საგადასახადო სისტემაში;
6. კორუფციის პრევენცია კერძო სექტორში;
7. კორუფციის პრევენცია ჯანმრთელობისა და სოციალური სექტორში;
8. პოლიტიკური კორუფციის პრევენცია;
9. თავდაცვის სექტორში კორუფციის პრევენცია;
10. კორუფციული რისკების შემცირება მარეგულირებელ ორგანოებში;
11. კორუფციის პრევენცია სპორტულ სექტორში;
12. კორუფციის პრევენცია ინფრასტრუქტურულ პროექტებში;
13. კორუფციის პრევენცია თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში.

სტრატეგია ასევე გულისხმობს ზემოთ აღნიშნულ სფეროებში კორუფციის აღკვეთის ღონისძიებებს, როგორებიცაა:

- ეფექტიანი უწყებათაშორისი კოორდინაცია კორუფციის პრევენციის მიზნით;
- ღიაობა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და სამოქალაქო ჩართულობა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში;
- განათლება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება კორუფციის პრევენციის მიზნით.

სამოქმედო გეგმა თითოეული თემატური სფეროს (16 თემატური სფერო) ფარგლებში უწყებების საქმიანობას განსაზღვრავს. 2017–2018 წლის ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ზოგიერთი აქტივობის ბიუჯეტი გათვლილია 2017–2018 წლებისთვის. მაგალითად, უწყებათაშორისი ანტიკორუფციული მექანიზმის გაძლიერებასთან დაკავშირებული ღონისძიებები შეადგენს 79, 840 ლარს (დაახლოებით 25, 754 ევრო) 2017 წლისთვის და 87, 400 ლარით ლარის ოდენობით (დაახლოებით 28, 193 ევრო) 2018 წლისთვის, რომელიც მოიცავს კორუფციის რისკის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებას, კორუფციის საწინააღმდეგო კანონმდებლობის მომზადების მოდულების შექმნასა და საჯარო მოსამსახურეთა მომზადებას, ისევე როგორც, ცნობიერების ამაღლების კამპანიას. გარკვეულ შემთხვევებში, დოკუმენტი განსაზღვრავს დაფინანსების წყაროსაც იქნება ეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თუ დონორების დახმარებით. რაოდენობა წარმოდგენილია 2017 და 2018 წლებისთვის ცალ-ცალკე. თითოეული პრიორიტეტული მიმართულებით ღონისძიებებისთვის გათვალისწინებული ჯამური ოდენობა მოცემულია ქვემოთ, ხოლო დეტალური ინფორმაცია მოცემულია 2017–2018 წლების ანტიკორუფციულ სამოქმედო გეგმაში.⁶⁰

თემატური მიმართულება	2017 – 2018 წლების ბიუჯეტი	
	GEL	EUR
1. ეფექტიანი უწყებთაშორისი კოორდინაცია კორუფციის პრევენციისთვის	167,240	53,948
2. საჯარო სექტორში კორუფციის პრევენცია	650,190	209,738
3. ღიაობა, ინფორმაციის თავისუფლება და სამოქალაქო ჩართულობა კორუფციასთან ბრძოლის საკითხებში	9,000	2,903
4. განათლება და ცნობიერების ამაღლება კორუფციის პრევენციის მიზნით	79,800	25,741
5. კორუფციის პრევენცია სამართალდამცავ ორგანოებში	27,000	8,709
6. კორუფციის პრევენცია სასამართლო სისტემაში	169,355	54,630

60. საქართველოს ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა 2017–2018 წლებისთვის, ნაწილობრივ ხელმისაწვდომია ინგლისურად, ბიუჯეტი მოცემულია ქართულად: <http://justice.gov.ge/Ministry/Index/174>

7. საჯარო ფინანსების და სახელმწიფო შესყიდვების სფეროში გამჭვირვალობა და კორუფციის რისკების პრევენცია	3,152,920	1,017,070
8. საბაჟო და საგადასახადო სისტემებში კორუფციის პრევენცია	421,500	135,967
9. კერძო სექტორში კორუფციის პრევენცია	884, 315	285,262
10. კორუფციის პრევენცია ჯანდაცვის და სოციალურ სექტორში	არ არის მოცემული	
11. პოლიტიკური კორუფციის პრევენცია	არ არის მოცემული	
12. თავდაცვის სექტორში კორუფციის პრევენცია	2,734,400	882,064
13. კორუფციული რისკების შემცირება მარეგულირებელ ორგანოებში	1,772,970	571,925
14. თვითმმართველობის ორგანოებში კორუფციის პრევენცია	არ არის მოცემული	
15. სპორტის სექტორში კორუფციის პრევენცია	695,000	224,193
16. ინფრასტრუქტურულ პროექტებში კორუფციის პრევენცია	არ არის მოცემული	

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამოქმედო გეგმაში ცალკეა გამოყოფილი ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს კორუფციული დანაშაულების გამოძიების გაძლიერებას, მათ შორის სამართალდამცავი ორგანოების საგამოძიებო შესაძლებლობების გაძლიერებას, განსაკუთრებით იურიდიული პირების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, ასევე სამართალდამცავი ორგანოების კოორდინაციის გაუმჯობესებასა და საერთაშორისო თანამშრომლობას (დამატებითი ინფორმაცია შემდეგ სექციებში). ამ განყოფილების საქმიანობის საერთო ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვა შეადგენს 251,632 ლარს (დაახლოებით 81,171 ევრო).

მიუხედავად იმისა, რომ 2017–2018 წლების ანტიკორუფციული სტრატეგია 16 პრიორიტეტულ მიმართულებას ასახავს, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები კონკრეტული სექტორების იდენტიფიცირებას ახდენს, რომლებიც პოლიტიკური გავლენისა და ელიტური კორუფციის რისკებს იწვევს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ გამოყოფს სუსტ საპარლამენტო ზედამხედველობას აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, გამოწვევებს სასამართლოსა და სამართალდამცავ ორგანოებში და ისეთი მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებლობის საკითხებს, როგორებიცაა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, კონკურენციის სააგენტო და სხვა.⁶¹ OECD ასევე გამოთქვამს შემოთქვამს პარლამენტის წევრებისა და სხვა პოლიტიკური თანამდებობის პირების კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით მაღალი დონის კორუფციის საჯარო აღქმიდან გამომდინარე. ამასთან, ორგანიზაცია შემოთქვამს გამოხატავს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების დაბალანსების, პროკურატურის დამოუკიდებლობისა და შესყიდვების კანონმდებლობისა და პრაქტიკის ხარვეზებთან დაკავშირებით და ითხოვს მეტ გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას აღნიშნულ საკითხებში. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ OECD ACN ანგარიში „ანტიკორუფციული რეფორმები საქართველოში“.⁶²

61. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, „კორუფციის აღქმის ინდექსის 2017 წლის რეიტინგში საქართველოს შედეგი რეფორმების დაჩქარების აუცილებლობაზე მიუთითებს“ 22 თებერვალი 2018, <http://bit.ly/2S4O27V>

62. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, „კორუფციის აღქმის ინდექსის 2017 წლის რეიტინგში საქართველოს შედეგი რეფორმების დაჩქარების აუცილებლობაზე მიუთითებს“ 22 თებერვალი 2018, <http://bit.ly/2S4O27V>

37 რომელია სპეციალიზებული ანტიკორუფციული უწყებები? გთხოვთ, აღწეროთ და მიუთითოთ მათი სამართლებრივი და ინსტიტუციური სტატუსი, შემადგენლობა, ფუნქციები, უფლებამოსილებები და რესურსები (კორუფცია საჯარო და კერძო სექტორში). როგორ ხდება აღნიშნული უწყებების დამოუკიდებლობისა და ექსპერტიზის შესაბამისი დონის უზრუნველყოფა?

კორუფციის პრევენციისა და საგამოძიებო ფუნქციები გადანაწილებულია სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებაში, მათ შორის აღმასრულებელი ხელისუფლების უწყებებში, სამართალდამცავ ორგანოებსა და დამოუკიდებელ მარეგულირებელ უწყებებში. ვინაიდან საქართველოში არ არსებობს კორუფციასთან ბრძოლაზე პასუხისმგებელი ერთი დამოუკიდებელი უწყება, მათი უფლებამოსილებები და მოქმედების სფერო ყოველთვის არ არის ნათლად გამოჩნული, რაც ხანდახან იწვევს კომპეტენციების გადაფარვას. კორუფციის დანაშაულის პრევენციის, გამოვლენისა და გამოძიების ფუნქციები გადანაწილებულია შემდეგ უწყებებში:

1. იუსტიციის სამინისტროს ანტიკორუფციული საბჭო (ACC);
2. საქართველოს პროკურატურის ანტიკორუფციული სამსახური და სხვა საგამოძიებო ორგანოები (PSG)⁶³;
3. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო (SSSG);
4. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური (MoF);
5. სახელმწიფო აუდიტის სამსახური (SAO).

1. ანტიკორუფციული საბჭო

იუსტიციის სამინისტროს უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საბჭო შეიქმნა 2008 წლის პრეზიდენტის ბრძანებულებით (N622, მიღებულია: 26/12/2008),⁶⁴ რომელიც მოგვიანებით აისახა „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში (N982, მიღებულია: 17/10/1997, გამოქვეყნდა: 11/11/1997, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018).⁶⁵ კანონის მე-12¹ მუხლი განსაზღვრავს უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საბჭოს ფუნქციებს, რომელიც ქვეყანაში ანტიკორუფციული ძალისხმევის მთავარი მაკოორდინირებელი ორგანოა და პასუხისმგებელია ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და აღნიშნულის განხორციელების მონიტორინგზე. მე-12¹ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილია საბჭოს შემადგენლობა, რომელშიც შედიან სხვადასხვა საჯარო დაწესებულების წარმომადგენლები, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, დამოუკიდებელი ექსპერტები, აკადემიური სფეროს წარმომადგენლები და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები. საბჭოს საპროცედურო რეგულაციები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით (N390, მიღებულია:

63. ტერმინები „საქართველოს მთავარი პროკურორი“, „პროკურატურა“ და „საქართველოს პროკურატურა“ დოკუმენტში გამოყენებულია საჯარო ანგარიშებისა და ოფიციალური დისკუსიებში გამოყენებული ტერმინების მიხედვით და აღნიშნავს ქვეყანაში მთავარ საპროკურორო ორგანოს.

64. საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 დეკემბრის N622 ბრძანებულება „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“, ხელმისაწვდომია ქართულად: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/104218?publication=0>

65. „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი (N982, მიღებულია: 17/10/1997, გამოქვეყნდა: 11/11/1997 კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018) ხელმისაწვდომია ქართულად: <http://bit.ly/2S4e7oo>

30/12/2013),⁶⁶ რომელიც კანონთან ერთად დეტალურად მიუთითებს საბჭოს შემადგენლობას, კერძოდ, საბჭოში შედიან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები რუსთავში, თბილისსა და თელავში ცენტრალურ დონეზე საჯარო უწყებების წარმომადგენლებთან ერთად. საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. ვინაიდან ანტიკორუფციული საბჭოს ძირითადი მაკორდინირებელი უწყება არის იუსტიციის სამინისტრო, იგი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ბიუჯეტი 63,000,000 ლარს (დაახლოებით 20,332,580 ევრო) შეადგენს.

2. საქართველოს მთავარი პროკურატურა

საქართველოს მთავარი პროკურატურა არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყება, რომელსაც აქვს სისხლის სამართლის დევნის ექსკლუზიური უფლებამოსილებები. საქართველოს კონსტიტუციაში (N786, მიღებული 24/08/1995, გამოქვეყნდა: 24/08/1995, კონსოლიდირებული ვერსია: 23/03/2018)⁶⁷ შეტანილი ცვლილებების შედეგად,⁶⁸ რომლებიც ძალაში შევა 2018 წლის ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, საქართველოს პროკურატურა აღარ იქნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში, რაც გამოიწვევს პროკურატურის ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობის გაუმჯობესებას. ცვლილებების თანახმად პროკურატურის ხელმძღვანელის სახელწოდება „მთავარი პროკურორი“ ნაცვლად იქნება „გენერალური პროკურორი“, რომელსაც „6 წლის ვადით საპროკურორო საბჭოს წარდგინებით ორგანული კანონით დადგენილი წესით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. პროკურატურის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად იქმნება საპროკურორო საბჭო, რომელიც შედგება ორგანული კანონით დადგენილი წესით არჩეული 15 წევრისაგან. საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარეს 2 წლის ვადით ირჩევს საპროკურორო საბჭო.“⁶⁹

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის (N382, მიღებულია: 21/10/2008, გამოქვეყნდა: 27/10/2008, კონსოლიდირებული ვერსია: 05/09/2018)⁷⁰ მიხედვით სხვა მოვალეობებთან ერთად პროკურატურა ახორციელებს სისხლის სამართლებრივ დევნას, გამოძიების ეტაპზე საპროცესო ხელმძღვანელობას და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სრული მოცულობით ატარებს გამოძიებას.⁷¹ შესაბამისად, პროკურატურის შემადგენლობაში შემავალ რამდენიმე სამსახურს (მათ შორის იმ დეპარტამენტებს, რომლებიც სხვა სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობას ახორციელებენ), აქვთ კომპეტენცია, გამოიძიონ და სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყონ კორუფციულ დანაშაულზე. ამასთან, პროკურატურაში აღნიშნული მიმართულებით პასუხისმგებელი მთავარი ორგანო კორუფციულ დანაშაულზე სისხლის სამართლებრივი დევნის სამმართველოა.

66. საქართველოს მთავრობის დადგენილება N390 „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“, მიღებულია: 30/12/2013, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2RJVqxC>.

67. საქართველოს კანონი „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, N1721-I, მიღებულია: 13/12/2017, გამოქვეყნებულია: 22/12/2017, კონსოლიდირებული ვერსია: 07/03/2018, ხელმისაწვდომია ქართულად: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3938064?publication=1>

68. საქართველოს კონსტიტუცია, N786, მიღებულია: 24/08/1995, გამოქვეყნებულია: 24/08/1995, კონსოლიდირებული ვერსია: 23/03/2018, ხელმისაწვდომია ინგლისურად: <https://matsne.gov.ge/en/document/view/30346?publication=35>

69. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 65

70. საქართველოს კანონი „პროკურატურის შესახებ“ (N382, მიღებულია: 21/10/2008, გამოქვეყნდა: 27/10/2008, კონსოლიდირებული ვერსია: 05/09/2018) ხელმისაწვდომია ქართულად: <https://matsne.gov.ge/document/view/19090?publication=18>

71. საქართველოს კანონი „პროკურატურის შესახებ“, მუხლი მე-3;

კორუფციულ დანაშაულზე სისხლის სამართლებრივი დევნის სამმართველო შეიქმნა „პროკურატურის საგამოძიებო დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის N64 ბრძანებით (მიღებულია: 13/02/2015, გამოქვეყნდა: 13/02/2015, კონსოლიდირებული ვერსია 02/05/2018).⁷² ხოლო, პროკურატურის შიგნით დამოუკიდებელ სამმართველოდ ჩამოყალიბდა იუსტიციის მინისტრის N303⁷³ ბრძანებით „საქართველოს მთავარი პროკურატურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 10 ივლისის №38⁷⁴ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (მიღებულია: 10/07/2013, გამოქვეყნდა: 11/07/2013, კონსოლიდირებული ვერსია: 02/05/2018). საქართველოს იუსტიციის მინისტრის N304 ბრძანების „საქართველოს მთავარი პროკურატურის კორუფციულ დანაშაულზე სისხლის სამართლებრივი დევნის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“ (მიღებული და გამოქვეყნებულია: 02/05/2018)⁷⁵ მე-2 მუხლის მიხედვით აღნიშნული სამმართველოს ამოცანებია: ყველა კორუფციული დანაშაულის გამოძიება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დანაშაული ჩაიდინა იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელმა, ან დანაშაული გამოავლინა და გამოძიება დაიწყო სხვა უფლებამოსილმა ორგანომ (მაგალითად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ან გენერალურმა ინსპექციამ), კორუფციულ დანაშაულებზე სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება, ყველა სამართალდამცავი ორგანოს მიერ გამოვლენილი და გამოძიებული კორუფციული დანაშაულის საქმეების ანალიზი, ერთიანი სტანდარტების მიღება და აღნიშნულთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება, ასევე კორუფციულ დანაშაულის სისხლის სამართლებრივი დევნის მიმართულებით საპრევენციო რეკომენდაციების მიღება. აღსანიშნავია, რომ პროკურატურა უფლებამოსილია, გამოიძიოს დანაშაულები, რომლებიც ჩადენილია მაღალი რანგის პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ, მათ შორის – საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრის, მთავრობის წევრების, მოსამართლეების, სახალხო დამცველის, გენერალური აუდიტორის, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების, პროკურატურის თანამშრომლების, პოლიციის თანამშრომლების და სხვა მაღალი რანგის სამხედრო თუ საჯარო სამსახურის თანამდებობის პირების მიერ. პროკურატურას ასევე აქვს უფლება, გამოიძიოს საქმეები, როდესაც სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი ან სხვა შესაბამისი მიზეზები ხელს უშლის კომპეტენტურ საგამოძიებო ორგანოებს, რომ გამოიძიონ კონკრეტული დანაშაული (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, N1772, მიღებულია: 09/10/2009, გამოქვეყნდა: 03/11/2009 წლის კონსოლიდირებული ვერსია: 31/10/2018⁷⁶ და იუსტიციის მინისტრის ბრძანება N34 „სისხლის სამართლის საქმეებში საგამოძიებო და ტერიტორიული კომპეტენციების შესახებ“ მიღებულია: 07/07/2013, გამოქვეყნდა: 07/08/2013, კონსოლიდირებული ვერსია: 29/07/2016).⁷⁷

72. „პროკურატურის საგამოძიებო დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის N64 ბრძანება (მიღებულია: 13/02/2015, გამოქვეყნდა: 13/02/2015, კონსოლიდირებული ვერსია: 02/05/2018) ხელმისაწვდომია ქართულად: <https://matsne.gov.ge/document/view/2728187?publication=2>

73. „საქართველოს მთავარი პროკურატურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 10 ივლისის №38 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N303, მიღებულია: 02/05/2018, გამოქვეყნებულია: 02/05/2018, ხელმისაწვდომია ქართულად: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4155545?publication=0>

74. იუსტიციის მინისტრის ბრძანება N38 „საქართველოს მთავარი პროკურატურის დებულების დამტკიცების შესახებ“ და შესაბამისი დებულება მიღებულია: 10/07/2013, გამოქვეყნებულია: 11/07/2013, კონსოლიდირებული ვერსია 02/05/2018 ხელმისაწვდომია ქართულად: <https://matsne.gov.ge/document/view/1966261?publication=10>

75. მუხლი მე-2, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება 304 „საქართველოს მთავარი პროკურატურის კორუფციულ დანაშაულზე სისხლის სამართლებრივი დევნის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“ (მიღებულია და გამოქვეყნებულია: 02/05/2018) კონსოლიდირებული ვერსია ხელმისაწვდომია ქართულად: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4155529?publication=0>

76. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (N1772, მიღებულია: 09/10/2009, გამოქვეყნებულია: 03/11/2009, კონსოლიდირებული ვერსია: 31/10/2018) კონსოლიდირებული ვერსია ხელმისაწვდომია ქართულად: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=96>

77. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N34 „სისხლის სამართლის საქმეებში საგამოძიებო და ტერიტორიული კომპეტენციების შესახებ“ (მიღებულია: 07/07/2013, გამოქვეყნდა: 07/08/2013, კონსოლიდირებული ვერსია: 29/07/2016) <http://bit.ly/2Q9vtCw>

სამმართველო შედგება სამმართველოს უფროსის, პროკურორების, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებლებისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლებისგან.⁷⁸ სამმართველო შედის პროკურატურის სტრუქტურაში, რომელიც ამჟამინდელი კანონმდებლობის თანახმად იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაშია, შესაბამისად, სამმართველო ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

უწყებებს შორის კომპეტენციები განისაზღვრება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და საქართველოს იუსტიციის მინისტრის N34 ბრძანებით „სისხლის სამართლის საქმეთა საგამომძიებო და ტერიტორიული საგამომძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე“, ხოლო სისხლის სამართლის საქმეების მეორე უწყებისთვის გადაცემის წესები დამტკიცდა საქართველოს მთავარი პროკურორის N130-მ ბრძანებით „საგამომძიებო კომპეტენციების მიუხედავად, სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების სხვა საგამომძიებო უწყებისთვის გადაცემის საფუძვლების განსაზღვრის შესახებ“ (მიღებულია: 07/09/2015).⁷⁹ სისხლის სამართლის საქმეების გამოთხოვა/გადაცემა საგამომძიებო ორგანოსგან მისი საგამომძიებო კომპეტენციების მიუხედავად შესაძლებელია, თუ:

- დანაშაული გამოვლინდა სხვა საგამომძიებო ორგანოს მიერ;
- საქმის გადაცემასხვა საგამომძიებო ორგანოში მნიშვნელოვნად შეამცირებს პროცედურულ ხარჯებს;
- საქმის გადაცემა სხვა საგამომძიებო ორგანოში ხელს შეუწყობს საფუძვლიან და ობიექტურ გამოძიებას;
- სისხლის სამართლის საქმის წარმოების მონაწილეთა უმრავლესობა ცხოვრობს იმ ტერიტორიაზე, სადაც სხვა საგამომძიებო ორგანოს გააჩნია იურისდიქცია და ამ საგამომძიებო ორგანოსთვის საქმის გადაცემა ხელს უწყობს აღნიშნული პირების მონაწილეობას გამოძიებაში / საპროცესო მოქმედებებში;
- სავარაუდოდ, გამოძიება/საპროცესო მოქმედებები ჩატარდება იმ ტერიტორიაზე, რომელზეც სხვა საგამომძიებო ორგანოს აქვს იურისდიქცია;
- სხვა საგამომძიებო ორგანომ ჩაატარა სისხლის სამართლის საქმეზე გადაუდებელი საგამომძიებო მოქმედებები და საქმის გადაცემა მისი საგამომძიებო იურისდიქციის მიხედვით გამოიწვევს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების გაჭინაურებას და/ან სხვაგვარად ხელს უშლის გამოძიების ინტერესებს.

3. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო

ანტიკორუფციული სააგენტო არის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სტრუქტურული ერთეული. სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს მანდატი, ფუნქციები და უფლებამოსილება მკაფიოდ არის განსაზღვრული საქართველოს კანონით „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ (N3921, მიღებულია: 08/07/2015, გამოქვეყნდა: 15/07/2015, კონსოლიდირებული ვერსია: 31/10/2018),⁸⁰

78. საქართველოს მთავრობის დადგენილება N91 „საქართველოს მთავარი პროკურატურის საშტატო ნუსხის შესახებ“, მიღებულია: 30/01/2015, გამოქვეყნებულია: 16/02/15, ხელმისაწვდომია ქართულად: <https://matsne.gov.ge/en/document/view/2724425>

79. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2015–2016 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის 2016 წლის შესრულების პროგრესის შესახებ ანგარიში; ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში ხელმისაწვდომია: <http://justice.gov.ge/Ministry/Index/288>

80. საქართველოს კანონი „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ (N3921-რს, მიღებულია: 08/07/2015, გამოქვეყნებულია: 15/07/2015, კონსოლიდირებული ვერსია: 31/10/2018) კონსოლიდირებული ვერსია ხელმისაწვდომია ქართულად: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2905260?publication=8>

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის N9 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ (მიღებული და გამოქვეყნებულია: 01/08/2015, კონსოლიდირებული ვერსია: 18/04/2018)⁸¹ და სხვა შესაბამისი კანონებითა და ნორმატიული აქტებით. ანტიკორუფციული სააგენტოს ძირითადი ფუნქციებია:

- კორუფციისა და დანაშაულის გამოვლენა, პრევენცია, აღკვეთა და გამოძიება მისი კომპეტენციის ფარგლებში;
- კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი საგამოძიებო და სხვა საპროცესო ღონისძიებების ჩატარება;
- კორუფციული დანაშაულის ჩამდენთა წინააღმდეგ რეაგირების ღონისძიებები;
- მისი კომპეტენციის ფარგლებში დანაშაულის პრევენციისა და აღკვეთის ღონისძიებების გატარება;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად იძულებითი ზომების გამოყენება;
- კრიმინალური დაზვერვისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება რეღვანტური კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს საგამოძიებო ქვემდებარებაში შედის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით (N2287, მიღებულია: 22/07/1990, გამოქვეყნდა: 13/08/1990, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018)⁸² გათვალისწინებული შემდეგი დანაშაულები:

- ამომრჩეველთა მოსყიდვა (მუხლი 1641-ე);
- სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (მუხლი 332-ე);
- სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (333-ე მუხლი);
- ბრალდებულის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან უკანონო გათავისუფლება (334-ე მუხლი);
- განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება (მუხლი 335-ე);
- სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა (337-ე მუხლი);
- ქრთამის აღება (მუხლი 338-ე);
- ქრთამის მიცემა (339-ე მუხლი);
- ზეგავლენით ვაჭრობა (3391-ე მუხლი);
- კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება (340-ე მუხლი);
- სამსახურებრივი სიყალბე (მუხლი 341-ე);
- სამსახურებრივი გულგრილობა (სსკ 342-ე მუხლი).

ზემოაღნიშნული კორუფციული დანაშაულების სამსახურის მიერ გამოძიება ხდება, თუ ისინი გამოვლენილი იქნა სამსახურის მიერ და თუ საგამოძიებო კომპეტენციების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებით აღნიშნული კომპეტენცია პროკურატურას ან იუსტიციის სამინისტროს არ მიეკუთვნება.⁸³ „სახელმწიფო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი უზრუნველყოფს პოლიტიკური მიუკერძოებლობის დაცვის მექანიზმებს, რომლებიც დამოუკიდებლობის თვალსაზრისით გამოიხატება რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებაში, კერძოდ, სამსახური

81. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის N9 ბრძანება „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ (მიღებული და გამოქვეყნებულია: 01/08/2015, კონსოლიდირებული ვერსია: 18/04/2018) კონსოლიდირებული ვერსია ხელმისაწვდომია ქართულად: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2929553?publication=2>

82. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი N2287, მიღებულია: 22/07/1990, გამოქვეყნებულია: 13/08/1990, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018) ხელმისაწვდომია ქართულად: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>

83. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

სამინისტროებისგან განსხვავებით არ არის მთავრობის ნაწილი და სამსახურის უფროსი არ არის მთავრობის წევრი. სამსახურის უფროსი აირჩევა 6 წლის ვადით და თანამდებობიდან თავისუფლდება უშუალოდ პარლამენტის მიერ.⁸⁴

4. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური პასუხისმგებელია ფინანსური და ეკონომიკური დანაშაულების პრევენციაზე, გამოვლენასა და გამოძიებაზე, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონისა (N1928 მიღებულია: 03/11/2009, გამოქვეყნდა: 06/11/2009, კონსოლიდირებული ვერსია: 05/07/2018)⁸⁵ და „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N790 (მიღებულია: 30/11/2009)⁸⁶ ბრძანების საფუძველზე. სამსახურს აქვს პირობითი საგამოძიებო კოპეტენცია, გამოიძიოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული გარკვეული დანაშაულები, კერძოდ: კერძო სექტორში უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (220-ე მუხლი), კომერციული მოსყიდვა (მუხლი 221-ე) და არასწორად გამოყენება და მითვისება ან გაფლანგვა (მუხლი 182-ე).⁸⁷ სამსახურს ჰყავს სამსახურის უფროსი და ოთხი მოადგილე, რომლებიც ხელმძღვანელობენ ადმინისტრაციას, ეკონომიკურ დეპარტამენტს, საგამოძიებო დეპარტამენტსა და სპეციალური კვლევებისა და ექსპერტიზის დეპარტამენტს. საგამოძიებო დეპარტამენტს ათი სამმართველო აქვს, რომელთაგან 9 რეგიონალურია, ხოლო ერთი საბაჟო წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოა. სამსახურის დეტალური სტრუქტურა გამოქვეყნებულია საგამოძიებო სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე.⁸⁸ როგორც ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეული, სამსახური სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. 2018 წელს სამინისტროს ბიუჯეტი შეადგენს 82,300,000 ლარს (26,548,387 ევრო).

5. საჯარო სამსახურის ბიურო

საჯარო სამსახურის ბიურო (CSB) არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია საჯარო სამსახურში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობაზე თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგისა და საჯარო სამსახურში დასაქმებისთვის საკონკურსო სტანდარტების შემუშავებით. საჯარო სამსახურის ბიურო საკუთარ უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (N2181, მიღებულია: 25/06/1999, გამოქვეყნდა: 15/07/1999, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018),⁸⁹ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (N4346, მიღებულია: 27/10/2015, გამოქვეყნდა: 11/11/2015, კონსოლიდირებული

84. „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;

85. საქართველოს კანონი „ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ N1928 მიღებულია: 03/11/2009, გამოქვეყნებულია: 06/11/2009, კონსოლიდირებული ვერსია: 05/07/2018, ხელმისაწვდომია ქართულად: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90304?publication=12N6!>

86. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N790 „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ (მიღებულია: 30/11/2009, http://is.ge/common/get_doc.aspx?doc_id=6904)

87. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;

88. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი, ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 18 ნოემბერს, <http://is.ge/en/4161>

89. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, N2181, მიღებულია: 25/06/1999, გამოქვეყნებულია: 15/07/1999, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=26>

ვერსია: 05/09/2018)⁹⁰, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ“ საქართველოს კანონის (N2052, მიღებულია: 28/05/1999, გამოქვეყნდა: 09/06/1999, კონსოლიდირებული ვერსია: 05/07/2018)⁹¹ საფუძველზე.

ბიუროს ხელმძღვანელს ორი მოადგილე ჰყავს, ერთი ხელმძღვანელობს სამოქალაქო სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და ანალიზის დეპარტამენტს, ხოლო მეორე ზედამხედველობს ქონებრივი დეკლარაციის, ქონებრივი დეკლარაციის მონიტორინგისა და ადმინისტრაციულ დეპარტამენტებს.⁹² ბიუროში სულ 36 თანამშრომელია და 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ბიუროსთვის 1,400,000 ლარია (451,612 ევრო) გათვალისწინებული.

6. გენერალური ინსპექციები და შიდა აუდიტის დეპარტამენტები

სახელმწიფო ორგანოების უმრავლესობას აქვს სპეციალური გენერალური ინსპექციის ერთეული, რომელიც პასუხისმგებელია ამ სახელმწიფო სააგენტოს თანამშრომლების ქცევის მარეგულირებელი კანონმდებლობის (მაგ. დებულება, ეთიკის კოდექსი) დაცვის მონიტორინგზე. გენერალური ინსპექციის ერთეულის კომპეტენციები და ამოცანები განისაზღვრება საჯარო უწყების კონკრეტული კანონმდებლობით, როგორცაა დაწესებულების დებულებები და სხვა შესაბამისი კანონმდებლობა. სამართალდამცავ ორგანოებში ზოგადი ინსპექტირების განყოფილების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შეკითხვა 38-ე.

7. სახელმწიფო აუდიტის სამსახური

აღმასრულებელი ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ორგანოა სახელმწიფო აუდიტის სამსახური (SAO). აუდიტის სამსახურის ფუნქციები მოიცავს საჯარო სექტორის გარე აუდიტს, პარტიების დაფინანსების მონიტორინგსა და პარლამენტისთვის რეკომენდაციების მიცემას.⁹³ აუდიტის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ (N880, მიღებული იქნა და გამოქვეყნდა: 15/01/2009, კონსოლიდირებული ვერსია: 05/09/2018)⁹⁴ საქართველოს კანონებით. თავის ძირითად ფუნქციებთან ერთად აუდიტის სამსახური ონლაინ პლატფორმის, Budgetmonitor.ge-ს, მეშვეობით იღებს კორუფციული ფაქტების შესახებ მოქალაქეების შეტყობინებებს, რომელთა ნაწილს შემდეგ უგზავნის პროკურატურას. პლატფორმა 2017 წლის მარტში შეიქმნა. 2018 წელს აუდიტის სამსახურმა პროკურატურისთვის

90. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ N4346-ს, მიღებულია 27/10/2015, გამოქვეყნებულია 11/11/2015, კონსოლიდირებული ვერსია 05/09/2018, ხელმისაწვდომია ქართულად: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3031098?publication=14&DOCUMENT:1>

91. საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ“ N2052, მიღებულია: 28/05/1999, გამოქვეყნებულია: 09/06/1999, კონსოლიდირებული ვერსია: 05/07/2018: <https://matsne.gov.ge/ru/document/download/19204/19/en/pdf>

92. საჯარო სამსახურის ბიუროს ოფიციალური ვებგვერდი, ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 18 ნოემბერს, <http://csb.gov.ge/en/about-us/structure>

93. სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ოფიციალური ვებგვერდი, ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 20 ნოემბერს, <http://sao.ge/about-us/office-structure-and-functions>.

94. საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ N880 მიღებულია და გამოქვეყნებულია: 15/01/2009, კონსოლიდირებული ვერსია: 05/09/2018, ხელმისაწვდომია ქართულად: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/17506?publication=15>

„მოქალაქის გვერდიდან“ მიღებული 29 განცხადება გადაუგზავნა შემდგომი გამოძიების მიზნით.⁹⁵ 2018 წლის მონაცემებით აუდიტის სამსახურს 339 თანამშრომელი ჰყავს და 2018 წლისთვის აუდიტის სამსახურისთვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 14,517,200 ლარი (4,682,967 ევრო).⁹⁶ აუდიტის სამსახურის უფლებამოსილებებისა და ფუნქციების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ 57-ე შეკითხვის პასუხი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში კორუფციის პრევენციაზე, გამოვლენასა და გამოძიებაზე პასუხისმგებელი რამდენიმე უწყება არსებობს, სამოქალაქო საზოგადოება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს აღნიშნული უწყებების ეფექტიანობისა და დამოუკიდებლობის ხარისხს. “ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის” (IDFI) და “საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს” (TIG) მიერ არაერთხელ მოხდა მოწოდება დამოუკიდებელი ანტიკორუფციული უწყების შექმნის შესახებ, რომელსაც შესაბამისი უფლებამოსილებები და რესურსები ექნება, რომ კორუფციის პრევენციისა და ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე ანტიკორუფციული ღონისძიებების კოორდინაცია განახორციელოს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ IDFI-ს „დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახური – საქართველო და საერთაშორისო სტანდარტები“⁹⁷ ანგარიში და TIG-ს „ანტიკორუფციული სააგენტოები: საერთაშორისო გამოცდილება და რეფორმის ვარიანტები საქართველოსთვის.“⁹⁸

ამასთან, EMC-ისა და TIG-ს ერთობლივი ანგარიში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე ხაზს უსვამს სამსახურის ხელში ძალაუფლების კონცენტრაციას და აღნიშნული უწყების გამჭვირვალობის ნაკლებობას.⁹⁹ ისმის კრიტიკა საგამოძიებო და სისხლის სამართლებრივი უფლებამოსილებების პროკურატურის ხელში თავმოყრასთან დაკავშირებითაც. უფრო დეტალური ანგარიში ხელმისაწვდომია „ანტიკორუფციული რეფორმები საქართველოში“ OECD ACN-ის ანგარიშში.¹⁰⁰ უფრო მეტიც, კვლავ აქტუალურად რჩება საზოგადოებრივად მაღალი ინტერესის საქმეებზე სამართლიანი და დამოუკიდებელი გამოძიების საკითხი.¹⁰¹ კონკრეტული შემთხვევების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, რომლებზეც სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან რეაგირება არასათანადოდ ჩაითვალა, იხილეთ IDFI-ის ანალიზი „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემა არაეფექტურია მაღალი დონის კორუფციის წინააღმდეგ.“¹⁰²

95. ცოტნე ქარქაშაძე, სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიზისა და სტრატეგიული დეპარტამენტის უფროსი, სატელეფონო ინტერვიუ, 2018 წლის 10 ოქტომბერი;

96. საქართველოს კანონი „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“;

97. IDFI, „დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახური – საქართველო და საერთაშორისო სტანდარტები“, ივნისი 2017, https://idfi.ge/en/independent_anti_corruption_structure_creation_needs_georgia

98. TIG, „ანტიკორუფციული სააგენტოები: საერთაშორისო გამოცდილება და რეფორმის ვარიანტები საქართველოსთვის“, 2014, <http://bit.ly/2Q5v3x3>

99. EMC, TIG, „უსაფრთხოების სამსახურის რეფორმა საქართველოში: შედეგები და გამოწვევები“, 2018, <https://www.transparency.ge/en/post/reform-security-service-georgia>

100. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის (OECD ACN) „ანტიკორუფციული რეფორმები საქართველოში“, 2016, <http://bit.ly/2CwbgYT>

101. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2017 წლის ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ ანგარიში, ხელმისაწვდომია ინგლისურად: <https://www.state.gov/j/drl/rls/hrrpt/humanrightsreport/index.htm?year=2017&dliid=2771673&w=wrapper>

102. IDFI, „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემა არაეფექტურია მაღალი დონის კორუფციის წინააღმდეგ“, 12 ოქტომბერი 2018, https://idfi.ge/en/fight_against_elit_corruption_is_still_a_challenge_in_georgia

38 სამართალდამცავ ორგანოებსა და სასამართლოში არსებობს თუ არა სპეციალიზებული დეპარტამენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ კორუფციასთან ბრძოლას? თუ ასეა, გთხოვთ აღწერთ ისინი და მიუთითოთ მათი სამართლებრივი და ინსტიტუციური სტატუსი, შემადგენლობა, ფუნქციები, უფლებამოსილებები და რესურსები.

საქართველოში არსებულ სამართალდამცავ ორგანოებს გააჩნიათ გენერალური ინსპექციის დეპარტამენტები, რომელთა პასუხისმგებლობაა თანამშრომლების ქცევის მარეგულირებელი კანონმდებლობის (მაგ.: დებულება, ეთიკის კოდექსი) დაცვის მონიტორინგი. გენერალური ინსპექციის დეპარტამენტები პირდაპირ ექვემდებარება საჯარო უწყების ხელმძღვანელს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც “პოლიციის შესახებ” საქართველოს კანონის (N1444-ს, მიღებულია: 04/10/2013, გამოქვეყნებულია: 28/10/2013, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018)¹⁰³ თანახმად პასუხისმგებელია პოლიციის ოფიცრებისა და შსს-ს თანამშრომლების საქმიანობის კომპეტენციის ფარგლებში ინტრადეპარტამენტული კონტროლის განხორციელებაზე. კანონში ასევე აღნიშნულია, რომ გენერალური ინსპექცია დამოუკიდებელია მის საქმიანობაში და დაუშვებელია სხვა სტრუქტურული ერთეულების ან სამინისტროს თანამდებობის პირების მიერ საქმიანობაში ჩარევა. გენერალური ინსპექცია პირდაპირ ანგარიშვალდებულია მინისტრთან, რომელიც ახორციელებს მასზე ზედამხედველობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. „შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტის) დებულების დამტკიცების შესახებ” შინაგან საქმეთა მინისტრის N123 ბრძანების საფუძველზე (მიღებულია და გამოქვეყნდა: 23/02/2015, კონსოლიდირებული ვერსია: 25/05/2018)¹⁰⁴ გენერალური ინსპექცია სხვა ფუნქციებს შორის უზრუნველყოფს ეთიკისა და დისციპლინური სამართალდარღვევების, სამსახურებრივი მოვალეობის არასათანადოდ შესრულებისა და სამინისტროს თანამშრომლების მიერ ჩადენილი გარკვეული უკანონო ქმედებების ფაქტების იდენტიფიცირებასა და სათანადო რეაგირებას. გარდა ამისა, იგი უზრუნველყოფს სამართლებრივი პროცედურული ღონისძიებების გატარებას მისი კომპეტენციის ფარგლებში, დარღვევებისა და ხარვეზის გამოვლენას სამინისტროს სისტემაში, სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების მიერ ფინანსური და მატერიალური რესურსების ხარჯვის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის შემოწმებას, მათ შორის – ოპერატიული მიზნებისთვის გაღებული ხარჯების ნაწილში. სერიოზული დარღვევების შემთხვევაში, რომლებიც შეიძლება, წარმოადგენდეს დანაშაულს, გენერალური ინსპექცია ვალდებულია, საქმე გადააგზავნოს საქართველოს პროკურატურაში. 2014–2018 წლებში შსს-ს მიერ პროკურატურას სულ 1265 საქმე გადაეცა.¹⁰⁵

სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე არსებული სტატისტიკური მონაცემებით¹⁰⁶ შსს-ს გენერალურმა

103. მუხლი 57-ე, საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ” N1444-ს, მიღებულია 04/10/2013, გამოქვეყნებულია 28/10/2013, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018, ქართული ვერსია ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2047533?publication=18>

104. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N123 „შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტის) დებულების დამტკიცების შესახებ” (მიღებულია და გამოქვეყნებულია: 23/02/2015, კონსოლიდირებული ვერსია: 25/05/2018), ხელმისაწვდომია ქართულად: <https://matsne.gov.ge/document/view/2737879?publication=3>

105. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2018 წლის 7 დეკემბრის N2960082 წერილი;

106. გენერალური ინსპექციის მიერ დაკისრებული სახდელის შესახებ სტატისტიკა, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ინგლისურად: <https://info.police.ge/page?id=234>

ინსპექციამ დისციპლინურ გადაცდომებზე 2,234 შემთხვევაში დააკისრა სახდელი. აღნიშნული სახდელებიდან გამოყენებული იქნა: 720 - სასტიკი საყვედური, საყვედური - 639, შენიშვნა - 578, გათავისუფლება - 161, რიგგარეშე სამ განწესამდე დანიშვნა - 112, მორიგი დათხოვნის უფლების ჩამორთმევა - 16 და თანამდებობიდან ჩამოქვეითება - 13.

2016 წელს სასტიკი საყვედური გამოყენებული იქნა 891 შემთხვევაში, საყვედური - 619, შენიშვნა - 480, გათავისუფლება - 158, რიგგარეშე სამ განწესამდე დანიშვნა - 112, მორიგი დათხოვნის უფლების ჩამორთმევა - 16, ხოლო 11 შემთხვევაში დაქვეითება და 5 შემთხვევაში თანამდებობიდან ჩამოშორება იქნა გამოყენებული.

2017 წელს სასტიკი საყვედური იქნა გამოყენებული 363 საქმეში, საყვედური - 311, შენიშვნა - 511, სამსახურიდან დათხოვნა - 175, რიგგარეშე სამ განწესამდე დანიშვნა - 127, მორიგი დათხოვნის უფლების ჩამორთმევა - 9 და დაქვეითება - 5 შემთხვევაში, თანამდებობიდან ჩამოშორება - 7, თანამდებობიდან გადაყენეს 6 ადამიანი. კონკრეტულად ეთიკის ნორმების დარღვევისათვის 2014-2018 წლებში შსს-ს 618 თანამშრომელი ექვემდებარებოდა დისციპლინარულ ზომებს, მათ შორის: 100 - საყვედური, 244 საქმეში - სასტიკი საყვედური, 22 საქმეზე - შენიშვნა, 3 შემთხვევაში - გათავისუფლება, 16 შემთხვევაში - დაქვეითება, 228 საქმეზე - სამსახურიდან დათხოვნა და 5 შემთხვევაში - თანამდებობიდან გადაყენება.¹⁰⁷

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და პროკურატურა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია პასუხისმგებელია პროკურატურის თანამშრომელთა გარდა სამინისტროს თანამშრომელთა კორუფციული დანაშაულის მონიტორინგზე, გამოვლენასა და გამოძიებაზე. პროკურორების მიერ ჩადენილი დისციპლინური, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიება საქართველოს მთავარი პროკურატურის აპარატის გენერალური ინსპექციის კომპეტენციას მიეკუთვნება. ამასთანავე, პროკურატურის გენერალური ინსპექცია გააძლიერებულ მონიტორინგს ახორციელებს მაღალი რისკის მქონე საქმეებზე, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როდესაც პროკურორმა მაღალი დისკრეციული უფლებამოსილებებით ისარგებლა.

საქართველოს პროკურატურის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების¹⁰⁸ მიხედვით პროკურორებისთვის შეუფერებელი ქცევა, რომელიც განისაზღვრება, როგორც ნებისმიერი ქმედება, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს პროკურორის დამოუკიდებლობას ან გავლენას ახდენს პროკურორის საქმიანობაზე (21-ე მუხლი, პროკურორების ეთიკის კოდექსი, მიღებულია 25/05/2017 წლის იუსტიციის მინისტრის N234 ბრძანებით, გამოქვეყნდა 29/05/2017)¹⁰⁹, 2014 წელს ჩადენილი იქნა პროკურატურის 11 თანამშრომლის მიერ, 2015 წელს - 7 თანამშრომლის მიერ, 2016 წელს - 10 თანამშრომლის მიერ, 2017 წელს - 7 თანამშრომლის და 2018 წლის 28 აგვისტოს მდგომარეობით - პროკურატურის 3 თანამშრომლის მიერ.

პროკურატურისა და სასამართლოს კუთხით აღნიშნული საკითხების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ შეკითხვა N2 სასამართლოს მე-3 თავში.

107. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2018 წლის 7 დეკემბრის N2960082 წერილი;

108. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2018 წლის 24 თებერვლის N13/81172 წერილი

109. მუხლი 21-ე, პროკურორთა ეთიკის კოდექსი, იუსტიციის მინისტრის ბრძანება N234, მიღებულია: 25/05/2017, გამოქვეყნებულია: 29/05/2017, ხელმისაწვდომია ქართულად: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3679145?publication=0>

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის¹¹⁰ მიხედვით თანამშრომელთა კონტროლი ევალება გენერალური ინსპექციის დეპარტამენტს, რომელიც პირდაპირ ექვემდებარება სამსახურის უფროსს. გენერალური ინსპექციის საქმიანობაში სხვა დეპარტამენტების ან თანამდებობის პირების ჩარევა კატეგორიულად იკრძალება.

გენერალური ინსპექციის ფუნქციებია: სამსახურის დანაყოფებში კანონის მოთხოვნათა შესრულების შესწავლა და მონიტორინგი, დისციპლინური ნორმების დარღვევისა და გადაცდომების გამოვლენა და მათზე კანონით დადგენილი რეაგირება, სტრუქტურული ერთეულების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის მონიტორინგი და რესურსების ეფექტიანი და მართლზომიერი გამოყენების კონტროლი, ასევე თანამშრომელთა მიერ ეთიკის ნორმების დაცვის მონიტორინგი.

თავდაცვის სამინისტრო

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დეპარტამენტი და საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი იძიებენ სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალი ქვედანაყოფებისა და სამხედრო ქვედანაყოფების ტერიტორიებზე ჩადენილ დანაშაულებებს, ასევე სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ დანაშაულს, მაგ.: წვევამდელის მიერ სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდება, დეზერტირობა, შიდა სამსახურის რეგლამენტის დარღვევა, ეთიკის კოდექსის დარღვევა და სხვა. კერძოდ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ თავდაცვის მინისტრის №08 (მიღებულია: 27/01/2017, ძალაში შესვლის თარიღი: 31/01/2017, კონსოლიდირებული ვერსია: 14/12/2017)¹¹¹ ბრძანების თანახმად გენერალური ინსპექციის დეპარტამენტის ფუნქციებია საქართველოს კანონმდებლობის შესრულების მონიტორინგისა და კონტროლის განხორციელება, მათ შორის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის და სამინისტროს სისტემაში მოქმედი სსიპ-ების, აგრეთვე სამხედრო/სპეციალური წოდებების ოფიცრების ან/და საჯარო მოხელეების მიერ უკანონო ქმედებების გამოვლენა, პრევენცია და რეაგირება. სამინისტროს გენერალური ინსპექცია დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და ანგარიშვალდებულია მხოლოდ თავდაცვის მინისტრის წინაშე.

ამასთანავე, „სამხედრო პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი (N4924, მიღებულია: 08/06/2007, გამოქვეყნდა: 19/06/2007, კონსოლიდირებული ვერსია: 31/10/2018)¹¹² განსაზღვრავს, რომ სამხედრო პოლიცია არის სპეციალური სამართალდამცავი სტრუქტურული ერთეული საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალურ შტაბში, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში იძიებს საქმეებს, უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენას, იცავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ქვედანაყოფების ობიექტების დაცვით რეჟიმს, ებრძვის დანაშაულს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა ფუნქციებს.

110. საქართველოს კანონი „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“;

111. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ თავდაცვის მინისტრის №08 (მიღებულია: 27/01/2017, ძალაში შესვლის თარიღი: 31/01/2017, კონსოლიდირებული ვერსია: 14/12/2017) ხელმისაწვდომია ქართულად: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3560650?publication=1>

112. მუსლი მუ-2, სამხედრო პოლიციის შესახებ საქართველოს კანონი (N4924, მიღებულია: 08/06/2007, გამოქვეყნდა: 19/06/2007, კონსოლიდირებული ვერსია: 31/10/2018) ხელმისაწვდომია ქართულად: <https://matsne.gov.ge/document/view/21514?publication=12>

39 რა ტიპის სტატისტიკური მონაცემები არის ხელმისაწვდომი ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: კორუფციული საქმეები (გამოძიება, საქმეები სასამართლოში, გადაწყვეტილებები და სასჯელის დონე), კორუფციულ საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობა, კავშირი კორუფციასა და ორგანიზებულ დანაშაულს შორის და კავშირი კორუფციასა და ფულის გათეთრებას შორის? სად მოიპოვება აღნიშნული სტატისტიკა?

კორუფციული დანაშაულების შესახებ სტატისტიკური მონაცემები ხელმისაწვდომია სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს,¹¹³ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა¹¹⁴ და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის¹¹⁵ ვებგვერდებიდან. ამავდროულად, როგორც ზედამხედველი ორგანო, საქართველოს მთავარი პროკურატურა აწარმოებს კონსოლიდირებულ სტატისტიკურ მონაცემებს ყველა საგამოძიებო ორგანოდან და ამით უზრუნველყოფს კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო სურათის ასახვას. პროკურატურის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები მოიცავს პროკურორების დისციპლინურ დარღვევებს, საერთო კორუფციული დანაშაულის სტატისტიკას, ასევე ფულის გათეთრების საქმეებზე შეზღუდულ ინფორმაციას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად (N2287, მიღებულია: 22/07/1990, გამოქვეყნებულია: 13/08/1990, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018) კორუფციის შემდეგი აქტები აკრძალულია: ამომრჩეველთა მოსყიდვა (მუხლი 164-ე, სსკ) მუხლი 182-ე — მითვისება ან გაფლანგვა, მუხლი 220-ე — უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, მუხლი 221-ე — კომერციული მოსყიდვა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (მუხლი 332-ე, სსკ), სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (333-ე მუხლი, სსკ), სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა (სსკ, 337-ე მუხლი), ქრთამის აღება (მუხლი 338-ე), ქრთამის მიცემა (სსკ, 339-ე მუხლი), ზეგავლენით ვაჭრობა (სსკ, 339-ე მუხლი), კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება (სსკ, 340-ე მუხლი), სამსახურებრივი სიყალბე (მუხლი 341-ე).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია სსკ-ის კონკრეტული მუხლების საფუძველზე დაწყებული სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა.

სისხლის სამართლის დანაშაულებზე დაწყებული გამოძიების სტატისტიკა¹¹⁶

სსკ-ის მუხლი	2014	2015	2016	2017	2018 (9 თვე)	ჯამში
164 (1)	0	0	0	0	0	0
182	298	272	228	215	194	1207
220	1	18	5	5	8	37
221	21	9	10	13	10	63
332	40	16	11	25	19	111

113. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, დანაშაულის სტატისტიკა, ბოლო ვიზიტი 22 ნოემბერი 2018, <https://info.police.ge/page?id=115>

114. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, სტატისტიკა, ბოლო ვიზიტი 22 ნოემბერი 2018, <https://ssg.gov.ge/page/info/reports>

115. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საგამოძიებო სამსახური, სტატისტიკა, ბოლო ვიზიტი 22 ნოემბერი 2018, <http://is.ge/4234>

116. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2018 წლის 24 ოქტომბრის N13/81172 წერილი;

333	42	24	20	8	12	106
337	1	0	0	0	0	1
338	56	79	35	29	15	214
339	7	1	7	7	11	33
339 (1)	7	3	0	0	0	10
340	1	0	0	0	0	1
341	44	39	8	22	16	129

საქართველოს პროკურატურის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემებით 2014 წელს სისხლის სამართლის საქმეზე სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით გათვალისწინებული სისხლის სამართლებრივი პროცედურები დაიწყო 2014 წელს 12 ადამიანის წინააღმდეგ, 2015 წელს – 10, 2016 წელს – 24, 2017 წელს – 32 და 2018 წლის პირველ სამ კვარტალში 4 მოქალაქის წინააღმდეგ.¹¹⁷ შინაგან საქმეთა სამინისტრო ასევე აწარმოებს დანაშაულის სტატისტიკას და სისხლის სამართლის კოდექსის (N2287, მიღებულია: 22/07/1990, გამოქვეყნდა: 13/08/1990, ბოლო შესწორებული: 21/07/2018)¹¹⁸ 190–207-ე მუხლების, მეწარმეობის ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების საერთო რაოდენობის მონაცემებით, 2017 წელს რეგისტრირებული შემთხვევების რაოდენობა 364 იყო, ხოლო 2018 წლის პირველ სამი კვარტალში – 262.¹¹⁹ თუმცა, შსს-ს მონაცემები უფრო დეტალურად, ცალ-ცალკე მუხლების მიხედვით არ არის მოცემული. როგორც საქართველოს მთავარ პროკურატურაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე მიღებული პასუხიდან ჩანს, კორუფციის საქმეებზე, ფულის გათეთრებაზე, კორუფციის საქმეებში საერთაშორისო თანამშრომლობაზე, კორუფციასა და ორგანიზებულ დანაშაულს შორის არსებულ კავშირზე პროკურატურა არ ფლობს სხვა ინფორმაციას და არ აწარმოებს სხვა სტატისტიკას, გარდა ცხრილში წარმოდგენილისა.

40

არის თუ არა რაიმე კონკრეტული ტრენინგი კორუფციასთან ბრძოლის ან ეთიკის შესახებ საჯარო მოხელეების, სასამართლოს წარმომადგენლებისა და სამართალდამცავი უწყებების თანამშრომლებისთვის? ა) როგორ და ვინ უტარებს შესაბამის თანამშრომლებს ტრენინგს? ბ) სხვა რა დანაშაულებს (თაღლითობა, საგადასახადო დანაშაულები და ფულის გათეთრება) მოიცავს აღნიშნული ტრენინგები?

საჯარო მოხელეებისთვის, სასამართლოს წარმომადგენლებისა და სამართალდამცავებისთვის არსებობს კონკრეტული ტრენინგი ეთიკისა და კორუფციის პრევენციის შესახებ. საჯარო სექტორის ტრენინგების უმრავლესობა, რომლებიც მიზნად ისახავს ანტიკორუფციული ღონისძიებების გატარებას, განხორციელებულია საჯარო სამსახურის ბიუროს (CSB) მიერ, რომელიც პასუხისმგებელია საჯარო სამსახურში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობაზე. ბიურომ ჩატარებული

117. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2018 წლის 24 ოქტომბრის N13/81172 წერილი;

118. სისხლის სამართლის კოდექსი N2287, მიღებულია: 22/07/1990, გამოქვეყნებულია: 13/08/1990, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018 ხელმისაწვდომია ქართულად: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>

119. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, დანაშაულის სტატისტიკა, ბოლო ვიზიტი 28 ნოემბერი 2018, <https://info.police.ge/page?id=115>

ტრენინგების სტატისტიკა მხოლოდ 2014 წლის 2017 წლამდე პერიოდისთვის მოგვაწოდა, ხოლო 2018 წლის მონაცემები მხოლოდ წლის ბოლოს იქნება ხელმისაწვდომი.¹²⁰ ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია CSB-ის მიერ ჩატარებული ტრენინგების ზოგადი მიმოხილვა.

საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ჩატარებული ტრენინგები ეთიკის კოდექსებისა და მამხილებელთა დაცვის საკითხებზე 2014–2017 წლებში

წელი	მონაწილეთა საერთო რაოდენობა
2014 - 2015	770
2016	606
2017	289
ჯამი:	1665

ბიუროს მიერ მოწოდებული სტატისტიკის მიხედვით 2014–2015 წლებში ბიურომ ჩაატარა 25 ორდღიანი ტრენინგი „ეთიკა საჯარო სამსახურში“ ცენტრალურ და მუნიციპალურ ორგანოთა თანამშრომლებისათვის. საერთო ჯამში ტრენინგებს დაესწრო 423 ადამიანი. უფრო კონკრეტულად:

- 2 ტრენინგი სამინისტროს თანამშრომლებისათვის;
- საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის 3 ტრენინგი;
- 1 ტრენინგი სპეციალურად საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის;
- აღმოსავლეთ მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის 8 ტრენინგი;
- დასავლეთის მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის 8 ტრენინგი;
- 1 ტრენინგი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისათვის;
- 1 ტრენინგი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის (სსიპ);
- 1 ტრენინგი საქართველოს პარლამენტის აპარატისთვის.

დამატებით 2014–2015 წლებში ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 347-მა თანამშრომელმა გაიარა მამხილებელთა დაცვის შესახებ ტრენინგები.

2016 წელს ბიურომ ტრენინგი ჩაუტარა 606 თანამშრომელს ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე ეთიკისა და მამხილებელთა დაცვის სფეროში. კერძოდ, ჯამში 72 ადამიანი იყო მომზადებული როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ორგანოებიდან, ანუ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის აპარატიდან, ხოლო სულ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში 302 ადამიანი იყო მომზადებული (აღმოსავლეთ მუნიციპალიტეტის 160 წარმომადგენელი, 142 - დასავლეთ მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები; სულ – 20 ტრენინგი), მათ შორის – სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციებს (გუბერნატორის ოფისები); საჯარო სამართლის იურიდიული პირების 200-მა თანამშრომელმა და 32 დამოუკიდებელი სსიპ-ის წარმომადგენლებმა „სამოქალაქო სექტორში ეთიკის“ ტრენინგი გაიარეს.

120. საჯარო სამსახურის ბიურო, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაცემული პასუხი, 2018 წლის 16 ოქტომბერი;

2017 წელს ბიურომ ომბუდსმენის აპარატის 114 თანამშრომელს 6 ტრენინგი ჩაუტარა. UNDP-ის პროგრამის მხარდაჭერით სამოქალაქო საზოგადოების რეფორმისა და ანტიკორუფციული მექანიზმების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით ბიურომ ჩაატარა შემდეგი ტრენინგები:

- სსიპ-ების თანამშრომლებისთვის 8 ტრენინგი (სულ 120);
- სამინისტროს თანამშრომლებისთვის 19 ტრენინგი;
- 1 ტრენინგი სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციების თანამშრომლებისთვის (გუბერნატორის ოფისები).

ტრენინგები ტარდება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ 2 დღის განმავლობაში, თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, თბილისის მერიის, საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის აპარატში (რომელიც შემდგომ შეურთდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შემადგენლობას), და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ 2014–2017 წლებში ტრენინგები ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე მხოლოდ აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს ფარავდა, 2018 წელს ჩატარებული CSB-ის ტრენინგები უკვე სასამართლო სისტემის წარმომადგენლებსაც მოიცავდა. შესაბამისი სტატისტიკა გამოქვეყნდება 2018 წლის ბოლოს.¹²¹

სასამართლოში პროფესიული ტრენინგების ჩატარებაზე პასუხისმგებელი მთავარი ორგანოა იუსტიციის უმაღლესი სკოლა, რომელიც სხვა კურსებთან ერთად ასევე სთავაზობს მოსამართლეებსა და კანდიდატ მოსამართლეებს პროფესიული ეთიკის სწავლებას. 2014–2018 წლების განმავლობაში მოსამართლეთათვის სულ 24 ტრენინგი ჩატარდა შემდეგ საკითხებზე: სასამართლო ეთიკა, კორუფციასთან დაკავშირებული საქმეების ეფექტიანი განხილვა, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია და ფინანსური დანაშაული (ფულის გათეთრება და ქონების ჩამორთმევა).¹²² იუსტიციის სამინისტროს მიერ 2017–2018 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ პროგრესის ანგარიშიდან¹²³ გამომდინარე, სკოლამ ევროპის საბჭოსთან ერთად შეიმუშავა მოდული კორუფციასთან დაკავშირებული საქმეების ეფექტიანი განხილვის შესახებ. ტრენინგს ხელმძღვანელობდა საერთაშორისო ტრენერი, რომელმაც ჩაატარა ტრენინგების ტრენინგი მოსამართლეებისთვის, რომლებიც, თავიანთი მხრივ, სხვა მოსამართლეებს გაწვრთნიდნენ. 2017 წელს 2 ტრენინგი ჩატარდა, რომელსაც დაესწრო 29 მონაწილე. იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის, მათი მისიის, მანდატისა და შეფასების შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. სასამართლოს თავის 20-ე შეკითხვა.

2014–2017 წლებში და 2018 წლის პირველი სამი კვარტალის ჩათვლით პროკურატურის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტმა ჩაატარა 42 საგანმანათლებლო ღონისძიება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, მათ შორის 13 სასწავლო ვიზიტი. პროკურატურის მონაწილეთა საერთო რაოდენობა იყო 509 თანამშრომელი. ამავე პერიოდში პროკურატურის თანამშრომლებისათვის 39 საგანმანათლებლო ღონისძიება ჩატარდა პროფესიული ეთიკისა და ინტერესთა კონფლიქტის საკითხებზე. საერთო ჯამში, აღნიშნულ ღონისძიებებში 842 თანამშრომელი მონაწილეობდა.¹²⁴ საგარეოდ, აღნიშნული რიცხვი უნდა შეიცავდეს პროკურატურის იმ 307 თანამშრომელს, რომლებიც გადაამზადნენ ეთიკის შიდა კოდექსის საკითხებზე, როგორც ეს მოცემულია

121. საჯარო სამსახურის ბიურო, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაცემული პასუხი, 2018 წლის 16 ოქტომბერი;

122. იუსტიციის უმაღლესი სკოლის 2018 წლის 6 დეკემბრის N02/2180 წერილი;

123. ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა 2017–2018, პროგრესის მონიტორინგის ჩარჩო: <http://justice.gov.ge/Ministry/Index/288>

124. საქართველოს მთავარი პროკურატურის 2018 წლის 24 ოქტომბრის N13/81172 წერილი;

იუსტიციის სამინისტროსთან არსებული ანტიკორუფციული საბჭოს მიერ წარდგენილ „2017–2018 წლების ეროვნული ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების ანგარიში.“¹²⁵

ნაკლებად სისტემატური ტრენინგები ტარდება თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლებისთვის კეთილსინდისიერებისა და კორუფციული რისკების შესახებ თავდაცვის სამინისტროს სსიპ თავდაცვის ინსტიტუტური აღმშენებლობის სკოლის მიერ. გარდა ამისა, ანტიკორუფციული საბჭოს გაძლიერების მიზნით საბჭოს წევრებმა გაიარეს ტრენინგები პარლამენტში, სასამართლოსა და პროკურატურაში კორუფციისა და ინტერესთა შეუთავსებლობის პრევენციის შესახებ. ტრენინგები ჩატარდა საერთაშორისო ანტიკორუფციული აკადემიის (IACA) დახმარებით. საბჭომ და IACA-მ ხელი მოაწერეს თანამშრომლობის მემორანდუმს.¹²⁶

გარდა ამისა, კორუფციის პრევენციის, მათ შორის ბიუროს მიერ შემოთავაზებული პროგრამების მოდულების, უმრავლესობა მოიცავს კორუფციის პრევენციასა და კორუფციის გამომწვევების საკითხებს და არ მოიცავს კონკრეტულად ისეთ კორუფციულ დანაშაულებს, როგორებიცაა ფულის გათეთრება, თაღლითობა და საგადასახადო სამართალდარღვევები. თუმცა, სახეზეა სამართალდამცავი ორგანოებისთვის მსგავსი ტრენინგების ერთჯერადად ჩატარების ფაქტები. 2014–2018 წლებში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში შსს-ს თანამშრომლებისთვის 8 ტრენინგი ჩატარდა. ტრენინგები მოიცავდა 2015 წელს ფულის გათეთრების დანაშაულის გამოძიებას (ესწრებოდა 20 მონაწილე), ტერორიზმის დაფინანსებისა და ფულის გათეთრების საკითხების კურსი (31 მონაწილე, მათ შორის კონტრტერორისტული ცენტრის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, ანტიკორუფციული სააგენტოს, ისევე, როგორც პროკურატურისა და შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები), ფულის გათეთრების/ფინანსური გამოძიების ტრენინგი (17 მონაწილე), 2017 წლის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის კურსი (ესწრებოდა 20 მონაწილე) და 2018 წელს ჩატარებული ტრენინგი “ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ტექნიკა” (რომელსაც ესწრებოდა 15 მონაწილე).¹²⁷

41 საჯარო ხელისუფლება: არის თუ არა თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა მოქალაქისთვის გარანტირებული? არსებობს თუ არა ობიექტური და დამსახურებაზე დაფუძნებული კრიტერიუმები (შესაბამისი ხელფასი, სოციალური უფლებების, სენსიტიურ პოზიციებზე როტაციის, თანამდებობაზე ყოფნისა და ფინანსური დეკლარირების, ინტერესთა შეუთავსებლობასთან დაკავშირებული წესების კუთხით)?

საჯარო სამსახურის საქმიანობის ძირითადი სახელმძღვანელო კანონმდებლობა არის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი (N4346, მიღებულია: 27/10/2015, გამოქვეყნდა: 11/11/2015, კონსოლიდირებული ვერსია: 05/09/2018).¹²⁸ აღნიშნული კანონი მიღებულ იქნა 2014 წელს საჯარო სამსახურის რეფორმის ფონზე პოლიტიკური გავლენისგან თავისუფალი, პროფესიული, დამსახურებაზე დაფუძნებული საჯარო სამსახურის შექმნის მიზნით.

125. იუსტიციის სამინისტრო, „2017–2018 წლების ეროვნული ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების ანგარიში“, 2017, <http://justice.gov.ge/Ministry/Index/288>

126. იუსტიციის სამინისტრო, „2017–2018 წლების ეროვნული ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების ანგარიში“;

127. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2018 წლის 4 დეკემბრის N2926921 წერილი;

128. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, N4346-ს, მიღებულია 27/10/2015, გამოქვეყნებულია: 11/11/2015, კონსოლიდირებული ვერსია: 05/09/2018 ხელმისაწვდომია ქართულად: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3031098?publication=14№DOCUMENT:1>

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი განსხვავებს სახელმწიფო სამსახურსა და საჯარო სამსახურს. სახელმწიფო მოსამსახურეებად მიიჩნევიან როგორც საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელ შტოებში არჩეულ და დანიშნულ თანამდებობებზე დანიშნულები, ასევე მარეგულირებელ და სამართალდამცავ ორგანოებსა და თავდაცვის უწყებებში დასაქმებული პირები. სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირები არიან საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის წევრები, პრემიერ მინისტრი, მთავრობის სხვა წევრები და მათი მოადგილეები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები. პოლიტიკური თანამდებობის პირები არიან რაიონული გუბერნატორები და მათი მოადგილეები, საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები და მერები და მათი მოადგილეები.¹²⁹

საჯარო სამსახური განისაზღვრება, როგორც შემდეგი საჯარო დაწესებულებები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, პრემიერ მინისტრისა და მთავრობის მრჩეველთა ორგანოები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ბიზნეს ომბუდსმენის აპარატი, სახალხო დამცველის აპარატი, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, საქართველოს ეროვნული ბანკი, პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის აპარატი, ცენტრალური საარჩევნო კომისია, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საარჩევნო კომისიები.¹³⁰

საჯარო მოსამსახურეები, თავის მხრივ, იყოფიან (1) პროფესიულ საჯარო მოხელეებად (ანუ მუდმივი თანამშრომლები), (2) ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად და (3) შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად.

აქედან გამომდინარე, კანონი არ ვრცელდება:

- სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირებზე;
- პოლიტიკური თანამდებობის პირებზე;
- მოსამართლეებზე;
- პროკურორებსა და გამომძიებლებზე;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურ აუდიტორსა და მის მოადგილეზე;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორსა და მის მოადგილეებზე;
- სახალხო დამცველსა და მის მოადგილეებზე;
- საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტსა და საბჭოს წევრებზე;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებზე;
- საპარლამენტო ფრაქციის, საგამომძიებო კომისიისა და სხვა დროებითი კომისიის აპარატის თანამშრომლებზე¹³¹.

კანონს საჯარო მოსამსახურეთა გამოცდილებისა და კვალიფიკაციების მიხედვით საჯარო მოსამსახურეთა ოთხი კატეგორია ან რანგი შემოაქვს. ვაკანტურ თანამდებობებზე ღია კონკურსი მხოლოდ მეოთხე რანგის პოზიციებზე გამოცხადდება.¹³² პირველი სამი რანგის თანამდებობების დასაკავებლად ცხადდება დახურული ტიპის კონკურსები, სადაც მხოლოდ საჯარო სამსახურში უკვე დასაქმებულ პირებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება. კანონის მეორე თავი საჯარო სამსახურის ძირითად პრინციპებს აცალიბებს, მათ შორის მოქალაქეების მიერ საჯარო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობის პრინციპს, რომელიც გაწერილია მე-13 მუხლში. II თავი ხაზს უსვამს პოლიტიკურ ნეიტრალიტეტის, ანგარიშვალდებულების,

129. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

130. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხლი მე-3;

131. მუხლი მე-5, საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

132. მუხლი 34-ე, საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

გამჭვირვალობისა და გახსნილობის მნიშვნელობას პროცესში. სამოქალაქო სამსახურის დაწყების მიზნით ახალი კანონი სავალდებულოს ხდის მოხელის სერტიფიკატს, რომელიც აპლიკანტს გადაეცემა ზოგადი უნარებისა და ცოდნის შეფასების შემდეგ. სერტიფიცირების გამოცდები ტარდება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ. სერტიფიკატი მოქმედებს ხუთი წლის ვადით.¹³³

საჯარო სამსახურში ვაკანტურ თანამდებობებზე ხელმისაწვდომობისა და სამართლიანი კონკურენციის უზრუნველსაყოფად საქართველოს მთავრობამ მიიღო №204 დადგენილება „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესების შესახებ“ (მიღებულია: 21/04/2017, გამოქვეყნდა: 24/04/2017, კონსოლიდირებული ვერსია: 14/05/2018).¹³⁴ კანონის მე-3 მუხლი განსაზღვრავს საჯარო სამსახურის თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების პრინციპებს, როგორებიცაა კანონის უზენაესობა, კანონის წინაშე თანასწორობა, მიუკერძოებლობა, პოლიტიკური ნეიტრალიტეტი, ეფექტიანობა და მოქალაქეთათვის საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობა. კანონის მე-4 მუხლით დადგენილია კონკურსის მიზნები: საჯარო სამსახურში ვაკანსიების თანაბარი ხელმისაწვდომობა, შერჩევის პროცესის გამჭვირვალობა და გამოცდილებისა და უნარების საფუძველზე კვალიფიციური კადრების შერჩევა. მე-6 მუხლი ადგენს, რომ ბიურო პასუხისმგებელია hr.gov.ge-ზე ვაკანტური თანამდებობების განთავსებასა და ადმინისტრირებაზე, სადაც ყველა მოქალაქეს შეუძლია დარეგისტრირდეს, იხილოს ყველა არსებული ვაკანსია და ონლაინ რეჟიმში შეიტანოს განაცხადი.

წლების განმავლობაში, გაიცემოდა რეკომენდაციები საქართველოს საჯარო სამსახურში ანაზღაურების წესის სტანდარტიზებასთან დაკავშირებით, კერძოდ, პრემიებისა და დანამატების შერჩევითობისა და გადაჭარბებულად გაცემის ფაქტების გათვალისწინებით, რაც არ ექცეოდა რაიმე კონკრეტული რეგულაციების ქვეშ.¹³⁵ საჯარო სამსახურის რეფორმის ფარგლებში 2017 წლის დეკემბერში საქართველომ მიიღო კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ (N1825, მიღებულია: 22/12/2017, გამოქვეყნდა: 29/12/2017, კონსოლიდირებული ვერსია: 20/09/2017).¹³⁶ ახალი კანონის მიზანი იყო კონსოლიდირება შრომის ანაზღაურებისა და, განსაკუთრებით, პრემიებისა და დანამატების კუთხით, ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება საჯარო სამსახურში. კანონის მიზნებია თანასწორობა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, რაც თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარ ანაზღაურებას გულისხმობს. კანონის თანახმად შრომის ანაზღაურება შედგება ხელფასის, ხელფასის დანამატის, წოდებაზე დაფუძნებული დანამატისა და ფულადი ჯილდოსგან. კანონით შემოტანილი ახალი ცნებებია საჯარო მოხელეების რანგი, საკლასო ჩინები და ხელფასის გამოთვლის ახალი მეთოდი, რომელიც გამოითვლება საბაზისო ხელფასის კოეფიციენტზე გამრავლებით. საბაზისო ხელფასი ყოველწლიურად განისაზღვრება „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“¹³⁷ საქართველოს კანონის შესაბამისად და 2018 წლისთვის შეადგენს 1000 ლარს. კანონი არ ვრცელდება გარკვეულ თანამდებობებზე, მათ შორის, პროკურორებსა და გამომძიებლებზე, მოსამართლეებზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანამდებობის პირებზე, მარეგულირებელი ორგანოების თანამშრომლებზე, გენერალურ აუდიტორზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორებსა და ანალიტიკოსებზე და საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებზე.

133. თავი V, საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

134. საქართველოს მთავრობის №204 დადგენილება „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესების შესახებ“ (მიღებულია: 21/04/2017, გამოქვეყნებულია: 24/04/2017, კონსოლიდირებული ვერსია: 14/05/2018) ხელმისაწვდომია ქართულად: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3646700?publication=2>

135. IDFI, „ბიუროკრატიული სისტემის გამოწვევები საქართველოში,“ 2017 https://idfi.ge/en/challenges_of_the_georgian_bureaucratic_system_2011_2016

136. საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ N1825–რ, მიღებულია: 22/12/2017, გამოქვეყნებულია: 29/12/2017, კონსოლიდირებული ვერსია: 20/09/2012 ხელმისაწვდომია ქართულად: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3971683?publication=5>

137. „საქართველოს 2018 წლის ბიუჯეტის შესახებ,“ N1721–I, მიღებულია: 13/12/2017, გამოქვეყნებულია: 22/12/2017, კონსოლიდირებული ვერსია: 07/03/2018) ხელმისაწვდომია ქართულად: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3938064?publication=1>

საჯარო მოხელეთა ფინანსური დეკლარაციების საკითხები კორუფციის პრევენციის სხვა დებულებებთან ერთად რეგულირდება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით (N982, მიღებულია: 17/10/1997, გამოქვეყნდა: 11/11/1997 კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018).¹³⁸ ფინანსური დეკლარაციების საკანონმდებლო რეგულაციებისა და პრაქტიკის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად იხილეთ 51-ე შეკითხვა.

არ არსებობს საყოველთაო კანონი სენსიტიურ თანამდებობებზე პირთა როტაციის შესახებ, თუმცა, სხვადასხვა საჯარო უწყებასთან დაკავშირებული კანონმდებლობით დაწესებულია შეზღუდვები პირის ერთსა და იმავე პოზიციაზე დანიშვნის შესაძლებლობასა და ვადებზე. მაგალითად, ერთი და იგივე პირი არ შეიძლება, დაინიშნოს მთავარ პროკურორად ზედიზედ ორჯერ (კანონი „საქართველოს პროკურატურის შესახებ“, N382, მიღებულია: 21/10/2008, გამოქვეყნებულია: 27/10/2008, კონსოლიდირებული ვერსია: 05/09/2018).¹³⁹ სხვა მსგავსი შეზღუდვები დაწესებულია ისეთ თანამდებობებზე, როგორებიცაა საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე, გენერალური აუდიტორი, სახალხო დამცველი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და სხვა.

სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები საჯარო სამსახურში მიღების წესს აკრიტიკებენ, კერძოდ, იმ ფაქტს, რომ ახალი ადამიანებისთვის ღია მხოლოდ მეოთხე რანგის პოზიციებია და პირველი სამი რანგის პოზიციებზე საჯარო სამსახურში უკვე დასაქმებულ ადამიანებს აქვთ დასაქმების შანსი. მათი აზრით, აღნიშნული „საჯარო სექტორის“ დახურვის საფრთხეს ქმნის. ასევე აკრიტიკებენ ახალი თანამშრომლების 12 თვიან გამოსაცდელ პერიოდს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ საჯარო სამსახურის რეფორმაზე IDFI-ის ანალიზი.¹⁴⁰ საჯარო დაწესებულებებში შრომის ანაზღაურების შესახებ კანონსაც აკრიტიკებენ, ვინაიდან კანონი არ ფარავს რამოდენიმე მნიშვნელოვანი თანამდებობის ანაზღაურების საკითხებს და, ამასთან, არ არსებობს შესაბამისი კოეფიციენტის განსაზღვრის მკაფიო კრიტერიუმები, რაც საშუალებას იძლევა თვითნებური გადაწყვეტილებებით გადაწყდეს გარკვეულ თანამდებობის პირთა ხელფასების ოდენობა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ IDFI-ს კვლევა „საჯარო სამსახურში შრომის ანაზღაურების შესახებ ახალი კანონპროექტი ვერ პასუხობს არსებულ გამოწვევებს.“¹⁴¹

42 კორუციასთან ბრძოლის პროცესში მიმართავთ თუ არა რაიმე ზომებს მამხილებელთა დასაცავად?

138. „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით (N982, მიღებულია: 17/10/1997, გამოქვეყნებულია: 11/11/1997 კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018), ხელმისაწვდომია ქართულად: <http://bit.ly/2S4e7oo>

139. საქართველოს კანონი „საქართველოს პროკურატურის შესახებ“ N382 (მიღებულია: 21/10/2008, გამოქვეყნებულია: 27/10/2008, კონსოლიდირებული ვერსია: 05/09/2018) ხელმისაწვდომია ქართულად: <https://matsne.gov.ge/document/view/19090?publication=18>

140. IDFI, „საჯარო სამსახურის რეფორმის ანალიზი“, 11 მარტი 2016, <https://idfi.ge/ge/analysis-of-civil-service-reform>

141. IDFI, „საჯარო დაწესებულებებში შრომის ანაზღაურების შესახებ ახალი კანონპროექტი ვერ პასუხობს არსებულ გამოწვევებს“, 30 აგვისტო 2017, <https://idfi.ge/ge/ammendments-into-the-law-on-public-officials-salaries>

მამხილებელთა დამცავი ნორმები პირველად „საჯარო დაწესებულებაში კორუფციისა და ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ“ კანონში იქნა შეტანილი 2009 წელს (N982, მიღებულია: 17/10/1997, გამოქვეყნებულია: 11/11/1997, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018).¹⁴² აღნიშნულ საკითხზე პირველი რეგულაციები საკმაოდ შეზღუდული იყო, თუმცა 2014 წელს კანონში შეტანილმა ცვლილებებმა გააფართოვა მხილების ცნება და უკვე არსებული დარღვევების შესახებ შეტყობინებას დაამატა პოტენციური დარღვევების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება, ისევე, როგორც გაზარდა პირთა წრე და მოქმედი თანამშრომლების გარდა გავრცელდა საჯარო უწყებების ყოფილ თანამშრომლებზეც. სხვა ცვლილებებმა უზრუნველყო მამხილებელთა უდანაშაულობის პრეზუმფცია და გააფართოვა მხილების შესახებ განცხადების წარდგენის არხები, როგორცაა პროკურატურა, სახალხო დამცველი, საგამოძიებო ორგანოები, ისევე, როგორც გარე საშუალებები მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სახით. ასევე, გააფართოვა მამხილებელთა დაცვის მექანიზმების გავრცელება მათ ნათესავებსა და მამხილებელთა ანონიმურობის დაცვაზე.¹⁴³ ბოლო დროს შეტანილმა ცვლილებებმა კიდევ უფრო გააუმჯობესა რეგულაციების გამოყენების ფარგლები და „მამხილებლად“ ცნო ნებისმიერი პირი და არა მხოლოდ საჯარო უწყების მოქმედი ან ყოფილი თანამშრომელი.¹⁴⁴ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის (OECD ACN) მონიტორინგის მეოთხე რაუნდის შეფასებებით, წინ გადადგმული ნაბიჯია 2 თვიანი მოცდის პერიოდის გაუქმება გარე არხებით მხილების შემთხვევებში.¹⁴⁵ დარღვევის შესახებ მხილების განცხადების ვაკეთება შესაძლებელია საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ შემქნილ ვებგვერდზე <https://mkhileba.gov.ge>. თუმცა, კანონი ითვალისწინებს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემთხვევებში მხილებასთან დაკავშირებული საკითხები უნდა დარეგულირდეს სპეციალური კანონმდებლობით. 2018 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნულ უწყებებს შესაბამისი რეგულაციები შემუშავებული არ აქვთ.¹⁴⁶

საჯარო სამსახურის ბიურომ შეიმუშავა სახელმძღვანელო მამხილებელთა შესახებ.¹⁴⁷ სახელმძღვანელო განსაზღვრავს ქვეყნის 7 ძირითად კატეგორიას, რომელთა მხილებაც უნდა მოხდეს, ესენია: მართლსაწინააღმდეგო ქმედება პირადი სარგებლის მიღების მიზნით, ინტერესთა შეუთავსებლობა, არასათანადო და არაპროფესიული ქცევა, არაეფექტიანი ადმინისტრირება, რესურსების გაფლანგვა ან არასწორად მართვა, მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა, პერსონალის უკმაყოფილება სამუშაო გარემო-პირობების მიმართ. დოკუმენტში მოცემულია მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები, ასევე საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების მოკლე მიმოხილვა. მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტში ჩამოთვლილია მამხილებელთან დაკავშირებული რისკები, მათ შორის სხვა ადამიანების (მაგალითად, ხელმძღვანელებისა და კოლეგების) მიმართ ზედმეტი ნდობის გამოჩენა, შეუფერებელ დროსა და პირობებში მხილება, არასაკმარისი მტკიცებულებების ქონა და ზეწოლის ქვეშ ყოფნის ფსიქოლოგიური რისკები. სახელმძღვანელო ასევე შეიცავს სპეციალიზებულ მითითებებს ტრენინგებისთვის მამხილებელთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

142. საქართველოს კანონი N982 „საჯარო დაწესებულებაში კორუფციისა და ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ“, მიღებულია: 17/10/1997, გამოქვეყნებულია: 11/11/1997, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018, ხელმისაწვდომია ქართულად: <http://bit.ly/2S4e7oo>

143. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, „მამხილებელთა დაცვის კანონმდებლობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მაგრამ შემდგომ ცვლილებებს საჭიროებს“, 2014 წლის 18 ივნისი, <http://bit.ly/2OAAaSa0>

144. საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში კორუფციისა და ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ“, თავი V, მუხლი მე-20;

145. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის (OECD ACN) „ანტიკორუფციული რეფორმები საქართველოში“, 2016, <http://bit.ly/2CwbgYT>

146. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, „საქართველომ უკეთ უნდა დაიცავს მამხილებლები“, 2015 წლის 29 ივლისი, <http://bit.ly/2Ak9vDD>

147. „სახელმძღვანელო მამხილებელთა დაცვის შესახებ“, 2015: <https://mkhileba.gov.ge/src/files/mkhileba.pdf>

სახელმძღვანელოზე დაყრდნობით ბიურომ ჩაატარა ტრენინგები ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის. 2014–2015 წლებში ტრენინგი გაიარა 347 წარმომადგენელმა, 2016 წელს აღნიშნულმა რიცხვმა 606–ს მიაღწია, ხოლო 2017 წელს – 114 მონაწილემ.¹⁴⁸ ბიურო აწარმოებს ელექტრონული მექანიზმის საშუალებით განხორციელებული მხილების ფაქტებზე მიღებული შეტყობინებების სტატისტიკას. სტატისტიკის მიხედვით 2016 წელს მიღებული იქნა 29 განცხადება, 2017–ში – 110 და 2018 წლის ოქტომბრის მდგომარეობით – 36. არ არსებობს ოფიციალური მონაცემები მიღებული მონაცემების შემდგომ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. ბიურო ხაზს უსვამს, რომ მათი ფუნქცია მხოლოდ ვებგვერდის ადმინისტრირება და განცხადებების შესაბამის ორგანოებში რეაგირებისთვის გადაგზავნაა.¹⁴⁹

„საჯარო დაწესებულებაში კორუფციისა და ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი იცავს საჯარო დაწესებულებებსა და კერძო სექტორში მომუშავე პირებს, რომლებიც ინფორმაციას გამჟღავნებენ საჯარო უწყებების შესახებ. არ არსებობს მამხილებელთა დაცვის რეგულაცია, რომელიც დაიცავდა პირს კერძო სექტორის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისას.

მიუხედავად იმისა, რომ საერთო ჯამში საქართველოს ძალისხმევა მამხილებელთა დაცვის გაუმჯობესების კუთხით საერთო ჯამში დადებითად ფასდება, OECD ACN-ის საქართველოს ანტი-კორუფციული რეფორმების მონიტორინგის მეოთხე რაუნდის პროგრესის ანგარიშში ხაზგასმულია მხილების საშუალებების ეფექტიანობის შეფასებისა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ შემდგომში განხორციელებული ღონისძიებების შეფასების ნაკლებობა.¹⁵⁰

43 არის თუ არა საჯარო სამსახურის კეთილსინდისიერება, ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა უზრუნველყოფილი, მაგალითად, ხარისხის მართვის, აუდიტისა და სტანდარტების მონიტორინგის საშუალებით, როგორცაა ევროკავშირის საჯარო სამსახურის ხელმძღვანელების საერთო შეფასების ჩარჩო?

2014 წელს დაწყებული და 2017 საბოლოოდ ძალაში შესული საჯარო სამსახურის რეფორმის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო საჯარო სამსახურის შეფასების ერთიანი სისტემის შექმნა. ეს კონცეფცია „საჯარო სამსახურის შესახებ“¹⁵¹ კანონითა და „პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით (N220, მიღებულია: 28/04/2017, გამოქვეყნდა: 01/01/2018)¹⁵² იქნა შემოღებული. ამ საკანონმდებლო ჩარჩოს მიხედვით შეფასების ობიექტი

148. საჯარო სამსახურის ბიურო, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაცემული პასუხი, 2018 წლის 16 ოქტომბერი;

149. საჯარო სამსახურის ბიურო, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაცემული პასუხი, 2018 წლის 16 ოქტომბერი;

150. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის (OECD ACN), „მონიტორინგის მეოთხე რაუნდი, საქართველო: პროგრესის ანგარიში,“ 2016, <http://bit.ly/2CwbgYT>

151. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ N4346–ს, მიღებულია: 27/10/2015, გამოქვეყნებულია: 11/11/2015, კონსოლიდირებული ვერსია (ბოლო ცვლილება: 05/09/2018) ხელმისაწვდომია ქართულად: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3031098?publication=14.N%DOCUMENT:1>

152. „პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება N220, მიღებულია: 28/04/2017, გამოქვეყნებულია: 01/01/2018, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/3652594?publication=0>

არის პროფესიული საჯარო მოხელე. შეფასების პროცესი წელიწადში ერთხელ ტარდება სახელმწიფო უწყებების ყველა თანამშრომლისათვის. თუმცა, შეფასების სისტემა არ ვრცელდება პოლიტიკური თანამდებობის (მაგ. მინისტრი) ან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებზე. გარდა ამისა, განსხვავებული წესები და კრიტერიუმები არსებობს დაბალი დონის საჯარო მოხელეებისა და მენეჯერების შეფასებისთვის.

ამასთან, საჯარო სამსახურის გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და კეთილსინდისიერება უზრუნველყოფილია ისეთი რეგულაციებით, რომლებიც შემდეგ უფლებებსა და ვალდებულებებს ითვალისწინებენ: ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებას, საჯარო ინფორმაციის გამომხივებისა და განცხადებაზე 10 დღის ვადაში პასუხის მიღების უფლებას (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის N2181 თავი III, მიღებულია: 25/06/1999, გამოქვეყნებულია: 15/07/1999, კონსოლიდირებული ვერსია: 31/10/2018)¹⁵³ და საქართველოს მთავრობის №219 დადგენილება ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ, მიღებულია: 26/08/2013, ძალაში შესვლა: 01/09/2013, კონსოლიდირებული ვერსია: 31/12/2013)¹⁵⁴. „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ (N982, მიღებულია: 17/10/1997, გამოქვეყნდა: 11/11/1997, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018)¹⁵⁵ საქართველოს კანონით გათვალისწინებულია ვალდებულება თანამდებობის პირთა მიერ ფინანსური დეკლარაციების გამოქვეყნების შესახებ, სხვადასხვა საჯარო უწყებების ვალდებულება, გამოაქვეყნონ წლიური ანგარიშები, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით (N1958-II, მიღებულია: 05/02/2014, გამოქვეყნდა: 19/02/2014, ბოლო შესწორება: 31/10/2018)¹⁵⁶ გათვალისწინებული მუნიციპალური ორგანოების მიერ და სავალდებულო ეთიკის კოდექსებით (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ 45-ე შეკითხვა). საბიუჯეტო სახსრების განკარგვის კუთხით ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია შესყიდვების ელექტრონული სისტემით, რომლის მართვასაც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (N1388, მიღებულია: 20/04/2005, გამოქვეყნებულია: 18/05/2005, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018)¹⁵⁷ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ახორციელებს დამოუკიდებელი ორგანო – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. სახელმწიფო უწყებების, მათზე დაქვემდებარებული ერთეულებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფინანსურ ანგარიშვალდებულებაზე ზედამხედველობას „სახელმწიფო აუდიტის შესახებ“ (N880, მიღება და გამოქვეყნება: 15/01/2009, კონსოლიდირებული ვერსია: 05/09/2018)¹⁵⁸ საქართველოს კანონის თანახმად ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ 57-ე შეკითხვა.

-
153. მე-3 თავი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის N2181, მიღებულია: 25/06/1999, გამოქვეყნდა: 15/07/1999, კონსოლიდირებული ვერსია: 31/10/2018, ხელმისაწვდომია ქართულად: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=27>
154. საქართველოს მთავრობის 219 დადგენილება „ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“, მიღებულია: 26/08/2013, ძალაში შესვლა: 01/09/2013, კონსოლიდირებული ვერსია: 31/12/2013, კონსოლიდირებული ინგლისური ვერსია: <https://matsne.gov.ge/en/document/view/2001875?publication=1>
155. „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით (N982, მიღებულია: 17/10/1997, გამოქვეყნდა: 11/11/1997, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018) ხელმისაწვდომია ქართულად: <http://bit.ly/2S4e7oo>
156. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, (N1958-II, მიღებულია: 05/02/2014, გამოქვეყნდა: 19/02/2014, კონსოლიდირებული ვერსია: 31/10/2018),
157. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ N1388, მიღებულია: 20/04/2005, გამოქვეყნებულია: 18/05/2005, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018) ხელმისაწვდომია ქართულად: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31252?publication=68>
158. საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ N880, მიღებული და გამოქვეყნებულია 15/01/2009, კონსოლიდირებული ვერსია (ბოლო ცვლილება 05/09/2018) ხელმისაწვდომია ქართულად: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/17506?publication=15>

44 რა ზომები მიიღება კორუფციის, როგორც ძვირფასი დანაშაულის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად (მაგ. კამპანიები, მედია და ტრენინგები)? ვინ არის პასუხისმგებელი ცნობიერების ამაღლებაზე?

იუსტიციის სამინისტროს ანტიკორუფციული საბჭო არის კორუფციის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გამტარებელი ძირითადი მაკოორდინირებელი ორგანო, რომელიც შეიმუშავებს და ახორციელებს ეროვნულ ანტიკორუფციულ სტრატეგიასა და მის თანამდევსამოქმედო გეგმას (საბჭოს შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ 36-ე შეკითხვა). 2017-2018 წლების ანტიკორუფციულ სტრატეგიაში (2017-2018 წლების ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია დამტკიცებულია 2017 წლის 27 სექტემბრის N443 ბრძანებით)¹⁵⁹ გამოყოფილია 16 პრიორიტეტული მიმართულება, რომელთაგან ერთ-ერთია „განათლება და ცნობიერების ამაღლება კორუფციის პრევენციის მიზნით.“ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მოქალაქეებთან კომუნიკაციის ნაკლებობა კორუფციასთან ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა და აღნიშნავს, რომ სასურველია, განხორციელდეს:

- კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება, მათ შორის – არსებული გამოწვევების შესახებ;
- კორუფციასთან დაკავშირებულ საკითხებზე საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის შემუშავება;
- საგანმანათლებლო დაწესებულებაში კორუფციასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლება;
- საზოგადოების ინფორმირება ფარგლების, არსებული რისკებისა და კორუფციის საფრთხეების შესახებ;
- იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე ანტიკორუფციული საბჭოს ბანერის დამატება;
- ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავება და საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა განხორციელების პროცესში.

2017-2018 წლების სამოქმედო გეგმაში¹⁶⁰ ცნობიერების ასამაღლებლად გამოსაყენებელი მეთოდოლოგია მოიცავს ტრენინგების ჩატარებას, თემატურ კონფერენციებს, საჯარო ლექციებს და სანიფორმაციო შეხვედრებს შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან, ისევე, როგორც შეხვედრებს საქართველოს მასშტაბით შესაბამის სამიზნე ჯგუფებთან (მაგ.: სტუდენტებთან), ასევე ანგარიშებისა და სახელმძღვანელოების გამოქვეყნებას და მედია საშუალებების გამოყენებას. თემატური სფეროების თვალსაზრისით დაგეგმილია ცნობიერების ამაღლების შემდეგი ღონისძიებები: ტრენინგები ეთიკისა და საჯარო სექტორში ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ, საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირების ცნობიერების ამაღლება ინფორმაციის თავისუფლების რეგულაციებთან დაკავშირებით, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ანტიკორუფციული საბჭოს საქმიანობის შესახებ, იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდის განახლება, მოსამართლეთა კორუფციის საკითხებზე ტრენინგის მოდულის შემუშავება, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს (SPA) კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება და გამოქვეყნება.¹⁶¹ იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული „საქართველოს 2017-2018 წლების ეროვნული ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის

159. საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია 2017-2018 დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 სექტემბრის 443 დადგენილებით. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ხელმისაწვდომია ინგლისურად: <http://justice.gov.ge/Ministry/Index/174>

160. საქართველოს ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა 2017-2018 წლებისთვის, ნაწილობრივ ხელმისაწვდომია ინგლისურად, ბიუჯეტი მოცემულია ქართულად: <http://justice.gov.ge/Ministry/Index/174>

161. 2017-2018 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა, პროგრესის მონიტორინგის ჩარჩო: <http://justice.gov.ge/Ministry/Index/288>

განხორციელების მონიტორინგის ანგარიში¹⁶² თანახმად საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის მიღების დაგვიანების გამო ანტიკორუფციულ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული მიზნობრივი ღონისძიებები 2017 წელს არ განხორციელებულა.

45 არსებობს თუ არა ეფექტიანი ქცევის კოდექსები და სხვა შესაბამისი ზომები, რომლებიც ზრდიან სოციალურ პასუხისმგებლობას კერძო სექტორში კორუფციული პრაქტიკის პრევენციისთვის? როგორ ხდება აღნიშნული კოდექსების აღსრულება?

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (N2287, მიღებულია: 22/07/1990, გამოქვეყნებულია: 13/08/1990, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018)¹⁶³ მოცემულია მუხლები, რომლებიც კერძო სექტორში კორუფციის კრიმინალიზაციას ახდენენ (დამატებითი ინფორმაციის იხილეთ შეკითხვა 50-ე), არ არსებობს მთლიანი სექტორისთვის სავალდებულო რაიმე რეგულაცია კორუფციის პრევენციის მიზნით, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად, ქცევის კოდექსების ან კონკრეტული რეგულაციების მიღებასთან დაკავშირებით. მხოლოდ საფონდო ბირჟაზე მოვაჭრე კომპანიებს ეკისრებათ ვალდებულება, დაიცვან კეთილსინდისიერების წესები (საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ N1745, მიღებულია: 24/12/1998, გამოქვეყნდა: 14/01/1999, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018).¹⁶⁴

მეორე მხრივ, არსებობს გარკვეული ღონისძიებები კერძო სექტორის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. კომპანიის სარეგისტრაციო მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია, ხოლო ანგარიშვალდებულების ზომები ძირითადად შიდა ხასიათისაა (მაგ. გამგეობის წინაშე ანგარიშვალდებულება). ფინანსური სექტორი გამოირჩევა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე რეგულირებული სექტორი, რომელსაც ზედამხედველობს საქართველოს ეროვნული ბანკი, კერძოდ, სხვა ფუნქციებთან ერთად, უზრუნველყოფს სამომხმარებლო უფლებების დაცვასა და ტრანზაქციების მონიტორინგს ფულის გათეთრების შემთხვევების დეტექტირების მიზნით. თუმცა, ეროვნული ბანკის კომპეტენციები არ მოიცავს მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ დაწესებულებებში კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობას. ანალოგიურად, არსებობს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებული ვალდებულებები იმ კერძო კომპანიებისთვის, რომლებზე ზედამხედველობასაც ახორციელებს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისია (სემეკი). მიუხედავად იმისა, რომ სემეკი აწარმოებს კომპანიებზე ზედამხედველობას მათი კვარტალური ანგარიშების მიღებისა და პარლამენტში წარდგენით,¹⁶⁵ ისევე, როგორც მომხმარებლების უფლებების დაცვით, იგი არ ავალდებულებს ლიცენზირებულ კომპანიებს, დაიცვან ეთიკის ან სხვა რაიმე ქცევის კოდექსი.

აღსანიშნავია, რომ კერძო სექტორში კორუფციის პრევენცია 2017–2018 წლების ანტიკორუფციული სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ბიზნესომბუდსმენი შეუერთდა აღნიშნულ ძალისხმევას

162. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, „2017–2018 წლების ანტიკორუფციული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში“, 2017, <http://justice.gov.ge/Ministry/Index/288>

163. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;

164. საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ N1745, მიღებულია: 24/12/1998, გამოქვეყნდა: 14/01/1999, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018) ხელმისაწვდომია კონსოლიდირებული ვერსია ქართულად და წინა ვერსიები ინგლისურად: <https://matsne.gov.ge/en/document/view/18196?publication=28>

165. საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მარტის დადგენილება N6 „საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“, <http://gnerc.org/ge/about/debuleba>

და 2017-2018 წლების ანტიკორუფციულ სამოქმედო გეგმაში ვალდებულებები აიღო, როგორც პასუხისმგებელმა უწყებამ. მონიტორინგის ანგარიშის თანახმად¹⁶⁶ 2017 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ შესყიდვების კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანასა და ბიზნესის კეთილსინდისიერებაზე ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებით ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან გამართა შეხვედრები. ღონისძიებებში შედიოდა მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის გამართული კონფერენცია „ჯანსაღი კონკურენცია და ბიზნესის კეთილსინდისიერება – როგორც აუცილებელი ელემენტი მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის.“

36

კორუფციის პრევენციის რა ზომები, მიდგომები და სტრატეგიები არსებობს? როგორია მათი იმპლემენტაციის პრაქტიკული გამოცდილება? მიმოიხილეთ ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო.

კორუფციის პრევენცია არის რთული პროცესი და გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდისათვის საჭირო ზომების იმპლემენტაციისთვის მოითხოვს სამთავრობო დონეზე სხვადასხვა დანიტერესებული მხარის ჩართულობას. კორუფციის პრევენციული ღონისძიებების კოორდინაციის მთავარი ორგანოა იუსტიციის სამინისტროს ანტიკორუფციული საბჭო. საბჭო იღებს აღნიშნული მიმართულებით ქვეყნის ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტებს, ანტიკორუფციულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას. ვინაიდან საბჭო უწყებათაშორისი ორგანოა, სტრატეგია და სამოქმედო გეგმა მოიცავს მრავალ მიმართულებასა და სხვადასხვა განმახორციელებელ სახელმწიფო სტრუქტურას. საბჭოს საქმიანობის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ 37-ე შეკითხვა.

როგორც 36-ე შეკითხვაშია აღნიშნული, ანტიკორუფციული სტრატეგია ითვალისწინებს პრიორიტეტებს კორუფციის როგორც სიტუაციური, ისე – სოციალური პრევენციისთვის.¹⁶⁷ აღნიშნული კითხვარი ფარავს სტრატეგიაში იდენტიფიცირებული თითოეული პრიორიტეტული მიმართულებისთვის მნიშვნელოვანი მიდგომებისა და ზომების უმეტესობას.

კონკრეტული მიმართულებების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ შემდეგი შეკითხვები:

1. კორუფციის პრევენციის მიზნით ეფექტიანი უწყებათაშორისი კოორდინაცია – სტრატეგია ასახავს გაუმჯობესებული უწყებათაშორისი კოორდინაციის გრძელვადიან მიზნებს (შეკითხვა 37-ე);
2. კორუფციის პრევენცია საჯარო სამსახურში – სტრატეგია მიზნად ისახავს ეფექტიანი, გამჭვირვალე, ხარისხიანი, პოლიტიკურად ნეიტრალური და პროფესიულ სტანდარტებზე დაფუძნებული საჯარო სამსახურის შექმნას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კორუფციასთან დაკავშირებული რისკების მინიმუმამდე შემცირებას და საჯარო სამსახურისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებას (კითხვები 37-ე, 38-ე, 40-43-ე აღწერს საჯარო სამსახურის შესახებ კანონებს, საჯარო სამსახურის ბიუროს მუშაობას, ფინანსური დეკლარაციების მონიტორინგს, ტრენინგებს და სხვა);
3. ღიაობა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მოქალაქეთა ჩართულობა კორუფციის

166. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, “2017-2018 წლების ანტიკორუფციული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში,” 2017, <http://justice.gov.ge/Ministry/Index/288>

167. საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია 2017-2018 დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 სექტემბრის 443 დადგენილებით. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ხელმისაწვდომია ინგლისურად: <http://justice.gov.ge/Ministry/Index/174>

წინააღმდეგ ბრძოლაში – ამ მიმართულებით სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მიზანია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი ნორმების გადახედვისა და აღნიშნული ნორმების პრაქტიკაში იმპლემენტაციის გზით ისევე, როგორც გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდით (შეკითხვა 56-ე);

4. განათლება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება კორუფციის პრევენციის მიზნით – გრძელვადიანი მიზნებია კორუფციის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, არსებული ანტიკორუფციული რეფორმების, მიღწევებისა და არსებულ გამოწვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოების ჩართვა (შეკითხვა 44-ე);
5. კორუფციის პრევენცია სამართალდამცავ ორგანოებში – კორუფციისგან თავისუფალი სამართალდამცავი ორგანოების ჩამოყალიბება, კორუფციული დანაშაულების ეფექტიანი გამოვლენა და ამგვარი დანაშაულის გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნისათვის ნათელი და ზუსტი პროცედურების იმპლემენტაცია (კითხვები 37-ე, 38-ე და 52-ე);
6. კორუფციის პრევენცია სასამართლო სისტემაში – ძირითადი მიზნებია კორუფციის მინიმალური რისკის მქონე, დამოუკიდებელი, სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემის მიღება, მოსამართლედ დანიშვნისა და დაწინაურების გამჭვირვალე პროცედურების შემუშავება და მოსამართლეთა კეთილსინდისიერების გაუმჯობესება (დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ მართლმსაჯულების თავი 23-ე);
7. კორუფციის პრევენცია საჯარო ფინანსებისა და სახელმწიფო შესყიდვების სფეროში – მიზანია სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გაუმჯობესება შესაბამისი კანონმდებლობის გაუმჯობესებით, გამჭვირვალობის მაღალი ხარისხის შენარჩუნებისა და დისკრიმინაციისა და ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო შესყიდვების პროცესის, ასევე საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესება (კითხვა 57-ე);
8. კორუფციის პრევენცია საბაჟო და საგადასახადო სისტემაში – მიზნად ისახავს საბაჟო და საგადასახადო სისტემების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას და კორუფციული გარიგების აღბათობის მინიმუმამდე დაყვანას დისკრეციისა და ინტერპრეტაციის ხარისხის შემცირებით;
9. კორუფციის პრევენცია კერძო სექტორში – მიზნად ისახავს კერძო სექტორში კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობისა და კონკურენციის ხელშეწყობას, კორპორაციული მართვის გამჭვირვალე პრინციპების დამკვიდრებას და კორუფციის რისკების შემცირებას ბიზნესის კეთილსინდისიერების თანამედროვე მექანიზმების წახალისების გზით, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებასა და ეკონომიკურ ზრდას (კითხვები 45-ე, 50-ე, 53-ე);
10. კორუფციის პრევენცია ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სექტორში – მიზნად ისახავს ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სისტემაში კორუფციის რისკების შემცირებასა და ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების, სახელმწიფო გასაცემლებისა და ბავშვებზე ზრუნვის ადმინისტრირების, მონიტორინგისა და შეფასების გამჭვირვალე და ეფექტური მექანიზმის შემუშავებას;
11. პოლიტიკური კორუფციის პრევენცია – მიზნად ისახავს პოლიტიკური პარტიების დაფინანსებისა და ხარჯების გამჭვირვალობის მაღალი ხარისხის მიღწევასა და კორუფციული პრაქტიკის მინიმუმამდე დაყვანას (შეკითხვა 54-ე, 55-ე);
12. კორუფციის პრევენცია თავდაცვის სექტორში – მიზნად ისახავს თავდაცვის სექტორში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდას, ფინანსური მართვისა და შესყიდვების პროცედურების დახვეწასა და კორუფციის რისკების შემცირების კუთხით თავდაცვის სექტორში მომუშავე საჯარო მოხელეებისა და სამხედრო მოსამსახურეების ცნობიერების ამაღლებას (კითხვა 38-ე);

13. კორუფციული რისკების შემცირება მარეგულირებელ ორგანოებში – სტრატეგიის მიზანია კორუფციის პრევენციის უზრუნველსაყოფად ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების ინსტიტუციური გაძლიერება, მათი საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა.

ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის გარდასხვადასხვა სექტორში არსებობს კორუფციის აღმოფხვრის რამდენიმე მნიშვნელოვანი სტრატეგია. 2017 წელს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ (შემდგომში – ინფრასტრუქტურის სამინისტრო) პირველი სექტორული ანტიკორუფციული სტრატეგია დაამტკიცა. ვინაიდან, ინფრასტრუქტურის სამინისტრო მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს ზედამხედველობს, ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამთავრობო უწყებაა, რომელშიც გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების მაღალი სტანდარტის მიღწევისთვის ანტიკორუფციული მიდგომები უნდა დაინერგოს. ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მინისტრის N69/ო ბრძანებით¹⁶⁸ დაამტკიცა გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. სტრატეგიაში მოცემულია ოთხი ძირითადი მიზანი: 1) გამჭვირვალობისა და საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა; 2) ეთიკისა და კეთილსინდისიერების მექანიზმების გაუმჯობესება; 3) ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება; 4) დაგეგმვის, მონიტორინგის და შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის დახვეწა. სამოქმედო გეგმა ოთხ ექვსთვიან ფაზას მოიცავს და თითოეულ მიზანთან მიმართებით კონკრეტულ აქტივობებს მოიაზრებს. სამოქმედო გეგმა ისეთ აქტივობებს მოიცავს, როგორებიცაა ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება და მამხილებელთა დაცვა (სტრატეგიის დამტკიცების შემდგომ მამხილებელთა გვერდის ბმული სამინისტროს მიერ დაქვემდებარებული უწყებების ვებგვერდებს დაემატა).

ამასთანავე, საქართველოს მთავრობამ 236-ე დადგენილებით დაამტკიცა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (მიღებულია: 18/03/2014, გამოქვეყნებულია: 19/03/2015, კონსოლიდირებული ვერსია: 24/01/2017).¹⁶⁹ სტრატეგია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიდგომის შემუშავებასა და მის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებას ისახავს მიზნად. დოკუმენტი სასამართლოსთვის სისტემისთვის, ძალოვანი სტრუქტურებისა და სხვა საზედამხედველო უწყებებისთვის კორუფციული დანაშაულის შესახებ ტრენინგებს მოიაზრებს.

სასამართლოს ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2017–2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგია დაამტკიცა.¹⁷⁰ სტრატეგია სასამართლოს საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით რამდენიმე მიმართულებას განმარტავს. ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების სტრატეგიული მიმართულების ქვეშ რამდენიმე გამოწვევა არის დაკონკრეტებული, მათ შორის: სასამართლო სისტემაში ეთიკის ნორმების გაუმჯობესება, დისციპლინური ზომები და ასევე, სასამართლოს ანგარიშებისა და შესაბამისი ინფორმაციის რეგულარულად გამოქვეყნება. სტრატეგია მოიაზრებს ისეთ პრევენციულ ზომებს, როგორებიცაა ტრენინგები დისციპლინური გადაცდომების რაოდენობის შემცირების მიზნით, ასევე „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისი ქონებრივი დეკლარაციების

168. საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2017 წლის 26 აპრილის N69 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა,“ ხელმისაწვდომია ქართულად: https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/anticorruption/Order_1.pdf; https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/anticorruption/Annex_to_order_1.pdf

169. საქართველოს მთავრობის დადგენილება N236 „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესახებ“ (მიღებულია 18/03/2014, გამოქვეყნებულია 19/03/2014, კონსოლიდირებული ვერსია: 24/01/2017): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2284180?publication=3>

170. 2017–2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგია, მიღებულია 2017 წელს: <http://hcoj.gov.ge/files/saertashoriso/sასამართლო%20სისტემის%20სტრატეგია.pdf>

გამოქვეყნების ეფექტური სისტემის დანერგვა (N982, მიღებულია: 17/10/1997, გამოქვეყნებულია: 11/11/1997, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018).

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების, მთავრობის ანგარიშვალდებულების გაზრდისა და მოქალაქეების მოსაზრებების მიღების მიზნით სხვადასხვა სამთავრობო უწყებას აქვს ონლაინ პლატფორმები, მათ შორის:

- Budgetmonitor.ge - ბიუჯეტის მონიტორს სახელმწიფო აუდიტის სამსახური მართავს. პლატფორმაზე მოცემულია დეტალური ინფორმაცია აუდიტის დასკვნებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, მათ შორის: მაკროეკონომიკური ინდიკატორები, სახელმწიფო ვალი, სხვადასხვა დაწესებულების ხარჯები (ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე) და სხვა. ამასთან, პლატფორმა საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, განცხადებები და წინადადებები გააგზავნონ კორუფციის სავარაუდო შემთხვევებისა და აუდიტის წლიური გეგმის შესახებ;
- Data.gov.ge – პლატფორმა სხვადასხვა სამთავრობო უწყების მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციას უცრის თავს, მათ შორის – სტატისტიკური მონაცემებსა და ანგარიშებს;
- My.gov.ge — არის პერსონალური პლატფორმა, რომელზეც მოქალაქე პირადობის მოწმობის საშუალებით, ან იუსტიციის სახლში აღებული მომხმარებლის ინფორმაციის გამოყენებით რეგისტრირდება. პლატფორმაზე მოქალაქეს ისეთ ინფორმაციაზე აქვს წვდომა, რომელიც მის შესახებ სამთავრობო უწყებებს გააჩნიათ. პლატფორმა მოქალაქეს აძლევს საშუალებას, აღნიშნული ინფორმაცია გამოითხოვოს ელექტრონულად ან წერილობით. ამასთანავე, მოქალაქეს შეუძლია, გამოითხოვოს საჯარო ინფორმაცია, დაარეგისტრიროს ბიზნესი და სხვა;
- Procurement.gov.ge — სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო პლატფორმაზე ისეთ ინფორმაციას აქვეყნებს, როგორცაა გამოცხადებული და დასრულებული ტენდერები და კომპანიების მიერ მოწოდებული თანხმობები დოკუმენტაცია (დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ შეკითხვა 57-ე);
- Matsne.gov.ge — საკანონმდებლო მაცნე ონლაინ პლატფორმაა, სადაც ქვეყნდება კანონები, ნორმატიული აქტები, სტრატეგიები და საჯარო უწყებების მიერ დამტკიცებული დოკუმენტები;
- Napr.gov.ge — სახელმწიფო ქონების რეესტრია, რომლის მეშვეობით მოქალაქეს საკუთარ ქონებასთან დაკავშირებული სერვისების მიღება შეუძლია, მათ შორის – ქონების საკადასტრო ნახაზისა და სხვა ოფიციალური დოკუმენტების მიღება;
- Rs.ge — არის შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდი, რომლის მეშვეობით მოქალაქეების გადასახადის გადახდა შეუძლიათ;
- მუნიციპალური ვებგვერდები - თითქმის ყველა მუნიციპალურ ორგანოს (საქართველოში 64 მუნიციპალიტეტია და ყოველ მათგანს აქვს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანო) ვებგვერდი გააჩნია, რომელზეც ქვეყნდება სხვადასხვა ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობასთან დაკავშირებით, მათ შორის: საკრებულოს სხდომის ოქმები, პროგრამები, სიახლეები და სხვა. ვებგვერდები არ არის სტანდარტიზებული, რის გამოც მუნიციპალიტეტები არაერთგვაროვან ინფორმაციას აქვეყნებენ. 2017 წელს რამდენიმე სამოქალაქო ორგანიზაციამ მუნიციპალური ვებგვერდები შეაფასა ისეთი კრიტერიუმების მიხედვით, როგორებიცაა: ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ანგარიშვალდებულება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის შესაძლებლობები. შედეგების მიხედვით განისაზღვრა ადგილობრივი აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების რანჟირება.¹⁷¹

171. ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი 2017, ბოლო ვიზიტი: 1 დეკემბერი, 2018, <http://www.lsgindex.org/>

ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო

47 გთხოვთ, წარმოადგინოთ მოკლე ინფორმაცია საკანონმდებლო ჩარჩოსა და სხვა წესებზე, რომლებიც ამ სფეროს არეგულირებს.

საქართველოში მრავალი საკანონმდებლო აქტი არსებობს, რომელიც კორუფციის პრევენციას უზრუნველყოფს ისეთი კონკრეტული ზომებით, როგორებიცაა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგი და რეგულაციები „მბრუნავი კარის“ პრევენციისთვის, რომელიც ინდივიდების კერძო და საჯარო სექტორებს შორის მოძრაობას გულისხმობს. შეზღუდვებს აწესებს და ასევე, კანონმდებლობა საჯარო სექტორში გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ამასთანავე, საქართველო რიგი იმ საერთაშორისო შეთანხმებების ხელმომწერი ქვეყანაა, რომელთაც სავალდებულო ხასიათი აქვს. ქვეყნისა და საერთაშორისო კანონებს შორის იერარქიის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ შეკითხვა 49-ე. საქართველოს მიერ ხელმოწერილ საერთაშორისო შეთანხმებებზე მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ შეკითხვა 58-ე.

ეროვნული კანონმდებლობა:

- საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ (N982, მიღებულია: 17/10/1997, გამოქვეყნებულია: 11/11/1997, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018).¹⁷² ასევე, თანმხლები სახელმძღვანელო დოკუმენტი, როგორიცაა სახელმძღვანელო მამხილებელთა დაცვის შესახებ¹⁷³ (დეტალური ინფორმაციისთვის, იხილეთ კითხვარის 48-ე შეკითხვა);
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ (N4346, მიღებულია: 27/10/2015, გამოქვეყნებულია: 11/11/2015, კონსოლიდირებული ვერსია: 05/09/2018);¹⁷⁴
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (N1388, მიღებულია: 20/04/2005, გამოქვეყნებულია: 18/05/2005, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018);¹⁷⁵
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ (N880, მიღებული და გამოქვეყნებულია: 15/01/2009, კონსოლიდირებული ვერსია: 05/09/2018);¹⁷⁶
- საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ (N5669, მიღებულია: 28/12/2011, გამოქვეყნებულია: 16/01/2012, კონსოლიდირებული ვერსია: 20/09/2018);¹⁷⁷
- კანონმდებლობა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, მათ შორის: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თავი III (N2181, მიღებულია: 25/06/1999,

172. საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ N982 (მიღებულია 17/10/1997, გამოქვეყნებულია 11/11/1997, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018): <http://bit.ly/2S4e7oo>

173. სახელმძღვანელო მამხილებელთა დაცვის შესახებ, 2015: <https://mkhileba.gov.ge/src/files/mkhileba.pdf>

174. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ N4346-ის (მიღებული 27/10/2015, გამოქვეყნებულია 11/11/2015, კონსოლიდირებული ვერსია: 05/09/2018): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3031098?publication=14.N%DOCUMENT:1>

175. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ N1388 (მიღებულია 20/04/2005, გამოქვეყნებულია 18/05/2005, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31252?publication=68>

176. საქართველოს კანონი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ N880 (მიღებული და გამოქვეყნებულია 15/01/2009, კონსოლიდირებული ვერსია: 05/09/2018): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/17506?publication=15>

177. საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ N5669-ის (მიღებულია 28/12/2011, გამოქვეყნებულია 16/01/2012, კონსოლიდირებული ვერსია: 20/09/2018): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437?publication=15>

გამოქვეყნებულია: 15/07/1999, კონსოლიდირებული ვერსია: 31/10/2018),¹⁷⁸ და საქართველოს მთავრობის დადგენილება N219 „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ (26/08/2013);¹⁷⁹

- საქართველოს კანონი „ლობისტური საქმიანობის შესახებ“ (N1591, მიღებულია: 30/09/1998, გამოქვეყნებულია: 26/10/1998, კონსოლიდირებული ვერსია: 21/12/2016);¹⁸⁰
- ეთიკის კოდექსები და საჯარო სამსახურის ბიუროსა და სხვა სახელმწიფო უწყებების მიერ დამტკიცებული სახელმძღვანელო დოკუმენტები (დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ შეკითხვა 52);
- საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი (N1958-II, მიღებულია: 05/02/2014, გამოქვეყნებულია: 19/02/2014, კონსოლიდირებული ვერსია: 31/10/2018);¹⁸¹
- საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“ (N6148-I, მიღებულია: 08/05/2012, გამოქვეყნებულია: 25/05/2012, კონსოლიდირებული ვერსია: 21/03/2014);¹⁸²
- საქართველოს კანონი „საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ“ (N3612-II, მიღებულია: 28/05/2015, გამოქვეყნებულია: 04/06/2015, კონსოლიდირებული ვერსია: 22/12/2017);¹⁸³
- საქართველოს საარჩევნო კოდექსი (N5636, მიღებულია: 27/12/2011, გამოქვეყნებულია: 10.01.2012, კონსოლიდირებული ვერსია: 31/10/2018);¹⁸⁴
- საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ (N1028, მიღებულია: 31/10/1997, გამოქვეყნებულია: 21/11/1997, კონსოლიდირებული ვერსია: 20/09/2018).¹⁸⁵

48

რა ანტიკორუფციული კანონმდებლობა არსებობს? რომელი უწყებები ადასრულებენ მათ და როგორ? მოიცავს თუ არა არსებული კანონმდებლობა კორუფციის პრევენციის შესახებ დებულებებს?

საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ (N982 მიღებულია: 17/10/1997, გამოქვეყნებულია: 11/11/1997, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018)¹⁸⁶

-
178. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თავი III N2181 (მიღებულია: 25/06/1999, გამოქვეყნებულია: 15/07/1999, კონსოლიდირებული ვერსია: 31/10/2018): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=27>
179. საქართველოს მთავრობის დადგენილება N219 „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“, მიღებულია: 26/08/2013, <http://bit.ly/2SmFv0c>
180. საქართველოს კანონი ლობისტური საქმიანობის შესახებ N1591 (მიღებულია: 30/09/1998, გამოქვეყნებულია: 26/10/1998, კონსოლიდირებული ვერსია: 21/12/2016): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/13552?publication=6>
181. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი N1958-III (მიღებულია: 05/02/2014, გამოქვეყნებულია: 19/02/2014, კონსოლიდირებული ვერსია: 31/10/2018): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=39>
182. საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ N6148-ს (მიღებულია: 08/05/2012, გამოქვეყნებულია: 25/05/2012, კონსოლიდირებული ვერსია: 21/03/2014): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450?publication=4>
183. საქართველოს კანონი საქართველოს კანონი საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ N3612-III (მიღებულია: 28/05/2015, გამოქვეყნებულია: 04/06/2015, კონსოლიდირებული ვერსია: 22/12/2017): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2860205?publication=3>
184. საქართველოს საარჩევნო კოდექსი N5636-რს (მიღებულია: 27/12/2011, გამოქვეყნებულია: 10.01.2012, კონსოლიდირებული ვერსია: 31/10/2018): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=49>
185. საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ N1028 (მიღებულია: 31/10/1997, გამოქვეყნებულია: 21/11/1997, კონსოლიდირებული ვერსია: 20/09/2018): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28324?publication=27>
186. „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით N982 (მიღებულია: 17/10/1997, გამოქვეყნდა: 11/11/1997 კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018) ხელმისაწვდომია ქართულად: <http://bit.ly/2S4e7oo>

განმარტავს კორუფციას და საკანონმდებლო საფუძველს უყრის საჯარო სამსახურში კორუფციის გასაჯაროებასა და პრევენციას. კანონის ამუშავების დროს, რომელმაც წლების განმავლობაში მრავალი ცვლილება განიცადა, ეხება საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე პირდაპირი წესით არჩეულ და დანიშნულ პირებს, მათ შორის საქართველოს პრეზიდენტს, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მმართველ პოზიციებზე მომუშავე პირებს, საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლებს, მინისტრებს, მინისტრის მოადგილეებსა, აღმასრულებელი შტოს სხვა მმართველ პოსტებს, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების ხელმძღვანელებს, მათ შორის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოებს, გუბერნატორებს, მოსამართლეებსა და მმართველ პოზიციებზე მომუშავე პროკურორებს.¹⁸⁷ მოსამართლეებისგან განსხვავებით კანონი არ ეხება ყველა პროკურორს, არამედ მხოლოდ მაღალი თანამდებობის მქონე პროკურორებს. იქედან გამომდინარე, რომ ქვეყანაში არ არსებობს ცალკე მდგომი ანტიკორუფციული ორგანო, აღნიშნული კანონის დებულებებს სხვადასხვა საჯარო უწყება ახორციელებს, მათ შორის: საჯარო სამსახურის ბიურო (CSB), საჯარო უწყებების ადამიანური რესურსებისა და გენერალური ინსპექციის დეპარტამენტები, სასამართლოები, საქართველოს მთავარი პროკურატურა და სხვა (ანტიკორუფციულ უწყებებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ შეკითხვები 37-ე და 38-ე).

აღნიშნული კანონი საჯარო მოხელეების კეთილსინდისიერებას უზრუნველყოფს და მოიცავს დებულებებს კორუფციის პრევენციის, იდენტიფიკაციისა და აღმოფხვრის მიზნით. კანონის მიხედვით კორუფცია საჯარო სამსახურში არის „საჯარო მოსამსახურის მიერ თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენება კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით, აგრეთვე მისთვის ამ სიკეთის გადაცემა ან მის მიღებასა და დაკანონებაში ხელის შეწყობა.“¹⁸⁸ კანონი არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: თანამდებობრივი შეუთავსებლობა, საჯარო მოხელეთა ზოგადი ქცევის წესები, ქონებრივი დეკლარაციების შევსების ვალდებულება, მამხილებელთა დაცვა და საჩუქრების ლიმიტები და მათი დეკლარირების ვალდებულება, თუ საჩუქარი არ ჯდება კანონით დაშვებულ ნორმებში (მამხილებელთა დაცვასა და ქონებრივ დეკლარაციებზე დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შეკითხვა 42-ე და 51-ე). საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ (N4346, მიღებულია: 27/10/2015, გამოქვეყნებულია: 11/11/2015, კონსოლიდირებული ვერსია: 05/09/2018)¹⁸⁹ მიხედვით კანონის „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ“ დარღვევა შესაძლოა, საჯარო მოხელის დათხოვნის მიზნით გახდეს.

კანონი საჯარო მოსამსახურის მიერ საჩუქრის მიღების უფლებაზე შემლუდვებს აწესებს. კანონის მე-5 მუხლით თანახმად „საჩუქარი“ განიშარტება, როგორც „საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება ან გაწეული მომსახურება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება, რომელიც წარმოადგენს საერთო წესიდან გამონაკლისს.“ საჯარო მოსამსახურის მიერ ერთ წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მისი წლიური ანაზღაურების 15%-ს, ხოლო თითოეული საჩუქრის ღირებულება მისი ანაზღაურების 5%-ს არ უნდა სცდებოდეს, თუ ეს საჩუქრები ერთი წყაროდან არ არის მიღებული. კანონი ასევე საჯარო მოსამსახურის ოჯახის წევრების მიერ მიღებულ საჩუქრებზე აწესებს შემლუდვებს, კერძოდ: „საჯარო მოსამსახურის ოჯახის თითოეული წევრის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება ოჯახის თითოეულ წევრზე

187. საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“;

188. თავი I, მუხლი მე-3, საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, ამოღებულია ინგლისური ვერსიიდან: <http://csb.gov.ge/uploads/745748.pdf>

189. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ N4346-ის (მიღებულია: 27/10/2015, გამოქვეყნებულია: 11/11/2015, კონსოლიდირებული ვერსია: 05/09/2018): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3031098?publication=14№DOCUMENT:1>

არ უნდა აღემატებოდეს 1 000 ლარს, ხოლო ერთჯერადად მიღებული საჩუქრებისა — 500 ლარს, თუ ეს საჩუქრები მიღებული არ არის ერთი წყაროდან“. აღნიშნული შეზღუდვები კანონის ყველა სუბიექტს შეეხება, მათ შორის არიან: მოსამართლეები, თანამდებობის პირი პროკურორები და პარლამენტის წევრები.

საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ ეგრეთ წოდებული „მბრუნავი კარის“ ფენომენის პრევენციას ისახავს მიზნად, რომელიც ინდივიდების კერძო და საჯარო სექტორებს შორის მოძრაობას გულისხმობს და კორუფციულ რისკს წარმოადგენს. კანონის მიხედვით (თავი III, მუხლი მე-13, პუნქტი მე-10) საჯარო სექტორში თანამდებობის დატოვების შემდეგ საჯარო მოხელეს არ აქვს უფლება, 1 წლის განმავლობაში მუშაობა დაიწყოს იმ საწარმოში ან მიიღოს აღნიშნული საწარმოდან ანაზღაურება, რომელსაც თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებისას ბოლო 3 წლის განმავლობაში ზედამხედველობდა. ამასთან, საჯარო მოხელეს არ აქვს უფლება, იმუშაოს ისეთ საწარმოში ან მიიღოს ანაზღაურება აღნიშნული საწარმოდან, რომელსაც ოფიციალური ვალდებულების შესრულებისას ზედამხედველობს. ამავე დროს, მას არ აქვს უფლება, ზედამხედველობა გაუწიოს ისეთ საწარმოებს, რომლებშიც მისი ოჯახის წევრები მმართველ პოზიციებს იკავებენ. მე-10 მუხლი ოჯახის წევრებსა და პარტიასთან გარიგებაში შესვლას უკრძალავს.

საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ (N4346, მიღებულია: 27/10/2015, გამოქვეყნებულია: 11/11/2015, კონსოლიდირებული ვერსია: 05/09/2018)¹⁹⁰ ძირითად დებულებებს შეიცავს კორუფციის პრევენციისა და დამსახურებაზე დაფუძნებული საჯარო სამსახურის ჩამოყალიბების მიზნით. კანონი არეგულირებს საჯარო სამსახურში დასაქმების თანაბარი ხელმისაწვდომობის, საჯარო მოხელის დასაქმების გამჭვირვალობის და საჯარო მოხელეთა დამოუკიდებლობისა და ნეიტრალიტეტის საკითხებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (N2287, მიღებულია: 22/07/1990, გამოქვეყნებულია: 13/08/1990, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018),¹⁹¹ მნიშვნელოვან ანტიკორუფციულ დებულებებს შეიცავს, მათ შორის – კორუფციის დეფინიციას, რომელიც შეესაბამება ევროპის საბჭოს “კორუფციამდე სისხლის სამართლის კონვენციით” დადგენილ განმარტებას კორუფციის, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულის, შესახებ. სისხლის სამართლის კოდექსი ისეთ დანაშაულს მოიცავს, როგორცაა ქრთამის აღება და ქრთამის მიცემა, გაფლანგვა, ზეგავლენით ვაჭრობა და უცხოეთის ოფიციალური წარმომადგენლისთვის ქრთამის მიცემა. აღნიშნული კანონის აღსრულება შემდეგ სამართალდამცავ უწყებებს ევალებათ: შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და ფინანსთა სამინისტრო. კოდექსის მიერ გათვალისწინებული საკანონმდებლო ჩარჩო, ერთი მხრივ, კორუფციული დანაშაულის დასჯას, ხოლო, მეორე მხრივ, კორუფციის დანაშაულის პრევენციას ემსახურება, რომელიც მკაცრი სანქციებით ისჯება. კონკრეტულ დებულებებსა და სანქციებზე დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ 50-ე შეკითხვა.

კორუფციასთან ბრძოლის, საჯარო სამსახურის გამჭვირვალობისა და საჯარო უწყებების ანგარიშვალდებულების შესახებ კანონმდებლობაზე დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ კითხვარის 47-ე შეკითხვა.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ მრავალ მნიშვნელოვან საჯარო უწყებასა და პოზიციას ეხება, ის არ ეხება პროკურორების დიდ ნაწილს, რაც ხშირად ხდება კრიტიკის საგანი საერთაშორისო და ადგილობრივ შეფასებებში. საკითხს ამწვავებს ის, რომ აღნიშნული გამონაკლისი პროკურორებს

190. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

191. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი N2287 (მიღებულია: 22/07/1990, გამოქვეყნებულია: 13/08/1990, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>

ქონებრივი დეკლარაციის შევსების ვალდებულებისგან ათავისუფლებს. უფრო ვრცელი ანალიზისთვის, იხილეთ კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) საქართველოს შესახებ შეფასების მეოთხე რაუნდის ანგარიში.¹⁹²

კანონის ამჟამინდელი ვერსია ეხება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტსა და საბჭოს წევრებს. ინიცირებულია საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის დამტკიცების შემთხვევაში კანონი საბჭოს წევრებს აღარ შეეხება.¹⁹³ ინიციატივას აკრიტიკებენ ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და აღნიშნავენ, რომ ცვლილება კანონის წინაშე უთანასწორო მოპყრობას გულისხმობს.¹⁹⁴

49 როგორ არის უზრუნველყოფილი ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო კონვენციებს შორის კავშირი?

საქართველოს კონსტიტუციის (N786, მიღებულია: 24/08/1995, გამოქვეყნებულია: 24/08/1995, კონსოლიდირებული ვერსია: 23/03/2018)¹⁹⁵ მე-6 მუხლის I პუნქტის თანახმად „საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია“ და “ყველა სხვა კანონმდებლობა შესაბამისობაში უნდა იყოს კონსტიტუციასთან“. საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ (N1876, მიღებულია: 22/10/2009, გამოქვეყნებულია: 09/11/2009, კონსოლიდირებული ვერსია: 31/10/2018)¹⁹⁶ ნორმატიული აქტების სახეობასა და იერარქიას ადგენს, მათ შორის – საერთაშორისო შეთანხმებებისა და კონვენციების რიგითობას საქართველოს ნორმატიული აქტების სისტემაში. კერძოდ, მე-7 მუხლი ნორმატიულ აქტთა ურთიერთმიმართებას ადგენს.¹⁹⁷ მე-5 პარაგრაფის თანახმად „საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონით [N934, მიღებულია: 16/10/1997, გამოქვეყნებულია: 11/11/1997, კონსოლიდირებული ვერსია: 31/10/2018)¹⁹⁸ დადგენილი მოთხოვნების დაცვით ძალაში შესულ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ კანონს, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.“ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების მომზადების, დადების, რატიფიცირების, გამოქვეყნების, შესრულების, დენონსირებისა და გაუქმების

192. კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO), „საქართველოს შესახებ შეფასების მეოთხე რაუნდი: კორუფციის პრევენცია პარლამენტის წევრებს, მოსამართლეებისა და პროკურორებთან მიმართებაში“ 17 იანვარი 2017, <http://bit.ly/2OwziRE>

193. ინიცირებული ცვლილებები საქართველოს კანონში „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“: <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/150551>

194. ინფორმაციის თავისუფლებისა განვითარების ინსტიტუტი (IDFI), „ეროვნულ ბანკთან დაკავშირებით დაგეგმილი ცვლილებები კორუფციულ რისკებს შეიცავს,“ 30 ივნისი 2017, <http://bit.ly/2CWG50T>

195. საქართველოს კონსტიტუცია, N786 (მიღებულია: 24/08/1995, გამოქვეყნებულია: 24/08/1995, კონსოლიდირებული ვერსია: 23/03/2018) ინგლისურად: <https://matsne.gov.ge/en/document/view/30346?publication=35>

196. საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ (N1876, მიღებულია: 22/10/2009, გამოქვეყნებულია: 09/11/2009, კონსოლიდირებული ვერსია: 31/10/2018): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052?publication=22>

197. მუხლი მე-7, საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;

198. საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ N934, მიღებულია: 16/10/1997, გამოქვეყნებულია: 11/11/1997, კონსოლიდირებული ვერსია: 31/10/2018): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33442?publication=13>

წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით.¹⁹⁹ კონსტიტუციის 65-ე მუხლის თანახმად,²⁰⁰ მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევების უმრავლესობაში საერთაშორისო შეთანხმების რატიფიცირება აუცილებელია, შეთანხმების დებულებების საქართველოს კანონმდებლობაში ძალაში შესვლისთვის სპეციალური ნორმატიული აქტის გამოცემა არ არის საჭირო.

50 კორუფციის, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულის განმარტება საქართველოს კანონმდებლობაში არის თუ არა შესაბამისობაში ევროპის საბჭოს “კორუფციაზე სისხლის სამართლისა” და სამოქალაქო სამართლის კონვენციასთან? რა ტიპის ქმედება არის დასჯადი, როგორც კორუფციული დანაშაული? ისჯება თუ არა ქრთამის აღება და მიცემა? საჯარო თუ კერძო სექტორში? ზეგავლენით ვაჭრობა? უცხოეთის ოფიციალური წარმომადგენლისთვის ქრთამის მიცემა? რა ტიპის სასჯელი არსებობს? (მაგ.: კონფისკაცია, სამსახურიდან დათხოვნა)

საქართველო კორუფციაზე ევროპის საბჭოს სისხლის სამართლისა²⁰¹ და სამოქალაქო სამართლის კონვენციის ხელმძღვანელია.²⁰² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (N2287, მიღებულია: 22/07/1990, გამოქვეყნებულია: 13/08/1990, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018)²⁰³ კორუფციას განმარტავს სისხლის სამართლის დანაშაულს ევროპის საბჭოს “კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენციის” თანახმად. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით შემდეგი ქმედებები სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს: ამომრჩევლის მოსყიდვა (მუხლი 164¹-ე), მითვისება ან გაფლანგვა (მუხლი 182-ე), უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (მუხლი 220-ე), კომერციული მოსყიდვა (მუხლი 221-ე), სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (მუხლი 332-ე), სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (მუხლი 333-ე), სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა (მუხლი 337-ე), ქრთამის აღება (მუხლი 338-ე), ქრთამის მიცემა (მუხლი 339-ე), ზეგავლენით ვაჭრობა (მუხლი 339¹-ე), კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება (მუხლი 340-ე) და სამსახურებრივი სიყალბე (მუხლი 341-ე). ამასთან, GRECO-ს შეფასების მეორე რაუნდის დასკვნებზე დაყრდნობით, ქრთამის აღება/მიცემა და ზეგავლენით ვაჭრობა ისეთ შემთხვევებზეც ვრცელდება, როდესაც დანაშაული მესამე პირის სასარგებლოდ არის ჩადენილი. ასევე, საქართველოს მთავრობამ ხელი მოაწერა კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენციის დამატებით ოქმს,²⁰⁴ რომელიც სხვა სახელმწიფოს არბიტრებისა და

199. მუხლი მე-2, საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ (N1876, მიღებულია: 22/10/2009, გამოქვეყნებულია: 09/11/2009, კონსოლიდირებული ვერსია: 31/10/2018): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052?publication=22>

200. მუხლი 65-ე, საქართველოს კონსტიტუცია N786 (მიღებულია: 24/08/1995, გამოქვეყნებულია: 24/08/1995, კონსოლიდირებული ვერსია: 23/03/2018) ინგლისურად: <https://matsne.gov.ge/en/document/view/30346?publication=35>

201. საქართველოს პარლამენტის დადგენილება N872-რს „კორუფციის შესახებ სისხლის სამართლის კონვენციის დამატებითი ოქმის“ რატიფიცირების თაობაზე (მიღებულია: 27/07/2013, ამოქმედების თარიღი: 01/05/2014): <https://matsne.gov.ge/document/view/1980303?publication=0>

202. საქართველოს პარლამენტის დადგენილება N2109 „კორუფციაზე სამოქალაქო სამართლის კონვენციის“ რატიფიცირების თაობაზე (მიღებულია: 24/04/2003, გამოქვეყნებულია: 15/05/2003): <https://matsne.gov.ge/document/view/41788?publication=0>

203. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი N2287 (მიღებულია 22/07/1990, გამოქვეყნებულია 13/08/1990, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>

204. ევროპის საბჭოს პორტალი, კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენციის დამატებითი ოქმი, შეთანხმების რატიფიცირებისა და ხელმოწერების ცხრილი 191, ვებგვერდზე ვიზიტის თარიღი: 25 ნოემბერი 2018, <http://bit.ly/2DWzXzW>

სხვა სახელმწიფოს ნაფიცი მსაჯულების მოსყიდვას მოიცავს. GRECO-ს რეკომენდაციებისა და მათი განხორციელების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ 58-ე შეკითხვა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად შესაძლოა, გამოყენებული იქნეს შემდეგი სასჯელის სახეები: ჯარიმა, გამასწორებელი სამუშაო, თავისუფლების აღკვეთა, პატიმრობა და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. იურიდიული პირების შემთხვევაში შესაძლო სასჯელის სახეები არის: ლიკვიდაცია, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა და კონფისკაცია. კერძოდ, 338-ე მუხლის თანახმად ქრთამის აღება ისჯება თავისუფლების აღკვეთით 6-დან 9 წლამდე. ამასთან, დამამძიმებელი გარემოებების შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთის ვადა იზრდება 7-დან 11 წლამდე. დამამძიმებელი გარემოებაა, თუ: 1) ქრთამი განსაკუთრებული დიდი ოდენობით იყო აღებული (იგულისხმება 10,000 ლარის ზემოთ, რაც მიახლოებით 3,225 ევროს უდრის); 2) აღებული იქნა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ; 3) აღებული იქნება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

თუ დანაშაული ჩადენილი იქნა არაერთგზის, გამოძალვით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ ან განსაკუთრებით დიდი ოდენობით (იგულისხმება 30,000 ლარის ზემოთ, რაც დაახლოებით 9,677 ევროს უდრის), თავისუფლების აღკვეთის ვადა იზრდება 11-დან 15 წლამდე.

ქრთამის მიცემა (მუხლი 339-ე) ისჯება: ჯარიმით, გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე, თავისუფლების შემღუღვით ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე. ქრთამის მიცემა ჩადენილი უკანონო ქმედების ჩადენის მიზნით ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით 4-დან 7 წლამდე. იგივე დანაშაული ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ ისჯება თავისუფლების აღკვეთით 5-დან 8 წლამდე. ქრთამის მიმცემი თავისუფლება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუ მან ამის თაობაზე ნებაყოფლობით განუცხადა სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ ორგანოს. პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანო. მსგავს შემთხვევაში იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით.

ზეგავლენით ვაჭრობა (მუხლი 339-ე) ისჯება ჯარიმით, გამოსასწორებელი სამუშაოთი, თავისუფლების შემღუღვით ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 2 წლამდე. დამამძიმებელი გარემოებების შემთხვევაში დანაშაული ისჯება 3-დან 5 წლამდე. დანაშაულის ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენის შემთხვევაში ისჯება თავისუფლების აღკვეთით 4-დან 7 წლამდე. ქრთამის მიცემის მსგავსად, აღნიშნულ დანაშაულზე ვრცელდება პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესაძლებლობა ნებაყოფლობითი აღიარების შემთხვევაში.

51 რომელი წესები უზრუნველყოფს ინტერესთა შეუთავსებლობის თავიდან არიდებას მთავრობაში, ადმინისტრაციასა და სასამართლოში? თუ უზრუნველყოფს არსებული კანონმდებლობა თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციებისა და ინტერესების საჯაროებას? როგორ ხდება ასეთი დეკლარაციების შემოწმება? რა წესები მოქმედებს პარლამენტის წევრებისთვის?

საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ (N982 მიღებულია: 17/10/1997, გამოქვეყნებულია: 11/11/1997, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018)²⁰⁵

205. საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ (N982 მიღებულია: 17/10/1997, გამოქვეყნებულია: 11/11/1997, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018), ხელმისაწვდომია ქართულად : <http://bit.ly/2S4e7oo>

საკანონმდებლო საფუძველს უყრის საჯარო სამსახურში კორუფციის განმარტებას, გასაჯაროებასა და პრევენციას. კანონი ეხება საქართველოს კონსტიტუციის (N786, მიღებულია: 24/08/1995, გამოქვეყნებულია: 24/08/1995, კონსოლიდირებული ვერსია: 23/03/2018)²⁰⁶ საფუძველზე დანიშნული და არჩეული თანამდებობის პირების უმრავლესობას. კანონი არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: თანამდებობრივი შეუთავსებლობა, საჯარო მოხელეების ქცევის ზოგადი წესები, ქონებრივი დეკლარაციები, შებლუდები საჩუქრებზე და მამხილებელთა დაცვა. კანონზე დეტალური ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ კითხვარის შეკითხვა 48-ე.

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის IV თავი საჯარო მოსამსახურეებს ქონებრივი დეკლარაციების წარდგენას ავალდებულებს,²⁰⁷ რომლებიც შემდგომ საჯარო სამსახურის ბიუროს (შემდგომში – ბიურო) ელექტრონულ პლატფორმაზე www.declaration.gov.ge ქვეყნდება და საჯაროა მოქალაქეებისთვის. ქონებრივი დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება შემდეგ პირებს აქვთ: საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პრემიერმინისტრი, საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, პარლამენტის წევრები, გუბერნატორები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, მათ შორის, მერები და საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარეები, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფოს მიერ დაარსებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ხელმძღვანელები, მოსამართლეები და საქართველოს მთავარი პროკურატურის მმართველ პოზიციებზე მომუშავე პროკურორები.²⁰⁸ მიუხედავად იმისა, რომ კანონი ყველა მოსამართლეს ეხება, პროკურატურის შემთხვევაში ის პროკურორთა მხოლოდ მცირე ნაწილს მოიცავს, ხოლო დანარჩენები რეგულაციის მიღმა რჩებიან. შედეგად, 2016 წელს 449 პროკურორიდან მხოლოდ 40 პირი იყო ვალდებული, შეეცა ქონებრივი დეკლარაცია.²⁰⁹

ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგზე პასუხისმგებელი ორგანოა საჯარო სამსახურის ბიურო, რომელიც დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს მიმართავს. ყველა მიღებული ქონებრივი დეკლარაცია ბიუროს ონლაინ პლატფორმა declaration.gov.ge-ზე ქვეყნდება.²¹⁰ 2017 წლამდე არ არსებობდა მიღებული დეკლარაციების ეფექტური მონიტორინგის სისტემა, რაც ხშირად აღინიშნებოდა არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციებში.²¹¹ მთავრობამ 2017 წლის 14 თებერვალს მიიღო დადგენილება „შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“,“²¹² რომლის შემდგომაც მონიტორინგის ოფიციალურ პროცედურას ჩაეყარა საფუძველი.

დადგენილების თანახმად ქონებრივი დეკლარაციის მონიტორინგის დაწყების საფუძველია: 1) დეკლარაციის მონიტორინგის ელექტრონული სისტემის მიერ დეკლარაციების შემთხვევითი შერჩევა; 2) დასაბუთებული წერილობითი განცხადება; 3) საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი კომისიის გადაწყვეტილებით კორუფციული რისკისა და მაღალი საზოგადოებრივი

206. საქართველოს კონსტიტუცია N786 (მიღებულია: 24/08/1995, გამოქვეყნებულია: 24/08/1995, კონსოლიდირებული ვერსია: 23/03/2018): <https://matsne.gov.ge/en/document/view/30346?publication=35>

207. თავი IV, საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“;

208. თავი I, საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“;

209. კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO), „საქართველოს შესახებ შეფასების მეოთხე რაუნდი: კორუფციის პრევენცია საკანონმდებლო ორგანოში, სასამართლო ხელისუფლებაში და პროკურატურაში“ 17 იანვარი 2017: <http://bit.ly/2OwziRE>

210. საჯარო სამსახურის ბიურო, ქონებრივი დეკლარაციების ბაზა, <https://declaration.gov.ge/>

211. საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის შეფასება 2015,“ <http://bit.ly/2JdO6yZ>

212. OECD ACN „საქართველო: მონიტორინგის მეოთხე რაუნდის შეფასების ანგარიში“ 2016: <http://bit.ly/2CwbgYT>

ინტერესის გათვალისწინება.²¹³ ელექტრონული სისტემის მიერ შემთხვევითი პრინციპით შერჩეული დეკლარაციები არ უნდა აღემატებოდეს დეკლარაციების ჯამური რაოდენობის 5 პროცენტს. მსგავსი ზედა ზღვარი მოქმედებს კომისიის მიერ შერჩეულ დეკლარაციებზეც.²¹⁴

ბიურომ ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის შექმნის ვალდებულება ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) 2016–2018 წლების ეროვნულ სამოქმედო გეგმის ფარგლებში აიღო. აღნიშნული ინიციატივა OGP-ის დამოუკიდებელი შეფასების მექანიზმის (IRM) შუალედურ ანგარიშში შეფასებული იქნა, როგორც „ტრანსფორმაციული.“²¹⁵ მიუხედავად ამისა, აღნიშნული ანგარიშში კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებსაც უსვამს ხაზს.²¹⁶ მთავრობის დადგენილების თანახმად კომისია ხუთი წევრისგან შედგება, რომელთაგან სამი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი უნდა იყოს, ხოლო ორი – აკადემიის. დადგენილება ბიუროს უფლებას უტოვებს, უარი თქვას დამოუკიდებელი კომისიის შექმნაზე, თუკი წევრობაზე სამზე ნაკლები განაცხადი შემოვა. 2018 წლის ოქტომბრის მდგომარეობით ბიუროს დამოუკიდებელი კომისია არ შეუქმნია.

შეიცვალა რეგულაციები, რომლებიც დარღვევის შემთხვევაში სანქციებს აწესებს. კერძოდ, მოხდა დარღვევის დიფერენციაცია, როგორცაა დეკლარაციის შევსებისას ტექნიკური ხარვეზი თუ დეკლარაციის შევსებაზე უარის თქმა. კანონის მე-20 მუხლი ქონებრივი დეკლარაციის წარდგენის წესების დარღვევაზე სასჯელს განსაზღვრავს, მათ შორის: გაფრთხილება ტექნიკური შეცდომის შემთხვევაში, ჯარიმა თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ბოლოს მიღებული თანამდებობრივი სარგოს 20%-ის ოდენობით, მინიმუმ 500 ლარი (დაახლოებით 161 ევრო) სხვა დარღვევების შემთხვევაში ან ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით (დაახლოებით 322 ევრო) დეკლარაციის არშევსების შემთხვევაში.²¹⁷ მონიტორინგის განხორციელებისას დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში ბიურო დეკლარაციას შესაბამის სამართალდამცავ უწყებას გადასცემს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი N2287, მიღებულია: 22/07/1990, გამოქვეყნებულია: 13/08/1990, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018).²¹⁸

საჯარო სამსახურის ბიურო 2014–2017 წლებში საჯარო პლატფორმაზე განთავსებული დეკლარაციების სტატისტიკას აქვეყნებს. 2018 წელს გამოქვეყნებული დეკლარაციების ინფორმაცია წლის ბოლოს იქნება ხელმისაწვდომი.²¹⁹

საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ 2014–2017 წლებში გამოქვეყნებული ქონებრივი დეკლარაციების ჯამური რაოდენობა

წელი	გამოქვეყნებული დეკლარაციების რაოდენობა
2014	5753
2015	5691
2016	5654
2017	5760

213. საქართველოს მთავრობის დადგენილება „შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, 14 თებერვალი, 2017;

214. მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი, საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“;

215. OGP დამოუკიდებელი შეფასების მექანიზმის (IRM) შუალედური ანგარიში 2016–2018, <https://www.opengovpartnership.org/report/georgia-mid-term-report-2016-2018-year-1>

216. OGP დამოუკიდებელი შეფასების ანგარიში (IRM), „საქართველოს შუალედური ანგარიში 2016–2017“, <http://bit.ly/2S4zISLf>

217. მუხლი მე-20, საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“;

218. მუხლი 355–e, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი N2287 (მიღებულია: 22/07/1990, გამოქვეყნებულია: 13/08/1990, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>

219. საჯარო სამსახურის ბიურო, პასუხი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე ელ. ფოსტის მეშვეობით, 16 ოქტომბერი 2018;

2017 წელს, დეკლარაციების მონიტორინგი შემთხვევითი შერჩევის პრინციპითა და წერილობითი განაცხადის საფუძველზე ხორციელდებოდა. შემთხვევითი შერჩევის შედეგად, 284 დეკლარაცია შემოწმდა, ხოლო 3 დეკლარაცია განაცხადის საფუძველზე შეიჩა. 287 დეკლარაციიდან 224-ის შემთხვევაში ისეთი გადაცდომები დაფიქსირდა, როგორებიცაა შეუსაბამობა უძრავი ქონების ფართობში, დაუდგარი რეგულირებული უძრავი ქონება, დეკლარირებულ თანხებსა და საბანკო ანგარიშებს შორის უზუსტობა, დაუდგარი რეგულირებული საბანკო ანგარიშები, ცდომილება საბანკო ვალდებულების კალკულაციაში, დაუდგარი რეგულირებული წილი საწარმოში (განსაკუთრებით, არაფუნქციონირებად საწარმოებში) და ოჯახის წევრის შემოსავლის არასწორი დეკლარაცია. გადამოწმებულ დეკლარაციების სუბიექტებს შორის იყო პარლამენტის 14 დეპუტატი და ერთი თანამშრომელი, 13 მოსამართლე, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ერთი თანამშრომელი, აღმასრულებელი შტოს 119 თანამშრომელი და ადგილობრივი მთავრობის 107 წარმომადგენელი (მათ შორის 11 – თბილისის მუნიციპალიტეტიდან).²²⁰

52 არსებობს თუ არა კონკრეტული ქცევის კოდექსები, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრავს, რა არის დაშვებული და რა იკრძალება საჯარო სამსახურში და რაც მუდმივად ექვემდებარება მონიტორინგს? როგორ ხდება ქცევის კოდექსების აღსრულება?

როგორც 41-ე და 48-ე შეკითხვებშია აღნიშნული, საჯარო მოხელეების ქცევის წესები, მათ შორის, კეთილსინდისიერებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები, რამდენიმე დოკუმენტშია გაწერილი, ასევე – კანონში „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ“ (N982, მიღებულია: 17/10/1997, გამოქვეყნებულია: 11/11/1997, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018).²²¹ ამასთან, საჯარო სამსახურის ბიურომ საქართველოს მთავრობის N200 დადგენილებით (მიღებულია: 20/04/2017, გამოქვეყნებულია: 21/04/2017, კონსოლიდირებული ვერსია: 14/05/2018)²²² ეთიკის კოდექსი მიიღო, რომელიც საჯარო სამსახურში ქცევის წესებს განსაზღვრავს და „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ“ კანონში მითითებულ ყველა მოხელეს ეხება, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მოხელის ქცევის წესებს სპეციალური კანონმდებლობა არეგულირებს. საჯარო სამსახურის ბიურომ ასევე „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების გზამკვლევი“ შეიმუშავა.²²³

აღნიშნული ეთიკისა და ქცევის წესები საჯარო მოსამსახურისთვის პროფესიული ქცევის ზოგად ფასეულობებსა და სტანდარტებს განსაზღვრავს. ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ კოდექსს ზოგადი ხასიათი აქვს, ის საჯარო დაწესებულებაში არსებულ ყველა საჭიროებას არ ეხმარება. შესაბამისად, საჯარო უწყებებს შესაძლებლობა აქვთ, თავად მიიღონ მათთვის შესაფერისი ეთიკის კოდექსი.²²⁴ შესაბამისად, საჯარო უწყებაზე გავრცელდება როგორც ეთიკის ზოგადი წესები, ასევე – უწყების მიერ მიღებული კოდექსი.

220. საჯარო სამსახურის ბიურო, „2017 წლის ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის შედეგები“ მოწოდებული ბიუროს მიერ, ნაწილობრივ წარმოდგენილი საჯარო სამსახურის ბიუროს 2017 წლის წლიურ ანგარიშში, <http://bit.ly/2q1Gt5N>

221. საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“;

222. საქართველოს მთავრობის დადგენილება N200 „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ,“ (მიღებულია: 20/04/2017, გამოქვეყნებულია: 1/04/2017, კონსოლიდირებული ცვლილებები (:14/05/2018): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3645402?publication=1>

223. საჯარო სამსახურის ბიურო, „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების გზამკვლევი,“ <http://csb.gov.ge/uploads/etika-2018.pdf>

224. მუხლი მე-2, საქართველოს მთავრობის დადგენილება N200 „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ,“ (მიღებულია: 20/04/2017, გამოქვეყნებულია: 21/04/2017, კონსოლიდირებული ვერსია: 14/05/2018): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3645402?publication=1>

სპეციფიკური სამუშაოდან გამომდინარე, სამართალდამცავმა უწყებებმა საკუთრივ ქვეყნის კოდექსები მიიღეს, მათ შორის შინაგან საქმეთა მინისტრის N999 ბრძანებით დამტკიცებული იქნა „პოლიციის ეთიკის კოდექსი“ (მიღებულია: 31/12/2013, გამოქვეყნებულია: 31/12/2013, კონსოლიდირებული ვერსია: 06/11/2015),²²⁵ იუსტიციის მინისტრის N234 ბრძანება „საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ (მიღებულია: 25/05/2017, გამოქვეყნებულია: 29/05/2017),²²⁶ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული N5 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი“ (მიღებულია: 1/08/2015)²²⁷ და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის N65/37 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსი“ (მიღებულია: 04/04/2013).²²⁸ აღნიშნული კოდექსები, ერთი მხრივ, საჯარო სამსახურისა და კონკრეტული საჯარო უწყების ძირითად პრინციპებს განსაზღვრავენ, ხოლო, მეორე მხრივ, კონკრეტულ საკითხებს არეგულირებენ, როგორცაა საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობის თავიდან არიდება, მამხილებელთა დაცვა და მიუკერძოებლობის, თანასწორობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტმა 2018 წლის 31 ოქტომბერს ასევე მიიღო ეთიკის კოდექსი საქართველოს პარლამენტის N3684 ბრძანებით, რომელიც პარლამენტის დეპუტატისთვის დასაშვებ და დაუშვებელ საქციელს ადგენს.²²⁹

კოდექსების აღსრულებაზე პასუხისმგებელი საჯარო უწყებების შიდა აუდიტი და გენერალური ინსპექციის სამსახურებია. გენერალური ინსპექციის ძირითადი ფუნქციებში შედის: საჯარო უწყების მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ინსპექცია და მონიტორინგი, ეთიკის კოდექსისა თუ სხვა ქვეყნის წესების დარღვევების აღმოჩენა, უწყების თანამშრომლების მიერ განხორციელებული ფინანსურ-ეკონომიკური აქტივობის მონიტორინგი, მატერიალური და ფინანსური რესურსის განკარგვის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის, ასევე ინტერესთა შეუთავსებლობის შესაძლო ფაქტების დაფიქსირება. აღნიშნული დარღვევების დაფიქსირების შემთხვევაში მონიტორინგის განყოფილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამის დისციპლინურ ზომებს მიიღებს, ან აღნიშნულ შემთხვევას შესაბამის უწყებებს გადასცემს, მათ შორის – სამართალდამცავ ორგანოებს. გენერალური ინსპექციაზე დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ 38-ე შეკითხვა.

53 მამხილებელთა დაცვა – არსებობს თუ არა მკაფიო წესები (მათ შორის, მამხილებელთა ეფექტიანი დაცვის) და მხილების მექანიზმები საჯარო და კერძო სექტორში? გთხოვთ, განმარტოთ.

225. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N999 „საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთ მოსამსახურეთა ქვეყნის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ,“ (მიღებულია: 31/12/2013, გამოქვეყნებულია: 31/12/2013, კონსოლიდირებული ვერსია: 06/11/2015): <http://bit.ly/2SI3fSf>

226. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N234 „საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ,“ (მიღებულია: 25/05/2017, გამოქვეყნებულია: 29/05/2017): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3679145?publication=0>

227. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ბრძანება N5 „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ (მიღებულია: 1/08/2015): <http://bit.ly/2BJAJOe>

228. გენერალური აუდიტორის ბრძანება N65/37 „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ (მიღებულია: 04/04/2013): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1889279?publication=0>

229. საქართველოს პარლამენტის დადგენილება N3684 „საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ (მიღებულია: 31/10/2018): <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/205673?>

მამხილებელთა დაცვის წესები „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ“ კანონში არის განსაზღვრული (N982, მიღებულია: 17/10/1997, გამოქვეყნებულია: 11/11/1997, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018).²³⁰ აღნიშნული კანონი მხილებას განმარტავს, როგორც საქართველოს კანონისა თუ ეთიკის კოდექსის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ისეთი დარღვევის გამჟღავნებას, რომელიც საჯარო ინტერესსა თუ კონკრეტული საჯარო უწყების რეპუტაციას აზიანებს.²³¹ კანონის მნიშვნელოვანი დებულებებია:

- მამხილებელი არის საჯარო ან კერძო სექტორში მომუშავე ნებისმიერი პირი, რომელიც საჯარო სამსახურში ჩადენილ დარღვევას ამხელს;
- მამხილებელს შეუძლია, მიმართოს საქართველოს მთავარ პროკურატურას, სახალხო დამცველს, საგამოძიებო ორგანოებს და ასევე გარე არხებს, როგორებიცაა მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები;
- მამხილებლის ანონიმურობა დაცულია.

დარღვევების მხილება შესაძლებელია საჯარო სამსახურის ბიუროს ონლაინ პლატფორმაზე, რომელიც აღნიშნულ განცხადებას შესაბამის სამართალდამცავ უწყებებში ამისამართებს. პორტალის ბმული სხვადასხვა საჯარო უწყების ვებგვერდებზე არის ინტეგრირებული, მათ შორის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების, რომლებიც განსაკუთრებული რისკის მატარებელი არიან, რადგან ისინი ფართომასშტაბიან ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებენ ან ზედამხედველობას უწევენ მათ. მიუხედავად იმისა, რომ ბიურო პლატფორმაზე შემოსული განცხადებების სტატისტიკას აწარმოებს, უცნობია აღნიშნულ განცხადებებზე შემდგომი რეაგირების შედეგები. დამატებითი ინფორმაციისთვის კანონმდებლობასა და სტატისტიკასთან დაკავშირებით იხილეთ კითხვარის 42-ე შეკითხვა.

კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საჯარო და კერძო სექტორში მომუშავე პირებს იცავს, რომლებიც ინფორმაციას საჯარო სექტორში დაშვებულ დარღვევებზე ამჟღავნებენ. თუმცა, არ იცავს ისეთ პირებს, რომლებიც კერძო სექტორში დაშვებულ დარღვევებს ამხელენ.

54 არსებობს თუ არა მკაფიო და გამჭვირვალე წესები პოლიტიკური პარტიების, სოციალური პარტიონებისა და სხვა დაინტერესებული ჯგუფების დაფინანსების შესახებ? ექვემდებარებიან თუ არა ეს სუბიექტები გარე ფინანსურ კონტროლს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ინტერესთა კონფლიქტი მათ წარმომადგენლებს, საჯარო მოხელეებსა და კერძო სექტორს შორის? რა პრაქტიკული გამოცდილება არსებობს ამ წესების შესრულების?

პოლიტიკური პარტიების დაფინანსება რეგულირდება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანულ კანონში (№ 1028, 31/10/1997, გამოქვეყნებულია: საქართველოს პარლამენტის უწყებანი 45, 21/11/1997, ბოლო ცვლილება: 21/07/2018). ორგანული კანონის 25-ე მუხლის თანახმად პარტიის საკუთრება მოიცავს:

230. საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ N982 მიღებულია 17/10/1997, გამოქვეყნებულია 11/11/1997, კონსოლიდირებული ვერსია (21/07/2018): <http://bit.ly/2S4e7oo>

231. თავი V, მუხლი მე-20, საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“;

- ა) საწევრო შენატანებს;
- ბ) შემოწირულებებს;
- გ) კანონით დადგენილი წესით სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ თანხებს;
- დ) პარტიის სიმბოლოების დამზადებითა და გავრცელებით, ლექციების, გამოფენებისა და მსგავსი საზოგადოებრივი ღონისძიებების ორგანიზებით, ასევე პარტიის წესდების მიზნების შესაბამისად საგამომცემლო ან სხვა საქმიანობით მიღებულ შემოსავალს. ამ ქვეპუნქტში ჩამოთვლილი წყაროების საშუალებით მიღებული წლიური შემოსავალი არ უნდა აღემატებოდეს მინიმალური საბაზისო დაფინანსების ორმაგ ოდენობას.

შემოწირულებებში იგულისხმება:

- ა) საქართველოს მოქალაქის მიერ პარტიის ანგარიშზე გადარიცხული ფულადი თანხა;
- ბ) პარტიის ანგარიშზე იმ იურიდიული პირის მიერ გადარიცხული თანხა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში და, რომლის პარტნიორები და საბოლოო ბენეფიციარები მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები არიან;
- გ) ნებისმიერი მატერიალური ან არამატერიალური ფასეულობა (მათ შორის, შეღავათიანი კრედიტი) და მომსახურება (გარდა მოხალისის მიერ ნებაყოფლობით შესრულებული სამუშაოსი), რომელიც მიიღო პარტიამ უსასყიდლოდ ან ფასდაკლებით/შეღავათიანი პირობით.

შემოწირულებად ჩაითვლება ასევე პარტიის მხარდასაჭერად გაღებული ფულადი სახსრები, უსასყიდლოდ ან ფასდაკლებით/შეღავათიანი პირობებით გაცემულ მატერიალურ ან არამატერიალურ ფასეულობასა ან მომსახურებაზე (გარდა მოხალისის მიერ შესრულებულია ნებაყოფლობითი სამუშაოსი).

ასევე დადგენილია, რომ პოლიტიკურ პარტიას შეუძლია, აიღოს კრედიტი საქართველოს კომერციული ბანკისგან. კრედიტის მთლიანი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 1 მილიონ ლარს ერთი კალენდარული წლის განმავლობაში. ორგანული კანონის 26-ე მუხლი განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც აკრძალულია შემოწირულების მიღება. კერძოდ, შემოწირულების მიღება იკრძალება:

- ა) სხვა ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირებისგან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მოძრაობებისგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტარდება ლექციები, სემინარები და მსგავსი საჯარო ღონისძიებები;
- ბ) სახელმწიფო ორგანოსგან, სახელმწიფო ორგანიზაციისგან, საჯარო სამართლის იურიდიული პირისგან, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საზოგადოებისაგან, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა;
- გ) არაკომერციული იურიდიული პირისა და რელიგიური ორგანიზაციებისგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტარდება ლექციები, სემინარები და სხვა საჯარო ღონისძიებები;
- დ) მოქალაქეობის არმქონე პირისგან;
- ე) ანონიმური შემოწირულების ფორმით.

ღონორმა უნდა მიუთითოს თავისი სახელი, მისამართი და პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი. ამ ინფორმაციის მითითების გარეშე შემოტანილი ფინანსები ჩაითვლება ანონიმურად. ანონიმური შემოწირულებები დაუყოვნებლივ უნდა გადაირიცხოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში პოლიტიკური გაერთიანების ფინანსურ საქმიანობაზე პასუხისმგებელი ოფიციალური პირის მიერ. თუმცა, ეს მოთხოვნები არ ვრცელდება საჯარო ღონისძიებების შედეგად მიღებულ შემოწირულებებზე, რომლის ოდენობაც არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ლარს წელიწადში. პარტიის ფინანსური საქმიანობისთვის პასუხისმგებელი თანამდებობის პირი ვალდებულია, 7 დღის ვადაში გადარიცხოს საჯარო ღონისძიებიდან მიღებული შემოწირულებები პარტიის ანგარიშზე.

ორგანული კანონი ასევე არეგულირებს შემოწირულების ოდენობას. 27-ე მუხლის თანახმად თითოეული მოქალაქისგან პარტიის შემოწირულების მთლიანი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 60 000 ლარს წელიწადში. იურიდიული პირისგან მიღებული შემოწირულების საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 120 000 ლარს წელიწადში. საწევრო შენატანის წლიური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1 200 ლარს პარტიის თითოეულ წევრზე.

მოქალაქეს ან იურიდიულ პირს შეუძლია, განახორციელოს შემოწირულება წლის განმავლობაში რამდენიმე პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ; ამასთან, შემოწირულების საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს კანონით დადგენილ ზღვრულ ოდენობას. ამასთან, ერთი ბენეფიციარის მიერ სხვადასხვა იურიდიული პირის მეშვეობით პარტიებისთვის განხორციელებული შემოწირულების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს იურიდიულ პირის მიერ პარტიისთვის განხორციელებული შემოწირულების დადგენილ ზღვრულ ოდენობას.

საქართველოს მოქალაქე არ შეიძლება, იყოს შემომწირველი, თუ მან წლიური შემოსავლის 15% -ზე მეტი მიიღო გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვებით, რომელიც განხორციელდა მის სასარგებლოდ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოს სასარგებლოდ,

პარტიის საწევრო შენატანები, ისევე როგორც მოქალაქეების ფულადი შემოწირულებები მიიღება მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით. შემოწირულებები განხორციელდება მხოლოდ საქართველოში ლიცენზირებული კომერციულ ბანკში არსებული შემომწირველის ან საწევრო შენატანის განმახორციელებელი პირის კუთვნილი ანგარიშიდან. სხვა პირის მიერ შემოწირულების განხორციელება გამოიწვევს შემოწირულების საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადატანას, ხოლო სამართალდამრღვევი პირი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით.

რაც შეეხება პოლიტიკური პარტიების სახელმწიფო დაფინანსებას, ორგანული კანონის 30-ე მუხლის თანახმად პარტიის დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს ახლადარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის გამართვის მომდევნო დღიდან, ხოლო მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი ორგანოების, საკრებულოების, დაფინანსება ხდება მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი ორგანოების საერთო არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ყველა ოქმის გამოქვეყნების მომდევნო დღიდან. პარტიის დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით ამ კანონის, საქართველოს პარლამენტის არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმის, პარტიის მიერ საპარლამენტო ფრაქციის შექმნის შესახებ ინფორმაციისა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი ორგანოების - საკრებულოების საერთო არჩევნების შედეგების მიხედვით. საპარლამენტო ფრაქციის შექმნის / გაუქმების შესახებ ინფორმაცია ამ ფაქტის დადგომისთანავე, დაუყოვნებლივ წერილობით ეცნობება საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

პირდაპირ პარტიისთვის გასანაწილებლად გამოყოფილ თანხას მიიღებს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ პარტია, რომელმაც:

- ა) მონაწილეობა მიიღო არჩევნებში დამოუკიდებლად ან საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში, იმ პირობით, რომ პარტიამ ან შესაბამისმა საარჩევნო ბლოკმა ბოლო საპარლამენტო ან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მიიღო ამომრჩეველთა ხმების 3% ან 3% -ზე მეტი (ხმების მოცემული რაოდენობა გამოითვლება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პროპორციულ სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მიღებული ხმების მიხედვით);
- ბ) მონაწილეობა მიიღო საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად ან საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში იმ პირობით, თუ მისი ან შესაბამისი საარჩევნო ბლოკის წარდგენით არჩეულ იქნა მაჟორიტარი პარლამენტის წევრი, ხოლო პარტია პარლამენტში წარმოდგენილია ფრაქციით.

პრობლემა:

2018 წლის აპრილში მიღებული ახალი რეგულაციის თანახმად პარტია პარლამენტში მაჟორიტარი დეპუტატით ფრაქციის შექმნის შემთხვევაში მიიღებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას. ეს რეგულაცია უარყოფითად შეაფასეს პარტიის დაფინანსების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა. აღნიშნულია, რომ ეს წესი ამცირებს სახელმწიფო დაფინანსების სტანდარტებს და ზრდის მათი ბოროტად გამოყენების რისკს. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ ცვლილება იქნა მიღებული კონკრეტული პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ. ამ ტიპის ფრაგმენტული და არაგონივრული ცვლილებები კი კიდევ უფრო გააღრმავებს ისედაც ხარვეზიან მხარეთა საჯარო დაფინანსებასთან დაკავშირებულ პრობლემას.

რეკომენდაცია:

უნდა გაუქმდეს ფრაქციის შექმნა, როგორც სახელმწიფო დაფინანსების მიღების კრიტერიუმები.

გამოყოფილი საბიუჯეტო დაფინანსების ოდენობა შედგება საბაზისო ნაწილის, პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული პარლამენტის წევრისთვის გამოყოფილი დანამატისა და პარტიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობის შესაბამისი კომპონენტისგან.

პარტიის მიერ მისაღები საბიუჯეტო დაფინანსება გამოითვლება შემდეგი ფორმულით: $Z = B + (M * 600 * 12) + (L * 100 * 12) + (V * 1,5) + (W * 1) + (H)$,

სადაც Z ნიშნავს პარტიის მიერ მისაღები საბიუჯეტო დაფინანსების ოდენობას; B - საბაზისო დაფინანსების ოდენობას; M - პროპორციული სისტემით არჩეული 30 და 30-მდე პარლამენტის წევრთა რაოდენობას; L - პროპორციული სისტემით არჩეული 30 წევრის ზემოთ პარლამენტის წევრთა რაოდენობას; V - 200 000 ამომრჩევლამდე მიღებული ხმების რაოდენობას; W - 200 000 ამომრჩევლის ზემოთ მიღებული ხმების რაოდენობას; T - პარტიას, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიზნით და რომლის წევრიც არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად იმ პირობით, რომ აღნიშნული პარტია შექმნის საპარლამენტო ფრაქციას. მოცემული ფორმულის მიზნებისათვის H = 300,000 ლარი. წლიური საბაზისო დაფინანსების მინიმალური ოდენობაა 300,000 ლარი.

თუ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიამ ან საარჩევნო ბლოკმა ბოლო საპარლამენტო ან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მიიღო ამომრჩეველთა ხმების 6% ან მეტი, მისი საბაზისო დაფინანსების ოდენობა გაორმაგდება.

პარტია საბიუჯეტო დაფინანსებას მიიღებს მხოლოდ წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე, რომელიც წარედგინება სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ყოველწლიურად, არა უგვიანეს 25 ნოემბრისა. თუ პარტია ვერ წარადგენს განსაზღვრულ ვადაში წერილობით თანხმობას მომდევნო წლის საბიუჯეტო დაფინანსების მიღების თაობაზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ვალდებულია, პარტიას წერილობით აცნობოს ამის შესახებ ვადის ამოწურვიდან მეორე დღეს. პარტიას უფლება აქვს, წარადგინოს შესაბამისი თანხმობა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 3 დღის ვადაში. თუ პარტია არ წარადგენს შესაბამის თანხმობას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში, იგი დაკარგავს მომავალი წლის საბიუჯეტო დაფინანსების მიღების უფლებას, ამის შესახებ მას წერილობით ეცნობება სახელმწიფო აუდიტის სამსახურისგან. სახელმწიფო აუდიტის სამსახური აღნიშნულ დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტს დაუბრუნებს პარტიის საბიუჯეტო დაფინანსების მიღების უფლების დაკარგვიდან 5 დღის ვადაში.

პარტია, რომელიც იღებს სახელმწიფო დაფინანსებას, მიიღებს საბაზო დაფინანსებაზე დანამატს – საბაზო დაფინანსების 30%-ს, თუ ამ პარტიის ან შესაბამისი საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ პარტიულ საარჩევნო სიაში (ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემთხვევაში – ყველა პარტიულ სიაში), რომლის საფუძველზეც პარტიამ მიიღო დაფინანსება, ქალ კანდიდატა მინიმუმ 30% წარმოდგენილია პირველ, მეორე და ყოველ მომდევნო ათეულში.

ამასთან, საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების განმავლობაში პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიების ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით გამოიყოფა დაფინანსება სატელევიზიო რეკლამების განთავსების ხარჯების დასაფარად. ეს დაფინანსება შეიძლება, გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სატელევიზიო რეკლამირებისთვის, შესაბამისი საერთო არჩევნების დანიშვნის შემდეგ არჩევნების დღემდე, ხოლო განმეორებითი კენჭისყრის, არჩევნების მეორე ტურის ან ხელახალი არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში – შესაბამისი კენჭისყრის დღემდე. დაფინანსებას მიიღებენ მხოლოდ ის პარტიები, რომლებმაც მიიღეს დაფინანსება ბოლო საერთო არჩევნების შედეგების შესაბამისად. პარტიისთვის გამოყოფილი დაფინანსების ოდენობა გამოითვლება ბოლო საერთო არჩევნებში შესაბამისი საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების რაოდენობის სამზე გამრავლებით და საარჩევნო სუბიექტში შემაგალი პოლიტიკური გაერთიანების რაოდენობაზე გაყოფით. ამასთან, დამოუკიდებლად არჩევნებში მონაწილე პარტიისა და საარჩევნო ბლოკისთვის (ბლოკში შემაგალი პარტიების რაოდენობის მიუხედავად) განკუთვნილი თანხა არ შეიძლება, აღემატებოდეს 600,000 ლარს. საარჩევნო სუბიექტისთვის გამოყოფილი დაფინანსების მინიმუმ 15% გამოყენებულ უნდა იქნეს წინასაარჩევნოდ რეკლამის განსათავსებლად მინიმუმ 7 მაუწყებელში, რომლებიც არ წარმოადგენენ ეროვნულ მაუწყებლებს. ხარჯები შესაბამისი მაუწყებელს აუნაზღაურდება საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მაუწყებელსა და პოლიტიკურ პარტიას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ხელშეკრულების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

პარტიის ფინანსური საქმიანობის კანონიერებისა და გამჭვირვალობის მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. სახელმწიფო აუდიტის სამსახური კონსტიტუციური ორგანოა. საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლის თანახმად (# 783, 24/08/1995, გამოქვეყნებულია: საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 31-33, 24/08/1995, ბოლოს შესწორებულია: 23/03/2018 ამოქმედდება პრეზიდენტის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების ინაუგურაციის შემდეგ) საჯარო მმართველობის ეფექტურობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით საბიუჯეტო სახსრებისა და სხვა საჯარო რესურსების გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობას უწევს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. იგი ასევე უფლებამოსილია, შეისწავლოს ფისკალური და ეკონომიკური საქმიანობის სხვა საჯარო უწყებები და წარუდგინოს პარლამენტს წინადადებები საგადასახადო კანონმდებლობის გაუმჯობესების შესახებ. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ხელმძღვანელობს გენერალური აუდიტორი, რომელსაც ირჩევს პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობა 5 წლის ვადით, პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით. სახელმწიფო აუდიტის სამსახური დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. სახელმწიფო აუდიტის სამსახური ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. წელიწადში ორჯერ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ წინასწარი და სრული მოხსენებების წარდგენასთან ერთად სახელმწიფო აუდიტის სამსახური პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას მთავრობის მოხსენებასთან დაკავშირებით. წელიწადში ერთხელ სახელმწიფო აუდიტის სამსახური პარლამენტს წარუდგენს საკუთარი საქმიანობის ანგარიშს. სახელმწიფო აუდიტის სამსახური უზრუნველყოფს პარლამენტის მიერ სახელმწიფო სახსრების კონტროლს.

“სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 34¹-ე მუხლის თანახმად საქართველოს აუდიტის სამსახური უფლებამოსილია:

- ა) შეიმუშაოს საფინანსო დეკლარაციის შაბლონი;
- ბ) განსაზღვროს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების აუდიტის სტანდარტები;
- გ) დაადასტუროს, რომ პარტიის საფინანსო დეკლარაცია და საარჩევნო კამპანიის ფონდების ანგარიში არის სრული, ზუსტი და კანონიერი;
- დ) ჩაატაროს პარტიის ფინანსური საქმიანობის აუდიტი წელიწადში ერთხელ;
- ე) გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში პარტიის უკანონო ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებით, პარტიას შეუძლია მიმართოს სასამართლოს დამატებითი ფინანსური შემოწმების ჩატარების მოთხოვნით;
- ვ) უზრუნველყოს პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობა;
- ზ) საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს პარტიების ფინანსების შესახებ ინფორმაცია პარტიებისგან, ადმინისტრაციული სააგენტოებისა და კომერციული ბანკებისგან;
- თ) სასამართლოს განჩინებით მოითხოვოს ინფორმაცია პარტიების შემომწირველი ფიზიკური ან იურიდიული პირის ქონების წარმოშობის შესახებ;
- ი) დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს კონსულტაციების ჩატარება პარტიის დაფინანსების შესახებ;
- კ) იმოქმედოს შესაბამისად პარტიის დაფინანსების წესების დარღვევის შესახებ და გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული სანქციები;
- ლ) მიმართოს პროკურატურას, თუ აღმოჩენილია დანაშაულის ნიშნები;
- მ) მოითხოვოს პირისგან ფინანსური დასკვნა, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი ამ კანონის 26¹ -ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობის შესახებ;
- ნ) მიიღოს გადაწყვეტილება 26¹ -ე მუხლით გათვალისწინებული აკრძალვების გამოყენების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციული წარმოების წესით. პარტიის მოთხოვნით გადაწყვეტილების ასლი გაიცემა აქტის გამოქვეყნების მომდევნო დღის 18:00 საათამდე;
- ო) შეიმუშაოს პარტიის ფინანსური მონიტორინგის მეთოდოლოგია;
- პ) განახორციელოს კანონით დადგენილი სხვა უფლებამოსილებები.

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური აცნობებს პარტიის საფინანსო დეკლარაციის შესახებ ყველა დაინტერესებულ პირს, ასევე აქვეყნებს დეკლარაციას შესაბამის ვებგვერდზე მიღებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში. საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური შეიმუშავებს მხარეთა ყოველწლიური ფინანსური დეკლარაციის შაბლონს და ადგენს აუდიტის სტანდარტებს.

თუ პარტია ვერ შეძლებს, დროულად წარუდგინოს საფინანსო დეკლარაცია საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, ეს უკანასკნელი აცნობებს პარტიას წერილობითი ფორმით და 5 დღის ვადაში მოითხოვს ხარვეზის გამოსწორებას. თუ მხარე 5 დღის განმავლობაში ვერ წარუდგენს საფინანსო დეკლარაციას საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, იგი დაკარგავს საბიუჯეტო დაფინანსების მიღების უფლებას მომდევნო წლის განმავლობაში.

საარჩევნო წლის ყოველწლიური დეკლარაციების გარდა არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკური პარტია, ინდივიდუალურად ან ბლოკში, ვალდებულია, არჩევნების დანიშვნის შემდეგ სამ კვირაში ერთხელ წარუდგინოს ფინანსური ანგარიში საქართველოს აუდიტის სამსახურს.

55 რა ვითარებაა პარტიის დაფინანსების შესახებ ახალი კანონის მიღების თვალსაზრისით?

პარტიის დაფინანსების შესახებ ახალი კანონის მიღება არ არის დაგეგმილი.

56 არსებობს თუ არა კანონმდებლობა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ? რა როლი აქვს ინფორმაციის თავისუფლების კომისიონერს?

ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში ცალკე კანონით არ რეგულირდება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (№2181, 25/06/1999, მიღებულია: გამოქვეყნებულია, 32(39), 15/07/1999, კონსოლიდირებული ვერსია: 31/10/2018)²³² არეგულირებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. კოდექსის თანახმად საჯარო ინფორმაცია არის ნებისმიერი ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის: ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო ან აუდიოჩანაწერი), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია. ასევე, საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ინფორმაცია შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს (მუხლი 28-ე). კანონის თანახმად ყველას აქვს უფლება, მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია, მიუხედავად მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობისა, და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს. აგრეთვე, ყველას აქვს უფლება, გაცნოს ინფორმაციის დედანს (მუხლი 37-ე). საჯარო დაწესებულება ვალდებულია, უზრუნველყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა არა უგვიანეს 10 დღისა, თუკი ინფორმაცია დამუშავებას საჭიროებს (მუხლი 40-ე). საჯარო უწყებები ვალდებული არიან, უზრუნველყონ საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა და დაუშვებელია აღნიშნულ ინფორმაციის გაცემისთვის საფასურის დაწესება, გარდა ასლის გადაღების აუცილებელი თანხის ანაზღაურებისა (მუხლი 38-ე). პრაქტიკაში საჯარო ინფორმაციის გაცემის პროცესში აღინიშნება ხარვეზები. რიგ შემთხვევებში საჯარო უწყებები უარს აცხადებენ ინფორმაციის გაცემაზე და აცხადებენ, რომ მათ დიდი მოცულობის მონაცემების დამუშავებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი არ გააჩნიათ. სხვა შემთხვევებში ისინი პერსონალური ინფორმაციის დაცვის წესებს იშველიებენ. არსებული საკანონმდებლო ჩარჩო არ უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას საჯარო უწყების მიერ შენახულ განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ ინფორმაციაზე ყოფილი და მოქმედი მაღალი რანგის ოფიციალურ პირებსა და კანდიდატებზე, მათ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მათი თანხმობის გარეშე, მაღალი საჯარო ინტერესის არსებობის შემთხვევაშიც კი. ამასთან, ხშირად ირღვევა საჯარო ინფორმაციის გაცემის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადები, ხოლო საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული დარღვევების სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში სასამართლო პროცესი, როგორც წესი, საკმაოდ ჭიანჭურდება.

საქართველოში არ არსებობს ინფორმაციის თავისუფლების კომისარი და ასევე არ არსებობს სანქციები საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უკანონოდ უარის თქმის შემთხვევაში, რაც ხელს უშლის ინფორმაციის საჯაროობას.

232. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი №2181, 25/06/1999, გამოქვეყნებულია: 15/07/1999, კონსოლიდირებული ვერსია (31/10/2018)

57

სახელმწიფო შესყიდვები, პრივატიზაცია, ბიუჯეტის მსხვილი გადასახდელები, მშენებლობა, მიწის გამოყენების დაგეგმარება: ა) როგორ ხდება ამ სფეროების მონიტორინგი? თუ ხორციელდება მონიტორინგი ეფექტურად და დამოუკიდებელი ორგანოს მიერ? იდგმება შესაბამისი შემდგომი ნაბიჯები უზუსტობების აღმოსაფხვრელად? ბ) როგორ ხორციელდება საპარლამენტო ზედამხედველობა? გ) როგორ რეგულირდება ფინანსური კონტროლი? ფუნქციონირებს თუ არა აუდიტის სამსახური?

შესყიდვები, პრივატიზაცია, მსხვილი გადასახდელები, მშენებლობა, მიწის გამოყენების დაგეგმარება სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ ხორციელდება; მათ შორის, აღნიშნულ უფლებამოსილებას ახორციელებენ: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და ადგილობრივი თვითმმართველობა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (შემდგომში – შესყიდვების სააგენტო) დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების კოორდინაციასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი უწყებაა. შესყიდვების სააგენტო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (N1388 მიღებულია: 20/04/2005, გამოქვეყნებულია 18/05/2005, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018),²³³ საერთაშორისო შეთანხმებებისა და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული N306 დადგენილების „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში რეორგანიზაციისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების თაობაზე“ საფუძველზე ფუნქციონირებს (მიღებულია: 24/04/2014).²³⁴ დებულების თანახმად სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობასთან, რომელიც სააგენტოს თანამშრომლების ანაზღაურებასა და განრიგს, სააგენტოს ვალდებულებებსა და უძრავი ქონების გაყიდვას, დამატებით თანხებსა და სააგენტოს ქონებასთან დაკავშირებულ სხვა გადაწყვეტილებებს იღებს. სააგენტო ანგარიშს აბარებს საქართველოს მთავრობას. მისი ძირითადი მიზნებია ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპების დაცვა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის კანონიერების მონიტორინგი. ამასთან, სააგენტო შესყიდვების პორტალის procurement.gov.ge-ის შექმნასა და მართვაზე პასუხისმგებელი, რომელიც, თავის მხრივ, საჯარო შესყიდვების სისტემაში მოსახლეობის ნდობას ამაღლებს. ასევე, სააგენტო არსებული კანონმდებლობის გაუმჯობესებასა და მის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებაზე მუშაობს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტო პასუხისმგებელია სახელმწიფო ქონების მართვასა და მშენებლობის პოლიტიკის შემუშავებაზე.²³⁵ სამინისტროს შესაბამისი ქვეუწყებები აქვს, რომლებიც ზემოთ აღნიშნულ ფუნქციებს ახორციელებენ: სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, რომლის კომპეტენციებშიც შედის სამშენებლო ობიექტების სახელმწიფო კონტროლი და ზედამხედველობა, საქართველოს მასშტაბით განსაკუთრებული მნიშვნელობის სამშენებლო

233. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ N1388, მიღებულია: 20/04/2005, გამოქვეყნებულია: 18/05/2005, კონსოლიდირებული ვერსია (21/07/2018): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31252?publication=68>

234. საქართველოს მთავრობის დადგენილება N306 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში რეორგანიზაციისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების თაობაზე“ (მიღებულია: 23/04/2014): http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/LegalActs/saagentos_debuleba.pdf.aspx

235. საქართველოს მთავრობის დადგენილება N70 „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ (მიღებულია: 11/02/2016, ამოქმედების თარიღი: 01/03/2016) კონსოლიდირებული ვერსია: 24/10/2018): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3190898?publication=13>

ობიექტებზე ნებართვების გაცემა (მათ შორის: რადიაციული და ბირთვული დაწესებულებები) და გაცემული ნებართვების პირობების შესრულების მონიტორინგი. სამინისტროს დაქვემდებარებაში ასევე სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, რომელიც სახელმწიფო ქონების პრივატიზაციას კურირებს.²³⁶ კერძოდ, სააგენტოს უფლებები უკავშირდება სახელმწიფო ქონების პრივატიზაციას, სახელმწიფო ქონებით სარგებლობის გადაცემასა და სახელმწიფო წილით შექმნილი საწარმოების მართვას.

სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზაციის წესები განისაზღვრება საქართველოს კანონით „სახელმწიფო ქონების შესახებ“ (N3512, მიღებულია: 21/07/2010, გამოქვეყნებულია: 09/08/2010, კონსოლიდირებული ვერსია: 20/07/2018),²³⁷ რომელიც სახელმწიფო ქონების მართვას, ადმინისტრირებასა და გადაცემას არეგულირებს. კანონი განმარტავს „პრივატიზაციას“, როგორც „ელექტრონული ან/და საჯარო აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვისა და უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ფორმებით, სავაჭრო ობიექტის, მესამე პირის მეშვეობით, აგრეთვე წილების ან აქციების ან სერტიფიკატებით წარმოდგენილი აქციების პირდაპირ ან შუამავლის მეშვეობით, საჯარო ან კერძო შეთავაზებით, უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე ან მოცემულ დროს საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე არსებული პრაქტიკის შესაბამისი შეთავაზების სხვაგვარი ფორმით ფიზიკური და იურიდიული პირების ან მათი გაერთიანებების მიერ სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლების შექმნა ამ კანონით დადგენილი წესით.“ ინფორმაცია აუქციონის გზით პრივატიზებულ ქონებაზე და სააგენტოს წლიური ანგარიშები გამოქვეყნებულია სააგენტოს ვებგვერდზე <http://nasp.gov.ge>. სააგენტო პირდაპირ ანგარიშვალდებულია სამინისტროსთან.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლი (N1958-III, მიღებულია: 05/02/2014, გამოქვეყნებულია: 19/02/2014, კონსოლიდირებული ვერსია: 31/10/2018)²³⁸ მუნიციპალური ორგანოების კომპეტენციებს განსაზღვრავს, მათ შორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვას, მუნიციპალიტეტში არსებული ბუნებრივი რესურსების მართვას (მაგ.: წყალი, ტყე და სხვა რესურსები), სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმარებას, ურბანული და ტერიტორიული გეგმების შემუშავებას, მშენებლობის უფლებების გაცემასა და მშენებლობის ზედამხედველობას. იქედან გამომდინარე, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა ქონება არ არის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ადგილობრივი თვითმმართველობა (საკანონმდებლო ორგანო – „საკრებულო“ და აღმასრულებელი ორგანო – მერია) ხშირად მიმართავს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ქონების მათ საკუთრებაში გადმოცემის თაობაზე.

საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ (N743, მიღებულია: 30/05/1997, გამოქვეყნებულია: 09/07/1997, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2010)²³⁹ პრივატიზების პროცესს არეგულირებს. აღნიშნული კანონის მე-4 მუხლი განსაზღვრავს ისეთ სახელმწიფო ქონებას, რომლის პრივატიზება აკრძალულია, მათ შორის: წყლის რესურსები, ტყის ფონდი, სახელმწიფო ნაკრძალი, საჰაერო სივრცე, დადგენილი წესით დამტკიცებული ისტორიულ-კულტურული სტატუსის მქონე ობიექტები და სხვა.

236. საქართველოს მთავრობის დადგენილება N391 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ (მიღებული და გამოქვეყნებულია: 17/09/2012), კონსოლიდირებული ვერსია: 10/04/2018): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1744350?publication=13>

237. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ N3512 (მიღებულია: 21/07/2010, გამოქვეყნებულია: 09/08/2010) კონსოლიდირებული ვერსია: 20/07/2018): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/112588?publication=34>

238. საქართველოს თვითმმართველობის კოდექსი N1958-III (მიღებულია: 05/02/2014, გამოქვეყნებულია 19/02/2014), კონსოლიდირებული ვერსია: 31/10/2018): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=39>

239. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ N743, (მიღებულია: 30/05/1997, გამოქვეყნებულია: 09/07/1997, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2010): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29920?publication=35>

ინფრასტრუქტურულ პროექტებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში არსებული უწყებები ზედამხედველობენ, ზოგ შემთხვევაში კი ინდივიდუალური მუნიციპალური ორგანოები, თუ პროექტი მათ კომპეტენციაში შედის.²⁴⁰ მშენებლობასთან დაკავშირებული ინფორმაცია სამინისტროს პლატფორმაზე build.gov.ge ქვეყნდება, ხოლო თითოეული პროექტის შესახებ ინფორმაციას შესყიდვების სააგენტოს procurement.gov.ge ბმული ახლავს თან, რომელიც მომხმარებელს დეტალურ ინფორმაციას აწვდის გამარჯვებულ კომპანიაზე, სამშენებლო გეგმებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური (შემდგომში – აუდიტის სამსახური) დამოუკიდებელი უწყებაა, რომელიც საქართველოს პარლამენტს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ზედამხედველობის გაწევაში უწყობს ხელს. აუდიტის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია საჯარო სექტორის გარე აუდიტი, პარტიების დაფინანსების მონიტორინგი და პარლამენტისთვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება.²⁴¹ აუდიტის სამსახურს არეგულირებს საქართველოს კონსტიტუცია (N786, მიღებულია: 24/08/1995, გამოქვეყნებულია: 24/08/1995, კონსოლიდირებული ვერსია: 23/03/2018)²⁴² და საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ (N880, მიღებული და გამოქვეყნებულია: 15/01/2009, კონსოლიდირებული ვერსია: 05/09/2018).²⁴³ აღნიშნული კანონის მე-3 მუხლი აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობის გარანტიას იძლევა და მის საქმიანობაში ნებისმიერი სახის ჩარევას კრძალავს, ხოლო მე-5 მუხლი სამსახურის საქმიანობის ძირითად პრინციპებს განსაზღვრავს, როგორებიცაა: ობიექტურობა, დამოუკიდებლობა, საჯაროობა²⁴⁴ და პროფესიონალიზმი. სამსახურის უფროსს, გენერალურ აუდიტორს, საქართველოს პარლამენტი 5 წლიანი ვადით ირჩევს. აუდიტის სამსახური პირდაპირ ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტთან. აუდიტის სამსახური ეროვნული დონის უწყებების აუდიტის ანგარიშს პარლამენტს ყოველწლიურად წარუდგენს, ხოლო ადგილობრივ დონეზე საბიუჯეტო დაწესებულებების აუდიტის ანგარიშს – ორ წელიწადში ერთხელ.²⁴⁵ აუდიტის სამსახური უფლებამოსილია, ჩაატაროს საბიუჯეტო დაწესებულებების აუდიტი (მათ შორის – შესრულების და ფინანსური აუდიტი), ზედამხედველობა გაუწიოს პარტიების დაფინანსებას, ჩაატაროს ექსპერტიზა და გასცეს დასკვნები საფინანსო და ეკონომიკური სფეროების მარეგულირებელი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების პროექტებზე, პარლამენტს მიაწოდოს წინადადებები საგადასახადო კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით და მოქალაქეებისგან მიიღოს შეტყობინებები შესაძლო კორუფციის ფაქტების შესახებ და გადაამისამართოს საქართველოს მთავარ პროკურატურაში შემდგომი გამოძიებისთვის.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს დადებითად აფასებენ სხვადასხვა საერთაშორისო ანგარიშში.²⁴⁶ განსაკუთრებით დადებითი შეფასება დაიმსახურა პლატფორმამ budgetmonitor.ge, რომელიც ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) 2016–2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის

240. საქართველოს მთავრობის დადგენილება N385 „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ (მიღებულია: 30/07/2018, გამოქვეყნებულია: 31/07/2018, კონსოლიდირებული ვერსია: 06/11/2018): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4279362?publication=1>

241. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდი, ვებგვერდის ბოლო ვიზიტი: 10 აგვისტო, 2017, <http://sao.ge/about-us/office-structure-and-functions>.

242. საქართველოს კონსტიტუცია N786 (მიღებულია: 24/08/1995, გამოქვეყნებულია: 24/08/1995, კონსოლიდირებული ვერსია: 23/03/2018): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>

243. საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ N880 (მიღებული და გამოქვეყნებულია: 15/01/2009, კონსოლიდირებული ვერსია: 05/09/2018): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/17506?publication=15>

244. ტერმინი „საჯაროობა“ იშვიათად ითარგმნება, როგორც „publicity,“ თუმცა აღნიშნული არ ასახავს მის ნამდვილ მნიშვნელობას, რომელიც გულისხმობს საქმიანობის გამჭვირვალობას;

245. მუხლი 31-ე, საქართველოს კანონი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“;

246. მსოფლიო ბანკის ვგუფი, „სახელმწიფო ხარჯების ჩარჩოს შეფასება (PEFA)2017,“ ივნისი 2018, <https://pefa.org/sites/default/files/GE-Jun18-PFMPR-Public%20with%20PEFA%20Check.pdf>

ფარგლებში შეიქმნა და შეერთებული შტატების ღია მმართველობის პარტნიორობის რეგიონულ შეხვედრაზე „ფისკალური გამჭვირვალობის გლობალური ინიციატივისგან“ (GIFT) დაჯილდოვდა, როგორც ინოვაციური ვებპლატფორმა, რომელიც გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას ემსახურება.²⁴⁷

ასევე დადებითად შეფასდა ვებპლატფორმა procurement.gov.ge, როგორც პლატფორმა, რომელიც არსებული და სამომავლო ტენდერების გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. თუმცა, უპასუხოდაა დარჩენილი რამოდენიმე რეკომენდაცია: 1) გამარტივებული შესყიდვების რაოდენობის შემცირება (გამოწვევა აქტუალურია მიუხედავად იმისა, რომ შესყიდვების სააგენტომ დამატებითი ნაბიჯი გადადგა გამარტივებული შესყიდვების განხორციელებისას წინასწარი მოთხოვნის დამატებით); 2) საიდუმლო შესყიდვების რაოდენობის შემცირება; 3) ქვეკონტრაქტორებისთვის მეტი ინფორმაციის გამოქვეყნების მოთხოვნის დაწესება მეტი გამჭვირვალობისთვის; 4) ვებგვერდზე ინფორმაციის ადვილად დამუშავებად ფორმატში გამოქვეყნება; 5) გამჭვირვალობის უზრუნველყოფა; 6) დავების გადაჭრის საბჭოს საქმიანობის გაუმჯობესება, რომლის წევრებიც არასამთავრობო სექტორიდან არიან წარდგენილნი და გაწეული საქმიანობისთვის ანაზღაურებას არ იღებენ.²⁴⁸ ამასთან, ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) დამოუკიდებელი შეფასების მექანიზმი (IRM) შესყიდვების სააგენტოს „ღია კონტრაქტების სტანდარტის“ (OCDS) მიღებისკენ მოუწოდებს.²⁴⁹

სახელმწიფო ქონების პრივატიზების კუთხით პრივატიზების ინდივიდუალურ შემთხვევებში შესაძლო კორუფციის ნიშნები აღინიშნება. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ “საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო” ანალიზი „კორუფციის ნიშნები გარდაბნის მუნიციპალიტეტში მიწის პრივატიზების პროცესში.“²⁵⁰

საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩო და ინსტიტუტები

58 გთხოვთ, მოკლედ წარმოადგინოთ ინფორმაცია საქართველოს მიერ საერთაშორისო კონვენციების ხელმოწერის თაობაზე (მაგ.: „კორუფციის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენცია, ევროპის საბჭოს “კორუფციაზე სისხლის სამართლისა” და სამოქალაქო სამართლის კონვენციები, ევროპის საბჭოს კონვენცია ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კონვენციები საერთაშორისო ბიზნეს ტრანზაქციებში უცხოელი სახელმწიფო მოხელეების მექრთამეობასთან ბრძოლის შესახებ და საერთაშორისო ბიზნეს ტრანზაქციებში მექრთამეობასთან ბრძოლის შესახებ).

247. საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური, „ბიუჯეტის მონიტორინგ“ GIFT-ის ჯილდო მიიღო, 22 ნოემბერი 2017, ვიზიტის დრო: 28 ნოემბერი 2018, <https://sao.ge/en/news/951>

248. OECD ACN „ანტიკორუფციული რეფორმების განხორციელება საქართველოში“, 2016, <http://bit.ly/2CwbgYT>

249. OGP დამოუკიდებელი შეფასების მექანიზმი (IRM) შუალედური ანგარიში 2016–2018, <https://www.opengovpartnership.org/report/georgia-mid-term-report-2016-2018-year-1>

250. საერთაშორისო გამჭვირვალობა–საქართველო, „კორუფციის ნიშნები გარდაბნის მუნიციპალიტეტში მიწის პრივატიზების პროცესში“, 19 ივნისი 2017, <https://www.transparency.ge/en/blog/signs-corruption-land-privatization-process-gardabani-municipality>

აღნიშნული და სხვა შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებები კორუფციის შესახებ ძალაში შევიდა საქართველოს მიერ შემდეგი საკანონმდებლო აქტების დამტკიცების შემდგომ:

- საქართველოს პარლამენტის დადგენილება N337 „კორუფციის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციასთან შეერთების თაობაზე (მიღებულია: 10/10/2008, გამოქვეყნებულია: 16/10/2008);²⁵¹
- საქართველოს პარლამენტის დადგენილება N3200 „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის რატიფიცირების თაობაზე (მიღებულია: 07/06/2006, გამოქვეყნებულია: 15/06/2006);²⁵²
- საქართველოს პარლამენტის დადგენილება N3956 „კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენციის“ რატიფიცირების შესახებ (მიღებულია: 14/12/2006, გამოქვეყნებულია: 20/12/2006)²⁵³ და საქართველოს პარლამენტის დადგენილება N872–რს რატიფიცირების თაობაზე (მიღებულია: 27/07/2013, ამოქმედებულია: 01/05/2014);²⁵⁴
- საქართველოს პარლამენტის დადგენილება N2109 „კორუფციაზე სამოქალაქო სამართლის კონვენციის“ რატიფიცირების თაობაზე (მიღებულია: 24/04/2003, გამოქვეყნებულია: 15/05/2003);²⁵⁵
- საქართველოს პარლამენტის დადგენილება N1460–ის „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიცირების თაობაზე (მიღებულია: 04/10/2013, გამოქვეყნებულია: 15/10/2013);²⁵⁶
- საქართველოს პარლამენტის დადგენილება N2143 „სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ“ ევროპულ კონვენციასთან შეერთების თაობაზე“ (მიღებულია: 23/06/1999, გამოქვეყნებულია: 09/07/1999)²⁵⁷ და მისი თანმხლები ოქმები;²⁵⁸
- სუამის წევრი სახელმწიფოების შეთანხმება „ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულისა და სხვა საშიში სახის დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ და მისი დამატებითი ოქმი;

251. საქართველოს პარლამენტის დადგენილება N337 „კორუფციის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციასთან შეერთების თაობაზე (მიღებულია: 10/10/2008, გამოქვეყნებულია: 16/10/2008): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/45454?publication=0>

252. საქართველოს პარლამენტის დადგენილება N3200 „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის რატიფიცირების თაობაზე (მიღებულია: 07/06/2006, გამოქვეყნებულია: 15/06/2006): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/43852?publication=0>

253. საქართველოს პარლამენტის დადგენილება N3956 „კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენციის“ რატიფიცირების შესახებ (მიღებულია: 14/12/2006, გამოქვეყნებულია: 20/12/2006): <https://matsne.gov.ge/document/view/44002?publication=0>

254. საქართველოს პარლამენტის დადგენილება N872–რს „კორუფციის შესახებ სისხლის სამართლის კონვენციის დამატებითი ოქმის“ რატიფიცირების თაობაზე (მიღებულია: 27/07/2013, ამოქმედებულია: 01/05/2014): <https://matsne.gov.ge/document/view/1980303?publication=0>

255. საქართველოს პარლამენტის დადგენილება N2109 „კორუფციაზე სამოქალაქო სამართლის კონვენციის“ რატიფიცირების თაობაზე (მიღებულია: 24/04/2003, გამოქვეყნებულია: 15/05/2003): <https://matsne.gov.ge/document/view/41788?publication=0>

256. საქართველოს პარლამენტის დადგენილება N1460–ის „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიცირების თაობაზე (მიღებულია: 04/10/2013, გამოქვეყნებულია: 15/10/2013): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2046451?publication=0>

257. საქართველოს პარლამენტის დადგენილება N2143 „სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ“ ევროპულ კონვენციასთან შეერთების თაობაზე“ (მიღებულია: 23/06/1999, გამოქვეყნებულია: 09/07/1999): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/39622?publication=0>

258. საქართველოს პარლამენტის დადგენილება N1462–ის „სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ“ ევროპულ კონვენციასთან შეერთების თაობაზე (მიღებულია: 04/10/2013, გამოქვეყნებულია: 5/10/2013): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2046396?publication=0>

- საქართველოს პარლამენტის დადგენილება N117 „შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის (BSEC) ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის დანაშაულის, კერძოდ, მისი ორგანიზებული ფორმების წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე შეთანხმების ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ დამატებითი ოქმის“ რატიფიცირების თაობაზე (მიღებულია: 11/03/2005, გამოქვეყნებულია: 22/03/2005).²⁵⁹

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონვენცია, რომელზეც საქართველოს ხელი არ მოუწერია, არის OECD-ის კონვენცია საერთაშორისო ბიზნესტრანზაქციებში უცხოელი სახელმწიფო მოხელეების მექრთამეობასთან ბრძოლის შესახებ, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი დოკუმენტია კორუფციასთან ბრძოლაში, რადგან ტრანზაქციებში „მიმწოდებელ მხარეზე“ არის ორიენტირებული. ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგის თანახმად საქართველომ OECD-ის სხვადასხვა სტანდარტი მიიღო, ამ კონვენციის ხელმოწერა კერძო სექტორში კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.²⁶⁰

59 რა პრაქტიკული შედეგები მოჰყვება აღნიშნული საერთაშორისო კონვენციების იმპლემენტაციას, მათ შორის, შიდა ზომების მიღებასა და ანტიკორუფციულ სტრატეგიებს ან ინიციატივებს საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესებისათვის კორუფციასთან ბრძოლის კუთხით? (მაგ.: საერთაშორისო ანტიკორუფციული სააგენტო)?

საქართველო მრავალი საერთაშორისო დოკუმენტის ხელმოწერა კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით (სრული სია იხილეთ 58-ე შეკითხვაში). ამასთან, საქართველოში მოქმედებს ანტიკორუფციული კანონმდებლობა და თანხმდები მექანიზმები, როგორებიცაა: კორუფციასთან ბრძოლის კანონმდებლობა (47-ე შეკითხვა) და პრევენციული და საზედამხებდველო მექანიზმები, როგორებიცაა ქონებრივი დეკლარაციების გამოქვეყნება და მონიტორინგი, მამხილებელთა დაცვა, დებულებები ინტერესთა შეუთავსებლობის თაობაზე, დებულებები „მბრუნავი კარის“ პრევენციის მიზნით, ეთიკის კოდექსები, საჯარო მოსამსახურეების ტრენინგები და სხვა. საქართველოში განხორციელებულია ძირითადი რეფორმები კორუფციასთან ბრძოლის მიზნით, მათ შორის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით (N2287, მიღებულია: 22/07/1990, გამოქვეყნებულია: 13/08/1990, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018).²⁶¹ სხვადასხვა სახის კორუფციული დანაშაულის სისხლის სამართლის დანაშაულად ცნობა განხორციელდა შემდეგი საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად: „კორუფციის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია, ევროპის საბჭოს კორუფციის შესახებ სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის კონვენციები. კერძოდ, საერთაშორისო სტანდარტებთან

259. საქართველოს პარლამენტის დადგენილება N117 „შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის (BSEC) ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის დანაშაულის, კერძოდ, მისი ორგანიზებული ფორმების წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე შეთანხმების ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ დამატებითი ოქმის“ რატიფიცირების თაობაზე (მიღებულია: 11/03/2005, გამოქვეყნებულია: 22/03/2005), <https://matsne.gov.ge/document/view/42934?publication=0>

260. შეფასება ორგანიზაცია სამოქალაქო განვითარების სააგენტოს (CiDA) მიერ;

261. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი N2287 (მიღებულია: 22/07/1990, განხორციელებულია: 13/08/1990, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>

მიახლოების მიზნით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: შეიცვალა კორუფციული დანაშაულის დეფინიციები, მათ შორის – ქრთამის აღება და მიცემა, კომერციული მოსყიდვა და ზეგავლენით ვაჭრობა. ამის გარდა შეიცვალა საჯარო მოხელისა და მასთან გათანაბრებული პირების დეფინიცია, დაკონკრეტდა იურიდიული პირების პასუხისმგებლობის საკითხი და გაუმჯობესდა საპროცესო გარიგების კონცეფცია. ამასთან, უფრო ნათელი გახდა იურისდიქციის საკითხები და შემოღებული იქნა სასჯელისგან გათავისუფლების მექანიზმი ქმედითი მონანიების შემთხვევაში (მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ 50-ე და მე-60 შეკითხვები).

GRECO-ს რეკომენდაციების საპასუხოდ მიღებული ზომები დეტალურად არის აღწერილი მე-60 შეკითხვაში. ამასთან, 2013 წელს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე ხელის მოწერის შემდგომ საქართველომ და ხელმოწერა მხარეებმა ვალდებულება აიღეს, „უზრუნველყონ კანონის უზენაესობა, განახორციელონ კარგი მმართველობა, ებრძოლონ კორუფციას და სხვადასხვა სახის ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულსა და ტერორიზმს, ხელი შეუწყონ მდგრად განვითარებას, ეფექტიან მულტილატერალიზმს და იბრძოლონ მასობრივი განადგურების იარაღისა და მისი მიწოდების საშუალებების გავრცელების წინააღმდეგ.“²⁶² ასოცირების შეთანხმებაში გამოკვეთილი ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა გამჭვირვალე და პროფესიონალური საჯარო სამსახურის შექმნაა, რომლის საპასუხოდ საქართველომ საჯარო სამსახურის რეფორმა განახორციელა და საჭირო კანონმდებლობა მიიღო სამსახურის გამჭვირვალეობის გაზრდისთვის, ვაკანსიებისთვის დამსახურებაზე დაფუძნებული კონკურენციის ხელშეწყობისა და სტანდარტიზებული ანაზღაურების შემოღებისთვის. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ კითხვარის 41-ე შეკითხვა. მიუხედავად იმისა, რომ აღინიშნება პროგრესი, რჩება რიგი გამოწვევებისა, მათ შორის: ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კანონმდებლობის გაუმჯობესება, სასამართლოს დამოუკიდებლობა, ანტიკორუფციული სააგენტოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან გამოყოფა და მაღალი დონის შესაძლო დანაშაულის ეფექტიანად გამოძიება.²⁶³

60 როდის გახდა საქართველოს ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) წევრი და რა ზომები მიიღო GRECO-ს რეკომენდაციების განსახორციელებლად? (ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით იხილეთ თავი მე-4 (კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება), სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით იხილეთ თავი მე-5 (სახელმწიფო შესყიდვები) და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ იხილეთ თავი 24-ე (მართლმსაჯულება, თავისუფლება, უსაფრთხოება)).

საქართველო კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) წევრი 1999 წელს გახდა. ჯგუფში გაერთიანების შემდგომ საქართველოს მიერ კორუფციის წინააღმდეგ მექანიზმების განხორციელების შეფასების ოთხი რაუნდი ჩატარდა. მონიტორინგის თითოეული რაუნდი სხვადასხვა ანტიკორუფციულ კანონმდებლობასა და ზომებს აფასებს.

შეფასების პირველი რაუნდი (2000 წ.) კორუფციასთან ბრძოლაში ჩართული ეროვნული დონის უწყებების დამოუკიდებლობას, სპეციალიზაციასა და რესურსებს და, ასევე, იმუნიტეტის ფარგლებს აფასებდა. შეფასების პირველი რაუნდის რეკომენდაციების საპასუხოდ საქართველომ ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია მიიღო, ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმი

262. საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება: <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/34753/AA>

263. ევროპის პარლამენტი, საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების ანგარიში, ინგლისური ვერსია (2017/2282(INI)), 15/10/2018, <http://bit.ly/2QwMKFk>

შემოილო, კორუფციასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო მექანიზმი შექმნა, ქონებრივი დეკლარაციების გამოქვეყნების ვალდებულება განსაზღვრა და მათი მონიტორინგის მექანიზმი შემოილო. იქიდან გამომდინარე, რომ შეფასების პირველი რაუნდი 2000 წელს დაიწყო და 2007 წელს დასრულდა, მომდევნო წლებში საქართველომ ამ მიმართულებით ბევრი ნაბიჯი გადადგა GRECO-ს რეკომენდაციების გარდა. შეფასების პირველი რაუნდის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ GRECO-ს შეფასების პირველი რაუნდი, საქართველოს პროგრესის შესაბამისობის ანგარიშები.²⁶⁴

შეფასების მეორე რაუნდის (2006) ძირითადი საკითხებია: საჯარო ადმინისტრაცია და კორუფცია, კორუფციის წინააღმდეგ საგადასახადო და ფინანსური კანონმდებლობა, კავშირები კორუფციას და ორგანიზებულ დანაშაულსა და ფულის გათეთრებას შორის. GRECO-ს შეფასებით საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯების შედეგად (მათ შორის „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ“ კანონების ამოქმედება, რომელიც მამხილებელთა დაცვას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, პროკურორებისა და მოსამართლეების პასუხისმგებლობას და სხვა პრაქტიკულ ზომებს გულისხმობდა, მაგ., ტრენინგებს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირთათვის), დამაკმაყოფილებლად გათვალისწინებული იქნა 14-დან 13 რეკომენდაცია. შეფასების მეორე რაუნდის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შესაბამისობის ანგარიშები.²⁶⁵

მესამე რაუნდის შეფასება (2010)²⁶⁶ პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობასა და კრიმინალიზაციას ეხებოდა. კრიმინალიზაციასთან მიმართებაში ხუთივე რეკომენდაცია დამაკმაყოფილებლად განხორციელდა, მათ შორის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილება, რომელიც მექრთამეობის ისეთ შემთხვევებსაც ითვალისწინებს, როდესაც ქრთამის მიცემით/ აღების მიღებული სარგებელი მესამე პირს ეხება. მსგავსი ცვლილება შევიდა ზეგავლენით ვაჭრობის მუხლშიც, რომელიც მესამე პირის სარგებელს ითვალისწინებს. ამასთან, მესამე რეკომენდაციის საპასუხოდ საქართველომ „კორუფციის შესახებ სისხლის სამართლის კონვენციის დამატებითი ოქმი“ მოაწერა ხელი,²⁶⁷ რომელიც უცხო სახელმწიფოს არბიტრებისა და ნაფიცი მსაჯულებისთვის ქრთამის მიცემას ფარავს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა მუხლები ქმედითი მონანიების შემთხვევაში სასჯელიდან გათავისუფლების თაობაზე. რაც შეეხება პოლიტიკური პარტიების დაფინანსებას, სამი რეკომენდაცია განხორციელდა დამაკმაყოფილებლად, ხოლო შვიდი არ განხორციელებულა. გათვალისწინებულ რეკომენდაციებს შორის არის: საარჩევნო სუბიექტებისთვის ანგარიშის ჩაბარების ვადების გაზრდა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ყველა ფინანსური ტრანზაქციის ჯეროვნად ასახვა და აუდიტის შესაბამისი სტანდარტების მიღება პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შემფასებელი აუდიტორების დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ შეფასების მესამე რაუნდის შესაბამისობის ანგარიში²⁶⁸ და მეორე შესაბამისობის ანგარიში.²⁶⁹

შეფასების მეოთხე რაუნდის ძირითადი საკითხია კორუფციის პრევენცია საკანონმდებლო ორგანოში, სასამართლო ხელისუფლებასა და პროკურატურაში.²⁷⁰ ანგარიშში მოცემულია შემდეგი რეკომენდაციები:

264. კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO), შეფასების პირველი რაუნდი, საქართველოს პროგრესის შესაბამისობის ანგარიში 2003, <http://bit.ly/2PUaALU> და საქართველოს პროგრესის საბოლოო შეფასების ანგარიშზე დამატებითი ოქმი 2007, <http://bit.ly/2R8dY2d>

265. GRECO, შეფასების მეორე რაუნდი საქართველოს შესახებ, 2009, <http://bit.ly/2PRU3I9>

266. GRECO, შეფასების მესამე რაუნდი (2010), შესაბამისობის ანგარიში (2013), მეორე შესაბამისობის ანგარიში (2015), <https://www.coe.int/en/web/greco/evaluations/round-3>

267. ევროპის საბჭოს პორტალი, რატიფიკაციებისა და ხელმოწერების ცხრილი 191, ვიზიტის დრო: 25 ნოემბერი 2018, <http://bit.ly/2DWxzwW>

268. GRECO, შეფასების მესამე რაუნდი, შესაბამისობის ანგარიში 2013, <http://bit.ly/2RcFknU>

269. GRECO, შეფასების მესამე რაუნდი, მეორე შესაბამისობის ანგარიში 2015, <http://bit.ly/2Rh9mah>

270. GRECO, „საქართველოს შესახებ შეფასების მეოთხე რაუნდი: კორუფციის პრევენცია საკანონმდებლო ორგანოში, სასამართლო ხელისუფლებაში და პროკურატურაში,“ 17 იანვარი 2017: <http://bit.ly/2OwziRE>

კორუფციის პრევენცია საკანონმდებლო ორგანოში: (1) პარლამენტში საკანონმდებლო პროცესის გამჭვირვალობის გაზრდა, (2) საჯაროდ ხელმისაწვდომი ეთიკის კოდექსისა და მისი განხორციელებისთვის შესაბამისი პრაქტიკული ზომების მიღება და (3) პარლამენტარებისთვის ინტერესთა შეუთავსებლობის გამჟღავნების ვალდებულება ყოველ ასეთ შემთხვევაში, შესაბამისი წესებითა და მონიტორინგის პროცედურით.

კორუფციის პრევენცია სასამართლოში: (1) მოსამართლეების დანიშვნის პროცესის გამჭვირვალობის გაზრდა, (2) მოსამართლეთა მივლინების თაობაზე კანონმდებლობის დახვეწა, რათა არ მოხდეს აღნიშნული პრაქტიკის ბოროტად გამოყენება, (3) საქმის განაწილების ობიექტური და გამჭვირვალე სისტემა, (4) სასამართლოს ეთიკის ნორმების განახლება და განხორციელების პრაქტიკული ზომების მიღება, (5) მოსამართლეთა წინააღმდეგ დისციპლინური პასუხისმგებლობის ეფექტურობის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის გაზრდა, (6) მოსამართლეთა „ფუნქციური იმუნიტეტის“ უზრუნველყოფა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი იმუნიტეტი მხოლოდ მოსამართლეობრივი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ვრცელდება.

კორუფციის პრევენცია პროკურატურაში: (1) პროკურატურის რეფორმის გაგრძელება და მთავარი პროკურორის არჩევასა და საპროკურორო საბჭოზე გეგავლენის შემცირება, (2) პროკურორების დანიშვნისა და დაწინაურების პროცედურების გაუმჯობესება და გამჭვირვალობის გაზრდა, (3) საქმის განაწილების/ გადაცემის მკაფიო კრიტერიუმების შემოღება და ამასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების წერილობით განმარტება, (4) „საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსის“ განახლება და განხორციელების პრაქტიკული ზომების მიღება, (5) ქონებრივი დეკლარაციების შევსების ვალდებულების განვრცობა, რათა ვალდებულება ყველა პროკურორს დაეკისროს და (6) დისციპლინური გადაცდომების ზუსტი განმარტების შემუშავება და სანქციების პროპორციულობის უზრუნველყოფა.

კორუფციასთან ბრძოლის ზოგადი რეკომენდაციები: ქონებრივი დეკლარაციების ეფექტური მონიტორინგის განხორციელება და საჯარო სამსახურის ბიუროსთვის მონიტორინგის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსებისა და კომპეტენციების გაზრდა.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შეფასების რაუნდის შესაბამისობის ანგარიში ჯერ არ გამოქვეყნებულა, საქართველოს მთავრობამ მიიღო ზომები რეკომენდაციების გასათვალისწინებლად. 2018 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა N3684 ბრძანება გამოსცა პარლამენტში „ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ.“²⁷¹ ამასთან, საქართველოს ორგანულ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“ (N2257, მიღებულია: 04/12/2009, გამოქვეყნებულია: 08/12/2009, კონსოლიდირებული ვერსია: 31/10/2018)²⁷² ცვლილების შედეგად სასამართლო საქმის შემთხვევითი განაწილების მექანიზმი შემოიღო. (დამატებითი ინფორმაციისთვის სასამართლო რეფორმის შესახებ იხილეთ მე-4 შეკითხვა 23-ე თავის სექციაში სასამართლოს შესახებ). ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2017 წელს შეიქმნა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის მექანიზმი. დამატებითი ინფორმაციისთვის აღნიშნულ საკითხზე, რეგულაციებსა და პრაქტიკაზე იხილეთ 51-ე შეკითხვა.

271. საქართველოს პარლამენტის დადგენილება N3684 „საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“, მიღებულია: 31/10/2018: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/205673?>

272. მუხლი 581-ე, საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ N2257 (მიღებულია: 04/12/2009, გამოქვეყნებულია: 08/12/2009, კონსოლიდირებული ვერსია: 31/10/2018): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676?publication=30>

III
თავი

ძირითადი
უფლებები

ადამიანის უფლებები

სიცოცხლის უფლება და პირადი ხელშეუხებლობის უფლება

61 წარმოდგინეთ კანონმდებლობის მიმოხილვა და სიცოცხლის უფლების შესაბამისი პრეცედენტული სამართალი (ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის მუხლი მე-2 და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლი მე-2). ასევე წარმოდგინეთ ეროვნული კანონმდებლობის მიმოხილვა, საერთაშორისო შეთანხმებების რატიფიკაცია, პრეცედენტული სამართალი და სიკვდილით დასჯის შესაბამისი წესი / პრაქტიკა. როგორ არეგულირებს თქვენი კანონმდებლობა სიცოცხლის თვითნებური ხელყოფისა და ღირსების სახელით ჩადენილი დანაშაულის საკითხს? როგორია ასეთი დანაშაულის გამოძიების პრაქტიკული შედეგები?

➤ სიცოცხლის უფლება

საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლის შესაბამისად (მიღებულ იქნა 1995 წლის 25 აგვისტოს, კანონი №786, ცვლილება შეტანილია 2018 წლის 23 მარტს, კანონი №2071) ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არავის სიცოცხლე არ შეიძლება, განზრახ იყოს ხელყოფილი.

სიცოცხლის უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ საერთაშორისო და რეგიონლური შეთანხმებებით. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ 1999 წლის 17 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა მე-6 ოქმს მშვიდობიანობის დროს სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ, რომელიც საქართველოსათვის ძალაში შევიდა 2000 წლის 1 მაისს. 2002 წლის 3 მაისს საქართველომ ხელი მოაწერა მე-13 ოქმს ომის დროს სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. ეს ოქმი საქართველოსათვის ძალაში შევიდა 2003 წლის 1 სექტემბერს. ამასთანავე, 1999 წლის 22 მარტს საქართველო შეუერთდა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-2 ფაკულტატიურ ოქმს სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ, რომელიც საქართველოსათვის ძალაში შევიდა 1999 წლის 22 ივნისს. სიცოცხლის უფლება არის ადამიანის ძირითადი უფლება, რომელიც ყველა სხვა უფლების ლოგიკური წინაპირობაა. ამავე დროს ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის აზრით, (ა) სახელმწიფო ვალდებულია, შესაბამისი ზომები მიიღოს სიცოცხლის დაცვის მიზნით (№.7154/75, Dec. 12.7.78. D.R. 14, p. 31 (32-33).) და ამგვარად, (ბ) მე-2 მუხლი განაპირობებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებს (№.9348/81, Dec. 28.2.83. D.R. 32, p. 190 (199-200)).

➤ სიკვდილით დასჯა

საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლის შესაბამისად (მიღებულ იქნა 1995 წლის 25 აგვისტოს, კანონი №786, ცვლილება შეტანილია 2018 წლის 23 მარტს, კანონი №2071) ადამიანის სიცოცხლე დაცულია და სიკვდილით დასჯა აკრძალულია.

➤ თავისუფლების უკანონო შეზღუდვა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (მიღებულ იქნა 1999 წლის 22 ივლისს, კანონი №2287) განიხილავს ნაწილს ადამიანის მიმართ დანაშაულებრივი ხელყოფის წინააღმდეგ, რომელიც მოიცავს

სიცოცხლის ხელყოფის დანაშაულის შესახებ თავებს (მუხლი 108-ე (მიღებულ იქნა 1999 წლის 22 ივლისს, კანონი №2287; ცვლილება შეტანილ იქნა 2018 წლის 30 მაისს, კანონი №2395); მუხლი 109-ე (მიღებულ იქნა 1999 წლის 22 ივლისს, კანონი №2287; ცვლილება შეტანილ იქნა 2018 წლის 30 მაისს კანონი №2395); მუხლი 110-ე (მიღებულ იქნა 1999 წლის 22 ივლისს, კანონი №2287; ცვლილება შეტანილ იქნა 2017 წლის 1 ივნისს, კანონი №944). მუხლი 111-ე (მიღებულ იქნა 1999 წლის 22 ივლისს, კანონი №2287; ცვლილება შეტანილ იქნა 2017 წლის 1 ივნისს, კანონი №944); მუხლი 112-ე (მიღებულ იქნა 1999 წლის 22 ივლისს, კანონი №2287; ცვლილება შეტანილ იქნა 2017 წლის 1 ივნისს, კანონი №944); მუხლი 113-ე (მიღებულ იქნა 1999 წლის 22 ივლისს, კანონი №2287; ცვლილება შეტანილ იქნა 2017 წლის 1 ივნისს, კანონი №944); მუხლი 114-ე (მიღებულ იქნა 1999 წლის 22 ივლისს, კანონი №2287; ცვლილება შეტანილ იქნა 2017 წლის 1 ივნისს, კანონი №944); მუხლი 115-ე (მიღებულ იქნა 1999 წლის 22 ივლისს, კანონი №2287; ცვლილება შეტანილ იქნა 2018 წლის 30 მაისს, კანონი №2395); მუხლი 116-ე (მიღებულ იქნა 1999 წლის 22 ივლისს, კანონი №2287; ცვლილება შეტანილ იქნა 2017 წლის 1 ივნისს, კანონი №944) და ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შესახებ (მუხლი 127-ე (მიღებულ იქნა 1999 წლის 22 ივლისს, კანონი №2287; ცვლილება შეტანილ იქნა 2017 წლის 1 ივნისს, კანონი №944); მუხლი 128-ე (მიღებულ იქნა 1999 წლის 22 ივლისს, კანონი №2287; ცვლილება შეტანილ იქნა 2017 წლის 1 ივნისს, კანონი №944); მუხლი 129-ე (მიღებულ იქნა 1999 წლის 22 ივლისს, კანონი №2287; ცვლილება შეტანილ იქნა 2017 წლის 1 ივნისს, კანონი №944); მუხლი 130-ე (მიღებულ იქნა 1999 წლის 22 ივლისს, კანონი №2287; ცვლილება შეტანილ იქნა 2017 წლის 1 ივნისს, კანონი №944); მუხლი 131 (მიღებულ იქნა 1999 წლის 22 ივლისს, კანონი №2287; ცვლილება შეტანილ იქნა 2006 წლის 28 აპრილს, კანონი №2937); მუხლი 132-ე (მიღებულ იქნა 1999 წლის 22 ივლისს, კანონი №2287; ცვლილება შეტანილ იქნა 2017 წლის 1 ივნისს, კანონი №944; ცვლილება შეტანილ იქნა 2006 წლის 28 აპრილს, კანონი №2937); მუხლი 133-ე (მიღებულ იქნა 1999 წლის 22 ივლისს, კანონი №2287; ცვლილება შეტანილ იქნა 2014 წლის 1 ოქტომბერს, კანონი №2671) მუხლი 133-ე (მიღებულ იქნა 1999 წლის 22 ივლისს, კანონი №2287; ცვლილება შეტანილ იქნა 2017 წლის 1 ივნისს, კანონი №944); მუხლი 1331-ე (მიღებული იქნა 1999 წლის 22 ივლისს, კანონი №2287; ცვლილება შეტანილ იქნა 2017 წლის 4 აპრილს, კანონი №7630; მუხლი 134-ე (მიღებულ იქნა 1999 წლის 22 ივლისს, კანონი №2287; ცვლილება შეტანილ იქნა 2006 წლის 28 აპრილს, კანონი №2937); მუხლი 135-ე (მიღებულ იქნა 1999 წლის 22 ივლისს, კანონი №2287; ცვლილება შეტანილ იქნა 2017 წლის 1 ივნისს, კანონი №944); მუხლი 1351-ე (მიღებულ იქნა 1999 წლის 22 ივლისს, კანონი №2287; ცვლილება შეტანილ იქნა 2006 წლის 28 აპრილს, კანონი №2937). კოდექსი ადგენს ადამიანების მიმართ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლის სამართლებრივ ღონისძიებას.

განზრახ ან დამამძიმებელ მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობა ერთ-ერთ ყველაზე მძიმე დანაშაულად ითვლება. სხვადასხვა ვადის მქონე სანქციები დაწესებულია ისეთი დანაშაულის ჩადენისთვის, როგორცაა განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა, მსხვერპლის თვითმკვლელობამდე მიყვანა მისი პატივის ან ღირსების სისტემატური დამცირებით (თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა მსხვერპლისადმი მუქარით ან სასტიკი მოპყრობით ანდა მისი პატივის ან ღირსების სისტემატური დამცირებით). კანონმდებლობის შესაბამისად ნებისმიერი სახის მკვლელობა ზედმიწევნით და ეფექტურად უნდა იქნეს გამოძიებული. კანონმდებლობის თანახმად მკვლელობის გამოძიების პასუხისმგებლობა ეკისრება პროკურატურას (და არა – შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს).

➤ ჯანმრთელობის დაცვა

საკანონმდებლო ჩარჩო

საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ (მიღებულ იქნა 1997 წლის 10 ოქტომბერს, კანონი №1139) აწესრიგებს ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. საქართველოს კანონმდებლობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონის და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

მუხლი მე-15 (მიღებულ იქნა 1997 წლის 10 ოქტომბერს, №1139; ცვლილება შეტანილ იქნა 2018 წლის 5 ივლისს; კანონი №3094) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მისი კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე შეიმუშავებს და გამოსცემს შესაბამის სამართლებრივ აქტებს, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვისა და პაციენტის უფლებების დაცვის შესახებ (მიღებულ იქნა 2000 წლის 5 მაისს, კანონი №283) ყველა მოქალაქისთვის უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობას. პაციენტის უფლებების დაცვის შესახებ კანონის მუხლი 41 (2) (მიღებულ იქნა 2000 წლის 5 მაისს, კანონი №283, ცვლილება შევიდა 28.05.2015 N 3609 ამოქმედდეს 2015 წლის 1 სექტემბრიდან)) ადგენს, რომ 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვან პაციენტს სამედიცინო მომსახურება უტარდება მხოლოდ მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, თუმცა, მუხლი 40 (2) უზრუნველყოფს ზოგიერთ გამონაკლისებს 14–დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი პაციენტებისათვის, რომლებიც სამედიცინო მომსახურების გამწევის შეხედულებით სწორად აფასებენ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობას და რომლებმაც ექიმს მიმართეს 'სქესობრივად გადამდები დაავადების ან ნარკომანიის მკურნალობის, კონტრაცეფციის არაქირურგიული მეთოდების შესახებ კონსულტაციის მიღების ან ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის მიზნით'. ასეთ შემთხვევებში პაციენტს აქვს ინფორმირებული თანხმობისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების კონფიდენციალურად მიღების უფლება. ამ კანონით ასევე ნებადართულია 12 კვირამდე ვადის ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტა, რაც უნდა ჩატარდეს ექიმი მენ-გინეკოლოგის მიერ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის წინ მიღებული ქალის წერილობითი ინფორმირებული თანხმობით. ამ კანონით 12 კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტაზე კანონით დაწესებულია დამატებითი ლეგალური მოთხოვნები.

გარემოს დაცვა

კანონი გარემოს დაცვის შესახებ (მიღებულ იქნა 1996 წლის 10 დეკემბერს, კანონი №519) არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს (საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განურჩევლად) შორის გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში (შემდგომ „გარემოს დაცვაში“) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მისი ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ჩათვლით.

საქართველოს კანონმდებლობა გარემოს დაცვის სფეროში შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ან კანონისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისგან.

ამ კანონის ძირითადი ამოცანებია, დაიცვას და შეინარჩუნოს ადამიანის ჯანმრთელობისთვის უვნებელი გარემო; სამართლებრივად უზრუნველყოს გარემოს მავნე ზემოქმედებისგან დაცვა; სამართლებრივად უზრუნველყოს გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება; უზრუნველყოს საზოგადოების ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ინტერესების ოპტიმალური უეთიერთშეთანაწილობა (ჰარმონიული შეთანხმება); სამართლებრივად უზრუნველყოს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მართვა გარემოს პოტენციური შესაძლებლობებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით.

საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს:

1. ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში;
2. სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი;
3. მიიღოს მიუკერძოებელი და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს შესახებ;
4. მიიღოს გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური განათლება, გაუმჯობესოს გარემოსდაცვითი განათლება;
5. გარემოს დაცვის მიზნით გაერთიანდეს საზოგადოებრივ ორგანიზაციებში;
6. მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განხილვასა და მიღების პროცესში;
7. მიიღოს ანაზღაურება მისთვის მიყენებული ზარალისთვის, რომელიც გამოიწვია საქართველოს გარემოს დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნათა შეუსრულებლობამ;
8. სასამართლო წესით მოთხოვოს ეკოლოგიურად საშიში ობიექტების განთავსების, პროექტირების, მშენებლობის რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის შესახებ გადაწყვეტილების შეცვლა.

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება

სამართალდამცავი პერსონალის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება განისაზღვრება პოლიციის შესახებ კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად (მიღებულ იქნა 2013 წლის 4 ოქტომბერს, კანონი №1444). პოლიციელს უფლება აქვს, უკიდურესი ღონისძიების სახით გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი შემდეგ შემთხვევებში:

- ა) მოქალაქისა და თავისი თავის დასაცავად ისეთი საფრთხისაგან, რომელიც რეალურ საშიშროებას უქმნის მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;
- ბ) მძევლების გასათავისუფლებლად;
- გ) დაკავების ან პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გაქცევის აღსაკვეთად;
- დ) მძიმე დანაშაულის აღსაკვეთად, ასეთი დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავებისას, თუ იგი წინააღმდეგობას უწევს პოლიციელს;
- ე) დაცულ ობიექტებზე სახელმწიფო ორგანოების და/ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების თავდასხმის მოგერიებისას;
- ვ) მოქალაქეთა დაცვისას საშიშ ცხოველთა თავდასხმისაგან;
- ზ) სატრანსპორტო საშუალების გაჩერების მიზნით სატრანსპორტო საშუალების დაზიანებისათვის, თუ მძღოლის მოქმედება რეალურ საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, ხოლო მძღოლი არ ემორჩილება პოლიციელის არაერთგზის მოთხოვნას სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ.

საქართველოს პოლიცია იღებს ვალდებულებას, განუხრელად დაიცვას წინამდებარე კოდექსში ჩამოყალიბებული პრინციპები იმის გათვალისწინებით, რომ:

- საქართველო არის დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც აღიარებს კანონის უზენაესობის პრინციპს;
- ხალხი მიისწრაფვის სამართლებრივი სახელმწიფოს იდეისკენ, რათა მაქსიმალურად დაიცვას საკუთარი თავისუფლება კანონით გათვალისწინებული აუცილებელი და სამართლიანი შეზღუდვების ფარგლებში;
- პოლიცია წარმოადგენს საზოგადოების სამსახურში მდგომ სახელმწიფო ორგანოს, რომელიც კანონის განუხრელი დაცვით უზრუნველყოფს თითოეული მოქალაქის თავისუფლებასა და უსაფრთხოებას;
- კანონის უზენაესობის პრინციპი საქართველოს პოლიციის საქმიანობის ძირითადი საფუძველია;
- პოლიცია, როგორც საზოგადოების სამსახურში მდგომი სახელმწიფო ორგანო, ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

წინამდებარე კოდექსი ითვალისწინებს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას, წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის სხვა ფორმებისგან დაცვის შესახებ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, პოლიციის ეთიკის ევროპული კოდექსის ძირითად დებულებებს, სხვა საერთაშორისო და ეროვნულ სამართლებრივ აქტებს, ადგენს პოლიციის ეთიკის ძირითად პრინციპებს და ქცევის წესებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა პოლიციელისთვის, როგორც სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს, ასევე სხვა სახის საქმიანობის განხორციელებისას, მათ შორის – სამსახურს გარეთ. პოლიციის ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება შსს–ს სისტემაში დასაქმებულ ყველა პოლიციელზე. პოლიციელი ვალდებულია, დაიცვას აღნიშნული კოდექსი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

საქართველოს თავდაცვის ძალები

საქართველოს თავდაცვის ძალები არის საქართველოს თავდაცვის გაერთიანებული ძალების დასახელება. საქართველოს სამხედრო ძალები შედგება საქართველოს სახმელეთო ძალებისგან, სპეციალური ოპერაციების ძალებისა და გასამხედროებული ორგანიზაციებისგან და ეროვნული გვარდიისგან. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად თავდაცვის ეროვნული პოლიტიკა მიზნად ისახავს ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ტერიტორიული წყლებისა და საჰაერო სივრცის და კონსტიტუციური წესრიგის დაცვას.

საქართველოს თავდაცვის ძალები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არის საქართველოს კონსტიტუციისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და ფუნქციონირების“ შესახებ კანონის (მიღებულ იქნა 2004 წლის 11 თებერვალს, კანონი №3277) შესაბამისად დაარსებული აღმასრულებელი ორგანო. თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობს თავდაცვის მინისტრი. ის ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტის – უმაღლესი მთავარსარდლის და საქართველოს მთავრობის მეთაურის წინაშე. თავდაცვის სამინისტროს მისიაა საქართველოს თავდაცვის ძალების განვითარება და მთი სტრუქტურული ერთეულების საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნის უზრუნველყოფა, თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერება და ასევე ნებისმიერი აგრესიის და ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფის მცდელობისა მოგერიება.

უკანასკნელ წლებში საერთაშორისო და რეგიონალურმა განვითარებამ მნიშვნელოვნად შეცვალა საქართველოს უსაფრთხოების პირობები. საქართველო მჭიდრო ურთიერთობებს ინარჩუნებს მსოფლიოს

წამყვან დემოკრატიულ ქვეყნებთან. ამ ქვეყნების მხარდაჭერა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს დემოკრატიული განვითარების საქმეში.

თავდაცვის პოლიტიკასთან დაკავშირებით საქართველომ შეიმუშავა შემდეგი აქტები და დოკუმენტები:

- საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია;
- უსაფრთხოების სფეროში ეროვნული სტრატეგია;
- საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტი;
- სტრატეგიული თავდაცვის ანალიზი;
- მინისტრის დირექტივები;
- თავდაცვის საკითხებთან დაკავშირებული (White Paper) თეთრი წიგნი
- კომუნიკაციის სტრატეგია;
- შესყიდვების სტრატეგიის ძირითადი სისტემები.

62

რა სტრატეგიები და ღონისძიებებია ხელმისაწვდომი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების უზრუნველსაყოფად?

საქართველოს მთავრობამ მრავალი სტრატეგია და შესაბამისი ზომები მიიღო ამ სტრატეგიების განსახორციელებლად:

- ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014–2020;
- ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმა 2018–2020;
- „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციის განსახორციელებლად საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა 2016–2017;
- „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების“ ღონისძიებების გასატარებლად ეროვნული სამოქმედო გეგმა 2018–2020;
- საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმა 2016–2017 ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში;
- ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმა 2017–2018;
- უნარშეზღუდულ პირთა დახმარების სამოქმედო გეგმა 2014–2016 ;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №622 (962.28KB) საქართველოს 2016–2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ;
- მიგრაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა 2018 წლისთვის (12.02.2018);
- საქართველოს მიგრაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა 2016–2017;
- 2014–2020 წლების საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების სახელმწიფო კონცეფცია – “საყოველთაო ჯანდაცვა და ხარისხის მართვა პაციენტთა უფლებების დასაცავად”.

63

მედიცინისა და ბიოლოგიის სფეროში არსებობს თუ არა სპეციალური წესები, რომლებიც განსაზღვრავს, რა არის ნებადართული და რა არ არის ნებადართული?

საქართველოში არსებობს ბევრი კანონი, რომელიც არეგულირებს ადამიანის უფლებებს მედიცინის სფეროში.

საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ (მიღებულ იქნა 1997 წლის 10 დეკემბერს, კანონი №1139) არეგულირებს სახელმწიფო ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობებს მოქალაქეების ჯანდაცვის სფეროში. ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპებია:

- ა) მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობა სახელმწიფოს ნაკისრი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში;
- ბ) ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, პაციენტის პატივის, ღირსებისა და მისი ავტონომიის აღიარება;
- გ) ექიმისა და სხვა სამედიცინო პერსონალის დამოუკიდებლობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში;
- დ) ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შესაბამისობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან და მისი მართვადობის უზრუნველყოფა;
- ე) პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პაციენტის, აგრეთვე ამა თუ იმ დაავადებით შეპყრობილი პირის დისკრიმინაციისაგან დაცვა სამედიცინო დახმარების გაწევისას;
- ვ) ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სამედიცინო ეთიკის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დამკვიდრება;
- ზ) მოსახლეობის სრული ინფორმირება სამედიცინო დახმარების ყველა არსებული ფორმისა და მისი მიღების შესაძლებლობის შესახებ;
- თ) ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- ი) სახელმწიფოს პასუხისმგებლობა სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების მოცულობასა და ხარისხზე;
- კ) პირველადი ჯანმრთელობის დაცვის, მათ შორის, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პრიორიტეტულობა, მათში სახელმწიფო და კერძო სექტორების მონაწილეობა;
- ლ) საოჯახო მედიცინისა და ოჯახის ექიმის ინსტიტუტის განვითარება და მასზე დაფუძნებული სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- მ) სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ექიმთა სერტიფიცირების, სამედიცინო საქმიანობის ლიცენზირებისა და სამედიცინო დაწესებულებაზე ნებართვის გაცემისათვის;
- ნ) სახელმწიფოს, საზოგადოების, თითოეული მოქალაქის მონაწილეობა ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაში, საცხოვრებელი, სამუშაო და დასასვენებელი გარემოს დაცვაში;
- ო) სამედიცინო მომსახურების სფეროში საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მრავალფეროვნება და თანაბარუფლებიანი არსებობა;
- პ) მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის მავნე ქმედებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ადმინისტრაციული სანქციების გამოყენება;
- ჟ) სახელმწიფოს მიერ პროგრამული და მიზნობრივ-პროგრამული წესით ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსება; სახელმწიფო სექტორის ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების თვითნაზღაურებისა და თვითმმართველობის უზრუნველსაყოფად საფინანსო, სამეურნეო, სახელშეკრულებო ურთიერთობებისა და მართვის სისტემის ავტონომია კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- რ) არსებული რესურსების შესაბამისად სახელმწიფოს მიერ სამედიცინო-ბიოლოგიური და ჯანმრთელობის დაცვის კვლევათა დაფინანსება, ამ მიზნით კერძო სექტორიდან სახსრების მოსაზიდად ხელსაყრელი პირობების შექმნა;
- ს) პროფესიული გაერთიანებების, აგრეთვე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობა ჯანმრთელობის დაცვის თანამედროვე, ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაში კონსულტაციების,

სამეცნიერო და პროფესიული განხილვების, სათანადო პროექტების შემუშავების, პაციენტის უფლებების დაცვაში მონაწილეობის გზით.

მუხლი 71-ე (2) ითვალისწინებს შემდეგს: სახელმწიფო ვალდებულია გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან გარემოს დაცვის მონიტორინგზე და რადიაციული უსაფრთხოების კონტროლზე.

“პაციენტის უფლებების შესახებ” კანონის (მიღებულ იქნა 2000 წლის 5 მაისს, კანონი №283) მიზანია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოქალაქის უფლებების დაცვა და აგრეთვე მისი პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა. ჯანდაცვის სფეროში მოქალაქის უფლებების დაცვის კუთხით საქართველოს კანონმდებლობა მოიცავს საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო შეთანხმებებს და ხელშეკრულებებს, რომლის მონაწილე მხარეა საქართველო, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში საქართველოს კანონს და სხვა სამართლებრივ და მარეგულირებელ დოკუმენტებს.

საქართველოს კანონის „საექიმო საქმიანობის შესახებ“ (მიღებულ იქნა 2001 წლის 8 ივნისს, კანონი №904) მიზანია, უზრუნველყოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის შესაბამისი პროფესიული განათლება და პრაქტიკული მომზადება, მის პროფესიულ საქმიანობაზე სათანადო სახელმწიფო ზედამხედველობის დაწესება, მისი უფლებების დაცვა, აგრეთვე ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების საექიმო საქმიანობაში დამკვიდრებით საქართველოს მოსახლეობის მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურება.

ეს კანონი არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტსა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის. მუხლი მე-15 (4) შესაბამისად სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული რეზიდენტების მზადების ტექნიკურ უზრუნველყოფას და მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების დახმარების შესაბამისი სააგენტო.

საქართველო შეუერთდა ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ ევროპულ კონვენციას და ასევე ამ კონვენციის დამატებით ოქმს (1998) ბიოლოგიასა და მედიცინაში ადამიანის უფლებებისა და მისი ადამიანური ღირსების დაცვის – „ადამიანის გენომზე მანიპულაციების აკრძალვის“ შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2000 წლის 27 სექტემბერს და რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის სამუშაო ჯგუფის მიერ 2002 წლის 27 სექტემბრის №1677-1 რეზოლუციის თანახმად. „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის“ დამატებითი ოქმი ბიოსამედიცინო კვლევის შესახებ (2004 წლის 30 ივნისი, სტრასბურგი) საქართველოსთვის ძალაში შევიდა 2010 წელს.

წამების და არაადამიანური, ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა ან დასჯის აკრძალვა

64 გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის პრევენციაზე მიმართული კონკრეტული საკანონმდებლო, ასევე ადმინისტრაციული და ტექნიკური ღონისძიებების შესახებ სახელმწიფო დაწესებულებებში, ციხეებსა ან პოლიციის განყოფილებებში, ა.შ. ამ თვალსაზრისით რა ღონისძიებები ტარდება დაკავების ადგილების ან პოლიციის განყოფილებების ინსპექტირებისათვის და რამდენად ხშირად ტარდება ამგვარი ინსპექტირება? მსხვერპლთათვის თუ არსებობს სამართლებრივი დაცვის საშუალებები?

საქართველოს კონსტიტუცია²⁷³ კრძალავს წამებას, სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას და ამგვარი სასჯელის გამოყენებას. ის ასევე ითვალისწინებს ადამიანური ღირსებისა და პატივის ხელშეუვალობას და დაუშვებლად ცნობს დაკავებულის ან სხვაგვარად თავისუფლებააღკვეთილი პირის ფიზიკურ ან ფსიქიკურ იძულებას.

საქართველოს კონსტიტუცია ახალი რედაქციით ასევე ითვალისწინებს ადამიანური ღირსების ხელშეუვალობას და სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, რომ დაიცვას იგი. ის ასევე კრძალავს წამებას და არაადამიანურ, ღირსების შემლახავ მოპყრობას და დასჯას²⁷⁴. მე-10 მუხლი იცავს ადამიანის სიცოცხლეს და პირის ფიზიკურ ხელშეუხებლობას.

სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლი²⁷⁵ ადგენს, რომ სასჯელის მიზანი არ უნდა იყოს პირის ფიზიკური წამება ან დამცირება.

სისხლის სამართლის კოდექსი²⁷⁶ ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის დანაშაულებისთვის. კონკრეტულად, 144¹-ე მუხლი — წამება, რომელიც განისაზღვრება, როგორც პირისათვის ან მესამე პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის (ისჯება შვიდიდან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთით). ამგვარი ქმედება, ჩადენილი საჯარო მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, წარმოადგენს დამამძიმებელ გარემოებას, რომელიც უფრო მკაცრად ისჯება, კერძოდ, თავისუფლების აღკვეთით ცხრიდან თხუთმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე. წამება, ჩადენილი სექსუალური ხასიათის ძალადობის გამოყენებით ან ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ან რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, ითვლება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად, რომ-

273. საქართველოს კონსტიტუცია, N786, მიღებულია 24/08/1995, მუხლი 17

274. საქართველოს კონსტიტუცია (2017), მუხლი 9 (ამოქმედდება 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, პრეზიდენტის ინაუგურაციის მერე)

275. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (კანონი N2287, მიღებულია: 22/07/1999, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში, 41(48), 13/08/1999, უკანასკნელი ცვლილება: 14/12/2018)

276. სისხლის სამართლის კოდექსი

ლისთვისაც გათვალისწინებული სასჯელი თავისუფლების აღკვეთა თორმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე.

წამების კიდევ ერთ დანაშაულს – წამების მუქარას ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144²⁻ე მუხლი, რომელიც დასჯადია ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე.

144³⁻ე მუხლი ითვალისწინებს დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის დანაშაულს, რომელიც განსაზღვრულია, როგორც პირის დამცირება ან იძულება, არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს და რომელიც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით სამიდან შვიდ წლამდე ვადით.

დამატებით ორი მუხლი, რომელიც ითვალისწინებს იმ დამნაშავეების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას წამების დანაშაულებისთვის, რომლებიც არიან საჯარო მოხელეები, არის 332-ე მუხლი²⁷⁷ – სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და 333-ე მუხლი²⁷⁸ – სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეცემა. სახალხო დამცველის თანახმად ამ ორი მუხლის გამოყენება ხშირად შეცდომით ხდება წამებისა და არაადამიანური მოპყრობის დანაშაულებისთვის დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად²⁷⁹.

საქართველო წარმოადგენს როგორც გაეროს წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის ხელშემკვრელ მხარეს²⁸⁰ (და აღიარებული აქვს გაეროს შესაბამისი სახელმწიფოებო ორგანოს – წამების წინააღმდეგ გაეროს კომიტეტის კომპეტენცია)²⁸¹, ასევე წამებისა და არაადამიანური, ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ევროპული კონვენციის ხელმძღვრე სახელმწიფოს²⁸² და ექვემდებარება წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კომიტეტის (CPT) მხრიდან ვიზიტებს.

საქართველომ მოახდინა წამების წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატიური ოქმის (UN OPCAT)²⁸³ რატიფიცირება და სახალხო დამცველის აპარატის წამების პრევენციის ეროვნულ მექანიზმად დანიშვნა „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებების განხორციელების საფუძველზე. NPM ატარებს რეგულარულ პრევენციულ და გაუფრთხილებელ ვიზიტებს თავისუფლების შემღვდის ან აღკვეთის ადგილებში, მათ შორის – დაგეგმილ და საგანგებო ვიზიტებს, და ამზადებს ვიზიტების ანგარიშებს.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს სამართლებრივი და პროცედურული დაცვის გარკვეულ გარანტიებს წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ, კერძოდ: სამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობის უფლება, დაკავებულის დაკავების ადგილას (პოლიცია, პენიტენციური

277. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
 278. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
 279. საქართველოს სახალხო დამცველის წლიური ანგარიშები (2015, 2016, 2017 წწ.);
 280. მიუერთდა საქართველოს პარლამენტის N 562-ე რეზოლუციით (1994 წლის 22 სექტემბერს), <https://matsne.gov.ge/en/document/view/37378?publication=0>
 281. საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია N1493, 2002 წლის 7 ივლისი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 63, 19/06/2002 URL: <https://matsne.gov.ge/en/document/view/41422?publication=0>
 282. რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის N272 რეზოლუციით (2000 წლის 3 მაისს), საქართველოს საკანონმდებლო მაცნე N42 (2000 წლის 11 მაისი) URL: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/40300?publication=0>
 283. საქართველოსთვის შევიდა ძალაში 22/06/2006;

დაწესებულება) მიღების შესახებ ნათესავისთვის შეტყობინება, დამოუკიდებელი ექიმის მიერ სამედიცინო შემოწმების ხელმისაწვდომობა, უფლება, იყოს ინფორმირებული უფლებების შესახებ, ასევე საჩივრების შეტანის უფლება.

დაკავებულს აქვს უფლება სამართლებრივ დაცვაზე, მათ შორის, გარკვეულ შემთხვევებში სახელმწიფოს მიერ გაწეულ უფასო იურიდიულ დახმარებაზე. კონსტიტუციის 31.3-ე მუხლი²⁸⁴ დაცვის უფლებას უზრუნველყოფს. ახალი კონსტიტუციის მე-13.4 მუხლის²⁸⁵ მიხედვით პირი უნდა იყოს ინფორმირებული მისი უფლებებისა და დაკავების საფუძვლების შესახებ დაკავებისთანავე და შეუძლია, დაუყოვნებლივ მოითხოვოს ადვოკატის დახმარება. ეს მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლი²⁸⁶ ითვალისწინებს დაკავებისას ან, თუ პირი არ არის დაკავებული, მისი ბრალდებულად ცნობისთანავე, ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ, ბრალდებულის ინფორმირების ვალდებულებას, რომ მას აქვს უფლება ადვოკატზე და შეუძლია, დამცველის მომსახურებით ისარგებლოს. ბრალდებულს შეუძლია, შეარჩიოს დამცველი და ისარგებლოს მისი მომსახურებით, ასევე შეცვალოს დამცველი ნებისმიერ დროს, ან თუ ის სოციალურად დაუცველია, მას შეიძლება, სახელმწიფოს ხარჯით დაენიშნოს ადვოკატი. ბრალდებულს უნდა მიეცეს გონივრული დრო და საშუალება დაცვის მოსამზადებლად. ბრალდებულსა და მის ადვოკატს შორის ურთიერთობა უნდა იყოს კონფიდენციალური. დამცველსა და ბრალდებულს შორის კომუნიკაციაზე დაუშვებელია შეზღუდვის დაწესება იმგვარად, რომ დაცვის ჯეროვნად განხორციელება შეფერხდეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციის²⁸⁷ მიხედვით დროებითი მოთავსების იზოლატორებში განთავსებული დაკავებული პირები სრულად სარგებლობენ ადვოკატთან დაკავშირების და მასთან შეხვედრის უფლებით ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ნებისმიერ დროს.

როგორც ბრალდებულს, ასევე მსჯავრდებულ პატიმრებს გააჩნიათ ადვოკატებთან შეხვედრის უფლება ყოველგვარი შეზღუდვისა და ჩარევის გარეშე²⁸⁸. პენიტენციური დაწესებულების პერსონალს შეუძლია, ვიზუალურად დააკვირდეს პატიმრის ადვოკატთან შეხვედრას, მოსმენის გარეშე, დისტანციური ელექტრონული დაკვირვების და ვიზუალური ჩაწერის ტექნიკური საშუალების გამოყენებით²⁸⁹. პატიმრის კორესპონდენცია მის ადვოკატთან დაცულია პენიტენციური დაწესებულების მხრიდან შეჩერებისა და შემოწმებისგან²⁹⁰.

დაკავებისას ბრალდებულ პირს შეუძლია, შეატყობინოს თავის ოჯახის წევრებს ან ახლო ნათესავებს დაკავების ფაქტისა და მისი ადგილმდებარეობის შესახებ²⁹¹ და დაკავებაზე უფლებამოსილმა ორგანომ (პოლიციამ) უნდა უზრუნველყოს ამგვარი შესაძლებლობა.

284. საქართველოს კონსტიტუცია (1995);

285. საქართველოს კონსტიტუცია (2017), შევიდა ძალაში საქართველოს ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ, რომლის არჩევა მოხდა 2018 წლის ოქტომბრის არჩევნებზე;

286. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (კანონი N1772, მიღებულია: 09/10/2009, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში, N31, 03/11/2009, ბოლოს შეიცვალა: 13/12/2018)

287. შსს-ს წერილი N MIA 9 18 02999006, დათარიღებული 12.12.2018.

288. როგორც ამას ითვალისწინებს პატიმრობის კოდექსი, (კანონი N2696, მიღებულია: 09/03/2010, გამოქვეყნებულია: LHG, N12, 24/03/2010, უკანასკნელი ცვლილება: 09/08/2018), ასევე სასჯელაღსრულების მინისტრის N157 ბრძანებით (დათარიღებულია 2015 წლის 2 ნოემბრით)

289. საქართველოს პატიმრობის კოდექსის (2010 წ.) მე-18 მუხლი;

290. მუხლი მე-16, იქვე;

291. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (2009 წ.), მუხლი 38.10-ე;

პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია, პატიმრის (ბრალდებულის, ასევე მსჯავრდებულის) დაწესებულებაში მიღების შესახებ დაუყოვნებლივ ან მისი მიღებიდან არა უგვიანეს 1 სამუშაო დღისა აცნობოს მის ნათესავს²⁹². პატიმრის სურვილით, მისი თხოვნით, ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია, შეატყობინოს სხვა პირს ან ადვოკატს.

დაკავებულებს აქვთ ექიმის მიერ სამედიცინო შემოწმებაზე ხელმისაწვდომობის უფლება. ბრალდებულს დაკავებისას შეუძლია, მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება და მიიღოს შესაბამისი წერილობითი დასკვნა. ბრალდებულს უნდა მიეცეს შესაძლებლობა დაუყოვნებლივ ისარგებლოს ამ უფლებით. ბრალდებული ასევე უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ჩაიტაროს სამედიცინო შემოწმება ნებისმიერ დროს საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული ექიმის მონაწილეობით²⁹³. პატიმრობის კოდექსი²⁹⁴ ითვალისწინებს პატიმართა (ბრალდებული და მსჯავრდებული) ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებას პენიტენციურ დაწესებულებაში მიღებისას და შესაბამისი სამედიცინო ცნობის მომზადებას (მათ შორის, პატიმრის სხეულზე არსებული დაზიანებების შესახებ), რომელიც ინახება პატიმრის პირად საქმეში. კოდექსი ასევე ითვალისწინებს პატიმართა სავალდებულო სამედიცინო შემოწმებას და აქტის მომზადებას უსაფრთხოების ღონისძიებებისა და შეკავების საშუალებების გამოყენებიდან დაუყოვნებლივ²⁹⁵. სავალდებულო სამედიცინო შემოწმება ასევე ტარდება, როდესაც ხდება პატიმრის გაყვანა პენიტენციური დაწესებულებიდან ან მისი გადაყვანა სხვა დაწესებულებაში²⁹⁶.

სასჯელაღსრულების მინისტრის N 131-ე ბრძანება²⁹⁷ ადგენს შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის შედეგად პატიმართა სხეულზე ექიმთა მიერ აღმოჩენილი დაზიანებების აღრიცხვის, დოკუმენტირებისა და ფოტოგრაფირების წესებს. მინისტრის ბრძანებით ასევე დამტკიცებულია სპეციალური ფორმები, რომლებსაც იყენებენ ექიმები აღმოჩენილი დაზიანებების დოკუმენტირებისთვის. წესები მოითხოვს სამედიცინო კონფიდენციალობის დაცვას ამგვარი პროცედურების დროს, ე.ი. მესამე პირთა დასწრების აკრძალვას, გარდა გამონაკლისი გარემოებებისა, მაგ., როდესაც ექიმი აშკარად ითხოვს ამას.

ბრძანება ითვალისწინებს წესებს დაზიანებების დოკუმენტირებისთვის, რომლებიც შეიძლება, მოგვიანებით გამოდგეს, როგორც სამედიცინო მტკიცებულება გამოძიების დროს. აღნიშნული შესაბამისობაშია გაეროს სტამბოლის ოქმის (პროტოკოლის) მოთხოვნებთან.

თუმცა, N131 ბრძანების მე-6 მუხლი არ პასუხობს სტამბოლის პროტოკოლის მოთხოვნებს, ვინაიდან ითვალისწინებს ციხეების ექიმების ვალდებულებას, შესაძლო არასათანადო მოპყრობის შესახებ შეატყობინონ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს და არა – დამოუკიდებელ ორგანოს, როგორც მთავარი პროკურატურაა, რომლის საგამოძიებო ქვემდებარეობაც ითვალისწინებს სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი

292. 34-ე მუხლი, საქართველოს პატიმრობის კოდექსი (2010 წ.);
 293. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 38.9-ე;
 294. პატიმრობის კოდექსი, მუხლები 24.2, 75, 120.1;
 295. პატიმრობის კოდექსი, 57-ე მუხლი;
 296. იქვე, 76.3-ე მუხლი;
 297. სასჯელაღსრულების მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის ბრძანება N 131 საქართველოს სასჯელაღსრულების სამინისტროს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3402759?publication=0>

დანაშაულების გამოძიებას. სამინისტროს შიდა ორგანოს მიერ წარმოებული გამოძიება ვერ იძლევა ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას, რომელიც საჭიროა ციხის თანამშრომლების მიერ სავარაუდოდ ჩადენილი წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის ეფექტური გამოძიებისთვის.

შინაგან საქმეთა მინისტრის N423 ბრძანება²⁹⁸ ასევე შეიცავს დებულებებს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მომუშავე ექიმების პასუხისმგებლობის შესახებ, რომ ჩაატარონ სრულყოფილი დოკუმენტირება იმ დაზიანებებისა, რომლებიც აღენიშნებათ დმი-ებში მიღებულ პირებს სამედიცინო შემოწმებისას. აღნიშნული პროცედურა უნდა ჩატარდეს სამედიცინო კონფიდენციალობის დაცვით, მესამე პირის დასწრების გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ექიმი თვითონ მოითხოვს. დმი-ში სამედიცინო განყოფილების არარსებობის შემთხვევაში ხდება სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახება დაკავებულების სამედიცინო შემოწმებისთვის. ამ შემთხვევაში დაზიანებების დოკუმენტირება ხდება სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის სამედიცინო დასკვნების საფუძველზე იზოლატორის მორიგე ოფიცრის მიერ.

სასჯელაღსრულების მინისტრის ბრძანების მსგავსად, აქაც ინფორმაცია დაზიანებების შესახებ პირდაპირ არ ეცნობება დამოუკიდებელ საგამოძიებო ორგანოს, არამედ იზოლატორის ხელმძღვანელს, რომელმაც დაუყოვნებლივ უნდა გადასცეს აღნიშნული ინფორმაცია მთავარ პროკურატურას და შსს-ს გენერალურ ინსპექციას.

შსს-დან მოწოდებული ინფორმაციის²⁹⁹ მიხედვით წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციის დამატებითი მექანიზმია დაკავებულის სამედიცინო შემოწმების ჩატარება დმი-დან მისი გადაყვანისას მისივე ინფორმირებული თანხმობით.

პატიმრობის კოდექსი³⁰⁰ ითვალისწინებს პატიმრობის დაწესებულების ვალდებულებას, მოახდინოს დაკავებული პირის (ბრალდებული) დაუყოვნებლივ ინფორმირება მისი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ მისთვის გასაგებ ენაზე. პატიმრებს აქვთ უფლება, წარადგინონ საჩივრები, მათ შორის – კონფიდენციალური. წამებასა და არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრები განსაკუთრებულ შემთხვევებს წარმოადგეს და უნდა მოხდეს მათი დაუყოვნებლივ განხილვა³⁰¹. წამებისა და არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის თაობაზე საჩივრის შესახებ 24 საათის განმავლობაში უნდა ეცნობოს პენიტენციური დაწესებულების დირექტორს ან სხვა უფლებამოსილ პირს და/ან სპეციალური პრევენციულ ჯგუფს.

ტექნიკურ ღონისძიებებს რაც შეეხება, პოლიციის იზოლატორებსა და პენიტენციურ დაწესებულებებში მოქმედებს ვიდეომეთვალყურეობის სისტემები. მათ ერთ-ერთ დანიშნულებას წარმოადგენს დაკავებულთა წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენცია.

298. შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N 423 (დათარიღებული 2016 წლის 2 აგვისტოთი) შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების სამოძღვლო დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ;

299. შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი N MIA 9 18 02999006, 12.12.2018.

300. პატიმრობის კოდექსი, 75.6-ე მუხლი;

301. პატიმრობის კოდექსი, 105-ე მუხლი;

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მეორე მხრივ, უსაფრთხოების მოსაზრებები პრევალირებს და ხშირად უპირისპირდება ადამიანური ღირსების დაცვის მოთხოვნებს, ამიტომაც ხშირად ხდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა, განსაკუთრებით, ციხეებში. სახალხო დამცველის თანახმად³⁰² პატიმრებთან მიმართებაში ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურეობის საშუალებების გამოყენება ხშირად არ არის სათანადოდ დასაბუთებული, განსაკუთრებით, მაღალი რისკის დაწესებულებებში.

სახალხო დამცველს და ნპმ-ს აქვთ შეზღუდული წვდომა შენახულ და დაარქივებულ ვიდეომასალაზე, რომლის შენახვა არ ხდება საკმარისი ხნით იმისათვის, რომ მოგვიანებით გამოდგეს არასათანადო მოპყრობის შესახებ განცხადებების ეფექტური გამოძიებისათვის. ციხეებში ვიდეომეთვალყურეობის კამერებიდან ამოღებული ჩანაწერების შენახვა ხდება მხოლოდ 5 დღით, მიუხედავად სახალხო დამცველის რეკომენდაციისა, აღნიშნული ვადა გაიზარდოს 10 დღემდე³⁰³. პოლიციის დაკავების იზოლატორებში ვიდეოკამერების ჩანაწერების შენახვა ხდება 120 საათით, თუმცა სახალხო დამცველის წინადადებაა, ეს ვადა გაიზარდოს 20 დღემდე.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის (ადრე – სასჯელაღსრულების სამინისტროს) გენერალური ინსპექცია რეორგანიზაციის პროცესშია. მიმდინარეობს მისი ფუნქციების ხელახლა განსაზღვრა იუსტიციის სამინისტროს სისტემაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დეპარტამენტი ზედამხედველობს სამინისტროს სტრუქტურაში თანამშრომლების ქმედებების კანონიერებას და რეაგირებს კანონმდებლობის დარღვევებზე, გარკვეული დანაშაულების ჩადენასა და დისციპლინურ დარღვევებზე³⁰⁴.

ინსპექცია რეაგირებს დაკავებულთა მიერ გაგზავნილ განცხადებებსა და საჩივრებზე, ახდენს რა მათ გამოკითხვას და მიმართავს შესაბამის მოქმედებებს. ასევე, შსს-ს დაქვემდებარებული დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტი და, კონკრეტულად, მისი მონიტორინგის სამსახური, რეგულარულ კონტროლს ახორციელებს დმი-ებზე დისტანციურად და ასევე გეგმიური და საგანგებო ვიზიტების საშუალებით. 2017 წელს განხორციელდა 112 ვიზიტი დმი-ებში, ხოლო 2018 წელს – 116 ვიზიტი³⁰⁵. მონიტორინგის სამსახური მუშაობს შსს-ს გენერალურ ინსპექციასთან კოორდინაციით. მონიტორინგი მოიცავს შემდეგ საკითხებს: დმი-ების პერსონალის დისციპლინა, დაკავებულთა უფლებების დაცვის ხარისხი, იზოლატორში წარმოებული რეესტრებისა და ელექტრონული მონაცემთა ბაზის სიზუსტე, იზოლატორების პერსონალის სამართლებრივი განათლების დონე, დაკავებულთა კვების ორგანიზაცია, დმი-ებში სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, უსაფრთხოება.

წამების მსხვერპლები სარგებლობენ იმავე საპროცესო უფლებებით, როგორც სხვა დანაშაულების მსხვერპლები. მხოლოდ წამებისა და არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობის არასრულწლოვანი მსხვერპლები სარგებლობენ უფასო იურიდიული დახმარებით „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონის თანახმად.

302. საქართველოს სახალხო დამცველი, წლიური საპარლამენტო ანგარიშები (2016 და 2017 წწ);

303. იქვე;

304. შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N 123 (დათარიღებულია 2015 წლის 23 თებერვლით) დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ;

305. შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი N MIA 9 18 02999006, 12.12.2018.

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება³⁰⁶ N1/196 ადგენს დმი-ებში თითოეულ საკანში მოსათავსებელ პირთა რაოდენობაზე ლიმიტს (საშუალოდ 2-3 დაკავებული), რაც უზრუნველყოფს 4 კვადრატული მეტრის მინიმალურ ფართს (ევროპული სტანდარტი) თითოეულ დაკავებულზე.

არსებობს წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ ღონისძიებების განმხორციელებელი უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო³⁰⁷, რომელსაც ხელმძღვანელობს იუსტიციის მინისტრი. საბჭო ახორციელებს ზედამხედველობას წამებასთან და სხვა სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობასთან ან დასჯასთან ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაზე. სამოქმედო გეგმებში ასახულია ინფორმაცია იმ ღონისძიებებზე, რომელთა განხორციელების ვალდებულება გააჩნია სხვადასხვა პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებას წამებასთან და სხვა არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის კუთხით შესაბამის სფეროებში.

65 არსებობს თუ არა დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც ზედამხედველობას ახორციელებს ამგვარ ინსტიტუციებში არსებულ პირობებზე? გთხოვთ, მოიყვანოთ დეტალები ოფიციალური უფლებამოსილების განხორციელებისას არასათანადო მოპყრობას ან წამებაში ბრალდებული საჯარო მოხელეების მიმართ გამოყენებული დისციპლინური და სისხლის სამართლის სანქციების შესახებ. გთხოვთ, ასევე მიუთითოთ შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები.

საქართველოს სახალხო დამცველი (ომბუდსმენი)³⁰⁸ ახორციელებს ზედამხედველობას საქართველოს ტერიტორიასა და მის იურისდიქციაში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობაზე; ავლენს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას და ხელს უწყობს უფლებების აღდგენას³⁰⁹.

როგორც ზემოთ არის აღნიშნული (იხ. 64-ე კითხვაზე პასუხი), საქართველომ მოახდინა³¹⁰ წამების წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება 2005 წლის აგვისტოში და OPCAT-ის მოთხოვნების შესაბამისად დანიშნა სახალხო დამცველის აპარატი პრევენციის ეროვნულ მექანიზმად (NPM) „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების მეშვეობით³¹¹ 2009 წელს.

ნპმ-ის ფუნქციების შესასრულებლად სახალხო დამცველის აპარატში შექმნილია სპეციალური პრევენციული ჯგუფი, რომლის მოვალეობაა რეგულარული პრევენციული ვიზიტების განხორციელება დაკავებისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვადასხვა დაწესებულებაში (მათ შორის, ციხეებში, პოლიციის იზოლაციონებში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, ბავშვთა სახლებში, ხანდაზმულთა თავშესაფრებში) იქ განთავსებულ პირთა პირობებისა და მათ მიმართ მოპყრობის შემოწმების მიზნით, რაც ხორციელდება

306. შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება, დათარიღებული 2018 წლის 30 აპრილით, დმი-ებში დაკავებულთა მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე;

307. შეიქმნა მთავრობის N341-ე დადგენილებით (2014 წლის 7 მაისს);

308. „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონი, N230, მიღებულია 16/05/1996, საპარლამენტო გაზეთი, 13, 07/06/1996, მე-2 მუხლი;

309. იქვე, მუხლი მე-3.2;

310. გაეროს ხელშეკრულებების კრებული, https://treaties.un.org/pages/viewdetails.aspx?src=ind&mtdsg_no=iv-9-b&chapter=4&clang=en

311. მუხლები მე-3¹, მე-19 და მე-19¹;

კონფიდენციური ინტერვიუების საშუალებით და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმებით³¹². შემოწმებების შედეგებზე დაყრდნობით სახალხო დამცველი უფლებამოსილია, საკანონმდებლო ინიციატივები/კანონპროექტები წარუდგინოს პარლამენტს, ასევე მოსაზრებები და რეკომენდაციები მისცეს სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, საჯარო დაწესებულებებს და მოხელეებს ადამიანის უფლებათა მდგომარეობისა და დაკავებულთა მოპყრობისა თუ პირობების გაუმჯობესების მიზნით.

სპეციალური პრევენციული ჯგუფი დაკომპლექტებულია სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგისა და პრევენციის დეპარტამენტის თანამშრომლებისა და ასევე სამოქალაქო საზოგადოებიდან მოწვეული ექსპერტებისგან, რომლებიც ატარებენ პრევენციულ ვიზიტებს სახალხო დამცველის სპეციალური რწმუნების საფუძველზე. ისინი სარგებლობენ თავიანთ მანდატთან დაკავშირებული გარკვეული იმუნიტეტით: სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები უფლებამოსილი არიან, არ მისცენ ჩვენება იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რაც მათ გაუმიხილეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების განხორციელების პროცესში. ისინი ინარჩუნებენ ამ უფლებას ნპმ-ის წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.

საფოსტო და ტელეგრაფის კორესპონდენცია, საფოსტო გზავნილები, რომლებიც ეკუთვნის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს, არ ექვემდებარება ამოღებას, ინსპექტირებას ან კონფისკაციას³¹³. სახალხო დამცველსა და ნპმ-ს მიენიჭათ პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების წარმოების უფლება სასჯელასრულების მინისტრის ბრძანების³¹⁴ საფუძველზე.

სახალხო დამცველის აპარატის დებულების თანახმად აპარატის სხვა სტრუქტურული ერთეული, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი, ახდენს რეაგირებას პატიმრებისა და სხვა დაკავებული პირებისგან მიღებულ საჩივრებზე.

სახალხო დამცველი წარუდგენს წლიურ ანგარიშს ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ (ნპმ-ის ანგარიშის ჩათვლით, რომელიც ეხება დაკავების ადგილებში არსებულ მდგომარეობას) პარლამენტს წელიწადში ერთხელ³¹⁵. პარლამენტი ასევე ახორციელებს საპარლამენტო ზედამხედველობას სახალხო დამცველის/ნპმ-ის ანგარიშის თაობაზე საპარლამენტო მოსმენების საშუალებით, რომელშიც მონაწილეობენ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესრულებასა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებაზე.

ამჟამად სახალხო დამცველი და მისი პრევენციის ეროვნული მექანიზმი წარმოადგენს ერთადერთ დამოუკიდებელ ორგანოს, რომელსაც გააჩნია დაკავების ადგილებში ვიზიტების განხორციელების და პირობების/მოპყრობის შესწავლის მანდატი. არ არსებობს საზოგადოებრივი ზედამხედველობის ორგანოები.

სისხლის სამართლებრივი დენის სტატისტიკა³¹⁶

- 144¹ — წამება
- 144² — წამების მუქარა
- 144³ — დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა

312. მუხლები მე-19 და მე-19¹, საქართველოს ორგანული კანონი „სახალხო დამცველის შესახებ“;

313. იქვე, მუხლი 19¹ ;

314. ბრძანება N123, 2016 წლის 1 სექტემბერი;

315. იქვე, 22-ე მუხლი;

316. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სამართლებრივი სტატისტიკა, URL: <https://www.geostat.ge/index.php/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika>

	იან	თებ	მარ	აპრ	მაი	ივნ	ივლ	აგვ	სექტ	ოქტ	ნოემ	დეკ
2018 სისხლის სამართ- ლებრივი დევნა დაიწყო	0	1-144 ¹ 1-144 ³	0	0	7-144 ³	2-144 ¹ 1-144 ³		3-144 ¹ 2-144 ³				
2018 სისხლის სამართ- ლებრივი დევნა შეწყდა			0	0			1-144 ³					
დაზარა- ლებული		1-144 ¹ , 1-144 ³	0	0	1	1-144 ³	5-144 ³	1-144 ³				
2017 დევნა დაიწყო	5-144 ³	1-144 ¹	1-144 ¹	4-144 ¹	7-144 ³		3-144 ¹	8-144 ¹			2-144 ³	8-144 ¹
დაზარა- ლებული					7-144 ³		23-144 ³	1-144 ¹ , 1-144 ³	1-144 ¹		1-144 ³	19-144 ³

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით³¹⁷ 2013-2016 წლებში სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 127 პირის მიმართ პენიტენციური სისტემისა და სამართალდამცავების მიერ ჩადენილ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე. 2017 წელს სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 17 პირის წინააღმდეგ, მათ შორის 3 პოლიციელის მიმართ 333-ე მუხლის (1 პირი), 144³-ე მუხლის (ორი პირის წინააღმდეგ) და პენიტენციური დეპარტამენტის 14 თანამშრომლის მიმართ (2 პირი - 144¹-ე და 144³-ე მუხლებით, 10 პირის მიმართ - 144³-ე მუხლის საფუძველზე, 2 პირის მიმართ - 333-ე მუხლით).

სასამართლო სტატისტიკა³¹⁸ მსჯავრდებისა და გამამართლებელი განაჩენების შესახებ:

სსკ მუხლები	2014 სექტ-დეკ		2015		2016		2017		2018 (8 თვე)	
	საქმე	პირი	საქმე	პირი	საქმე	პირი	საქმე	პირი	საქმე	პირი
144 ¹	1	2								
144 ²									1	1
144 ³	2	3	2	3	1	2			5	16
332 (3გ)					2	4				
333 (3გ)			1	2	2	3	3	4	3	4
333 (3გ)	1	1	1	1			3	5	1	1

2017 წელს 3 პირი (მოხელე) გამართლებულ იქნა 144¹-ე მუხლით, 2 პირი - 333-ე მუხლით (3ბ), 1 პირი კი - 333-ე (3გ) მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებზე.

2018 წლის 7 თვეში 2 პირი გამართლდა 333-ე (3გ) მუხლით ჩადენილ დანაშაულებზე.

317. მთავარი პროკურორის ანგარიში, 2018 წლის თებერვალი;

318. სასამართლო სტატისტიკა, მოწოდებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ (05/11/2018), N P-559-18

მონობის, იძულებითი და სავალდებულო შრომის აპრძალვა

66 გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია კონკრეტული ეროვნული კანონმდებლობის, სტრატეგიებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მიზნად ისახავს მონობის, იძულებითი ან სავალდებულო შრომის თავიდან აცილებას.

საკანონმდებლო ჩარჩო

საქართველოს კონსტიტუცია (N 786, მიღებული: 24/08/1995, გამოქვეყნებული: საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 31-33, 24/08/1995, ბოლო ცვლილება: 23/03/2018; შემდგომში – “კონსტიტუცია”) ექსპლიციტურად, ცალკე აღებული არ კრძალავს მონობას, თუმცა, კონსტიტუცია აღიარებს ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობას და ავალდებულებს სახელმწიფოს, მიიღოს ზომები მისი დაცვის მიზნით.³¹⁹ ამასთან, კონსტიტუციის თანახმად ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და დაცული უნდა იყოს თითოეული ადამიანის თავისუფლება.³²⁰

გარდა ამისა, კონსტიტუციის 26-ე მუხლის თანახმად შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია და ყველას აქვს სამუშაოს თავისუფალი არჩევის, გაფიცვის, ორგანული კანონის შესაბამისად პროფესიული კავშირის შექმნისა და მასში გაერთიანების უფლება. უფლება შრომის უსაფრთხო პირობებზე და სხვა შრომითი უფლებები დაცულია ორგანული კანონით.

საქართველოს კონსტიტუცია უფლებამოსილებას ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტს, შეზღუდოს ან შეაჩეროს, მათ შორის, მე-13 და 26-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.³²¹

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და საერთაშორისო სამართლის ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ.³²² აქედან გამომდინარე, ერთი მხრივ, პირთა უფლებები და თავისუფლებები და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულებები საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად სრულად გამოყენებადია ეროვნულ დონეზე (იხ. შეკითხვა 67-ე).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (N 2287, მიღებული: 22/07/1999, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 41(48), 13/08/1999, ბოლო ცვლილება: 21/07/2018) მოიცავს რამდენიმე რელევანტურ მუხლს აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის კოდექსის 143¹- 143³-ე მუხლები კრძალავს ადამიანთა უკანონო ვაჭრობას (ტრეფიკინგს), არასრულწლოვნით

319. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი მე-9(1). **შენიშვნა:** საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნული ვერსია ამოქმედდება მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე;

320. იქვე, მუხლი მე-11(1), მე-13(1);

321. იქვე, მუხლი 71 (4). **შენიშვნა:** უფლების შეჩერების ნაწილი მოქმედებს მე-13 მუხლის მე-2-მე-6 პუნქტებთან მიმართებით და არ მიემართება ამავე მუხლის პირველ პუნქტს, ასევე, 26-ე მუხლს.

322. იქვე, მუხლი 4(5);

ვაჭრობას (ტრეფიკინგს), ასევე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობას.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით ტერმინი „ტრეფიკინგი“ გულისხმობს ადამიანის ყიდვას ან გაყიდვას ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებას, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირებას, გადაყვანას, გადამალვას, დაქირავებას, ტრანსპორტირებას, გადაცემას, შეფარებას ანდა მიღებას ექსპლუატაციის მიზნით. სისხლის სამართლის კოდექსის 143¹-ე მუხლის მიხედვით ექსპლუატაციად მიიჩნევა მატერიალური ან სხვაგვარი სარგებლის მიღების მიზნით: შრომის ან მომსახურების გაწევის იძულება; სექსუალური მომსახურების გაწევის იძულება; პირის დანაშაულებრივ საქმიანობაში, პროსტიტუციაში, პორნოგრაფიაში ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმა; ადამიანის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის იძულებით ან მოტყუებით ამოღება, გადანერგვა ან სხვაგვარად გამოყენება; ადამიანის მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პირთა წინასწარ თანხმობას მათ წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არ აქვს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ამკრძალავი მუხლების მიზნებისთვის.

სისხლის სამართლის კოდექსის იგივე მუხლი მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების ქმედების მკვალიფიცირებელ ელემენტებს განსაზღვრავს, რაც გულისხმობს ისეთი მდგომარეობის შექმნას, როდესაც ადამიანი ანაზღაურებით, არაადეკვატური ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე, სხვა პირის სასარგებლოდ ასრულებს სამუშაოს ან ეწევა მომსახურებას და მას არ შეუძლია ამ გარემოების შეცვლა ამ პირზე დამოკიდებულების გამო. პირზე დამოკიდებულება შეიძლება, გამოწვეული იყოს: პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ჩამორთმევით, კონტროლით ან განზრახ ხელყოფით; თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვით ან თავისუფალი გადაადგილების კონტროლით; ოჯახის წევრთან ან სხვა პირთან კომუნიკაციის, მათ შორის, მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტის შეზღუდვით ან კონტროლით; იძულებითი ან დამაშინებელი გარემოს შექმნით.

ადამიანით ვაჭრობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თორმეტ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. სასჯელი უფრო მკაცრდება დამამძიმებელი გარემოებების არსებობის შემთხვევაში. ყველაზე მკაცრი სასჯელი არის თავისუფლების აღკვეთა ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ვადით სამ წლამდე. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციითა და ჯარიმით.

სისხლის სამართლის კოდექსის 143²-ე მუხლი კრძალავს არასრულწლოვნით ვაჭრობას (ტრეფიკინგს), რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 8-დან 12 წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. ყველაზე მძიმე სასჯელად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით ჩვიდმეტიდან ოც წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ანდა უვადო თავისუფლების აღკვეთით.

ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143³-ე მუხლი კრძალავს წინასწარი შეცნობით დანაშაულის მსხვერპლის ან დაზარალებულის ისეთი მომსახურებით სარგებლობას, რომელიც არის ექსპლუატაცია. ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე. დამამძიმებელი გარემოების არსებობის შემთხვევაში ყველაზე მძიმე სასჯელად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 12-დან 15 წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის კოდექსი (მუხლი 322¹-ე – ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევა; მუხლი 344-ე – საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთა; მუხლი 362-ე – ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება; მუხლი 371-ე – მოწმის ან დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა), ასევე საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი (მუხლი 172-ე – პროსტიტუცია; მუხლი 185-ე – საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისათვის დადგენილი წესების დარღვევით ცხოვრება) მოიცავს ჩანაწერებს, რომელიც გამორიცხავს ტრეფიკინგის მსხვერპლებისთვის/დაზარალებულებისთვის ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას, თუ მან ჩაიდინა აკრძალული ქმედება მსხვერპლის სტატუსის მოპოვებამდე.³²³ ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დანაშაულის დაფარვისა ან დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება: ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) პასუხისმგებელი პირი; ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მინიჭების საკითხის განმხილველი, ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელ საუწყებოთაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფის წევრი; ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის თანამშრომელი (გარდა არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი დანაშაულისა); კონსულტაციების გაწევის უზრუნველყოფი უფასო სატელეფონო დახმარების ქსელის ოპერატორი და სხვა პირები.³²⁴

გარდა აღნიშნული მუხლებისა, სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავს გარკვეულ დებულებებს, რომლებიც კონტექსტით არის დაკავშირებული ტრეფიკინგის (იძულებითი შრომის/შრომითი ექსპლუატაციის) აკრძალვასთან. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი კრძალავს იძულებას (მუხლი 150-ე); პროსტიტუციაში ჩაბმას (მუხლი 253-ე); პროსტიტუციის ხელშეწყობას (მუხლი 254-ე); პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადებას ან გასაღებას (მუხლი 255-ე).

სისხლის სამართლის კოდექსის გარდა, საქართველოს კანონი „ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ (N 2944, მიღებული: 28/04/2006, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 15, 16/05/2006, ბოლო ცვლილება: 05/07/2018) წარმოადგენს ტრეფიკინგის (იძულებითი შრომის/შრომითი ექსპლუატაციის) წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტს. ამ კანონის მიზანია, ხელი შეუწყოს ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებას და მის წინააღმდეგ ბრძოლას ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა უფლებების დაცვით; უზრუნველყოს ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია; განსაზღვროს ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულზე სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების თავისებურებები; განსაზღვროს ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებისათვის, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის პროცესში მონაწილე რელევანტური უწყებები და მათ შორის თანამშრომლობის პრინციპები.³²⁵ კანონი განმარტავს „იძულებით შრომას“, როგორც ნებისმიერ სამუშაოს ან მომსახურებას, რომელიც მიიღება პირის ფიზიკური ან

323. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება 322¹-ე, 344-ე, 362-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედებები, რომელიც ჩადენილია ტრეფიკინგის მსხვერპლად ყოფნის გამო. 371-ე მუხლი, ტრეფიკინგის მსხვერპლი გათავისუფლებულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში.

324. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 375-ე, 376-ე.

325. საქართველოს კანონი „ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, მუხლი მე-2;

ფსიქოლოგიური იძულებით, მის მიმართ მუქარის, შანტაჟის ან მისი უმწეოდგომარეობის გამოყენებით.³²⁶ გარდა ამისა, კანონი განსაზღვრავს ისეთ ძირითად სფეროებს/მიმართულებებს, როგორებიცაა: ტრეფიკინგის პრევენციისთვის პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოები და მექანიზმები; ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები; ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა (მათ შორის, არასრულწლოვანთა) სამართლებრივი დაცვა, მხარდაჭერა და რეაბილიტაცია; საერთაშორისო თანამშრომლობა ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში.

საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ (N 2045-III, მიღებული: 05/03/2014, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 17/03/2014, ბოლო ცვლილება: 05/07/2018) ითვალისწინებს სპეციალური ბინადრობის ნებართვის გაცემას უცხოელზე, რომლის შესახებაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ იგი შეიძლება, იყოს ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლი ან დაზარალებული.³²⁷

2016 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება „იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ (N112, მიღებული: 07/03/2016, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 10/03/2016).³²⁸ ზემოაღნიშნული დოკუმენტით დადგინდა დასაქმების ადგილების გეგმიური და არაგეგმიური ინსპექტირების ბაზისი, აგრეთვე დადგინდა ინსპექტირების წესი და პროცედურა და განისაზღვრა ინსპექტირების ორგანოს ძირითადი ვალდებულებები, ასევე დასაქმებულებისა და დამსაქმებლების უფლებები და ვალდებულებები (შრომის ინსპექტირების განმახორციელებელი ორგანოს უფლებამოსილების ფარგლებს შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი – „ინსტიტუციური ჩარჩო“).

ამასთან, საქართველოს კანონი „პროფესიული კავშირების შესახებ“ (N 617, მიღებული: 02/04/1997, გამოქვეყნებული: საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 15-16, 26/04/1997, ბოლო ცვლილება: 20/07/2018) ადგენს პროფესიული კავშირების უფლებამოსილებას, დაიცვას და წარმოადგინოს მუშაკთა შრომითი და სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და ინტერესები. კერძოდ, სხვა უფლებებთან ერთად პროფკავშირებს გააჩნიათ უფლებამოსილება, განახორციელოს საზოგადოებრივი კონტროლი დასაქმების მდგომარეობაზე, შრომითი კანონმდებლობისა და პროფკავშირის წევრების შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების თაობაზე, დამსაქმებელს მოსთხოვოს აღნიშნული კანონის დარღვევის ფაქტების აღმოფხვრა, ასევე კოლექტიური შეთანხმებების შესრულების მონიტორინგი.³²⁹ პროფესიულ კავშირებს, პროფესიული კავშირების გაერთიანებებს (ასოციაციებს) აქვთ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილება, დაიცვან მათი წევრების უფლება, თავისუფლად გამოიყენონ შრომითი შესაძლებლობები, აირჩიონ პროფესია, მიიღონ შრომის სამართლიანი ანაზღაურება, კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ოდენობით მაინც, ასევე მიიღონ მონაწილეობა შრომის ანაზღაურების სატარიფო განაკვეთების, შრომის ანაზღაურების სისტემების, სარგოების ოდენობების შეთანხმების პროცესში, რომელიც აისახება კოლექტიურ ხელშეკრულებებში.³³⁰

326. იქვე, მუხლი მე-3 (ე);

327. საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, მუხლი მე-15;

328. საქართველოს მთავრობის 2016 წლის N112 დადგენილება „იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“.

329. საქართველოს კანონი „პროფესიული კავშირების შესახებ“, მუხლი მე-12, მე-16;

330. იქვე, მუხლი მე-10, მე-11.

პოლიტიკის ჩარჩო

ტრეფიკინგის (იძულებითი შრომის/შრომითი ექსპლუატაციის) წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შემუშავდა შემდეგი სახის ზოგადი და კონკრეტული პოლიტიკის დოკუმენტები:

- შრომის პირობების ინსპექტირების სახელმწიფო პროგრამა — 2016 წლიდან საქართველოს მთავრობა ყოველწლიურად ამტკიცებს ზემოაღნიშნულ სახელმწიფო პროგრამას. სხვა მიზნებთან ერთად პროგრამა მიზნად ისახავს შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საფრთხეების შესახებ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლებას. პროგრამის ბიუჯეტი და დაფინანსების წყარო განსაზღვრულია თავად მთავრობის დადგენილებებით (2016 — 275 500 ლარი/88 870 ევრო; 2017 — 312 100 ლარი/100 677 ევრო; 2018 — 870 500 ლარი/280 806 ევრო).³³¹
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმა (2017 — 2018 წლებისათვის) – დოკუმენტი მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის განვითარება; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენცია; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ეფექტიანი სისხლის სამართლებრივი დევნა; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება; თანამშრომლობა და შიდა კოორდინაცია.³³² სამოქმედო გეგმა თითოეულ საქმიანობაზე განსაზღვრავს პასუხისმგებელ უწყებას და საქმიანობის განხორციელების ვადებს.
- ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმები (2014–2015; 2016–2017 და 2018–2020 წლებისათვის) — სამოქმედო გეგმებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლას დამოუკიდებელი თავი ეთმობა. სამოქმედო გეგმის ტრეფიკინგის თავში ძირითად ამოცანებად განსაზღვრულია: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენცია; მსხვერპლთა დაცვა; ეფექტიანი სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება; ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება.³³³ 2016–2017 წლების ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის ტრეფიკინგის თავმა ასევე ასახა

331. საქართველოს მთავრობის დადგენილება „შრომის პირობების ინსპექტირების 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ (N 19, მიღებული: 18/01/2016, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 21/01/2016, ბოლო ცვლილება: 13/10/2017), დანართი, მუხლი მე-4(1); საქართველოს მთავრობის დადგენილება „შრომის პირობების ინსპექტირების 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ (N 627, მიღებული: 29/12/2016, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 30/12/2016, ბოლო ცვლილება: 27/12/2017), დანართი, მუხლი მე-4(1); საქართველოს მთავრობის დადგენილება „შრომის პირობების ინსპექტირების 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ (N 603, მიღებული: 29/12/2017, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 29/12/2017, ბოლო ცვლილება: 08/06/2018), დანართი, მუხლი მე-4(1).

332. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმა (2017–2018 წლებისათვის), ხელმისაწვდომია: <http://justice.gov.ge/Ministry/Index/334>.

333. საქართველოს მთავრობის დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014–2015 წლებისათვის) დამტკიცებისა და საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014–2015 წლებისათვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ (N 445, მიღებული: 09/07/2014, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 11/07/2014), დანართი 1, საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2014–2015 წლებისათვის), საქმიანობები — 7.1.1 — 7.4.2; საქართველოს მთავრობის დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ (2016–2017 წლებისათვის)“ (N 338, მიღებული: 21/07/2016, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 02/08/2016), საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2016–2017 წლებისათვის), საქმიანობები — 6.1.1.1 — 6.1.5.2; საქართველოს მთავრობის დადგენილება „ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2018–2020 წლებისათვის) დამტკიცების შესახებ“ (N 182; მიღებული: 17/04/2018, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 19/04/2018), დანართი 1, ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2018–2020 წლებისათვის), საქმიანობები — 20.1.1.1 — 20.3.1.7.

შრომის პირობების ინსპექტირების განმახორციელებელ პირთა კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროება ამ მიმართულებით.³³⁴

- საქართველოს მიგრაციის სტრატეგია (2016–2020 წლებისთვის) და მისი სამოქმედო გეგმა — სტრატეგია აღწერს არსებულ სიტუაციას ტრეფიკინგის კუთხით, განსაკუთრებით, არალეგალური შრომითი მიგრაციის პირობებში, და ამ მიმართულებით განსაზღვრავს ძირითად სტრატეგიულ ამოცანებს, როგორებიცაა, მაგალითად, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გამოვლენისთვის შესაბამისი მექანიზმების განვითარება და ეფექტიანი სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება; დაზარალებულთა/მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სერვისების შესწავლა, რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროგრამების ანალიზი, მათი მონიტორინგი და დახვეწა; რელევანტური მხარეების წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლება.³³⁵

ინსტიტუციური ჩარჩო

ტრეფიკინგის (იძულებითი შრომის/შრომითი ექსპლუატაციის) წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუციური ჩარჩო მოიცავს სამთავრობო დაწესებულებებს, ასევე უწყებათაშორის ორგანოებს. ამ მიმართულებით ძირითად ინსტიტუტებს წარმოადგენენ:

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – ტრეფიკინგის (იძულებითი შრომის/შრომითი ექსპლუატაციის) წინააღმდეგ ერთ-ერთი ძირითად სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი. სამინისტროს დებულების თანახმად შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი უფლებამოსილია, შეიმუშაოს რელევანტური რეკომენდაციები სამუშაო ადგილებზე იძულებითი შრომის პრევენციისათვის, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საფრთხეების შესახებ დასაქმებულთა და დამსაქმებელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით.³³⁶ დეპარტამენტს უფლება აქვს, შეამოწმოს სამუშაო ადგილები იმ შემთხვევებში, თუ სახეზეა გეგმიური შემოწმება, თუ იგი მიზნად ისახავს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევის მოკვლევას ან თუ ინსპექტირების მიზანი განმეორებითი შემოწმებაა. გარდა ამისა, დეპარტამენტს აქვს დასაქმების ადგილებზე უპირობო დაშვების მექანიზმი იძულებითი შრომის/შრომითი ექსპლუატაციის ვარაუდის არსებობის შემთხვევაში. სხვა შემთხვევებში დეპარტამენტს უფლება აქვს, არაგეგმიური ინსპექტირება განახორციელოს მხოლოდ სასამართლოს ნებართვის საფუძველზე.³³⁷ დეპარტამენტი ახორციელებს შრომითი პირობების მონიტორინგს იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის მიზნით და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში რეაგირებისათვის საქმეს გადასცემს შინაგან საქმეთა სამინისტროს.³³⁸

334. საქართველოს მთავრობის 2016 წლის N 338 დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ (2016–2017 წლებისთვის)“, საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2016–2017 წლებისთვის), საქმიანობა — 6.1.4.2.

335. საქართველოს მთავრობის დადგენილება „საქართველოს 2016–2020 წლებისთვის მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ (N 622, მიღებული: 14/12/2015, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 18/12/2015, ბოლო ცვლილება: 06/08/2018); საქართველოს 2016–2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის 2018 წლის სამოქმედო გეგმა.

336. საქართველოს მთავრობის დადგენილება „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ (N 249, მიღებული: 31/12/2005, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 154, 31/12/2005, ბოლო ცვლილება: 09/07/2018), მუხლი 18^ე;

337. საქართველოს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ (N 921, მიღებული: 08/06/2001, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 18, 28/06/2001, ბოლო ცვლილება: 21/07/2018), მუხლი მე-3 (2);

338. საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, მუხლი 7 (7).

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში ფუნქციონირებს სსიპ ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის)

მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი.³³⁹ ფონდი მიზნად ისახავს ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვის, მხარდაჭერისა და სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარებას.³⁴⁰

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო – შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეულები ჩართულნი არიან ტრეფიკინგის (იძულებითი შრომის/ შრომითი ექსპლუატაციის) წინააღმდეგ ბრძოლაში.³⁴¹ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი არის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ასეთი ერთეული.³⁴² ამ მიზნით აღნიშნული დეპარტამენტის ფარგლებში ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო ფუნქციონირებს.³⁴³ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, რომელიც მიზნად ისახავს გამოძიებისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების მონიტორინგს, მათ შორის – ტრეფიკინგის სავარაუდო ფაქტებთან მიმართებით. აღნიშნული დეპარტამენტი უფლებამოსილია, უზრუნველყოს ამ მიმართულებით არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება, აგრეთვე შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება ხარვეზის აღმოსაფხვრელად.³⁴⁴ შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიცია – უფლებამოსილია, გამოავლინოს და აღკვეთოს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ტრეფიკინგის შემთხვევები და იმუშაოს ამ დანაშაულის პრევენციის მიმართულებით.³⁴⁵ ამასთან, სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი პასუხისმგებელია ერთიანი საინფორმაციო ბანკის სისტემურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე, ასევე – მონაცემების ხარისხსა და მათ სრულყოფაზე. საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირება ასევე მიზნად ისახავს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით ინფორმაციის სისტემატიზაციას, დამნაშავეთა იდენტიფიცირებას, სხვადასხვა რელევანტური აქტორის კოორდინირებულ მუშაობასა და დანაშაულის პრევენციას.³⁴⁶

ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებო-საშრომის საკოორდინაციო საბჭო – საბჭო 2006 წელს დაარსდა და მიზნად ისახავს სახელმწიფო ორგანოების ფუნქციების ეფექტიანად განხორციელების პროცესის ხელშეწყობას ტრეფიკინგის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, ასევე სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებული

339. საქართველოს მთავრობის N 249 დადგენილება „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“, მუხლი მე-4.

340. საქართველოს კანონი „ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, მუხლი მე-9 (1);

341. საქართველოს მთავრობის დადგენილება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ (N 337, მიღებული: 13/12/2013, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 16/12/2013, ბოლო ცვლილება: 31/08/2018).

342. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ (N 103, მიღებული: 11/02/2015, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 11/02/2015, ბოლო ცვლილება: 02/04/2018), მუხლი მე-3.

343. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორესპონდენცია, N MIA 1 18 02240423, 14.09.2018.

344. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ (N 1, მიღებული: 12/01/2018, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 12/01/2018, ბოლო ცვლილება: 20/08/2018); საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორესპონდენცია, N MIA 1 18 02240423, 14.09.2018.

345. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის დებულების დამტკიცების შესახებ“ (N 786, მიღებული: 21/06/2006, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 84, 23/06/2006, ბოლო ცვლილება: 15/06/2018).

346. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება „ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნის წესისა და ინფორმაციებზე დასაშვებ პირთა სიის ფორმულირების წესის დამტკიცების შესახებ“ (N 1544, მიღებული: 28/12/2006, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2, 08/01/2007, ბოლო ცვლილება: 30/07/2015).

აქტივობების კოორდინაციასა და მონიტორინგს.³⁴⁷ საბჭო შედგება სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებისგან; მისი წევრები არიან: იუსტიციის მინისტრი (საბჭოს თავმჯდომარე), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, იუსტიციის, შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეები; საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი, ასევე, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხვა უწყებათაშორისი პლატფორმები — 2017 წელს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგება საქართველოს მთავარი პროკურატურის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებისგან. სამუშაო ჯგუფი მიზნად ისახავს ტრეფიკინგის შემთხვევების იდენტიფიცირების ხელშეწყობას.³⁴⁸

პრობლემა

გემოაღნიშნული რეგულაციების მიუხედავად, არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები, განსაკუთრებით, იძულებითი შრომისა და შრომის ექსპლუატაციის აკრძალვის საკითხებთან დაკავშირებით.

შრომითი უფლებების გარანტიები – საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“ განსაზღვრავს მაქსიმალური სამუშაო დროის ხანგრძლივობას კვირაში, ხოლო სამუშაო დღის მაქსიმალური ხანგრძლივობა, კვირაში სამუშაო დღეების მაქსიმალური რაოდენობა და ზეგანაკვეთური სამუშაოსთვის დასაშვები ბარიერი არ არის დადგენილი.³⁴⁹ გარდა ამისა, იმის მიუხედავად, რომ კანონი არეგულირებს შრომის ანაზღაურების ზოგად ასპექტებს, მინიმალური ხელფასი განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით³⁵⁰ 20 ლარის ოდენობით (6.45 ევრო) კერძო სექტორში, ხოლო საჯარო სამსახურში – 135 ლარის ოდენობით (43.54 ევრო), რაც არ შეიძლება, მიჩნეულ იქნეს ადეკვატურ ოდენობად,³⁵¹ რამდენადაც იგი არ აკმაყოფილებს საარსებო მინიმუმის დონესაც კი.³⁵² აქედან გამომდინარე, ამგვარმა სამართლებრივმა რეგულაციებმა შესაძლოა, გამოიწვიოს დასაქმებულთა უკიდურესი მოწყვლადობა.

347. საქართველოს კანონი „ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, მუხლი მე-10(1); საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებოთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ (N 534, მიღებული: 01/09/2006, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 119, 04/09/2006, ბოლო ცვლილება: 31/12/2012); საქართველოს მთავრობის დადგენილება „ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებოთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ (N 281, მიღებული: 10/04/2014, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 11/04/2014, ბოლო ცვლილება: 09/12/2016).

348. საქართველოს მთავარი პროკურატურის კორესპონდენცია, N 13/72532, 24.09.2018.

349. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“ (N 4113-რს, მიღებული: 17/12/2010, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 75, 27/12/2010, ბოლო ცვლილება: 05/07/2018), მუხლი მე-14; იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2017, გვ. 199.

350. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „მინიმალური ხელფასის ოდენობის შესახებ“ (N 351, მიღებული: 04/06/1999, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 29 (36), 19/06/1999, ბოლო ცვლილება: 26/12/2006); საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულ მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ (N 43, მიღებული: 24/01/2005, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 7, 24/01/2005, ბოლო ცვლილება: 07/07/2010).

351. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2017, გვ. 199.

352. ადამიანის უფლებების ანგარიში, საქართველო, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, 2017, გვ. 44.

შრომის ინსპექტირებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო გამოწვევები – პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ამჟამინდელი მანდატი არ მოიცავს შრომითი უფლებების მდგომარეობის შემოწმების შესაძლებლობას და მოიცავს მხოლოდ შრომის უსაფრთხოების მიმართულებით ინსპექტირების გარკვეულ ასპექტებს. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტს არ გააჩნია შრომის უფლებების დარღვევებზე რეაგირების შესაძლებლობა მანამ, სანამ იგი იძულებითი შრომის/შრომითი ექსპლუატაციის ფორმას არ შეიძენს.

მიუხედავად იმისა, რომ შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი უფლებამოსილია, შეამოწმოს სამუშაო ადგილი დამსაქმებლის წინასწარი ნებართვის გარეშე, ინსპექტირება არ შეიძლება, ჩაითვალოს ეფექტიანად გარკვეული პრობლემური საკითხების გათვალისწინებით. კერძოდ, დეპარტამენტი უფლებამოსილია, მოახდინოს შრომითი ექსპლუატაციის სავარაუდო ფაქტის იდენტიფიცირება მაშინ, როდესაც ეს ტერმინი არ არის განსაზღვრული კანონმდებლობით (ზოგადი ტერმინის – „ექსპლუატაციისგან“ განსხვავებით, რომელიც განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით). ეს თავისთავად ნიშნავს, რომ შრომითი ექსპლუატაციის კვალიფიკაციის მეთოდოლოგია ბუნდოვანია და არ არსებობს ერთიანი მიდგომა ამ კუთხით. აქედან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია, ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში აისახოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტები და ელემენტები, როგორებიცაა არასათანადო სამუშაო პირობები, ზეგანაკვეთური სამუშაო დღეები და საათები, ხელფასით მანიპულირება და ა.შ.³⁵³

გარდა ამისა, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტს გააჩნია სუსტი რეაგირებითი მექანიზმები, მათ შორის, იძულებითი შრომის/შრომითი ექსპლუატაციის სავარაუდო შემთხვევებშიც კი, რადგან მას აქვს მხოლოდ ორი ტიპის ქმედების განხორციელების შესაძლებლობა სამუშაო ადგილებზე დასაქმებულთა უფლებების უხეში დარღვევის საპასუხოდ: 1) საქმეზე რეაგირებისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მიმართვა; 2) რეკომენდაციის გაცემა, რომელსაც არ გააჩნია შესასრულებლად სავალდებულო ძალა.³⁵⁴ ამ შემთხვევაშიც კი დეპარტამენტი არ არის უფლებამოსილი, გამოიყენოს ისეთი მყისიერი მექანიზმი, როგორიცაა სამუშაო პროცესის შეჩერება ან მსგავსი ქმედებები. შესაბამისად, დეპარტამენტს არ გააჩნია უფლებამოსილება, ეფექტიანად და დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება შრომითი უფლებების ზემოაღნიშნულ დარღვევებზე; შესაბამისად, არსებობს ამ მიმართულებით საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროება.

რეკომენდაციები

1. განისაზღვროს ტერმინი „შრომითი ექსპლუატაცია“ ეროვნულ კანონმდებლობაში;
2. მიღებულ იქნეს შესაბამისი საკანონმდებლო ზომები სამუშაო დღის მაქსიმალური ხანგრძლივობის, კვირაში სამუშაო დღეების მაქსიმალური რაოდენობის დადგენისთვის, ასევე განისაზღვროს ზეგანაკვეთური სამუშაოს ზედა ზღვარი და ღირსეული მინიმალური ხელფასის ოდენობა;

353. იხ. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ოპერაციული ინდიკატორები, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), 2009, ხელმისაწვდომია: https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/—ed_norm/—declaration/documents/publication/wcms_105023.pdf.

354. შრომის ინსპექტირების ეფექტიანი მექანიზმის შექმნის აუცილებლობა, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2016, გვ. 6, ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/ka/products/shromis-inspektirebis-efektiani-mekanizmis-shekmnis-autsilebloba>.

3. მიღებულ იქნეს საჭირო საკანონმდებლო ზომები შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტისათვის ადეკვატური უფლებამოსილების მინიჭების მიმართულებით, რათა მან შეძლოს შრომის უფლებების მდგომარეობის შემოწმება და გამოიყენოს დაუყოვნებელი ეფექტის მქონე მექანიზმები ტრეფიკინგის (იძულებითი შრომის/შრომითი ექსპლუატაციის), ასევე შრომითი უფლებების სხვა ტიპის დარღვევების შემთხვევებში.

შენიშვნა: სხვა სახის საიმპლემენტაციო ღონისძიებების თაობაზე ინფორმაციისთვის გთხოვთ, იხილოთ კითხვა N 68; ბავშვთა უფლებების პერსპექტივიდან N 66-68 კითხვებზე პასუხისათვის გთხოვთ, იხილოთ კითხვა N100.

67 აქვს თუ არა საქართველოს რატიფიცირებული რელევანტური საერთაშორისო კონვენციები და შეთანხმებები?

საქართველოსთვის ძალაშია შემდეგი რელევანტური საერთაშორისო კონვენციები და შეთანხმებები:

I. გაერო

1. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1966;
2. საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, 1966;
3. საერთაშორისო კონვენცია აპარტიდის დანაშაულის აღკვეთისა და მისი დასჯის შესახებ, 1973;
4. კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 1979;
5. კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, 1989;
6. ბავშვის უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ, 2000;
7. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება, 1998;
8. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ, 2000;
9. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“ დამატებითი ოქმი, 2000;
10. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის „სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საშუალებებით მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის შესახებ“ დამატებითი ოქმი, 2000;
11. შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, 2006.

II. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია

12. კონვენცია იძულებითი ან სავალდებულო შრომის შესახებ, /No.C29/, 1930.
13. კონვენცია იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ, /No.C105/, 1957;
14. კონვენცია სამუშაოზე მისაღები მინიმალური ასაკის შესახებ, /No. C138/, 1973;
15. კონვენცია ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ, /No.C182/, 1999.

III. ევროპის საბჭო

16. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, 1950;
17. ევროპის სოციალური ქარტია (შესწორებული), 1996;
18. ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, 2005;
19. ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ, 2007.

68

კანონმდებლობის იმპლემენტაციის რა პრაქტიკული გამოცდილება არსებობს ამ სფეროში?

ზოგადი ღონისძიებები

ტრეფიკინგის (იძულებითი შრომის/შრომითი ექსპლუატაციის) წინააღმდეგ ბრძოლის შემდეგი ღონისძიებები შესაძლოა, აღინიშნოს:

- საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტები და წესი;³⁵⁵
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა მიიღო საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთ მოსამსახურეთა ქცევის ინსტრუქციები,³⁵⁶ ასევე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის სტანდარტული ოპერატიული პროცედურები (SOPs) გამომძიებლებისთვის, ოპერატიული მუშაკებისა და მობილური ჯგუფის წევრებისთვის.
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დაამტკიცა კრიზისული ცენტრის მოწყობისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტები;³⁵⁷
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებო-სამართლის საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებულ იქნა საინფორმაციო სტრატეგია; ტრეფიკინგის დანაშაულის გამოძიების, სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა მოპყრობის სახელმძღვანელო პრინციპები სამართალდამცავი ორგანოებისათვის, ასევე, სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირებისათვის სახელმწიფო საზღვარზე მომუშავე პერსონალისთვის.³⁵⁸

გარდა ამისა, „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვის, მხარდაჭერისა და რეაბილიტაციის

355. საქართველოს მთავრობის დადგენილება „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ (N 284, მიღებული: 11/04/2014, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 14/04/2014).

356. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება „საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთ მოსამსახურეთა ქცევის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ (N 999, მიღებული: 31/12/2013, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31/12/2013, ბოლო ცვლილება: 06/11/2015).

357. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება „კრიზისული ცენტრის მოწყობისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“ (N 01-64/ნ, მიღებული: 10/11/2017, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 14/11/2017);

358. დოკუმენტი ხელმისაწვდომია: <http://justice.gov.ge/Ministry/Index/332>.

ღონისძიებები უნდა ჩატარდეს შესაბამის დანაშაულზე სისხლის სამართლის პროცესის დაწყებამდე, პროცესის მიმდინარეობისას და მისი დასრულების შემდგომ.³⁵⁹ ამ მიზნით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის სტრატეგია მიღებულ იქნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმხორციელებელი საუწყებოთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ და მოქმედებს 2007 წლიდან.³⁶⁰ ამასთან, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ფარგლებში ფუნქციონირებს სამი მობილური ჯგუფი (დასავლეთ საქართველოში – ერთი მობილური ჯგუფი, აღმოსავლეთ საქართველოში – 2 მობილური ჯგუფი), რომელთა მიზანი ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირებაა. მსხვერპლის სტატუსის მინიჭების მაჩვენებელი, ასევე ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის/დაზარალებულთათვის გაწეული მომსახურების თაობაზე სტატისტიკური მონაცემები ილუსტრირებულია N1 და N2 ცხრილებში.³⁶¹

ცხრილი N 1. დაზარალებულის სტატუსის მინიჭების სტატისტიკა

წელი	სავარაუდო მსხვერპლთა რაოდენობა	პირთა რაოდენობა, რომელთაც მინიჭეს მსხვერპლის სტატუსი	პირთა რაოდენობა, რომელთაც უარი ეთქვათ მსხვერპლის სტატუსის მინიჭებაზე	მობილური ჯგუფის გამოძახების მაჩვენებელი
2014	7	5 ³⁶²	2	3
2015	12	8 ³⁶³	4	10
2016	6	1 ³⁶⁴	5	4
2017	6	4 ³⁶⁵	2	6
2018 ³⁶⁶	2	2	0	2

359. საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, მუხლი მე-13 (6);

360. დოკუმენტი ხელმისაწვდომია: <http://www.justice.gov.ge/ministry/Department/335>.

361. სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის კორესპონდენცია, N 07/1263, 7.09.2018; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კორესპონდენცია, N 12327, 27.11.2018.

362. მათ შორის 1 ქალი (სექსუალური ექსპლუატაცია) და 4 მამაკაცი (შრომითი ექსპლუატაცია). სამ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის ადგილი იყო თურქეთი, ხოლო ორ შემთხვევაში დანაშაული მოხდა ერაყში. ამასთან, იმავე წელს 7 ადამიანს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი (სექსუალური ექსპლუატაციის შემთხვევები). მათგან, 4 უზბეკეთის მოქალაქე იყო, 2 – ყირგიზეთის, ხოლო 1 – ტაჯიკეთის მოქალაქე.

363. მათ შორის 3 ქალი (შრომითი ექსპლუატაცია) და 5 მამაკაცი (შრომითი ექსპლუატაცია). ხუთ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის ადგილი იყო ერაყი, 2 შემთხვევაში – საქართველო, ხოლო 1 შემთხვევაში – თურქეთი. გარდა ამისა, იმავე წელს 8 პირს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი (1 შემთხვევა – შრომითი ექსპლუატაცია, 5 შემთხვევა – სექსუალური ექსპლუატაცია, 2 შემთხვევა – ყიდვა-გაყიდვა). მათგან 3 ადამიანი საქართველოს მოქალაქე იყო, ხოლო 5 პირი – უზბეკეთის მოქალაქე.

364. უზბეკეთის მოქალაქე ქალს მიენიჭა მსხვერპლის სტატუსი (საქართველოში ჩადენილი სექსუალური ექსპლუატაცია). იმავე წელს უზბეკეთის მოქალაქე 2 ქალს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი (სექსუალური ექსპლუატაციის შემთხვევები);

365. 4 ქალს (საქართველოს ორი მოქალაქე და უზბეკეთის ორი მოქალაქე) მიენიჭა მსხვერპლის სტატუსი (სექსუალური ექსპლუატაციის შემთხვევები). 3 შემთხვევაში, დანაშაული ჩადენილი იყო ერაყში, ხოლო ერთ შემთხვევაში – თურქეთში. გარდა ამისა, 8 ქალს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი (სექსუალური ექსპლუატაციის 6 შემთხვევა და შრომითი ექსპლუატაციის 2 შემთხვევა). აქედან 4 პირი საქართველოს მოქალაქე იყო, 2 პირი – უკრაინის მოქალაქე, 2 პირი – უზბეკეთის მოქალაქე;

366. 1 ივლისის მდგომარეობით.

ცხრილი N 2. მსხვერპლთათვის/დაზარალებულებისათვის გაწეული მომსახურებები

წელი	თავშესაფარი (თბილისა და ბათუმში)	სამართლებრივი კონსულტაცია	სამედიცინო მომსახურების ორგანიზება	ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია/დახმარება	კომპენსაცია (1000ლარი /322.58 ევრო)	ცხელი ხაზით მომსახურება
2014	7	12	6	4	9	121
2015	8	25	5	6	18	189
2016	4	6	1	1	2	123
2017	7	10	5	7	1	70
2018 ³⁶⁷	3	3	1	1	-	19

განხორციელებული საიმპლემენტაციო ღონისძიებების ერთ-ერთი ძირითად მიმართულებად შესაძლოა, მივიჩნიოთ რეგულაციური აქტორთა წარმომადგენლების ტრენინგები. მათ შორის:

- საქართველოს მთავარი პროკურატურის წარმომადგენლებმა 2014-2018³⁶⁸ წლებში მონაწილეობა მიიღეს 40 ტრენინგში (2014 წელს – 5 ტრენინგი, 2015 წელს – 6 ტრენინგი, 2016 წელს – 11 ტრენინგი, 2017 წელს – 10 ტრენინგი, 2018 წელს – 8 ტრენინგი). სულ ტრენინგში მონაწილეობდა 550 მონაწილე. აღნიშნული რაოდენობიდან ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 470 პროკურორმა/გამომძიებელმა (2014 წელს – 98 მონაწილე, 2015 წელს – 36 მონაწილე, 2016 წელს – 107 მონაწილე, 2017 წელს – 188 მონაწილე, 2018 წელს – 41 მონაწილე) და 80 სხვა თანამშრომელმა, მაგალითად, კოორდინატორებმა (2014 წელს – 13 მონაწილე, 2015 წელს – 20 მონაწილე, 2016 წელს – 30 მონაწილე, 2017 წელს – 17 მონაწილე, 2018 წელს – 0).
- ყოველწლიურად შინაგან საქმეთა სამინისტროს დაახლოებით 7-10 წარმომადგენელი ჩართულია საერთაშორისო ორგანიზაციების ან ეროვნული ინსტიტუტების მიერ ორგანიზებულ კვალიფიკაციის ამაღლების კურსებში. 2014-2018³⁶⁹ წლებში სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ფარგლებში ტრეფინგის (იძულებითი შრომის და/ან შრომითი ექსპლუატაციის) საკითხებზე ტრენინგი ჩატარდა შინაგან საქმეთა სამინისტროს 1888 თანამშრომელს. გარდა ამისა, 2014-2018 წლებში სამინისტროს 241 თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო სასწავლო ვიზიტებსა და ტრენინგებში ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით (2014 წელს – 61 მონაწილე, 2015 წელს – 54 მონაწილე, 2016 წელს – 22 მონაწილე, 2017 წელს – 11 მონაწილე, 2018 წელს – 93 მონაწილე).
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ტრენინგში იძულებითი შრომისა და ტრეფინგის საკითხებზე. 2015-2017 წლებში ჩატარდა სამი ტრენინგი (მონაწილეთა რაოდენობა: 2015 წელი – 25; 2016 წელი – 23; 2017 წელი – 23).³⁷⁰ ტრენინგები ასევე ჩატარდათ სსიპ ადამიანი ვაჭრობის (ტრეფინგის) მსხვერპლთა,

367. 1 ივლისის მდგომარეობით.

368. 1 სექტემბრის მდგომარეობით.

369. 1 აგვისტოს მდგომარეობით.

370. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კორესპონდენცია, N 01/4099-ს, 11.09.2018.

დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ წარმომადგენლებს (ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა: 2015 წელი - 35; 2016 წელი - 24; 2017 წელი - 9; 2018 წელი³⁷¹ - 20).³⁷²

- იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ ორი სასწავლო მოდული შეიმუშავა საერთო სასამართლოს სისტემის მოსამართლეთათვის, მოსამართლეთა თანაშემწეებისა და სხვა თანამშრომლებისათვის. კერძოდ, 2016 და 2017 წლებში მომზადდა სასწავლო მოდულები „საერთაშორისო შრომითი სტანდარტები და საქართველოს შრომის კოდექსი“ და „ადამიანი ვაჭრობა (ტრეფიკინგი)“. ამ მოდულებზე დაყრდნობით 2014-2018 წლებში 191 მონაწილისათვის ჯამში 14 ტრენინგი ჩატარდა (2014 წელს - 2 ტრენინგი, 24 მონაწილე (მოსამართლეები), 2015 წელს - 3 ტრენინგი, 43 მონაწილე (მოსამართლეები), 2016 - 3 ტრენინგი, 45 მონაწილე (22 მოსამართლე, მოსამართლის 6 თანაშემწე, სასამართლოს 17 მოხელე), 2017 - 3 ტრენინგი, 34 მონაწილე (29 მოსამართლე და სასამართლოს 5 მოხელე), 2018 წელს³⁷³ - 3 ტრენინგი, 45 მონაწილე (16 მოსამართლე და სასამართლოს 29 მოხელე)).³⁷⁴
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა ტრენინგი გაიარეს „საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად სავალდებულო სპეციალური სასწავლო პროგრამის“ ფარგლებში (2014 წელს - 12 დიპლომატი, 2015 წელს - 19 დიპლომატი, 2018 წელს³⁷⁵ - 48 დიპლომატი).³⁷⁶ გარდა ამისა, საკონსულო თანამდებობის პირები სწავლობენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ტრეფიკინგის იდენტიფიცირება და დანაშაულის მსხვერპლთა დახმარება.³⁷⁷

ამასთანავე, შესაბამისი სახელმწიფო უწყებები ატარებენ საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების კამპანიებს როგორც საზოგადოებისათვის, ასევე - დამსაქმებლებისა და დასაქმებულებისათვის. ამ მიმართულებით გამოიყოფა შემდეგი საკითხები და ღონისძიებები:

- საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმით (2011-2016 წლებისთვის) გათვალისწინებული იყო ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხების სწავლება, რომელიც ინტეგრირებული იყო „სამოქალაქო განათლების“ საგნის საგნობრივ პროგრამაში. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა მიღებულ იქნა 2018 წელს, რომელიც ასევე მოიცავდა ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ სწავლების კომპონენტს „მოქალაქეობის“ საგნის სასწავლო გეგმაში. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო განათლების წიგნები IX-X კლასებისთვის მოიცავს მასალას ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე. გარდა სასკოლო სახელმძღვანელოებისა, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (IOM) შექმნა დამხმარე სახელმძღვანელოები IX-X კლასებისათვის ტრეფიკინგის თემატიკაზე.³⁷⁸
- პროექტი „საზოგადოებრივი პროკურატურას“ ფარგლებში საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ჩატარა საინფორმაციო შეხვედრები საჯარო სკოლების მოსწავლეებთან,

371. 1 ივლისის მდგომარეობით.

372. სსიპ - ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის კორესპონდენცია, N 07/1263, 7.09.2018; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კორესპონდენცია, N 12327, 27.11.2018.

373. 1 სექტემბრის მდგომარეობით.

374. იუსტიციის უმაღლესი სკოლის კორესპონდენცია, N 02/2102, 4.09.2018.

375. 1 სექტემბრის მდგომარეობით.

376. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კორესპონდენცია, N 01/45740, 19.11.2018.

377. იქვე.

378. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კორესპონდენცია, N MES 8 18 01113752, 11.09.2018.

უნივერსიტეტების სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ მოსახლეობასთან. საერთო ჯამში 2014–2018 წლებში უწყებამ ჩაატარა 114 შეხვედრა, რასაც დაესწრო ჯამში 5 850-მდე მონაწილე.

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განახორციელა სხვადასხვა ღონისძიება, რომლებიც მიზნად ისახავდა ტრეფიკინგის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას. კერძოდ, სამინისტროს წარმომადგენლებმა გამართეს შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან, სკოლის მოსწავლეებსა და უნივერსიტეტის სტუდენტებთან, პედაგოგებთან, დევნილებთან, ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან და ა.შ. (2014 წელს შეხვედრები ჩატარდა 31 ქალაქში/სოფელში, დაახლოებით 1500 მონაწილე; 2015 წელს – 19 ქალაქში/სოფელში, დაახლოებით 2000 მონაწილე; 2016 წელს – 26 ქალაქში/სოფელში, დაახლოებით 2000 მონაწილე; 2017 წელს – 10 ქალაქში/სოფელში, 505 მონაწილე; 2018 წელს – 5 ქალაქში/სოფელში, 300 მონაწილე).

გარდა ამისა, სხვადასხვა პარტნიორთან კოორდინაციით სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა:

- ტრენინგები – 2014 წელს ტრენერთა ტრენინგი ჩატარდა უნივერსიტეტების 12 სტუდენტისთვის. 2016 წელს სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრის ინიციატივით ტრენინგი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენცია“ ჩატარდა 26 საზოგადოებრივ ცენტრში დაახლოებით 270 მონაწილისათვის, აღნიშნული ტრენინგის ტრენერებმა გადამზადება იმავე წელს გაიარეს. 2017 წელს ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი თემაზე „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები და თანამედროვე ტენდენციები“, რომლის შემდეგაც 12 საზოგადოებრივ ცენტრში 113 მონაწილისთვის ჩატარდა ტრენინგი ტრეფიკინგის პრევენციის თემატიკაზე;
- სამართლის სკოლები – 2014 წელს სამართლის სკოლა გაიმართა უნივერსიტეტების 30 სტუდენტისთვის, ხოლო 2016 წელს ჩატარდა ესეების კონკურსი და სამართლის სკოლა, სადაც 25-მა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა;
- იმიტირებული სასამართლო პროცესები – 2014 წელს 40 სტუდენტი მონაწილეობდა 8 უნივერსიტეტიდან, 2017 და 2018 წლებში კი – 8 გუნდმა მიიღო მონაწილეობა 5 უნივერსიტეტიდან;
- კონფერენციები და მრგვალი მაგიდის შეხვედრები/დისკუსიები – 2015 წელს მრგვალი მაგიდის შეხვედრა/დისკუსია გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2016 წელს კონფერენცია ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; იმავე წელს გაიმართა დისკუსია სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრში „ლიდერთა სახლის“ პროგრამის 7 მონაწილისათვის. 2017 წელს ჩატარდა კონფერენცია „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა“ 20 პირის მონაწილეობით.³⁷⁹

გარდა ამისა, 2014–2018 წლებში 6 საგრანტო პროგრამის ფარგლებში, იუსტიციის სამინისტრომ 5 ორგანიზაციისთვის გამოყო გრანტი (საერთო თანხა – 93 000 ლარი/30 000 ევრო), რომელიც მიზნად ისახავდა ტრეფიკინგის საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას.³⁸⁰

- შინაგან საქმეთა სამინისტრო ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს საჯარო სკოლებისა და უნივერსიტეტების სტუდენტებთან ტრეფიკინგის, მსხვერპლის უფლებებისა და არალეგალური მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით. საინფორმაციო შეხვედრებს აქვს მუდმივი ხასიათი – ყოველწლიურად დაახლოებით 5–6 ასეთი საინფორმაციო შეხვედრა ტარდება.
- 2017 წელს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორგანიზებით თემატური ჯგუფებისთვის

379. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კორესპონდენცია, N 12327, 27.11.2018.

380. იქვე.

4 ტრენინგი ჩატარდა (55 მონაწილე მონაწილეობდა სამ ტრენინგში, ხოლო მეოთხე ღონისძიება მიზნად ისახავდა საინფორმაციო შეხვედრას ქალაქ გორში სტუდენტებსა და პედაგოგებთან). გარდა ამისა, სსიპ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა განახორციელა საინფორმაციო კამპანია მოსახლეობისთვის.³⁸¹ კერძოდ, ფონდმა ჩატარა საინფორმაციო შეხვედრები, მათ შორის საჯარო სკოლებისა და უნივერსიტეტების სტუდენტებისათვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებისათვის (ფონდის წარმომადგენელი მონაწილეობდა შემდეგ შეხვედრებში: 2014 წელს – 2 შეხვედრა, 2015 წელს – 11 შეხვედრა, 2016 წელს – 23 შეხვედრა, 2017 წელს – 17 შეხვედრა, 2018 წელს³⁸² – 6 შეხვედრა), მოამზადა საინფორმაციო ვიდეორგოლები საჯაროდ გავრცელების მიზნით; მონაწილეობა მიიღო ბროშურებისა და ბუკლეტების დამზადებასა (დაახლოებით 40 000 ერთეული) და გავრცელებაში, რომლებიც მოიცავდა ინფორმაციას ფონდის მომსახურების, ცხელი ხაზის ფუნქციონირებისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

- 24 საათიანი ცხელი ხაზი ფუნქციონირებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულტაციო დეპარტამენტში, აგრეთვე საზღვარგარეთ საკონსულტაციო წარმომადგენლობებში, რაც მიზნად ისახავს ტრეფიკინგის იდენტიფიცირებასა და პრევენციას.³⁸³

რელევანტური პროცედურები

ამ მიმართულებით პირველ რიგში უნდა აღინიშნოს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ინსპექტირება. 2016–2018³⁸⁴ წლებში დეპარტამენტმა სხვადასხვა სამუშაო ადგილზე განახორციელა 325 შემოწმება (2016 წელს – 98, 2017 წელს – 111, 2018 წელს – 116). მათგან მხოლოდ 14 შემოწმება (2016 წელს – 7; 2017 წელს – 6; 2018 წელს – 1) იყო არაგვეგმიური. რაც შეეხება იძულებითი შრომის ან შრომითი ექსპლუატაციის იდენტიფიცირებას, უნდა აღინიშნოს, რომ დეპარტამენტმა გამოავლინა მხოლოდ ერთი შემთხვევა (2016 წელს), რომელიც შეიცავდა შრომითი ექსპლუატაციის ელემენტებს.

„ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად სისხლის სამართლის ამ დანაშაულზე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად. იგივე კანონი ითვალისწინებს ტრეფიკინგის დანაშაულის მიმართ სისხლის სამართლის პროცესის თავისებურებებს. კერძოდ, პროკურორის, დაზარალებულის ან მისი წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე, შესაბამისი სასამართლო უფლებამოსილია, მიიღოს განჩინება სხდომის დახურვის შესახებ; ამასთან, დაცვის სპეციალური ღონისძიებები შეიძლება, გამოყენებულ იქნეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულის ჩამდენ პირს, რაც *inter alia* ითვალისწინებს დანაშაულის ჩამდენი პირისათვის დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევას.³⁸⁵

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანად განხორციელების მიზნით ფუნქციონირებს სპეციალური მუდმივმოქმედი ჯგუფი, რომელიც უფლებამოსილია, ქვეყნის მასშტაბით განახორციელოს კოორდინაცია ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაზე. გარდა ამისა, 2013 წლიდან თბილისში

381. სსიპ – ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის კორესპონდენცია, N 07/1263, 7.09.2018.

382. 1 სექტემბრის მდგომარეობით.

383. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კორესპონდენცია, N 01/45740, 19.11.2018.

384. 1 აგვისტოს მდგომარეობით.

385. საქართველოს კანონი „ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, მუხლი მე-13.

განლაგებულია 4 მობილური ჯგუფი, რომლებიც, უფლებამოსილნი არიან, საქართველოს მასშტაბით გამოავლინონ ტრეფიკინგის მაღალი რისკის შემცველი ადგილები, გამოკითხონ პირები და მიაწოდონ მათ ინფორმაცია ზემოაღნიშნული დანაშაულის შესახებ.³⁸⁶

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის, ასევე დანაშაულის მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობის ფაქტზე დაწყებული გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის მაჩვენებლები მოცემულია N 3 და N 4 ცხრილებში.

ცხრილი N 3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის, ასევე ტრეფიკინგის მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობის სავარაუდო ფაქტებზე გამოძიების მაჩვენებელი (შემთხვევების რაოდენობა)³⁸⁷

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი/წელი	2014	2015	2016	2017	2018 ³⁸⁸
143 ¹	11	15	18	16	9
143 ³	0	0	0	0	0

ცხრილი N 4. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის, ასევე ტრეფიკინგის მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობის სავარაუდო ფაქტზე სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი (პირთა რაოდენობა)^{389 390}

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი/წელი	2014	2015	2016	2017	2018 ³⁹¹
143 ¹	7	1	1	6	3
143 ³	0	0	0	0	0

2014–2018 წლებში, არც ერთი გამოძიება ან სისხლის სამართლებრივი დევნა არ შეწყვეტილა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმის განხილვის სტატისტიკა ნაჩვენებია N 5, N 6 და N 7 ცხრილებში. უნდა აღინიშნოს, რომ 2014–2018 წლებში სასამართლოებში არც ერთი საქმე არ განხილულა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143³-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ფარგლებში (ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა).³⁹¹

ცხრილი N 5. პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სავარაუდო შემთხვევებზე განხილული საქმეების სტატისტიკა^{392 393}

386. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორესპონდენცია, N MIA 1 18 02240423, 14.09.2018.

387. იქვე.

388. 1 აგვისტოს მდგომარეობით.

389. საქართველოს მთავარი პროკურატურის კორესპონდენცია, N 13/72532, 24.09.2018.

390. 10 სექტემბრის მდგომარეობით.

391. საქართველოს უზენაესი სასამართლოს კორესპონდენცია, N პ - 435 - 18 კორესპონდენცია; 4.09.2018.

392. აღნიშნულ სტატისტიკაში გამომტყუნებელი განაჩენებისა და პირთა (რომელთაც შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა) რაოდენობა იდენტურია.

393. 1 აგვისტოს მდგომარეობით.

წელი	შემოსული საქმე	განხილული საქმე		
		განაჩენი (თავისუფლების აღკვეთა) ³⁹²	მათ შორის, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე	საქმის შეწყვეტა
2014	3	2	1	-
2015	4	2	-	-
2016	-	1	-	1
2017	5	2	1	-
2018 ³⁹³	3	3	1	-

ცხრილი N6. სააპელაციო სასამართლოების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სავარაუდო შემთხვევებზე განხილული საქმეების სტატისტიკა^{394 395 396}

წელი	შემოსული საქმე	განხილული საქმე	
		დატოვებულია უცვლელად ³⁹⁴	სასჯელის შემსუბუქება ⁴⁹⁵
2014	3	2	1
2015	4	3	-
2016	1	1	1
2017	-	-	-
2018 ⁴⁹⁶	-	-	-

ცხრილი N 7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სავარაუდო შემთხვევებზე განხილული საქმეების რაოდენობა³⁹⁷

წელი	შემოსული საქმე	განხილული საქმე	დაუშვებლად ცნობა
2014	1	-	-
2015	2	1	1
2016	1	2	2
2017	-	1	1
2018 ³⁹⁷	-	-	-

394. აღნიშნულ სტატისტიკაში საქმეთა და პირთა რაოდენობა იდენტურია.

395. აღნიშნულ სტატისტიკაში საქმეთა და პირთა რაოდენობა იდენტურია.

396. 1 აგვისტოს მდგომარეობით.

397. 1 აგვისტოს მდგომარეობით.

პრობლემა

სახელმწიფო ორგანოებმა მიიღეს ცალკეული ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს ტრეფიკინგის (იძულებითი შრომის/შრომითი ექსპლუატაციის) დანაშაულის პრევენციასა და მასთან ბრძოლას. ამ მიმართულებით ქვეყნის ძალისხმევა ასახულია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2018 წლის ტრეფიკინგის ანგარიშში, რომლის თანახმადაც საქართველო კვლავ ინარჩუნებს ადგილს პირველ კალათაში.³⁹⁸ თუმცა, ტრეფიკინგის (იძულებითი შრომის/შრომითი ექსპლუატაციის) თავიდან აცილებასა და აღმოფხვრასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გამოწვევები კვლავ არსებობს. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიხედვით „ქალები და გოგონები საქართველოდან შეიძლება, გახდნენ სექსტრეფიკინგის მსხვერპლნი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე – მის გარეთ, კერძოდ, თურქეთში და, უფრო ნაკლებად, ჩინეთსა და არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში. საქართველო ასევე ტრანზიტული ქვეყანაა ყირგიზეთიდან, ტაჯიკეთსა და უზბეკეთიდან ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალებისთვის, რომელთა ექსპლუატაცია ხდება თურქეთში. ამერბაიჯანიდან და ცენტრალური აზიიდან ქალებს იძულებით აბამენ პროსტიტუციაში აჭარის რეგიონის ტურისტულ რაიონებსა და დიდ ქალაქებში, მაგალითად, თბილისსა და ბათუმში, ისეთ ადგილებში, როგორებიცაა საუნები, ბარები, სტრიპტიზკლუბები, კაზინოები და სასტუმროები. ქართველი მამაკაცები და ქალები ექვემდებარებიან იძულებით შრომას როგორც საქართველოში, ასევე – თურქეთში, არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში, ეგვიპტეში, კვიპროსსა და ერაყში. ქართველი, ბოშა და ქურთი ბავშვები იძულებულნი არიან, ითხოვონ შემწეობა და ჩაერთონ დანაშაულებრივ ქმედებებში“.³⁹⁹

მსხვერპლის იდენტიფიცირება – შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან მსხვერპლის იდენტიფიცირების ეტაპზე არსებობს მთელი რიგი გამოწვევები იქიდან გამომდინარე, რომ ცალკეულ შემთხვევებში სავარაუდო ექსპლუატაციის ნიშნები არ არის მხედველობაში მიღებული საქმის კვალიფიკაციის ეტაპზე.⁴⁰⁰ მსხვერპლის იდენტიფიცირების პრობლემა განსაკუთრებით დგას უცხოელებისა და არასრულწლოვნების მიმართ.⁴⁰¹

მსხვერპლთა დახმარება – თავშესაფარში ტრეფიკინგის მსხვერპლთა/ დაზარალებულთა დახმარება კვლავ პრობლემურად რჩება. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშის მიხედვით თბილისსა და ბათუმში თავშესაფრებს ერთდროულად ჯამში 18 ადამიანის მიღება შეუძლია (თბილისის თავშესაფარი – 3 დაზარალებული და დამოკიდებული პირი, ბათუმის თავშესაფარი – 5 დაზარალებული და 10 დამოკიდებული პირი).⁴⁰² არსებობს მთელი რიგი გამოწვევები თავშესაფრის ბენეფიციართა დახმარების მიმართულებით, რადგან, როგორც წესი, ისინი მოკლე დროში ტოვებენ თავშესაფარს.⁴⁰³ გამოწვევას წარმოადგენს ბენეფიციართა შესაბამისი მომსახურებით უზრუნველყოფა (მათ შორის ფსიქოსოციალური სერვისი და თარჯიმნის

398. ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ ანგარიში, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, 2018, გვ. 194.
 399. იქვე, გვ. 195 – 196.
 400. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2016, გვ. 628-629.
 401. ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ ანგარიში, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, 2018, გვ. 195.
 402. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრის) მონიტორინგის შესახებ, 2018, გვ. 26-27
 403. იქვე, გვ. 27.

მომსახურება), რადგან თავშესაფრები ძირითადად ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებებზე არის მორგებული და ნაკლებად – ტრეფიკინგის მსხვერპლთა საჭიროებებზე.⁴⁰⁴ დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლებისათვის არ არსებობს რესტიტუციის პრაქტიკა დანაშაულის ჩამდენი პირების მხრიდან.⁴⁰⁵

გამჭვირვალობის ნაკლებობა – აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ტრეფიკინგის ანგარიშში აღნიშნულია დამკვირვებელთა დასკვნა საქართველოს მთავრობის გამჭვირვალობის ნაკლებობის თაობაზე, რამდენადაც მას საზოგადოებისთვის საჯაროდ არ წარუდგენია ტრეფიკინგის წინააღმდეგ მის მიერ გატარებული ღონისძიებების შეფასება.⁴⁰⁶ ასევე არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი კონკრეტული ინფორმაცია შესაბამისი სამოქმედო გეგმების შესრულებისათვის ფინანსური სახსრების გადანაწილების თაობაზე, რაც შეიძლება, მიანიშნებდეს, ერთი მხრივ, გამჭვირვალობის პრობლემაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ვალდებულების შესრულებისათვის კონკრეტული ფინანსური ხედვის ნაკლებობაზე.

შრომის ინსპექციის საქმიანობის პროცესში არსებული პრაქტიკული გამოწვევები – როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი შეზღუდული მანდატის ფარგლებში ფუნქციონირებს და განსაკუთრებით დაბალია ტრეფიკინგის (იძულებითი შრომის/ შრომითი ექსპლუატაციის) გამოვლენის მაჩვენებელი (მხოლოდ ერთი სავარაუდო შემთხვევა გამოვლინდა, თუმცა, არსებობდა სხვა სავარაუდო შემთხვევები⁴⁰⁷). შრომითი ინსპექტირების დეპარტამენტის წინაშე არსებული პრაქტიკული გამოწვევები ძირითადად დაკავშირებულია კონკრეტულ ხარვეზებთან. კერძოდ, შრომის ინსპექციის ფუნქციონირება გაურკვეველი მანდატის პირობებში „აფერხებს ინსპექტორების მხრიდან დამსაქმებლების ეფექტური გამოკვლევის შესაძლებლობას“.⁴⁰⁸ ასევე, აღსანიშნავია სხვა ფაქტორები,⁴⁰⁹ როგორებიცაა ფინანსური და ადამიანური რესურსების სიმწირე,⁴¹⁰ ასევე ინსპექტირების ორგანოს რეგიონალური წარმომადგენლობის არარსებობა, რაც აფერხებს ეფექტიანი და სწრაფი მონიტორინგის განხორციელებას დედაქალაქს გარეთ. ინსპექტირების ორგანოს ინსტიტუციური დამოკიდებულება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროზე ხელს უშლის დეპარტამენტს ინსპექტირების ჯეროვნად განხორციელებაში და ამცირებს დარღვევების გამოვლენის შესაძლებლობას.

სისხლის სამართლებრივი ზომების მიმართულებით არსებული გამოწვევები – სისხლის სამართლის კოდექსის 143³-ე მუხლი (ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა) პრაქტიკაში ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა საკმაოდ მაღალია, სავარაუდო დანაშაულების გამოძიების, ასევე გამოძიების

404. იქვე.

405. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ ანგარიში, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, 2018, გვ. 194.

406. იქვე.

407. ადამიანის უფლებების ანგარიში, საქართველო, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, 2017, გვ. 42-43.

408. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ ანგარიში, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, 2018, გვ. 194.

409. შრომის ინსპექტირების ეფექტიანი მექანიზმის შექმნის აუცილებლობა, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2016, ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/ka/products/shromis-inspektirebis-efektiani-mekanizmis-shekmnis-autsilebloba>.

410. მთელი საქართველოს ტერიტორიაზე ინსპექციის ჩატარებაზე პასუხისმგებელია 29 თანამშრომელი.

მაჩვენებლებთან შედარებით სისხლის სამართლებრივი დევნის მაჩვენებელი დაბალია, რაც „ვერ დააკომპენსირა დანაშაულის მკაცრმა სასჯელმა და, მეტიც, წახალისა იძულებითი და სავალდებულო შრომის გამოყენება.“⁴¹¹

კვლევების სიმწირე და იძულებითი შრომის/შრომითი ექსპლუატაციის დაფარული ფორმები — ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის ანალიზი აჩვენებს,⁴¹² რომ სახელმწიფოს არ განუხორციელებია ტრეფიკინგის გამომწვევი სტრუქტურული მიზეზების სისტემური კვლევა, რაც საერთაშორისო სტანდარტების თანახმად პრევენციის პოლიტიკის განხორციელების საფუძველს წარმოადგენს.⁴¹³

იძულებითი შრომის/შრომითი ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლაში არსებული პრაქტიკული გამოწვევები ასევე ილუსტრირებულია იძულებითი შრომის/შრომითი ექსპლუატაციის დაფარული ფორმების არსებობაში. მაგალითად, იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის ელემენტები აღმოჩენილია საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ, რომელმაც მიუთითა, რომ სასჯელალსრულების დაწესებულებებში მყოფი საზოგადოებრივ შრომაში ჩართული მსჯავრდებულები იძულებულები იყვნენ, ემუშავათ დასვენებისა და უქმე დღეებში, ასევე – ღამის საათებში.⁴¹⁴ ამასთან, პენიტენციური დაწესებულების დირექტორის ბრძანება, რომლის მიხედვითაც მსჯავრდებულები ჩართულნი არიან სამეურნეო საქმიანობაში, არ მოიცავს ინფორმაციას, თუ რა ტიპის სამუშაო უნდა შესრულდეს მსჯავრდებულების მიერ. აქედან გამომდინარე, პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა დაინახა საფრთხე, დასაქმებულებს შეესრულებინათ ისეთი სამუშაო, რაც მათთვის დასაქმებამდე უცნობი იყო.⁴¹⁵ სასჯელალსრულების დაწესებულებებში იძულებითი შრომის/შრომითი ექსპლუატაციის მაღალი რისკის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია ერთიანი აღრიცხვის დოკუმენტის არსებობა დასაქმებულთა სამუშაო გრაფიკის, ასევე სამუშაოს აღწერილობის შესახებ.⁴¹⁶

იძულებითი შრომის/შრომითი ექსპლუატაციის კიდევ ერთი ფარული ფორმა უკავშირდება ღვებთ თემის წარმომადგენლებს. საზოგადოებაში თემის წევრთა მიმართ არსებული სტიგმისა და დისკრიმინაციის გამო (პრობლემაა მათი პირადობის დამადასტურებელი საბუთიც, რომელიც არ ასახავს მათ გენდერულ იდენტობას) ტრანსგენდერი ადამიანების ნაწილი ჩართულია არაფორმალურ შრომაში (მათ შორის – კომერციულ სექსშრომაში) და იძულებულია, დასთანხმდეს არასათანადო სამუშაო პირობებსა და ანაზღაურებას, რაც აღნიშნულ ჯგუფს განსაკუთრებით დაუცველს ხდის ძალადობისა და ექსპლუატაციის მიმართ.⁴¹⁷

411. ადამიანის უფლებების ანგარიში, საქართველო, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, 2017, გვ. 42.

412. იმპლემენტაციის ანგარიშები ხელმისაწვდომია აქ: <http://justice.gov.ge/Ministry/Index/334>.

413. ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის განმარტებითი მოხსენება, 2005, პარა. 103.

414. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2016, გვ. 24.

415. იქვე, გვ. 125.

416. იქვე.

417. “ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობა საქართველოში”, ქალთა ინიციატივების მხარდაჭერი ჯგუფი, 2015, გვ. 33; ხელმისაწვდომია https://women.ge/data/docs/publications/WISG_Transgender_survey_2015.pdf; ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)5 წევრი სახელმწიფოებისათვის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის თაობაზე – საქართველო, ქალთა ინიციატივების მხარდაჭერი ჯგუფი 2018, გვ. 8, ხელმისაწვდომია აქ: <https://women.ge/data/docs/publications/WISG-CMREC-2013-18-ENG.pdf>.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი უკავშირდება მიგრანტ მუშათა სამუშაო პირობების ზოგად დაურეგულირებლობას.⁴¹⁸ შრომითი მიგრანტების ნაწილი შემოდის ქვეყანაში წინასწარი, გარანტირებული სამუშაოს გარეშე და ისინი უმეტეს შემთხვევაში ვერ პოულობენ სამსახურს, რაც მათ მოწველად ჯგუფად აქცევს და დაუცველს ხდის ექსპლუატაციის მიმართ.⁴¹⁹ ამ ფონზე ქვეყანაში დასაქმებულთა და შრომითი მიგრანტების მნიშვნელოვანი რაოდენობა ჩართულია არაფორმალურ ეკონომიკაში, რაც, შრომითი ხელშეკრულების არარსებობის პარალელურად, მათთვის ექსპლუატაციური გარემოს შექმნას უწყობს ხელს.⁴²⁰

იძულებითი შრომის/შრომითი ექსპლუატაციის მიმართ დაუცველ ჯგუფად შესაძლოა, განვიხილოთ იძულებითი ქორწინებისა და ოჯახური ძალადობის მსხვერპლები; თუმცა, უმეტეს შემთხვევაში ამ უკანასკნელი დანაშაულების ელემენტები გამოვლენილი და ცხადია, ხოლო იძულებითი შრომის/შრომითი ექსპლუატაციის სავარაუდო ნიშნები შეუმჩნეველი რჩება.

საზღვრის მართვასთან დაკავშირებული გამოწვევები – მიუხედავად იმისა, რომ იძულებითი შრომის/შრომითი ექსპლუატაციის აღმოფხვრასა და მის პრევენციასთან დაკავშირებით ცალკეული მექანიზმები არსებობს, საზღვრის ეფექტიანი მართვის მიმართულებით არსებული გამოწვევები აისახება იმ ფაქტით, რომ საქართველო კვლავ რჩება იძულებით შრომას დაქვემდებარებული ქალებისა და გოგონებისათვის წყაროდ, სატრანზიტო და საბოლოო დანიშნულების ქვეყნად.⁴²¹ გამოწვევები ასევე არსებობს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ზომების განხორციელების მიმართულებით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე.⁴²²

რეკომენდაციები

1. გადაიდგას ეფექტიანი ნაბიჯები ტრეფიკინგის (იძულებითი შრომის/შრომითი ექსპლუატაციის) ელემენტების, ასევე ამ დანაშაულის მსხვერპლთა იდენტიფიცირებისა და ამ მიმართულებით სახელმწიფო ხელისუფლების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით;
2. შემუშავდეს და დაიხვეწოს ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა მხარდაჭერის სერვისები, რომლებიც მორგებული იქნება მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს. უზრუნველყოფილ იქნეს მათთვის ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებისგან დამოუკიდებელი თავშესაფრების ფუნქციონირება და მათი გაძლიერება ორმაგი ვიქტიმიზაციის თავიდან ასაცილებლად;
3. ჩამოყალიბდეს შრომის ინსპექტირების დეპარტამენტი, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუციური მექანიზმი, რომელიც ადეკვატური ფინანსური და ადამიანური რესურსით იქნება უზრუნველყოფილი;
4. გადაიდგას ეფექტიანი ნაბიჯები სისხლის სამართლის აღნიშნულ დანაშაულებზე რეაგირებისა და სახელმწიფო საზღვრის მართვის გაძლიერებისათვის;
5. იმდენად, რამდენადაც მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა ადამიანების ტრეფიკინგის (იძულებითი შრომის/შრომითი ექსპლუატაციის) ერთ-ერთი საფუძველი შეიძლება, იყოს, აუცილებელია, ქვეყანაში განხორციელდეს კვლევა, რომელიც მიზნად

418. ადამიანის უფლებების ანგარიში, საქართველო, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, 2017, P. 45-46.

419. იქვე.

420. იქვე, გვ. 46.

421. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ ანგარიში, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, 2018, 196.

422. იქვე.

დაისახავს აღნიშნული ქმედებების სტრუქტურული მიზეზების გამოვლენას და სპეცი-
ალურ ზომებს მიიღებს სოციალურ-ეკონომიკურ მოწყვლადობასთან ბრძოლის მიმარ-
თულებით. ამას გარდა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს იძულებითი შრომის/შრომითი
ექსპლუატაციის ფარული ფორმების ეფექტიანი იდენტიფიცირება და მასთან ბრძოლა.

პირადი და ოჯახური ცხოვრებისა და კომუნიკაციის პატივისცემა

69

როგორ არის პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლისა და კომუნიკაციის დაცვისა და პატივისცემის უფლებები უზრუნველყოფილი? რა შემთხვევაშია შესაძლებელი მათი დაუცველობა?

- პირადი და ოჯახური ცხოვრებისა და საცხოვრებლის დაცვის და პატივისცემის კონსტიტუციური და სამართლებრივი ზომები და მათი იმპლემენტაცია:

საქართველოს კონსტიტუციის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №786, გამოქვეყნებულია: 24/08/1995; ბოლო ცვლილება: №2071-III, 23/03/2018) მე-15 მუხლი განსაზღვრავს, რომ ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით. დამატებით, საქართველოს კონსტიტუცია იმავე მუხლში განსაზღვრავს, რომ ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია. არავის აქვს უფლება, შევიდეს საცხოვრებელ ან სხვა მფლობელობაში ან ჩაატაროს ჩხრეკა მფლობელი პირის ნების საწინააღმდეგოდ. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. გადაუდებელი აუცილებლობისას უფლების შეზღუდვის შესახებ სასამართლოს უნდა ეცნობოს შეზღუდვიდან არა უგვიანეს 24 საათისა და სასამართლომ უნდა დაადასტუროს შეზღუდვის კანონიერება შეტყობინების წარდგენიდან არა უგვიანეს 24 საათისა. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლი ასევე განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო უნდა იცავდეს ოჯახის კეთილდღეობას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2287, გამოქვეყნებულია: 22/07/1999; ბოლო ცვლილება: №3609-ს, 31.10.2018) განსაზღვრავს, რომ ბინაში ან სხვა მფლობელობაში მფლობლის ნების საწინააღმდეგოდ უკანონოდ შესვლა, უკანონო ჩხრეკა ან სხვა ქმედება, რომელიც არღვევს ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობას, იხვევა ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე (მუხლი 160-ე).

პერსონალური მონაცემები სარგებლობს საკონსტიტუციო, სამართლებრივი და სასამართლო დაცვის უფლებით. დაცული პირადი მონაცემების უფლება არის კონსტიტუციური უფლება. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი განსაზღვრავს, რომ ყველას აქვს უფლება, იყოს ინფორმირებული კანონის შესაბამისად მის შესახებ შეგროვებული ინფორმაციის შესახებ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ასევე, ოფიციალურ ჩანაწერებში

არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა პირად საკითხებთან, არავისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჯარო ინტერესების, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დასაცავად.

ძირითადი კანონი, რომელიც არეგულირებს პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებს, არის საქართველოს კანონი პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №5669-რს, გამოქვეყნებულია: 28/12/2011; ბოლო ცვლილება: №3451-ლს, 20.09.2018), რომლის მიზანია თითოეული ფიზიკური პირისათვის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და სხვა უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება და დაცვა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე ავტომატური და ნახევრად ავტომატური საშუალებებით მონაცემთა დამუშავებაზე, და არაავტომატური საშუალებებით იმ მონაცემთა დამუშავებაზე, რომლებიც ფაილური სისტემის ნაწილია ან ფაილურ სისტემაში შეტანის მიზნით მუშავდება. ამ კანონის მოქმედება ასევე ვრცელდება დანაშაულის თავიდან აცილებისა და გამოძიების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნებისათვის სახელმწიფო საიდუმლოებისთვის მიკუთვნებულ მონაცემთა ავტომატურ დამუშავებაზე გარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონით გათვალისწინებულისა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2181, გამოქვეყნებულია: 25/06/1999; ბოლო ცვლილება: №3619-ლს, 31.10.2018) 44-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ საჯარო დაწესებულება ვალდებულია, არ გაახმაუროს პირის პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე გარდა თანამდებობის პირების პერსონალური მონაცემებისა (და თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატებისა).

საქართველოს კონსტიტუცია, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №786, გამოქვეყნებულია: 26/06/1997; ბოლო ცვლილება: №3607-ლს, 31.10.2018), რომელიც მოიცავს საოჯახო სამართლის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებს, არ შეიცავს დებულებებს, რომლებიც განმარტავს ოჯახს. თუმცა ორივე მათგანი განმარტავს ქორწინებას, როგორც ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის კავშირს. ასევე ოჯახის წევრი განიმარტება კონკრეტული კანონის მიზნებისთვის.

სოციალური მუშაობის წესები არის უფლებების განხორციელება და მომსახურების გაწევა ბენეფიციარის უფლებების და ღირსების პატივსაცემად, პერსონალური და ოჯახური ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის უზრუნველსაყოფად, ბენეფიციარის ინტერესებისა და უფლებების წარმოსადგენად და მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ყველა მოქალაქისთვის თანაბრად, მიუხედავად მათი ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, სქესობრივი ან სოციალურ-ეკონომიკური განსხვავებისა, შეზღუდული შესაძლებლობისა და სექსუალური ორიენტაციისა.

ადამიანის უფებათა ევროპული კონვენციის მერვე მუხლით განსაზღვრული პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა, რაც უკავშირდება ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევას, დადგენილ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ შვიდ გადაწყვეტილებაში: **(ჯიშკარიანი საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი N18925/09); ჯულელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი N38342/05); ნ. ც და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი N71776/12); გ. ს. საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი N2361/13); სალინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი N18768/05); გიორგი ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი N37048/04); გურგენიძე საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი N71678/01)).**

საბოლოო რეზოლუციები მიღებულია ორ საქმეზე, ოთხ საქმეზე მიმდინარეობს წარმოება და 2018 წლის სექტემბერში ერთ საქმეზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება.

პირადი კომუნიკაციის დაცვისა და პატივისცემის კონსტიტუციური და სამართლებრივი ზომები და მათი იმპლემენტაცია:

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი განსაზღვრავს, რომ ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით. დამატებით, საქართველოს კონსტიტუცია იმავე მუხლში განსაზღვრავს, რომ ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია. არავის აქვს უფლება, შევიდეს საცხოვრებელ ან სხვა მფლობელობაში ან ჩაატაროს ჩხრეკა, მფლობელი პირის ნების საწინააღმდეგოდ. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. გადაუდებელი აუცილებლობისას უფლების შეზღუდვის შესახებ სასამართლოს უნდა ეცნობოს შეზღუდვიდან არა უგვიანეს 24 საათისა და სასამართლომ უნდა დაადასტუროს შეზღუდვის კანონიერება შეტყობინების წარდგენიდან არა უგვიანეს 24 საათისა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი განსაზღვრავს, რომ ყველას აქვს უფლება, იყოს ინფორმირებული კანონის შესაბამისად მის შესახებ შეგროვებული ინფორმაციის შესახებ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ასევე, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა პირად საკითხებთან, არავისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჯარო ინტერესების, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დასაცავად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავს, რომ კერძო საუბრის უნებართვო ჩაწერა ან მიყურადება, აგრეთვე კომპიუტერულ სისტემაში ან სისტემიდან კერძო კომუნიკაციისას გადაცემული კომპიუტერული მონაცემის ან ამგვარი მონაცემის მატარებელი ელექტრომაგნიტური ტალღების უნებართვო მოპოვება ტექნიკური საშუალების გამოყენებით ან კერძო კომუნიკაციის ჩანაწერის, ტექნიკური საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის ან კომპიუტერული მონაცემის უკანონოდ შენახვა ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე (მუხლი 158-ე). აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავს, რომ პირადი მიმოწერის ან საფოსტო გზავნილის, ტელეფონით ან სხვა ტექნიკური საშუალებით საუბრის ჩანაწერის ან ტელეგრაფით, კომპიუტერული სისტემით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით მიღებული ან გადაცემული შეტყობინების უკანონოდ მოპოვება, გასხნა, შინაარსის გაცნობა ან შენახვა ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე (მუხლი 159-ე). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლი ადგენს, რომ პირადი ან ოჯახური ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გამოყენება, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ისჯება ჯარიმით ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №1514, გამოქვეყნებულია: 02/06/2005; ბოლო ცვლილება №3286-რს, 21.07.2018) თანახმად

ინფორმაცია ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების მომხმარებლის შესახებ, აგრეთვე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების მეშვეობით მომხმარებლის მიერ გადაცემული ინფორმაცია საიდუმლოა და მისი დაცვა გარანტირებულია საქართველოს კანონმდებლობით (მუხლი მე-8). ეს კანონი ასევე ადგენს ავტორიზებული პირის ვალდებულებას, სათანადოდ მიაწოდოს საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისიას ამ კანონითა და კომისიის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია თავისი საქმიანობის შესახებ, მათ შორის, ფინანსურ-ეკონომიკური დოკუმენტაცია მისი კონფიდენციალურობის მიუხედავად, აგრეთვე საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. კომისიამ უნდა დაიცვას მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ითვლება კომერციულ საიდუმლოებად ან პერსონალურ მონაცემებად. განზოგადებული ინფორმაცია მომსახურების ბაზრის თაობაზე, ასევე მონაცემები აბონენტთა რაოდენობის, ტრაფიკის, მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების შესახებ არ შეიძლება, იყოს კონფიდენციალური. ავტორიზებული პირის მიერ არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდება ითვლება ინფორმაციის მიუწოდებლობად (მუხლი მე-19).

ავტორიზებული პირი ვალდებულია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ელექტრონული საკომუნიკაციო საიდენტიფიკაციო მონაცემების ჩაწერა აწარმოოს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №1772, გამოქვეყნებულია: 09/10/2009; ბოლო ცვლილება: №3610-ს, 31.10.2018) შესაბამისი სახლმწიფო ორგანოებისათვის და მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს (მუხლი მე-8²).

პოლიციის შესახებ საქართველოს კანონისა (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №444-ს, გამოქვეყნებულია: 04/10/2013; ბოლო ცვლილება: №3284-რს, 21.07.2018) და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად პოლიციის ოფიცერი უფლებამოსილია, უარყოს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული პირის გარკვეული უფლებები, ანუ მათ შეუძლიათ, გამოიყენონ თავიანთი სამართლებრივი უფლებამოსილება ამ პირებთან დაკავშირებით.

70 გთხოვთ, აღწერთ საცხოვრებლის ჩხრეკისა და სპეციალური საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ზუსტი პროცედურა (როგორცაა სატელეფონო კომუნიკაციის მიყურადება) და როგორ ხდება ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის უზრუნველყოფა. მაგალითად, არის თუ არა შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია სატელეფონო მიყურადება ან საცხოვრებელი სახლის ჩხრეკა განხორციელდეს მოსამართლის განჩინების გარეშე? როგორია ამ სფეროში კანონმდებლობის განხორციელების პრაქტიკული გამოცდილება?

პირებისა და შენობების ჩხრეკა არის აშკარა ქმედებები, რომლებიც გამოიყენება ავტორიზებული პირების მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №1772, გამოქვეყნებულია: 09/10/2009; ბოლო ცვლილება: №3610-ს, 31.10.2018) დადგენილი ფორმითა და პროცედურების დაცვით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად გამოძიების პროცესში მხარეს არა აქვს უფლება, თვითნებურად და უკანონოდ ჩაერიოს სხვის პირად ცხოვრებაში. კერძო საკუთრების ან სხვა მფლობელობის და ნებისმიერი საშუალებით განხორციელებული კერძო კომუნიკაციის ხელშეუხებლობა

გარანტირებულია კანონით. საპროცესო მოქმედების ჩამტარებელმა არ უნდა გაამჟღავნოს ცნობები პირადი ცხოვრების შესახებ, ასევე პირადი ხასიათის ცნობები, რომელთა საიდუმლოდ დაცვაც პირს საჭიროდ მიიჩნია. პირს, რომელსაც ზიანი მიადგა მისი პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების/პერსონალური მონაცემების უკანონოდ გამჟღავნებით, აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზიანის სრულად ანაზღაურების უფლება (მუხლი მე-7).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას მხარეებს აქვთ თანაბარი უფლება-მოვალეობები. დაცვის მხარის დასაბუთებული შუამდგომლობით სასამართლოს განჩინების საფუძველზე საგამოძიებო მოქმედებას ატარებს გამოძიებელი, რომელიც არ შეიძლება, იყოს იგივე პირი, რომელიც მოცემული საქმის გამოძიებას აწარმოებს (მუხლი 111-ე).

საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით. შუამდგომლობისა და მისი განხილვისათვის საჭირო ინფორმაციის მიღებიდან არა უგვიანეს 24 საათისა მოსამართლე ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას. მოსამართლე უფლებამოსილია, შუამდგომლობა განიხილოს შუამდგომლობის დამყენებელი მხარის მონაწილეობით. თანამესაკუთრის ან თანამფლობლის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა საკმარისია ამ ნაწილით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების სასამართლოს განჩინების გარეშე ჩასატარებლად (მუხლი 112-ე).

საგამოძიებო მოქმედება გადაუდებელი აუცილებლობისას შეიძლება, ჩატარდეს სასამართლოს განჩინების გარეშეც, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება, გამოიწვიოს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან როცა დაყოვნება შეუძლებელს გახდის აღნიშნული მონაცემების მოპოვებას, ან როცა საქმისათვის საჭირო საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას (თუ აღმოჩენილია მხოლოდ ზედაპირული დათვალიერების შედეგად), ან როცა არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე: ასეთ შემთხვევაში პროკურორმა საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში უნდა აცნობოს მოსამართლეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ჩატარდა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება და უნდა გადასცეს სისხლის სამართლის საქმის მასალები (ან მათი ასლები), რომლებიც ასაბუთებს საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობას. მოსამართლე მასალების მიღებიდან არა უგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას (მუხლი 112-ე).

დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში ამოღება და ჩხრეკა ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოჩენილ და ამოღებულ იქნეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი. ჩხრეკა შეიძლება, ჩატარდეს ძებნილი პირის ან გვამის აღმოსაჩენად. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი შეიძლება, ამოღებულ იქნეს, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ის ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მისი ძებნა საჭირო არ არის. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ამოსაღებად ჩხრეკა შეიძლება, ჩატარდეს, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ის ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მის აღმოსაჩენად საჭიროა ძებნა (მუხლი 119-ე).

ამოღების ან ჩხრეკის ჩატარებისას გამოძიებელს უფლება აქვს, გააღოს დაკეტილი საცავი და შენობა, თუ გასაჩხრეკი პირი უარს ამბობს, ნებაყოფლობით გააღოს ისინი. დასაშვებია ჩხრეკის ან/და ამოღების ადგილზე მყოფი პირის პირადი ჩხრეკა, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან დამალა ამოსაღები საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი. ასეთი შემთხვევა ითვლება

გადაუდებელ აუცილებლობად და პირადი ჩხრეკა ტარდება სასამართლოს განჩინების გარეშე. ჩხრეკის ან/და ამოღების კანონიერებას ამოწმებს სასამართლო (მუხლი 120-ე).

დანაშაულის კვალის აღმოჩენის ან შემთხვევის ვითარებისა და სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოების გარკვევის მიზნით მხარეს უფლება აქვს, დაათვალიეროს შემთხვევის ადგილი, საცავი, სადგომი, სათავსი, გვამი, საგანი, დოკუმენტი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი. თუ დათვალიერება ეხება კერძო საკუთრებას, ის ტარდება სასამართლოს განჩინებით. სასამართლოს განჩინება არ არის აუცილებელი, როდესაც მხარე დათვალიერებას ატარებს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ან მესაკუთრე (მფლობელი) წერილობით გამოხატავს თანხმობას (მუხლი 125-ე).

ფარული საგამოძიებო მოქმედები, როგორებიცაა სატელეფონო კომუნიკაციის მიყურადება, ფარული ვიდეო და აუდიო ჩაწერა, შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და თუ ისინი აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, კერძოდ, ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უწესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება, ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა საშუალებით გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების მოპოვება შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს (მუხლი 143¹-143²-ე).

ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელება შესაძლებელია, როდესაც გამოძიება დაწყებულია ან/და სისხლის სამართლებრივი დევნა ხორციელდება განზრახი მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ან იმ დანაშაულის გამო, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით: მუხლი 117 (1)-ე, მუხლი 139 (2)-ე, მუხლები 140-ე და 141-ე, მუხლი 143(1), მუხლი 143³(1)-ე, მუხლი 180(1)-ე, მუხლი 181(1)-ე, მუხლი 186(2)-ე, მუხლი 187(2)-ე, მუხლი 198(1)-ე, მუხლი 210(1)-ე, მუხლი 253(1)-ე, მუხლი 255¹(1), 2594-ე და 184-ე, მუხლი 285(1)-ე, მუხლები 286-ე და 287-ე, მუხლი 288(1-2)-ე, მუხლები 289-ე, 290-ე და 292-303-ე, მუხლი 304(1)-ე, მუხლები 305-ე და 306-ე, მუხლი 318(1)-ე, მუხლი 322¹(1-2)-ე, მუხლები 340-ე და 341-ე (მუხლი 143³-ე).

ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება მოსამართლის განჩინებით. განჩინებას პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე იღებს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება, გამოიწვიოს საქმისთვის (გამოძიებისთვის) მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან შეუძლებელი გახადოს ამ მონაცემების მოპოვება, ეს მოქმედებები შეიძლება, ჩატარდეს მოსამართლის განჩინების გარეშე, პროკურორის მოტივირებული დადგენილებით (მუხლი 143³-ე). ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელი ორგანო, აგრეთვე საგამოძიებო ორგანო ან პირი ვალდებული არიან, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მაქსიმალურად შეზღუდონ იმ კომუნიკაციისა და პირის მონიტორინგი, რომელთაც გამოძიებასთან კავშირი არ აქვთ (მუხლი 143⁷-ე).

ორგანო, რომელიც ახორციელებს ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს და შესაბამისი საგამოძიებო უწყებები პასუხისმგებელი არიან ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მიღებული ინფორმაციის სათანადოდ დაცვაზე. ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია პროკურორის გადაწყვეტილებით დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტის ან დასრულების შემდეგ, თუ მას არა აქვს ღირებულება გამოძიებისათვის. ასევე დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს იმ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც გადაუდებელი აუცილებლობისას მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარდა და, მიუხედავად სასამართლოს მიერ მისი კანონიერად ცნობისა, ბრალდების მხარემ საქართველოს სისხლის სამართლის

კოდექსით დადგენილი წესით არ წარუდგინა ის მტკიცებულებად საქმის არსებითად განმხილველ სასამართლოს. დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული ის მასალაც, რომელიც არ ეხება პირის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაგრამ შეიცავს ცნობებს მისი ან სხვა პირის პირადი ცხოვრების შესახებ და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად უნდა განადგურდეს (მუხლი 143^ბ-ე).

71 პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემა: არის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა დაცული კანონით?

პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა. საქართველოს კონსტიტუციის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №786, გამოქვეყნებულია: 24/08/1995; ბოლო ცვლილება: №2071-III, 23.03.2018) მე-15 მუხლი განსაზღვრავს, რომ ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით. დამატებით, საქართველოს კონსტიტუცია იგივე მუხლში განსაზღვრავს, რომ ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია. არავის აქვს უფლება, შევიდეს საცხოვრებელ ან სხვა მფლობელობაში ან ჩაატაროს ჩხრეკა მფლობელი პირის ნების საწინააღმდეგოდ. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. გადაუდებელი აუცილებლობისას უფლების შეზღუდვის შესახებ სასამართლოს უნდა ეცნობოს შეზღუდვიდან არა უგვიანეს 24 საათისა და სასამართლომ უნდა დაადასტუროს შეზღუდვის კანონიერება შეტყობინების წარდგენიდან არა უგვიანეს 24 საათისა. საბოლოოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი განსაზღვრავს, რომ ყველას აქვს უფლება, იყოს ინფორმირებული კანონის შესაბამისად მის შესახებ შეგროვებული ინფორმაციის შესახებ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ასევე, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა პირად საკითხებთან, არავისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჯარო ინტერესების, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დასაცავად.

ძირითადი კანონი, რომელიც არეგულირებს პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებს, არის საქართველოს კანონი პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №5669-რს, გამოქვეყნებულია: 28/12/2011; ბოლო ცვლილება: №3451-III, 20.09.2018), რომლის მიზანია თითოეული ფიზიკური პირისათვის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და სხვა უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება და დაცვა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე ავტომატური და ნახევრად ავტომატური საშუალებებით მონაცემთა დამუშავებაზე და არაავტომატური საშუალებებით იმ მონაცემთა დამუშავებაზე, რომლებიც არის ფაილური სისტემის ნაწილი ან ფაილურ სისტემაში შეტანის მიზნით მუშავდება. ამ კანონის მოქმედება ასევე ვრცელდება დანაშაულის თავიდან აცილებისა და გამოძიების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნებისათვის სახელმწიფო საიდუმლოებისთვის მიკუთვნებულ მონაცემთა ავტომატურ დამუშავებაზე გარდა ამ კანონით გათვალისწინებული.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2181, გამოქვეყნებულია: 25/06/1999; ბოლო ცვლილება: №3619-ს, 31.10.2018) 44-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ საჯარო დაწესებულება ვალდებულია, არ გაახმაუროს პირის პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის გარეშე ან დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, თუ ეს კანონითაა გათვალისწინებული, გარდა თანამდებობის პირის პერსონალური მონაცემებისა (ასევე, თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატებისა).

არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №786, გამოქვეყნებულია: 26/06/1997; ბოლო ცვლილება: №3607-ს, 31.10.2018) და არც სხვა ნებისმიერი კანონი, რომელიც აწესრიგებს ქორწინების, ოჯახური ცხოვრებისა და შიდა ურთიერთობების საკითხებს, არ შეიცავს იმ დებულებებს, რომლებიც ეხება პერსონალური მონაცემების შეგროვებას, შენახვას, დამუშავებასა და გამოყენებას, თუმცა, ეს ვალდებულება საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლითა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით არის გათვალისწინებული.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №1772, გამოქვეყნებულია: 09/10/2009; ბოლო ცვლილება: №3610-ს, 31.10.2018) საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, შეიძლება, ჩატარდეს მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით. საგამოძიებო მოქმედება გადაუდებელი აუცილებლობისას შეიძლება, ჩატარდეს სასამართლოს განჩინების გარეშეც, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება, გამოიწვიოს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან როცა დაყოვნება შეუძლებელს გახდის აღნიშნული მონაცემების მოპოვებას ან როცა საქმისათვის საჭირო საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას (თუ აღმოჩენილია მხოლოდ ზედაპირული დათვალიერების შედეგად), ან როცა არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე.

ვინაიდან სხვა სამართლებრივი წყარო, რომელიც იცავს და გარანტირებულს ხდის ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას გარდა ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონისა (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №1514, გამოქვეყნებულია: 02/06/2005; ბოლო ცვლილება: №3286-რს, 21.07.2018) არ არსებობს, ამ კითხვაზე პასუხად, გთხოვთ, იხილოთ პასუხი 69-ე კითხვაზე.

ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება

72 დეტალურად განიხილეთ, როგორ არის დაცული ქორწინებისა და იჯახის შექმნის უფლება თქვენი კანონდებლობით?

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად (მიღებულ იქნა 1995 წლის 25 აგვისტოს, კანონი №786; ცვლილება შეტანილ იქნა 2018 წლის 23 მარტს, კანონი №2071) ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, რომელიც ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას (მუხლი 30-ე).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად დაქორწინების ასაკად დადგენილია 18 წელი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად (მიღებულ იქნა 1997 წლის 26 ივნისს, კანონი №786) ქორწინება შესაძლებელია, შეწყდეს ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებით, გაუქმებით და განქორწინებით. განქორწინება ხდება სასამართლო წესით, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა, სხვა შემთხვევაში — სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს დებულება, რომლის მიხედვით ქმარს არა აქვს უფლება, ცოლის თანხმობის გარეშე აღძრას საქმე განქორწინებაზე ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში.

574-ე მუხლის შესაბამისად, თუ მეუღლეები ვერ შეთანხმდნენ, ვინ იცხოვრებს იჯარით აღებულ ბინაში, ამ დავას გადაწყვეტს სასამართლო. სასამართლოსთვის არ აქვს მნიშვნელობა, რომელი მეუღლეა მოიჯარე. თუ სასამართლო დაადგენს მოიჯარეობაზე იმ მეუღლის უფლებას, რომელიც არ არის მოიჯარე, მაშინ მეორე მეუღლე ხდება საიჯარო ხელშეკრულების მხარე.

კანონის შესაბამისად, თუ განქორწინება განიხილება სასამართლოს მიერ, სასამართლომ უნდა აწარმოოს მოსარჩელეთა განქორწინების საქმე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის თანახმად. სასამართლომ ასევე უნდა მიიღოს ზომები მეუღლეთა შესარიგებლად; სასამართლოს უფლება აქვს, გადადოს საქმის განხილვა და მეუღლეებს დაუნიშნოს ვადა შესარიგებლად, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს. განქორწინება მოხდება, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მეუღლეთა შემდგომი ერთად ცხოვრება და ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია მიუხედავად შესარიგებლად მიღებული ზომებისა. განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო, როცა აუცილებელია, იღებს ზომებს მცირეწლოვანი შვილებისა და შრომისუნარო მეუღლის ინტერესების დასაცავად.

კანონის შესაბამისად მცირეწლოვანი შვილების არსებობის შემთხვევაში, როცა მეუღლენი არ არიან შეთანხმებული განქორწინების შემდეგ შვილების საცხოვრებელ ადგილსა და მათ სარჩენად გადასახდელ სახსრებზე, სასამართლო მოვალეა, განქორწინებასთან ერთად განსაზღვროს ისიც, თუ რომელი შვილი რომელ მშობელთან დარჩეს და რომელ მშობელს რა ოდენობით უნდა გადახდეს სარჩო (ალიმენტი). ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქმეში მონაწილეობის მისაღებად ჩაბმული უნდა იქნეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. იმ მეუღლის თხოვნით, რომელსაც უფლება აქვს, მიიღოს სარჩო მეორე მეუღლისაგან, სასამართლო ვალდებულია, განქორწინების საქმის გადაწყვეტასთან ერთად განსაზღვროს იმ სახსრების ოდენობა, რაც უნდა გადახდეს მეორე მეუღლეს.

კანონის მიხედვით მეუღლეების ან ერთ-ერთი მათგანის თხოვნით სასამართლო ვალდებულია, განქორწინების საქმის გადაწყვეტასთან ერთად განიხილოს იმ ქონების გაყოფის საკითხი, რომელიც წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას. თუ ასეთი გაყოფა ეხება მესამე პირის უფლებებს, დავა ქონების გაყოფის შესახებ არ შეიძლება, გადაწყდეს განქორწინების საქმესთან ერთად. განქორწინებულ მეუღლეთა თანასაკუთრების ქონების გაყოფის თაობაზე მოთხოვნებისათვის დადგენილია ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1136-ე მუხლის მიხედვით (მიღებულ იქნა 1997 წლის 26 ივნისს, კანონი №786) განქორწინებულ მეუღლეებს უფლება აქვთ, ხელახლა დაქორწინდნენ.

საქართველოს კანონმდებლობა აგრეთვე განსაზღვრავს საქორწინო ხელშეკრულებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება, შეიცვალოს ან შეწყდეს მებისმიერ დროს მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით. ცალმხრივი უარი საქორწინო ხელშეკრულებაზე დაუშვებელია. საქორწინო ხელშეკრულება წყდება განქორწინებისას.

თუ განქორწინების გამო ან სხვა მიზეზით მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზე დამოკიდებული, თუვის ექნება უფლება, გადაწყვიტოს, ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი. შეთანხმებლობის შემთხვევაში დავას იმის თაობაზე, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი

შვილი, წყვეტს სასამართლო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში მშობლის უფლება, იყოს ბავშვის წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს. 1202-ე მუხლის შესაბამისად (მიღებულ იქნა 1997 წლის 26 ივნისს, კანონი №786, ცვლილება შეტანილ იქნა 2007 წლის 18 დეკემბერს, კანონი №5624) მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განქორწინებულნი არიან ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ. მშობელს, რომელთანაც შვილი ცხოვრობს, უფლება არა აქვს, შეზღუდოს მეორე მშობლის უფლება-მოვალეობები.

საქართველოს კანონი ასევე არეგულირებს იძულებით ქორწინებებს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 150¹-ის შესაბამისად (მიღებულ იქნა 1999 წლის 22 ივლისს, კანონი №2287; ცვლილება შეტანილ იქნა 2018 წლის 30 მაისს, კანონი №2395) ქორწინების (მათ შორის, არარეგისტრირებულის) იძულება ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

73 როგორია თქვენი კანონიერი დებულებები ქორწინებისა ან კანონიერი პარტნიორობის შესახებ და რომელიმე თუ მოიცავს ერთი და იმავე სქესის წყვილებს?

ოჯახურ ურთიერთობათა მართვის რეგულაციები არ არეგულირებს ერთი და იმავე სქესის პარტნიორობას. საქართველოს კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად ქორწინება უნდა დარეგისტრირდეს ქალსა და მამაკაცს შორის (საწინააღმდეგო სქესს შორის).

აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება

74 დეტალურად აღწერეთ ამ უფლების შეზღუდვის საფუძვლები, რომლებიც ნებადართულია.

რწმენის, რელიგიისა და სინდისის თავისუფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით. ამ უფლებით სარგებლობისა და დაცვის გარანტიები გათვალისწინებულია სხვა კანონებითაც.

საქართველოს კონსტიტუცია (№786, მიღებული 24/08/1995, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 24/08/1995, ბოლო ცვლილება 23/03/2018) მიღებული იყო 1995 წელს, მას შემდეგ, რაც საქართველომ მოიპოვა პოლიტიკური დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირისაგან. კონსტიტუციის მე-16 მუხლით გარანტირებულია ყველა ადამიანისთვის რწმენის, რელიგიისა და სინდისის თავისუფლება. დაუშვებელია ადამიანის დევნა რწმენის, რელიგიის ან სინდისის გამო, ასევე მისი იძულება, გამოთქვას საკუთარი შეხედულება მათ შესახებ. კონსტიტუციის აღნიშნული მუხლი ასევე ითვალისწინებს ამ უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნებს. რწმენისა და რელიგიის შეზღუდვის საფუძვლების შესახებ პუნქტში 2018 წელს ცვლილებები შევიდა.

2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებამდე რწმენის, რელიგიისა და სინდისის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია იყო, თუკი იგი არღვევდა სხვათა უფლებებს. 2017 წელს საქართველოს პარლამენტმა

კონსტიტუციაში ცვლილებების ინიცირება მოახდინა. სხვა საკითხებთან ერთად ცვლილებები შეეხო რელიგიის თავისუფლების მარეგულირებელ მუხლებსაც. პარლამენტმა, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლებს დაამატა ახალი კრიტერიუმები: “სახელმწიფო უსაფრთხოება”, “დანაშაულის თავიდან აცილება” და “მართლმსაჯულების განხორციელება”. ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიამ საკონსტიტუციო ცვლილების შესახებ გამოქვეყნებულ მეორე შეფასებაში⁴²³ ხაზგასმით აღნიშნა, რომ აღნიშნული კრიტერიუმები ვერაზივლებარელიგიისა და რწმენის თავისუფლებაში ჩარევის ლეგიტიმურ მიზნებად; რომ მოცემული საფუძვლები ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-9 (2) მუხლის გაგებით არ წარმოადგენს უფლებაში ჩარევის ლეგიტიმურ მიზნებს, კონვენციაში წარმოდგენილი ლეგიტიმური მიზნები მოითხოვს მკაცრ ინტერპრეტირებას და არ უნდა იყოს გაფართოებული სხვა, დამატებითი ცნებებით. ვენეციის კომისიამ საქართველოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზეც მიუთითა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს არ შეუძლია, რელიგიის თავისუფლება შეზღუდოს სახელმწიფო/ეროვნული უსაფრთხოების საბაბით. შედეგად, საქართველოს პარლამენტმა მოახდინა კონსტიტუციის ახალი ცვლილებების ინიცირება, რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის პრობლემური საფუძვლები (სახელმწიფო უსაფრთხოება, დანაშაულის თავიდან აცილება და მართლმსაჯულების განხორციელება) ამოღებული იქნა კონსტიტუციის ტექსტიდან. მე-16 მუხლი საბოლოო რედაქციით პარლამენტმა მიიღო 2018 წლის 23 მარტს, რომლის მიხედვითაც ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით. ცვლილებები ძალაში 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ შევა.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაზე საუბარია ასევე კონსტიტუციის მე-8 მუხლში, რომელიც აცხადებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და სახელმწიფოს დამოუკიდებლობას ერთმანეთისგან. კონსტიტუციის აღნიშნული მუხლით აღიარებულია სეკულარიზმის პრინციპი და არის სახელმწიფოსა და რელიგიის გამიჯვნის ერთადერთი და მთავარი გარანტი.

2018 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ მე-8 მუხლი იმგვარადაა ფორმულირებული, რომ რწმენის თავისუფლება და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი თანაბარ ღირებულებებად არის წარმოდგენილი⁴²⁴: რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებასთან ერთად სახელმწიფო აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში [...]. 2001 წელს საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად კონსტიტუციას დაემატა ახალი ნორმა, რომლითაც აღიარებულია მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი. მე-8 მუხლი დამატებით აცხადებს, რომ სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობები რეგულირდება კონსტიტუციური შეთანხმებით (*იხ. პარ. 76-ე*).

კონსტიტუციის მე-17 მუხლი უზრუნველყოფს აზრის თავისუფლებას – დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო. 22-ე მუხლი კი იცავს გაერთიანების თავისუფლებას, რაც მოიცავს რელიგიური ნიშნით გაერთიანებასაც.

მე-11 მუხლი აცხადებს კანონის წინაშე თანასწორობას და კრძალავს დისკრიმინაციას რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა

423. ვენეციის კომისიის მოხაზრება საქართველოს კონსტიტუციის ცვლილებებზე, პარ. 39, 2017 წლის 22 სექტემბერი [http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI\(2017\)006-e](http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2017)006-e)

424. კონსტიტუციის მანამდე არსებული რედაქციით (მუხლი 9), ცალ-ცალკე იყო აღიარებული: ა) რელიგიის სრული თავისუფლება, ბ) მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი საქართველოს ისტორიაში და მისი დამოუკიდებლობა სახელმწიფოსგან

ნიშნის მიხედვით. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავი, რომელიც იცავს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ყველა რელიგიური გაერთიანების წარმომადგენელს ანიჭებს თანაბარ უფლებებს.

რწმენისა და რელიგიის თავისუფლება გარანტირებულია სხვა ნორმატიული აქტებითაც, რომლებიც სრულად უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას და საერთაშორისო ხელშეკრულებებს. საქართველოში არ არის სპეციალური კანონი რელიგიისა და რელიგიური ორგანიზაციების შესახებ, რელიგიური გაერთიანებების უფლებები და საქმიანობა დარეგულირებულია სხვადასხვა კანონით.

რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაცია: 2005 წლამდე რელიგიურ გაერთიანებებს მოქმედი კანონმდებლობისა და სახელმწიფოს მანკიერი პრაქტიკის გამო არ ჰქონდათ რეგისტრაციის საშუალება. მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სარგებლობდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (კანონი №786, მიღებული 26/06/1997, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 24/07/1997, ბოლო ცვლილება 21/01/2018) 2005 წლის აპრილში შეტანილი ცვლილებების შემდეგ არადომინანტ რელიგიურ გაერთიანებებს მიეცათ არაკომერციულ (არასამეწარმეო) იურიდიულ პირებად (კავშირის ან ფონდის სახით) რეგისტრირების შესაძლებლობა. მოგვიანებით, 2006 წელს, გაუქმდა კავშირისა და ფონდის ცნებაც და რელიგიური გაერთიანებები პირდაპირ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფორმით რეგისტრირდებოდნენ.

ამ შესაძლებლობის მიუხედავად რელიგიური გაერთიანებების ნაწილისთვის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსით საქმიანობა მიუღებელი იყო და ისინი წლების განმავლობაში საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) სტატუსით რეგისტრაციის შესაძლებლობას ითხოვდნენ. ამ სტატუსით მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესია სარგებლობდა, რომელიც სახელმწიფომ კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე საჯარო სამართლის იურიდიულ სუბიექტად ჯერ კიდევ 2002 წელს აღიარა. რელიგიური გაერთიანებების მრავალწლიანი მოთხოვნის შედეგად 2011 წლის 5 ივლისს საქართველოს პარლამენტმა სამოქალაქო კოდექსში შეიტანა ცვლილება,⁴²⁵ რომლის მიხედვითაც მათ საშუალება მიეცათ, რეგისტრაცია გაიარონ, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა. საკანონმდებლო ცვლილება არ ზღუდავს რელიგიურ გაერთიანებებს, სურვილისამებრ დარეგისტრირდნენ კერძო სამართლის იურიდიულ პირებად ან რეგისტრაციის გარეშე იარსებონ.

იმისათვის, რომ გაერთიანებამ შეძლოს სსიპ ფორმით რეგისტრაციის გავლა, კანონის მიხედვით იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს: ჰქონდეს ისტორიული კავშირი საქართველოსთან ან ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში მიხნეული იყოს რელიგიად. რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი უწყებაა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მოქმედი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილებით რელიგიური გაერთიანებები არსებითად კერძო სამართლის კანონმდებლობით რეგულირებულ სამართლებრივ სივრცეში დარჩნენ, რადგან საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებებზე არ ვრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი⁴²⁶, ხოლო რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის მიმართ მოქმედებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციისათვის დადგენილი წესი. ამასთან მათი უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის იმ ნაწილით,⁴²⁷ რომელიც

425. სამოქალაქო კოდექსს დაემატა 1509¹ მუხლი.

426. იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509(1) მუხლის მე-5 ნაწილი.

427. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, კარი პირველი, თავი მეორე.

არაკომერციული იურიდიული პირების უფლება-მოვალეობებს აწესრიგებს.⁴²⁸ ამგვარი ნორმატიული მოწესრიგების მიზანს რელიგიური გაერთიანებებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით რეგისტრაციის შესაძლებლობის მინიჭება წარმოადგენდა, რაც არსებითად დეკლარაციულ ხასიათს ატარებს და მისი მიზანი რელიგიური ორგანიზაციების მიმართ მეტნაკლებად თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა და არა მათი საჯაროსამართლებრივი ვალდებულებებით დატვირთვა იყო. მიუხედავად ამისა, 2014 წლიდან სახელმწიფომ სხვადასხვა ნორმატიულ აქტში საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან დაკავშირებული ნორმების რელიგიურ გაერთიანებებზე გავრცელების პრაქტიკა დაამკვიდრა (იხ. 76-ე შეკითხვა).

რელიგიური ორგანიზაციებისათვის რეგისტრაციას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან საქართველოს კანონმდებლობა რეგისტრაციის ფაქტს უკავშირებს იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის წარმოშობას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 25-ე, ნაწილი მე-4); იგი თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია, სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 24-ე, ნაწილი 1-ლი).

კანონმდებლობა არ ადგენს კონკრეტულ დროსა და სივრცეს რელიგიური რიტუალების ჩასატარებლად. შესაბამისად, არ არსებობს რაიმე შეზღუდვა გარდა კონსტიტუციის მე-16 მუხლით დადგენილი შეზღუდვებისა, რომლებიც რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაში ჩარევის ლეგიტიმურ მიზნებს ადგენს. რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა (მუხლი 155-ე), ასევე ადამიანის დევნა მისი სიტყვის, ამრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის, ანდა მისი რელიგიურ მოღვაწეობის გამო (მუხლი 156-ე) დასჯადია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით (კანონი №2287, მიღებული 22/07/1999, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 13/08/1999, ბოლო ცვლილება 31/10/2018).

საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ (კანონი №1330, მიღებული 08/04/2005, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 04/05/2005, ბოლო ცვლილება 20/09/2018) რელიგიური ნეიტრალობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა საჯარო სკოლების ერთ-ერთ მთავარ პრინციპად განისაზღვრა. კანონი მიზნად ისახავს ყველა მოსწავლისათვის თანასწორობასა და სეკულარიზმზე დაფუძნებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნას. კანონით იკრძალება საჯარო სკოლებში რელიგიური სიმბოლოების არააკადემიური მიზნებით განთავსება/გამოფენა (მუხლი მე-18), ასევე, დაუშვებელია საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება (მუხლი მე-13). ეს ნორმა არ ზღუდავს საჯარო სკოლაში სახელმწიფო დღესასწაულებისა და ისტორიული თარიღების აღნიშვნას, აგრეთვე ისეთი ღონისძიების ჩატარებას, რომელიც მიმართულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისაკენ. კანონის თანახმად დაუშვებელია სკოლაში მიღებისას რაიმე სახის დისკრიმინაცია; მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს აქვთ რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება, ნებისმიერი ან არც ერთი რწმენისა თუ მსოფლმხედველობის ნებაყოფლობით არჩევის და შეცვლის უფლება; დაუშვებელია, მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს დაეკისროთ ისეთი ვალდებულებების შესრულება, რომლებიც ძირეულად ეწინააღმდეგება მათ რწმენას, აღმსარებლობას ან სინდისს, თუ ეს არ ღახავს სხვათა უფლებებს ან ხელს არ შეუშლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონის დაძლევა (მუხლი მე-18). საჯარო სკოლის მოსწავლეებს უფლება აქვთ, სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ნებაყოფლობით შეისწავლონ რელიგია ან ჩაატარონ რელიგიური რიტუალი, თუ იგი ემსახურება რელიგიური განათლების მიღებას.

428. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხ. 1509¹, ნაწ. 5.

მაგრამ, მიუხედავ იმისა, რომ კანონმდებლობით დაწესებულია რელიგიური ნეიტრალობის და რელიგიის თავისუფლების დაცვის მაღალი სტანდარტი, პრაქტიკაში რელიგიური უმცირესობებისა და სახალხო დამცველის თანახმად კანონის მოთხოვნები ხშირად ირღვევა, საჯარო სკოლებში ადგილი აქვს რელიგიური სიმბოლოების არაკადემიური მიზნებით გამოფენას, ინდოქტრინაციას და პროპაგანდის. ⁴²⁹ საქართველოს შესახებ მეოთხე ციკლის მონიტორინგის ანგარიშში ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) აღნიშნავს, რომ ზოგიერთი მასწავლებელი ავიწროებს რელიგიური უმცირესობების ჯგუფებს მიკუთვნებულ მოსწავლეებს, “მაგალითად, ისინი საუბრობენ რელიგიური უმრავლესობის სასარგებლოდ მაშინ, როცა ასწავლიან ისეთ საგანს, რომელიც კავშირში არ არის რელიგიასთან”. კვლავ არსებობს გაკვეთილების ლოცვით დაწყების პრაქტიკა, რაზეც ასევე საუბრობს სახალხო დამცველი: “მოსწავლეები, რომელთა რწმენას არსებითად ეწინააღმდეგება სხვა რელიგიის რიტუალებში მონაწილეობა, ხშირად იძულებულნი არიან, არ გაამჟღავნონ საკუთარი აღმსარებლობა და ჩაერთონ ზემოხსენებულ აქტივობებში საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ იმ მოტივით, რომ ამით უმრავლესობისგან უფრო მეტად გარიყვას და დისკრიმინაციას აირიდებენ თავიდან”. ⁴³⁰

ხშირად სასკოლო სახელმძღვანელოები სტერეოტიპების, არადომინანტი რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების, ქსენოფობიისა და შეუწყნარებლობის გავრცელების წყაროა. პრობლემაურია ასევე სკოლის მასწავლებლების კვალიფიკაცია, რომლებსაც არ აქვთ კულტურული მრავალფეროვნების მართვის სათანადო ცოდნა, ისინი ხშირად ⁴³¹გამოხატავენ უარყოფით დამოკიდებულებას კონკრეტული რელიგიური გაერთიანებების მიმართ და წარმოაჩენენ არადომინანტი რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლებს მოქალაქეებად, რომლებიც ღალატობენ ჭეშმარიტ ეროვნულ იდენტობას. ნაციონალური იდენტობის ამგვარი გაგება ეფუძნება ქართველების მონორელიგიურ და მონოეთნიკურ ჯგუფად აღქმას. ⁴³²

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენა საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებზე ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს უმცირესობას მიკუთვნებული მოსწავლეების დისკრიმინაციასა და რელიგიური ნეიტრალობის დარღვევაში. მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები ხშირად სტუმრობენ საჯარო სკოლებს და ერევან აკადემიურ პროცესში. გარდა ამისა, არის მაგალითები, როდესაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ჩაერია ახალი სასკოლო საგნების სტანდარტისა და სახელმძღვანელოების შინაარსში, რაც საბოლოოდ დასრულდა მათი შინაარსის ცვლილებით განათლების სამინისტროს მიერ მართლმადიდებელი ეკლესიის მოთხოვნების სასარგებლოდ.

429. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, “რელიგიური გაერთიანებების საჭიროებების კვლევა საქართველოში”, 2014 წ. http://tdi.ge/sites/default/files/religiuri-gaertianebebis-sachiroebebis-kvleva-sakartveloshi_0.pdf
ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, “რელიგია საჯარო სკოლებში”, 2014 წ. <https://emc.org.ge/ka/products/religia-sajaro-skolebshi>

430. იხ. საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2015, გვ. 489, <https://bit.ly/2RpOwGw>

431. ევროპული კომისია რასიზმის და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI), ანგარიში საქართველოს შესახებ (მეოთხე ციკლის მონიტორინგი, 2010 წლის 28 აპრილი) გვ. 27 <http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Country-by-country/Georgia/GEO-CbC-IV-2010-017-GEO.pdf>

432. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, “რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების ასახვა სასკოლო სახელმძღვანელოებში”, 2016 წ. http://tdi.ge/sites/default/files/saxelmzgvaneloebis_analizi_tdi_2016.pdf

75 რა ღონისძიებები გატარდა საქართველოში რელიგიური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციის წინააღმდეგ?

კონსტიტუციის მე-11 მუხლის თანახმად ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე, განურჩევლად მათი რელიგიისა. საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ნორმებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეებს, მიუხედავად მათ რელიგიური და ეთნიკური კუთვნილებისა, უფლება აქვთ, შეინარჩუნონ და განავითარონ საკუთარი კულტურა, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლონ მშობლიური ენით როგორც კერძო, ისე საჯარო სივრცეში. 23-ე მუხლის თანახმად დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური პარტიის შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.

კონსტიტუციის 31-ე მუხლით დაცულია სამართლიანი სასამართლოს უფლება. ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ერთ-ერთი უმთავრესი გარანტორია. კონსტიტუციის თანახმად ფიზიკური პირის, იურიდიული პირის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით (მუხლი 60-ე, პუნქტი მე-4ა). ორგანული კანონის მიხედვით “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” (კანონი №95, მიღების თარიღი 31/01/1996, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 27/02/1996, ბოლო ცვლილება 21/07/2018) საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეებს, სხვა ფიზიკურ პირებს და იურიდიულ პირებს, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია, უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებები და თავისუფლებები, ხოლო მოპასუხეა ის ორგანო ან თანამდებობის პირი, რომლის აქტმაც, მოსარჩელის აზრით, გამოიწვია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა (მუხლი 39-ე).

2014 წლიდან **საქართველოს საერთო სასამართლოებსაც** მიენიჭათ რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფისა და დისკრიმინაციის აკრძალვის უფლებამოსილება - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დაემატა სპეციალური მუხლი დისკრიმინაციის საქმეების სამართალწარმოების შესახებ. 363²-ე მუხლის თანახმად ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა და მოითხოვოს ა) დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტა ან/და მისი შედეგების აღმოფხვრა, ბ) მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

საქართველოს სახალხო დამცველი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე ზედამხედველობის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია. სახალხო დამცველს 5 წლის ვადით ირჩევს საქართველოს პარლამენტი სრული შემადგენლობის ხმების უმრავლესობით. საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონის მე-4 მუხლის თანახმად (კანონი №230, მიღების თარიღი 16/05/1996, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 07/06/1996, ბოლო ცვლილება 05/09/2018) საქართველოს სახალხო დამცველი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და

ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და ნორმებით, ორგანული კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

საქართველოს სახალხო დამცველი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სახელმწიფოებრივი გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით ზედამხედველობას უწევს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა, საჯარო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა მხრიდან საქართველოს ტერიტორიის ფარგლებსა და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისთვის სახელმწიფოს მიერ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვასა და პატივისცემას, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა თუ სხვა გარემოებისა. სახალხო დამცველი ავლენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებს და ხელს უწყობს დარღვეული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენას (კანონი სახალხო დამცველის შესახებ, მუხლი მე-3); სახალხო დამცველი დამოუკიდებლად ამოწმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას, ასევე მათი დარღვევის ფაქტებს როგორც მიღებული განცხადებისა და საჩივრის საფუძველზე, ისე – საკუთარი ინიციატივით (მუხლი მე-12); განიხილავს საქართველოს მოქალაქეების, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიული პირების, პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებების განცხადებებსა და საჩივრებს, რომლებიც ეხება სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საჯარო დაწესებულებებისა და თანამდებობის პირების ქმედებებს ან აქტებს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ უფლებათა და თავისუფლებათა, აგრეთვე იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებებით დადგენილ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის შესახებ, რომელთა მონაწილეც არის საქართველო (მუხლი მე-13).

ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში 2013 წელს საქართველომ სპეციალური ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღების ვალდებულება აიღო. შესაბამისად, 2014 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (კანონი №2391-III, მიღების თარიღი 02/05/2014, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 07/05/2014). კანონი ქმნის დისკრიმინაციის მსხვერპლთა დაცვის დამატებით გარანტიებს. საქართველოს სახალხო დამცველი განისაზღვრა ამ კანონის იმპლემენტაციაზე ზედამხედველ უწყებად.

გარდა ამისა, 2014 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს მთავრობის **ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014-2020** წლებისთვის. სტრატეგიის მიზნები მოიცავს რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას, ასევე თანასწორუფლებიანობის საკითხებს და უმცირესობების უფლებებს. სტრატეგიით დასახული მიზნების მისაღწევად დამტკიცებული სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2018-2020) მოიცავს რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების პრევენციასა და ეფექტიან გამოძიებას, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის თანამშრომლების გადამზადებას სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების კუთხით მათი უნარების და შესაძლებლობების გასაძლიერებლად.

ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის თანახმად საქართველოს პრემიერმინისტრის დაქვემდებარებაში მოქმედი სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო პასუხისმგებელია გეგმით გათვალისწინებული შემდეგი ღონისძიებების გატარებაზე: უთანასწორო საგადასახადო რეჟიმის აღმოფხვრა, რომლითაც საგადასახადო შეღავათები მხოლოდ ერთ რელიგიურ ორგანიზაციაზე, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე, ვრცელდება; რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის გადასინჯვა და, საჭიროების შემთხვევაში, მთავრობისთვის შესაბამისი წინადადებების წარდგენა.

მაგრამ, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს არ შეუსრულებია გემოთქმული არც ერთი ვალდებულება. სააგენტოს არ მოუმზადებია არც ერთი საკანონმდებლო ინიციატივა დისკრიმინაციული ნორმების აღმოსაფხვრელად. შესაბამისად, რელიგიურმა ორგანიზაციებმა თავად მიმართეს სარჩელით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის იმ ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა, რომლის საფუძველზეც საგადასახადო შეღავათები მხოლოდ ერთ რელიგიურ ორგანიზაციაზე, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე ვრცელდება; რელიგიურმა გაერთიანებებმა საკონსტიტუციო სასამართლოს სახელმწიფო ქონების შესახებ კანონში არსებული იმ დისკრიმინაციული ნორმების თაობაზეც მიმართეს, რომლებიც პრივილეგიებს ექსკლუზიურად მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიას ანიჭებს. საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა რელიგიური გაერთიანებების ორივე სარჩელი და საგადასახადო კოდექსისა და სახელმწიფო ქონების კანონის შესაბამისი ნორმები არაკონსტიტუციურად ცნო, კონსტიტუციის მე-14 მუხლთან (თანასწორობის უფლება) მიმართებით (დეტალურად იხ. პარ. 76-ე).

რაც შეეხება რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ვალდებულებას, განსაზღვროს სხვადასხვა რელიგიური გაერთიანების საკულტო ნაგებობების ისტორიული მესაკუთრეები, გადაჭრას ქონებრივი დავები და უზრუნველყოს ქონების გადაცემა, სააგენტომ დაამკვიდრა არადომინანტი რელიგიური ორგანიზაციებისათვის ქონების სარგებლობის და არა საკუთრების უფლებით გადაცემის პრაქტიკა. რელიგიის სააგენტო ასევე თავს არიდებს საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული იმ რელიგიური ქონების რესტიტუციის საკითხს, რომელზეც პრეტენზიას ერთზე მეტი რელიგიური ორგანიზაცია აცხადებს საქართველოში⁴³³.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი **რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო** 2014 წელს საქართველოს პრემიერმინისტრის დაქვემდებარებაში შეიქმნა. დებულების თანახმად სააგენტო საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერმინისტრისათვის ახორციელებს საინფორმაციო, კვლევით, სამეცნიერო-საგანმანათლებლო და სარეკომენდაციო საქმიანობას რელიგიის სფეროში.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შექმნა რელიგიური გაერთიანებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა გააკრიტიკა, რადგან ის ძირითად აქტორებთან კონსულტაციის გარეშე შეიქმნა, მისი მანდატი და ფუნქციები ბუნდოვანია და აღქმულია რელიგიური ორგანიზაციების კონტროლის ინსტრუმენტად. რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) ანგარიშში ნათქვამია, რომ *“ეჭვები სააგენტოს საქმიანობაზე კიდევ უფრო გაღრმავდა 2015 წლის დასაწყისში, მას შემდეგ რაც გამოქვეყნდა რელიგიური პოლიტიკის განვითარების სტრატეგია. ამ დოკუმენტის მიხედვით საქართველომ „თავიდან უნდა აირიდოს მემობელი ქვეყნების მხრიდან საქართველოს სახელმწიფოს შიდა პოლიტიკაში ჩარევა მისი მოსახლეობის ეთნიკურ-რელიგიური მრავალფეროვნების გამოყენებით. საქართველოში... პრობლემის არეალი დავიწროვდა და მართლოდენ რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დაცვას ითვალისწინებდა მაშინ, როცა ამავდროულად აუცილებლად უნდა მოიცავდეს ქვეყნის საშინაო*

433. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, ადამიანის უფლებების დაცვის 2016-2017 წლების სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ანგარიში, 2018 <https://emc.org.ge/ka/products/religiuri-umtsiresobebis-datsva-adamianis-uflebata-datsvis-strategiebisa-da-samokmedo-gegmebis-shesrulebis-monitoringis-angarishi>

და საგარეო უსაფრთხოების დისკურსს”. ბევრი დამკვირვებელი აღნიშნავს, რომ რელიგიური თავისუფლებისა და რელიგიურ უმცირესობათა უფლებების სახელმწიფო უშიშროების პერსპექტივაში განხილვა საზიანოა უფლებათა დაცვის, დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის პრევენციის თვალსაზრისით. მას თან ახლავს თვითაღსრულებად წინასწარმეტყველებად ქცევის რისკი, ვინაიდან შესაძლოა, შედეგად უმცირესობათა მარგინალიზაცია გამოიწვიოს მათი სახელმწიფოს მიმართ რწმენისა და იდენტიფიცირების თანდათანობითი მოსპობით”.⁴³⁴

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსადმი ასევე არსებობს კრიტიკა, რომ მას აქვს შერჩევით მიდგომა რელიგიური ორგანიზაციებისადმი და არ თანამშრომლობს საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან. სააგენტოს პოლიტიკა დისკრიმინაციულია რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების საკითხშიც (იხ. პარაგრაფი 76-ე).

საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭო 2005 წელს დაფუძნდა რელიგიურ გაერთიანებებსა და სახალხო დამცველს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე. დღეისათვის საბჭო 32 რელიგიურ ორგანიზაციას აერთიანებს. საბჭოს ყველა წევრი თანაბარი უფლებებით სარგებლობს. რელიგიათა საბჭოს საქმიანობას კოორდინირებას უწევს ტოლერანტობის ცენტრი. 2017 წლის მაისში საბჭომ გამოაქვეყნა რეკომენდაციები, რომლის ადრესატები არიან სახელმწიფო უწყებები და მედია. დოკუმენტში ასახულია რელიგიური უმცირესობების წინაშე არსებული ძირითადი სისტემური პრობლემები და წარმოდგენილია შესაბამისი რეკომენდაციები.⁴³⁵ დასახელებულ პრობლემებს შორისაა: კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციული ნორმების აღმოფხვრა, რელიგიური შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულები და არაეფექტური გამოძიება, არადომინანტი რელიგიური ჯგუფების მიმართ არსებული უთანასწორობა, ახალი საკულტო ნაგებობების მშენებლობისათვის ნებართვის გაცემის დისკრიმინაციული პრაქტიკა, ისტორიული ნაგებობებისა და საბჭოთა რეჟიმის მიერ ჩამორთმეული ქონების რესტიტუცია, საჯარო სკოლებში რელიგიური ნეიტრალობის დაცვისა და დისკრიმინაციის პრობლემა, სიძულვილის ენა და მედიის როლი და სხვ.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს არ გადაუდგამს არანაირი ნაბიჯი რელიგიათა საბჭოსთან და სახალხო დამცველთან თანამშრომლობის მიზნით. რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია (ECRI) ხაზს უსვამს რელიგიათა საბჭოს მნიშვნელობას და რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს ხელისუფლებას: “ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გაზარდოს თავისი მხარდაჭერა რელიგიათა საბჭოს მიმართ, რომელიც სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის ეგიდით საქმიანობს. კერძოდ, ხელისუფლებამ უნდა დაავალოს ახალშექმნილ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს, რომ ითანამშრომლოს რელიგიათა საბჭოსთან და გამოიყენოს მისი გამოცდილება და რეკომენდაციები რელიგიური შეუწყნარებლობის პრობლემის მოსაგვარებლად”.⁴³⁶

434. ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, მეხუთე ციკლის მონიტორინგის ანგარიში საქართველოს შესახებ, პარ. 99. გამოქვეყნების თარიღი: 2016 წლის 1 მარტი <https://rm.coe.int/fourth-report-on-georgia-georgian-translation-/16808b5775>

435. რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციები, 2017 წ. http://tolerantoba.ge/failebi/qartuli_broshura_saxalxo_damcveli_87902.pdf

436. ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, მეხუთე ციკლის მონიტორინგის ანგარიში საქართველოს შესახებ, პარ. 103. გამოქვეყნების თარიღი: 2016 წლის 1 მარტი <https://rm.coe.int/fourth-report-on-georgia-georgian-translation-/16808b5775>

2018 წლის 12 იანვარს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტი. დეპარტამენტის მთავარი ამოცანებია კომპეტენციის ფარგლებში ოჯახური დანაშაულის, ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის, ტრეფიკინგის, არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე დროული რეაგირებისა და მიმდინარე გამოძიების ეფექტიანობის უზრუნველყოფა. მასვე ევალება ადამიანის უფლებათა დამცველ სახელმწიფო ორგანოებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის შექმნა დადებითად შეფასდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ. **მაგრამ**, დეპარტამენტის მანდატი არ პასუხობს სრულად რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) რეკომენდაციას, რადგან რეკომენდაცია გულისხმობდა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე საგამოძიებო მანდატის მქონე ერთეულის შექმნას. დეპარტამენტს კი საგამოძიებო მანდატი არ აქვს. იგი უფლებამოსილია, მონიტორინგი გაუწიოს გამოძიებას (მათ შორის, დისკრიმინაციული საფუძვლით ჩადენილ დანაშაულებზე), მოახდინოს გამოძიებისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების განხორციელების პროცესში დაშვებული ხარვეზების იდენტიფიცირება და შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგინოს შესაბამისი რეკომენდაციები. თუმცა, ბუნდოვანია, რა მექანიზმებს გამოიყენებს დეპარტამენტი ხარვეზების იდენტიფიცირებისათვის, როდის და რა ფორმით ჩაერთვება პროცესში. გარდა ამისა, პრობლემურია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების პრევენციისა და მსხვერპლზე ორიენტირებული პრევენციული და სარეაბილიტაციო პოლიტიკის არარსებობა, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებში მუშაობის სპეციალური მიდგომებისა და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების ნაკლებობა. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მანდატი და ფუნქციები შესაძლოა, არ აღმოჩნდეს საკმარისი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების არაეფექტურობის გადასაჭრელად.

საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს და ამავდროულად ადგენს ამ უფლებების დაცვის გარანტიებს. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნორმები, რომლებიც აწესებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებს ამ უფლებების დასაცავად. **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი** (კანონი №2287, მიღების თარიღი 22/07/1999, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 13/08/1999, ბოლო ცვლილება 31/10/2018) ადგენს მნიშვნელოვან გარანტიებს ადამიანთა თანასწორუფლებიანობის უზრუნველსაყოფად. კოდექსის 142-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადამიანების თანასწორუფლებიანობის დარღვევისათვის ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით.

სსკ-ის 155-ე მუხლით დანაშაულია ღვთისმსახურების ან სხვა რელიგიური წესისა თუ ჩვეულების აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ანდა თუ მას ახლდა მორწმუნის ან ღვთისმსახურის რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა და ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

სსკ-ის 156-ე მუხლი ადგენს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას სიტყვის, აზრის, სინდისის,

ადმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით ადამიანის დევნის გამო; სასჯელად კი გათვალისწინებულია ჯარიმა ან შინაპატიმრობა ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე.

2012 წელს ცვლილებები შევიდა სისხლის სამართლის კოდექსში და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით დაემატა სპეციალური მუხლი – შეუწყნარებლობა, როგორც დანაშაულის მოტივი, ყველა ტიპის დანაშაულის დამამძიმებელი გარემოება გახდა (მუხლი 53-ე).

შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში ადამიანებს რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციისაგან იცავს კანონი. **საქართველოს შრომის კოდექსის** მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად (კანონი №4113-რს, მიღების თარიღი 17/12/2010, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 27/12/2010, ბოლო ცვლილება: 05/09/2018) შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით. კანონის თანახმად, დისკრიმინაციად მიიჩნევა პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.

სამოქალაქო კოდექსის 1153-ე მუხლის თანახმად დაქორწინებისას და საოჯახო ურთიერთობებში არ დაიშვება უფლებათა პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, პირდაპირი ან არაპირდაპირი უპირატესობის მინიჭება წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებათა მიხედვით.

პაციენტთა უფლებების შესახებ კანონის მე-6 მუხლის მიხედვით (კანონი №283, მიღების თარიღი 05/05/2000, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 25/05/2000, ბოლო ცვლილება 05/07/2018) პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, გენეტიკური მემკვიდრეობის, რწმენისა და ადმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი განწყობის გამო აკრძალულია.

კანონი მაუწყებლობის შესახებ (კანონი №780, მიღების თარიღი 23/12/2004, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 18/01/2005, ბოლო ცვლილება 20/09/2018) კრძალავს ისეთი პროგრამების გადაცემას, რომლებიც რაიმე ფორმით რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისკენ წაქეზების ამკარა და პირდაპირ საფრთხეს ქმნის; ასევე, იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეურაცხყოფისაგან, დისკრიმინაციისა ან ამ თვისებისა თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისაგან გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე და მიზნად ისახავს არსებული შუღლის ილუსტრირებას (მუხლი 56-ე).

76 როგორია რელიგიური გაერთიანებების კონსტიტუციური სტატუსი თქვენს ქვეყანაში? არსებობს თუ არა სახელმწიფო რელიგია? არსებობს თუ არა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის საკანონმდებლო ჩარჩო? არსებობს შემთხვევაში გთხოვთ, წარმოადგინოთ დეტალები.

საქართველოს კონსტიტუცია, ერთი მხრივ, აღიარებს რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას და, მეორე მხრივ, ხაზს უსვამს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის “განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში.”

კონსტიტუციის მე-8 მუხლის თანახმად რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან ერთად სახელმწიფო აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით, რომელიც სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში. 2018 წლის კონსტიტუციურ ცვლილებებამდე ეს მუხლი ორ ნაწილად იყოფოდა. ის ცალ-ცალკე აღიარებდა: ა. რელიგიის თავისუფლებას; ბ. მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან. პირველი ნაწილი უზრუნველყოფდა რელიგიისა და რწმენის აბსოლუტურ თავისუფლებას. მეორე ნაწილი კი სრულდებოდა საქართველოს ისტორიაში მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლის აღიარებითა და სახელმწიფოსგან ეკლესიის დამოუკიდებლობის გაცხადებით. საკონსტიტუციო ცვლილებების შემდგომ ნორმის სტრუქტურა შეიცვალა.

მეორე სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც აწესრიგებს ურთიერთობას საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, არის კონსტიტუციური შეთანხმება, რომელიც 2002 წლის 14 ოქტომბერს დაიდო. ის მნიშვნელოვან პრივილეგიებს ანიჭებს ეკლესიას.

უშუალოდ კონსტიტუციური შეთანხმების ტექსტი არ არის დისკრიმინაციული, რამდენად ეს არის შეთანხმება, დადებული ორ მხარეს შორის და არ შეიცავს სხვა რელიგიური ორგანიზაციებისთვის იმავე უფლებების აკრძალვის შესახებ დებულებებს. თუმცა, სახელმწიფომ მსგავსი შეთანხმება არ დადო სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან, ასევე, კონსტიტუციური შეთანხმებიდან გამომდინარეობს სხვადასხვა კანონით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გათვალისწინებული არაერთი პრივილეგია. მაშასადამე, სახელმწიფოს მიდგომა რელიგიური ორგანიზაციების მიმართ შეიძლება, შეფასდეს, როგორც შერჩევითი და დისკრიმინაციული. უფრო მეტიც, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და სახელმწიფო ხშირად კონსტიტუციური შეთანხმებითა და ეკლესიის ისტორიული როლით ამართლებს ხოლმე მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მინიჭებულ პრივილეგიებს.

ამ მხრივ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2018 წელს ძალზე მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა: “ეკლესიის განსაკუთრებული როლის აღიარება დაკავშირებულია მის ისტორიულ წვლილთან და არ ემსახურება იმ მიზანს, რომ შექმნას პრივილეგირებული სამართლებრივი პირობები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ამჟამინდელ დროს. ისტორიული როლი არ უნდა მივიჩნიოთ პრივილეგიების ლეგიტიმაციის წყაროდ.

განსხვავებული და უპირატესი სამართლებრივი მდგომარეობის მინიჭება არ უნდა იყოს კონსტიტუციის მიზანი [...] გარკვეული უფლებების მინიჭება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის არ გულისხმობს სხვა რელიგიური ორგანიზაციებისათვის იმავე უფლებებით სარგებლობაში დაბრკოლებების შექმნას”.

კონსტიტუციური შეთანხმება განსაზღვრავს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლებრივ სტატუსს – ის გამოცხადდა ისტორიულად ფორმირებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირად (სსიპ). რელიგიური ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა, მათ შორის, დომინანტი რელიგიური ორგანიზაციისა, არის რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით დაცული რელიგიური ორგანიზაციების ავტონომიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტია. თუმცა, კონსტიტუციური შეთანხმების დადების დროს ეს იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ პრეფერენციული დამოკიდებულების მაგალითი, რომელიც მას ანიჭებდა გამორჩეულ უპირატესობასა და პრივილეგიას სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან შედარებით. თუკი სხვა რელიგიური ორგანიზაციები გააცხადებდნენ საკუთარ რელიგიურ მიზნებს, მათ არ ეძლეოდათ არათუ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, არამედ არანაირი ფორმით რეგისტრაციის შესაძლებლობა.

კონსტიტუციური შეთანხმების მე-3 მუხლი აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას.

კონსტიტუციური შეთანხმების მე-4 მუხლის შესაბამისად “სასულიერო პირი,” რომელიც განმარტებულია, როგორც მართლმადიდებელ ეკლესიაში კანონიკური წესით ხელდასმული (ნაკურთხი) პიროვნება, გათავისუფლებულია სამხედრო ვალდებულებისაგან. საგულისხმოა, რომ სასულიერო პირის გათავისუფლება არ უკავშირდება კეთილსინდისიერ წინააღმდეგობას, რამდენადაც მართლმადიდებელ ეკლესიას არ აქვს რაიმე სწავლება სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ. რელიგია თავისთავად არ მოითხოვს მიმდევრების ან სასულიერო პირებისაგან სამხედრო სამსახურზე უარის თქმას.

კონსტიტუციური შეთანხმების მე-5 მუხლის მიხედვით მართლმადიდებელ ეკლესიას მინიჭებული აქვს მნიშვნელოვანი პრივილეგიები საჯარო განათლების სფეროში: მართლმადიდებლური ქრისტიანობის ნებაყოფლობითი სწავლება საგანმანათლებლო დაწესებულებებში, დიპლომების აღიარება, ეკლესიის სასწავლო დაწესებულებების მიერ სამეცნიერო ხარისხების და წოდებების გაცემა, ერთობლივი პროგრამების განხორციელება და სახელმწიფოს მიერ ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერა.

შეთანხმების თანახმად საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მინიჭებული აქვს საგადასახადო შეღავათები. მე-6 მუხლის შესაბამისად საღვთისმსახურო პროდუქცია, მისი დამზადება, შემოტანა, მიწოდება და შემოწირულობა, ასევე არაეკონომიკური მიზნით არსებული ქონება და მიწა გათავისუფლებულია გადასახადებისაგან.

ამრიგად, მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ არაეკონომიკური მიზნით გამოყენებულისაკუთრება და მიწა, საღვთისმსახურო პროდუქცია და მისი მიწოდება არ უნდა დაიბეგროს. დომინანტი რელიგიური ორგანიზაციის გათავისუფლება გადასახადისგან ამ კონკრეტულ დებულებაში ავტომატურად არ ქმნის დისკრიმინაციულ გარემოს სხვა რელიგიური ორგანიზაციებისთვის. თუმცა, პრობლემა არის, გადასახადისგან ანალოგიურად თავისუფლებიან თუ არა და რამდენად ანიჭებს საქართველოს კანონმდებლობა იმავე ტიპის შეღავათებს სხვა რელიგიურ ორგანიზაციებსაც.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის მიხედვით (№3591, მიღებული 17/09/2010, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 10/12/2010, ბოლო ცვლილება 31/10/2018) საქართველოს საპატრიარქოს მიერ რელიგიური დანიშნულებით გამოყენებული ჯვრების, სანთლების, ხატების, წიგნებისა და კალენდრების რეალიზაციით მიღებული მოგება თავისუფლდება მოგების გადასახადისგან. კოდექსის 168-ე მუხლის მიხედვით კი ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან გათავისუფლებულია საქართველოს საპატრიარქოს მიერ ჯვრის, სანთლის, ხატის, წიგნის, კალენდრისა და სხვა საღვთისმსახურო საგნების მიწოდება, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ რელიგიური მიზნით. მეტიც, 168-ე მუხლი ადგენს, რომ საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, რესტავრაცია და მოხატვა ასევე გათავისუფლებულია ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან. ამ მუხლის მიხედვით, თუკი საპატრიარქო კონკრეტულ კომპანიას დაუკვეთავს ზემოხსენებული მოქმედებების შესრულებას რელიგიური დანიშნულების უძრავ ქონებაზე, ეს კომპანია არ გადაიხდის დღგ-ს. თუმცა, თუ იმავე სახის დაკვეთას გააკეთებს სხვა რელიგიური ორგანიზაცია, იგივე კომპანია ვალდებული იქნება, გადაიხადოს დღგ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპატრიარქოს ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, რესტავრაცია და მოხატვა შესაძლოა, დაუჯდეს 18%-ით იაფი. რაც შეეხება მიწაზე ქონების გადასახადს, საქართველოს საგადასახადო კოდექსი არ უზრუნველყოფს დაბეგვრის განსხვავებულ რეჟიმს და არ ათავისუფლებს რელიგიურ ორგანიზაციებს მისი გადახდისგან. საგადასახადო კოდექსი არავითარ გამონაკლისს არ შეიცავს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის. მაგრამ კონსტიტუციური შეთანხმება აქ განსხვავებას ქმნის, რამდენადაც ის ცხადად ამბობს: “მიწა.. ეკლესიისა გათავისუფლებულია გადასახადებისგან” (მუხლი მე-6). ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო კოდექსით არ არის გათვალისწინებული მართლმადიდებელი ეკლესიისთვის საგადასახადო შეღავათები მიწის გადასახადზე, შეღავათი უზრუნველყოფილია უპირატესი სამართლებრივი აქტით – კონსტიტუციური შეთანხმებით. შესაბამისად, მართლმადიდებელი ეკლესია სარგებლობს მნიშვნელოვანი ფინანსური უპირატესობით სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან შედარებით, რომლებიც იხდიან მიწაზე ქონების გადასახადს.

2015 წლის ოქტომბერში 8 რელიგიურმა ორგანიზაციამ კონსტიტუციური სარჩელით (№671) მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. მოსარჩელებმა მოითხოვეს იმ საკანონმდებლო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა, რომლებიც დამატებული ღირებულების გადასახადს, მოგების გადასახადსა და ქონების გადასახადს ყველა რელიგიურ ორგანიზაციას აკისრებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა.

2018 წელს სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლი (ნაწილი მე-2, პუნქტი “ბ”), რომლის თანახმადაც საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, რესტავრაცია და მოხატვა გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისგან.⁴³⁷

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ გასაჩივრებული ნორმების საინტერესო განმარტებები გააკეთა დასაშვებობის ეტაპზე. კერძოდ, სასარჩელო მოთხოვნის ნაწილზე, რომლებიც სასამართლომ არსებითად განსახილველად არ მიიღო წარმოებაში, სასამართლომ აღნიშნა, რომ საგადასახადო კოდექსის მითითებული ნორმები (დამატებული ღირებულების და მოგების გადასახადი) უნდა განიმარტებოდეს იმგვარად, რომ იგივე უფლებები მინიჭებული აქვს სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს ისევე, როგორც საქართველოს საპატრიარქოს, რამდენადაც რელიგიური საქმიანობის მომწესრიგებელი ზოგადი ნორმები იძლევა ამგვარი განმარტების გაკეთების საშუალებას. ამდენად, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა და საერთო სასამართლოებმა გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა გაითვალისწინონ

437. საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა რელიგიური ორგანიზაციების ორი სარჩელი. <http://tdi.ge/ge/news/600-sakonstitucio-sasamartlom-reliqiuiri-gaertianebebis-ori-sarcheli-daakmagopila>

საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტება და ყველა რელიგიურ ორგანიზაციას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, ისარგებლოს ხსენებული საგადასახადო შეღავათებით.

სახელმწიფო საკუთრების შესახებ საქართველოს კანონის (№3512, მიღებული 21/07/2010, გამოქვეყნებული: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 09/02/2010, ბოლო ცვლილება 20/07/2018) სამართლებრივი დებულება აგრეთვე უზრუნველყოფს ექსკლუზიურად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის პრივილეგიას, უსასყიდლოდ მიიღოს სახელმწიფო საკუთრება.

2016 წელს ხუთმა რელიგიურმა ორგანიზაციამ მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით (№811). კერძოდ, სასარჩელო მოთხოვნა ეჭვქვეშ აყენებდა სახელმწიფო საკუთრების შესახებ საქართველოს კანონის ნორმის კონსტიტუციურობას, რომელზე დაყრდნობითაც, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად (სსიპ) რეგისტრირებულ რელიგიურ ორგანიზაციებს (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა) არ აქვთ შესაძლებლობა, შეიძინონ სახელმწიფო საკუთრება. აგრეთვე, რეგულაცია მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის იძლევა სახელმწიფო საკუთრების უსასყიდლოდ გადაცემის შესაძლებლობას.

2018 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონის ნორმა, რომელიც ექსკლუზიურად საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ანიჭებს პრივილეგიას, უსასყიდლოდ მიიღოს სახელმწიფო საკუთრება (მუხლი მე-6 (3), პუნქტი 1-ლი).⁴³⁸

ორივე გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ დისკრიმინაცია აღმოიფხვრებოდა განხილული პრივილეგიების სრულად გაუქმებით ისევე, როგორც სხვა რელიგიურ ორგანიზაციებზე მათი თანაბრად გავრცელებით. სასამართლოს თანახმად არაკონსტიტუციური მუხლები ძალადაკარგულად გამოცხადდება 2018 წლის 31 დეკემბრიდან.

კონსტიტუციური შეთანხმების მე-11 მუხლის მიხედვით სახელმწიფო ადასტურებს XIX-XX საუკუნეებში (განსაკუთრებით, 1921-90 წლებში), სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს. როგორც ჩამორთმეული ქონების ნაწილის ფაქტობრივი მფლობელი, იღებს ვალდებულებას მატერიალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე. კონსტიტუციური შეთანხმების დადების შემდგომ სახელმწიფომ დაიწყო საქართველოს საპატრიარქოს ყოველწლიური ფინანსური სუბსიდირება. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იღებს 30 მილიონამდე ლარს (დაახლ. 9.6 მილიონი ევრო) სახელმწიფო ბიუჯეტიდან და განუსაზღვრელ უძრავ და მოძრავ ქონებას.⁴³⁹ ცენტრალური საბიუჯეტო ტრანსფერების გარდა წლების განმავლობაში საქართველოს საპატრიარქოს გადაეცემა სხვადასხვა სახის მატერიალური სიკეთე საქართველოს პრემიერის სარეზერვო ფონდისა და საქართველოს მთავრობისგან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისგან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისგან, ასევე პრემიერისა და მთავრობის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით.

რაც შეეხება საბჭოთა ვაჭირის მიერ ეკლესიების, მიწებისა და მოძრავი ქონების ჩამორთმევით გამოწვეული ზიანის მეორე ნაწილს, კონსტიტუციურ შეთანხმებაში მართლმადიდებელი ეკლესიისათვის მნიშვნელოვანი გარანტიაა გადმოცემული ასევე ამ მხრივ (მუხლი მე-7): “სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინი განლაგებული.”

438. საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა რელიგიური ორგანიზაციების ორი სარჩელი. <http://tdi.ge/ge/news/600-sakonstitucio-sasamartlom-reliquri-gaertianebebis-ori-sarcheli-daakmaqopila>

439. რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების სახელმწიფო პოლიტიკა და პრაქტიკა. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) 2016. <http://tdi.ge/sites/default/files/reliquri-organizaciebis-saxelmcpo-dapinansebis-politika-2014-2015.pdf>

თუმცა, კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის დაფინანსების არსებული პრაქტიკის გამართლება დაუსაბუთებელია. კონსტიტუციური შეთანხმების მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ამბობს, იმისათვის, რომ შეფასდეს მიყენებული ზიანის კომპენსაციის საკითხი, ისევე, როგორც ფორმა, ოდენობა, ვადები, ქონების ან მიწის გადაცემის და სხვა დეტალების დასადგენად უნდა შეიქმნას კომისია. კომისიამ უნდა მოამზადოს შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტები. კომისია, რომელსაც უნდა დაედგინა ეკლესიისათვის მისაცემი კომპენსაციის ოდენობა, ფორმა, ვადები და სხვა წესები, რეალობაში არასოდეს ამუშავებულა.

მაგალითად, 2003 წლის 7 იანვარს №1 ბრძანებულებით განისაზღვრა „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა უზრუნველყოფ კომისიათა“ შემადგენლობები. სულ შეიქმნა ხუთი კომისია, მათ შორის, ეკლესიისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის ნაწილობრივი კომპენსაციის საკითხთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ კომისიას ორ თვეში ერთხელ უნდა წარედგინა პრეზიდენტისთვის შესაბამისი კომისიის დებულება, ამგვარი დებულებები არ მომზადებულა. კომისიის სხდომების ოქმების შესახებ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ინფორმაცია დაცული არ არის.

პრეზიდენტის ბრძანებულება გაუქმდა 2012 წლის 21 თებერვალს. სანაცვლოდ, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის №63 დადგენილებით შეიქმნა საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხების განმხილველი სამთავრობო კომისია⁴⁴⁰. რვა სამუშაო ჯგუფს შორის ერთ-ერთს უნდა ემუშავა XIX-XX საუკუნეებში ეკლესიისთვის მიყენებული ზიანის დადგენაზე. თუმცა აღნიშნულ ჯგუფს რეალურად არ უფუნქციონირია და არც რაიმე გადაწყვეტილება მიუღია, რომელიც მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების სამართლებრივი საფუძველი გახდებოდა.

შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ საბიუჯეტო სახსრებიდან ეკლესიის პირდაპირი დაფინანსების პრაქტიკა კომპენსაციის ფორმას არ წარმოადგენს, რადგან მიყენებული ზიანი არ დაანგარიშებულა და ყოველწლიურად მატერიალური სიკეთის გადაცემა სამართლებრივი საფუძვლის დამდგენი ნორმატიული აქტების მიღების გარეშე დაიწყო.

XX საუკუნეში საბჭოთა კავშირის პერიოდში რელიგიურ გაერთიანებებს ჩამოერთვათ საკულტო ნაგებობები და ყველა ტიპის ქონება. 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ შეძლო ქონების რესტიტუცია, სხვა კონფესიებს კი ჩამორთმეული ქონების დიდი ნაწილი არ დაუბრუნდა. სომეხთა სამოციქულო, კათოლიკე, ევანგელურ-ლუთერული ეკლესიები, მუსლიმი და იუდეური თემი დღემდე ვერ ახერხებენ დაიბრუნონ საკუთარი ისტორიული ქონება. ამ ქონების უმეტესი ნაწილი – საკულტო ნაგებობები – სახელმწიფოს საკუთრებაშია, მაგრამ ნაწილი სახელმწიფომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას გადასცა საკუთრებაში.

2014 წლის 27 იანვრის №117-ე დადგენილების საფუძველზე სახელმწიფომ დაიწყო ოთხი რელიგიური გაერთიანების (ისლამური, იუდეური, რომაულ-კათოლიკური და სომხური სამოციქულო აღმსარებლობის

440. 2012 წლის 21 თებერვლის №63 დადგენილება ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1593397>.

მქონე რელიგიური გაერთიანებების) დაფინანსება საბჭოთა პერიოდში მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით.⁴⁴¹

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ რელიგიური გაერთიანებებისთვის ფინანსური დახმარების გაწევა რეგულირებულია, ერთი მხრივ, მთავრობის დადგენილებით, რომლის მე-2 მუხლის I პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად მთავრობა „აცხადებს მზადყოფნას“, რელიგიურ გაერთიანებებს ნაწილობრივ აუნაზღაუროს საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანი, ხოლო ამავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად აღნიშნული ზიანის ოდენობის დაუდგენლობის გამო ანაზღაურება განხორციელდება „სიმბოლურად“. იმავე მსჯელობას ვხვდებით სააგენტოს მიერ რელიგიურ გაერთიანებებთან დადებულ ხელშეკრულებებში, სადაც ფულადი რესურსების გადაცემის მიზნად დასახელებულია საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივი და სიმბოლური კომპენსაცია.

ისევე, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შემთხვევაში, ოთხი რელიგიური გაერთიანების დაფინანსების პრაქტიკა პირდაპირი დაფინანსების მოდელში ექცევა. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ დაადგინა კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც გაუნაწილდებოდა არსებული რესურსი რელიგიურ გაერთიანებებზე. სააგენტოს მიერ დადგენილი კრიტერიუმები ეყრდნობა სამ მონაცემს: მრევლის, სასულიერო პირებისა და საკულტო-რელიგიური შენობა-ნაგებობების რაოდენობას.

აღნიშნული კრიტერიუმების დაკავშირება საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებულ ზიანთან შეუძლებელია, რადგან არც ერთი მათგანი ითვალისწინებს მიყენებული ზიანის მოცულობას ან/და მისი დადგენის მექანიზმებს. მაგალითად, რელიგიური გაერთიანება, რომელიც ყველაზე მეტად იყო რეპრესირებული, შეიძლება, ამაჟამად ყველაზე ნაკლებ საკულტო შენობა-ნაგებობას ფლობდეს. იგივე შეიძლება, ითქვას სასულიერო პირებისა და მრევლის რაოდენობაზე. შესაბამისად, შესარჩევი კრიტერიუმები არარელევანტურია ფინანსური რესურსის გადაცემის მიზანთან და, ზიანის კომპენსაციის ნაცვლად, კონფესიების სუბსიდირების წესს განსაზღვრავს. საბჭოთა რეპრესიების დროს ზიანი მიადგა გაცილებით მეტ რელიგიურ გაერთიანებას. მხოლოდ ოთხი რელიგიური ორგანიზაციის აღიარება დაზარალებულად ავლენს სახელმწიფოს დიფერენცირებულ და დისკრიმინაციულ მიდგომას.

გარდა ამისა, იმისთვის, რომ შერჩეული დენომინაციების წარმომადგენელმა რელიგიურმა ორგანიზაციებმა მიიღონ საბიუჯეტო რესურსები, რამდენიმე წინაპირობა უნდა დააკმაყოფილონ. დადგენილების მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ამ დადგენილების მიღებამდე საჯარო სამართლის იურიდიულ პირად რეგისტრირებულ რელიგიურ ორგანიზაციებზე. გაურკვეველია, თუ რატომ ენიჭება პრივილეგია სსიპ სტატუსის მქონე რელიგიურ გაერთიანებებს, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად რეგისტრირებული ან არარეგისტრირებული რელიგიური გაერთიანებები კი იმავე შესაძლებლობას მოკლებული არიან.

441. 2014 წელს აღნიშნული გაერთიანებებისთვის გადაცემული თანხა მთლიანობაში 1,750,000 ლარით განისაზღვრა. მუსლიმი თემისთვის გადარიცხული თანხა შეადგენდა 1,100,000 ლარს, იუდეური თემისთვის _ 150,000 ლარს, რომაულ-კათოლიკური თემისთვის _ 200,000 ლარს, ხოლო სომეხთა სამოციქულო ქრისტიანული თემისთვის _ 300,000 ლარს. 2015 წლის დადგენილებით, რელიგიური ორგანიზაციებისთვის გამოიყო 3,500,000 ლარი და შემდგენიარად გადანაწილდა: საქართველოს ისლამური თემი _ 2,200,000 ლარი, საქართველოს სომეხთა სამოციქულო ქრისტიანული თემი _ 600,000 ლარი; საქართველოს რომაულ-კათოლიკეთა ქრისტიანული თემი _ 400,000 ლარი; საქართველოს იუდეური თემი _ 300,000 ლარი⁴⁶. 2016 წელს ოთხი რელიგიური გაერთიანების დაფინანსება განსაზღვრული იყო 4,5 მილიონი ლარით, აქედან, სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველომ მიიღო 2,750,000 ლარი, კათოლიკეებმა _ 550 000 ლარი, სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელმა ეკლესიამ _ 800,000 ლარი, ხოლო ებრაულმა თემმა _ 400,000 ლარი. 2017 წელს წინა წელთან შედარებით, ოთხი რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსების მაჩვენებელმა იკლო და 3,500,000 ლარი შეადგინა.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო რელიგიურ ორგანიზაციებთან საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურების შესახებ ხელშეკრულებებს აფორმებს, რომლის თანახმადაც რელიგიურ გაერთიანებებს ეკისრებათ ვალდებულება, მათთვის კომპენსაციის სახით გადაცემული თანხები სააგენტოს მიერ წინასწარ დადგენილი მიზნობრივობით დახარჯონ. ხელშეკრულების დადებიდან ერთი თვის ვადაში რელიგიური გაერთიანებები ვალდებულნი არიან, სააგენტოს ჩააბარონ ანგარიში, თუ რა მიზნობრივობით გამოიყენებენ თანხას, წარუდგინონ თანხის ხარჯვის შუალედური და საბოლოო ანგარიში. სააგენტოს ასევე შეუძლია, ანგარიშების აუდიტორული შემოწმება ჩაატაროს. შედარებისთვის, მართლმადიდებელ ეკლესიას არ ეკისრება სახელმწიფოს წინაშე ანგარიშვალდებულება ყოველწლიურად მიღებულ დაფინანსებაზე. როგორც შესაბამისი საჯარო ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, მართლმადიდებელი ეკლესიისათვის გადაცემული თანხის დიდი ნაწილი იხარჯება როგორც რელიგიური სასწავლებლებისა და ეკლესიების ფუნქციონირებისათვის, ისე - ძვირფასი ფუფუნების საგნების შესაძენად.⁴⁴²

რაც შეეხება საკანონმდებლო ბაზას კეთილსინდისიერი წინააღმდეგობასთან დაკავშირებით, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს წინააღმდეგობას სამხედრო სამსახურის მიმართ რელიგიისა და რწმენის გამო (დეტალურად, იხ. პარ. 77-ე).

77 არსებობს თუ არა საკანონმდებლობაზე სამხედრო სამსახურის მიმართ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობასთან დაკავშირებით? დადებითი პასუხის შემთხვევაში წარმოადგინეთ დეტალები.

დღეს საქართველოში მათ, ვისაც აქვთ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა სამხედრო სამსახურის მიმართ, სამხედრო სამსახურისა და სამხედრო ვალდებულების შესახებ კანონის თანახმად შეუძლიათ, ისარგებლონ ალტერნატიული სამსახურით.

2011 წლამდე სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ კანონი (№4196, ძალადაკარგულად გამოცხადების თარიღი 01/06/2018) ავალდებულებდა საქართველოს ყველა მოქალაქეს, გაეწეო სამხედრო სარეზერვო სამსახური და არ უშვებდა გამონაკლისს მათთვის, ვისაც ჰქონდა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა. მაგალითად, იეჰოვას მოწმეებს არ ეძლეოდათ შესაძლებლობა, მოეთხოვათ ალტერნატიული სამსახურის გავლა.

2011 წელს საქმეში საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ კანონის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი კონსტიტუციის მე-14 მუხლთან (თანასწორობის უფლება) მიმართებით. აღნიშნული მუხლი კანონით განსაზღვრული წესით სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლას საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ავალდებულებდა. შესაბამისად, კანონმდებლობა აიძულებდა პირებს, ვისაც ჰქონდათ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა, ემოქმედათ საკუთარი რწმენის წინააღმდეგ. მათ ჰქონდათ შემდეგი არჩევანი: გაეწეოთ სავალდებულო სამხედრო სარეზერვო სამსახური საკუთარი რწმენის წინააღმდეგ ემოქმედათ საკუთარი რწმენის შესაბამისად, მაგრამ ამ შემთხვევაში დაეკისროდათ კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. სარეზერვო სამხედრო სამსახურისათვის თავი არიდება, მათ შორის, რწმენის გამო, ითვალისწინებდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილ პასუხისმგებლობას, პატიმრობას ან ჯარიმას.

442. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. კვლევა „რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების პოლიტიკა, 2014–2015 წლების პრაქტიკის ანალიზი“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC) და „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი“ (TDI), 2016, ხელმისაწვდომია: <https://goo.gl/YOUFu9>

2018 წლის 23 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი სარეზერვო სამსახურის შესახებ. კანონი პირდაპირ აცხადებს, რომ პირი, რომელიც სინდისის, აღმსარებლობის ან/და რწმენის თავისუფლების მოტივით უარს აცხადებს სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხვაზე, ჩარიცხება „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ რეზერვში. პირი, რომელიც მსახურობს ალტერნატიულ სამსახურში, უნდა სარგებლობდეს კონსტიტუციით გარანტირებული ყველა უფლებით.

78 გთხოვთ, წარმოადგინოთ რელიგიის ნიშნით ჩადენილი შემთხვევების ბოლო 5 წლის სტატისტიკა.

სტატისტიკური მონაცემები ეფუძნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას და მოიცავს 2014 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 ივლისამდე პერიოდს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი დანაშაულად აცხადებს ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევას მათი ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით, რამაც არსებითად ხელყო ადამიანის უფლება. აღნიშნული ქმედება დაისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად 2014 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 ივლისის ჩათვლით საქმის გამოძიება 142-ე მუხლის საფუძველზე – ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევარელიგიური ნიშნით – მხოლოდ ერთ საქმეზე დაიწყო. საქმემოგვიანებით შეწყდა სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის არარსებობის გამო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად საანგარიშო პერიოდში საერთო სასამართლოებში 142-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებზე საქმეები განსახილველად არ შესულა (რელიგიური ნიშანი).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლის მიხედვით ღვთისმსახურების ან სხვა რელიგიური წესისა თუ ჩვეულების აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ანდა თუ მას ახლდა მორწმუნის ან ღვთისმსახურის რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად 155-ე მუხლის საფუძველით **2014 წელს** სამ საქმეზე დაიწყო გამოძიება, მოგვიანებით გამოძიება 2 საქმეზე შეწყდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სისხლის სამართლებრივი ქმედების შემადგენლობის არარსებობის გამო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით 2014 წელს სასამართლომ ერთი გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. **2015 წელს** გამოძიება დაიწყო ერთ საქმეზე,

2016 წელს გამოძიება 5 საქმეზე დაიწყო და 3 საქმეზე შეწყდა, ერთი საქმე განიხილა სასამართლომ და, როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილში იყო მითითებული, გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი. **2017 წელს** ზემოაღნიშნული მუხლის საფუძველზე გამოძიება არ დაწყებულა, **2018 წელს** კი გამოძიება დაიწყო 5 საქმეზე, მათგან კი ერთზე შეწყდა სისხლის სამართლებრივი ქმედების შემადგენლობის არარსებობის გამო.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მიხედვით ადამიანის დევნა სიტყვის, ამრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით დაისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

2014 წელს 156-ე მუხლის საფუძველით გამოძიება 11 საქმეზე დაიწყო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით იმავე წელს პირველი ინსტანციის სასამართლომ 5 საქმე განიხილა და 3 გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა; **2015 წელს** გამოძიება 5 საქმეზე დაიწყო, პირველი ინსტანციის სასამართლომ 3 საქმე განიხილა და გამამტყუნებელი განაჩენი 4 საქმეზე მიიღო. **2016 წელს** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება 10 საქმეზე დაიწყო. უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად 156-ე მუხლის საფუძველზე პირველი ინსტანციის სასამართლომ 9 საქმე განიხილა, იმავე წელს 5 გამამტყუნებელი განაჩენი გამოვიდა საქმეებზე, რომლებიც რელიგიური ნიშნით დევნას შეეხებოდა. **2017 წელს** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება 6 საქმეზე დაიწყო და, როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილიდან ხდება ცნობილი, პირველი ინსტანციის სასამართლოებმა 5 საქმე განიხილეს და 5 საქმეზე გამოიტანეს გამამტყუნებელი განაჩენი. **2018 წელს** იმავე მუხლის საფუძველით შსს-მ გამოძიება 7 საქმეზე დაიწყო, პირველი ინსტანციის სასამართლოებს კი ჯერ არც ერთი საქმე არ განუხილავთ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 166-ე მუხლის მიხედვით პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან რელიგიური გაერთიანების შექმნისათვის ან მისი საქმიანობისათვის უკანონოდ ხელის შეშლა, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დაისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით აღნიშნული მუხლის საფუძველით რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე გამოძიება ორჯერ დაიწყო, პირველად 2014 წელს და მოგვიანებით უკვე - 2018 წელს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პირველი ინსტანციის სასამართლოში არ შესულა არც ერთი საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველით.

რაც შეეხება **53-ე მუხლს**, დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის. საანგარიშო პერიოდში მუხლი საერთო სასამართლოებში გამოყენებული არ ყოფილა, როგორც ეს არის მითითებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში.

იეპოვას მოწმეების უფლებების დარღვევის, დევნისა და ძალადობის შემთხვევების რაოდენობა და ზემოაღნიშნულ ფაქტებზე სახელმწიფოს რეაგირება ნათლად აჩვენებს საქართველოში რელიგიის თავისუფლებასთან მიმართებით არსებულ ვითარებას. აღნიშნული რელიგიური ორგანიზაციის წევრები ხშირ შემთხვევაში რელიგიური სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების მსხვერპლნი არიან სახელმწიფოს არაეფექტური პოლიტიკის და საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების გამო. იეპოვას მოწმეთა ორგანიზაცია ყოველ ინციდენტს დეტალურად აღწერს და ცდილობს, პრობლემები სამართლებრივად გადაჭრას როგორც ეროვნულ, ისე – საერთაშორისო დონეზე.

ფიზიკური ძალადობა, რელიგიური რიტუალების შესრულებაში ხელის შეშლა, რელიგიური ნაგებობების, საკუთრებისა და რელიგიური ლიტერატურის დაზიანება რელიგიური ორგანიზაციის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში ყველაზე ხშირია. ზემოაღნიშნულ დანაშაულებზე სამართალდამცავი ორგანოების რეაგირება პრობლემურია წლების მანძილზე. მეტწილად შემთხვევებზე გამოძიება არ იწყება, დაწყების შემთხვევაში კი არაგონივრულ ვადაში იწელება. გამოძიების დაწყების შემთხვევაში კი შემთხვევას არასწორი კვალიფიკაცია ეძლევა ან/და დამნაშავეს შესაბამისი პასუხისმგებლობა არ დგება.

საქართველოს სახალხო დამცველი იღებს განცხადებებს და აანალიზებს რელიგიური გაერთიანებების წინააღმდეგ ძალადობის შემთხვევებს. **სახალხო დამცველის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები** გაცილებით მაღალია საქართველოს მთავრობის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე. სახალხო დამცველის მონაცემებით 2014–2017 წლებში იეპოვას მოწმეთა მიმართ ძალადობის შემთხვევების შემდეგი რაოდენობა დაფიქსირდა: 2014 წელს – 45 შემთხვევა; 2015 წელს – 37 შემთხვევა, 2016 – 23 შემთხვევა, 2017 წელს – 13 შემთხვევა.

იეპოვას მოწმეთა მიმართ ძალადობრივი ქმედებები ძირითადად მოტივირებულია რელიგიური შეუწყნარებლობით და ხშირად ხდება საჯარო სივრცეებში, როდესაც ორგანიზაციის წევრები რელიგიურ მსახურებას აღასრულებენ. ძალადობას ძირითადად სიტყვიერი შეურაცხყოფა და მუქარა მოჰყვება. რელიგიურ მსახურების ხელშეშლის, რელიგიური ლიტერატურის განთავსების სტენდების დაზიანება/განადგურების შემთხვევები განსაკუთრებით ხშირია იეპოვას მოწმეთა წინააღმდეგ ჩადენილ შემთხვევებში. ბოლო წლებში იეპოვას მოწმეთა რელიგიური ნაგებობების, სამლოცველო დარბაზების დაზიანების არაერთი ფაქტი გამოვლინდა. იეპოვას მოწმეების მიერ წარმოდგენილი სტატისტიკის მიხედვით ხშირია შენობების ფასადების დაზიანების, ქვისა და სხვა საგნების სროლის ფაქტები, კედლებზე წარწერების გაკეთება, ხოლო 2015–ში სამლოცველო დარბაზს რამდენჯერმე ესროლეს ცეცხლსასროლი იარაღით. სამართალდამცავების მიერ მოვალეობის არასათანადოდ შესრულების ფაქტები ბოლო წლებში სისტემატურად ვლინდება, მაგალითად, არ იძიებენ ყველა დანაშაულს, რომლებიც ჩადენილია იეპოვას მოწმეების წინააღმდეგ, აღნიშნულ შემთხვევებზე არ აქვთ შესაბამისი რეაგირება, გამოძიების პროცესში გამოხატავენ მიკერძოებულ დამოკიდებულებას ან ამეტებენ საკუთარ უფლებამოსილებას.

ხშირ შემთხვევაში გამოძიება გაგრძელდა არაგონივრული ვადით, შეწყდა ან საერთოდ არ დაიწყო დანაშაულის ნიშნების არარსებობის საფუძველით. არის შემთხვევები, სადაც სისტემური ფიზიკური შეურაცხყოფა დაკვალიფიცირებულია, როგორც ჩვეულებრივი ძალადობა და არა – ძალადობა, რომელსაც ითვალისწინებს 156-ე მუხლი – დევნა, ან სხვა მუხლები, რომლებიც რელიგიური ნიშნით ჩადენილ დანაშაულებს მიემართება.

იეპოვას მოწმეები ასევე საუბრობენ რელიგიური შენობების ფანჯრებზე ქვის სროლის, რელიგიური ლიტერატურის სტენდებზე ცეცხლის მოკიდების და ლიტერატურის განადგურების ფაქტებზე. გარდა ამისა, იეპოვას მოწმეების მიუთითებენ რელიგიური შენობების დაზიანების შემთხვევების დიდ რაოდენობაზე,

ასეთი ფაქტები კვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე (ნივთის დაზიანება ან განადგურება) მუხლით და გამოძიება წყდება სისხლის სამართლებრივი დანაშაულის შემადგენელი ქმედების არარსებობის გამო, რადგან ზიანი არ აღემატება 150 ლარს. არის შემთხვევები, როდესაც გამოძიების შეწყვეტის შემდეგ შემთხვევა კვალიფიცირდება, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი. თუმცა, ადმინისტრაციული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დისკრიმინაციას, როგორც დამამძიმებელ გარემოებას ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დადგომისას, შესაბამისად, გამოტანილ გადაწყვეტილებაში დისკრიმინაციული მოტივი არ ვლინდება.

დამატებით, 2012–2016 წლებში საქართველოს სხვადასხვა გეოგრაფიულ არეში (ნიგვზიანი, წინწყარო, ციხისძირი, სამთაწყარო, ჭელა, მოხე, ქობულეთი, ადიგენი) რელიგიური ნიშნით ძალადობის 8 ფართომასშტაბიანი შემთხვევა და მუსლიმების რელიგიური უფლებების დარღვევა მოხდა, რომელთა დიდ ნაწილს განგრძობითი ხასიათი ჰქონდა. მართლმადიდებელი ქრისტიანების ან/და სახელმწიფო უწყებების მუსლიმებთან დაპირისპირების მთავარ მიზეზს წარმოადგენდა ლოცვა, რელიგიური შენობის ფუნქციონირება, რელიგიური ინსტიტუციის არსებობა ან რელიგიური იდენტობის საჯარო სივრცეში გამოხატვის სხვა ფორმები. სახელმწიფო სათანადოდ არ პასუხობს ასეთ ფაქტებს, რაც ძალადობის მასშტაბებს ზრდის და საზოგადოებაში შეუწყნარებლობის კულტურას ახალისებს. ზემოაღნიშნულ საქმეების უმრავლესობაზე არ დამდგარა სამართლებრივი შედეგი. რაც შეეხება ინციდენტებს, სადაც შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, სავარაუდოდ, მუსლიმთა უფლებები დაარღვიეს ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში, პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თაობაზე გამოძიება ყოველგვარი სამართლებრივი შედეგის გარეშე გრძელდება. რაც შეეხება მუსლიმების მიმართ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევას ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჭელაში (2013), პროკურატურას გამოძიება არ დაუწყია.

მუსლიმებს, რომლებსაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, ჯერ კიდევ არ მიუღიათ დაზარალებულის სტატუსი, რაც მათ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას უზღუდავს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა რელიგიის თავისუფლების და დისკრიმინაციის აკრძალვის დარღვევის ფაქტები საქართველოს წინააღმდეგ სამ საქმეში რელიგიურ ნიადაგზე ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის არაეფექტური გამოძიების გამო. იეჰოვას მოწმეების დევნის ორ საქმეზე საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებებში ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა მოწყვლადი ჯგუფების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების ეფექტური გამოძიების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ არაეფექტურმა გამოძიებამ შესაძლოა, ძალადობის წახალისება გამოიწვიოს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განსახილველად ასევე მიიღო 2 საჩივარი, რომლებიც მუსლიმების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებრივ შემთხვევებს ეხება.

აღსანიშნავია, რომ 2016 წლიდან მდგომარეობა გაუმჯობესდა იეჰოვას მოწმეთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების კვალიფიკაციის თვალსაზრისით. კერძოდ, თუ წინა წლებში გამოძიება არ იწყებოდა სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით, რაც რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივს ითვალისწინებდა, 2016–2017 წლებში გამოძიება მეტ საქმეზე დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე (რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა) და 156-ე (დევნა) მუხლების საფუძველით. თუმცა, შემთხვევებზე შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების მიუხედავად, გამოძიების დაწყებისა და ჩადენილ დანაშაულებზე პასუხისმგებლის მაჩვენებელი, აგრეთვე წინა წლებში ჩადენილი დანაშაულების გამოძიება, ჯერ კიდევ სისტემური და პრობლემურია.

გამოხატვის თავისუფლება, მათ შორის, მედიის თავისუფლება

79 გთხოვთ, აღწერეთ მედიაგარემო (ბეჭდური პრესა და აუდიოვიზუალური სექტორი). როგორ ფინანსდება აუდიოვიზუალური მედია? არსებობს თუ არა აუდიოვიზუალური მედიის საზედამხედველო ორგანო, როგორია მისი შემადგენლობა და როგორ ფუნქციონირებს? მედიის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავების პროცესში იყო თუ არა გათვალისწინებული ევროპის საბჭოსა და ეუთოს ექსპერტების რეკომენდაციები?

საქართველოს კონსტიტუციით (№786, 24/08/1995, გამოქვეყნებულია: საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995, ბოლო ცვლილება: 23/03/2018) გარანტირებულია აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება, ასევე ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების უფლება. გარდა ამისა, კონსტიტუციით გარანტირებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება და აკრძალულია ცენზურა. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება. 2017 წლის ცვლილების შედეგად კონსტიტუციას დაემატა ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება (მუხლი 17). მიუხედავად იმისა, რომ არსებული კონსტიტუციური უფლებები თავის თავში მოიაზრებდა ინტერნეტის თავისუფლებას, კონსტიტუციაში ამ უფლების საზღვასთან დაფიქსირება, მსოფლიოში ინტერნეტის როლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო.

კონსტიტუციის თანახმად, გამოხატვის თავისუფლების შემღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

2017 წლის ცვლილების შემდეგ კონსტიტუციაში ასევე არსებობს ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც კანონი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობას სახელმწიფო უწყებებისაგან და თავისუფლებას პოლიტიკური და არსებითი კომერციული გავლენისაგან. გარდა ამისა, მედიაპლურალიზმის დაცვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აზრის გამოხატვის თავისუფლების რეალიზების, მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში მომხმარებელთა და მეწარმეთა უფლებების დასაცავად შექმნილი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ინსტიტუციური და ფინანსური დამოუკიდებლობა გარანტირებულია კანონით.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონი (N220, 24/06/2004, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 19, 15/07/2004, ბოლო ცვლილება: 21/12/2016) უზრუნველყოფს აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას; პოლიტიკური სიტყვისა და დებატების თავისუფლებას; ნებისმიერი ფორმის ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელების უფლებას; ცენზურის დაუშვებლობას, მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობასა და პლურალიზმს, ჟურნალისტიკის უფლებას, დაიცვას ინფორმაციის წყაროს საიდუმლოება და საკუთარი სინდისის შესაბამისად მიიღოს სარედაქციო გადაწყვეტილებები და სხვა (მუხლი 3).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (N2287, 22/07/1999, გამოქვეყნებულია: საქართველოს

საკანონმდებლო მაცნე, 41(48), 13/08/1999, ბოლო ცვლილება: 21/07/2018) ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გამოხატვის თავისუფლების დარღვევისთვის. 153-ე მუხლის მიხედვით სიტყვის თავისუფლების ანდა ინფორმაციის მიღების ან გავრცელების უფლების განხორციელებისთვის უკანონოდ ხელის შეშლა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ანდა ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი, ვადით ერთ წლამდე, ან შინაპატიმრობით, ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით, ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ვადით სამ წლამდე ან უამისოდ. გარდა ამისა, 154-ე მუხლის თანახმად, ჟურნალისტიკის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ესე იგი, მისი იძულება, გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისგან, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით, ვადით ას ოციდან ას ორმოც საათამდე, ან გამასწორებელი სამუშაოთი, ვადით ორ წლამდე, ანდა შინაპატიმრობით, ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი (N780, 23/12/2004, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 5, 18/01/2005, ბოლო ცვლილება: 27/06/2018) სიტყვისა და აზრის თავისუფლებისა და თავისუფალი მეწარმეობის პრინციპების შესახებამისად განსაზღვრავს მაუწყებლობის განხორციელების წესს, მაუწყებლობის სფეროში ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს შექმნის წესსა და ფუნქციებს, ამ სფეროში საქმიანობის რეგულირების პირობებს, მაუწყებლობის განხორციელების უფლების მოპოვების წესსა და პროცედურებს (მუხლი 1). ამ კანონის თანახმად, მაუწყებლობა ხორციელდება ავტორიზაციის ან ლიცენზიის საფუძველზე. მაუწყებლობის სახეობა ტელემაუწყებლობა და რადიომაუწყებლობა. ტელემაუწყებლობა და რადიომაუწყებლობა (გარდა საეთერო რადიომაუწყებლობისა) ხორციელდება ავტორიზაციის საფუძველზე. საეთერო რადიომაუწყებლობა ხორციელდება ლიცენზიის საფუძველზე. მაუწყებლობის სახეობებია: სათემო მაუწყებლობა და კერძო მაუწყებლობა. კერძო მაუწყებლობის ქვესახეობებია საერთო მაუწყებლობა და სპეციალიზებული მაუწყებლობა. გეოგრაფიული არეალის მიხედვით მაუწყებლობა არის ეროვნული ან ადგილობრივი. სამაუწყებლო პროგრამების ხელმისაწვდომობის მიხედვით მაუწყებლობა შეიძლება, იყოს ფასიანი ან უფასო (მუხლი 38). მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიებს გაცემს და ავტორიზაციას ახორციელებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. კომისია აკონტროლებს სალიცენზიო პირობების დაცვასა და ავტორიზებულ პირთა მიერ მაუწყებლობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესრულებას (მუხლი 36¹ და 36²).

კომისიის რეესტრის⁴⁴³ (წვდომის თარიღი: სექტემბერი 2018) თანახმად, ამ ეტაპზე რადიომაუწყებლობისთვის 86 მოქმედი ლიცენზიაა გაცემული: 5 სათემო მაუწყებლობისთვის და 81 კერძო მაუწყებლობისთვის. ტელემაუწყებლობის სფეროში 104 ავტორიზებული პირია, ხოლო რადიომაუწყებლობის სფეროში – 7. ყველა აღნიშნული ავტორიზებული პირი კერძო მაუწყებელია. 2015 წელს საქართველომ დაასრულა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა. რაც შეეხება ბეჭდურ მედიას, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად⁴⁴⁴ (წვდომის თარიღი: ოქტომბერი 2018), 2017 წელს გამოცემული გაზეთების რიცხვი იყო 218. ბევრი გაზეთი და სატელევიზიო არხი ქმნის ონლაინ პროდუქციას, ასევე იზრდება სოციალური მედიის პლატფორმების როლი ახალი ამბებისა და ინფორმაციის გავრცელების პროცესში.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა გარანტირებულია კონსტიტუციით. გარდა ამისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით (N2181, 25/06/1999, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 32(39), 15/07/1999, ბოლო ცვლილება: 21/07/2018), საჯარო ინფორმაცია ღიაა,

443. <http://registry.gncc.ge/>

444. http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=209&lang=eng

გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოებისთვის ან პერსონალური მონაცემებისთვის მიკუთვნებული ინფორმაციისა (მუხლი 28). ყველას აქვს უფლება, მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციის დედანში (მუხლი 37). საჯარო დაწესებულება ვალდებულია, გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ ინფორმაცია დამუშავებას მოითხოვს (მუხლი 40). „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი (№5669, 28/12/2011, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 16/01/2012, ბოლო ცვლილება: 21/07/2018) კრძალავს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შემცველი ინფორმაციის გაცემას მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე მაშინაც კი, როდესაც შესაბამისი ინფორმაციის მიმართ არსებობს მაღალი საჯარო ინტერესი. მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩო არ ითვალისწინებს საზედამხედველო ორგანოს არსებობას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგის მექანიზმს, ასევე არ არსებობს სანქციები საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უკანონო უარის შემთხვევაში.

პრობლემა:

საქართველოში დაიწყო ინფორმაციის თავისუფლების საკანონმდებლო რეფორმა იმ მიზნით, რომ გაუმჯობესებულიყო საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. მომზადდა „ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“ კანონის პროექტი, თუმცა მისი პარლამენტში ინიცირება წლების განმავლობაში გაჭიანურდა და დღემდე არ არის წარდგენილი.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების შესრულების თაობაზე ევროპარლამენტის ანგარიშში შემოთავაზებული ადინიშნა, რომ საქართველოს მთავრობას ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით ახალი კანონი არ მიუღია. ევროპარლამენტმა მთავრობას საჯარო ინფორმაციაზე ეფექტური წვდომის უზრუნველყოფისაკენ მოუწოდა.⁴⁴⁵

გარდა ამისა, სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ვერ უზრუნველყოფს ბალანსს ინფორმაციის თავისუფლებასა და პერსონალური მონაცემების დაცვას შორის. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობის შემთხვევაშიც კი მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე კანონი არ იძლევა შესაძლებლობას, გაიცეს ყოფილი დამოქმედი თანამდებობის პირებისა და თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატების სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული, საჯარო დაწესებულებაში დაცული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები⁴⁴⁶.

რეკომენდაცია:

„ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“ კანონის პროექტი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს პარლამენტს. მნიშვნელოვანია, გაუმჯობესდეს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე მონიტორინგის მექანიზმები და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულ იქნეს სანქციები იმ საჯარო დაწესებულებების მიმართ, რომლებიც

445. http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-%2F%2FEP%2F%2FNONGMIL%20REPORT%20A8-2018-0320%200%20DOC%20PDF%20V0%2F%2FEN&fbclid=IwAR2CSw2G6fUiLipTNM1K0I_s_q8MHGpvcM0oq935UtwG5DXIPTruJ-1c-4

446. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2017.

უპასუხოდ ტოვებენ საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე განცხადებას ან უარს ამბობენ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე. კერძოდ, უნდა შეიქმნას საზედამხედველო ორგანო (ინფორმაციის თავისუფლების ინსპექტორი), რომელსაც საჩივრების განხილვისას ექნება ხანგრძლივი პროცედურების (როგორც არის სასამართლო პროცედურები) გვერდის ავლის შესაძლებლობა და საჯარო დაწესებულებებს დააკისრებს სანქციებს განმცხადებლის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევის შემთხვევაში.

აუდიოვიზუალური მედიის დაფინანსება

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონის თანახმად, მაუწყებელი არის საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, კანონის საფუძველზე ტელემაუწყებლობის ან/და რადიომაუწყებლობის განმახორციელებელი ლიცენზიის მფლობელი ან/და ავტორიზებული პირი (მუხლი 2). საქართველოში სატელევიზიო და რადიო სადგურები კერძო საკუთრებაშია. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს გამონაკლისს და აფუძნებს საზოგადოებრივ მაუწყებელს, რომელიც არის ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ის შექმნილია სახელმწიფო ქონების საფუძველზე ტელერადიომაუწყებლობისათვის. საზოგადოებრივი მაუწყებელი არ ექვემდებარება არცერთ სახელმწიფო უწყებას (მუხლი 15).

მოქმედი კანონმდებლობით საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსების ძირითადი წყარო არის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი. საზოგადოებრივი მაუწყებლობის დაფინანსების ოდენობა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წლიური კანონის პროექტის შემუშავების პერიოდში არსებული მაკროპარამეტრების გათვალისწინებით დასავეგმი წლის წინა წლისათვის განსაზღვრული მთლიანი შიდა პროდუქტის არანაკლებ 0,14% (მუხლი 33(5)). საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო ფინანსდება საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტიდან, ამ ბიუჯეტის არანაკლებ 15%-ით (მუხლი 35¹²).

2018 წლის თებერვალში „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში შევიდა ცვლილება, რომლითაც გაორმაგდა საზოგადოებრივ მაუწყებელზე კომერციული რეკლამის დრო და 24 საათის განმავლობაში 30 წუთიდან არაუმეტეს 60 წუთამდე გაიზარდა (მუხლი 64(1)). საზოგადოებრივ მაუწყებელზე ასევე დასაშვები გახდა გასართობი გადაცემისა და სერიალის სპონსორობა (მუხლი 64(2)).

მაუწყებლობა, საზოგადოებრივი მაუწყებლობის გარდა, ხორციელდება ავტორიზაციის ან ლიცენზიის საფუძველზე. „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის თანახმად, მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირი არ შეიძლება, იყოს ადმინისტრაციული ორგანო, ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი, სხვა საჯარო მოხელე, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე იურიდიული პირი, პოლიტიკური პარტია, პოლიტიკური პარტიის თანამდებობის პირი, ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული იურიდიული პირი; იურიდიული პირი, რომლის წილს ან აქციებს პირდაპირ ან ირიბად ფლობს ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული პირი; პირი, რომლის ბენეფიციარი მესაკუთრე არის სხვა სახელმწიფოს პოლიტიკური პარტია ან პოლიტიკური პარტიის თანამდებობის პირი. გარდა ამისა, მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი/ავტორიზებული პირი აგრეთვე არ შეიძლება, იყოს პირი, რომლის ბენეფიციარი მესაკუთრე არის სხვა სახელმწიფოს ადმინისტრაციული ორგანო, ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი ან სხვა საჯარო მოხელე, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე იურიდიული პირი, გარდა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევისა (მუხლი 37).

რეკლამა, ტელეშოპინგი და სპონსორობა კერძო მაუწყებლების შემოსავლის ძირითადი წყაროა. კომერციულ რეკლამასა და ტელეშოპინგთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა 2015 წელს. ცვლილების თანახმად, კომერციული რეკლამა ან/და ტელეშოპინგი სარეკლამო წყვეტებში ისე უნდა განთავსდეს, რომ მისი მოცულობა სამაუწყებლო საათში არ აღემატებოდეს 20%-ს. 2016 წლის იანვარში ამოქმედდა ახალი ნორმები სპონსორობასთან დაკავშირებით. დღევანდელი მდგომარეობით სპონსორობისას დაუშვებელია საქონლის/მომსახურების შეძენისკენ პირდაპირი მოწოდება (მუხლი 67). 2015 წლის საკანონმდებლო ცვლილებით პირველად დარეგულირდა პროდუქტის განთავსება სამაუწყებლო მედიაში. კანონის თანახმად, პროგრამაში პროდუქტის (საქონლის/მომსახურების) განთავსება მკაფიოდ იდენტიფიცირებული უნდა იყოს (მუხლი 69').

მაუწყებელი ვალდებულია, ყოველწლიურად გამოაქვეყნოს და კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას წარუდგინოს შესაბამისობის დეკლარაცია (მუხლი 61), რომელიც მოიცავს საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მონაცემებს ხელმძღვანელი თანამდებობის პირებისა და ორგანოების შესახებ, ინფორმაციას ბენეფიციარი მესაკუთრეების საიდენტიფიკაციო მონაცემებისა და მათ საკუთრებაში არსებული წილების თაობაზე. მაუწყებელი ვალდებულია, კომისიას წარუდგინოს შესაბამისობის დეკლარაცია მისი წილის მფლობელებისა და აქციონერების, ხელმძღვანელი ორგანოების წევრებისა და თანამდებობის პირების ცვლილების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილების განხორციელებიდან 10 დღის ვადაში. მაუწყებელი ასევე ვალდებულია, აღნიშნული ინფორმაცია გამოაქვეყნოს საკუთარ ვებგვერდზე (მუხლი 62).

კანონის თანახმად, მაუწყებელი ვალდებულია, ყოველი წლის 1 მაისამდე კომისიას წარუდგინოს და თავის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს გასული წლის ანგარიში საქართველოს კანონმდებლობის, სალიცენზიო/ავტორიზაციის პირობებისა და ქცევის კოდექსის მოთხოვნათა შესრულებისა და დაფინანსების წყაროების შესახებ. ანგარიშს უნდა დაერთოს აუდიტის დასკვნა (მუხლი 70 (3)). კომისია ადგენს ანგარიშგების ელექტრონულ ფორმებს. ანგარიშგების ფორმებში, გარდა კანონით განსაზღვრული სხვა ინფორმაციისა, გათვალისწინებული უნდა იქნეს ინფორმაცია მაუწყებლის დაფინანსების წყაროების შესახებ, მათ შორის ცალ-ცალკე რეკლამიდან, სპონსორობიდან, ტელეშოპინგიდან და მაუწყებლის მფლობლის ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ განხორციელებული შემოწირულებებიდან მიღებული შემოსავლების თაობაზე. ანგარიშგების ფორმებში გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე ინფორმაცია მაუწყებლისთვის გაწეული მომსახურების შესახებ, მათ შორის მაუწყებლის მფლობლის ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ გაწეული ფასიანი თუ უფასო მომსახურების თაობაზე. მაუწყებელი ვალდებულია, ყოველი კვარტლის დასრულების შემდეგ მომდევნო თვის 15 რიცხვამდე წარუდგინოს კომისიას ანგარიშგების ფორმები (მუხლი 70(4)). კომისია მაუწყებელთა მიერ შევსებული ანგარიშგების ფორმებს აქვეყნებს მიღებიდან 7 დღეში (მუხლი 70(4')).

საზოგადოებრივ მაუწყებელზე კომერციული რეკლამის დროსა და სპონსორობასთან დაკავშირებული 2018 წლის საკანონმდებლო ცვლილებები გააკრიტიკეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ახალი ნორმები უგულებელყოფენ საზოგადოებრივი მაუწყებლის ნამდვილ ღირებულებას და ქმნიან არაკონკურენტულ გარემოს მედიაში სარეკლამო ბაზარზე. გარდა ამისა, სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, აღნიშნული ცვლილება ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ საზოგადოებრივი მაუწყებლობის პრინციპს, რომლის თანახმადაც საზოგადოებრივი მაუწყებელი თავისუფალია კომერციული გავლენისგან⁴⁴⁷.

447. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2017.

მედიამდგრადობის ინდექსის (MSI) 2018 წლის ანგარიშის თანახმად, იმის გათვალისწინებით, რომ ბაზარი ისედაც გადატვირთულია და ვერ უზრუნველყოფს საკმარის შემოსავლებს დიდი მოთამაშეებისთვისაც კი, საზოგადოებრივი მაუწყებლის სახით ახალი მოთამაშის გამოჩენა, რომელიც უკვე იღებს მნიშვნელოვან სახსრებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, უფრო მეტად გააუარესებს მედია ბაზარს და მის მდგრადობას.⁴⁴⁸

მედიის მარეგულირებელი ორგანო

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონის თანახმად, მაუწყებლობის სფეროში საქმიანობას არეგულირებს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (მუხლი 5). კომისია არის კონსტიტუციური ორგანო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მუდმივმოქმედი ეროვნული მარეგულირებელი ორგანო, რომელიც არ ექვემდებარება არცერთ სახელმწიფო უწყებას და არ არის სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი.

კომისია შედგება 5 წევრისაგან. კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადაა 6 წელი და პირი არ შეიძლება, არჩეულ იქნეს კომისიის წევრად ორზე მეტი ვადით. კომისიის წევრის კანდიდატურა შეირჩევა ღია კონკურსით. კომისიის წევრობის კანდიდატი უნდა იყოს საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე პირი, რომელსაც აქვს ეკონომიკის, საჯარო ადმინისტრირების, ბიზნესადმინისტრირების, სამართლის, ელექტრონული კომუნიკაციების ან ჟურნალისტიკის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და არანაკლებ 10 წლის მუშაობის გამოცდილება, მათ შორის 3 წლისა — მმართველ თანამდებობაზე. ყველას აქვს უფლება, დაასახელოს კომისიის წევრის კანდიდატურა. საქართველოს მთავრობა კანონით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს საქართველოს პარლამენტისათვის ასარჩევად წარსადგენი კანდიდატურების სიას (1 ვაკანტურ თანამდებობაზე არანაკლებ სამი კანდიდატურა). კომისიის წევრის ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი არჩეულად ჩაითვლება, თუ იგი მიიღებს სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ საქართველოს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევრის ხმებისა. კომისიის თავმჯდომარეს ირჩევს კომისია საკუთარი შემადგენლობიდან, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, 3 წლით (მუხლი 9).

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონით გარანტირებულია კომისიის დამოუკიდებლობა და ხელშეუხებლობა: კომისია, კომისიის წევრი და კომისიის აპარატის თანამშრომელი საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისას დამოუკიდებლნი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს. მათ საქმიანობაზე უკანონო ზემოქმედება და ამ საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია, ხოლო ამგვარი ზემოქმედებისა და ჩარევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება — ბათილი. კომისიის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, გაჩხრევა შეიძლება მხოლოდ საქართველოს პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულის ადგილზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული კომისიის წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს (მუხლი 6).

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონი არეგულირებს კომისიის წევრის ინტერესთა კონფლიქტის საკითხს. კომისიის წევრს ინტერესთა კონფლიქტი აქვს, თუ იმავდროულად არის სხვა ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი; არის პოლიტიკური პარტიის წევრი; ასრულებს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს იმ პირისათვის, რომლის საქმიანობაც განეკუთვნება კომისიის რეგულირების სფეროს; ფლობს იმ საწარმოს აქციებს ან საწესდებო ვაპიტალის წილს, რომლის საქმიანობაც განეკუთვნება კომისიის რეგულირების სფეროს; არის თანამდებობის პირი, წარმომადგენელი, რწმუნებული, კონსულტანტი იმ პირისა, რომლის საქმიანობაც განეკუთვნება კომისიის რეგულირების სფეროს; აქვს

448. <https://www.irex.org/sites/default/files/pdf/media-sustainability-index-europe-eurasia-2018-georgia-2.pdf>

სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ეკონომიკური ინტერესი იმ პირის მიმართ, რომლის საქმიანობაც განეკუთვნება კომისიის რეგულირების სფეროს. კომისიის წევრი არ შეიძლება, იყოს პირი, რომელსაც აქვს ინტერესთა კონფლიქტი (მუხლი 11).

კომისიის ბიუჯეტს ქმნის რეგულირების საფასური და „მაუწყებლობის შესახებ“, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ (№1514, 02/06/2005, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 26, 06/06/2005, ბოლო ცვლილება: 21/07/2018) და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონით (N2052, 28/05/1999, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 20(27), 09/06/1999, ბოლო ცვლილება: 05/07/2018) გათვალისწინებული დაფინანსების სხვა წყაროები. რეგულირების საფასური არის კომისიის ბიუჯეტის შექმნის ერთ-ერთი ძირითადი წყარო, დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობით კომისიისათვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებასთან და არ წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავალს. რეგულირების საფასურიდან იფარება კომისიის ბიუჯეტით განსაზღვრული ხარჯები (მუხლი 12).

კომისიის სხდომა საჯაროა. ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის მიზნით კომისია უფლებამოსილია, გამართოს დახურული სხდომა (მუხლი 7). კომისია საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს მთავრობას წარუდგენს და აქვეყნებს გასული წლის საქმიანობის ანგარიშსა და ფინანსური აუდიტის შედეგებს (მუხლი 13).

Freedom House-ის 2018 წლის ანგარიშის თანახმად, ქართული მედიაგარემო პლურალისტული და კრიტიკულია, ხოლო სამართლებრივი ჩარჩო უზრუნველყოფს გამოხატვის თავისუფლებასა და სარედაქციო პოლიტიკის დამოუკიდებლობას. მიუხედავად ამისა, ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ 2017 წელს განვითარებულმა უარყოფითმა მოვლენებმა მედიის დამოუკიდებლობის თვალსაზრისით შეშფოთების საფუძველი წარმოშვა. ეს მოვლენები იყო: საზოგადოებრივი მაუწყებლის აშკარად პოლიტიზებული სარედაქციო პოლიტიკა, ბეწოლა კრიტიკულ სატელევიზიო არხ „რუსთავი 2“-ზე და ხელისუფლების მხარდამჭერი კერძო სატელევიზიო არხების საკუთრების კონსოლიდაცია⁴⁴⁹. 2016 წლის ანგარიშიც ასევე ხაზს უსვამს, რომ კერძო მედიაზე პოლიტიკური გავლენა, როგორც ოპოზიციის, ასევე მმართველი პარტიის მხრიდან, როგორც წესი, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა.⁴⁵⁰

„რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ აღნიშნავს, რომ საქართველოში მედია პლურალისტულია, მაგრამ კვლავ ძალიან პოლარიზებული. ბოლო წლების რეფორმებმა გააუმჯობესა მედიის მესაკუთრეთა გამჭვირვალობა და სატელევიზიო ტელევიზიის პლურალიზმი, მაგრამ მესაკუთრეები კვლავ ინარჩუნებენ კონტროლს სარედაქციო პროდუქტზე.⁴⁵¹

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების შესრულების თაობაზე ევროპარლამენტის ანგარიში (15.10.2018) ასევე ხაზს უსვამს მედია მასალის პოლიტიზებას.⁴⁵²

449. <https://freedomhouse.org/report/nations-transit/2018/georgia>

450. <https://freedomhouse.org/report/freedom-press/2016/georgia>

451. <https://rsf.org/en/georgia>

452. http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-%2F%2FEP%2F%2FNONGML%20REPORT%20A8-2018-0320%200%20DOC%20PDF%20V0%2F%2FEN&fbclid=IwAR2CSW2G6fUiLipTNM1K0I_s_q8MHGpvcMOorg935UtwG5Dx1PTruJ-1c-4

გარდა ამისა, მედიამდგრადობის ინდექსის (MSI) 2018 წლის ანგარიშის თანახმად, კორპორატიულმა და პოლიტიკურმა ინტერესებმა შეიძლება, თვითცენზურა წაახალისოს. ჟურნალისტებმა, რომლებიც ხელისუფლების მხარდამჭერ მედიასაშუალებებში მუშაობენ, იციან ბღვარი, რომელიც არ უნდა გადაკვეთონ. გარდა ამისა, ზოგიერთ დიდ ბიზნესს შეუძლია მისთვის არახელსაყრელი მასალის ამოშლა.⁴⁵³ იგივე ანგარიში ასევე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ პოლიტიკურ აქტორებად გადაქცევის ნიშნები გამოავლინეს.

80

შესაბამება თუ არა მედიასთან დაკავშირებული კანონმდებლობა ევროპულ სტანდარტებს? გთხოვთ, მიუთითოთ ინფორმაცია მედიის შესახებ ახალი კანონის თაობაზე.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად (N780, 23/12/2004, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 5, 18/01/2005, ბოლო ცვლილება: 27/06/2018), მაუწყებლობის სფეროში კანონმდებლობის ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპის კონვენციის, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოსთვის იურიდიული ძალის მქონე სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესაბამისად (მუხლი 3). მსგავსი ჩანაწერი არსებობს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონში (N220, 24/06/2004, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 19, 15/07/2004, ბოლო ცვლილება: 21/12/2016): ამ კანონის ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად (მუხლი 2).

2014 წელს გაფორმდა ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისს. ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულია ვალდებულება, რომლის მიხედვით საქართველომ კანონმდებლობა შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს „აუდიოვიზუალური მედიის მომსახურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოქმედი კანონებით, რეგულაციებითა ან ადმინისტრაციული აქტებით გათვალისწინებული გარკვეული დებულებების კოორდინაციის შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010 წლის 10 მარტის 2010/13/EU დირექტივასთან (აუდიოვიზუალური მედიამომსახურების დირექტივა). საქართველოს კანონმდებლობა 2010/13/EU დირექტივასთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს 3 წელში, გარდა 23-ე მუხლისა, რომელიც ძალაში უნდა შევიდეს ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლიდან 5 წლის ვადაში.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წერილის თანახმად,⁴⁵⁴ მომზადებულია კანონპროექტი აუდიოვიზუალური მედია მომსახურების დირექტივასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზების მიზნით.

453. <https://www.irex.org/sites/default/files/pdf/media-sustainability-index-europe-eurasia-2018-georgia-2.pdf>

454. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წერილი N17/3545-18. 30.10.2018.

81 ადწრეთცილისწამებასთანდაკავშირებული კანონმდებლობა. რასანქციები გამოიყენება ცილისწამებისათვის? როგორია სასამართლოს გადაწყვეტილებების ზოგადი ტენდენცია გამოხატვის თავისუფლების სფეროში (მათ შორის, ცილისწამების საქმეები და სხვა საქმეები, რომლებიც შეეხებოდა მედიის წარმომადგენლებს)? გთხოვთ, წარმოადგინოთ ცილისწამების საქმეებისა და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის სტატისტიკა, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების წინააღმდეგ არსებული დავების შესახებ ცალ-ცალკე.

2004 წლიდან ცილისწამება საქართველოში დანაშაულს არ წარმოადგენს. პირს შეიძლება, დაეკისროს მხოლოდ სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელებისათვის. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი (N220, 24/06/2014, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 19, 15/07/2004, ბოლო ცვლილება: 21/12/2016) შეიცავს ნორმებს კერძო და საჯარო პირების ცილისწამების თაობაზე:

- პირს ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა (მუხლი 13).
- პირს ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება (მუხლი 14).

კანონის თანახმად, ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავის საგანი არ შეიძლება, იყოს ისეთი განცხადება, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ ჯგუფს ან/და რომელშიც მოსარჩელე არ არის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული (მუხლი 6). გარდა ამისა, პირს ცილისწამებისათვის არ ეკისრება პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ცილისწამებას ავრცელებდა (მუხლი 16).

რაც შეეხება ცილისწამებისთვის პასუხისმგებლობას, ცილისწამებასთან დაკავშირებით მოპასუხეს შეიძლება, დაეკისროს სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ. დაუშვებელია მოპასუხის იძულება, მოიხადოს ბოდიში. თუ მოპასუხე კანონით დადგენილ ვადაში განახორციელებს შესწორებას ან უარყოფას, მაგრამ შესწორების ან უარყოფის გამოქვეყნება არ არის საკმარისი ცილისწამებით მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისათვის, მოპასუხეს შეიძლება, დაეკისროს მოსარჩელისათვის მიყენებული ქონებრივი ან/და არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება (მუხლი 17).

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უკანონო შეზღუდვის მიზნით ცილისწამების შესახებ აშკარად უსაფუძვლო სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მოპასუხეს უფლება აქვს, მოითხოვოს მოსარჩელისაგან გონივრულ ფარგლებში ფულადი ანაზღაურების მიღება (მუხლი 18).

კანონი ადგენს შემდეგ წესებს მტკიცებულების სტანდარტთან და მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით (მუხლი 7):

- „სიტყვისა და გამობატვის თავისუფლების შესახებ“ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების შეზღუდვისას ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ამ უფლებების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ;
- კერძო ან საჯარო პირის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს პირისათვის საჯარო პირის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ;
- საზოგადოებრივი ყურადღების ან ცნობისმოყვარეობის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს მოვლენისათვის საზოგადოებრივი ყურადღების სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ;
- აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ;
- სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ;
- დაუშვებელია, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საქმეზე მოპასუხის უარი — გაამხილოს პროფესიული საიდუმლოება ან მისი წყარო — გახდეს მოპასუხის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების გამოტანის ერთადერთი საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციის თანახმად,⁴⁵⁵ საქართველოს რაიონული/საქალაქო სასამართლოების მიერ სიტყვისა და გამობატვის თავისუფლებისა და ცილისწამების, პატივისა და ღირსების დაცვის, ასევე პატივისა და ღირსების დაცვასთან დაკავშირებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე განხილულია სამოქალაქო საქმეების შემდეგი რაოდენობა:

წელი	სამოქალაქო საქმეების რაოდენობა	დაკმაყოფილებული სარჩელების რაოდენობა
2014	34	15
2015	17	9
2016	14	9
2017	30	16
2018 (6 თვე)	11	7

ზემოთ მოცემული ცხრილი მოიცავს სამოქალაქო საქმეების საერთო რაოდენობას და არ არის გამოყოფილი დავები, რომლებიც მიმართული იყო მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წინააღმდეგ. უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სასამართლოებში მოქმედი სტატისტიკური ანგარიშების ფორმებში საქმეები აღირიცხება მხოლოდ დავის კატეგორიების მიხედვით და მასში გათვალისწინებული არ არის მონაცემები საქმეში მონაწილე მხარეების შესახებ. შესაბამისად, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წინააღმდეგ არსებული დავების შესახებ ცალკე სტატისტიკური მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე (წვდომის თარიღი: ოქტომბერი 2018) გამოქვეყნებული გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ 2014–2018 წლებში უზენაესმა სასამართლომ ცილისწამებასთან დაკავშირებით 16 სამოქალაქო საქმე განიხილა.

455. საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილი N433-18, 03.09.2018.

7 საქმე დაკავშირებული იყო მედიის საშუალებით ცილისწამების გავრცელებასთან, რომელთაგან 5 საქმეში მოპასუხეს პასუხისმგებლობა არ დაეკისრა, ხოლო 2 საქმეში სასამართლომ მოპასუხეს ფაქტების უარყოფა დაავალა.

7 საქმეში მოპასუხე იყო ფიზიკური/იურიდიული პირი, რომელთაგან 6 საქმეში მოპასუხეს პასუხისმგებლობა არ დაეკისრა, ხოლო 1 საქმეში სასამართლომ მოპასუხეს ფაქტების უარყოფა დაავალა.

2 საქმე შეეხებოდა მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ დავას და საჩივრები დაკმაყოფილდა:

- 1) სასამართლომ მოპასუხეს დააკისრა⁴⁵⁶ ფაქტების უარყოფის გამოქვეყნება იმავე გაზეთში და დააკისრა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება 1,000 ლარის ოდენობით (დაახლოებით. 323 EUR) გაზეთში გამოქვეყნებული ერთი სტატიისთვის, 2,000 ლარი (დაახლოებით 645 EUR) მეორე სტატიისთვის და 2,000 ლარი (დაახლოებით 645 EUR) მესამე სტატიისთვის;
- 2) სასამართლომ მოპასუხეს დააკისრა⁴⁵⁷ გადაწყვეტილების გამოქვეყნება იმავე გაზეთში და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება 50, 000 ლარის ოდენობით (დაახლოებით 16,129 EUR).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონში მოცემულია როგორც აზრის (შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს), ისე ცილისწამების (არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება) დეფინიცია, რომელთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნა აუცილებელი პირობაა ცილისწამების განსაზღვრისათვის. კანონის თანახმად, აზრი ფართოდ უნდა განიშარტოს. იგი გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს. ამიტომ ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. გარდა ამისა, ცილისწამების მაკვალიფიცირებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომელიც რეალობისგან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე სუბიექტური და, რაც მთავარია, მისი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია.⁴⁵⁸

გარდა ამისა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თანახმად, დაუშვებელია, მედიის წარმომადგენლებს მოეთხოვოთ ასი პროცენტით გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელება, თუმცა გონივრულ ფარგლებში გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელების სტანდარტის დაცვა აუცილებელია, რომ არ გაუფასურდეს დემოკრატიული ფასეულობები. ქცევის ამგვარი სტანდარტის დაწესება სრულად შეესაბამება სამოქალაქო უფლებათა კეთილსინდისიერად განხორციელების პრინციპს.⁴⁵⁹ უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში ასევე აღნიშნა, რომ თუ მოპასუხე დაადასტურებდა, რომ ინფორმაცია მიიღო ოფიციალური წყაროებიდან, ჟურნალისტი დარწმუნებული იყო გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტებაში, ჟურნალისტმა გონივრულ ფარგლებში გადაამოწმა გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტება ან გადამოწმება დაუძლეველ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, შესაძლებელია, გამორიცხულიყო სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა.⁴⁶⁰

456. საქმე N1011-972-2016, 26 ივლისი 2017.

457. საქმე N1332-1258-2012, 23 ივლისი 2014.

458. საქმე N1011-972-2016, 26 ივლისი 2017.

459. საქმე N1011-972-2016, 26 ივლისი 2017; საქმე N1332-1258-2012, 23 აპრილი 2014.

460. საქმე N1332-1258-2012, 23 აპრილი 2014.

საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩო არ ადგენს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების ფარგლების დადგენის კრიტერიუმებს. აღნიშნული საკითხი ფასდება სასამართლოს მიერ თითოეულ საქმეში საქმის თავისებურებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.⁴⁶¹ მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში მიიღო შემდეგი გარემოებები: მოსარჩელე საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი პირი იყო; განცხადება შეიცავდა ცილისმწამებლურ ინფორმაციას მოსარჩელეზე; გაზეთი დიდი ტირაჟით გამოიცა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, გავრცელდა და ხელმისაწვდომი გახდა ქართველი მკითხველისთვის.⁴⁶²

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, იურიდიული პირი ვერ მოითხოვს მორალური ზიანის ანაზღაურებას. მორალური ზიანი არ შეიძლება, მიადგეს იურიდიულ პირს, რადგან მორალური ზიანის შინაარსში იგულისხმება სამართლებრივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის ხელყოფა, რომელსაც ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია.⁴⁶³

მედიასთან დაკავშირებული სხვა საქმეები

სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-ის“ საქმე

სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-ის“ საკუთრებასთან დაკავშირებულმა სასამართლო დავამ მედიის თავისუფლებისთვის საფრთხის შექმნის რისკი წარმოშვა.

სასამართლო დავა დაიწყო ყოფილმა მესაკუთრემ, ქიბარ ხალვაშმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ მას კომპანიის წილის გასხვისება აიძულეს მაშინდელი მმართველი ძალის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, ლიდერებმა. თბილისის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის შემდეგ უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ 2017 წლის 2 მარტს გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც „რუსთავი 2“-ის წილის 60% მიაკუთვნა ქიბარ ხალვაშს და 40% - შპს „პანორამას“ („პანორამას“ წილის 100%-ის მესაკუთრე ქიბარ ხალვაშია).

საქართველოს სახალხო დამცველი აქტიურად ადევნებდა თვალყურს ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს, რეგულარულად აკვირდებოდა სასამართლო პროცესებს და შეისწავლიდა შესაბამის დოკუმენტაციას. სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად⁴⁶⁴, განხორციელებული მონიტორინგის შედეგად კანონმდებლობის მნიშვნელოვანი დარღვევები გამოიკვეთა როგორც „რუსთავი 2-ის“ ქონების დაყადაღებისა და ტელეკომპანიაში დროებითი მმართველის დანიშვნის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებში, ასევე სააპელაციო სასამართლოს მიერ მხარეებისთვის გადაწყვეტილების საკუთარი ინიციატივით, ადრეულად ჩაბარების ფაქტთან დაკავშირებით. თავის მხრივ, დასახელებულმა გარემოებებმა და საკასაციო სასამართლოში საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვამ სასამართლოებში მიმდინარე პროცესების მიმართ ნდობას ზიანი მიაყენა. სახალხო დამცველი გამოეხმაურა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიერ 2017 წლის 2 მარტს მიღებულ გადაწყვეტილებას და მიუთითა, რომ მისი აღსრულებით შესაძლოა, საფრთხე დამუქრებოდა ქვეყანაში მრავალფეროვანი მედიაგარემოს შენარჩუნებას, განსაკუთრებით კი კრიტიკული მედიასაშუალებების საქმიანობას.

სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-მა“ და სხვებმა (სატელევიზიო კომპანია „საქართველო“, ლევან

461. საქმე N1332-1258-2012, 23 აპრილი 2014.
 462. საქმე N1332-1258-2012, 23 აპრილი 2014.
 463. საქმე N1011-972-2016, 26 ივლისი 2017.
 464. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2017.

ყარამანიშვილმა და გიორგი ყარამანიშვილმა) მიმართეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს.⁴⁶⁵ სასამართლო რეგლამენტის 39-ე მუხლის საფუძველზე განმცხადებლებმა დროებითი ღონისძიების გამოყენება მოითხოვეს. განმცხადებლებმა მიუთითეს „რუსთავი 2-ის“ გამოხატვის თავისუფლებაზე – კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებულ უფლებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ზედაპირულად ეს საქმე კერძო პირებს შორის ჩვეულებრივ სამოქალაქო დავას წარმოადგენდა, განმცხადებლების მოსაზრებით, „რუსთავი 2-ის“ წინააღმდეგ სახელმწიფო კამპანიის ქრონოლოგია აჩვენებდა, რომ პოლიტიკური ინტერესები იყო რისკის ქვეშ. იმის გათვალისწინებით, რომ „რუსთავი 2“ წარმოადგენდა ფაქტობრივად ერთადერთ ოპოზიციურ სატელევიზიო არხს, რომლის სარედაქციო პოლიტიკა მმართველი ძალის კონტროლს მიღმა იყო, განმცხადებლები აცხადებდნენ, რომ ხელისუფლებამ ქიბარ ხალვაშის სამოქალაქო სარჩელი გამოიყენა ფარული მიზნით – თავისუფალი მედია საშუალების წინააღმდეგ.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მორიგე მოსამართლემ) 2017 წლის 3 მარტს სასამართლო რეგლამენტის 39-ე მუხლის საფუძველზე მოპასუხე სახელმწიფოს დროებითი ღონისძიება დაუწესა: „მხარეთა ინტერესებისა და პროცესის სათანადოდ წარმართვის ინტერესებიდან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილების აღსრულება უნდა შეჩერდეს, ხელისუფლებამ თავი უნდა შეიკავოს კომპანიის სარედაქციო პოლიტიკაში რამე ფორმით ჩარევისაგან“⁴⁶⁶. დროებითი ღონისძიება 2017 წლის 8 მარტამდე გაგრძელდა.

29 არასამთავრობო ორგანიზაციამ მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს „რუსთავი 2-ის“ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე 39-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი ღონისძიების შენარჩუნების თაობაზე.⁴⁶⁷ თავიანთ განცხადებაში მათ აღნიშნეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ დონეზე ეს საქმე (ფორმალურად) ორ კერძო პირს შორის საკუთრებასთან დაკავშირებულ დავას წარმოადგენდა, ის ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ხელისუფლება ცდილობდა მთავარ ოპოზიციურ მედია საშუალებაზე კონტროლის განხორციელებას, რაც მნიშვნელოვნად დააზიანებდა მედია პლურალიზმსა და დემოკრატიას საქართველოში. უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილების შედეგად „რუსთავი 2“-ის სარედაქციო პოლიტიკის ცვლილება საბოლოო დარტყმა იქნებოდა თავისუფალი მედიისთვის.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2017 წლის 7 მარტს ერთხმად გადაწყვიტა 2017 წლის 3 მარტს დადგენილი დროებითი ღონისძიების უვადოდ გაგრძელება.

აფგან მუხთარლის საქმე

2017 წლის 29 მაისს აზერბაიჯანელი ჟურნალისტი და აქტივისტი, სავარაუდოდ, თბილისიდან გაიტაცეს და შემდეგ გადაიყვანეს აზერბაიჯანის საზღვარზე. მუხთარლი და მისი მეუღლე, ლეილა მუსტაფაევა, რომელიც ასევე საგამოძიებო ჟურნალისტი, 2015 წლიდან საქართველოში ცხოვრობდნენ, რათა აზერბაიჯანის მთავრობის მკაცრ ზომებს გაეცოდნენ.⁴⁶⁸

აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის, საქმესთან დაკავშირებით 2017 წლის 15 ივნისს ევროპარლამენტმა რეზოლუცია⁴⁶⁹ მიიღო, რომლითაც საქართველოს ხელისუფლებას აფგან მუხთარლის

465. განაცხადი N 16812/17, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“ და სხვები საქართველოს წინააღმდეგ.

466. [https://hudoc.echr.coe.int/eng?i={%22itemid%22:\[%22001-179679%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng?i={%22itemid%22:[%22001-179679%22]})

467. <https://idfi.ge/en/georgian-ngos-%20address-to-the-european-court-of-human-rights>

468. <https://www.hrw.org/news/2017/05/31/georgia/azerbaidjan-journalist-kidnapped-across-border>

469. <http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+TA+P8-TA-2017-0267+0+DOC+XML+V0//EN>

იძულებითი გაუჩინარებისა და უკანონო გადაყვანის სწრაფი, საფუძვლიანი, გამჭვირვალე და ეფექტური გამოძიებისა და დამნაშავეების დასჯისკენ მოუწოდა. რეზოლუციაში აღინიშნა, რომ ხელისუფლებას უნდა მიეღო ყველა შესაძლო ზომა, გაექარწყლებინა ნებისმიერი ეჭვი გაუჩინარებაში საქართველოს სახელმწიფო აგენტების ჩართულობასთან დაკავშირებით.

2018 წლის 12 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა აღნიშნა, რომ ისინი აგრძელებენ გატაცების გამოძიების თვალყურის დევნებას და ხელისუფლებას მოუწოდებენ მისი საფუძვლიანად, გამჭვირვალედ და დროულად წარმართვისაკენ.⁴⁷⁰

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების შესრულების თაობაზე ევროპარლამენტის ანგარიშშიც გამოხატულია შემოფოთება აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის, თბილისიდან გატაცების გამოძიების პროცესში პროგრესის არარსებობის გამო, რამაც გამოავლინა ბევრი ხარვეზი უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. ანგარიში საქართველოს მთავრობას გამოძიების სწრაფად დასრულებისაკენ მოუწოდებს და ხაზს უსვამს იმის საჭიროებას, რომ საქართველომ უზრუნველყოს უსაფრთხო გარემო მის ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანის უფლებების დამცველებისთვის, რათა ამგვარი შემთხვევები აღარ განმეორდეს.⁴⁷¹

ჟურნალისტური ეთიკის ქარტია – თვითრეგულირების მექანიზმი

2009 წლის 4 დეკემბერს 137-მა ჟურნალისტმა ზოგადი პროფესიული სტანდარტების დაცვის მიზნით ხელი მოაწერა 11 პრინციპს და დააფუძნა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. ეს ორგანიზაცია წარმოადგენს დამოუკიდებელ თვითრეგულირების ორგანოს საქართველოში. ქარტიის მიზანია პროფესიული და ეთიკური სტანდარტის დაცვისა და თვითრეგულირების მექანიზმების შექმნის გზით მედიის საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ამაღლება. ქარტია ეფუძნება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლსა და ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის (IFD) დეკლარაციას ჟურნალისტთა ქცევის პრინციპების შესახებ. ქარტიას მართავს 9 წევრისგან შემდგარი საბჭო, რომელსაც ქარტიის წევრები ირჩევენ. ქარტიის საბჭო განიხილავს პროფესიული სტანდარტების დარღვევის ფაქტებს წარდგენილი განცხადებების საფუძველზე. ქარტიის მიერ განხილული განცხადებებისა და დარღვევების რაოდენობა (წვდომის თარიღი: ნოემბერი 2018) ნაჩვენებია ცხრილში:

წელი	განცხადებების რაოდენობა	დარღვევების რაოდენობა
2018	55	46
2017	56	48
2016	28	23
2015	35	26
2014	21	19

470. <https://www.state.gov/r/pa/prs/ps/2018/01/277441.htm>

471. http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-%2F%2FEP%2F%2FNONGML%20REPORT%20A8-2018-0320%200%20DOC%20PDF%20V0%2F%2FEN&fbclid=IwAR2CSW2G6fUiLipTNM1K0I_s_q8MHGpvcMOorq935UtwG5Dx1PTruJ-1c-4

82 გთხოვთ, მიუთითოთ, როგორ შეიცვალა ტელეკომუნიკაციების შესახებ კანონი ან როგორ შეიცვლება ის მომავალში გამოსატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი (№1514, 02/06/2005, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 26, 06/06/2005, ბოლო ცვლილება: 21/07/2018) ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით საქმიანობის სამართლებრივ და ეკონომიკურ საფუძვლებს, ამ სფეროში კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებისა და რეგულირების პრინციპებს, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის) ფუნქციებს, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და საშუალებების ფლობის, გამოყენებისა და მომსახურების მიწოდების დროს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებებსა და მოვალეობებს (მუხლი 1).

საქართველოს პარლამენტიდან მიღებული წერილის⁴⁷² თანახმად, საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით, 2014 წლიდან „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონში შემდეგი ცვლილებები შევიდა:

- საკანონმდებლო ცვლილება (N2039-II, 20/02/2014, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 27/02/2014), რომლითაც მოხდა საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების ITU (International Telecommunication Union) მიერ დადგენილ ვადაში (2015 წლის 17 ივნისამდე) ანალოგურიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასასვლელად შემუშავებული სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის სამართლებრივი საფუძვლის დადგენა;
- საკანონმდებლო ცვლილება (N3693-II, 12/06/2015, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 15/06/2015), რომლის მიზანი იყო ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზაციის შეჩერებისა და გაუქმების განსხვავებული დახვეწილი წესის დადგენა. ცვლილება დაკავშირებული იყო საქართველოში ციფრულ სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლასთან ერთად „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით ლიცენზირების გაუქმებისა და ავტორიზაციის სრულიად ახალი, რეფორმირებული რეჟიმის დანერგვასთან;
- საკანონმდებლო ცვლილება (N5021-II, 27/04/2016, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 13/05/2016), რომლითაც განისაზღვრა მულტიპლექსპლატფორმაზე მაუწყებლების გავრცელების რეგულაციები, რათა თანაბრად იყოს დაცული როგორც მულტიპლექსპლატფორმის მფლობლის ინტერესი, ასევე მაუწყებლების და მომხმარებლების ინტერესი;
- საკანონმდებლო ცვლილება (N1929, 23/12/2017, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 11/01/2018), რომლის მიზანი იყო საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო-სამართლებრივ ინსტრუმენტებთან დაახლოება, ასევე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მედიაწიგნიერებასთან დაკავშირებული ახალი ფუნქციების ფინანსური უზრუნველყოფა.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტი“ (N3, 17/03/2006, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 39, 23/03/2006, ბოლო ცვლილება: 27/07/2017) დაკავშირებულია გამოსატვის თავისუფლების

472. საქართველოს პარლამენტის წერილი N10273/2-7, 23.10.2018.

საკითხთან. აღნიშნული დადგენილება განსაზღვრავს „დაუშვებელი პროდუქციის“ ცნებას. დაუშვებელი პროდუქცია არის ელექტრონული კომუნიკაციების მეშვეობით გადაცემული პორნოგრაფია, სიძულვილისა და ძალადობის განსაკუთრებით მძიმე ფორმების ამსახველი, პირადი ცხოვრების შემლახველი, ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი, უდანაშაულობის პრეზუმფციის დამრღვევი, უზუსტო, საავტორო უფლებებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გადაცემული სხვა პროდუქცია (მუხლი 3).

დადგენილების თანახმად, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, შეიმუშაოს მექანიზმები, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს, გააუქმოს ან განაკავშიროს მომხმარებელი, თუ ის აწარმოებს დაუშვებელი პროდუქციის გავრცელება/გადამისამართებას (მუხლი 10¹). დადგენილება ასევე ითვალისწინებს ინტერნეტდომენის გამცემის ვალდებულებას, პერიოდულად შეამოწმოს მის მიერ რეგისტრირებული ინტერნეტგვერდების შინაარსი იმ მიზნით, რომ თავიდან აიცილოს ინტერნეტგვერდზე დაუშვებელი პროდუქციის განთავსება (მუხლი 10³). მსგავსი ვალდებულება აქვს ინტერნეტგვერდის მფლობელს (მუხლი 10²). გარდა ამისა, დაუშვებელი პროდუქციის აღმოჩენის შემთხვევაში დომენის გამცემმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები მათ აღმოსაფხვრელად: (ა) გააფრთხილოს დომენის მფლობელი და განუსაზღვროს ვადა დაუშვებელი პროდუქციის ამოღებისათვის; და (ბ) გაფრთხილების უგულებელყოფის შემთხვევაში დაბლოკოს ინტერნეტგვერდი (მუხლი 10³, პუნქტი 2).

გარდა ამისა, დადგენილების თანახმად, დაუშვებელი პროდუქციის შემთხვევაში მომხმარებელს უფლება აქვს, საჩივარი წარადგინოს მომსახურების შესაბამის მიმწოდებელთან, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში ან სასამართლოში (მუხლი 26).

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ წარმოადგინა ინფორმაცია⁴⁷³ დაუშვებელ პროდუქციასთან დაკავშირებით 2014–2018 წლებში მიღებული 8 გადაწყვეტილების თაობაზე, რომელიც გამოქვეყნებულია კომისიის ვებგვერდზე. ამ გადაწყვეტილებებით შემდეგი ტენდენცია გამოიკვეთა: 6 საქმეში დადგა პასუხისმგებლობა და ყველა ეს საქმე დაკავშირებული იყო საავტორო უფლებების დარღვევასთან. 4 საქმეში კომისიამ გასცა გაფრთხილება და დაავალა კანონმდებლობის დარღვევის შეწყვეტა. 2 საქმეში კომისიამ დაავალა კანონმდებლობის დარღვევის შეწყვეტა და დააკისრა ჯარიმა 30,000 ლარის ოდენობით (დაახლოებით, 9,677 EUR). ერთი საქმე შეეხებოდა ძალადობის სცენას და საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ერთი საქმე შეეხებოდა მაუწყებლობის ტრანზიტის ავტორიზაციის გარეშე განხორციელებას და ადმინისტრაციული წარმოება შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო.

პრობლემა:

კომისიის დადგენილებით განსაზღვრული „დაუშვებელი პროდუქციის“ ცნების კომპონენტები ვერ პასუხობს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს⁴⁷⁴. დაუშვებელი პროდუქციის ზოგიერთი საფუძველი ბუნდოვანია და ფართო მიხედვლებას ტოვებს განმარტებისთვის, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ მთელ რიგ საფუძვლებთან დაკავშირებით კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ჩამოყალიბებული პრაქტიკა არ აქვს. დადგენილება ნათლად არ ადგენს, რომ ცილისმწამებლური პროდუქცია შეიძლება,

473. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წერილი N01/3331-18, 05.10.2018.

474. https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/media_internet_telecommunications/inadmissible_internet_content_regulations_georgia.pdf

შეიზღუდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდება. გარდა ამისა, ისეთი ზოგადი და ბუნდოვანი ცნებები, როგორებიც არის „შეურაცხყოფელი“ და „უზუსტო“ პროდუქცია, არ შეიძლება, იყოს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი.

გარდა ამისა, დადგენილებით გათვალისწინებული ზოგადი ვალდებულებები გაუმართლებელ ტვირთს აკისრებს კერძო კომპანიებს. ინტერნეტდომენებზე განთავსებული პროდუქციის შემოწმება და მათი ობიექტურად შეფასება, ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელია ინფორმაციის მოცულობიდან გამომდინარე.

რეკომენდაცია:

მიუხედავად იმისა, რომ ამ დადგენილების საფუძველზე გამოხატვის თავისუფლების დარღვევას ადგილი არ ჰქონია, ის უნდა შეიცვალოს, რათა მხედველობაში იქნეს მიღებული გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტები. რეკომენდებულია მისი იმგვარად შეცვლა, რომ შემცირდეს ამ დადგენილების თვითნებურად ინტერპრეტაციისა და გამოხატვის თავისუფლების მომეტებული შეზღუდვის საფრთხე. გარდა ამისა, კერძო კომპანიების ვალდებულება უნდა შემოიფარგლოს დაუშვებელი პროდუქციის განთავსების თაობაზე კონკრეტულ საჩივრებზე რეაგირებით და მათ არ უნდა ჰქონდეთ ინტერნეტ პროდუქციის მონიტორინგის ვალდებულება.

შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება, მათ შორის პოლიტიკური პარტიების ფორმირების უფლება, პროფკავშირების შექმნის უფლება

83 წარმოადგინეთ სტატისტიკური ინფორმაცია იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ასოციაციების ან ფონდების შესახებ, რომლებიც თქვენს ქვეყანაში მუშაობენ. გთხოვთ, წარმოადგინოთ ჩამოთვლილი მონაცემები თითოეული სექტორის/აქტივობის მიხედვით.

არასამთავრობო ორგანიზაციები და პროფკავშირები არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს წარმოადგენენ. 2010 წლიდან მათ რეგისტრაციისთვის მოეთხოვებათ შესაბამისი განცხადებისა და მოთხოვნილი თანდართული დოკუმენტების წარდგენა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის, რომელიც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირია. არასამთავრობო ორგანიზაციები რეგისტრირდებიან სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. რეესტრში არსებული მონაცემები საჯაროა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია რეესტრიდან მონაცემების მიღება. დოკუმენტები, რომლებიც რეგისტრაციისათვის გამოიყენება, ასევე საჯაროა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2012 წლიდან პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც ასევე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები არიან, არეგისტრირებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. რეგისტრაცია ხორციელდება მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრში, რომელიც მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) შესახებ მონაცემთა სისტემატურ კრებულს წარმოადგენს.

რეესტრიდან მიღებულ საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით (წერილი №399565, 19/09/2018), 2018 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით არსებობს:

- **243** პოლიტიკური პარტია, რომელთაგანაც 12 გაუქმდა რეორგანიზაციის/ლიკვიდაციის შედეგად;
- **24 648** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. შეუძლებელია იდენტიფიცირება იმისა, თუ რამდენი მათგანი წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას, რადგან სარეგისტრაციო მონაცემებში ეს არ აღინიშნება;
- **370** პროფკავშირი/ასოციაცია. პროფკავშირები რეგისტრირდებიან არასამეწარმეო იურიდიულ პირებად. არ არსებობს რაიმე სპეციალური წესი მათ რეგისტრაციასთან დაკავშირებით. ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში სტატისტიკური ინფორმაცია მოპოვებულ იქნა რეგისტრირებული იურიდიული პირების საძიებო სისტემაში, სახელწოდების საძიებო ველში სიტყვა “პროფკავშირი/ასოციაცია”-ს გამოყენებით;
- უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების **170** ფილიალი (წარმომადგენლობითი ოფისი).

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილის თანახმად, ელექტრონული მონაცემები, რომლებიც ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ინსპექციის მიერ 2010 წელს საჯარო რეესტრს გადაეცა, გარკვეულ ხარვეზებს შეიცავდა. 2010 წლიდან სააგენტო ცდილობს, რომ გამოასწოროს ეს ხარვეზები, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ 2010 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებული მონაცემები გარკვეულ უზუსტობებს შეიცავდეს.

84 რა სამართლებრივი სტატუსი აქვთ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ასოციაციებს თუ ფონდებს მათი დაფინანსების, გადასახადით დაბეგვრაზე, წევრობასა ან საქმიანობაზე დაწესებული შეზღუდვების ჩათვლით? გთხოვთ, კონკრეტულად მიმოიხილოთ არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო დაფინანსების რაციონალური საფუძვლები და სახსრების გამოყენების მონიტორინგის მექანიზმები. არსებობს თუ არა რაიმე პროცესი ასეთი ორგანიზაციების დასარეგისტრირებლად? საკვადებულაა ეს? გთხოვთ, მთლიანი პროცესი აღწერთ დეტალურად.

არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნასა და რეგისტრაციას, ძირითადად, არეგულირებს შემდეგი კანონები და კანონქვემდებარე აქტები:

- საქართველოს კონსტიტუცია (№783, 24/08/1995, გამოქვეყნების წყარო: პარლამენტის უწყებანი, 31-33, 24/08/1995, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 23/03/2018 ძალაში შევა 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ);
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (№786, 26/06/1997, გამოქვეყნების წყარო: პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 21/07/2018);
- საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ (№577, 28/10/1994, გამოქვეყნების წყარო: პარლამენტის უწყებანი, 21-22, 28/10/1994, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 06/06/2018);
- საქართველოს კანონი საჯარო რეესტრის შესახებ (№820, 19/12/2008, გამოქვეყნების წყარო: საკანონმდებლო მაცნე, 41, 30/12/2008, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 20/07/2018);
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №241 „მეწარმეთა და არასამეწარმეო

(არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე (№241, 31/12/2009, გამოქვეყნების წყარო: საკანონმდებლო მაცნე, 160, 31/12/2009, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 30/07/2016);

- საქართველოს მთავრობის დადგენილება №509 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის — საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განაკვეთების, საფასურის გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ (№509, 29/12/2011, ვებგვერდზე გამოქვეყნების თარიღი: 30/12/2011, ძალაში შესვლის თარიღი: 01/01/2012, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 28/07/2016).

საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლი გაერთიანების თავისუფლებას იცავს. ამ მუხლის თანახმად, გაერთიანების ლიკვიდაცია შეიძლება მხოლოდ ამავე გაერთიანების ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

არასამთავრობო ორგანიზაციები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები არიან. ა(ა)იპ-ი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია, სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ. მისი მიზანია არასამეწარმეო საქმიანობა. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი შეიძლება, იყოს წევრობაზე დაფუძნებული, წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან დამოუკიდებელი (სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლი). კანონმდებლობა წევრობაზე რაიმე შეზღუდვას არ ითვალისწინებს.

სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის თანახმად, ა(ა)იპ-ს უფლება აქვს, განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. ამას გარდა ა(ა)იპ-ი უფლებამოსილია, ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

სამოქალაქო კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაცია ხორციელდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრს აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი — საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (შემდგომ – მარეგისტრირებელი ორგანო).

სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში დაინტერესებული პირი მარეგისტრირებელ ორგანოს წარუდგენს დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმებას და განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით მეწარმე იურიდიული პირის რეგისტრაციისათვის დადგენილ საავალდებულო მონაცემებს.

“მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს საწარმოს ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სათანადო წესით დამოწმებული სარეგისტრაციო განაცხადი, რომელიც იმავდროულად არის პარტნიორთა შეთანხმების ნაწილი და რომელშიც უნდა მიეთითოს, მათ შორის:

- ა) საწარმოს სახელწოდება/საფირმო სახელწოდება;
- ბ) საწარმოს სამართლებრივი ფორმა;
- გ) საწარმოს იურიდიული მისამართი;
- დ) საწარმოს პარტნიორის (პარტნიორების) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი, ხოლო თუ პარტნიორი იურიდიული პირია — მისი საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ;
- ე) საწარმოს მმართველობის ორგანო და გადაწყვეტილების მიღების წესი;
- ვ) საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი, ასევე უფლებამოსილების ვადა;
- ზ) პროკურისტის სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი;
- თ) თუ საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირი ჰყავს, ისინი ერთად წარმომადგენენ საწარმოს თუ ცალ-ცალკე;
- ი) სარეგისტრაციო განაცხადის ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი ფიზიკური პირის შემთხვევაში — სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი, ხოლო თუ სარეგისტრაციო განაცხადის ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირი იურიდიული პირია — მისი საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ და ა.შ.

სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში მის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში უნდა მიეთითოს:

- ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის მიზანი;
- ბ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრად მიღების, წევრობიდან გასვლისა და გარიცხვის წესი, თუ იგი წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია;
- გ) რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს (პირის) დასახელება, გადაწყვეტილების მიღების წესი და პროცედურა;
- დ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ხელმძღვანელი პირის) შექმნის (არჩევის) წესი და უფლებამოსილების ვადა.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №509 საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განაკვეთების, საფასურის გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ ასევე ადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის საფასურსა და მომსახურების ვადებს. დადგენილების მე-2 მუხლის “მ” ქვეპუნქტის თანახმად, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებებისა და მათი შეწყვეტის რეგისტრაცია ხორციელდება 1 სამუშაო დღეში და მისი ღირებულებაა 100 ლარი (32.26 ევრო). აღნიშნული თანხა წარდგენილი უნდა იქნეს განაცხადთან და თანდართულ დოკუმენტებთან ერთად. მე-4 მუხლი ითვალისწინებს დაჩქარებულ რეგისტრაციას, განაცხადის წარდგენის დღესვე. ამ შემთხვევაში მომსახურების ღირებულებაა 200 ლარი (64.52 ევრო).

ა(ა)იპ-ებისა და უცხო ქვეყნის ა(ა)იპ-ის ფილიალების (წარმომადგენლობითი ოფისების) მიერ განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც იწვევს ცვლილებას მათ სარეგისტრაციო დოკუმენტებში, საჭიროებს რეგისტრაციას. ა(ა)იპ-ების/უცხო ქვეყნის ა(ა)იპ-ის ფილიალების (წარმომადგენლობითი

ოფისების) შესახებ რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებები უნდა დარეგისტრირდეს მეწარმე იურიდიული პირების/ფილიალების (წარმომადგენლობითი ოფისების) რეგისტრაციის წესის შესაბამისად.

საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის 20¹-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, ა(ა)იპ-ი და უცხო ქვეყნის ა(ა)იპ-ის ფილიალი (წარმომადგენლობითი ოფისი) წარმოშობილად, რეგისტრირებული მონაცემები შეცვლილად, რეგისტრაცია შეწყვეტილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტიდან. რეგისტრაციის შედეგად მარეგისტრირებელი ორგანო ამზადებს ამონაწერს. აღნიშნულის მსგავსად, “მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის” მე-5 მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, არაკომერციული იურიდიული პირი წარმოშობილად ითვლება რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ. მე-14 მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შედის სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნების შემდგომ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, თუ:

- მოთხოვნილია იმგვარი რეგისტრაცია, რომელიც არ ექვემდებარება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციას;
- წარმოდგენილია უფლებამოსილი პირის/ორგანოს კანონიერ ძალაში შესული სამართლებრივი აქტი, რომელიც ითვალისწინებს სააგენტოს მიერ რეგისტრაციაზე უარის თქმას;
- სარეგისტრაციო წარმოებისას დადგენილი ხარვეზი არ იქნა აღმოფხვრილი შესაბამის ვადაში;
- სარეგისტრაციო მოთხოვნა უკვე რეგისტრირებული მონაცემების იდენტურია;
- არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში განმცხადებელს, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, უბრუნდება სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაცია, გარდა მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტისა.

სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს აქვს სახელწოდება, რომელშიც აღინიშნება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისადმი მისი კუთვნილება. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებაში არ შეიძლება, გამოყენებულ იქნეს ისეთი გრაფიკული სიმბოლოები, რომელთაც არ აქვთ ენობრივი ნორმებით დადგენილი ბგერითი ან სიტყვიერი შესატყვისი, ასევე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული იურიდიული პირისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმებისათვის დამახასიათებელი აღნიშვნები. ამასთანავე, სახელწოდებას არ უნდა ერთოდეს რაიმე ისეთი დამატება, რომელმაც შეიძლება, შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირი ან/და გამოიწვიოს შეცდომა ან/და გაუგებრობა სუბიექტის ფორმისა თუ საქმიანობის გამო. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდება არ შეიძლება, ემთხვეოდეს უკვე რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებას. პირი, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ სარგებლობს სხვა იურიდიული პირის სახელწოდებით, ვალდებულია, უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე შეწყვიტოს ასეთი სარგებლობა და აანაზღაუროს მართლსაწინააღმდეგოდ სარგებლობით გამოწვეული ზიანი.

სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლი არეგულირებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი/წევრი უფლებამოსილია, ერთ პირს მიანიჭოს საქმეების ერთპიროვნულად გაძღოლის უფლებამოსილება ან/და დააწესოს ორი ან ორზე მეტი პირის ერთობლივი ხელმძღვანელობა

ან/და წარმომადგენლობა. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. თუ სარეგისტრაციო დოკუმენტაციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებასაც. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა მოწესრიგდეს მისი წესდებით (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმებით), რომელიც საჭიროებს სათანადო წესით დამოწმებას.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს (სამოქალაქო კოდექსის 36-ე მუხლი).

რაც შეეხება ზიანის ანაზღაურებას, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მიადგა მესამე პირებს ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მიერ დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას ისეთი მოქმედების გამო, რომელიც იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირს რეგისტრაციის შესახებ განცხადებით განსაზღვრავენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლები/წევრები. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:

- ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების მიღწევას;
- ბ) გასხვისება ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;
- გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

აკრძალულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება მის დამფუძნებლებს/წევრებს, ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის. თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებმა/წევრებმა არ განსაზღვრეს მისი ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორებიც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი იურიდიული პირი (პირები) არ არსებობს ან ასეთი იურიდიული პირის (პირების) გამოვლენა შეუძლებელია, შეიძლება, მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ აღნიშნული ქონება შეიძლება, გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

რაც შეეხება დაფინანსებას, დაფინანსების ძირითადი წყარო არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის არის გრანტები. გრანტების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 პუნქტის “დ” ქვეპუნქტის თანახმად

(331, 28/06/1996, გამოქვეყნების წყარო: პარლამენტის უწყებანი, 19-20, 30/07/1996), გრანტის მიმღები შეიძლება იყოს საქართველოს რეზიდენტი ან არარეზიდენტი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, მისი წარმომადგენლობა, ფილიალი, განყოფილება. ამავე კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გრანტი არის გრანტის მიმცემის (დონორის) მიერ გრანტის მიმღებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო განვითარებისა და სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის.

გრანტების შესახებ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გრანტის გამცემი (დონორი) შეიძლება, იყოს:

- ა) საერთაშორისო საქველმოქმედო, ჰუმანიტარული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია (მათ შორის საერთაშორისო სპორტული ასოციაცია, ფედერაცია და კომიტეტი), საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტი, უცხო ქვეყნის მთავრობა ან მისი წარმომადგენლობა, აგრეთვე უცხოეთის სამეწარმეო (თუ გრანტის მიმღები არის სახელმწიფო ან საქართველოს მთავრობა) ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;
- ბ) საქართველოს ის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის ძირითადი საწესდებო მიზანია ქონების დაცვა და შენახვა საქველმოქმედო, სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი ან საზოგადოებრივად სასარგებლო სხვა საქმიანობის ხელშეწყობისათვის;
- გ) საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის წესდების/დებულების მიზანია: განათლების სფეროში სწავლა-სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად გრანტების გაცემა; სწავლასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად გრანტების გაცემა; სამეცნიერო გრანტების გაცემა; ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეების ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის გრანტების გაცემა; ახალგაზრდული და საზოგადოებრივი პროექტების დასაფინანსებლად გრანტების გაცემა; იძულებით გადაადგილებულ პირთა — დევნილთა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებისადმი დაქვემდებარებულ ოჯახთა (ეკომიგრანტთა) სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის მიზნით, მათთვის საარსებო წყაროების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად გრანტების გაცემა; საქართველოში განხორციელებული რეფორმებისა და ინოვაციების პოპულარიზაცია და საერთაშორისო საზოგადოებაში მათი დამკვიდრების ხელშეწყობა; საქართველოს პარტნიორი ქვეყნების მთავრობებისათვის განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და მდგრადი განვითარების სფეროებში, ბუნებრივი და ადამიანის ზემოქმედებით გამოწვეული კატასტროფების შედეგების აღმოფხვრაში დახმარების გაწევა; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიმართ სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება;
- დ) საქართველოს სამინისტრო; საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროები.

იმ შემთხვევაში, როდესაც გრანტის გაცემას ახდენს საქართველოს სამინისტრო ან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროები, გრანტის გაცემის შესახებ დოკუმენტის პროექტს მის გაფორმებამდე საქართველოს შესაბამისი სამინისტრო განსახილველად წარუდგენს საქართველოს მთავრობას, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტრო — აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამის მთავრობას, გრანტის გაცემის მიზნის, გრანტის

მოცულობისა და სახსრების გამოყენების კონკრეტული მიმართულების წინასწარი შეფასებისათვის (მე-3 მუხლის მეორე პუნქტი).

მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გრანტის გაცემის სამართლებრივი საფუძველია წერილობითი ხელშეკრულება გრანტის გამცემსა (დონორსა) და გრანტის მიმღებს შორის. გრანტი გამოიყენება მხოლოდ ხელშეკრულებაში აღნიშნული მიზნებისათვის. სხვა მიზნებისათვის გრანტის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ გრანტის გამცემის (დონორის) თანხმობით.

მე-6 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, სხვადასხვა ქვეყნის რეზიდენტ პირთა ან მოქალაქეთა შორის წამოჭრილი დავა მოურიგებლობის შემთხვევაში წყდება იმ ქვეყნის სასამართლო წესით, რომელსაც მხარეები წინასწარ აირჩევენ. თუ ამგვარი შეთანხმება ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული, დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით. მე-7 მუხლის თანახმად, გრანტის დაბეგვრის წესი განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ მთავრობის დადგენილების 1¹ მუხლის თანახმად (№126, 14/03/2011; გამოქვეყნების წყარო: ვებგვერდი, 110317010, 18/03/2011; ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 13/03/2014), თუ საქართველოს სამინისტროს მიერ ფულადი ან ნატურალური სახით გასაცემი გრანტის ოდენობა აღემატება 50,000 ლარს, გრანტის გაცემამდე შესაბამისმა სამინისტრომ დოკუმენტის პროექტი მის გაფორმებამდე ფინანსთა სამინისტროს დასკვნასთან ერთად განსახილველად უნდა წარუდგინოს საქართველოს მთავრობას, გრანტის მიღების მიზნის, მოცულობისა და სახსრების გამოყენების კონკრეტული მიმართულების წინასწარი შეფასების მიზნით. თუ გასაცემი გრანტის ოდენობა არ აღემატება 50,000 ლარს, სამინისტრო უფლებამოსილია, გრანტი გასცეს პრემიერმინისტრის წინასწარი თანხმობით. თითოეული სამინისტროსათვის გრანტის სახით გასაცემი სახსრების ჯამური ლიმიტი არ უნდა აღემატებოდეს მისთვის დამტკიცებული ასიგნებების 1%-ს, თუმცა, საქართველოს მთავრობას შეუძლია, ამ წესიდან გამონაკლისი დაადგინოს.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს კანონის (№1028, 31/10/1997, გამოქვეყნების წყარო: პარლამენტის უწყებანი, 45, 21/11/1997, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 21/07/2018) 30¹-ე მუხლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გადარიცხება თანხა ფონდში, რომლის მიზანია პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა. ფონდის ფუნქციებს ახორციელებს საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი (სწავლების ცენტრი) – საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს საარჩევნო კოდექსის საფუძველზე არის შექმნილი (საარჩევნო კოდექსის მე-17 მუხლი).

თანხა, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფონდს გადაეცემა, უნდა იყოს პარტიებზე პირდაპირ გასანაწილებელი თანხის ნახევარი. ფონდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის გადარიცხვა განხორციელდება ყოველკვარტალურად. ფონდში თანხების მოზიდვა შესაძლებელია სხვა წყაროებიდანაც. ფონდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხის 50% უნდა განაწილდეს პარტიებზე, ხოლო 50% – არასამთავრობო ორგანიზაციებზე. ფონდიდან პარტიებისთვის გამოყოფილი თანხა ნაწილდება მათ მიერ მისაღები საბაზო დაფინანსების პროპორციულად. ფონდიდან თანხა გაცივება მხოლოდ კვლევების, სწავლების, კონფერენციების, მივლინებების, რეგიონული პროექტების, ამომრჩეველთა სამოქალაქო და საარჩევნო განათლების პროექტების დაფინანსების მიზნით.

არასამთავრობო ორგანიზაციებზე გრანტები უნდა გაცივდეს მხოლოდ პარტიების განვითარების ხელშეწყობისა და ამომრჩეველთა სამოქალაქო განათლების მიზნით წარდგენილი პროექტების საფუძველზე. ერთ

არასამთავრობო ორგანიზაციაზე გასაცემი თანხა არ უნდა აღემატებოდეს არასამთავრობო სექტორზე გასანაწილებელი თანხის 10%-ს. არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტების განხილვისას ცენტრის საქმიანობაში სათათბირო ხმის უფლებით უნდა მონაწილეობდეს სულ მცირე 3 საერთაშორისო ორგანიზაციის ან შესაბამისი გამოცდილების მქონე უცხოური ფონდის წარმომადგენელი.

თუ პარტიები ან არასამთავრობო სექტორი ვერ გამოიყენებენ ამ ფონდიდან მათთვის გასაცემ თანხას, ეს თანხა გასანაწილებლად გადავა მომდევნო წელს. ცენტრალური საარჩევნო კომისიის N7/2012 დადგენილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საარჩევნო სისტემების განვითარების რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ (N7/2012, 03/02/2012, გამოქვეყნების წყარო: ვებგვერდი, 06/02/2012, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 05/02/2018) არეგულირებს არასამთავრობო ორგანიზაციებზე გრანტების გაცემისა და ხარჯების მონიტორინგის პროცედურებს (დებულების დანართი N3).

დანართი N3-ის მე-16 მუხლის თანახმად, საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარების კონტროლს ახორციელებს სწავლების ცენტრის დირექტორის ბრძანებით შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი, ხოლო საგრანტო თანხის საგრანტო პროექტის ბიუჯეტის შესაბამისად ხარჯვასთან დაკავშირებით ფინანსური და ბუღალტრული ექსპერტიზის ჩატარებას უზრუნველყოფს სწავლების ცენტრის მიერ მოწვეული შესაბამისი უფლებამოსილი პირი/ორგანო. მონიტორინგი ხორციელდება შემაჯამებელი მონიტორინგის ფორმით. მონიტორინგი შესაძლებელია, განხორციელდეს აგრეთვე შუალედური მონიტორინგის ფორმით საგრანტო თანხის ეტაპობრივი გაცემის შემთხვევაში. არასამთავრობო ორგანიზაციის საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარების კონტროლი ხორციელდება გასვლითი შემოწმებებისა ან/და არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ წარდგენილი შუალედური/შემაჯამებელი ანგარიშის საფუძველზე. გასვლითი შემოწმება გულისხმობს მონიტორინგის ჯგუფის უფლებას, დაესწროს საგრანტო პროექტით განსაზღვრულ ღონისძიებებს. აღნიშნულთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაცია ვალდებულია, სწავლების ცენტრს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პერიოდულობით წარუდგინოს დაგეგმილი ღონისძიებების გრაფიკი მათი შინაარსის, პასუხისმგებელი პირის მონაცემების (სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი), განხორციელების ადგილისა და დროის მითითებით. მონიტორინგის ჯგუფი ღონისძიებების გრაფიკის შესახებ ინფორმაციას ელექტრონული შეტყობინების ფორმით აცნობებს კომისიისა და ცესკოს წევრებს.

შუალედური მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაცია ვალდებულია, საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პერიოდულობით სწავლების ცენტრს წარუდგინოს შუალედური ანგარიში (ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით (CD)), რომელშიც გაწერილი უნდა იყოს: ა) შესაბამისი პერიოდისათვის განხორციელებული კონკრეტული ღონისძიებები, მათი ჩატარების კონკრეტული დროისა და ადგილის მითითებით, განხორციელებული სამუშაოები, გამოყენებული მასალები (ნაბეჭდი ან/და აუდიო-ვიდეო-ფოტომასალა); ბ) დარჩენილი პერიოდის საქმიანობის დეტალური გეგმა.

შემაჯამებელი მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაცია ვალდებულია, საგრანტო პროექტის დასრულებიდან არა უგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში სწავლების ცენტრს წარუდგინოს შემაჯამებელი ანგარიში (ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით (CD)), რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 20 გვერდს და მასში გაწერილი უნდა იყოს: ა) პროექტით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულების ანალიზი; ბ) პროექტის ეფექტი (მიღწეული შედეგები); გ) პროექტის სამიზნე ჯგუფი, ვინც მონაწილეობდა პროექტში; დ) პროექტის ფარგლებში განხორციელებული კონკრეტული ღონისძიებები; ე) ნაბეჭდი მასალა, აუდიო-ვიდეო-ფოტო ან სხვა მასალები, რომლებიც შეიქმნა პროექტის განხორციელების შედეგად (ასეთის არსებობისას); ვ) შემაჯამებელი გარემოებები (ასეთის არსებობისას) და გადაჭრის გზები; ზ) პროექტის განხორციელებისას მიღებული დახმარებები (ასეთის არსებობისას) მიუთითება დახმარების ფორმა, ორგანიზაციების დასახელებები; თ) ფინანსური ანგარიში. შემაჯამებელ

ანგარიშს არასამთავრობო ორგანიზაციამ უნდა დაურთოს მისთვის გადაცემული თანხის ხარჯვის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტაციის ასლები 2 ეგზემპლარად. არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ამ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მონიტორინგის ჯგუფი არასამთავრობო ორგანიზაციას ელექტრონულ მისამართზე შეტყობინების გაგზავნის ფორმით განუსაზღვრავს ვადას არანაკლებ 2 სამუშაო დღისა შესაბამისი ვალდებულების შესასრულებლად.

მე-17 მუხლის თანახმად, საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარებაზე განხორციელებული კონტროლის, ასევე საგრანტო პროექტის ფინანსური და ბუღალტრული ექსპერტიზის შედეგების შესახებ ინფორმაციას/ანგარიშს მონიტორინგის ჯგუფი წარუდგენს სწავლების ცენტრის დირექტორსა და კომისიას. დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, დარღვევის შინაარსიდან გამომდინარე, კომისია უფლებამოსილია, არასამთავრობო ორგანიზაციის მიმართ მიიღოს გადაწყვეტილება მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით.

მე-18 მუხლის თანახმად, საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, არასამთავრობო ორგანიზაციის მიმართ მიიღოს ქვემოთ განსაზღვრული შესაბამისი გადაწყვეტილება: ა) გაფრთხილების შესახებ; ბ) მიმდინარე საგრანტო პროექტის შეწყვეტის ან/და საგრანტო თანხის ნაწილობრივ ან სრულად უკან დაბრუნების მოთხოვნის შესახებ; გ) საგრანტო თანხის ნაწილობრივ ან სრულად უკან დაბრუნების მოთხოვნის შესახებ.

კომისიის გადაწყვეტილება მტკიცდება სწავლების ცენტრის დირექტორის ბრძანებით. აღნიშნული ბრძანება შეიძლება, გასაჩივრდეს ცესკოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სწავლების ცენტრის დირექტორის ბრძანების გასაჩივრება არ აჩერებს გასაჩივრებული აქტის მოქმედებას.

ეს ერთ-ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ ხორციელდება მონიტორინგი სახელმწიფოს მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების შემთხვევაში. ამასთან, მართალია, ყველა სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც გრანტებს გასცემს, მსგავს მეთოდებსა და პროცედურებს იყენებს, არ არსებობს მონიტორინგისა და ანგარიშების ერთიანი პრაქტიკა²⁷³ ან რაიმე სამართლებრივი აქტი, რომელიც კონკრეტულად ამ საკითხს არეგულირებს. ასევე, განსხვავდება არასამთავრობო ორგანიზაციებზე სანქციების დაკისრების მეთოდები სახსრების არამიზნობრივად განკარგვის შემთხვევაში.²⁷⁴

არასამთავრობო ორგანიზაციები გადასახადებს განხორციელებული საქმიანობის შესაბამისად იხდიან. გადასახადებით დაბეგრის საკითხი, ძირითადად, საქართველოს საგადასახადო კოდექსით რეგულირდება (№3591, 17/09/2010, გამოქვეყნების წყარო: საკანონმდებლო მაცნე, 54, 12/10/2010, ბოლოს განხორციელებული ცვლილებები: 21/07/2018) და ამ საკითხს ცალკე საკანონმდებლო აქტი არ არეგულირებს.

საგადასახადო კოდექსის 66-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საგადასახადო რეგისტრაცია (აღრიცხვა) ხორციელდება იურიდიული მისამართის (ადგილსამყოფლის) მიხედვით.

ამავე კანონის 63-ე მუხლის მეხუთე პუნქტის თანახმად, გრანტის მიმღებ პირს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ყიდულობს გრანტის ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულ საქონელს ან/და ამავე საწყისებზე იღებს მომსახურებას, უფლება აქვს, ამ მუხლით დადგენილი წესით ჩაითვალოს ან დაიბრუნოს ამ საქონლისათვის/მომსახურებისათვის გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოში საგადასახადო ანგარიშგაქტურის ან უკუდაბეგრისას ბიუჯეტში დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე.

273. სახელმწიფოს მიერ სამოქალაქო სექტორის დაფინანსება: საქართველოს რეალობა და პერსპექტივები, 2018, გვ.15. ხელმისაწვდომია: <http://www.epfound.ge/wp-content/uploads/2018/11/Report-CSO-Public-Funding-Final.pdf>

274. იქვე.

აშშ-ს დახმარების პროგრამების ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციებზე გაცემული გრანტები დღგ-სა და სხვა გადასახადებისგან (სააქციზო გადასახადი; საიმპორტო გადასახადი) თავისუფალია, საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის ჰუმანიტარული და ტექნიკური ეკონომიკური დახმარების ხელშეწყობისათვის თანამშრომლობის თაობაზე ხელშეკრულების შესაბამისად (31/07/1992; გამოქვეყნების თარიღი: 31/12/1997). აღნიშნულის მსგავსად, ევროკავშირის მიერ არასამთავრობო ორგანიზაციებზე გაცემული გრანტები დღგ-სა და სხვა გადასახადებისგან (სააქციზო გადასახადი, საიმპორტო გადასახადი) თავისუფალია საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირის კომისიას შორის ჩარჩო შეთანხმების საფუძველზე (18/06/2007; გამოქვეყნების თარიღი: 17/03/2009).

85

შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება ექვემდებარება თუ არა შეზღუდვას და რა შემთხვევაში? რომელი ორგანო აწესებს ასეთ შეზღუდვებს?

საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, “გაერთიანების ლიკვიდაცია შეიძლება, მხოლოდ ამავე გაერთიანების ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით” (№783, 24/08/1995, გამოქვეყნების წყარო: პარლამენტის უწყებანი, 31-33, 24/08/1995, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 23/03/2018 ძალაში შევა 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე, სასამართლო მარეგისტრირებელი ორგანოს ან/და დაინტერესებული პირის სარჩელის საფუძველზე განიხილავს და წევვებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის საკითხს. სასამართლოს მიერ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მარეგისტრირებელმა ორგანომ უნდა გააუქმოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაცია.

საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ კანონი (1103, 14/10/1997, გამოქვეყნების წყარო: პარლამენტის უწყებანი, 46, 03/12/1997, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 14/12/2006) არეგულირებს არასამეწარმეო იურიდიული პირების, პროფკავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობის შეჩერებასა და აკრძალვას. სამოქალაქო კოდექსის მსგავსად, აღნიშნული კანონი ადგენს, რომ საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება და აკრძალვა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

ორგანული კანონის მე-3 მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია, 3 თვემდე ვადით შეაჩეროს იმ საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობა, რომელიც არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე. სასამართლოს მიერ საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობის შეჩერების ვადის გასვლის შემდეგ საზოგადოებრივი გაერთიანება კვლავ აგრძელებს საქმიანობას.

მე-4 მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია, აკრძალოს საზოგადოებრივი გაერთიანება, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამცობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირება, ან სასამართლოს მიერ მისი საქმიანობის შეჩერების შემდეგ განაახლებს სა-

მეწარმეო საქმიანობას. საზოგადოებრივი გაერთიანებისათვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან მისი ლიკვიდაცია შეიძლება საზოგადოებრივი გაერთიანების მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე. სასამართლოს გადაწყვეტილება საზოგადოებრივი გაერთიანების შეჩერების ან აკრძალვის შესახებ შეიძლება, გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პრობლემა:

არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შეზღუდვასთან დაკავშირებით პრობლემები კანონმდებლობაზე მეტად პრაქტიკას უკავშირდება. კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და, განსაკუთრებით, იმ მიუკერძოებელ და მაღალი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციებზე, რომლებიც მუშაობენ დემოკრატიისა და სასამართლო რეფორმების, ასევე ადამიანის უფლებების დაცვისა და არჩევნების კუთხით, რეგულარულად ხორციელდება თავდასხმები იმ შემთხვევაში, თუ მათი რეკომენდაციები ან კრიტიკა მმართველი პარტიისთვის მიუღებელია. თავდასხმები და მადისკრედიტებელი განცხადებები, როგორც წესი, ისეთი მაღალი რანგის საჯარო მოხელეების მიერ კეთდება, როგორებიც არიან პრემიერმინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე და პარლამენტის სხვა წევრები მმართველი პარტიიდან, თბილისის მერი და ა.შ.

მაგალითად, ქვეყანაში უკანონო მოსმენების წინააღმდეგ არასამთავრობო ორგანიზაციების კამპანიასთან დაკავშირებით 2014 წლის მაისში საქართველოს პრემიერმინისტრმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ ეს არასამთავრობო ორგანიზაციები ფულს ქვეყნის იმიჯის დასაზიანებლად ხარჯავენ, ხოლო მათი კამპანია, რომ ქვეყანაში არსებობს უკანონო მოსმენები, ქვეყნის წინააღმდეგ არის მიმართული. მან კამპანიის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა ქვეყნისათვის ძირგამომთხრელ საქმიანობად შეაფასა.²⁷⁵ ამ განცხადების შემდგომ, ყოფილმა პრემიერმინისტრმა და ქვეყნის არაფორმალურმა მმართველმა, ბიძინა ივანიშვილმა, ასევე გააკეთა რამდენიმე მადისკრედიტებელი განცხადება არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ. კერძოდ, იგი წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაესხა თავს და დაადანაშაულა ოპოზიციურ პარტიასთან კავშირში. ერთ-ერთ განცხადებაში მან არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერების შესახებ მაკომპრომიტირებელი მასალების გამოქვეყნებაზეც ისაუბრა. ეს განცხადებები არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეფასდა, როგორც სამოქალაქო სექტორზე ზეწოლა. აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ იმავე რიტორიკის გამოყენებისკენ სხვა საჯარო მოხელეებსაც უბიძგებს, რაც წარსულში არაერთხელ მომხდარა.²⁷⁶

რეკომენდაციები:

სახელმწიფო მოხელეებმა უნდა შეწყვიტონ არასამთავრობო ორგანიზაციებზე თავდასხმა და მათი შევიწროება. მათი დისკრედიტაციისა და რეპუტაციის შეზღუდვის ნაცვლად, სახელმწიფო მოხელეები სამოქალაქო საზოგადოებას პატივისცემით უნდა ექცეოდნენ, როგორც ეს დემოკრატიულ და პლურალისტულ საზოგადოებას სჩვევია.

275. კამპანიაში „ეს შენ გეხება“ ჩართული ორგანიზაციები პრემიერმინისტრის განცხადების გამო უკიდურეს შემოფოტებას გამოხატავენ, 2014 წლის 1 მაისი. ხელმისაწვდომია: <http://www.isfed.ge/main/582/eng/>

276. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულ ზეწოლაზე, 2015 წლის 2 თებერვალი. ხელმისაწვდომია: <https://idfi.ge/en/ngos-statement-about-governments-pressure>
განცხადება ივანიშვილის მიერ გვიგურისა და კოჭორიძის მისამართით გამოქვეყნულ მოსაზრებებზე, 2015 წლის 28 აპრილი. ხელმისაწვდომია: <http://www.isfed.ge/main/887/eng/>

86 რომელი დებულებები არეგულირებს პოლიტიკური პარტიების საქმიანობის შეწყვეტას? არსებობს რაიმე პრეცედენტული სამართალი ამ სფეროში?

საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური პარტიის შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს. დაუშვებელია პოლიტიკური პარტიის შექმნა ტერიტორიული ნიშნით. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, პოლიტიკური პარტიის აკრძალვა შეიძლება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით (№783, 24/08/1995, გამოქვეყნების წყარო: პარლამენტის უწყებანი, 31-33, 24/08/1995, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 23/03/2018 ძალაში შევა 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ).

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად (№1028, 31/10/1997; გამოქვეყნების წყარო: პარლამენტის უწყებანი, 45, 21/11/1997; ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 21/07/2018), “დაუშვებელია ისეთი პარტიის შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.” ორგანული კანონის მე-6 მუხლის თანახმად, “დაუშვებელია პარტიის შექმნა რეგიონული ან ტერიტორიული ნიშნის მიხედვით”.

ორგანული კანონის 35-ე მუხლის თანახმად, პარტიის აკრძალვა შეიძლება მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის 1 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის თანახმად (№95, 31/01/1996; გამოქვეყნების წყარო: პარლამენტის უწყებანი, 001, 27/02/1996; ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 21/07/2018), საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს პოლიტიკური პარტიის შექმნის, საქმიანობის კონსტიტუციურობისა და ამ პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი.

პოლიტიკური პარტიის შექმნის, საქმიანობისა და ამ პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის კონსტიტუციურობის შესახებ სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანის უფლება აქვს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მესუთედს ან საქართველოს მთავრობას (მუხლი 35). საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მოპასუხეები არიან შესაბამისი პოლიტიკური პარტია და მისი მარეგისტრირებელი ორგანო.

ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციის აქტის გაუქმებას (23-ე მუხლის მესამე პუნქტი).

პარტიის საქმიანობა შეიძლება, აგრეთვე შეწყდეს რეორგანიზაციის (შერწყმა, შეერთება, გაყოფა) ან თვითლიკვიდაციის საფუძველზე. პარტიის რეორგანიზაცია ხდება ყრილობის გადაწყვეტილებით, ხოლო რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი პარტიის (პარტიების) რეგისტრაცია — ამ კანონით დადგენილი წესით.

რორგანიზაციის შემთხვევაში პარტიის ქონების განაწილების საკითხს წყვეტს ყრილობა დადგენილი წესით. პარტიის თვითლიკვიდაცია ხდება ყრილობის გადაწყვეტილებით, წესდებით დადგენილი წესით.

პარტიის აკრძალვის ან თვითლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემა სახელმწიფო ხაზინას.

რაც შეეხება პრეცედენტულ სამართალს, საკონსტიტუციო სასამართლოში პოლიტიკური პარტიის აკრძალვასთან დაკავშირებით სარჩელი არ შესულა. შესაბამისად, ამ საკითხზე პრეცედენტული სამართალი არ არსებობს.

სოციალურად მოწყვალდი პირებისა და შუბ პირების დაცვა და არადისკრიმინაციის პრინციპი

87 წარმოადგინეთ ინფორმაცია კანონმდებლობის შესახებ, რაც სოციალურად მოწყვალდი პირებისა და შუბ პირების დაცვასა და არადისკრიმინაციის პრინციპს უბრუნველყოფს.

საქართველოს კონსტიტუციის 2017 წლის რედაქცია (გამოქვეყნების წყარო, თარიღი – პარლამენტის უწყებანი, 31–33, 24/08/1995; კონსოლიდირებული პუბლიკაციები – 23/03/2018) მამაკაცებისა და ქალებისათვის თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს უბრუნველყოფს. ამასთან, სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის. საკონსტიტუციო ცვლილებების შესაბამისად, სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე. კონსტიტუციის მიხედვით სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობასა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უბრუნველყოფაზე. სახელმწიფო ხელს უწყობს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმის უბრუნველყოფის პირობები განისაზღვრება კანონით. კონსტიტუციის შესაბამისად, სახელმწიფო იცავს ოჯახის კეთილდღეობას. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.

ქვეყნის კონსტიტუციის მიხედვით მოქალაქეს აქვს უფლება, ისარგებლოს ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი და ქმედითი სამედიცინო დახმარების საშუალებით. კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო იცავს ოჯახის კეთილდღეობას და დედათა და ბავშვთა უფლებებს.

ახალი კონსტიტუციის 27-ე მუხლის შესაბამისად, ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება. სკოლამდელი აღზრდა და განათლება უბრუნველყოფილია კანონით დადგენილი წესით. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულად აფინანსებს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ, კანონით დადგენილი წესით სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული და უმაღლესი განათლება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის გადაწყვეტილების შესაბამისად არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი კანონი, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ზოგადი განათლების (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურები) მისაღებად გადასახადს უწესებდა. აღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ საჯარო სკოლაში სწავლა ყველა მოსწავლისათვის უფასოა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1212-ე მუხლის შესაბამისად (მიღების თარიღი – 26/06/1997; გამოქვეყნების წყარო, თარიღი – პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997; კონსოლიდირებული პუბლიკაციები – 31/10/2018), მშობლები მოვალენი არიან, არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები. კოდექსის 1206-ე მუხლის თანახმად, მშობლის

უფლებებისა და მოვალეობების ჩამორთმევა უკანასკნელი ზომია, რის შესახებაც გადაწყვეტილება გამოაქვს სასამართლოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ან 14 წელს მიღწეული ბავშვის ინიციატივით, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მშობელს, რომელიც სისტემატურად თავს არიდებს მშობლის მოვალეობების შესრულებას და არაჯეროვნად იყენებს მშობლის უფლებებს: ბავშვს უხეშად ექცევა, მასზე უარყოფით გავლენას ახდენს ამორალური საქციელით ან რომელიც ქრონიკული ალკოჰოლიკი ან ნარკომანია, ანდა რომელმაც ბავშვი ჩააბა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში (მათ შორის, მათხოვრობა, მაწანწალობა), ან მიატოვა ბავშვი – ჩამორთმევა მშობლის ყველა უფლება და მოვალეობა. ბავშვთა უფლებების შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ, იხილოთ 98-ე კითხვის პასუხად.

„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროსაბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია) საქართველოში 2017 წლის 1 სექტემბერს შევიდა ძალაში.

„ოჯახში ძალადობის შესახებ“ საქართველოს კანონს გადაერქვა სახელი და შემდეგნაირად ფორმულირდა: „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი (მიღების თარიღი – 25/05/2006; გამოქვეყნების წყარო, თარიღი – სსმ, 20, 09/06/2006; კონსოლიდირებული პუბლიკაციები – 05/07/2018). კანონი ძალადობისგან იცავს ქალებს, როგორც პირად ცხოვრებას ან ოჯახში, ისე – საზოგადოებრივ სივრცეში. ქალზე მოძალადე შესაძლოა, იყოს როგორც ოჯახის წევრი, ისე – უცხო პირი, რომელიც ქალის მიმართ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩადის ძალადობას. ძალადობის მსხვერპლ მამაკაცზე ამ კანონის მოქმედება მხოლოდ მაშინ ვრცელდება, თუ მოძალადე მსხვერპლის ოჯახის წევრია.

დეტალური ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის შესახებ შეგიძლიათ, იხილოთ 97-ე კითხვაზე პასუხად.

ინფორმაცია შშმ პირთა უფლებების თაობაზე მოცემულია მომდევნო კითხვაში. საქართველოს კანონის სოციალური დახმარების შესახებ (მიღების თარიღი – 29/12/2006; გამოქვეყნების წყარო, თარიღი – სსმ, 51, 31/12/2006; კონსოლიდირებული პუბლიკაციები – 05/07/2018) შესაბამისად, უსახლკარო პირი, რომელსაც არ აქვს მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილი. უსახლკარო პირთა რეგისტრაციაზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოა პასუხისმგებელი. სოციალური დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უსახლკარო პირებს უზრუნველყოფენ თავშესაფრით. უსახლკარო პირი უზრუნველყოფილია როგორც ღამის გასათევით, ისე – საკვებით. საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული წერილის (თარიღი: 20 სექტემბერი, 2018 წ.) თანახმად, თბილისში რეგისტრირებულია 1 715, ხოლო სამტრედიის მუნიციპალიტეტში (დასავლეთ საქართველო) – 119 უსახლკარო პირი.

პრობლემა

სოციალური დახმარების შესახებ კანონის თანახმად, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები საარსებო შემწეობას იღებენ. სოციალური დახმარების შესახებ კანონის მე-7 (2) მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობა ღატაკ ოჯახებს თანხას უხდის. თანხის მოცულობა დამოკიდებულია სოციალური მუშაკის მიერ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებაზე.

რეკომენდაცია

მთავრობამ უნდა გადადგას ნაბიჯები იმ დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოსაფხვრელად, რომელიც შშმ პირებს გადაუდებელი თავშესაფრით სარგებლობის შესაძლებლობას უზღუდავს.

საქართველოს მთავრობის დადგენილების №145 მე-6 (3) მუხლის (მიღების თარიღი - 28/07/2006; გამოქვეყნების წყარო, თარიღი - სსმ, 20, 09/06/2006; კონსოლიდირებული პუბლიკაციები - 30/03/2018) შესაბამისად, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საარსებო შემწეობის თვიური ოდენობა შემდეგნაირად განისაზღვრება:

1. ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 30001-ზე ნაკლებია - განისაზღვრება 60 ლარით (19.82 ევრო) ოჯახის ყველა წევრზე (სოციალური მომსახურების სააგენტოს სტატისტიკის მიხედვით 143 065 ადამიანი მიიღო ეს თანხა 2018 წლის სექტემბერში);
2. ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 30001 და მეტია, მაგრამ ნაკლებია 57001 ქულაზე - განისაზღვრება 50 ლარით (16.52 ევრო) ოჯახის ყველა წევრზე (სოციალური მომსახურების სააგენტოს სტატისტიკის მიხედვით 190 147 ადამიანი მიიღო ეს თანხა 2018 წლის სექტემბერში);
3. ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 57001 და მეტია, მაგრამ ნაკლებია 60001 ქულაზე - განისაზღვრება 40 ლარით (13.21 ევრო) ოჯახის ყველა წევრზე (სოციალური მომსახურების სააგენტოს სტატისტიკის მიხედვით 24 048 ადამიანი მიიღო ეს თანხა 2018 წლის სექტემბერში);
4. ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 60001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 65001 ქულაზე - განისაზღვრება 30 ლარით (9.01 ევრო) ოჯახის ყველა წევრზე (სოციალური მომსახურების სააგენტოს სტატისტიკის მიხედვით 40 853 ადამიანი მიიღო ეს თანხა 2018 წლის სექტემბერში);
5. ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 100001-ზე ნაკლებია - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 10 ლარით (3.30 ევრო) ოჯახის თითოეულ 16 წლამდე ასაკის წევრზე (სოციალური მომსახურების სააგენტოს სტატისტიკის მიხედვით 32 670 ადამიანი მიიღო ეს თანხა 2018 წლის სექტემბერში).

სოციალური მომსახურების სააგენტოს სტატისტიკის მიხედვით 2018 წლის სექტემბერში საარსებო შემწეობა 417 065 ადამიანი მიიღო.

სოციალურად მოწყვლადი პირებისა და შშმ პირების დაცვის საფუძველს რიგი მატერიალური და პროცესუალური კანონმდებლობა ქმნის. სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი ასეთია:

- „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი (მიღების თარიღი - 29/12/2006; გამოქვეყნების წყარო, თარიღი - სსმ, 51, 31/12/2006; კონსოლიდირებული პუბლიკაციები - 05/07/2018);
- „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონი (მიღების თარიღი - 02/05/1997; გამოქვეყნების წყარო, თარიღი - პარლამენტის უწყებანი, 21-22, 31/05/1997; კონსოლიდირებული პუბლიკაციები - 05/07/2018);
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებები ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებთან დაკავშირებით (მიღების თარიღი - 20/03/2015; გამოქვეყნების წყარო, თარიღი - matsne.gov.ge, 31/03/2015; კონსოლიდირებული პუბლიკაციები - 31.10.2018);
- „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“ საქართველოს კანონი (მიღების თარიღი - 20/03/2015; გამოქვეყნების წყარო, თარიღი - matsne.gov.ge, 31/03/2015; კონსოლიდირებული პუბლიკაციები - 05/07/2018);
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თავი XLV¹¹ (ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების მხარდაჭერის თაობაზე) (მიღების თარიღი - 20/03/2015; გამოქვეყნების წყარო, თარიღი - matsne.gov.ge, 31/03/2015; კონსოლიდირებული პუბლიკაციები - 31/10/2018);
- „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი (მიღების თარიღი - 14/07/2006; გამოქვეყნების წყარო, თარიღი - სსმ, 30, 27/07/2006; კონსოლიდირებული პუბლიკაციები - 05/07/2018);
- „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი (მიღების თარიღი - 10/12/1997; გამოქვეყნების წყარო, თარიღი - პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997; კონსოლიდირებული

- პუბლიკაციები - 05/07/2018);
- „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი (მიღების თარიღი - 05/05/2000; გამოქვეყნების წყარო, თარიღი - სსმ, 19, 25/05/2000; კონსოლიდირებული პუბლიკაციები - 05/07/2018);
 - „ბავშვთა ბუნებრივი კვების დაცვისა და ხელშეწყობის, ხელოვნური საკვების მოხმარების შესახებ“ საქართველოს კანონი (მიღების თარიღი - 09/09/1999; გამოქვეყნების წყარო, თარიღი - matsne.gov.ge, 08/10/2013; კონსოლიდირებული პუბლიკაციები - 20/09/2013);
 - „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონი (მიღების თარიღი - 04/05/2017; გამოქვეყნების წყარო, თარიღი - matsne.gov.ge, 24/05/2017; კონსოლიდირებული პუბლიკაციები - 20/09/2018);
 - „შემღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი (მიღების თარიღი - 14/06/1995; გამოქვეყნების წყარო, თარიღი - საქართველოს პარლამენტის უწყებები, 27-30, 14/06/1995; კონსოლიდირებული პუბლიკაციები - 23/03/2017);
 - „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონი (მიღების თარიღი - 07/12/2001; გამოქვეყნების წყარო, თარიღი - სსმ, 35, 26/12/2001; კონსოლიდირებული პუბლიკაციები - 05/07/2018);
 - „შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №1/ ნ ბრძანება (მიღების თარიღი - 13/01/2003; გამოქვეყნების წყარო, თარიღი - სსმ, 9, 20/01/2003; კონსოლიდირებული პუბლიკაციები - 26/07/2013);
 - „შემღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების“ გაეროს კონვენცია (რეატიფიცირებული საქართველოს პარლამენტის მიერ 2013 წლის 26 დეკემბერს; გამოქვეყნების წყარო, თარიღი - matsne.gov.ge, 02/05/2014; სარეგისტრაციო კოდი: 480610000.03.030.016244);
 - „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი (მიღების თარიღი - 23/12/2005; გამოქვეყნების წყარო, თარიღი - სსმ, 56, 28/12/2005; კონსოლიდირებული პუბლიკაციები - 05/07/2018);
 - „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი (მიღების თარიღი - 21/07/2018; გამოქვეყნების წყარო, თარიღი - matsne.gov.ge, 06/08/2018; სარეგისტრაციო კოდი - 280060000.05.001.019066);
 - „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონი (მიღების თარიღი - 27/12/2005; გამოქვეყნების წყარო, თარიღი - სსმ, 56, 28/12/2005; კონსოლიდირებული პუბლიკაციები - 31/10/2018);
 - „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონი (მიღების თარიღი - 16/10/1996; გამოქვეყნების წყარო, თარიღი - პარლამენტის უწყებანი, №27-28/4, 21/11/1996; კონსოლიდირებული პუბლიკაციები - 31/10/2018);
 - „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი (მიღების თარიღი - 27/12/1996; გამოქვეყნების წყარო, თარიღი - პარლამენტის უწყებანი, 1-2(33-34), 22/01/1997; კონსოლიდირებული პუბლიკაციები - 05/07/2018);
 - „ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონი (მიღების თარიღი - 30/04/1999;

გამოქვეყნების წყარო, თარიღი – სსმ, 56, 28/12/2005; კონსოლიდირებული პუბლიკაციები – 23/12/2005);

- „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი (მიღების თარიღი – 08/04/2005; გამოქვეყნების წყარო, თარიღი – სსმ, 20, 04/05/2005; კონსოლიდირებული პუბლიკაციები – 20/09/2018);
- „უმადლეი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი (მიღების თარიღი – 21/12/2004; გამოქვეყნების წყარო, თარიღი – სსმ, 2, 10/01/2005; კონსოლიდირებული პუბლიკაციები – 20/09/2018);
- „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი (მიღების თარიღი – 20/09/2018; გამოქვეყნების წყარო, თარიღი – matsne.gov.ge, 09/10/2018);
- „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი (მიღების თარიღი – 08/06/2016; გამოქვეყნების წყარო, თარიღი – matsne.gov.ge, 24/06/2016; კონსოლიდირებული პუბლიკაციები – 20/09/2018);
- „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №601 დადგენილება (მიღების თარიღი – 29/12/2017; გამოქვეყნების წყარო, თარიღი – matsne.gov.ge, 29/12/2017; კონსოლიდირებული პუბლიკაციები – 29/12/2017);
- საქართველოს შრომის კოდექსი (მიღების თარიღი – 17/12/2010; გამოქვეყნების წყარო, თარიღი – სსმ, 75, 27/12/2010; კონსოლიდირებული პუბლიკაციები – 05/09/2018);
- პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი (მიღების თარიღი – 08/05/2012; გამოქვეყნების წყარო, თარიღი – matsne.gov.ge, 25/05/2012; კონსოლიდირებული პუბლიკაციები – 31/10/2018);
- „შენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №57 დადგენილება (მიღების თარიღი – 24/03/2009; გამოქვეყნების წყარო, თარიღი – სსმ, 38, 27/03/2009; კონსოლიდირებული პუბლიკაციები – 16/02/2018);
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (მიღების თარიღი – 26/06/1997; გამოქვეყნების წყარო, თარიღი – პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997; კონსოლიდირებული პუბლიკაციები – 31/10/2018).

88

რა ნაბიჯებია გადადგმული ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, სქესის, რასის, კანის ფერის, გენეტიკური მახასიათებლების, ენის, რელიგიის ან რწმენის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ქონებრივი, დაბადების ადგილის, შებდუდული შესაძლებლობის, ასაკის ან სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის ასაკრძალად?

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის ახალი რედაქცია ყველა ადამიანის სამართლის წინაშე თანასწორობას უზრუნველყოფს. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით. 2018 წლის ბოლოს ამოქმედებული საკონსტიტუციო ცვლილებების შესაბამისად, დისკრიმინაციისაგან დაცული საფუძვლების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. ამავე ცვლილებების მიხედვით დისკრიმინაცია აკრძალულია ნებისმიერი იმ ნიშნითაც, რაც პირდაპირ არ არის მოხსენიებული კონსტიტუციაში.

მიუხედავად იმისა, რომ 1995 წლიდან დაცული საფუძვლების ჩამონათვალი ამომწურავი იყო, საკონსტიტუციო სასამართლო თანასწორობის უფლებას ფართოდ განმარტავდა. 2008 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ კონსტიტუციის მე-14 მუხლი (2018 წლის ბოლომდე მოქმედი რედაქცია) დისკრიმინაციას ასევე კრძალავდა ისეთი საფუძვლით, რაც არ იყო კონსტიტუციით განსაზღვრული. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში არაფერია ნათქვამი დისკრიმინაციის აკრძალვაზე სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, თუმცა, 2014 წელს სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება, რომელიც ჰომოსექსუალ მამაკაცებს სისხლის დონორობას უკრძალავდა. სასამართლომ ამ საქმეში დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დაადგინა.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, ყველა ადამიანს აქვს აზრისა და მისი გამოხატვის, რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის, რწმენის, აღმსარებლობის ან სინდისის გამო. კონსტიტუციის 19-ე მუხლის მე-2 პუნქტის (2018 წლის ბოლომდე მოქმედი რედაქცია) თანახმად, ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი (2018 წლის ბოლომდე მოქმედი რედაქცია) აღიარებს და უზრუნველყოფს საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებას. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების პირობებში. საკუთრებაზე უფლების შეზღუდვისას არ უნდა შეილახოს ამ უფლების არსი. კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი (2018 წლის ბოლომდე მოქმედი რედაქცია) სახელმწიფოს კერძო საკუთრების იძულებით ჩამორთმევის უფლებას აძლევს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების არსებობის შემთხვევაში. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი წესების შესაბამისად. პირისათვის, რომელსაც საკუთრება ჩამოართვეს, გარანტირებულია სრული და სამართლიანი ანაზღაურება.

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონში (მიღების თარიღი - 26/03/2010; გამოქვეყნების წყარო, თარიღი - სსმ, 18, 12/04/2010; კონსოლიდირებული ვერსია - 19/02/2019) ტერმინი „გენდერი“ განიმარტება, როგორც სქესთა შორის ურთიერთობის სოციალური ასპექტი, რომელიც გამოხატულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და გულისხმობს სოციალიზაციით განპირობებულ შეხედულებებს ამა თუ იმ სქესზე. კანონი ასევე განმარტავს „გენდერულ თანასწორობას“, როგორც ადამიანის უფლებათა ნაწილს, რომელიც გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობასა და თანასწორუფლებიან მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. კანონი მკაფიოდ კრძალავს სქესის ნიშნით როგორც პირდაპირ, ისე ირიბ დისკრიმინაციას. კანონი ხელისუფლებას საშუალებას აძლევს, მიიღოს სპეციალური ზომები, რაც მიზნად ისახავს დისკრიმინაციული შედეგების გამოსწორებას და მიმართულია პირთა წრისადმი, რომელიც საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას გენდერული თავისებურებებიდან გამომდინარე. „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონის შესაბამისად თანასწორობის დაცვის მიზნით დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოფილია: განათლების მიღების თანაბარი ხელმისაწვდომობა და განათლების თავისუფალი არჩევანი სწავლების ყველა ეტაპზე; ბავშვებთან დაკავშირებული საკითხები; გენდერული კუთვნილების მიუხედავად ადამიანების შესაძლებლობა, იყვნენ ბავშვთა მეურვეები, მზრუნველები, რწმუნებულები, მშვილებლები. ასევე გარანტირებულია გენდერული კუთვნილების მიუხედავად თანასწორობა პროფესიის ან სამუშაოს სახეობის თავისუფლად არჩევის უფლებით, თანამდებობრივი დაწინაურების, ასევე პროფესიული მომზადება/გადამზადების უფლებით სარგებლობისას. გენდერული ნიშნით თანასწორობა გარანტირებულია სოციალური უზრუნველყოფის უფლებით სარგებლობის შემთხვევაში ავადმყოფობისას და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენისა და ჯანმრთელობის დაცვისას.

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით ოფიციალურ სტატისტიკურ ანგარიშებში შეიტანება სქესის ნიშნით განცალკევებული მონაცემები.

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონი ასევე კრძალავს როგორც პირის შევიწროებას, ისე – სექსუალურ შევიწროებას. „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი კრძალავს სქესის ნიშნით პირის დევნას, იძულებას ან/და პირის მიმართ არასასურველ ქცევას, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაზინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას შრომითი ურთიერთობისას. ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი კრძალავს სექსუალური ხასიათის ნებისმიერ არასასურველ სიტყვიერ, არასიტყვიერ ან ფიზიკურ ქცევას, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაზინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას შრომითი ურთიერთობისას.

პრობლემა

გენდერული თანასწორობის კანონი არ კრძალავს შევიწროებას და სექსუალურ შევიწროებას შრომითი ურთიერთობების მიღმა. კანონი არ ითვალისწინებს კონკრეტულ სასჯელს შევიწროების ან სექსუალური შევიწროების ჩამდენათათვის.

რეკომენდაცია

საქართველოს პარლამენტმა დაადგინოს სანქციები შევიწროებისა და სექსუალური შევიწროებისათვის და შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა და ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ. მიუხედავად იმისა, რომ „ეთნიკური უმცირესობების შესახებ“ ცალკე კანონი არ არსებობს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა დამტკიცა „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა“.

სტრატეგიული მიზნები, რომელთა მიღწევაც დაგეგმილია ზემოაღნიშნული სტრატეგიით, შემდეგია:

- ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები თანაბრად და სრულფასოვნად მონაწილეობენ სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში;
- ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისათვის შექმნილია თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობები და შესაძლებლობები;
- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის ხელმისაწვდომია ხარისხიანი განათლება ყველა დონეზე და გაუმჯობესებულია სახელმწიფო ენის ცოდნა;
- შენარჩუნებულია ეთნიკურ უმცირესობათა კულტურა, წახალისებულია ტოლერანტული გარემო.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად კონსოლიდირებული ბიუჯეტი არ არსებობს. შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებები

სტრატეგისა და გეგმის განხორციელებას წლიური საბიუჯეტო სახსრებით უზრუნველყოფენ.

2014 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მეურვეობის სისტემა არაკონსტიტუციურად ცნო. იმ დროს მოქმედი მოდელი სრულად გამორიცხავდა ქმედუნარო სუბიექტის ნებას და მოლიანად ანაცვლებდა მეურვის ნებით. პირის ქმედუნაროდ აღიარება ფსიქიკური აშლილობის ან ინტელექტუალური უნარების დაქვეითების მქონე პირის „სამოქალაქო სიკვდილს“ ნიშნავდა. ძველი მოდელით ხდებოდა ქმედუნარიანობის სრულად ჩამორთმევა ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირისათვის. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ საქართველოს პარლამენტმა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-12 მუხლის შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილება მიიღო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად (მიღების თარიღი – 26/06/1997; გამოქვეყნების წყარო, თარიღი – პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997; კონსოლიდირებული პუბლიკაციები – 31/10/2018), ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი (მხარდაჭერის მიმღები) ინარჩუნებს ქმედუნარიანობას. მხარდაჭერის მიმღები არის პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა, ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში; ამასთანავე, აღნიშნული დაბრკოლებები სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად ართულებს პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას და ინფორმირებული და გააზრებული არჩევნის გაკეთებას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროში.

სასამართლო ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირს მხარდამჭერს უნიშნავს, რომელიც მას სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში ეხმარება. მხარდამჭერს არ აქვს მხარდაჭერის მიმღები პირის სურვილის წინააღმდეგ წასვლის უფლება. მხარდამჭერი ვალდებულია, მხარდაჭერის მიმღების მიერ გარიგების დადებისას დაეხმაროს მას გარიგების პირობებისა და სამართლებრივი შედეგების სრულყოფილად აღქმაში. მხარდაჭერის მიმღების მიერ გარიგების წერილობითი ფორმით დადებისას მას მხარეების გარდა ხელს აწერს მხარდამჭერი. მხარდამჭერი ხელმოწერით ადასტურებს მხარდაჭერის მიმღების მიერ გარიგების დადებისას სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მხარდაჭერის გაწევას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363¹⁵-ე მუხლის თანახმად, პირს მხარდაჭერა შეიძლება, დაენიშნოს შრომითი საქმიანობის, წვრილმანი გარიგების დადების, სამეწარმეო საქმიანობის, უძრავი ქონების მართვის/განკარგვის, საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის, მკურნალობაზე თანხმობის გამოხატვის და სხვა უფლებებისა და მოვალეობების განსახორციელებლად, რომლებსაც სასამართლო ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს. თუ ესა თუ ის სფერო ან სხვა საკითხი პირდაპირ არ არის მითითებული სასამართლოს გადაწყვეტილებით, მხარდაჭერის მიმღებს ამ სფეროში დამოუკიდებლად, მხარდამჭერის გარეშე, შეუძლია გადაწყვეტილების მიღება. გარიგებები და საკითხები, რომელთა შესახებაც პირს დახმარება სჭირდება, სასამართლოს მიერ განისაზღვრება მულტიდისციპლინური ჯგუფის ექსპერტების მიერ წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე. ამ ჯგუფში ოთხი წევრი ერთიანდება: ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი და ოკუპაციური თერაპევტი. მულტიდისციპლინური ჯგუფი აფასებს პირის შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. თუ მიზეზი, რომლის გამოც მხარდაჭერა დაწესდა, აღარ არსებობს, პირს შეუძლია, მხარდაჭერის შეწყვეტის მოთხოვნით დამოუკიდებლად მიმართოს სასამართლოს. მხარდაჭერის დაწესება ხუთი წლის ვადით ხდება. ამის შემდეგ, სასამართლო მხარდაჭერის საჭიროების საკითხის ავტომატურად გადახედვას. მხარდამჭერის ჩარევა აუცილებელია, მხარდამჭერის მიმღების ფინანსური ინტერესების თაღლითობისგან დასაცავად.

მხარდაჭერის მიმღებს აქვს ქორწინების უფლება, თუმცა, ქორწინების რეგისტრაციამდე, საქორწინო ხელშეკრულების გაფორმებამდე სავალდებულოა პროცესში მხარდამჭერის ჩართვა, აგრეთვე

მხარდამჭერის ჩაბმა იმ ნაწილში, რომელიც განსაზღვრულია სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით.

მხარდაჭერის მიმღებს აქვს საარჩევნო ხმის უფლება, თუ ის სტაციონარულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში არ არის მოთავსებული.

„შებლდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის (მიღების თარიღი – 14/06/1995; გამოქვეყნების წყარო, თარიღი – საქართველოს პარლამენტის უწყებები, 27–30, 14/06/1995; კონსოლიდირებული ვერსია – 23/03/2017) მე–2 მუხლის თანახმად, შებლდული შესაძლებლობის მქონე პირი არის პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა, ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში. ამავე კანონის მე–5 მუხლის შესაბამისად ჟესტების ენა აღიარებულია პიროვნებათაშორის ურთიერთობის საშუალებად. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს აუცილებელი პირობების შექმნა მისი გამოყენებისა და განვითარებისათვის.

„შებლდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე–7 მუხლის შესაბამისად სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები შებლდული შესაძლებლობის მქონე პირებს უქმნიან პირობებს საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობებით, ტრანსპორტითა და სატრანსპორტო კომუნიკაციებით, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობისათვის, გარემოში თავისუფალი ადაპტაციისა და გადაადგილებისათვის.

„შებლდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე–8 მუხლის მიხედვით დაუშვებელია, დასახლებული პუნქტების დაპროექტება და განაშენიანება, საცხოვრებელი რაიონების ფორმირება, საპროექტო გადაწყვეტილებების შემუშავება, შენობათა და ნაგებობათა, მათ შორის სასწავლო–საგანმანათლებლო, კულტურულ–სანახაობითი და სპორტულ–გამაჯანსაღებელი ობიექტების, აეროპორტების, რკინიგზის სადგურების, საზღვაო და სამდინარო სატრანსპორტო საშუალებათა კომპლექსებისა და კომუნიკაციების, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის ინდივიდუალური საშუალებების მშენებლობა და რეკონსტრუქცია, თუ ეს ობიექტები და საშუალებები არ მიესადაგება შებლდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს.

„შებლდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის 24–ე მუხლის შესაბამისად, შებლდული შესაძლებლობის მქონე პირებს სოციალურად ეხმარებიან როგორც ფინანსებით (პენსია, დახმარება და სხვა), ისე – ტექნიკური და სხვა საშუალებებით, მათ შორის უზრუნველყოფენ ავტომობილებით, სავარძელ–ეტლებით, საპროთეზო–ორთოპედული ნაკეთობებით, სპეციალური შრიფტის ნაბეჭდი გამოცემებით, ხმის გამაძლიერებელი აპარატურით და სიგნალიზაციით, აგრეთვე სამედიცინო, სოციალური და პროფესიული რეაბილიტაციის განხორციელებითა და საყოფაცხოვრებო მომსახურებით.

„შებლდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის 25–ე მუხლის მიხედვით, თუ სახელმწიფო ორგანოებს არ შეუძლიათ, მისცენ შებლდული შესაძლებლობის მქონე პირებს რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამით გათვალისწინებული ტექნიკური ან სხვა საშუალებანი ან შებლდული შესაძლებლობის მქონე პირებმა იგი შეიძინეს საკუთარი სახსრებით, მათ ეძლევათ კომპენსაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

„შებლდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის 26–ე მუხლის თანახმად, შებლდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებსაც მომვლელი ან დამხმარე სჭირდებათ, სოციალური მომსახურების ორგანოები უნიშნავენ სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურებას ბინაზე ან სტაციონარულ დაწესებულებებში. ამავე კანონის 26–ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ხელს

უწყობს სოციალური დახმარების სტაციონარული დაწესებულებების ქსელის განვითარებას იმ კატეგორიის შებლდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, რომლებსაც ესაჭიროებათ მომვლელი.

„შებლდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის 27-ე მუხლის მიხედვით სახელმწიფო საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფს შებლდული შესაძლებლობის მქონე პირებს. თუ საჭირო აღარ არის შებლდული შესაძლებლობის მქონე პირთა ყოფნა პანსიონატსა ან სოციალური დახმარების სხვა სტაციონარულ დაწესებულებაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მათ უზრუნველყოფენ საცხოვრებელი ფართობით. ამავ კანონის 31-ე მუხლი თანახმად შებლდული შესაძლებლობის მქონე პირებს უფლება აქვთ, შექმნან ან გაერთიანდნენ არამომგებიან, არასამთავრობო ორგანიზაციებში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (მიღების თარიღი – 22/07/1999; გამოქვეყნების წყარო, თარიღი – სსმ, 41(48), 13/08/1999; კონსოლიდირებული პუბლიკაციები – 31/10/2018) კონკრეტულად სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებს ეხება. სისხლის სამართლის კოდექსის 53¹-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შებლდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევას ეხება. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულია დანაშაულის შემდეგი შემადგებლობა: ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა მათი ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით, რამაც არსებითად ხელყო ადამიანის უფლება – ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142¹-ე მუხლი კრძალავს რასობრივ დისკრიმინაციას. ეს არის ქმედება, რაც ჩადენილია ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით, აგრეთვე რასის, კანის ფერის, ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილების ნიშნით ადამიანის უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შებლდვის ანდა იმავე ნიშნით ადამიანისათვის უპირატესობის მინიჭების გზით. ამ ქმედების ჩადენამ შედეგის სახით უნდა გამოიწვიოს ადამიანის უფლების არსებითად ხელყოფა. რასობრივი დისკრიმინაცია ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142²-ე მუხლი შებლდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებების შებლდვას ეხება. აღნიშნული მუხლის შესაბამისად, შებლდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის კანონით ან/და საქართველოს საერთა შორისო ხელშეკრულებით მინიჭებული უფლების განხორციელებაზე შებლდული შესაძლებლობის ნიშნით უარის თქმა, რამაც არსებითად ხელყო მისი უფლება, ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლი კრძალავს რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლას. ღვთისმსახურების ან სხვა რელიგიური წესისა თუ ჩვეულების აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა, ჩადენილი უნდა იყოს ძალადობით ან ძალადობის მუქარით,

ანდა თუ მას ახლდა მორწმუნის ან ღვთისმსახურის რელიგიური გრძობის შეურაცხყოფა. ეს დანაშაული ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლი ადამიანის დევნას ეხება. ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს, თბილისის სააპელაციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის შესაბამისად, 2016–2018 წლებში მათ არ განუხილავთ 142-ე (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა) ან 142²-ე (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებების შეზღუდვა) მუხლით ჩადენილი დანაშაულების საქმეები. 2016 წლის 16 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ორი პირი ცნო რასობრივ დისკრიმინაციაში 142¹-ე მუხლის შესაბამისად. ბრალდებულები თავს დაესხნენ აფრიკული წარმოშობის პიროვნებას, რომელსაც “ზანგს” უწოდებდნენ. დაზარალებული მალაზიის რიგში ბრალდებულების წინ იდგა. ბრალდებულებმა მას უთხრეს, რომ არ ჰქონდა მალაზიის ქართველებზე ადრე დატოვების უფლება. ისინი დაზარალებულს ქუჩაში თავს დაესხნენ, ძირს დააგდეს, ურტყეს წიხლები და სახე ასფალტზე დაარტყმევინეს. სასამართლომ ორივე პირი დამნაშავედ ცნო და მათ სასჯელად 3 წლის ვადით პირობითი მსჯავრი განესაზღვრა.

2016–2018 წლებში რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ კიდევ ერთი საქმე თბილისის სააპელაციო სასამართლოში განიხილებოდა. 2018 წლის 20 აპრილს თბილისის სააპელაციო სასამართლომ პირი დამნაშავედ ცნო რასობრივ დისკრიმინაციაში თბილისის ცენტრში ნიგერიის მოქალაქეებზე თავდასხმის მიზნით. სასამართლომ ბრალდებულებს სასჯელად 3 წლის ვადით პირობითი მსჯავრი განუსაზღვრა.

2016–2018 წლებში თბილისის საქალაქო სასამართლომ იეჰოვას მოწმეთა დევნის (სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლი) სამ საქმეზე გამოიატანა განაჩენი. იმავე სასამართლომ 155-ე მუხლი (რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა) მხოლოდ ერთ შემთხვევაში გამოიყენა. ორი ადამიანი შეიჭრა სამეფო დარბაზში, რომელსაც იეჰოვას მოწმეები ღვთისმსახურებისთვის იყენებენ. დამნაშავეებმა იეჰოვას მოწმეებს ბიბლიის ტექსტის წაკითხვასა და ღვთისმსახურებაში შეუშალეს ხელი. კანონის დამრღვევები ავინებდნენ მათ რელიგიას და მოკვლით ემუქრებოდნენ. ერთ-ერთმა დამნაშავემ რელიგიური გავრთიანების წევრს სილა გააწნა. თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულებს სასჯელად 2 წლის ვადით პირობითი მსჯავრი განუსაზღვრა.

2016–2018 წლებში ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის გამოყენებით ოთხ საქმეზე გამოიატანა განაჩენი. ოთხიდან ერთ-ერთი შემთხვევა დაზარალებულის პოლიტიკური რწმენის გამო დევნას ეხებოდა, დანარჩენი სამი საქმე კი – იეჰოვას მოწმეთა დევნას რელიგიური შეუწყნარებლობის გამო. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ აღნიშნულ ოთხ საქმეზე პირველი ინსტანციის გამამტყუნებელი განაჩენი ძალაში დატოვა.

2016–2018 წლებში თბილისის საქალაქო სასამართლომ სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე (3¹) მუხლი ორ საქმეში გამოიყენა, როგორც დანაშაულის დამამძიმებელი გარემოება. პირველ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო პირი, რომელმაც იაჰოვას მოწმეს სცემა რელიგიის პროზელტიზმის მიზნით. პირველი ინსტანციის მოსამართლემ დაადგინა, რომ დანაშაული მოტივირებული იყო რელიგიური შეუწყნარებლობით, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე (3¹) მუხლის მიხედვით დამამძიმებელი გარემოებაა. შესაბამისად, მოსამართლემ ნაკლებად მკაცრი სასჯელის ნაცვლად პატიმრობა გამოიყენა. ამის მიუხედავად, მოსამართლემ რელიგიური სიძულვილის მოტივით

ჩადენილი დამამძიმებელი გარემოება დააბალანსა შემამსუბუქებელი გარემოებით. სასამართლოს თქმით, სასჯელის შემსუბუქების წინაპირობა ბრალდებულის აღიარება იყო. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ეს იყო ბრალდებულის მიერ ჩადენილი პირველი დანაშაული. ამ ორი შემამსუბუქებელი გარემოების გამო სასამართლომ პირობითი სასჯელი გამოიყენა და ბრალდებული არ გაუშვია სასაჯელარსრულების დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად. იგივე მიდგომა გამოიყენა იმავე მოსამართლემ, როცა განიხილავდა იეპოვას მოწმეების რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შემშლის საქმეს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე (3¹) მუხლი მართებულად გამოიყენა სენაკის რაიონულმა სასამართლომ 2016 წლის 11 მაისს გამოტანილ განაჩენში. იეპოვას მოწმეების ორი წევრი ქალაქ სენაკის სარკინიგზო სადგურთან (დასავლეთ საქართველო) რელიგიური შინაარსის ფლაერებს არიგებდა. იეპოვას მოწმეებმა ბრალდებულს ფლაერები შესთავაზეს, ის კი პასუხად ფიზიკურად თავს დაესხა მათ. ფიზიკური ძალადობის შედეგად იეპოვას მოწმეებმა სხეულის დაზიანებები მიიღეს. სისხლის სამართლის კანონის დამრღვევი დამნაშავედ ცნეს რელიგიური ნიშნით დევნის გამო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე (3¹) მუხლის თანახმად, სენაკის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე ლევან ნუცუბიძე) დაადგინა, რომ დანაშაული მოტივირებული იყო რელიგიური შეუწყნარებლობით, რაც დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებაა. დისკრიმინაციული მოტივის გამო სენაკის სასამართლომ განსასჯელს ჯარიმის ნაცვლად ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ შესაბამისი განჩინება და დადგენილება ძალაში დატოვა 2016 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით.

თანასწორობისა და დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლება გარანტირებულია საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით, რომლის შესაბამისადაც შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით.

საქართველოს შრომის კოდექსი (მიღების თარიღი – 17/12/2010; გამოქვეყნების წყარო, თარიღი – სსმ, 75, 27/12/2010; კონსოლიდირებული პუბლიკაციები – 05/09/2018) შრომითი ურთიერთობისას შევიწროებას დისკრიმინაციის ფორმად განსაზღვრავს. შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით დისკრიმინაციად მიიჩნევა პირის პირდაპირი ან არაპირდაპირი შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამამინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით. დისკრიმინაციად არ ჩაითვლება პირთა განსხვავება, რაც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მისი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება.

დისკრიმინაციას ასევე კრძალავს „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი (მიღების თარიღი – 05/05/2000; გამოქვეყნების წყარო, თარიღი – სსმ, 19, 25/05/2000; კონსოლიდირებული პუბლიკაციები – 05/07/2018). კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, გენეტიკური მემკვიდრეობის, რწმენისა და აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი განწყობის გამო აკრძალულია.

89

რა საკანონმდებლო და პრაქტიკული ნაბიჯებია გადადგმული სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად? გთხოვთ, დაასახელოთ ის არასამთავრობო ორგანიზაციები, ვინც დისკრიმინაციის წინააღმდეგ იბრძვის სექსუალური ორიენტაციის, ასაკისა და შებლდული შესაძლებლობების ნიშნით.

შეკრების თავისუფლებით სარგებლობენ თუ არა გეი ალღუმების ან მსგავსი ღონისძიებების დროს?

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება, რომლის შესაბამისად, მსმ (მამაკაცი, რომელსაც სექსი აქვს მამაკაცებთან) პირებს სისხლის დონაციის უფლება სამუდამოდ ეზღუდებოდათ. თუმცა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა გამოსცა ახალი ბრძანება და მსმ პირებისათვის დონორობის უფლების შებლდვის საფუძვლად უკანასკნელი სექსობრივი კონტაქტიდან 10 წლის ვადა განსაზღვრა. ახალი ნორმა კვლავ გასაჩივრდა საკონსტიტუციო სასამართლოში. საქმე განხილვის პროცესშია.

2017 წელს საქართველოს პარლამენტმა კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებით, ქორწინება განმარტა, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, შესაბამისად, ლგბტ თემის წევრებს წაერთვათ შესაძლებლობა, მათი ურთიერთობა ყოფილიყო სამართლებრივად აღიარებული და დაცული. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო ცვლილება არ წარმოადგენს სამოქალაქო პარტნიორობის დანერგვის შემაფერხებელ გარემოებას, მსგავსი ინსტიტუტი საქართველოში არ არსებობს. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი (მიღების თარიღი – 25/05/2006; გამოქვეყნების წყარო, თარიღი – სსმ, 20, 09/06/2006; კონსოლიდირებული ვერსია – 05/07/2018) ასევე იცავს ლგბტ პირთა უფლებებს.

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17² მუხლის თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში არსებობს მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებელი (თავშესაფარი). ამავე კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად ოჯახში ძალადობის ფაქტის არსებობისას სამართალდამცავი ორგანოები უზრუნველყოფენ მსხვერპლის თავშესაფარში გადაყვანას. 2017 წელს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ოჯახში ძალადობის ფაქტის გამო შვიდმა მსხვერპლმა ისარგებლა თავშესაფარის სერვისით.

პრობლემა

კანონი ტრანსგენდერ ქალს ქალად არ აღიარებს. კანონი არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა ტრანსგენდერი ქალი ოჯახური გარემოს მიღმა ექვემდებარება ძალადობას. კანონი ტრანსგენდერ ქალს მხოლოდ იმ შემთხვევაში იცავს, თუ მოძალადე მისი ოჯახის წევრია. სისგენდერ ქალს კანონი იცავს როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძალადობისგან.

რეკომენდაცია

საქართველოს პარლამენტმა უნდა შეცვალოს კანონი, გააფართოლოს კანონის მოქმედების სფერო და ტრანსგენდერი ქალები ოჯახს გარეთ ძალადობისგან დაიცვას.

2017 წელს საქართველოს პროკურატურა სიძულვილის მოტივის შესწავლას სისხლის სამართლის 86 საქმის ფარგლებში აწარმოებდა. ტრანსფობიური მოტივით ჩადენილი დანაშაულები რაოდენობით პირველ ადგილზე 37 საქმით. გენდერის ნიშანი გამოკვეთა 25 საქმის ფარგლებში, სექსუალური ორიენტაციის ნიშანი - 12 საქმის, რელიგიური ნიშანი - 10 საქმის, ეროვნული ნიშანი - 1 საქმის და ეთნიკური ნიშანი - 1 საქმის. მოცემული სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ტრანსფობიის პრობლემა მწვავედ დგას ქვეყანაში.

სექსუალური ორიენტაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის გამო სისხლის სამართლის პასუხისგებაში 4 პირი მიეცა. ბრალდებულების რაოდენობა იგივეა, რაც ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ ჩადენილი დანაშაულების შემთხვევაში. ამ ეტაპზე სასამართლოს განაჩენი არცერთ საქმეზე არ გამოუტანია.

პრობლემა

საქართველოს ყველა მოქალაქეს პირადობის მოწმობაში დაფიქსირებული აქვს სქესი, ბიოლოგიური სქესის შესახებ ჩანაწერის შეუსაბამობა ადამიანის გენდერულ თვითგამოხატვასთან კი დისკომფორტს უქმნის ტრანსგენდერ ადამიანებს. სამოქალაქო აქტების შესახებ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების შეტანის საფუძველი შესაძლოა, იყოს სქესის შეცვლა. კანონი არამხოლოდ სქესის შეცვლას ცნობს ჩანაწერში ცვლილების შეტანის საფუძვლად, არამედ უფლებას აძლევს პირს, სქესის შეცვლასთან ერთად შეიცვალოს სახელი ან/და გვარი. პრობლემა თავს იჩენს კანონის ინტერპრეტაციისას, თუ რას ნიშნავს „სქესის შეცვლა,“ გაურკვეველია, არის თუ არა ქირურგიული ჩარევა სქესის შესახებ ჩანაწერის ცვლილების ერთადერთი გზა. არ არის ნათელი, აძლევს თუ არა ადამიანს სქესის შესახებ ჩანაწერის შეცვლის შესაძლებლობას მაშინ, როცა სქესის შეცვლა არ მომხდარა ქირურგიული ჩარევის გზით, მაგრამ ადამიანმა ჩაიტარა ჰორმონული მკურნალობა ან სამედიცინო ჩარევის გარეშე შეიცვალა სოციალური ქცევა. ეს საკითხი ეროვნულ დონეზე სასამართლოში განიხილება. საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსაც გადაეგზავნა.

რეკომენდაცია

საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს ტრანსგენდერი პირის უფლება, ოპერაციის ჩატარების გარეშე შეიცვალოს სქესის ჩანაწერი საიდენტიფიკაციო ან სხვა ტიპის დოკუმენტებში.

ლგბტ საკითხებზე ოთხი საზოგადოებრივი ორგანიზაცია მუშაობს: „თანასწორობის მოძრაობა“, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“, „იდენტობა“ და „თემიდა“.

„კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე 26 არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს. შშმ პირთა საკითხებზე მუშაობს კიდევ ერთი ორგანიზაცია – „ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის“. დამატებით, „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ მუშაობს შშმ პირთა სტრატეგიული სამართალწარმოების საქმეებზე.

ხანდაზმული ქალების ორგანიზაცია „ღირსეული სიბერე“ ერთ-ერთი იმ ორგანიზაციათაგანია, რომელიც ხანდაზმულ ადამიანებთან მუშაობს.

პრობლემა

საქართველოში გეი აღლუმი არ ჩატარებულა. თუმცა, ლგბტ ორგანიზაციები ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ საერთაშორისო დღის (IDAHO) აღნიშვნას 2012 წლის 17 მაისიდან მოყოლებული ცდილობენ. ღონისძიებები ძალის გამოყენებით იქნა დარბეული 2012 და 2013 წლებში. 2012 წლის IDAHO-ს შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 (არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა) და მე-11 (მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება) მუხლების დარღვევა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდლო პირების მიერ 2013 წელს მშვიდობიანი აქციის დარბევის საქმე განხილვის პროცესშია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებით ოთხი ბრალდებულიდან 2013 წელს არცერთს არ დაეკისრა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. 2014 წლის 17 მაისს ლგბტ თემის წევრები იძულებულნი იყვნენ, უარი ეთქვათ IDAHO დღის აღნიშვნაზე, 2015 წელს IDAHO დღე მრგვალ ბაღში მშვიდობიანად აღინიშნა. მიუხედავად იმისა, რომ მრგვალი ბაღი ქალაქის ცენტრში მდებარეობს, ეს ადგილი უჩვეულოა საზოგადოებრივი პროტესტის გამოსახატად. IDAHO-ს დღის აღსანიშნავ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად მსურველი ინტერნეტის საშუალებით უნდა დარეგისტრირებულიყო და 17 მაისამდე გაეგლო ვერიფიკაცია. აქციის მიმდებარე ტერიტორია პოლიციის მიერ იყო გარშემორტყმული. სტუმრები, ვისაც ვერიფიკაცია არ ჰქონდათ გავლილი, არ დაიშვებოდნენ მრგვალი ბაღის ტერიტორიაზე. ინფორმაცია ღონისძიების შესახებ წინასწარ არ გამჟღავნებულა.

2016 წელს ლგბტ აქტივისტებს IDAHO დღის აღნიშვნა რუსთაველის გამზირზე სურდათ. ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენები, ტრადიციულად, ამ ადგილას წარმართება. თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ორგანიზატორებს არ მისცა ღონისძიების უსაფრთხოდ ჩატარების გარანტიები. 2017 წელს ლგბტ აქტივისტებმა კვლავ მიმართეს თბილისის მერიასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსთაველის გამზირზე IDAHO დღის აღნიშვნის თაობაზე. შსს-ს და ლგბტ აქტივისტებს შორის წარმოებული მოლაპარაკების შედეგად მხარეებმა მიაღწიეს კომპრომისულ შეთანხმებას. ღონისძიების ჩატარება გადაწყდა მთავრობის კანცელარიის წინ, ინგოროყვას ქუჩაზე, რუსთაველის გამზირის მიმდებარედ. ღონისძიების მონაწილეებს ინტერნეტის საშუალებით ვერიფიკაციის გავლა მოეთხოვებოდათ. პოლიციის მიერ გადაკეტილი იყო მთავრობის კანცელარიის მიმდებარე ტერიტორია. ღონისძიების მონაწილეების შეგროვება თბილისის სხვადასხვა უბანში ხდებოდა. მონაწილეები ინგოროყვას ქუჩაზე მიკროავტობუსებს მიჰყავდათ. აქცია დილის 10 საათზე დაიწყო და ერთ საათს გაგრძელდა. ამის შემდეგ მონაწილეები კვლავ მიკროავტობუსებში გადანაწილდნენ და დატოვეს ინგოროყვას ქუჩა. აქციის მონაწილეებმა მიკროავტობუსებიდან ჩამოსვლა შეკრების ადგილიდან მოშორებით შეძლეს. უსაფრთხოების გარანტიების არქონის გამო ლგბტ ორგანიზაციებმა გააუქმეს 2018 წელს IDAHO დღის აღნიშვნელი აქცია. ამის ნაცვლად აქტივისტები ლგბტ თემის კეთილდღეობაზე პასუხისმგებელი სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წინ შეიკრიბნენ. ერთი ღონისძიება ინგოროყვას ქუჩაზე, მთავრობის კანცელარიისთან, გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია იცავდა ლგბტ თემის აქციას მემარჯვენე ჯგუფების კონტრდემონსტრაციისაგან, ერთმა მონაწილემ მოახერხა ლგბტ პირების მიერ დაკავებულ სივრცეში შეჭრა და სახეში გაართყა აქციაზე სიტყვით გამომსვლელ პირს. დამნაშავე დააკავეს და მისი სისხლის სამართლის საქმე კვლავ გრძელდება.

რეკომენდაცია

უსაფრთხოების ქმედითი და ეფექტიანი ზომების გატარებით საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს ლგბტ თემის წევრების უფლებების დაცვა, ყოველწლიურად, 17 მაისს, შეიკრიბონ IDAHO დღის აღსანიშნავად.

90 არის თუ არა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალიზებული ორგანოები შექმნილი საქართველოში? თუ არის, როგორია ამ უწყებების საკანონმდებლო ბაზა, ინსტიტუციური კონტექსტი, შემადგენლობა, ფუნქცია და უფლებამოსილება?

2014 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტმა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (მიღების თარიღი – 02/05/2014, გამოქვეყნების წყარო, თარიღი – matsne.gov.ge, 07/05/2014) კანონი მიიღო. დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი. კანონის 1-ლი მუხლი კრძალავს დისკრიმინაციას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შებლუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამობატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნით.

კანონი არა მხოლოდ კრძალავს პირდაპირ და ირიბ დისკრიმინაციას, არამედ ამ კანონის მოთხოვნები ვრცელდება როგორც საჯარო დაწესებულებების, ისე კერძო ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების ქმედებებზე. კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას კანონით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაბომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს კანონით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაბომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის (მიღების თარიღი – 16/05/1996; გამოქვეყნების წყარო, თარიღი – პარლამენტის უწყებანი, 13, 07/06/1996; კონსოლიდირებული პუბლიკაციები – 05/09/2018) მე-6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველს ირჩევს საქართველოს პარლამენტი 5 წლის ვადით, საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მიერ. სახალხო დამცველის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვთ საპარლამენტო ფრაქციას ან პარლამენტის წევრთა ექვსკაციან ჯგუფს. 2018 წლის ბოლოს მიღებული საკონსტიტუციო ცვლილების შესაბამისად, სახალხო დამცველის არჩევა ხდება 6 წლის ვადით. საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი განიხილავს იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის ან პირთა ჯგუფის განცხადებას და

საჩივარს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს; სახალხო დამცველი დისკრიმინაციის ფაქტს საჩივრის არარსებობის შემთხვევაშიც შეისწავლის. სახალხო დამცველი იწვევს დისკრიმინაციის მსხვერპლს და სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმხორციელებელ პირს და ცდილობს, საქმე მხარეთა მორიგებით დაასრულოს; სახალხო დამცველი დისკრიმინაციის მსხვერპლის უფლებების აღსადგენად რეკომენდაციით მიმართავს შესაბამის დაწესებულებას ან პირს; თუ სახალხო დამცველი დისკრიმინაციის საფრთხეს აღმოაჩენს, შესაბამის დაწესებულებას უგზავნის ზოგად წინადადებას; სახალხო დამცველს დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად საკანონმდებლო წინადადების პარლამენტისათვის წარდგენის შესაძლებლობაც აქვს. მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაციები და წინადადებები შესასრულებლად არასავალდებულოა, სახალხო დამცველს შეუძლია, აიძულოს შესაბამისი სახელმწიფო უწყება, გაითვალისწინოს მისი გადაწყვეტილება. ომბუდსმენი უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან ქმედების განხორციელება ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ.

სავარაუდო დისკრიმინაციის საქმის განხილვასა ნებისმიერი სახელმწიფო უწყება ვალდებულია, სახალხო დამცველს მოთხოვნიდან 10 კალენდარული დღის ვადაში გადასცეს ინფორმაცია მაშინ, როცა კერძო პირისგან ინფორმაციის მიიღება ნებაყოფლობითია.

პრობლემა

ვინაიდან ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს სავარაუდო დისკრიმინაციის საქმის განხილვასა სახალხო დამცველთან თანამშრომლობისა და მისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება არ აქვთ, სახალხო დამცველი ვერ ახერხებს კერძო სექტორში მომხდარი დისკრიმინაციული შემთხვევების სათანადო შესწავლას. სახალხო დამცველი წყვეტს დისკრიმინაციის სავარაუდო შემთხვევის შესწავლას მას შემდეგ, რაც ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირი არ მიაწოდებს მოთხოვნილ ინფორმაციას. ამ შემთხვევაში რეკომენდაცია არ გამოიცემა, ვინაიდან დისკრიმინაციის დადგენა არ ხდება.

რეკომენდაცია

პარლამენტმა შეცვალოს კანონი და კერძო პირებს სახალხო დამცველისათვის ინფორმაციის მიაწოდების ვალდებულება დააკისროს.

დისკრიმინაციის მსხვერპლს შეუძლია, მიმართოს საერთო სასამართლოებს დისკრიმინაციის ფაქტის დასადგენად და მისი შედეგების აღმოსაფხვრელად. დაზარალებულს ასევე შეუძლია, მოითხოვოს დისკრიმინაციის შედეგად მიღებული მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება. დაზარალებულს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს სამი თვის ვადაში მას შემდეგ, რაც გაიგო ან უნდა გაეგო იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას დისკრიმინაციულად მიაჩნია.

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პარლამენტმა კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად გენდერული თანასწორობის საბჭო შექმნა. საბჭოს საქმიანობას ხელმძღვანელობს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. საბჭოს შემადგენლობაში პარლამენტის წევრები შედიან. საბჭოს თავჯდომარეს შეუძლია სხვადასხვა სახელმწიფო უწყების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მოიწვიოს საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად.

გენდერული თანასწორობის საბჭოს ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს: გენდერული თანასწორობის

საკითხებზე სამოქმედო გეგმის შემუშავება და საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენა; საქართველოს კანონმდებლობის გენდერული ანალიზის განხორციელება და კანონმდებლობაში არსებული გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად წინადადებების შემუშავება; საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი საკანონმდებლო აქტების პროექტების ექსპერტიზის უზრუნველყოფა გენდერული თანასწორობის შეფასების თვალსაზრისით; გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის სათანადო აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება.

ადამიანის უფლებების უწყებათაშორისი საბჭო შეიქმნა ადამიანის უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვისა და დასამტკიცებლად მთავრობისთვის წარდგენის მიზნით. საბჭოს თავმჯდომარეობს საქართველოს პრემიერმინისტრი. საბჭოს შემადგენლობაში ყველა სამინისტრო და სახელმწიფო მინისტრის აპარატი. სახალხო დამცველი, იურიდიული დახმარების სამსახური, საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი, საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ასევე მონაწილეობენ საბჭოს მუშაობაში. ადამიანის უფლებების უწყებათაშორისი საბჭოს წევრებად ასევე რამდენიმე საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები არიან მიწვეულნი. საბჭოს ფარგლებში სამოქმედო გეგმის მომზადება და შესრულების კოორდინაცია შესაბამისი თემატური სამუშაო ჯგუფების საშუალებით ხდება.

ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულია. სამდივნო შედგება სამდივნოს უფროსისა და მრჩეველებისგან. სამდივნო ორგანიზაციულ-ანალიტიკურ მხარდაჭერას უწევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოს და გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებისა და ბავშვთა უფლებების საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიას.

ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფია. დეპარტამენტის ფუნქცია კომპეტენციის ფარგლებში ოჯახური დანაშაულის, ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის, ტრეფიკინგის, არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე გამოძიებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საქმისწარმოების მონიტორინგია. დეპარტამენტი უფლებამოსილია, რეკომენდაციებით მიმართოს გამომძიებელს ოჯახური ძალადობის, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულისა და არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე გამოძიების ხარვეზების გამოსწორების მიზნით. დეპარტამენტი უფლებამოსილია, მიმართოს სამინისტროს და გამომძიებლის მიმართ მოითხოვოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დირექტორი, ვინც მინისტრისა და კურატორი მინისტრის მოადგილის წინაშე ანგარიშვალდებული.

91 რომელი კანონები იცავს ხანდაზმული ადამიანების უფლებებს? როგორ ხდება მათი აღსრულება?

არ არსებობს ცალკე საკანონმდებლო აქტი, რაც მხოლოდ ხანდაზმულ ადამიანებს ეხება. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი ყველაზე მნიშვნელოვანი კანონია, რაც ხანდაზმულებს ეხება. სახელმწიფო პენსია შესაძლოა, დაენიშნოს როგორც საქართველოს მოქალაქეს, საქართველოში

სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს და ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. მამაკაცებს პენსია ენიშნებათ 65 წლის ასაკის მიღწევადან. ქალებს პენსიაზე უფლება წარმოეშობათ 60 წლიდან.

სახელმწიფო პენსიის შესახებ საქართველოს კანონის (მიღების თარიღი - 23/12/2005; გამოქვეყნების წყარო, თარიღი - სსმ, 56, 28/12/2005; კონსოლიდირებული პუბლიკაციები - 06/08/2018) მთავარი პრინციპი თაობათა შორის სოლიდარობაა. პენსიის ოდენობა საქართველოს პარლამენტის მიერ განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით. პენსიის ფულადი ოდენობა ერთია ნებისმიერი ასაკის პენსიონერისათვის. სახელმწიფო პენსიას კავშირი არ აქვს არც სამუშაო გამოცდილებასთან და არც საპენსიო ფონდში შენატანთან. 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ასაკით პენსიონერისათვის სახელმწიფო პენსიის ფულადი ოდენობა განისაზღვრება 180 ლარით (დაახლოებით 58 ევრო).

2018 წლის 21 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა კანონს დაგროვებითი პენსიის შესახებ (მიღების თარიღი - 21/07/2018; გამოქვეყნების წყარო, თარიღი - სსმ, 06/08/2018; სარეგისტრაციო კოდი - 280060000.05.001.0190666), რაც მიზნად საქართველოში განსაზღვრული შენატანების საპენსიო სქემის (DC) შექმნას გულისხმობს. დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრება სავალდებულოა ყველა დასაქმებულისთვის 40 წლამდე. დასაქმებული დაუბეგრავი შემოსავლის 2%-ს რიცხავს საპენსიო ფონდში და ამავე თანხას ამატებს დამსაქმებელი. დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრება ნებაყოფლობითია თვითდასაქმებულისთვის და დასაქმებულისათვის, რომელსაც ამ კანონის ამოქმედებამდე შეუსრულდა 40 წელი. დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევაში პირი აიღებს სახელმწიფო პენსიას.

სპეციალური კანონი სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ (მიღების თარიღი - 27/12/2005; გამოქვეყნების წყარო, თარიღი - სსმ, 56, 28/12/2005; კონსოლიდირებული პუბლიკაციები - 31/10/2018) ადგენს სოციალური დაცვის გარანტიებს, რომლის მიღების უფლება აქვთ: საქართველოს პარლამენტის ყოფილ წევრებსა და აპარატის მოხელეებს, საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების წევრებს, გენერალურ აუდიტორსა და მის მოადგილეს, უმაღლესი დიპლომატიური რანგის მქონე პირებს, მეცნიერებს, სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან, სამოქალაქო ავიაციიდან, პენიტენციური სამსახურიდან, საქართველოს იუსტიციის და ფინანსთა სამინისტროების საგამოძიებო დეპარტამენტებიდან, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატიდან და პროკურატურის ორგანოებიდან დათხოვნილ პირებს. სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის თანხა არ უნდა აღემატებოდეს 560 ლარს (დაახლოებით 180.55 ევრო).

„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 36-ე დადგენილების (მიღების თარიღი - 21/02/2013; გამოქვეყნების წყარო, თარიღი - სსმ, 22/02/2013; კონსოლიდირებული პუბლიკაციები - 20/04/2018) მიხედვით საპენსიო ასაკის პირებს შეუძლიათ, სახელმწიფოს ხარჯზე მიიღონ გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება და ჩაიტარონ როგორც სისხლისა და შარდის საერთო, ისე - სისხლში გლუკოზის დონის განსაზღვრისა და სხვა ანალიზები. დადგენილების საფუძველზე ხანდაზმულ ადამიანებს შეუძლიათ, ისარგებლონ პალიატიური ზრუნვით. გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების დროს სახელმწიფოს თანაგადახდა 90%-ია. საპენსიო ასაკის პირებისათვის თანაგადახდა შეადგენს 10%-ს. პალიატიური მზრუნველობის ხარჯი სრულად ანაზღაურდება სახელმწიფოს მხრიდან. სახელმწიფო ასევე სრულად უზრუნველყოფს ხანდაზმულ ომის ვეტერანთა სტაციონარულ მკურნალობას.

საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში საპენსიო ასაკის პირებისათვის გეგმური ქირურგიული ოპერაციების წლიური ლიმიტი 15,000 (4,836.05 ევრო) ლარია. დაფინანსება ფარავს პრეოპერაციულ, ოპერაციულ და პოსტოპერაციულ მკურნალობას. საპენსიო ასაკის პირებისათვის გეგმური ოპერაციის შემთხვევაში თანაგადახდა 10%-ს შეადგენს. ასეთი თანაგადახდა არ არის საჭირო, თუ აუცილებელია გეგმური ქირურგიული ოპერაციები. სახელმწიფო სრულად ფარავს ომის ხანდაზმული ვეტერანების გეგმურ ოპერაციებს. საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში სახელმწიფო სამკურნალო საშუალებების ხარჯების დასაფარად წლის მანძილზე თითო პენსიონერს 100 ლარს (32.24 ევრო) გამოუყოფს. პენსიონერმა უნდა უზრუნველყოს ამ წამლების ხარჯის 50%-იანი თანაგადახდა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1218-ე მუხლის შესაბამისად, შვილები მოვალენი არიან, იზრუნონ მშობლებზე და დაეხმარონ მათ. სრულწლოვანი შრომისუნარიანი შვილები მოვალენი არიან, არჩინონ შრომისუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1219-ე მუხლის თანახმად, თითოეული შვილის მონაწილეობას იმ შრომისუნარო მშობლის რჩენაში, რომელიც დახმარებას საჭიროებს, განსაზღვრავს სასამართლო ყოველთვიურად გადასახდელი თანხის სახით, მშობლებისა და შვილების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით. ამ თანხის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს მშობლების ყველა სრულწლოვანი შვილის მოვალეობას მიუხედავად იმისა, სარჩელი წარდგენილია ყველა, რამდენიმე თუ ერთი შვილის მიმართ.

განათლების უფლება

92 გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ და რამდენად არის განათლების უფლება გარანტირებული საკანონმდებლო და პრაქტიკული თვალსაზრისით. გთხოვთ, კომენტარი გააკეთოთ რესურსების განაწილებაზე და არსებულ ინსტიტუციურ ბაზაზე, რომელიც ხელს უწყობს ზემოაღნიშნული უფლების განხორციელებას.

საქართველოს მოქალაქეებისათვის განათლების უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით²⁷⁷ და რეგულირდება სხვადასხვა კანონით, საკანონმდებლო აქტითა და ნორმატიული დოკუმენტით; თუმცა ძირითად საკანონმდებლო დოკუმენტებად მიჩნეულია: „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი,²⁷⁸ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი,²⁷⁹ „პროფესიული განათლებისა და გადამზადების შესახებ“ საქართველოს კანონი²⁸⁰ და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი.²⁸¹

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის საფუძველზე, რომელიც ძალაში 2019 წლის იანვრიდან შედის, ყოველ ადამიანს აქვს განათლების უფლება და თავისუფალი არჩევნის უფლება განათლების

277. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 27-ე; (კანონი №786, მიღებულია: 24/08/1995, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 24/08/1995, ბოლოს ცვლილებები შესულია: 23/03/2018

278. კანონი № 5366-III, მიღებულია: 08/06/2016, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 24/06/2016, ბოლოს ცვლილებები შესულია: 20/09/2018

279. კანონი № 1330, მიღებულია: 08/04/2005, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 04/05/2005, ბოლოს ცვლილებები შესულია: 20/09/2018

280. კანონი № 4528, მიღებულია: 28/03/2007, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 23/04/2007, ბოლოს ცვლილებები შესულია: 20/09/2018

281. კანონი № 688, მიღებულია: 21/12/2004, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 10/01/2005, ბოლოს ცვლილებები შესულია: 20/09/2018

ფორმასთან დაკავშირებით;²⁸² სკოლამდელი განათლება გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო აფინანსებს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ადრეულ და სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებს; ზოგად განათლებას (რომლის მთელი ციკლი I–XII კლასებს მოიცავს) მთლიანად სახელმწიფო აფინანსებს; გარდა ამისა, გარკვეული სახსრები უმაღლესი და პროფესიული განათლებისთვისაც არის გამოყოფილი.²⁸³

ადრეული და სკოლამდელი განათლება

ადრეული (2წლამდე) და სკოლამდელი (სასკოლო ასაკამდე) განათლება რეგულირდება შესაბამისი კანონით,²⁸⁴ რომელიც 2017 წლის შემოდგომაზე იქნა მიღებული და განიხილავს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ ნებაყოფლობით განათლებას საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებების შემთხვევაში. კანონით ნებადართულია კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსება, თუმცა არ არის გათვალისწინებული მათთვის სახელმწიფო სახსრების გამოყოფა. კანონი ითვალისწინებს ინკლუზიური განათლების კომპონენტს, რომელიც თითოეულ ბავშვს თანაბარ შესაძლებლობებს ანიჭებს მისი ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით, მისი ფიზიკური და კოგნიტიური შეზღუდული შესაძლებლობის, სქესის, ეთნიკური და რასობრივი კუთვნილების და ა.შ. მიუხედავად.²⁸⁵ კანონი იმასაც არეგულირებს, თუ რომელ ენაზე წარიმართება სწავლება, და ეს ენებია ქართული და აფხაზური (აფხაზეთის ტერიტორიაზე), თუმცა, ნებას რთავს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომ ეთნიკური უმცირესობების ენაზე აწარმოონ სწავლება.²⁸⁶

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ადრეული და სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულება ავტორიზებული უნდა იყოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიერ. ავტორიზაციის პროცესი უფასოა და უნდა ეფუძნებოდეს სახელმწიფო სააგენტოს მიერ დამტკიცებულ ავტორიზაციის სტანდარტებს.²⁸⁷ ავტორიზაციის სტანდარტები არეგულირებს სხვადასხვა მიმართულებას, მათ შორის სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის ადაპტირებული გარემოს არსებობას, უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველყოფას, ტოლერანტულ გარემოს, ასევე არადისკრიმინაციული სივრცის არსებობას ბავშვის/შშობლის სქესის, რასის, ასაკის, რელიგიის, ენის, კულტურის, ოჯახის შემადგენლობის, სოციალურ-ეკონომიკური პირობების, ჯანმრთელობის პრობლემების და ა.შ. მიუხედავად.²⁸⁸ ბოლო მონაცემებით სულ რეგისტრირებულია 1,438 საჯარო დაწესებულება და 153,230 მოსწავლე.²⁸⁹

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ მოქალაქეებისთვის მაღალი ხარისხის სკოლამდელი განათლების უზრუნველყოფის მიზნით მიიღო კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, რაც უმეტესწილად დაურეგულირებელი იყო 2016 წლამდე, ამ სფეროში კვლავ რჩება პრობლემები. მაგალითად, კანონი განსაზღვრავს მასწავლებლის/მოსწავლის

282. მუხლი 27-ე, პუნქტი 1-ლი, საქართველოს კონსტიტუცია;
 283. იქვე, მუხლი 27-ე, პუნქტი მე-2;
 284. საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“;
 285. იქვე, მუხლი მე-3.1; მუხლი მე-10, პუნქტი 2.ა;
 286. იქვე, მუხლი მე-5.1, მე-5.2;
 287. იქვე, მუხლი მე-14, პუნქტები 2, 3, 4, 5;
 288. საქართველოს მთავრობა, დადგენილება № 488, თარიღი: 30/10/2017 „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ“
 289. Geostat.ge, სკოლამდელი განათლებისა და აღზრდის საჯარო დაწესებულებების ინდიკატორები მუნიციპალიტეტების მიხედვით, 2017–2018

რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტს ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს შემდეგ მაჩვენებლებს: 2-3 წლის ასაკობრივ ჯგუფებში 1:13, ხოლო 3-6 წლის ასაკობრივ ჯგუფებში - 1:15.²⁹⁰ აღნიშნული დებულება შემოღებული იქნა ჯგუფებში მოსწავლეების დიდი რაოდენობისა და კვალიფიციური მასწავლებლების ნაკლებობის გამო, რამაც ბევრი პრობლემა შექმნა ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.²⁹¹

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2017-18 აკადემიური წლისთვის მოსწავლეებისა და პერსონალის თანაფარდობა ქვეყნის მასშტაბით 12:1 იყო; თუმცა, სხვადასხვა მუნიციპალიტეტის მონაცემებზე დაყრდნობით ზოგ შემთხვევაში ეს თანაფარდობა ნორმას აღემატება (მაგ. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი - 25:1; ქარელის მუნიციპალიტეტი - 23:1; მარნეულის მუნიციპალიტეტი - 19:1 და ა.შ.).²⁹² თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებმა 2018 წლის ბოლომდე უნდა გაიარონ ავტორიზაცია, ამ სიტუაციამ შეიძლება, სერიოზული გამოწვევები შეუქმნას სახელმწიფოს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების კონტინენტის დაგეგმვასთან დაკავშირებით და ხელი შეუშალოს სკოლამდელი განათლების უფლებას. ეს სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებსაც შეიძლება, შეეხოს. სხვადასხვა კვლევის მიხედვით სპეციალური საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების უფლებებს სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ხელს უშლის სხვადასხვა ფაქტორი, კერძოდ, არაადაპტირებული ინფრასტრუქტურა, ინკლუზიური საგანმანათლებლო პროგრამების არარსებობა და სკოლამდელი აღზრდის მასწავლებლების მიერ ინკლუზიური განათლების არასაკმარისი ცოდნა.²⁹³

ზოგადი განათლება

ზოგადი განათლება რეგულირდება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც განათლების თანასწორ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს საქართველოს ყველა მოქალაქისთვის და მიზნად ისახავს ძალადობისგან თავისუფალი საგანმანათლებლო სისტემის შექმნას.²⁹⁴ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენა არის ქართული, აფხაზეთის ტერიტორიაზე - აფხაზური და უმცირესობათა ენები - მათთვის, ვისი მშობლიური ენა ქართული არ არის, თუმცა, ასეთ შემთხვევებში ქართული ენის სწავლება სავალდებულოა.²⁹⁵ კანონი ასევე ითვალისწინებს ქართული ჟესტების ენისა და ბილინგვურ სწავლებას სმენადაქვეითებული მოსწავლეებისთვის, აგრეთვე ბრაილის სისტემისა და შესაბამისი ტექნოლოგიების სწავლებას მხედველობადაქვეითებული მოსწავლეებისთვის.²⁹⁶

ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეების ინდივიდუალური, ალტერნატიული

290. საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, მუხლი 22-ე, პუნქტი 3;

291. Unicef.ge, „ახალი სასწავლო წელი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში - პრობლემები და პერსპექტივები - ინტერვიუ ანა ჯანელიძესთან“

292. Geostat.ge, 2018.

293. ნ. გოჩიაშვილი, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებების კვლევა“. პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის. 2016

294. საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი მე-3, პუნქტი 2

295. იქვე, მუხლი მე-4, პუნქტები 1, 2, 3, 4

296. იქვე, მუხლი მე-4, პუნქტები 5, 6

ან გაფართოებული სასწავლო გეგმების მომზადებას, მათ ინდივიდუალურ ასაკობრივ თავისებურებებსა და ოჯახურ მდგომარეობას,²⁹⁷ ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს, მათ შორის მძიმე ინტელექტუალური ან მრავალრიცხოვანი სენსორული დარღვევების მქონე პირებს, ობიექტური და არადისკრიმინაციული უნდა იყოს. სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეები უზრუნველყოფილი უნდა იქნენ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ყველა აუცილებელი ადამიანური რესურსითა და მასალით.²⁹⁸

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად დაწყებითი (I–VI კლასები) და საბაზო განათლება (VII–IX კლასები) სავალდებულოა, ხოლო საშუალო განათლება (X–XII კლასები) ნებაყოფლობითია.²⁹⁹ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი უზრუნველყოფს, რომ არცერთი მოსწავლე არ დარჩება საბაზო განათლების გარეშე.³⁰⁰ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებს, რომლებსაც არა აქვთ საგანმანათლებლო ისტორია, უფლება აქვთ, გამოცდის გარეშე გააგრძელონ სწავლა მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილებით.³⁰¹

კანონით განსაზღვრულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში შესვლის ასაკი – 6 წელი.³⁰² სრული ზოგადი განათლება 12 წელს მოიცავს. იმ შემთხვევაში, თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში 12 წლის სწავლის შემდეგ მოსწავლემ ვერ დაძლია საბაზო საფეხურის ეროვნული ან მოდიფიცირებული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე, სახელმწიფომ შეიძლება, დამატებითი ფინანსური რესურსები გამოყოს და ალტერნატიული სამწლიანი საგანმანათლებლო პროგრამა შესთავაზოს მას; სამი წლის შემდეგ დამატებითი ფინანსური რესურსები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შეუძლია, გამოყოს.³⁰³ კანონი დისტანციური, აგრეთვე ექსტერნული წესით სწავლების საშუალებასაც იძლევა.³⁰⁴

კანონი ყველა მოსწავლისათვის, მათ შორის, სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის, უზრუნველყოფს სკოლის მისაწვდომობას მათ საცხოვრებელ ადგილთან ახლოს (და მშობლიურ ენაზე), ვაუჩერული დაფინანსების სისტემის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ სტანდარტული ვაუჩერი არ იძლევა ამ უფლების განხორციელების გარანტიას, სახელმწიფო გასცემს გამზდილ ვაუჩერს, რომელიც უზრუნველყოფს თანასწორი განათლების ხელმისაწვდომობას, ინკლუზიურ და მრავალენოვან განათლებასა და უსაფრთხო გარემოს.³⁰⁵ გარდა ამისა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები სკოლებისგან მოითხოვს ადაპტირებული გარემოს შექმნას სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის და სასკოლო ინვენტარის – მერხებისა და საკლასო ოთახების – მორგებას მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებზე.³⁰⁶

კანონი ავალდებულებს როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლებს, უზრუნველყონ უსაფრთხო და მშვიდი სასკოლო გარემო და დაიცვან ბავშვები სისასტიკის, უკულებელყოფისა და არასათანადო მოპყრობისგან. სკოლამ უნდა უზრუნველყოს პოლიტიკური და რელიგიური ინდოქტრინაციისაგან, პროზელიტიზმის

297. იქვე, მუხლი მე-9, პუნქტი 5
 298. იქვე, მუხლი მე-5, პუნქტები 1, 6, 11, 12; მუხლი 9, პუნქტი 3
 299. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 27-ე, პუნქტი 2
 300. მუხლი მე-6, პუნქტი 4
 301. იქვე, მუხლი მე-6, პუნქტი 51
 302. იქვე, მუხლი მე-6, პუნქტი 6
 303. იქვე, მუხლი 23-ე
 304. იქვე, მუხლი მე-6; მუხლი მე-9, პუნქტი 4
 305. იქვე, მუხლი მე-7, პუნქტები 1, 2, 3
 306. Ege.ge, n.d. „ავტორიზაციის სტანდარტები ზოგადი განათლების დაწესებულებებისთვის“. მუხლი 4. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;

ან იძულებითი ასიმილაციისგან, დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმისგან თავისუფალი სასწავლო პროცესი და მხარი დაუჭიროს ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ტოლერანტული გარემოს ჩამოყალიბებას მოსწავლეების/პედაგოგების სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლხედველობრივი კუთვნილების გათვალისწინებით.³⁰⁷ ამ დებულების თანახმად რელიგიური სწავლება, როგორც ცალკე კურსი, არ არის სასკოლო პროგრამების ნაწილი იმ მოსაზრებით, რომ თავიდან იქნეს აცილებული რელიგიური დისკრიმინაცია საზოგადოებაში, სადაც მართლმადიდებლური მოსახლეობა უმრავლესობას წარმოადგენს და სკოლებში რელიგიურად ნეიტრალური გარემო შეიქმნას.³⁰⁸

საქართველოში საჯარო ზოგადი განათლება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება ვაუჩერული დაფინანსების სისტემის სრული ციკლის, ანუ 12 წლის განმავლობაში; თითოეულ ბავშვს უფლება აქვს, ერთი სკოლიდან მეორეში გადავიდეს ერთსა და იმავე საგანმანათლებლო დონეზე და ნებადართულია, რომ მან თან წაიღოს თავისი ვაუჩერი. დაფინანსება გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების, სპეციალიზებული კლასების, რესურსსკოლებისა და სკოლაპანსიონებისთვის. ვაუჩერების გაცემა შესაძლებელია საქართველოს მოქალაქეებზე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, უცხოეთში მცხოვრებ ქართველ თანამემამულეებზე, მოქალაქეობის არმქონე პირებზე, საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ და დროებითი პირადობის მოწმობის მქონე პირებზე.³⁰⁹ გარდა ამისა, ეს დებულება ვრცელდება საქართველოს პირადობის ნეიტრალური მოწმობის მქონე პირებზეც, რომლებიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობენ.³¹⁰

გემოაღნიშნულის მიუხედავად, ზოგადი განათლების დონეზე კვლავ რჩება პრობლემები. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის ბიუროს მიერ 2017 წელს გამოქვეყნებული ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ საქართველოს ანგარიშის მიხედვით არსებობს გარკვეული სირთულეები სხვადასხვა სოციალურად დაუცველი ჯგუფისთვის განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. კერძოდ, განათლების ხელმისაწვდომობა არასათანადოდ არის უზრუნველყოფილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის, აგრეთვე ქუჩის ბავშვებისა და მინდობით აღსაზრდელი ბავშვებისთვის; ეს გამოიხატება სკოლაში დასწრების საკმაოდ დაბალი მაჩვენებლით, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია უგულვებელყოფასთან, მარგინალიზაციასა და ძალადობასთან დაკავშირებული პრობლემებით, ასევე საგანგებო საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის ინფრასტრუქტურის ნაკლებობით.³¹¹ ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთათვის განათლების ხელმისაწვდომობას ასევე ხელს უშლიდა ენის უცოდინრობა, მიუხედავად მთავრობის მცდელობისა, შეეთავაზებინა ქართული ენის შემსწავლელი კურსები.³¹²

307. საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი მე-9, პუნქტები 8, 9; მუხლი მე-13, პუნქტები 1, 2, 3, 6

308. რ. გოცირიძე, „რელიგია და განათლება ქართულ სკოლებში“. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2018

309. საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 22-ე, პუნქტები 1, 2; მუხლი მე-9, პუნქტები 11, 12; მუხლი 22-ე, პუნქტები 6², 6³, 7;

310. საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“, მუხლი 20¹³, პუნქტი 1 (კანონი № 323, მიღებული: 27/06/1996, გამოქვეყნებული: პარლამენტის უწყებანი, 30/07/1996, ცვლილებები ბოლოს შეტანილია: 05/07/2018).

311. დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის ბიურო (2017). „საქართველოს ანგარიში ადამიანის უფლებების დაცვის პრაქტიკის შესახებ“. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, გვ. 34-37

312. იქვე, გვ. 26

მიუხედავად იმისა, რომ რელიგია არ არის ცალკე კურსი სასკოლო პროგრამებში, იმ მოსაზრებით, რომ ყველა ჯგუფისთვის თანაბარი საფუძველი იყოს უზრუნველყოფილი, სკოლებში ფართოდ აღინიშნება ბუღინგი და დისკრიმინაცია რელიგიური კუთვნილების საფუძველზე. ყველაზე დიდი გამოწვევა სკოლებში ამ პრობლემის გადალახვის საქმეში რელიგიური სწავლების არსებობით ან არარსებობით არ არის განპირობებული. ამის მიზეზია სკოლების ადმინისტრაციისა და მასწავლებლების ინფორმირებულობის დაბალი დონე მულტიკულტურალიზმთან და ინტერკონფესიულ საკითხებთან მიმართებაში.³¹³

პროფესიული განათლება და ტრენინგი

პროფესიული განათლება და ტრენინგი რეგულირდება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც მიზნად ისახავს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისა და ინდივიდუალური განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფას.³¹⁴ პროფესიული განათლების პირველ დონეზე დაიშვებიან სრული ზოგადი განათლების მქონე პირები (რომლებმაც მიიღეს საშუალო განათლება – 12 კლასი), ასევე საბაზისო განათლების (9 კლასი) მქონე პირები; თუმცა მხოლოდ სრული ზოგადი განათლების მქონე პირები დაიშვებიან პროფესიული განათლების მეოთხე და მეხუთე დონის პროგრამებზე. პროფესიული განათლება და ტრენინგი იყოფა ფორმალურ და არაფორმალურ განათლებად; არაფორმალური პროფესიული განათლების დროს მიღებული ცოდნა შესაძლებელია, აღიარებული იქნეს პროფესიული განათლების პირველი საფეხურის დონეზე.³¹⁵ კანონი უზრუნველყოფს მოსწავლეების მიმართ თანაბარ მოპყრობას მათი გენდერული, ეთნიკური ან სოციალური იდენტობის, რელიგიური ან პოლიტიკური კუთვნილების, ფიზიკური შესაძლებლობების ან სხვა ასპექტების მიუხედავად.³¹⁶ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები ასეთი დაწესებულებებისგან ითხოვს, რომ უზრუნველყონ ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის.³¹⁷

უმაღლესი განათლება

უმაღლესი განათლება რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც განსაზღვრავს აბიტურიენტებისთვის უმაღლეს სასწავლებელში შესვლის მოთხოვნებს, დაფინანსების შესაძლებლობებს, უმაღლესი განათლების თანასწორ ხელმისაწვდომობას ყველასათვის, მათ შორის მსჯავრდებულთათვის (თუმცა მსჯავრდებულ სტუდენტებს არ შეუძლიათ სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა ან სტუდენტური ორგანიზაციების ჩამოყალიბება), ასევე უწყვეტი სწავლის ხელმისაწვდომობას.³¹⁸ სწავლების ენად განისაზღვრება ქართული ენა და აფხაზური ენა აფხაზეთის ტერიტორიაზე, თუმცა სხვა ენებზე სწავლებაც ნებადართულია საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის

313. რ. გოციროძე, „რელიგია და განათლება ქართულ სკოლებში“. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2018

314. საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, მუხლი მე-5;

315. იქვე, მუხლი მე-10;

316. იქვე, მუხლი 31-ე, პუნქტი 1ბ;

317. იქვე, მუხლი მე-7, პუნქტი „ზ“;

318. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 43-ე, პუნქტი 1.1²; მუხლი მე-3.2;

სამინისტროს ავტორიზაციით.³¹⁹ კანონი ასევე უზრუნველყოფს ყველა პირის მიმართ თანაბარ მოპყრობას უმაღლეს სასწავლებლებში მათი სქესის, რასის, ეთნიკური, პოლიტიკური, სოციალური და რელიგიური კუთვნილების მიუხედავად.³²⁰

უმაღლეს სასწავლებლებში დაიშვებიან სრული ზოგადი განათლების ან მასთან გათანაბრებული სერტიფიკატების მქონე პირები. კურსდამთავრებულებს ბაკალავრის ხარისხი უნდა ჰქონდეთ მაგისტრატურაში შესასვლელად ან მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) ხარისხი – დოქტორანტურაში შესასვლელად.³²¹ მხოლოდ ის მოსწავლეები, რომლებმაც ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები, შეიძლება, მიღებული იქნენ როგორც საჯარო, ასევე კერძო უმაღლეს სასწავლებლებში; თუმცა არსებობს დებულება, რომელიც ზემოაღნიშნული გამოცდების გარეშე ჩაბარების საშუალებას იძლევა, მაგალითად: 1) საქართველოს მოქალაქეები ან საქართველოს მაცხოვრებლები შეიძლება, დაშვებული იქნენ ქართული ენის ერთწლიან მოსამზადებელ კურსზე, თუ ისინი გაივლიან ამ ოთხიდან ერთ-ერთ ტესტს: ზოგადი უნარების ტესტს აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე, ტესტს ოსურ ან აფხაზურ ენებზე. ამ დებულების ძირითადი სამიზნე საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები და მათი უმაღლესი განათლების უფლებაა; 2) მობილობის საშუალებით უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების მიღება, რომლებსაც აქვთ სრული ზოგადი განათლება; საქართველოს მოქალაქეების მიღება, რომლებმაც ზოგადი განათლება (სრული ციკლი ან ბოლო ორი წელი) უცხო ქვეყნებში მიიღეს; საქართველოს მოქალაქეები ან უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ და სურთ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში გადმოსვლა. ანალოგიური სქემა მოქმედებს მაგისტრატურაში მიღებასთან დაკავშირებით: საქართველოს მოქალაქეები მაგისტრატურაში მიიღებიან ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდების შედეგების ან უცხოურ უნივერსიტეტებში მოპოვებული ბაკალავრის ხარისხის საფუძველზე; უცხოელი მოქალაქეების მიღება შესაძლებელია ეროვნული გამოცდების გარეშე იმ შემთხვევაში, თუ ისინი სწავლობდნენ ან სწავლობენ (მობილობის გზით) უცხოურ უნივერსიტეტებში.³²²

კანონი უზრუნველყოფს, რომ ყველა საჯარო უნივერსიტეტში იყოს მოსამზადებელი პროგრამა ქართული ენის შესასწავლად იმ სტუდენტებისთვის, ვინც შესასვლელი ეროვნული გამოცდები ჩააბარა. ეს დებულება მიზნად ისახავს საგანმანათლებლო შესაძლებლობების განვითარებას ეთნიკური უმცირესობებისათვის, რომლებმაც კარგად არ იციან ქართული ენა. ამ მიზნით ყველა საჯარო უნივერსიტეტში დაწესებულია სპეციალური კვოტა ეთნიკური უმცირესობებისთვის: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების კონტინგენტის 5–5% უნდა გამოიყოს მათთვის, ვინც აზერბაიჯანული და სომხურენოვანი ტესტები ჩააბარა; ხოლო მათთვის, ვინც ოსური და აფხაზურენოვანი ჩააბარა – სტუდენტების კონტინგენტის 1–1%.³²³

კანონი უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარების ნებას რთავს ასევე იმ აბიტურიენტებს, რომელთაც სრული ზოგადი განათლება მიიღეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ასეთი აბიტურიენტების მიღება შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე; თუმცა საჭიროა, რომ მათი ზოგადი განათლების სერტიფიკატი აღიაროს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ.³²⁴ ამასთანავე, 2008 წლის რუსეთ–საქართველოს ომის შედეგად დაზარალებულ პირებს

319. იქვე, მუხლი მე-4;

320. იქვე, მუხლი მე-16, პუნქტი 1;

321. იქვე, მუხლი 48–ე; მუხლი 49–ე;

322. იქვე, მუხლი 52–ე, პუნქტები 1, 1², 3, 7

323. იქვე, მუხლი 43–ე, პუნქტი 7; მუხლი 52–ე, პუნქტი 5¹.

324. იქვე, მუხლი მე-6, პუნქტი 1გ¹

უფლება აქვთ, განათლების სამინისტროს სოციალური პროგრამების ფარგლებში მიიღონ დაფინანსება უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად. რუსეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდნენ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომამდე, უფლება აქვთ, მიღებული იქნენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე. მიღების პროცესი რეგულირდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ.³²⁵

კანონის თანახმად, მოქალაქეების მიერ მაღალი ხარისხის საშუალო და უმაღლესი სპეციალური განათლების მიღების უფლებები უზრუნველყოფილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებით, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედმა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულმა ყველა დაწესებულებამ უნდა დააკმაყოფილოს.³²⁶ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ დამტკიცებული 2018 წლის 31 იანვრის №07/ნ ბრძანებულების თანახმად, ინსტიტუციური ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტებისთვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება მათი სხვადასხვა საჭიროება და აკადემიური მომზადების დონე სწავლის პროცესში მათი უწყვეტი ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით; უნდა შემოიღოს სტუდენტების სწავლის შედეგების სამართლიანი შეფასების სისტემები, უზრუნველყოს მათი უფლებების დაცვა და დაეხმაროს სოციალურად დაუცველ, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე სტუდენტებს სხვადასხვა საშუალებით, როგორებიცაა მოქნილი გადახდის მექანიზმები, სტიპენდიები და ა.შ. ავტორიზაციის სტანდარტები ასევე არეგულირებს სათანადო მატერიალური რესურსების არსებობას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სწავლებისა და სწავლის უწყვეტი პროცესი; კერძოდ, ეს ითვალისწინებს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზომებს, აგრეთვე ადაპტირებულ გარემოს სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის, როგორებიც არის პანდუსები და/ან ლიფტები, ადაპტირებული სანიტარიული კვანძები, სასწავლო რესურსების, ადმინისტრაციული ერთეულებისა და ფაკულტეტების ხელმისაწვდომობა, ავტოსადგომები სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის, რაც მათ შენობაში შესვლას გაუადვილებს.

იმ შემთხვევაში, თუ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას არ აქვს მინიჭებული ან ჩამორთმეული აქვს ავტორიზაცია, კანონი უზრუნველყოფს, რომ მისი სტუდენტები გადაყვანილნი იქნებიან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და აკადემიურ პროგრამებში, რისთვისაც მათ 5 წლამდე ვადა ეძლევათ.³²⁷

სახელმწიფო უზრუნველყოფს სტიპენდიებს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებისთვის. სტიპენდიების რაოდენობა რეგულირდება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ წელიწადში 2250 ლარის (726 ევრო) ოდენობით. საქართველოს მოქალაქეებს მათი ეთნიკური, რასობრივი, სქესობრივი კუთვნილებისა და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად, უფლება აქვთ, მიიღონ სახელმწიფო სტიპენდიები მხოლოდ აკრედიტებულ აკადემიურ პროგრამებში მონაწილეობის შემთხვევაში. მობილობის შესაძლებლობის გამოყენებისას სტუდენტებს შეუძლიათ, გადაიტანონ თავიანთი სახელმწიფო სტიპენდიები, თუმცა – მხოლოდ აკრედიტებულ პროგრამებზე.³²⁸ ეს დებულება არ ვრცელდება მართლმადიდებლური უმაღლესი სასწავლებლების აკადემიურ პროგრამებზე, რომლებიც აკრედიტებულია საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ და არა – განათლების

325. იქვე, მუხლი 89¹-ე, პუნქტები 2, 3

326. იქვე, მუხლი 56¹-ე; საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების“ შესახებ, მუხლი მე-7, (კანონი № 3531, მიღებულია: 21/07/2010, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 05/08/2010, ბოლოს ცვლილებები შესულია: 05/07/2018).

327. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 43-ე, პუნქტი 1.11; მუხლი 56-ე, პუნქტი 3ბ

328. იქვე, მუხლი 43-ე, პუნქტი 1/თ; მუხლი 63-ე, პუნქტი 3

ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.³²⁹

სტუდენტებს უფლება აქვთ, მოიპოვონ სახელმწიფო სტიპენდიები კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის დასაფინანსებლად, თუმცა ამ შემთხვევაში პროგრამა აკრედიტებული უნდა იყოს. სახელმწიფო დაფინანსება მხოლოდ წლიური 2250 ლარის (726 ევრო) ოდენობით არის განსაზღვრული და თუ სასწავლო პროგრამის/უნივერსიტეტის სწავლის საფასური სახელმწიფოს მიერ დაწესებულ ზღვარს აღემატება, ასეთ შემთხვევაში სტუდენტებმა თავად უნდა გადაიხადონ ან კერძო დაფინანსება მოიძიონ. თუ სწავლის საფასური სახელმწიფო სტიპენდიაზე ნაკლებია, სტუდენტისთვის გაცემული სტიპენდიის თანხა შესაბამისად შემცირდება.³³⁰

კანონი სოციალურად დაუცველი ჯგუფებისთვის სპეციალური პროგრამების განხორციელების საშუალებას იძლევა სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის ფინანსური დახმარების ფორმით, რაც სახელმწიფო გრანტის მთლიანი თანხის 6–20%-ს შეადგენს. გრანტის ზუსტ თანხას განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო განსაზღვრავს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებს გარკვეული შეღავათების მიღება შეუძლიათ, რასაც უმაღლესი სასწავლებლების ნორმატიული დოკუმენტები არეგულირებს.³³¹ სახელმწიფო სოციალური პროგრამების სამიზნეს წარმოადგენს ბაკალავრიატის დონის შემდეგი ჯგუფები: ა) სტუდენტები მაღალმთიანი რეგიონებიდან, რომელი რეგიონების სიასაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა³³²; ბ) სტუდენტები, რომლებმაც განათლება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიიღეს, აგრეთვე ის სტუდენტები, რომლებიც ცხოვრობენ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ ოკუპირებულად აღიარებული ტერიტორიების სიახლოვეს; გ) სტუდენტები, რომლებმაც ამერბაიჯანში და სომხურენოვან სასწავლო დაწესებულებებში მიიღეს ზოგადი განათლება ან ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ; დ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში დაღუპულ პირთა შვილები; ე) რეპატრიანტები, რომელთა ოჯახის წევრებიც აღიარებული იყვნენ იძულებით გადაადგილებულ პირებად 1940–იან წლებში; ვ) ობლები; ზ) მრავალშვილიანი ოჯახების (სადაც ოთხი ან მეტი ბავშვია) შვილები; თ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტები; ი) სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ მყოფი სტუდენტები; კ) სოციალურად დაუცველი სტატუსით რეგისტრირებული სტუდენტები.³³³

სახელმწიფოს სოციალური პროგრამა აფინანსებს აგრეთვე სამაგისტრო დონის სწავლებას, კერძოდ, დაფინანსება გამოიყოფა მაგისტრატურის სტუდენტებისთვის შემდეგი სოციალური ჯგუფებიდან: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში დაღუპულ პირთა შვილები; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტები; სოციალურად დაუცველი სტატუსით რეგისტრირებული სტუდენტები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა შეადგენს $\geq 70,000$ -ს. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, ამ პროგრამით 2016 წელს სულ 69 სტუდენტმა ისარგებლა, ხოლო 2017 წელს მათი რაოდენობა 92-მდე გაიზარდა.³³⁴

329. იქვე, მუხლი 43-ე, პუნქტი 13

330. იქვე, მუხლი 81-ე, პუნქტები 3, 4

331. იქვე, მუხლი 52-ე, პუნქტი 8; მუხლი 43-ე, პუნქტი 3

332. საქართველოს მთავრობა, დადგენილება №671 „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“, თარიღი: 30/12/2015

333. საქართველოს მთავრობა, დადგენილება №395 „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში იმ სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე“, თარიღი: 11/08/2017.

334. ინფორმაცია მიღებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან 2018 წლის ოქტომბერში, თუმცა წარმოდგენილი ინფორმაცია ასახავს 2018 წლის 1 სექტემბრით არსებულ მდგომარეობას (წერილი №81801377507, 25/10/2018).

„უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონი ასევე აწესრიგებს მართლმადიდებლური უმაღლესი სასულიერო სასწავლებლების არსებობას, რომლებიც შეიძლება, არსებობდეს როგორც საქართველოს საპატრიარქოს სტრუქტურული ერთეულები ან კერძო სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტები, თუმცა ყველა ის ოპერაცია, რომელიც დაკავშირებულია სტუდენტთა მიღების, მართვის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებთან, დიპლომების გაცემასთან და ა.შ., საპატრიარქოს პირდაპირ კონტროლს ექვემდებარება.³³⁵

უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა გარკვეულწილად პრობლემურია სხვადასხვა ჯგუფისათვის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს, რომ ყველა საჯარო უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ქართულენოვანი მოსამზადებელი პროგრამა სტუდენტებისთვის, რომლებმაც ჩააბარეს ეროვნული გამოცდები.³³⁶ ეს დებულება მიზნად ისახავს იმ ეთნიკურ უმცირესობათა საგანმანათლებლო შესაძლებლობების განვითარებას, რომლებსაც აქვთ ქართული ენის მწირი ცოდნა. ამ მიზნით ყველა საჯარო უნივერსიტეტში გამოიყოფა ეთნიკური უმცირესობების სპეციალური კვოტა: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საერთო კონტინგენტის 5-5% უნდა გამოიყოს აზერბაიჯანული და სომხურენოვანი ტესტების მონაწილეთათვის, ხოლო მათთვის, ვინც ოსურ და აფხაზურ ენებზე გაიარა ტესტები, უნდა გამოიყოს სტუდენტების საერთო კონტინგენტის 1-1%.³³⁷

თუმცა, სხვადასხვა გამოკვლევის თანახმად, უნივერსიტეტებში, როგორც წესი, არ იცავენ კვოტებს და ბევრი ვაკანტური პოზიცია რჩება.³³⁸ კერძოდ, 2018 წელს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ერთწლიან ქართულენოვან სასწავლო პროგრამაში (4 + 1 პროგრამა) სულ 1211 სტუდენტი ჩარიცხეს.³³⁹ წინა წლებთან შედარებით ეს რიცხვი გაიზარდა (2017 წელს – 1047 სტუდენტი, 2016 წელს – 960 სტუდენტი), თუმცა, არსებული კვოტების გათვალისწინებით (5% – სომხური და აზერბაიჯანული ეთნიკური უმცირესობებისათვის, 1% – ოსური და აფხაზური ეთნიკური უმცირესობებისათვის) ეს საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია, განსაკუთრებით – ოსური და აფხაზური უმცირესობების შემთხვევაში (ოსი უმცირესობიდან 2018 წელს 3 სტუდენტი ჩაირიცხა, ხოლო აფხაზი უმცირესობიდან – 0 სტუდენტი).

საკანონმდებლო და ფინანსური ბაზების მიუხედავად, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებისთვის უმაღლესი განათლების დაწესებულებათა ხელმისაწვდომობა კვლავ პრობლემად რჩება სხვადასხვა მიზეზის გამო, როგორებიცაა ინკლუზიური განათლების კომპონენტის ნაკლებობა, დისტანციური სწავლების ობიექტების არარსებობა და სხვ.³⁴⁰

სამწუხაროდ, სტატისტიკური ინფორმაციის ნაკლებობის გამო შეუძლებელია, სრულად შეფასდეს სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის უზრუნველყოფილი წვდომა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა შესახებ მონაცემები ფრაგმენტულია და

335. იქვე, მუხლი მე-9, პუნქტი 3; თავი 4, მუხლი 31.

336. იქვე, მუხლი 43-ე, პუნქტი 7

337. იქვე, მუხლი 52-ე, პუნქტი 51

338. რ. ჭანტურია, „უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა“, განათლების საერთაშორისო ცენტრი, 2015;

339. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. ქართულენოვან სასწავლო პროგრამებში ჩარიცხული სტუდენტების კლასიფიცირება კონკურსის ქულების მიხედვით, 2018;

340. Edu.aris.ge, „რამდენად ხელმისაწვდომია უმაღლესი განათლება საქართველოში – საკითხზე სოხუმის უნივერსიტეტში იმსჯელეს“, 2017;

მხოლოდ ზოგადი და პროფესიული განათლების დონეებს მოიცავს. კერძოდ, სამინისტროს მიერ მოწოდებულია შემდეგი ინფორმაცია:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტების რაოდენობა პროფესიული განათლების და სასწავლო დაწესებულებებში: 2016 წელს – 268 სტუდენტი, 2017 წელს – 244 სტუდენტი;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში: 2016 წელს – 6793 სტუდენტი, 2017 წელს – 7728 სტუდენტი.

მსგავსი მონაცემები იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა საერთო რაოდენობასთან დაკავშირებით. სამინისტროს მიერ მოპოვებული ერთადერთი სტატისტიკური მონაცემი არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სომხური, რუსული და ამერბაიჯანული სექტორების სტუდენტების რაოდენობა: 2016 წელს – 51 749, 2017 წელს – 51 741 და 2018 წელს – 52 490 სტუდენტი.³⁴¹

ინსტიტუციური ბაზა

განათლების უფლების განხორციელებაზე პასუხისმგებელი მთავარი სამთავრობო ორგანოა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, რომელშიც შედიან სამინისტროს ეგიდით მოქმედი ინსტიტუციები. კერძოდ, განათლების სხვადასხვა დონისათვის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და დაფინანსების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ ძირითად ინსტიტუციურ სტრუქტურაში შედიან:

- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფაზე განათლების ყველა დონეზე, ასევე დიპლომებზე და საგანმანათლებლო აღიარებაზე;
- შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ძირითადად პასუხისმგებელია საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მიღების პროცესზე ერთიანი ეროვნული გამოცდების ადმინისტრირების გზით;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, რომელიც პასუხისმგებელია საჯარო დაწესებულებებისთვის ტექნოლოგიური და ელექტრონული რესურსების მიწოდებაზე;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი პასუხისმგებელია მასწავლებლების მომზადებასა და სკოლებში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე;
- საერთაშორისო განათლების ცენტრი პასუხისმგებელია საზღვარგარეთ სწავლის მსურველი საქართველოს მოქალაქეებისათვის სტიპენდიების უზრუნველყოფაზე;
- შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი პასუხისმგებელია კვლევების დაფინანსებაზე.

დაფინანსება

განათლებისა და მეცნიერების საერთო დაფინანსება 2018 წლისთვის 1,236,634,000 ლარს (39,891,419

341. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წერილი №81801377507, 25/10/2018

ევრო) შეადგენს; ეს თანხა განაწილებულია საგანმანათლებლო საქმიანობის შემდეგ მიმართულებებზე:³⁴²

- სკოლამდელი აღზრდა — 140,000 ლარი (45,161 ევრო);
- ზოგადი განათლება — 611,880,000 ლარი (197,380,645 ევრო);
- პროფესიული განათლება — 45,960,000 ლარი (14,825,806 ევრო);
- უმაღლესი განათლება — 153,962,000 ლარი (49,665,161 ევრო);
- უმაღლესი განათლების შემდგომი განათლება (Post-tertiary education) — 2,500,000 ლარი (806,452 ევრო);
- საგანმანათლებლო დახმარების სფერო — 94,829,000 ლარი (30,590,000 ევრო);
- გამოყენებითი კვლევა განათლების სფეროში — 41,770,000 ლარი (13,474,193 ევრო);
- სხვა არაკვალიფიციური აქტივობები განათლების სფეროში — 285,593,000 ლარი (92,126,774 ევრო) (189,103,000 ლარი (61,000,967 ევრო) - საბიუჯეტო სახსრებიდან, ხოლო 96,490,000 ლარი (31,125,806 ევრო) - დონორებისგან).

გემოხსენებული თანხებიდან შემდეგი საბიუჯეტო კატეგორიები და სახსრები გამოიყო სხვადასხვა მიწვევადი ჯგუფისთვის:

- ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა მსჯავრდებული პირებისთვის — 210,000 ლარი (67,742 ევრო);
- პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა მსჯავრდებული პირებისთვის — 185,000 ლარი (59,677 ევრო);
- პროფესიული ტრენინგი ეთნიკური უმცირესობებისთვის — 2,300,000 ლარი (741,935 ევრო);
- ინკლუზიური განათლება — 5,135,000 ლარი (1,656,452 ევრო);
- საქართველოს მთავრობის 11/08/2017-ის №395 ბრძანებულების საფუძველზე (ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე) ჯამური 1,920,000 ლარი (619,355 ევრო) გამოიყო საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებზე, რომლებიც სოციალურად დაუცველების სტატუსს ფლობენ. 2017 წელს ჩარიცხული 853 სტუდენტი ჩართეს გემოხსენებულ პროგრამაში; 300,000–300,000 ლარი (96,774–96,774 ევრო) გამოუყვეს უმაღლეს სასწავლებლებში 2016 და 2015 წლებში ჩარიცხულ სტუდენტებს (მუხლი 3). იგივე თანხა გამოიყო სოციალური პროგრამისთვის 2016 წელს (ბენეფიციარები - 1382 სტუდენტი).³⁴³

ძირითად ხარჯებთან ერთად სახელმწიფო გამოყოფს 113,620,000 ლარს (36,651,613 ევრო) უმაღლესი განათლების სტიპენდიებზე; კერძოდ, აღნიშნული სტიპენდიებით აფინანსებენ საბაკალავრო და სამაგისტრო დონეებზე სწავლას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. საერთაშორისო განათლების ცენტრის მეშვეობით სახელმწიფო აფინანსებს საქართველოს მოქალაქეების განათლებას საზღვარგარეთ, რისთვისაც სპეციალური კონკურსები ტარდება. ქვემოთ ცხრილში ნაჩვენებია საერთაშორისო განათლების ცენტრის მიერ ბოლო ორი წლის განმავლობაში გამოყოფილი თანხები:³⁴⁴

342. საქართველოს კანონი „2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, თავი 3, მუხლი 8, 9; N1721-ს, 13/12/2017, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 22/12/2017, ბოლოს ცვლილებები შესულია: 07/03/2018

343. საქართველოს მთავრობა, დადგენილება №395 „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში იმ სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე“, 11/08/2017; საქართველოს მთავრობა, დადგენილება №310 „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში იმ სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე“, 07/07/2016; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წერილი №81801377507, 25/10/2018

344. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წერილი №81801377507, 25/10/2018

	აკადემიური წელი 2016-17	აკადემიური წელი 2017-18
სამაგისტრო საფეხურზე სწავლა საფრანგეთში	16	13
კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამები საზღვარგარეთ	7	15
საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები	49	61
საერთაშორისო PhD პროგრამები	7	6
საერთაშორისო სახელოვნებო პროგრამები	7	3
წინა წლებიდან მოქმედი გრანტების მფლობელები მაღალი აკადემიური მოსწრებით (GPA)	42	41
უნგრეთში სწავლის სტიპენდიები (Stipendium Hungaricum). დაფინანსება გამოყოფილია უნგრეთის მთავრობის მიერ.		63
სტიპენდიები უნგრელი სტუდენტების და მეცნიერებისთვის სემონურ სკოლებში მონაწილეობის მისაღებად. დაფინანსება გამოყოფილია საქართველოს მთავრობის მიერ.		3
მცირე საგრანტო პროგრამები უმაღლესდამთავრებულებისთვის		4
ფულბრაიტის სამაგისტრო პროგრამა		
მთლიანი რაოდენობა	128	209
მთლიანი თანხა	5,558,098.12 ლარი (1,792,935 ევრო)	5,901,700.00 ლარი (1,903,774 ევრო)

სახელმწიფო ბიუჯეტის გარდა „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის“ II კომპაქტის ფარგლებში 2014-19 წლებში გამოყოფილი იქნა 140,000,000 ლარი (45,161,290 ევრო), საიდანაც 86,490,000 ლარი (27,900,000 ევრო) 2018 წლისთვის იყო გამოყოფილი.

საკუთრების უფლება

93 გთხოვთ, აღწერთ თუ როგორ არის საკუთრების უფლება გარანტირებული კანონმდებლობასა და პრაქტიკაში. არსებობს თუ არა შეზღუდვა საკუთრების უფლებაზე კონკრეტული პირობებისთვის (მაგ.: უცხო ქვეყნის მოქალაქეები, ევროკავშირის მოქალაქეები) ან ზოგიერთი სახის ქონებაზე (მაგ.: სასოფლო-სამეურნეო მიწა)? როგორ აღსრულდება საკუთრების უფლება? რა შემთხვევაში არის დაშვებული საკუთრების უფლების შეზღუდვა და რომელი ორგანოები ახორციელებენ მსგავს შეზღუდვებს? მოიყვანეთ ქონების ჩამორთმევის კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები (იხილეთ ასევე მე-4 თავი კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების შესახებ).

საკუთრების უფლებას იცავს საქართველოს კონსტიტუციის (N786, მიღებულია 24/08/1995, კონსოლიდირებული ვერსია: 23/03/2018) 21-ე მუხლი³⁴⁵ - „საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია“ და „დაუშვებელია კერძო საკუთრების უნივერსალური უფლების გაუქმება“. იგივე მუხლი განსაზღვრავს გამონაკლისებსაც. საკუთრების უფლება შეიძლება, შეიზღუდოს სამოგადობრივი საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას.

345. საქართველოს კონსტიტუცია N786 (მიღებულია: 24/08/1995, კონსოლიდირებული ვერსია: 23/03/2018): <https://matsne.gov.ge/en/document/view/30346?publication=35>

საქართველოს კანონი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ (N2349, მიღებულია: 23/07/1999, გამოქვეყნებულია: 11/08/1999, კონსოლიდირებული ვერსია: 29/06/2018)³⁴⁶ საკუთრების ჩამორთმევას არეგულირებს. აღნიშნული კანონი საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში საკუთრების ჩამორთმევის დასაშვებ შემთხვევებს აღწერს, განსაზღვრავს კონკრეტულ კომპეტენტურ უწყებებს, რომლებსაც ქონების ჩამორთმევის უფლებამოსილება აქვთ და ასევე მკაფიოდ ადგენს საზოგადოებრივ საჭიროებას, რომლის საფუძველზეც შესაძლოა, საკუთრების ჩამორთმევა განხორციელდეს; ასეთია გზისა და მაგისტრალის გაყვანა-შენიშვნა, რკინიგზის ხაზების გაყვანა, ბუნებრივი გაზის, წყალმომარაგების, კანალიზაციის და კომუნიკაციების გაყვანა და სხვა. ჩამონათვალი ამომწურავია და კონკრეტულად განსაზღვრავს საზოგადოებრივ საჭიროებებს. აღნიშნულ შემთხვევებში მუხლი 1 მესაკუთრისთვის წინასწარი, სრული და სამართლიანი კომპენსაციის გაცემას უზრუნველყოფს თანხის გადახდით ან ჩამორთმეული ქონების საბაზრო ღირებულების მქონე სხვა ქონების გადაცემით.

კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად, რომელიც 2018 წლის ნოემბერში საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ შევა ძალაში, საკუთრების უფლება კონსტიტუციის მე-19 მუხლის მეოთხე პუნქტით დარეგულირდება და ზემოთხსენებულ გარანტიებს განამტკიცებს.

ახალი რედაქციით საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი შეზღუდვებს აწესებს სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების უფლებაზე. აღნიშნული ცვლილების შედეგად, რომელიც ძალაში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შემდგომ შევა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მნიშვნელოვანი რესურსია და ის სახელმწიფოს, თვითმმართველ ერთეულებსა და საქართველოს მოქალაქეს ან მოქალაქეთა გაერთიანებას შეიძლება, ეკუთვნოდეს. აღნიშნულ საკითხს საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ (N165, მიღებულია: 22/03/1006, გამოქვეყნებულია: 30/04/1996, კონსოლიდირებული ვერსია: 16/06/2017)³⁴⁷ არეგულირებს. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლამდე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და უცხოეთში რეგისტრირებული იურიდიული პირების საკუთრების უფლება შეზღუდულია.

არასამთვრობო ორგანიზაციები მწვავედ აკრიტიკებენ უცხო ქვეყნის მოქალაქეების საკუთრების უფლებაზე დაწესებულ შეზღუდვებს. 2014 წელს, საკონსტიტუციო ცვლილებების დამტკიცებამდე (რომელიც 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ შევა ძალაში), საკონსტიტუციო სასამართლომ “საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს” სარჩელი დააკმაყოფილა და არაკონსტიტუციურად ცნო დროებითი შეზღუდვა, რომელმაც ავსტრიის მოქალაქეს სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების უფლება შეუზღუდა. ამ საქმეზე დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ “საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს” ბლოგი.³⁴⁸ ზემოთხსენებული ცვლილებების შედეგად აღნიშნული შეზღუდვა კონსტიტუციით იქნება გათვალისწინებული, რაც საქართველოს მოქალაქეებისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების არათანაბარ მოპყრობას გულისხმობს.

346. საქართველოს კანონი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ N2349, მიღებულია: 23/07/1999, გამოქვეყნებულია: 11/08/1999, კონსოლიდირებული ვერსია (29/06/2018): <https://matsne.gov.ge/en/document/view/16480?publication=5>

347. საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ N165 (იღებულია: 22/03/1006, გამოქვეყნებულია: 30/04/1996, კონსოლიდირებული ვერსია: 16/06/2017): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32998?publication=16>

348. საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, „საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შეძენაზე დაწესებული დროებითი აკრძალვა,“ 24 ენისი, 2014, <http://bit.ly/2AKMbcoc>

94 რომელი უწყება არის პასუხისმგებელი ურბანული ობიექტებისა და მიწის ნაკვეთების რეესტრის წარმოებასა და ქონების რეგისტრაციაზე? გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია არსებულ რეესტრსა და მიწის რეესტრთან დაკავშირებით. იგეგმება თუ არა მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის პროცედურისა და რეესტრის მოდერნიზაცია? გთხოვთ, განმარტოთ.

იუსტიციის სამინისტროში შემავალი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო პასუხისმგებელია ურბანული და მიწის ნაკვეთებისა და საკუთრების რეგისტრაციაზე. სააგენტო საქართველოს კანონის „საჯარო რეესტრის შესახებ“ (N820, მიღებულია: 19/12/2008, გამოქვეყნებულია: 30/12/2008, კონსოლიდირებული ვერსია: 20/07/2018) საფუძველზე ფუნქციონირებს³⁴⁹ და მის კომპეტენციაში შედის:

- უძრავი ქონების რეგისტრაცია;
- მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეგისტრაცია;
- ქონებაზე საგადასახადო გირაუნობა/იპოთეკის რეგისტრაცია;
- მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაცია;
- გეოდეზია და კარტოგრაფია;
- მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების რეგისტრაცია;
- ქვეყნის მასშტაბით სამისამართო სისტემის წარმოება;
- მუნიციპალიტეტების რეგისტრაცია.

აღნიშნული კანონის მე-6 მუხლი საჯარო რეესტრის ხელთ არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით სააგენტომ მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი საჯარო რეესტრის გაერთიანებული ბაზა შექმნა.³⁵⁰ პლატფორმაზე მოქალაქეებს სხვადასხვა სერვისის მიღება შეუძლიათ, მათ შორის – საკუთრების საკადასტრო რუქისა და სხვა ოფიციალური ცნობების მოთხოვნა. ინფორმაციაზე შეზღუდვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით (N2181, მიღებულია: 25/06/1999, გამოქვეყნებულია: 15/07/1999, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018)³⁵¹ გათვალისწინებულ კონფიდენციალურ საკითხებზე ვრცელდება.

გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები

95 დეტალურად აღწერეთ საკანონმდებლო ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქალისა და მამაკაცის თანასწორობას, უფრო კონკრეტულად, დასაქმების, მუშაობისა და ანაზღაურების სფეროებში.

ქალისა და მამაკაცის თანასწორობა საქართველოში გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით

349. საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“ N820 (მიღებულია: 19/12/2008, გამოქვეყნებულია: 30/12/2008, კონსოლიდირებული ვერსია: 20/07/2018): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/20560?publication=22>

350. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, გაერთიანებული პლატფორმა, ვებგვერდზე ვიზიტის თარიღი 25 ნოემბერი, 2018, <https://napr.gov.ge/udzravi>

351. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი N2181 (მიღებულია: 25/06/1999, გამოქვეყნებულია: 15/07/1999, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=26>

(N 786, 24/08/1995, გამოქვეყნებულია: „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, 31-33, 24/08/1995, საბოლოო რედაქცია: 23/03/2018), საქართველოს შრომის კოდექსით (N 4113, 17/12/2010, გამოქვეყნებულია: „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, 75, 27/12/2010, საბოლოო რედაქცია: 05/09/2018), კანონით გენდერული თანასწორობის შესახებ (N 2844, 26/03/2010, გამოქვეყნებულია: „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, 18, 12/04/2010, საბოლოო რედაქცია: 26/07/2017) და კანონით დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (N 2391, 02/05/2014, გამოქვეყნებულია: „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, 07/05/2014).

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი უზრუნველყოფს თანასწორობას: ყველა ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია, მიუხედავად, რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის და ა.შ. ამასთანავე, მე-11(3) მუხლში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.

დისკრიმინაცია აკრძალულია შრომის კოდექსის მე-2 მუხლით. შრომის კოდექსში მოცემულია დებულებები, რომლებიც უზრუნველყოფს თანასწორობას ქალსა და მამაკაცს შორის და კრძალავს დისკრიმინაციას ნებისმიერი ფორმით შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში.

საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ უზრუნველყოფს გენდერულ თანასწორობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. კერძოდ, მე-4 მუხლში აღნიშნულია: “სახელმწიფო ხელს უწყობს და უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლებებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში.“ ამასთან, ყველა ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად აირჩიოს პროფესია და სპეციალობა საკუთარ შესაძლებლობებზე დაყრდნობით და „პროფესიის ან სამუშაოს სახეობის თავისუფლად არჩევა, თანამდებობრივი დარჩენა, პროფესიული მომზადება/გადამზადება“ უზრუნველყოფილია დისკრიმინაციის გარეშე.³⁵² გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის მე-6(1) მუხლი შეეხება ქმედებებს, რომლებიც შეიძლება, მიჩნეულ იქნეს სექსუალურ შევიწროებად.³⁵³

გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში 2016 წელს შეტანილი ცვლილებების შესაბამისად თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიქმნა გენდერული თანასწორობის საბჭო (დადგენილება №26-80, 01/11/2016, გამოქვეყნებულია: „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, 03/11/2016).³⁵⁴ მე-13(1¹) მუხლის თანახმად, გენდერული თანასწორობის საბჭოები შეიქმნა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებშიც, ამასთან, თითოეული მუნიციპალიტეტის მერი ნიშნავს საჯარო მოსამსახურეს (საკონტაქტო პირი), რომელიც პასუხისმგებელია გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებზე (მუხლი მე-13²). 2017 წლის ბოლოს გენდერული თანასწორობის საბჭო მოქმედებდა 38 თვითმმართველ ერთეულში.

კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კრძალავს დისკრიმინაციის ყველა ფორმას. კანონი განმარტავს პირდაპირ და არაპირდაპირ დისკრიმინაციას და განსაზღვრავს ზომებსა და მექანიზმებს დისკრიმინაციის აღმოფხვრისათვის.³⁵⁵

352. კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, 2010, მუხლი 4, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624>

353. გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები, იანვარი, 2018, გვ.53

354. გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელება საქართველოში: 2016 „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის“ შესრულების ანგარიში, 2017, გვ. 15

355. საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 2014, მუხლი 2 და 4, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?publication=0>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2017 წლის იანვრის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 52% შეადგენენ ქალები.³⁵⁶ 2016 წლის მონაცემებით 15 წლის და ზემოთ ქალების 42% ეკონომიკურად არააქტიურია, იმავე ასაკის კაცების მხოლოდ 22%-ია ეკონომიკურად არააქტიური. რაც შეეხება დასაქმებას, კაცების 67% დასაქმებულია. ქალების საშუალო ხელფასი თვეში 731.3 ლარს აღწევს, კაცებისა კი - 1116.6 ლარს.³⁵⁷

96 მიმოიხილეთ ის შესაძლო მექანიზმები, რომლებიც არსებობს კერძო და საჯარო სექტორისათვის დისკრიმინაციული დასაქმების პრაქტიკის აღსაკვეთად.

დასაქმების სფეროში ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა 2018-2020 წლების ადამიანის უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა (N182, 17/04/2018, გამოქვეყნდა: „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, 19/04/2018). ამასთანავე, გეგმის ძირითად ამოცანებს შორისაა პროფესიული განვითარებისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა (12.6.2), თანაბარი ანაზღაურების უზრუნველყოფა (12.6.3), სამუშაო ადგილას სექსუალური შევიწროების პრევენცია (12.6.4) და ქალთა აუნაზღაურებელი შრომის მასშტაბისა და ღირებულების შეფასება (12.7.1).³⁵⁸

საქართველოს პარლამენტმა 2013 წელს ცვლილებები შეიტანა შრომის კოდექსში. ახალი რეგულაციების თანახმად, შევსდება ორსულობისა და ბავშვზე ზრუნვის პერიოდში გაიზარდა 477 დღიდან 730 დღემდე, ხოლო ანაზღაურებადი დეკრეტული შევსდება - 126 დღიდან 183 დღემდე. ამ ცვლილებების შედეგად 183 დღეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადასახდელი თანხა გაიზარდა 1 000 ლარამდე (დაახ. 323 ევრო).³⁵⁹

გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის თანახმად, ორსული ქალებისა და მეძუძური დედებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს შრომის ხელსაყრელი პირობები, რაც გამოირიცხავს ქალების დასაქმებას მძიმე, საზიანო და სახიფათო გარემოში, აგრეთვე ღამის საათებში.³⁶⁰ საქართველოს შრომის კოდექსში გაწერილია უსაფრთხოების წესები ორსული და ახალნამშობიარები ან მეძუძური ქალებისათვის. საქართველოს შრომის კოდექსი აწესებს შეზღუდვებს ღამის სამუშაოებზე.³⁶¹ ამასთან, შრომითი ურთიერთობის შეჩერება შესაძლებელია ბავშვის გაჩენის, შვილად აყვანის და ბავშვის მოვლის გამო შევსდების დროს,³⁶² თუმცა, ზემოთ ჩამოთვლილი არ შეიძლება, გახდეს შრომითი ურთიერთობის შესწყვეტის საფუძველი.³⁶³ გასამრჯელოს შენარჩუნება და/ან ადეკვატური ანაზღაურების გადახდა, ორსული, მეძუძური და ახალნამშობიარები ქალისათვის შრომის კოდექსის მიხედვით სავალდებულო არ არის. თუმცა, საჯარო სამსახურის შესახებ კანონის თანახმად დეკრეტული შევსდების თანხა შრომითი

356. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური .ქალი და კაცი საქართველოში. 2017. p.52

357. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თანამშრომლების ყოველთვიური ხელფასი სქესის მიხედვით.2017.

358. ხელმისაწვდომია: <http://myrights.gov.ge/en/plan/Human%20Rights%20Action%20Plan%20for%202018-2020?sphere=752&goal=759&task=>

359. საქართველოს შრომის კოდექსი, 2010, მუხლი 27, მუხლი 29, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=8>

360. კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, 2010, მუხლი მე-6(4), ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624>

361. საქართველოს შრომის კოდექსი, 2010, მუხლი 27-ე, მუხლი მე-18, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=8>

362. იქვე, მუხლი 36-ე;

363. იქვე, მუხლი 37-ე;

გასამრჯელოს სრული ოდენობის ტოლი უნდა იყოს.³⁶⁴ განსხვავებული რეგულაციები ვრცელდება კერძო სექტორზე: როგორც წესი, დამქირავებლის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, მოხდება თუ არა მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების ანაზღაურება.

შრომის ანაზღაურების სუბსიდირება – 2018 წლის იანვრიდან საქართველოს მთავრობა დამსაქმებლისთვის ითვალისწინებს ახალ ან არსებულ, თავისუფალ სამუშაო ადგილებზე დასაქმებულ ბენეფიციართა შრომის ანაზღაურების სუბსიდირებას 50%-ის ოდენობით. სოციალური მომსახურების სააგენტო უზრუნველყოფს კანდიდატების შერჩევას და დამსაქმებლისათვის წარდგენას ვაკანტურ პოზიციებზე. საბოლოო გადაწყვეტილებას ბენეფიციართან შრომითი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე იღებს დამსაქმებელი. სუბსიდირების დასრულების შემდეგ დამსაქმებელი ვალდებულია, გაუგრძელოს შრომითი ხელშეკრულება ბენეფიციარს არანაკლებნთვის ვადით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობა შეუძლიათ ახალგაზრდებს (16 წლიდან 29 წლამდე), შებლდული შესაძლებლობების მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს.³⁶⁵

არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში მუშაობენ ბიზნესებში, სამოქალაქო საზოგადოებასა და მთავრობაში საერთაშორისო კორპორაციული პასუხისმგებლობის სტანდარტების დანერგვაზე.³⁶⁶ 2018 წლის თებერვალში ჩატარდა სოციალური პასუხისმგებლობის ჯილდოების გადაცემის ცერემონია. ჯილდოები ადამიანის უფლებების დაცვის ინიციატივებისათვის გადაეცა სამ წამყვან ადგილობრივ კომპანიას. დაჯილდოება მიზნად ისახავდა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობას საქართველოში.

ქალების მხარდამჭერი პროგრამები

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება გენდერული თანასწორობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. 2014 წელს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით დაიწყო პროექტი „აწარმოე საქართველოში.“ პროექტის მიზანია საქართველოში მეწარმეობის ხელშეწყობა, ადგილობრივი წარმოების სტიმულირება, ახალი საწარმოების განვითარება, სამუშაო ადგილების შექმნა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა. 2015–2016 წლებში 43885 ადამიანმა შეიტანა განაცხადი პროგრამაში მონაწილეობაზე, მათ შორის 16401 იყო ქალი, რაც განმცხადებლების 37.5%-ს შეადგენს. ბენეფიციარი ქალების რაოდენობაა 1935 (40%).³⁶⁷

პრიორიტეტულია სოფლად მცხოვრები ქალების გაძლიერება. 2013 წელს მიღებული იქნა კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ (N 816, 12/07/2013, გამოქვეყნებულია: „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, 05/08/2013, საბოლოო რედაქცია: 07/12/2017) და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიქმნა **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო** (სსიპ). დღეისათვის რეგისტრირებულია 1538 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელშიც 13 677 პირია გაერთიანებული, აქედან კი 3674 ქალია.³⁶⁸

364. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, მუხლი 41' (2), ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28312>

365. ხელმისაწვდომია: http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1372

366. ხელმისაწვდომია: https://www.unglobalcompact.org/system/attachments/cop_2017/410181/original/Civil_Development_Agency_%28CiDA%29_COE.pdf?1502435322

367. გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელება საქართველოში: 2016 „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის“ შესრულების ანგარიში, 2017, გვ. 16

368. „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში: არსებული პოლიტიკის და ინიციატივების ანალიზი“ საფარი, 2017, გვ. 21

97 როგორ არის დარეგულირებული გენდერული ნიშნით ძალადობა და ოჯახში ძალადობა თქვენი კანონმდებლობით, როგორია სასამართლო პრაქტიკა პრევენციის, დაზარალებულთა დახმარებისა და სამართალწარმოების კუთხით?

საკანონმდებლო ჩარჩო

საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს მამაკაცებისა და ქალების არსებით თანასწორობას (მუხლი მე-11), კრძალავს დისკრიმინაციას ნებისმიერი ნიშნით და კრძალავს წამებას, არადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას (მუხლი მე-9).

2006 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ (N 3143, 25/05/2006, გამოქვეყნებულია: „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, 20, 09/06/2006, საბოლოო რედაქცია: 05/07/2018). არსებობის მანძილზე კანონში არაერთი ცვლილება შევიდა, ბოლო ცვლილებების შეტანის მიზნები კანონის სტამბულის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანა იყო. კანონი ადგენს იმ ქმედებათა ერთობლიობას, რომლებიც დამახასიათებელია ოჯახში ძალადობისათვის და ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, აგრეთვე განსაზღვრავს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვისა და დახმარების გარანტიებს (მუხლი 1-ლი). კანონის მე-4 მუხლი განმარტავს ძალადობის შემდეგ სახეობებს: ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური და ეკონომიკური ძალადობა.

ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის და მსხვერპლის დაცვის უზრუნველსაყოფად დროებითი ღონისძიების სახით შესაძლებელია, გაიცეს შემაკავებელი ან დამცავი ორდერი (მუხლი მე-10(1)). მე-12 (1) (2) მუხლის მიხედვით დამცავი ორდერი გაიცემა 6 თვემდე ვადით. შესაძლებელია დამცავი ორდერის მოქმედების ვადის გაგრძელება. შემაკავებელი ორდერი კი გაიცემა ერთ თვემდე ვადით (მუხლი მე-12(4)). დამცავი ან შემაკავებელი ორდერების შეუსრულებლობის შედეგი აღწერილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 175²-ე მუხლში. ამასთანავე, სისხლის სამართლის კოდექსის 381¹-ე მუხლით განსაზღვრულია სანქციები იმ პირთათვის, რომლებმაც დაარღვიეს შემაკავებელი/დამცავი ორდერი და რომლებსაც მანამდე შეეფარდათ ადმინისტრაციული სახდელი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 175²-ე მუხლით.³⁶⁹

ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონის მე-6(3) (ა) და (გ) მუხლი განსაზღვრავს მექანიზმებს ოჯახში ძალადობის პრევენციისათვის. კანონი ავალდებულებს სახელმწიფოს, „აწარმოოს შესაბამისი სტატისტიკა“, „გაანალიზოს, შეისწავლოს და შეაფასოს ფაქტორები, რომლებიც ოჯახში ძალადობის მიზეზებია“.

იმ შემთხვევებში, როცა ძალადობის მოწმე შესაძლოა, იყოს არასრულწლოვანი, დროებითი ღონისძიების სახით შესაძლოა, დადგეს მოძალადე მშობლისაგან/მშობლებისაგან არასრულწლოვნის განცალკევების საკითხი. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.³⁷⁰

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად ოჯახში ძალადობად ითვლება ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც

369. გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები, იანვარი 2018, გვ. 62

370. საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ მუხლი მე-14(1), ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/en/document/download/26422/2/en/pdf>

გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა.³⁷¹ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ ფაქტორებად ითვლება ძალადობრივი ქმედების ჩადენა წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის, არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ, ორი ან მეტი პირის მიმართ, ჯგუფურად, არაერთგზის.

კოდექსის მიხედვით (მუხლი მე-11¹) ოჯახის წევრებად ითვლებიან: დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), მინდობით აღსაზრდელი, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, ასევე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც ეწევა ან ეწეოდა ერთიან საოჯახო მეურნეობას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 თავი მოიცავს დანაშაულს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ: გაუპატიურება (მუხლი 137-ე), სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება (მუხლი 138-ე), პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება (მუხლი 139-ე), სექსუალური ხასიათის შეღწევა თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში, (მუხლი 140-ე), გარყვნილი ქმედება (მუხლი 141-ე).

ქორწინების იძულება ითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლით. ამასთან, სექსუალური აქტი ჩადენილი წინასწარი შეცნობით სრულწლოვნის მიერ თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან ისჯება თავისუფლების აღკვეთით შვიდიდან ცხრა წლამდე (მუხლი 140-ე).

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციას (სტამბულის კონვენცია) ხელი მოეწერა 2014 წელს და მისი რატიფიცირება მოხდა 2017 წელს. მოქმედი კანონმდებლობის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საქართველოს პარლამენტში შევიდა ცვლილებათა პაკეტი. ცვლილებების თანახმად 133²-ე მუხლით ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება მიჩნეულ იქნა სისხლის სამართლის დანაშაულად და დაემატა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს. ასევე, დევნა გახდა დასჯადი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემები

შინაგან საქმეთა სამინისტრო აქვეყნებს უკანასკნელ წლებში ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკას. ცხრილში მოცემულია ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული და სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის რეგისტრირებული სტატისტიკა.³⁷²

რეგისტრირებული დანაშაული	2017 წელი	2018 წელი
გაუპატიურება (მუხლი 137-ე)	38	66
სისხლის სამართლის სხვა დანაშაული სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ (მუხლი 138-141-ე)	149	202
ოჯახში ძალადობა (მუხლი 126 ¹ -ე)	1027	3335

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით 2017 წელს - 4370, 2018 წელს კი 5472 შემკავებული ორდერი გაიცა.³⁷³

371. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 126¹-ე, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/en/document/download/16426/157/en/pdf>

372. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკა, ხელმისაწვდომია: <https://info.police.ge/uploads/5ba12ad771a1d.pdf>

373. ხელმისაწვდომია: <https://police.ge/en/shinagan-saqmeta-saministros-adamianis-uflebata-datsvis-departmentma-sazogadoebas-9-tviani-mushaobis-shedegebi-tsarudgina/12049>

სახელმწიფო სამოქმედო გეგმები

ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2014–2020) (N 2315, 30/04/2014, გამოქვეყნდა: „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, 16/05/2014) ქალთა უფლებების დაცვისა და ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის ნაწილში ხუთ ძირითად მიზანს მოიცავს:

- ქმედითი ზომების გატარება ყველა სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით – პოლიტიკურ საქმიანობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- დაუყოვნებელი და ეფექტიანი რეაგირება გენდერული თანასწორობის დარღვევის ყველა შემთხვევაზე;
- არსებული მექანიზმების სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საერთაშორისო სტანდარტებთან;
- საჯარო მოხელეებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე;
- ძალადობის მსხვერპლთათვის სამართლებრივ დაცვაზე, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის საშუალებებსა და თავშესაფარზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმები (2017–2018, 2018–2020) მიზნად ისახავს ეროვნული სტრატეგიის მე-14 პრიორიტეტის შესრულებას. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ქალთა უფლებების დასაცავად საჭირო ღონისძიებები განისაზღვრება ამ გეგმებით. ამასთანავე, გეგმით განსაზღვრულია თითოეული აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყება. არასამთავრობო ორგანიზაციები მონიტორინგს უწევენ სამოქმედო გეგმების შესრულების პროცესს და აქვეყნებენ მონიტორინგის ანგარიშებს. მთავრობა ასევე რეგულარულად გამოსცემს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს.

განხორციელების მექანიზმები და ეროვნული ინსტიტუტები საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო

გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით სისტემურ და კოორდინირებულ მუშაობას, შეიქმნა 2004 წელს. მოგვიანებით, 2010 წელს, საბჭო გადაიქცა პარლამენტის მუდმივმოქმედ ორგანოდ. საბჭოს თავმჯდომარეობს პარლამენტის თავმჯდომარე ან მისი ერთ-ერთი მოადგილე. საბჭოში პარლამენტის 16 წევრი შედის, რომელთა შერჩევა ხდება პარლამენტში წარმოდგენილი ყველა პოლიტიკური პარტიის წევრთა პროცენტული რაოდენობის პროპორციულად.³⁷⁴

გენდერული თანასწორობის საბჭო უფლებამოსილია, გააანალიზოს ქართული კანონმდებლობა, შეიმუშაოს წინადადება კანონში არსებული გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად, განსაზღვროს აქტივობები გენდერული თანასწორობის მისაღწევად და უზრუნველყოს თანაბარი უფლებები ქალებისა და მამაკაცებისათვის. საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აქტივობაა გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება

374. საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს რეგულაციები („დამტკიცებულია“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 16.02 №41/3 ბრძანებით), ხელმისაწვდომია: <http://www.parliament.ge/en/saparlamento-saqmianoba/komisiebi-da-sabchoebi-8/genderuli-tanasworobis-sabcho/oficialuri-dokumentebi/sabchos-debuleba>

საქართველოს მთავრობის გენდერული თანასწორობის საბჭო

2017 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და გაეროს სხვა სააგენტოების ტექნიკური მხარდაჭერით აღმასრულებელ შტოში შეიქმნა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია (საქართველოს მთავრობის დადგენილება N 286, 12/06/2017, გამოქვეყნებულია: „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, 14/06/2017). მასში შედიან სამინისტროების, სახალხო დამცველის ოფისის, იურიდიული დახმარების სამსახურის, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს, საზოგადოებრივი მაუწყებლისა და უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლები.

კომისიის მიზანია არსებული გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გაძლიერება და მისი განხორციელების მონიტორინგი ადგილობრივ დონეზე. უწყებათაშორისი კომისია საკოორდინაციო ორგანოა, მისი არსებობა გათვალისწინებულია სტამბულის კონვენციის მე-10 მუხლით, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო უწყებების ეფექტურ ფუნქციონირებას და რომლის მიზანიც არის ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია.

საქართველოს სახალხო დამცველი

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის თანახმად, სახალხო დამცველის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ზედამხედველობა, ამასთანავე, სახალხო დამცველი შეიმუშავებს მოსაზრებებს საჭირო საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით.³⁷⁵ სახალხო დამცველს აქვს სასამართლოს მეგობრის (*Amicus Curiae*) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. სახალხო დამცველის რეკომენდაციები სავალდებულო არ არის.

საქართველოს სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი 2013 წლის 15 მაისს შეიქმნა. გენდერული თანასწორობის კუთხით ადამიანის უფლებათა დაცვის ზედამხედველობა და ინდივიდუალური საჩივრების განხილვა დეპარტამენტის ორი მნიშვნელოვანი ფუნქციაა. ამასთანავე, დეპარტამენტი აქტიურად აქვეყნებს ყოველწლიური მონიტორინგის ანგარიშებს ქალთა უფლებებთან დაკავშირებით, გამოსცემს კვლევებს და აქტიურად უჭერს მხარს გენდერული თანასწორობის საკითხებზე საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი (Utipfund)

სახელმწიფო ფონდის, რომელიც შექმნილია „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (N 2944, 28/04/2006, გამოქვეყნებულია: „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, 15, 16/05/2006, საბოლოო რედაქცია: 05/07/2018), საქმიანობის მიზანია ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა, დახმარება და რეაბილიტაციის ხელშეწყობა. ამ თვალსაზრისით სხვადასხვა სახის მომსახურება ხელმისაწვდომია მსხვერპლთათვის ან სავარაუდო მსხვერპლთათვის.

375. საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 2014, მუხლი 6(2), ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?publication=0>

სახელმწიფო ფონდის შემოსავლები შედგება სახელმწიფო ბიუჯეტის რესურსების, საერთაშორისო ორგანიზაციების რესურსების, იურიდიული და ფიზიკური პირების შემოწირულობისა და სხვა შემოსავლისაგან, როგორც ეს ნებადართულია საქართველოს კანონმდებლობით.³⁷⁶ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დამტკიცებული ბიუჯეტი 2017 წელს 6, 034, 000 ლარი იყო (დაახ. 1,946,451 ევრო).

ამჟამად ფონდი მართავს ხუთ სახელმწიფო თავშესაფარს და სამ კრიზისულ ცენტრს. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებელი (თავშესაფარი) უზრუნველყოფს უსაფრთხო საცხოვრებელს, სამედიცინო, ფსიქოლოგიურ და სამართლებრივ დახმარებას და სოციალური რეინტეგრაციის მხარდაჭერას. კრიზისული ცენტრი ძალადობის მსხვერპლებს უზრუნველყოფს პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების მიღებით, ასევე სამართლებრივი და ფსიქოლოგიური დახმარებით.

ცხელი ხაზი

უფასო საკონსულტაციო ცხელი ხაზი 116 006 სახელმწიფო ფონდში ფუნქციონირებს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე კონსულტაციის გაწევის მიზნით. ცხელი ხაზი შეიქმნა გავრცელებული ძალადობის საკითხების მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით. ოთხი ოპერატორი პასუხობს ზარებს 24 საათის განმავლობაში. ცხელი ხაზი დაფინანსებულია ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წლიური ბიუჯეტიდან. 2017 წელს ცხელი ხაზის სერვისით ისარგებლა 2 135-მა ბენეფიციარმა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში 2018 წლის იანვარში შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტი.

დეპარტამენტის მიზანია ოჯახური დანაშაულის, ქალთა მიმართ ძალადობის (მათ შორის, სექსუალური ძალადობა), დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილი დანაშაულის, ტრეფიკინგის, არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაულის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ფაქტებზე დროული რეაგირება და მიმდინარე გამოძიების ეფექტიანობის უზრუნველყოფა. 2018 წლის სექტემბრიდან, დეპარტამენტმა დაიწყო რისკის შეფასების ინსტრუმენტის და შემაკავებელი ორდერების მონიტორინგის მექანიზმის გამოყენება, რაც მთავრობას საშუალებას აძლევს, შეამციროს ძალადობის რისკი.

დეპარტამენტს ჰყავს 14 თანამშრომელი. ცნობიერების და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სამინისტრო რეგულარულად ატარებს თემატურ ტრენინგებს თანამშრომლებისათვის.

გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად არსებული ქართული საკანონმდებლო ჩარჩო მეტწილად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. თუმცა, შესაძლებელია კანონების შემდგომი დახვეწა, მაგალითად, საქართველოს შრომის კოდექსში არ არის გაწერილი მკაფიო დებულებები გენდერული დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად და არ არის ნახსენები თანაბარი

376. საქართველოს კანონი „ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 2006, მუხლი 9(6), ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/26152>

ანაზღაურების პრინციპი.³⁷⁷ “მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ 1993 წელს “მამაკაცთა და ქალთა თანასწორი ანაზღაურების შესახებ თანაბარი ღირებულების შრომისათვის” კონვენციის (№100) რატიფიცირება მოახდინა, სექსუალური შევიწროება შრომის კოდექსში ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის.

ბავშვთა უფლებები

98 გთხოვთ, დეტალურად განიხილოთ არსებული საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და ინსტიტუციური ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის უფლებათა დაცვას.

ბავშვთა უფლებების დაცვას განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებულ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ჯგუფში. კონსტიტუციის მიხედვით დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონმდებლობით (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 30, პუნქტი (2)).

საერთაშორისო სამართლებრივი ბაზა

ძირითადი საერთაშორისო სახელმწიფოებო ორგანო ბავშვთა უფლებების დასაცავად გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი, რომელმაც ბავშვის უფლებათა კონვენცია 1989 წელს მიიღო (A/RES/44/25). ეს არის იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე პირველი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც ბავშვთა უფლებებს შეეხება. საქართველო კონვენციას 1994 წელს შეუერთდა, როდესაც საქართველოს პარლამენტმა მოახდინა კონვენციის რატიფიცირება. საქართველოს პარლამენტმა სხვა შესაბამისი საერთაშორისო კონვენციების რატიფიცირებაც განახორციელა და ამით იკისრა ვალდებულება, შეასრულოს კონვენციათა დებულებები და შეიტანოს ისინი შიდასახელმწიფოებრივ საკანონმდებლო სისტემაში. ქვემოთ ჩამოთვლილია საერთაშორისო კონვენციები და ფაკულტატური ოქმები ბავშვთა უფლებების შესახებ:

1. ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატური ოქმი შეტყობინებების პროცედურების შესახებ, 2012 წლის 28 თებერვალი (რატიფიცირებული 2016 წლის 19 დეკემბერს);
2. ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ, 2007 წლის 25 ოქტომბერი, /CETS №201/ (რატიფიცირებული 2015 წლის 1 იანვარს);
3. ჰააგის კონვენცია მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის შესახებ, ანუ ჰააგის 1996 წლის კონვენცია, ოფიციალურად: ჰააგის 1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენცია მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ (რატიფიცირებული 2015 წლის 1 მარტს);
4. ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატური ოქმი „შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ“, A/RES/54/263, 2000 წლის 25 მაისი (რატიფიცირებული 2010 წლის 3 სექტემბერს);

377. USAID, კონსტიტუციის 42-ე მუხლი, გენდერული დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში, 2014 გვ. 55, ხელმისაწვდომია: http://article42.ge/wp-content/uploads/2016/03/Gender_Discrimination_in_Labor_Relations.pdf

5. ბღშვის უფღბბბბ კონვენციის ფაკულტბბბბი ოქმი „ბღშვბბბბ ვბჭრობის, ბღშვბბბბ ბროს-ტიტუციისბ და ბღშვბბბბ ბორნოგრაფიის შესბხბბ“, A/RES/54/263, 2000 წლის 25 მბისი (რბტიფიცირბბბბი 2005 წლის 28 ივნისს);
6. კონვენციბ ბღშვბბბბ შრომის უკიდურესი ფორმბბბის ბკრბბბბისბ და დბუყონბბბბბბ ბღმფხვრის ღონისძიბბბბბის შესბხბბ, ჟენევა 1999 წლის 17 ივნისი /No.C182/ (რბტიფიცირბბბბი 2003 წლის 24 ივნისს);
7. ევროპული კონვენციბ ქორწინბბბის გბრეშე დბბბბბბბ ბღშვბბბბ სბმბრთღბბბბბი სტბტუსის შესბხბბ, 1975 წლის 15 ოქტობბბბი (რბტიფიცირბბბბი 2002 წლის 31 ივნისს);
8. ბღშვის უფღბბბბ კონვენციბ, A/RES/44/25 (რბტიფიცირბბბბი 1994 წლის 2 ივნისს);
9. ჰბბვის 1980 წლის 25 ოქტობბბბის კონვენციბ ბღშვბბბბ სბერთბშორისო მოტბცბბბის სბმბრთღბბბბბი ბსბბბბბბის შესბხბბ(რბტიფიცირბბბბი 1983 წლის 1 დეკბმბბბს).

შიდბსბხღმწიფობბბბი კბნონმდბბბბ

შიდბსბხღმწიფობბბბი კბნონმდბბბბ ბღშვბბბბ უფღბბბბსისხლის, სბმოქბლბბბ დადმინისტრბციული სბმბრთლის სფერობბბში სხვბდბსხვბ სბკბნონმდბბბბ ბქტის მბშვბობბბ იცბგს. ეს ძირითბდი ბდგილობბბბი რეგულბციბბ მიზნბდ ისბხბგს ბღშვბბბბ დბცვბს ოჯბბში, სოციბლურ, ეკონომიკურ, გბნბთღბბბის, ჟბნდბცვისბ და შრომის, სისხლის სბმბრთლის, ბლტბრნბტიული ზრუნვისბ და სხვბ სფერობბბში. ძირითბდი სბკბნონმდბბბბ ბქტბბბბ:

1. სბქბრთველოს სბმოქბლბბბ კოდბქსი (მიღბბბის თბრიღი: 26/06/1997; დოკუმბნტის ნომბერი 786);
2. სბმოქბლბბბ სბპროცესო კოდბქსი (მიღბბბის თბრიღი: 14/11/1997; დოკუმბნტის ნომბერი 1106);
3. ზოგბდი ბდმინისტრბციული კოდბქსი (მიღბბბის თბრიღი: 25/06/1999; დოკუმბნტის ნომბერი 2181);
4. ბდმინისტრბციული სბპროცესო კოდბქსი (მიღბბბის თბრიღი: 23/07/1999; დოკუმბნტის ნომბერი 2352);
5. ბდმინისტრბციულ სბმბრთბლდბრღვევბბბ კოდბქსი (მიღბბბის თბრიღი: 15/12/1984; დოკუმბნტის ნომბერი 161);
6. სბქბრთველოს სისხლის სბმბრთლის კოდბქსი (მიღბბბის თბრიღი: 22/07/1999; დოკუმბნტის ნომბერი 2287);
7. სისხლის სბმბრთლის სბპროცესო კოდბქსი (მიღბბბის თბრიღი: 09/10/2009; დოკუმბნტის ნომბერი 1172);
8. ბრბსრულწლოვბნბბბ მბრთლმსბჯუღბბბის კოდბქსი (მიღბბბის თბრიღი: 12/06/2015; დოკუმბნტის ნომბერი 3708-ის);
9. კბნონი „ზოგბდი გბნბთღბბბის შესბხბბ“ (მიღბბბის თბრიღი: 08/04/2005; დოკუმბნტის ნომბერი 1330);
10. კბნონი „ბდრეული და სკოლბმდელი ბღზრდისბ და გბნბთღბბბის შესბხბბ“ (მიღბბბის თბრიღი: 08/26/2016; დოკუმბნტის ნომბერი 5366-ის);
11. კბნონი „სოციბლური დბხმბრბბის შესბხბბ“ (მიღბბბის თბრიღი: 29/12/2006; დოკუმბნტის ნომბერი 4289);
12. კბნონი „შეზღუდული შესბძღბბბობის მქონე ბირბბ სოციბლური დბცვის შესბხბბ“ (მიღბბბის თბრიღი: 14/06/1995; დოკუმბნტის ნომბერი 756);
13. კბნონი „ოჯბბში ბბლბბობის ბღკვეთის, ოჯბბში ბბლბბობის მსხვერპლბბბ დბცვისბ და დბხმბრბბის შესბხბბ“ (მიღბბბის თბრიღი: 25/05/2006; დოკუმბნტის ნომბერი 3143);
14. კბნონი „სბქბრთველოს მოქბლბბბბბ და სბქბრთველბში მცხობრბბ უცხობლბბ რეგისტრბციის, ბირბბობის (ბინბდრობის) მოწმობისბ და სბქბრთველოს მოქბლბბბის პბსპორტის გბცემის წესის შესბხბბ“ (მიღბბბის თბრიღი: 27/06/1996; დოკუმბნტის ნომბერი 323);

15. კანონი „სამოქალაქო აქტების შესახებ“ (მიღების თარიღი: 20/12/2011; დოკუმენტის ნომერი 5562);
16. საქართველოს შრომის კოდექსი (მიღების თარიღი: 17/12/2010; დოკუმენტის ნომერი 4113 RS);
17. კანონი „პოლიციის შესახებ“ (მიღების თარიღი: 04/10/2013; დოკუმენტის ნომერი 1444-Is);
18. კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (მიღების თარიღი: 02/05/2014; დოკუმენტის ნომერი 2391-Is);
19. კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ (მიღების თარიღი: 26/06/1997; დოკუმენტის ნომერი 786);
20. კანონი „პაციენტთა უფლებების შესახებ“ (მიღების თარიღი: 04/05/2017; დოკუმენტის ნომერი 743-Is).

ბავშვთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ძირითადი ნორმების მიმოხილვა

„ბავშვის“ განმარტება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით (მუხლი 18(2)), ბავშვი არის პირი, რომელსაც არ შესრულებია თვრამეტი წელი, რაც შეესაბამება ბავშვის უფლებათა კონვენციაში მოცემულ განმარტებას. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შესაბამისად სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკია 14 წელი, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის ასაკი 16 წლიდან არის განსაზღვრული (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მუხლი 3(1)).

სრულწლოვანია პირი, რომელმაც 18 წლის ასაკს მიაღწია. სრულად ქმედუნარიანად ითვლება პირი, რომელმაც სრულწლოვანებას მიაღწია. სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის მიხედვით ბავშვისთვის სამოქალაქო ქორწინება აკრძალულია. 10 წლის ან 10 წელზე მეტი ასაკის ბავშვის შვილად აყვანისთვის აუცილებელია მისი ინფორმირებული წერილობითი თანხმობა, ხოლო 10 წლამდე ასაკის ბავშვის შემთხვევაში, მისი სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით, მხედველობაში მიიღება მისი სურვილი. თუმცა, თუ ბავშვი ცხოვრობს ოჯახში, რომელიც მიიჩნეოდა მის ბიოლოგიურ მშობლებად, სასამართლოს უფლება აქვს, შვილად აყვანის საქმე 10 წლის ასაკის ბავშვის თანხმობის გარეშე გადაწყვიტოს („შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლი და სამოქალაქო კოდექსის 1255-ე მუხლი). ბავშვს, რომელსაც შეუსრულდა 14 წელი, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს (სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1198¹ (1)-ე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი 81¹-ე). 14-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვს, რომელიც სწორად აფასებს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობას, უფლება აქვს, განაცხადოს ინფორმირებული თანხმობა ან უარი სამედიცინო მომსახურებაზე, რომელიც მის სქესობრივ ცხოვრებას ეხება („პაციენტთა უფლებების შესახებ“ კანონის მუხლები 40-41-ე). შრომის კოდექსის მე-4 მუხლი ადგენს, რომ არასრულწლოვანთან შრომით ურთიერთობაში შესასვლელი მინიმალური ასაკია 16 წელი. 16 წლამდე არასრულწლოვანთან შრომით ურთიერთობაში შესასვლელად სპეციალური პირობებია განსაზღვრული: მშობელთა წერილობითი თანხმობა იმ პირობით, თუ შრომითი ურთიერთობა ზიანს არ აყენებს არასრულწლოვნის ჯანმრთელობას, მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას, არ უზღუდავს მას განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას და არ არის აკრძალული კანონით. 14 წლამდე ასაკის პირთან (არასრულწლოვანთან) შრომითი ურთიერთობა შესაძლებელია მხოლოდ ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 32-ე მუხლის თანახმად, თვრამეტი წლის ასაკს მიუღწეველ პირებს არ შეიძლება, შეეფარდონ

ადმინისტრაციული პატიმრობა. სამოქალაქო კანონმდებლობა ადგენს, რომ 10 წელზე მეტი ასაკის არასრულწლოვანი პასუხს აგებს სამოქალაქო დარღვევისათვის, თუ მას ესმის თავისი მოქმედების ნეგატიური შედეგები (მუხლი 994-ე). სამოქალაქო კოდექსის მიხედვით (მუხლი 65-ე), თქვესმეტი წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვანი შეიძლება, ემანსიპირებული იყოს და გახდეს ქმედუნარიანი, თუ მშობელების განაწყვეტილებითა და მეურვეობისა და მზურველობის ორგანოს თანხმობით მას მიეცა საწარმოს დამოუკიდებლად ხელმძღვანელობის უფლება. არასრულწლოვანი ქმედუნარიანია მხოლოდ აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებში (მათ შორის, საწარმოს დაფუძნება, ლიკვიდაციისა და შრომითი ურთიერთობების დაწყება ან დამთავრება)

ბავშვის ინტერესები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით მშობლები ვალდებული არიან, ბავშვთან დაკავშირებულ ყველა ქმედებაში ბავშვის ინტერესების დაცვით იმოქმედონ (სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1199-ე). სახელმწიფო ვალდებულია, განახორციელოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა დაიცვას ბავშვი დაუდევრად მოპყრობისგან, ფიზიკური, სექსუალური და ემოციური ძალადობისა და ყველანაირი ფორმის ექსპლუატაციისგან. გარდა ამისა, სახელმწიფო ვალდებულია, პატივი სცეს, დაიცვას და გააუმჯობესოს ბავშვის უფლებები. ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს იგივე უფლებები აქვს, რაც – ქორწინებაში დაბადებულს. შვილად აყვანილ ბავშვს იგივე უფლებები აქვს მშვილებელ მშობლებთან მიმართებით, რაც ბავშვს აქვს თავის მშობლებთან მიმართებით. სახელმწიფო ვალდებულია, როდესაც კი ეს შესაძლებელია, უზრუნველყოს მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვისთვის დაცვა საოჯახო გარემოში. შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის პროცედურები ადგენს, რომ ბავშვის შვილად აყვანა და მინდობით აღსაზრდელად გადაცემა შესაძლებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით („შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონის მუხლი 1-ლი).

ყველა ფიზიკური პირი და ორგანიზაცია (მათ შორის, სახელმწიფო და კერძო) ვალდებულია, დაიცვას ბავშვის ინტერესები. მათ ასევე აკისრიათ ვალდებულება, შეატყობინონ შესაბამის ორგანოებს ბავშვის უფლებების დარღვევის შემთხვევები (სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1198¹-ე).

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პირველი მუხლი ადგენს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესი უმთავრესი პრინციპია საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებულ ყველა პროცედურაში. კოდექსი 2015 წელს იქნა მიღებული და ბავშვთა უფლებების თვალსაზრისით მთელ პენიტენციურ სისტემაში ძალზე პროგრესულად არის მიჩნეული³⁷⁸.

დისკრიმინაციის დაუშვებლობა

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით აკრძალულია პირდაპირი თუ ირიბი დისკრიმინაცია ნებისმიერ საფუძველზე, მათ შორის, რასის, სქესის, წარმოშობის, სოციალური წარმომავლობის, დაბადების, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების საფუძველზე (მუხლი მე-11). ამ დებულებაში ასაკი არ არის განსაზღვრული, მაგრამ პრაქტიკისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მიხედვით დაცულ საფუძველად მიიჩნევა. აღნიშნული კანონი კრძალავს დისკრიმინაციას, მათ შორის – ასაკის საფუძველზე (მუხლი 1-ლი).

378. გამოქვეყნების თარიღი: 12/06/2015; დოკუმენტის ნომერი: 3708-III

ყველა ბავშვს აქვს თანასწორი უფლებები და დაცვის განსაკუთრებული უფლება ოჯახში, საზოგადოებასა და სახელმწიფოში, მიუხედავად მისი ან მისი მშობლების, მეურვეების ან ოჯახის სხვა წევრების პირადი შეხედულებებისა. აკრძალულია ბავშვის დისკრიმინაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის, ქორწინებაში თუ ქორწინების გარეშე დაბადების საფუძველზე, გენდერული თუ სექსუალური იდენტობის საფუძველზე, ასევე ბავშვების განსხვავება მათი მშობლების, მეურვეების ან ოჯახის წევრების ფინანსური მდგომარეობის, პროფესიისა და სოციალურ მდგომარეობასთან დაკავშირებული სხვა ნიშნების, საქმიანობის, გამოთქმული აზრის ან შეხედულებების გამო. „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის (მუხლები მე-8, მე-13) მიხედვით ყველა ბავშვს თანასწორია კანონის წინაშე მიუხედავად მისი შეზღუდული შესაძლებლობის, რასის, ასაკის, რელიგიის, სოციალური სტატუსისა. მათ აქვთ უფლება, დისკრიმინაციის გარეშე განახორციელონ საკუთარი უფლებები განათლების მიღებაზე სასკოლო ცხოვრებაში.

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ყველა ადამიანს, მათ შორის, ბავშვს, აქვს ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. ყველა ადამიანისთვის დისკრიმინაციის გარეშე გარანტირებული სიცოცხლის, განათლების, გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების, გადარჩენის, განვითარების უფლებები. ადამიანის უფლებების დაცვა სხვა საკანონმდებლო დოკუმენტებითაც არის გარანტირებული, როგორცაცაა სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობა. კონსტიტუციის მიხედვით დედათა და ბავშვთა უფლებებს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა და მათ სხვადასხვა კანონი იცავს.

ბავშვის სახელი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ ბავშვებს აქვთ პირადი იდენტობის – სახელის – უფლება. შესაბამისი საჯარო ორგანოები ვალდებული არიან, დაბადების შემდეგ დაარეგისტრირონ ბავშვები და მიანიჭონ მათ სახელი. კანონის თანახმად ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს დაბადებისას მიღებული პირადი სახელის უფლება. კანონით გათვალისწინებულ პირობებში სახელი შეიძლება, შეიცვალოს (სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლი და „სამოქალაქო აქტების შესახებ“ კანონის II თავი). „სამოქალაქო აქტების შესახებ“ კანონის (მუხლი 23-ე) თანახმად, სამედიცინო დაწესებულება, რომელშიც ბავშვი დაიბადა, ვალდებულია, განაცხადოს ბავშვის დაბადების შესახებ დადგენილი ფორმით. ბავშვის მშობლები, მეურვეები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ვალდებული არიან, განაცხადონ სამედიცინო დაწესებულების გარეთ ბავშვის დაბადების შესახებ.

სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ფორმდება იმ ბავშვის დაბადების ფაქტიც, რომლის მშობლები უცნობი არიან. გაფორმება ხდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ გაგზავნილი ინფორმაციის საფუძველზე. ეს ინფორმაცია უნდა მოიცავდეს: ბავშვის სახელს, ბავშვის გენდერს, დაბადების დღეს, თვეს, წელს და დროს, დაბადების ადგილსა და მუნიციპალიტეტს და ბავშვის ეროვნებას („სამოქალაქო აქტების შესახებ“ კანონის მუხლი 28-ე).

სამოქალაქო კოდექსის 1194-ე მუხლის თანახმად ბავშვის სახელს ერთობლივად ადგენენ მისი მშობლები. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ბავშვის სახელს იმ შემთხვევაში ადგენს, თუ მშობლები არ არიან ცოცხლები ან თუ ბავშვი მიტოვებულია და ბავშვის სახელი არ არის ცნობილი. მშობლები ერთი ან ორივე მშობლის გვარის მიხედვით ადგენენ ბავშვის გვარს. მშობლებს არ შეუძლიათ, თავიანთ საერთო შვილებს სხვადასხვა გვარი მისცენ. თუ მშობლები არ არიან ცოცხლები ან მათი ვინაობა უცნობია, ბავშვს გვარს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო აძლევს.

მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დაცვა

„შივლად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონი უზრუნველყოფს ყველა ბავშვის უფლებას, მიიღოს ინფორმაცია საკუთარი წინაპრების შესახებ, ხოლო ზოგიერთ გარემოებაში საკუთარი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დაცვის უფლებას (მუხლი 65-ე). 16-18 წლის ბავშვს აქვს უფლება, შეიცვალოს სახელი მისი მშობლების თანხმობით. 10 წლის ან მეტი ასაკის ბავშვისთვის სახელის და გვარის შეცვლისას სავალდებულოა ბავშვის თანხმობა („სამოქალაქო აქტების შესახებ“ კანონის მუხლი 63-ე). „შივლად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონი ადგენს, რომ მომავალ მშობლებს აქვთ უფლება, შეუცვალონ ბავშვს ბიოლოგიური სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი და საიდენტიფიკაციო ნომერი. თუმცა, თუ ბავშვი 10 წლის ან მეტი ასაკისაა, სასამართლო ითვალისწინებს მის სურვილს. თუ ბავშვი 10 წელზე ნაკლები ასაკისაა, სასამართლოს აქვს უფლება, ბავშვის სიმწიფის გათვალისწინებით მხედველობაში მიიღოს მისი აზრი (მუხლი 62-ე).

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება

ბავშვის უფლებათა კონვენციისა და საქართველოს კონსტიტუციის თანახმად ბავშვს, რომელსაც შესწევს საკუთარი აზრის ჩამოყალიბების უნარი, აქვს სიტყვისა და შეხედულების გამოხატვის თავისუფლება. ბავშვს აქვს უფლება, მიიღოს მისი აზრის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელი ყველანაირი ინფორმაცია. ბავშვთან დაკავშირებულ ყველა საკითხში და ყველა სამართალწარმოებაში, სადაც მისი უფლებების შესახებ საკითხი წყდება, ბავშვის ასაკისა და სიმწიფის გათვალისწინებით სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის აზრს. 10 წლის ბავშვს აქვს უფლება, თავისუფლად და პირდაპირ გამოთქვას საკუთარი აზრი ნებისმიერ სასამართლო ან ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში.

ოჯახური ცხოვრება და ბავშვზე ზრუნვა

სამოქალაქო კოდექსი და ბავშვის უფლებათა კონვენცია ადგენენ ბავშვების განსაკუთრებულ დაცვას და ოჯახური ცხოვრების უფლებას. სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება, დაეხმაროს ოჯახებს და უზრუნველყოს, რომ ბავშვები ცხოვრობდნენ ბიოლოგიურ ოჯახებში. მშობლებს ბავშვების მიმართ თანასწორი პასუხისმგებლობა და უფლებები აქვთ (სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1198). საოჯახო სამართალი ადგენს, რომ დედას და მამას მშობლის ერთობლივი უფლებები აქვთ. მშობლებს თანასწორი უფლება აქვთ, განახორციელონ მშობლის უფლებები. მშვილებლებს ბიოლოგიური მშობლების ანალოგიური სამართლებრივი სტატუსი აქვთ (სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1261-ე). კანონი ადგენს, რომ მშობელთა უფლებები გამომდინარეობს მშობელთა მოვალეობებიდან და არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია ბავშვის პიროვნების, უფლებებისა და ინტერესების დასაცავად (სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1198-ე). მშობლები უფლებამოსილი და ვალდებულნი არიან, იზრუნონ თავიანთ შვილებზე, მათ შორის, დაიცვან, აღზარდონ, მისცენ განათლება, იყვნენ მისი წარმომადგენლები, არჩინონ ბავშვი და მართონ და განკარგონ მისი ქონება. მშობლებს აქვთ უფლება, მიიღონ ყველანაირი ინფორმაცია საკუთარი შვილის შესახებ სასწავლო და სამედიცინო დაწესებულებებიდან.

მშობლებისგან ბავშვის დაშორება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ ბავშვებს აქვთ უფლება, იცხოვრონ საკუთარ მშობლებთან და რომ მშობლები ზრუნავდნენ მათზე. ბავშვის უფლება, იცხოვროს საკუთარ მშობლებთან, შეიძლება, შეიზღუდოს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, როდესაც ეს ბავშვის ინტერესებს

ემსახურებბ. სბსბმბრთლომ შეიძლებბ, გბდბწყვიტოს ბბვშვის მშობლისგბნ დბშორებბ ლეგიტიმური მიზნებვის არებობისბს. ბბვშვს უფლებბ ბქვს, შეინბრჩუნოს პირბდი ურთიერთობბ მშობებლთბნ, რომებლთბნ ერთბდბც ის არ ცხობვრობს. ბბვშვის უფლებბ, შეინბრჩუნოს პირბდი ურთიერთობბ მშობებლთბნ, რომებლთბნ ერთბდბც ის არ ცხობვრობს, შეიძლებბ, შეიზღუდოს მხოლოდ სბსბმბრთლოს გბდბწყვეტილებით, როდებსბც ეს ბბვშვის ინტერესებშიბ.

მშობებლს, რომებლიც ბოროტბდ იყენებს თბვის უფლებებს ბნ თბვს ბრიდებს მშობლის იმ მოვბლებების შესრულებბს, რბც მშობლის უფლებების ნბწილს წბრმობდგენს, ჩბმოერთმებვბ მშობლის ყველბ უფლებბ. მშობლის მიერ იმ მოვბლებების ბრბჯვროვბნი შესრულებბ, რბც მშობლის უფლებების ნბწილს წბრმობდგენს, ბრის: როდებსბც მშობებლი ბბვშვზე ფიზიკურბდ, სექსუბლურბდ ბნ ემოციურბდ ძბლბდობს, ექსპლუბტბციბს უწებვს ბბვშვს, რბთბ უბიძგოს ბბვშვისთვის შეუფერებელი შრომისკენ ბნ შრომისკენ, რომებლიც სბფრთხებს უქმნის ბბვშვის ზნებბს, ჯბნმრთებლობბს ბნ გბნბთლებბს, ბნდბ კბნონით ბკრძბლული შრომისკენ, თუ მშობებლი ბქებებს ბბვშვს სისხლის სბმბრთლებრივი ქმებდებების ჩბდენისკენ, თუ ბჩებვს ბბვშვს მბვნე ჩებვებს, თუ სხვბ მბრივ ბოროტბდ იყენებს მშობლის უფლებებს (სბმოქბლბქო კოდებქსის მუხლი 1206-ე). მშობლის უფლებები შეიძლებბ, ბდდგეს, თუ ბდბრ ბრსებობს ის მიზნები, რომებლთბ გბმო მშობებლს სრულბდ ბნ ნბწილობრივ ჩბმოერთვბ მშობლის უფლებები (სბმოქბლბქო კოდებქსის მუხლი 1209-ე).

ბბვშვის უკბნონოდ წბყვბნბ დბ დბტოვებბ სბზღვბრგბრეთ

ბბვშვის სბზღვბრგბრეთ უკბნონოდ წბყვბნის, დბტოვებისბ დბ დბუბრუნებლობის შემთხვევბში, რბც შეიძლებბ, კვბლიფიცირებული იქნეს ბბვშვზე მებურვეობის უფლების დბრღვევბდ, ბნუ პირბდი ურთიერთობის შენბრჩუნების უფლების დბრღვევბდ, ამოქმებდებბ ბბვშვთბ სბერთბშორისო მოტბცების სბმბრთლებრივი ბსპექტების შესბხებ კონვენციის დებულებები. კონვენციის გბნხორციებლებბზე პბსუხისმგებელი მთბვბრი უწებვბ იუსტიციის სბმინისტრო იქნებბ. სბმინისტრო ვბლდებული იქნებბ, მიილოს უცხოეთბდბნ დბ გბბგბვზოს წებერი სბხელმწიფობების ცენტრბლურ მთბვრობებში მოთხონები იმ ბბვშვების დბბრუნების შესბხებ, რომლებიც უკბნონოდ დბბშორეს მშობლებს ბნ მშობლის პბსუხისმგებლობის მქონე პირებს.

მშობებლთბ მბრუნველობბს მოკლებული ბბვშვების დბცვბ

მშობებლთბ მბრუნველობბს მოკლებული ბბვშვების დბცვბს სბქბრთველოს სბმოქბლბქო კოდებქსი ბწესრიგებს. მშობებლთბ მბრუნველობბს მოკლებულ ბბვშვბდ სბმოქბლბქო კოდებქსის 1275-ე მუხლის მნიშვნებლობით მიიჩნებვბ: ბბვში, რომებლსბც ბრ ჰყვბს მშობლები, ბბვში, რომლის მშობლები უცნობი ბრბბნ, ბნ ბბვში, რომლის მშობლებს სრულბდ ბნ ნბწილობრივ ჩბმორთმებული ბქვთ მშობლის უფლებები, დბ ბ.შ. კბნონის მიხებდვით მშობებლთბ მბრუნველობბს მოკლებულ ბბვშვებზე პბსუხისმგებლობბ სოციბლური მომსბხურების სბბგენტოს ბკისრბბ დბ სბბგენტო დროებით ბნ მუდმივბდ იღებს თბვზე მშობლების უფლებებსბ დბ მოვბლებებს (სბმოქბლბქო კოდებქსის მუხლი 1275-ე). მშობებლთბ მბრუნველობბს მოკლებულ ბბვშვებზე სბოჯბხო მბრუნვის ერთ-ერთი ზომბბ მებურვეობბ.

ბბვშვთბ დბცვბ ძბლბდობისბ დბ დბუდებვრბდ მოპყრობისგბნ

ძბლბდობის ყველბ ფორმისგბნ დბცვის უფლებბ ყველბ ბბვშვის ფუნდბმენტური უფლებბბ, რომებლსბც ბბვშვის უფლებბთბ კონვენციბ დბ გბერთბბნებული ერების ბრგბნიზბციის, ევროპის სბბჭოსბ დბ სხვბ სბერთბშორისო ბრგბნიზბციების სხვბ, სბქბრთველოს მიერ რბტიფიცირებული დოკუმენტები ბდგენს. ბბვშვის უფლებბთბ კონვენციის რბტიფიცირებით სბქბრთველომ იკისრბ ვბლდებულებბ, გბნბხორციებლოს

ყველა სახის ღონისძიებები, რათა თავიდან აიცილოს ბავშვების მიმართ ძალადობა და უზრუნველყოს დაცვა ძალადობის ნებისმიერი ფორმისაგან ოჯახში, დაწესებულებებსა და უფრო ფართო სოციალურ გარემოში ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან, შეურაცხყოფისა თუ დაუდევრად მოპყრობისგან (გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მუხლი მე-19), ყველანაირი ფორმის სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან (გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მუხლი 34-ე), ბავშვების მოტაცებისა და ბავშვებით ვაჭრობისგან (გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მუხლი 35-ე), ყველა სხვა ფორმის ექსპლუატაციისაგან, რომელიც ზიანს აყენებს ბავშვის კეთილდღეობას (გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მუხლი 36-ე), წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა ან დასჯისგან (გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მუხლი 37-ე). კონვენცია ასევე ადგენს სახელმწიფოთა ვალდებულებას, ხელი შეუწყოს ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ აღდგენას და სოციალურ რეინტეგრაციას (გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მუხლი 39-ე).

კონსტიტუციის თანახმად ადამიანის სიცოცხლე ხელშეუხებელია (საქართველოში არ არსებობს სიკვდილით დასჯა), დადგენილია ასევე ადამიანის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობა და დაუშვებელია ნებისმიერი ადამიანის მონობაში ან რაიმე მსგავს მდგომარეობაში ყოფნა. აკრძალულია ადამიანებით ვაჭრობის ნებისმიერი ფორმა. ბავშვებმა უნდა ისარგებლონ ადამიანის უფლებებით მათი ასაკისა და ფსიქოლოგიური სიმწიფის შესაბამისად. ბავშვები დაცულები არიან ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და ნებისმიერი სხვა ფორმის ექსპლუატაციისა თუ შეურაცხყოფისაგან. როგორც წესი, არ შეიძლება 16 წლის ასაკამდე ბავშვების დასაქმება, თუმცა კანონში არის რამდენიმე გამონაკლისი, რომლებიც იძლევა 14 წლის ასაკში ან უფრო ადრე ბავშვების მუშაობის ნებართვას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1198¹-ე და კანონი „ოჯახში ძალადობის შესახებ“ ადგენს მშობლებისა და სახელმწიფოს ვალდებულებას, განახორციელონ ყველა აუცილებელი ღონისძიება დაუდევრად მოპყრობისგან, ფიზიკური, სექსუალური და ემოციური ძალადობისა და ნებისმიერი სახის ექსპლუატაციისგან ბავშვების დასაცავად. გარდა ამისა, ყველა დაწესებულება და მოქალაქე ვალდებულია, ბავშვის უფლებათა დარღვევის შესახებ აცნობოს პოლიციას და სოციალური მომსახურების სააგენტოს.

სამოქალაქო კოდექსის (მუხლი 1205(6)-ე) მიხედვით ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ხდება მშობლის უფლებების შეჩერება, მათ შორის – წარმომადგენლობითი უფლებისა, სანამ არ იქნება გამოტანილი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება.

„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №437 დადგენილების მიხედვით³⁷⁹ ორგანიზაციები, რომლებიც ბავშვებს უწევენ მომსახურებას, ვალდებულნი არიან, თუ მათ აქვთ ინფორმაცია ბავშვების მიმართ ძალადობის შესახებ, მოახდინონ ბავშვზე ძალადობის ნიშნების იდენტიფიკაცია და მიაწოდონ ინფორმაცია შესაბამის საჯარო ორგანოებს, როგორებიც არიან პოლიცია და სოციალური მომსახურების სააგენტო.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი 2015 წელს იქნა მიღებული, რამაც სრულიად შეცვალა ქვეყანაში არსებული პენიტენციური სისტემა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესულია ბავშვების მიმართ ან არასრულწლოვანთა მიერ დიდი რაოდენობით ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულები. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ითვალისწინებს სპეციალურ პროცედურებს და რეგულაციებს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან ან სისხლის

379. მიღებულია საქართველოს მთავრობის მიერ. მიღების თარიღი: 12/09/2016; დოკუმენტის ნომერი: 437.

სამართლის დანამაულის მსხვერპლ ბავშვებთან დაკავშირებით. კოდექსის უმთავრესი პრინციპია ბავშვის საუკეთესო ინტერესი. კოდექსის მიზნებისათვის ბავშვი განსაზღვრულია, როგორც 18 წლის ასაკამდე პირი, თუმცა ბევრ ასპექტში კოდექსი ეხება 21 წლამდე ახალგაზრდებს. კოდექსით დადგენილი ახალი უფლებები ძალზე პროგრესულია. მაგალითად, კოდექსი უზრუნველყოფს უფასო იურიდიული დახმარების უფლებას 21 წლამდე ბავშვებისათვის. დაკავება მხოლოდ უკიდურესი ღონისძიების სახით და პირველად ყოველთვის ნაკლებად მკაცრი ზომები უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც ამას სისხლის სამართლის სისტემაში აღდგენითი მართლმსაჯულება მოითხოვს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის საფუძველზე შეიქმნა უნიკალური სისტემა, რომელშიც იმ საქმეთა გამოძიებისა და განხილვის ექსკლუზიური უფლება, რომლებიც ბავშვებს ეხება, აქვთ სპეციალური მომზადების მქონე პროფესიონალებს – პოლიციელებს, გამომძიებლებს, ადვოკატებს, მოსამართლეებს და ა.შ. არსებობს როგორც დაკავების, ისე გამოძიების პირობების სპეციალური შეზღუდვები.

ადმინისტრაციული დაწესებულებები

სასამართლო

სასამართლო ბავშვთა უფლებების დამცველი ყველაზე მძლავრი ინსტიტუციური მექანიზმია. ზოგადად, მშობლები ბავშვების წარმომადგენლები არიან და აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა, დაიცვან თავიანთი შვილები და წარმოადგინონ ისინი მთავრობისგან რაიმე სპეციალური ნებართვის გარეშე. სამოქალაქო კოდექსისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით 14 წლიდან ბავშვებს უფლება აქვთ, მიმართონ სასამართლოს. ასეთ შემთხვევებში სასამართლო ნიშნავს ბავშვის საპროცესო წარმომადგენელს, რომელიც მიიჩნევა ბავშვის ადვოკატად სასამართლოში. ბავშვს უფლება აქვს, არ დაეთანხმოს სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას და თვითონ დაიცვას საკუთარი თავი. სასამართლო ვალდებულია, ასეთ საქმეებზე ოფიციალურად მოიწვიოს და ჩააბას პროცესში ქვეყნის სოციალური მომსახურების სააგენტო (სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1198¹-ე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი 81¹-ე).

კომისია

2016 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია³⁸⁰. კომისიის თავმჯდომარეა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ხოლო წევრები არიან სხვადასხვა სამინისტროს, სასამართლო სისტემის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კომისიაში 22 წევრია, რომელთაგან მხოლოდ 12-ს აქვს ხმის უფლება. ისინი ძირითადად სამინისტროების წარმომადგენლები არიან. უზენაესი სასამართლოს, პარლამენტის, პროკურატურის, სახალხო დამცველის აპარატის, უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წევრებს/წარმომადგენლებს არა აქვთ კენჭისყრის პროცესში მონაწილეობის უფლება.

კომისიას არა აქვს ბიუჯეტი ან სხვა დამოუკიდებელი დაფინანსება სახელმწიფოსგან ან საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

კომისიის მიზნებია:

1. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელების მონიტორინგი;

380. მიღებულია საქართველოს მთავრობის მიერ. მიღების თარიღი: 13/12/2016; დოკუმენტის ნომერი: 550.

2. სახელმწიფო მხარეების ქმედებების კოორდინაცია;
3. ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატური ოქმების განხორციელება და საერთაშორისო მასშტაბით კომუნიკაცია;
4. მონაცემთა შეგროვება და სახელმწიფო უწყებების წინაშე არსებული მთავარი გამოწვევების დადგენა;
5. კონვენციის განხორციელების შესახებ წლიური და საგანგებო სახელმწიფო ანგარიშების კოორდინაცია და სხვ.

საქართველოს სახალხო დამცველი (ომბუდსმენი)

სახალხო დამცველი საქართველოში კონსტიტუციით დადგენილი ადამიანის უფლებათა დამცველი ინსტიტუტია. ომბუდსმენის აპარატი დამოუკიდებელი უწყებაა, რომელიც იცავს მოქალაქეთა უფლებებს და მეთვალყურეობას უწევს სახელმწიფო ადმინისტრაციის, ასევე ხელისუფლების სხვა ორგანოებისა და ორგანიზაციების და იმ კომპანიებისა და დაწესებულებების მუშაობას, რომელთაც გადაეცათ საჯარო უფლებამოსილება. ომბუდსმენის ინსტიტუტში ბავშვის უფლებათა ცენტრის ფარგლებში საქმიანობის სპეციალური სფეროა ბავშვთა უფლებების დაცვა. სახალხო დამცველის აპარატს აკისრია ვალდებულება, მონიტორინგი გაუწიოს ბავშვთა ყველა დაწესებულებას, მათ შორის – დახურულ დაწესებულებებს, როგორცაა ობოლ ბავშვთა სახლები, პენიტენციური დაწესებულებები, ფსიქიატრიული დაწესებულებები და სხვ. სახალხო დამცველი ამზადებს საკანონმდებლო ინიციატივებს და რეკომენდაციებს საქართველოში ბავშვთა უფლებების შესახებ. ბავშვთა უფლებების სფეროში ძირითადი მიზანია გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელების მონიტორინგი და ამასთან დაკავშირებით ანგარიშების მომზადება. აღნიშნულ ანგარიშებს ყოველწლიურად განიხილავს პარლამენტი. ომბუდსმენი ანგარიშებს გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტისთვისაც ამზადებს.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთა რაოდენობა 123-ია. აქედან მხოლოდ 4 თანამშრომელი მუშაობს ბავშვის უფლებათა ცენტრში, ხოლო 3 ადამიანი დახმარებას უწევს ცენტრს დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში, ვინაიდან ისინი არ არიან ცენტრის შტატის თანამშრომლები.

99 როგორ რეგულირდება თქვენს კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში ოჯახში ბავშვების მიმართ ძალადობა? რა სახით არის უზრუნველყოფილი ბავშვების ეფექტიანი დაცვა ძალადობისაგან, მათ შორის – ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან?

ოჯახში ძალადობისაგან დაცვა

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით კანონი უნდა იცავდეს დედებისა და ბავშვების უფლებებს. 2006 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. კანონი ითვალისწინებდა მსხვერპლი ბავშვების დაცვას დამცავი და შემაკავებელი ორდერების მეშვეობით. კანონში იყო ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის, მათ შორის – ბავშვებისთვის, დროებითი საცხოვრებლის უზრუნველყოფისა და სოციალურ და რეაბილიტაციის მომსახურებასთან დაკავშირებული დებულებები. გარდა ამისა, კანონში მოხსენიებული იყო შესაბამისი ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის სანქციები მოძალადეთა წინააღმდეგ. ოჯახში ძალადობა საქართველოში 2012 წელს იქნა კრიმინალიზებული.

2017 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მოახდინა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბულის კონვენციის) რატიფიცირება. პარლამენტმა ასევე წამოიწყო ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესი და ცვლილებები შეიტანა სტამბულის კონვენციასთან დაკავშირებულ 24 კანონში. კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით ოჯახში ძალადობის მოწმე ბავშვებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსი მიენიჭათ.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, თუ ოჯახში რაიმე ფორმის ძალადობის გამო პირი მიმართავს სასამართლოს დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით, სასამართლომ უნდა განიხილოს მოძალადე მშობლის/მშობლების ურთიერთობა არასრულწლოვანთან. არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის კვალის არსებობისას სასამართლომ წინაშე შეიძლება, დაისვას დროებითი ღონისძიების სახით მოძალადე მშობლისაგან/მშობლებისაგან არასრულწლოვნის განცალკევების საკითხი სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

არასრულწლოვნის წარმომადგენლის უფლების საკითხის განხილვისას სავარაუდო მოძალადე მშობელს ჩამოერთმევა ბავშვის წარმომადგენლის უფლება. კანონის თანახმად მოძალადე მშობელს არასრულწლოვნის მონახულების უფლება შეიძლება, მიეცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მის მიმართ დაცული იქნება უსაფრთხოების ყველა ზომა, რომელიც შეიძლება, მოიცავდეს არასრულწლოვნის მონახულების ადგილს, დროს, პერიოდულობას, ხანგრძლივობასა და პირს, რომელიც პასუხისმგებელია არასრულწლოვნის უსაფრთხოების ზომების დაცვაზე. თუ არასრულწლოვნის მიმართ უსაფრთხოების ზომები დაცული არ არის, იზღუდება მოძალადე მშობლის მიერ არასრულწლოვნის მონახულების უფლება³⁸¹.

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის კომიტეტის (შემდგომში „ბავშვის უფლებათა კომიტეტი“) რეკომენდაციების გათვალისწინებით „ოჯახში ძალადობის შესახებ“ კანონში შეტანილი იქნა „ბავშვის მიმართ დაუდევრად მოქცევის“ ცნების განარტება³⁸². ჩამოყალიბდა დეტალური ინსტრუქციები მსხვერპლ ბავშვებთან დაკავშირებით შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოცემის პროცედურის ხელშესაწყობად/გასამართლებლად; დადგინდა კონკრეტული წესები მსხვერპლი და მოწმე ბავშვების დაკითხვისთვის მშობელთა თანდასწრებით, რომლებიც შესაძლოა, მიჩნეული იყვნენ მოძალადეებად ან დაინტერესებულ მხარეებად.

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები


2010 წელს სამი სამინისტროს (შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს) მიერ შემოღებული იქნა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები განსაზღვრავდა ბავშვთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმას, ძალადობის იდენტიფიცირებაზე პასუხისმგებელ უწყებებს, ძალადობის შეფასებას და ჩარევებს. პროცედურები ყველა მონაწილე მხარისაგან მოითხოვდა შესაბამისი პროფესიონალებისთვის

381. ბავშვის უფლებათა კომიტეტი. მონაწილე სახელმწიფოთა მიერ კონვენციის 44-ე მუხლის საფუძველზე წარმოდგენილი ანგარიშების განხილვა, მონაწილე სახელმწიფოთა მიერ 2011 წელს წარმოსადგენი მე-4 პერიოდული ანგარიში, საქართველო, 2016. გვ. 22-24. იხ. შემდეგ მისამართზე (ბოლოს ნანახია 25.10.2018): https://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CR%2FC%2fGEO%2f4&Lang=en

382. საქართველოს კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის. საქართველოში ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელება: ალტერნატიული ანგარიში, 2016, გვ.11. იხ. შემდეგ მისამართზე (ბოლოს ნანახია 25.10.2018): https://tbinternet.ohchr.org/Treaties/CRC/Shared%20Documents/GEO/INT_CRC_NGO_GEO_23821_E.pdf

გაიდლაინების/ინსტრუქციების გამოცემას.³⁸³ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში 2016 წელს მთავრობის დადგენილების საფუძველზე ცვლილებები და დამატებები იქნა შეტანილი. მიმართვიანობის (რეფერირების) ახალი მექანიზმის ფარგლებში გაფართოვდა იმ დაწესებულებათა ჩამონათვალი, რომლებიც ვალდებული არიან, ბავშვთა შეურაცხყოფისა და მათზე ძალადობის შემთხვევები აცნობონ სსიპ “სოციალური მომსახურების სააგენტოსა” და პოლიციას. მუშაობის კოორდინირების წესი და ბავშვის შეურაცხყოფისა და მასზე ძალადობის შემთხვევებზე ეფექტიანი და ეფექტური რეაგირების მექანიზმი დადგინდა სამინისტროების, სამინისტროების გამგებლობაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, საქართველოს პროკურატურის და ა.შ. დონეზე მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებით. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მიმართვიანობის (რეფერირების) მექანიზმი დეტალურად აღწერს ძალადობრივი გარემოდან ბავშვის გაცილების პირობებს. მიმართვიანობის (რეფერირების) მექანიზმი ასევე მოიცავს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას დოკუმენტით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის და 2019 წლის იანვრისთვის ბავშვის შეურაცხყოფისა და მასზე ძალადობის შემთხვევების უნიფიცირებულ მონაცემთა ბაზის შექმნას³⁸⁴.

ოჯახში ძალადობის შემთხვევებში³⁸⁵ მსხვერპლი ბავშვების დასაცავად 2014–2018 წლებში გამოცემული შემაკავებელი ორდერების სტატისტიკა



ბავშვთა წვდომა მართლმსაჯულებაზე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით 14 წლიდან ბავშვს (არასრულწლოვანს) უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. ეს შეიძლება, იყოს მშობლების მიერ ბავშვთა უფლებების დარღვევა, თუმცა – არა მხოლოდ. ბავშვისგან მიმართვის მიღების შემდეგ სასამართლო ნიშნავს საპროცესო წარმომადგენელს და განიხილავს საქმეს. მოსარჩელეს (ბავშვს/არასრულწლოვანს) უფლება აქვს, არ დაეთანხმოს თავის საპროცესო წარმომადგენელს და თვითონ დაიცვას საკუთარი თავი. სასამართლო ვალდებულია, ასეთ საქმეებზე ჩააბას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები³⁸⁶. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის

383. იქვე, გვ. 5

384. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნო, საქართველოს მთავრობის 2016–2017 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ ანგარიში, მოკლე ვერსია, 2017, გვ. 20. იხ. შემდეგ მისამართზე (ბოლოს ნანახია 25.10.2018): <http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/7554annual-eng.pdf>

385. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი, დათარიღებული 2018 წლის 12 ოქტომბრით, MIA718 03499766

386. ბავშვის უფლებათა კომიტეტი. მონაწილე სახელმწიფოთა მიერ კონვენციის 44-ე მუხლის საფუძველზე წარმოდგენილი ანგარიშების განხილვა, მონაწილე სახელმწიფოთა მიერ 2011 წელს წარმოსადგენი მე-4 პერიოდული ანგარიში, საქართველო, 2016. გვ. 22–24. იხ. შემდეგ მისამართზე (ბოლოს ნანახია 25.10.2018): https://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=_CRC%2fC%2fGE0%2f4&Lang=en

მიხედვით 14 წლამდე ბავშვებს არა აქვთ თავისუფალი წვდომა სასამართლოსა და დამოუკიდებელი ადვოკატის მხრიდან დახმარების მიღებაზე. ეროვნულმა ანტიდისკრიმინაციულმა მექანიზმმა (საქართველოს სახალხო დამცველმა) ზემოაღნიშნული კანონი ბავშვების მიმართ დისკრიმინაციულად მიიჩნია. როგორც რეკომენდაციაშია აღნიშნული³⁸⁷, კანონი 14 წლამდე და 14 წლის ასაკზე უფროს ბავშვებს სხვადასხვანაირად ეპყრობა და ასეთი განსხვავება მოპყრობაში არ არის გამართლებული. საკანონმდებლო ორგანო მიზნად ისახავდა 14 წლამდე ბავშვების სასამართლოზე წვდომის უფლების დაცვას ბავშვების წარმომდგენლობის უფლების მათი მშობლებისთვის დელეგირებით, მაგრამ ეს მიდგომა პრაქტიკაში რიგ გამოწვევებს წარმოქმნის: ბავშვები დე ფაქტო სასამართლოზე წვდომის უფლების გარეშე რჩებიან, როდესაც მშობლები უგულვებელყოფენ მათ საჭიროებას, მათი უფლებები დაცული იქნეს სასამართლო მექანიზმებით და/ან თავად მშობლები არღვევენ საკუთარი შეილების უფლებებს. როდესაც ბავშვების უფლებებს მშობლები არღვევენ, ბავშვთა დაცვის სამსახურები (სოციალური მომსახურების სააგენტო) ვალდებული არიან, შეიტანონ სასამართლოში სარჩელი მშობლების წინააღმდეგ ბავშვთა მიმართ დაუდევრად მოპყრობის/მათი საჭიროებების უგულვებელყოფის გამო, თუმცა პრაქტიკაში ეს იშვიათად ხდება³⁸⁸.

ბავშვებზე სექსუალური ძალადობა და მათი ექსპლუატაცია

2015 წელს საქართველომ მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელმაც შემოიღო ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის მომსახურების მიწოდება. კოდექსმა შემოიტანა რიგი ბავშვზე მორგებული ზომებისა, როგორებიც არის ინდივიდუალიზებული მიდგომა, ბავშვის პირადი ცხოვრების დაცვა, იურიდიული წარმომადგენლის დანიშვნა და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი სამართალწარმოების პროცესში. კოდექსი მიზნად ისახავს სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების დაცვას ხელახალი ტრავმატიზაციისგან.

საქართველოში 2014 წლიდან სისხლის სამართლის კოდექსით აკრძალულია ქორწინების იძულება. ეს ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით (სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 150-ე). სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლი ახდენს „თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის“ კრიმინალიზებას.

2006 წელს საქართველომ მიიღო კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, რომელშიც სპეციალური ნაწილი ეთმობა ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვების სოციალურ და იურიდიულ დაცვას, რეაბილიტაციას და დახმარებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია კრიმინალიზებულია მხოლოდ ტრეფიკინგის დანაშაულთან მიმართებით ან მისი ნაწილის სახით (კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, მუხლი მე-3) და არა – ე როგორც ცალკე დანაშაული. გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის 253.2 და 255-ე მუხლები, რომლებიც ახდენს არასრულწლოვანთა „პროსტიტუციაში“ და „პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადებას ან გასაღებაში“ ჩაბმის კრიმინალიზაციას, სრულად არ შეიცავს ბავშვთა პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის განმარტებას, რომელიც მოცემულია ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატურ ოქმში „ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ“.³⁸⁹

387. საქართველოს სახალხო დამცველი (2016), რეკომენდაცია ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბ-ნ ირაკლი კობახიძეს და საქართველოს პრემიერმინისტრს ბ-ნ გიორგი კვიციანიას, გვ. 20.

388. ანა არგანაშვილი, „საქართველოში მართლმსაჯულებაზე ბავშვების წვდომის გაუმჯობესების აუცილებლობა“. 2018, 00. 3-4. იხ. შემდეგ მისამართზე (ბოლოს ნანახია 25.10.2018): http://www.osgf.ge/files/2018/Publications/Angarishi_A4_Child_ENG.pdf

389. ადამიანის უფლებათა საბჭო, 34-ე სხდომა. ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის საკითხებზე სპეციალური მომსახურების ანგარიში საქართველოში მის ვიზიტზე, 2017. იხ. შემდეგ მისამართზე (ბოლოს ნანახია 25.10.2018): https://www.ohchr.org/Documents/Issues/Children/SR/A_HRC_34_55_Add.2.pdf

ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის საკითხებზე სპეციალური მომხსენებელი შეშფოთებით აღნიშნავს,³⁹⁰ რომ არ არსებობს ყოვლისმომცველი და სარწმუნო მონაცემები საქართველოში ბავშვთა შეურაცხყოფისა და ექსპლუატაციის მასშტაბისა და სხვადასხვა ფორმის შესახებ. მიღებული ინფორმაცია ფრაგმენტული და ეპიზოდური ხასიათისაა, თუმცა იგი აჩვენებს, რომ ამ ფენომენის მასშტაბი უფრო ფართოა, ვიდრე ოფიციალურად არის რეგისტრირებული.

სპეციალურმა მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საზოგადოების მიერ ტაბუდადებულია სექსუალობა და სექსთან დაკავშირებული საკითხები. ამან შეიძლება, გამოიწვიოს ოჯახში ბავშვთა სექსუალური შეურაცხყოფისა და მათზე ძალადობის ფაქტების უარყოფა და გაართულოს ამგვარი შემთხვევების დადგენა და სათანადო ორგანოებისთვის მათი შეტყობინება. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური მომხსენებელი დადებითად აფასებს საქართველოს მიერ ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მცდელობებს, იგი სინანულით აღნიშნავს ბავშვებით ტრეფიკინგის შემთხვევათა სისხლის სამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების დაბალ მაჩვენებელს. 2010 წელსა და 2016 წლის აგვისტოს შორის პერიოდში გამოძიებული იქნა ტრეფიკინგის 12 საქმე ბავშვების გაყიდვასა და სექსუალურ და შრომით ექსპლუატაციასთან დაკავშირებით. ამ პერიოდში ხუთი პირი იქნა მსჯავრდებული ბავშვის სექსუალური ექსპლუატაციისთვის და სამი – ბავშვების გაყიდვისთვის.

მსხვერპლი ბავშვების მიმართ ჩადენილი გენდერული ძალადობის და სექსუალური დანაშაულების ოფიციალური სტატისტიკა³⁹¹

	2014	2015	2016	2017	2018 (იანვარი-აგვისტო)
მუხლი №126 ¹ ოჯახში ძალადობა	19	33	94	171	272
მუხლი №137 III გაუბატურება	4	10	7	10	16
მუხლი № 137, IV, გაუბატურება (ჩადენილი 14 წელს მიუღწეველი პირების მიმართ)	1	2	3	4	5
მუხლი №138, III, სექსუალური ხასიათის ძალადობრივი ქმედება (ჩადენილი 14 წელს მიუღწეველი პირების მიმართ)	1	4	5	1	0
მუხლი №139, III, პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება	0	0	0	1	2
მუხლი №139, IV, პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება (ჩადენილი 14 წელს მიუღწეველი პირების მიმართ)	0	0	0	0	1
მუხლი №140, სექსუალური ხასიათის შეღწევა ან სექსუალური ხასიათის ნებისმიერი სხვა ქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში	56	179	251	173	135
მუხლი №141, გარყვნილი ქმედებები	20	42	40	42	39
მუხლი №143 ² , არასრულწლოვნით ვაჭრობა	1	2	2	4	5
მუხლი №150, II, იძულება (ჩადენილი 14 წელს მიუღწეველი პირების მიმართ)	4	2	5	3	9
მუხლი №171, არასრულწლოვნის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში	1	3	1	1	8

390. იქვე

391. საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილი, თარიღი: 2018 წლის 25 სექტემბერი, №13/72764

მუხლი №253, II, პროსტიტუციაში ჩაბმა (ჩადენილი 14 წელს მიულწეველი პირების მიმართ)	0	0	0	0	4
მუხლი №255, II, პორნოგრაფიული ნაწაროების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადება ან გასაღება (წინასწარი შეცნობით)	3	2	3	5	0
მუხლი №255, III, პორნოგრაფიული ნაწაროების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადება ან გასაღება (არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი)	0	0	0	0	0
მუხლი № 255 ¹ არასრულწლოვნის ჩაბმა პორნოგრაფიული ნაწარმობის ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვა საგნის უკანონოდ დამზადებაში და გასაღებაში	0	1	3	1	0
255 ² თექვსმეტი წლის ასაკს მიულწეველი პირისათვის შეხვედრის შეთავაზება სექსუალური მიზნებისათვის	0	0	0	0	0

მსხვერპლი ბავშვების სტატისტიკა³⁹² ოჯახში ჩადენილი დანაშაულების კონტექსტში (მუხლი 11¹-ე)³⁹³

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი	2014	2015	2016	2017	2018 (01 იანვარი – 11 სექტემბერი)	სულ
11 ¹ -126 ¹ -ე (ოჯახური ძალადობა)	48	16	0	1	0	65
11 ¹ -126-ე (ძალადობა)	0	0	1	9	22	32
126 ¹ -ე (ოჯახური ძალადობა)	6	48	110	174	342	680
11 ¹ -120-ე (ჯანმრთელო-ბის განზრახ მსუბუქი დაზიანება)	1	0	5	1	2	9
11 ¹ -125-ე (ცემა)	0	0	1	0	0	1
11 ¹ -117-ე (ჯანმრთელო-ბის განზრახ მძიმე დაზიანება)	1	0	0	0	0	1
11 ¹ -139-ე (პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შელწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება)	1	0	0	0	0	1
11 ¹ -19-109-ე (მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებებში)	0	0	0	2	2	4
11 ¹ -137-ე (ვაუპატიურება)	0	0	1	1	4	6
11 ¹ -138-ე (სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება)	1	0	2	0	1	4
11 ¹ -140-ე (სექსუალური ხასიათის შელწევა თექვსმეტი წლის ასაკს მიულწეველის სხეულში ან სექსუალური ხასიათის ნებისმიერი სხვა ქმედება)	0	50	148	89	48	335
11 ¹ -141-ე (გარყვნილი ქმედებები)	1	0	0	1	0	2
11 ¹ -19-143-ე (თავისუფლების უკანონო აღკვეთის მცდელობა)	0	0	5	0	0	5
11 ¹ -143-ე (თავისუფლების უკანონო აღკვეთა)	0	0	5	0	0	5
11 ¹ -144 ¹ -ე (წამება)	0	1	0	0	0	1

392. საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილი, თარიღი: 2018 წლის 25 სექტემბერი, №13/72764

393. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლი ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ამ კოდექსის 108-ე, 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 125-ე, 126-ე, 137-ე, 141-ე, 143-ე, 144-ე-144 3, 149-ე-151, 160-ე, 171-ე, 253-ე, 255-ე, 255¹, 381¹ და 381² მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ოჯახურ დანაშაულად აკვალიფიცირებს. ოჯახური დანაშაულისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ მუხლში აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლზე მითითებით.

11'-150-ე (იძულება)	0	0	0	0	5	5
11'-151-ე (მუქარა)	0	0	4	8	25	37
11'-151'-ე (ადვენება)	0	0	0	0	1	1
11'-381-ე (განაჩენის ან სხვა სასამარ-თლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ანდა მისი შესრულები-სათვის ხელის შეშლა)	0	0	0	0	4	4

100 როგორ რეგულირდება ბავშვის შრომა კანონმდებლობით და როგორ ხორციელდება კანონმდებლობა პრაქტიკაში?

საქართველოს რატიფიცირებული აქვს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ორი კონვენცია, რომლებიც ბავშვთა შრომის საკითხს არეგულირებს: კონვენცია №138 - სამუშაოზე მისაღები მინიმალური ასაკის შესახებ და კონვენცია №182 - ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ. გარდა ამისა, 1994 წელს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციასთან მიერთებით საქართველომ აღიარა ბავშვის უფლება, დაცული იყოს ბავშვთა შრომისაგან, ეკონომიკური ექსპლუატაციისგან და ნებისმიერი ისეთი სამუშაოსგან, რომელიც საფრთხეს უქმნის ბავშვის განვითარებას.

ბავშვთა შრომის საკითხის მარეგულირებელ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას განეკუთვნება საქართველოს შრომის კოდექსი, რომელიც სამუშაოზე მისაღები მინიმალურად ასაკად 16 წელს განსაზღვრავს. როგორც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევაში აღნიშნული³⁹⁴, 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობა ძალაში რჩება მსგავსი ხასიათის შემდგომი შრომითი ურთიერთობის მიმართაც. 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება, დაიდოს მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად (საქართველოს შრომის კოდექსი, მე-4 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები). რაც შეეხება სამუშაო დროის ხანგრძლივობას, საქართველოს კანონმდებლობით 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 36 საათს, ხოლო 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 24 საათს (საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი მე-14, პუნქტები მე-3 და მე-4). საქართველოს კანონმდებლობა ასევე კრძალავს არასრულწლოვნის დასაქმებას ღამის სამუშაოზე (22 სთ-დან 6 სთ-მდე) (საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი მე-18).

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის უახლესი მონაცემების მიხედვით³⁹⁵ ბავშვთა შრომაში 5-17 წლის ბავშვების 4.2%-ია ჩაბმული, მათ შორის 6.3% - ბიჭები და 1.9% - გოგონები. ბავშვთა შრომაში

394. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, საქსტატი, ბავშვთა შრომის ეროვნული კვლევა, 2015. გვ. 32-41. იხ. შემდეგ მისამართზე (ბოლოს ნანახია 25.10.2018): https://www.ilo.org/ipecc/informationresources/wcms_ipecc_pub_28635/lang-en/index.htm

395. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, საქსტატი, ბავშვთა შრომის ეროვნული კვლევა, 2015. გვ. 3-9. იხ. შემდეგ მისამართზე (ბოლოს ნანახია 25.10.2018): https://www.ilo.org/ipecc/informationresources/wcms_ipecc_pub_28635/lang-en/index.htm

ჩაბმული ბავშვების ნახევარზე მეტი (51.8%) 5-13 წლისაა (მსუბუქი სამუშაოსთვის დასაშვებ მინიმალურ ასაკზე უმცროსი). დასაქმების სტრუქტურაში სოფლის მეურნეობის დომინირების გამო ბავშვთა შრომაში გაცილებით მეტი ბავშვია ჩაბმული სოფლად, ვიდრე – ქალაქში. კერძოდ, მომუშავე ბავშვების 84% სოფელში ცხოვრობს, ხოლო 16.0% – ქალაქებში. ბავშვთა შრომაში ჩაბმული ბავშვების 63.9% ასრულებს „სახიფათო სამუშაოს“, ხოლო 36.1% ჩაბმულია „ბავშვთა შრომაში, რომელიც არ წარმოადგენს სახიფათო სამუშაოს“. ბავშვთა შრომაში ჩაბმული 5-13 წლის ბავშვების 31.6% ასრულებს სახიფათო სამუშაოს, ხოლო 68.4% – არასახიფათო სამუშაოს. თუ გავითვალისწინებთ, რომ სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი საქართველოში 16 წელია, ბავშვთა შრომაში ჩაბმული 16-17 წლის ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების 100% ხვდება სახიფათო სამუშაოს კატეგორიაში. რაც შეეხება სქესს, „სახიფათო სამუშაოს“ ასრულებს ბიჭების 67.4% და გოგონების 51.4%. სახიფათო სამუშაოს ასრულებს ბავშვთა შრომაში ჩაბმული ბავშვების 78.6% და 61.1%, შესაბამისად, ქალაქში და სოფლად.

შრომითი ურთიერთობებისა და პირობების ინსპექტირება და მონიტორინგი, ზოგადად, შედის 2015 წელს შექმნილი შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის კომპეტენციაში, მაგრამ ეს მექანიზმი არ არის ეფექტიანი და მას აქამდე არ გამოუცია მონიტორინგის ანგარიში ბავშვთა შრომითი ექსპლუატაციისა და სახიფათო პირობებში მომუშავე ბავშვების შესახებ.

101 გთხოვთ, დეტალურად განიხილოთ საკანონმდებლო და არასაკანონმდებლო ქმედებები, რომლებიც განხორციელდა ეთნიკური უმცირესობებისადმი (მათ შორის ბოშათა უმცირესობისადმი) კუთვნილი ბავშვების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების, მოშორებულ ადგილებში მცხოვრები ბავშვების დისკრიმინაციის, ასევე ისეთი ნიშნებით დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, როგორებიც არის სქესი და დაბადების სტატუსი.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალი და თანასწორია კანონის წინაშე რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმომავლობის, ქონებისა და წოდების და დაბადების ადგილის მიუხედავად. საქართველოს სისხლის სამართალი ახდენს თანასწორუფლებიანობის დარღვევის (მუხლი 142-ე), რასობრივი დისკრიმინაციის (142¹-ე), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის უფლებების შეზღუდვის (142²-ე) კრიმინალიზებას.

2014 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. კანონი საქართველოს სახალხო დამცველს ანიჭებს უფლებამოსილებას, მონიტორინგი და ზედამხედველობა გაუწიოს დისკრიმინაციის აღმოფხვრის მცდელობებს. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შეიქმნა ეროვნული ანტიდისკრიმინაციული მექანიზმი, რომელიც რეგულარულად იხილავს დისკრიმინაციის შესახებ საჩივრებს.

ბავშვების დისკრიმინაციის ამკრძალავი საკანონმდებლო ზომები ასევე მოიცავს³⁹⁶:

- ▶ ბავშვებზე გრუნვის სტანდარტებს³⁹⁷, რომლებიც ითვალისწინებს, რომ მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია: (ა) ბენეფიციარებს მომსახურება გაუწიოს ინდივიდუალურ საჭიროებებსა და

396. ბავშვის უფლებათა კომიტეტი. მონაწილე სახელმწიფოთა მიერ კონვენციის 44-ე მუხლის საფუძველზე წარმოდგენილი ანგარიშების განხილვა, მონაწილე სახელმწიფოთა მიერ 2011 წელს წარმოსადგენი მე-4 პერიოდული ანგარიში, საქართველო, 2016. გვ. 10-12. იხ. შემდეგ მისამართზე (ბოლოს ნანახია 25.10.2018): https://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRC%2fC%2fGEO%2f4&Lang=en

397. საქართველოს მთავრობის დადგენილება №66, მიღებული 2014 წლის 12 იანვარს.

შესაძლებლობებზე დაყრდნობით ყოველგვარი დისკრიმინაციის, მიკერძოებული ან ნეგატიური დამოკიდებულების ან ქმედების გარეშე, რომელსაც შეიძლება, ადგილი ჰქონდეს მომსახურების გაწევისას მომსახურების მიმწოდებლის, სხვა ბენეფიციარის ან მესამე პირის მხრიდან; (ბ) ბენეფიციარს მომსახურება გაუწიოს მისი რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური წარმომავლობის, მატერიალური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის ან ბენეფიციარის თუ მისი იურიდიული წარმომადგენლის რაიმე სხვა მდგომარეობის მიუხედავად;

- ▶ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დებულებას³⁹⁸, რომელშიც აღნიშნულია, რომ სააგენტომ დაკისრებული მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებისას შემდეგი პრინციპებით უნდა იხელმძღვანელოს: (ა) დისკრიმინაციის გამორიცხვა პირის სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასის, კანის ფერის, რელიგიის, სქესის, ასაკისა და პოლიტიკური შეხედულების მიხედვით (ამასთან, დისკრიმინაციად არ ჩაითვლება ნებისმიერი ღონისძიებები, რომლებიც გამომდინარეობს იმ პირთა განსაკუთრებულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, რომლებსაც სქესის, ასაკის, ფიზიკური არასრულფასოვნების, ოჯახური ან/და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობენ განსაკუთრებული დაცვისა და დახმარების გასაწევ პირებად);
- ▶ საქართველოს კანონს ჯანმრთელობის დაცვის შესახებ (მუხლი ნმე-, პუნქტი 1-ლი), რომლის მიხედვითაც დაუშვებელია პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნების, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის და სხვა ნიშნების გამო. ბავშვები საქართველოში დისკრიმინაციას უმეტესად შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიის, რასისა და ასაკის ნიშნით განიცდიან.

2016-2017 წლებში სახალხო დამცველმა წარმოადგინა ინფორმაცია ბავშვთა დისკრიმინაციის შემთხვევებზე, რომლებიც ეხებოდა აუტიზმის მქონე ბავშვის ოჯახისთვის საცხოვრებელზე უარის თქმას. დისკრიმინაციას ადგილი ჰქონდა სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებშიც, სადაც სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის არ იყო უზრუნველყოფილი გონივრული მისადაგება. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დისკრიმინაცია ხდება იმის გამოც, რომ მთავრობამ ვერ მოახერხა სათანადო ზომების განხორციელება რეაბილიტაციის ადეკვატური მომსახურების უზრუნველსაყოფად.

არაფორმალური გავრთიანება „კოალიცია თანასწორობისთვის“ ანგარიშის მიხედვით³⁹⁹ ბავშვის დისკრიმინაცია რასის ნიშნით მოხდა თბილისის საქალაქო სასამართლოში აფრიკული წარმომავლობის არასრულწლოვნის მიმართ. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2016 წელს გამოტანილ გადაწყვეტილებაში არ დააკმაყოფილა ბავშვის საჩივარი, თუმცა სააპელაციო სასამართლომ შეცვალა გადაწყვეტილება.

საქართველოს სახალხო დამცველის ინფორმაციით⁴⁰⁰ თანასწორობის უფლების დარღვევის შემთხვევები რელიგიურ უმცირესობათა ბავშვების მიმართაც აღინიშნება. როგორც პრაქტიკა გვაჩვენებს, მუსლიმი ბავშვები ზოგიერთ საჯარო სკოლაში ინდოქტრინაციას აწყდებიან.

არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის მიერ წარმოდგენილი შუალედური ანგარიშის მიხედვით ბოშა

398. დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ №190/ნ ბრძანებით 2007 წლის 27 ივნისს, მუხლი 2, პუნქტი 4, ქვეპუნქტი „ა“.

399. „კოალიცია თანასწორობისთვის“, უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის შუალედური ანგარიში უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის ფარგლებში საქართველოს მეორე ციკლის შესახებ, მომზადებული ორგანიზაციის „კოალიცია თანასწორობისთვის“ მიერ, 2018. გვ. 5. იხ. შემდეგ მისამართზე (ბოლოს ნანახია 25.10.2018): https://emc.org.ge/uploads/products/pdf/4_1530610413.pdf

400. საქართველოს სახალხო დამცველი (ომბუდსმენი). სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ. 2017. გვ. 25-27.

ბავშვები კვლავ განიცდიან დისკრიმინაციას ეთნიკური წარმომავლობის გამო. 2016 წელს ქობულეთის №5 საჯარო სკოლაში 64 ბოშა ბავშვი ჩაირიცხა. ქალაქი ქობულეთი საქართველოში ბოშების ერთ-ერთი ყველაზე დიდი დასახლების ადგილია, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ბოშა ბავშვებს უარს ეუბნებიან საბავშვო ბაღებში მიღებაზე მათი ეთნიკური წარმომავლობის გამო.

102 რა ზომები განხორციელდა ყველა ბავშვის რეგისტრაციის ხელშესაწყობად?

საქართველოს საჯარო რეესტრის სააგენტო საქართველოში დაბადებულ ბავშვებს თავისი ტერიტორიული სამსახურების მეშვეობით არეგისტრირებს. საქართველოს მოქალაქეთა ან საქართველოში მუდმივად მცხოვრებ, მოქალაქეობის არმქონე პირთა უცხოეთში დაბადებულ შვილებს დიპლომატიური ან საკონსულო მისიები არეგისტრირებენ⁶⁰³.

საჯარო რეესტრის სააგენტოს ინფორმაციით 2011 წლის აპრილიდან ბავშვთა დაბადების რეგისტრაციის მაქსიმალურად მოკლე ვადებში უზრუნველსაყოფად სამედიცინო დაწესებულებებს მოეთხოვებათ ბავშვის დაბადების შესახებ ინფორმაციის ელექტრონული სახით წარდგენა საჯარო რეესტრის სააგენტოსთვის. ბოლო ხანებამდე მთავარი პრობლემა ეთნიკური აზერბაიჯანლებით დასახლებულ რეგიონებში პირადობის დამადასტურებელი საბუთების არმქონე პირთა დიდი რაოდენობა იყო. 2008 წლამდე საბუთების არმქონე ბავშვთა დაბადების რეგისტრაციისთვის სასამართლოს მიერ დამტკიცება იყო აუცილებელი. 2008 წლის აპრილიდან საბუთების არმქონე პირთა რეგისტრაციისა და მათთვის პირადობის მოწმობების გაცემის პასუხისმგებლობა საჯარო რეესტრის სააგენტოს დაეკისრა. სააგენტომ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისა და „იუნისეფის“ დახმარებით მთელ საქართველოში არაერთი პროექტი განახორციელა პირადობის დამადასტურებელი საბუთების არმქონე პირთა პრობლემის აღმოსაფხვრელად, მათ შორის – კარდაკარ სიარულის მეშვეობითაც. შედეგად რამდენიმე ათასი ბავშვი დარეგისტრირდა და გაცა დაბადების მოწმობები. 2010 წელს ცვლილებები შევიდა საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“. კერძოდ, მე-15 მუხლის თანახმად, არასრულწლოვანი პირი, რომელიც საქართველოში ცხოვრობს და რომლის ორივე მშობელი უცნობია, საქართველოს მოქალაქედ მიიჩნევა, ვიდრე საწინააღმდეგო არ დადგინდება. გამარტივდა არასრულწლოვანთათვის პირადობის მოწმობებისა და პასპორტების გაცემის პროცედურა. „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად საქართველოს მოქალაქე, რომელმაც მიიღწია 14 წლის ასაკს, ვალდებულია, აიღოს პირადობის დამადასტურებელი საბუთი არა უგვიანეს 6 თვის ვადაში. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ, კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე 14 წლის ასაკამდეც აიღონ პირადობის მოწმობა.

ოფიციალური უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით ბოლო 4 წლის განმავლობაში არცერთი ბავშვისთვის არ თქმულა უარი განათლების უფლებაზე დაბადების რეგისტრაციის პრობლემების გამო⁶⁰⁴.

603. ბავშვის უფლებათა კომიტეტი. მონაწილე სახელმწიფოთა მიერ კონვენციის 44-ე მუხლის საფუძველზე წარმოდგენილი ანგარიშების განხილვა, მონაწილე სახელმწიფოთა მიერ 2011 წელს წარმოსადგენი მე-4 პერიოდული ანგარიში, საქართველო, 2016. გვ. 13. იხ. შემდეგ მისამართზე (ბოლოს ნანახია 25.10.2018): https://tbinternet.ohchr.org/_layouts/teatbodyexternal/Download.aspx?symbolno=CRC%2fC%2fGEO%2f4&Lang=en

604. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წერილი, თარიღი: 2018 წლის 25 სექტემბერი. MES 618 01205307

103 გთხოვთ, აღწერეთ ობლებზე ზრუნვის პროცედურა. არსებობს თუ არა მინდობით აღზრდის სისტემა?

2004 წელს საქართველოში სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ 5 000 ბავშვი იყო. ეს ბავშვები მოთავსებულები იყვნენ ობოლ ბავშვთა 46 სახლში. ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის შედეგად ამ ბავშვების უმეტეს ნაწილზე ზრუნვის ალტერნატიული მომსახურება გავრცელდა.

სახელმწიფო ანგარიშის თანახმად⁶⁰⁵ საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს სიტუაციებს, რომლებშიც ბავშვს მოწყვლადის სტატუსი ენიჭება. მოწყვლადია 18 წელს მიულწეველი პირი:

- (ა) თუ მისი მშობლები სასამართლოს მიერ აღიარებული არიან შრომისუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;
- (ბ) თუ ის ობოლია;
- (გ) თუ მის მშობელს (მშობლებს) ჩამორთმეული (შებლუდული ან შეჩერებული) აქვთ მშობლის უფლებები და მოვალეობები კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად;
- (დ) თუ იგი აღიარებულია მიტოვებულად;
- (ე) თუ მშობელთან (მშობლებთან) ან მეურვესთან/მზრუნველთან დარჩენა რაიმე მიზეზით სახიფათოა ბავშვისთვის.

ბიოლოგიური ოჯახისგან ბავშვის დაშორების შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო განიხილავს მისი განთავსების ალტერნატივებს იმისათვის, რომ ბავშვი დარჩეს გარემოში, რომელიც მაქსიმალურად ახლოსაა მის ოჯახთან. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილების (რომელსაც საფუძვლად ედება სოციალური მუშაკის შეფასება და დასკვნა) შესაბამისად, კონკრეტული შემთხვევის მიხედვით მოწყვლად ბავშვს:

1. ენიჭება გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი და მის მიმართ ხორციელდება გაშვილების კანონიერი პროცედურები;
2. ბავშვზე ვრცელდება მეურვეობა/მზრუნველობა და იგი მეურვესთან/ მზრუნველთან ცხოვრობს;
3. ბავშვი ცხოვრობს მომსახურების გამწვანთან (მინდობით აღზრდელ ოჯახში, მცირე საოჯახო ტიპის სახლში, ობოლ ბავშვთა სახლში), სადაც ბავშვის საცხოვრებელი გარემო ყველაზე შესაფერისი იქნება მის ინტერესებთან. ბავშვს აქვს მთელ ქვეყანაში ზრუნვის ყველა მომსახურებაზე წვდომა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ჩამოაყალიბა 2011-2012 წლებისათვის ბავშვებზე ზრუნვის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის (მიღებული იქნა „ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმების განვითარების მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 8 დეკემბრის №373 დადგენილებით) ძირითადი მიმართულებები.

2009 წლის 26 აგვისტოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა №281/ნ ბრძანებით დაამტკიცა ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები. აღნიშნული დოკუმენტის შემუშავება 2005 წელს დაიწყო და მისი შემუშავების პროცესში მონაწილეობდნენ ქართველი და უცხოელი სპეციალისტები როგორც სამთავრობო, ისე - არასამთავრობო სექტორებიდან. სტანდარტების პირველ ვერსიას, რომელიც

605. ბავშვის უფლებათა კომიტეტი. მონაწილე სახელმწიფოთა მიერ კონვენციის 44-ე მუხლის საფუძველზე წარმოდგენილი ანგარიშების განხილვა, მონაწილე სახელმწიფოთა მიერ 2011 წელს წარმოსადგენი მე-4 პერიოდული ანგარიში, საქართველო, 2016. გვ. 16-19. იხ. შემდეგ მისამართზე (ბოლოს ნანახია 25.10.2018): https://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRC%2fC%2fGE0%2f4&Lang=en

2007 წელს დამტკიცდა, ბავშვებზე ზრუნვის სამსახურებისთვის (სკოლა-პანსიონებისა და დღის ცენტრებისთვის) სარეკომენდაციო სტატუსი ჰქონდა. ტექნიკურმა სამდივნომ ბავშვთა დაცვისა და დენსტიტუციონალიზაციის სამთავრობო კომისიის სახელით, ევროკავშირის ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის პროექტისა და „იუნისეფის“ დახმარებით ჩაატარა სტანდარტების საპილოტე გამოცდა, რათა უზრუნველყო, რომ სტანდარტების საბოლოო ვერსია მომსახურების მიმწოდებელთათვის მისაღები და განსახორციელებლად რეალისტური ყოფილიყო. საპილოტე პროექტის შეფასების შემდეგ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა 2012 წლის 30 აგვისტოს №01-59/ნ ბრძანებით დაამტკიცა ბავშვებზე ზრუნვის სტანდარტების შეცვლილი ვერსია. სტანდარტები სავალდებულო გახდა ბავშვებზე ზრუნვის ყველა დაწესებულებისათვის, მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა და სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რეგისტრირებული არაშემღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დღის ცენტრებისთვის.

სახელმწიფომ ბოლო წლების განმავლობაში ბავშვებზე ზრუნვის შემდეგი ალტერნატიული მომსახურებები განავითარა:

- რეინტეგრაციის პროგრამა;
- კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვებიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარება;
- თავშესაფრები დედებისა და ბავშვებისათვის;
- დღის ცენტრები შემღუდული და არაშემღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის;
- დამხმარე საშუალებების უზრუნველყოფა;
- კომუნიკაციაში დახმარება სმენადაქვეითებული ბავშვებისათვის;
- სახლში ზრუნვის მომსახურება მწვავე და სერიოზული შემღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის;
- ადრეული ჩარევის მომსახურება;
- აბილიტაციის/რეაბილიტაციის მომსახურება.

საქართველოს სახალხო დამცველის ინფორმაციით მინდობით აღზრდაში სულ 1 748 ბავშვია. ამ ბავშვების 11% ოჯახებს სიღარიბის გამო დააშორეს, რაც ბავშვის უფლებათა მნიშვნელოვანი დარღვევაა. მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვები კვლავ განიცდიან ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მიდგომის, მინდობით აღზრდელი მშობლების მომზადებისა და პროცესის მკაცრი მონიტორინგის ნაკლებობას⁶⁰⁶.

დღეისათვის ბავშვთა 2 დაწესებულება და 7 სკოლა-პანსიონია დარჩენილი. თუმცა, როგორც ბავშვის უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია იუწყება, 1000-ზე მეტი ბავშვია მოთავსებულ ობოლ ბავშვთა სახლებში, რომლებიც კანონის ფარგლებს გარეთ ფუნქციონირებენ. მათი უმეტესობა ფინანსდება რელიგიური ჯგუფების მიერ და არ ხდება მათი მონიტორინგი არც მთავრობისა და არც რომელიმე დამოუკიდებელი ორგანიზაციის მიერ.

იმ ბავშვების რაოდენობა, რომლებიც მოთავსებულები არიან ბავშვთა დაწესებულებებში, რომლებზეც სახელმწიფო ზედამხედველობა არ ხორციელდება:⁶⁰⁷

606. საქართველოს სახალხო დამცველი (ომბუდსმენი), საპარლამენტო ანგარიში 2017. გვ. 265-270

607. ა. აბაშიძე, ა. არგანაშვილი, ნ. გოჩიაშვილი, „ბავშვების ხმა, რომელიც სახელმწიფომდე არ აღწევს – ბავშვებზე ზრუნვის ჩრდილოვანი სისტემა საქართველოში“. 2018. გვ. 4. იხ. შემდეგ მისამართზე (ბოლოს ნანახია 25.10.2018): http://www.osgf.ge/files/2016/EU%20publication/Angarishi_A4_Children_ENG_Cor.pdf

ბავშვებზე ზრუნვის პანსიონები, რომლებზეც სახელმწიფო ზედამხედველობა არ ხორციელდება

1	ისლამური სკოლა-პანსიონები (ე.წ. „მადრასა“)	23	470 ბავშვი
2	მართლმადიდებლური ეკლესიის გამგებლობაში მყოფი დაწესებულებები	4	229 ბავშვი
3	დაწესებულებები, რომლებსაც ადგილობრივი მმართველობის ორგანოები და კერძო პირები ამუშავებენ	9	447 ბავშვი
		36	1146 ბავშვი

პროცედურული გარანტიები

თავისუფლება და უსაფრთხოება

104 როგორ არის უზრუნველყოფილი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის სასამართლოზე დისკრიმინაციის გარეშე წვდომა საქართველოს მოქალაქეებთან შედარებით?

საქართველოს კონსტიტუცია⁶⁰⁸ წარმოადგენს სასამართლოზე წვდომის სამართლებრივ საფუძველს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის დისკრიმინაციის გარეშე.

როგორც კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს, „ყოველ ადამიანს უფლება აქვს, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“. ამავდროულად, 47-ე მუხლის პირველი პუნქტი აზუსტებს, რომ „საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა“. ეს ორი ნორმა არამარტო ევროკავშირის მოქალაქეებისთვის ქმნის საკონსტიტუციო გარანტიებს, არამედ საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი უცხოელისთვისაც. კონსტიტუციური გარანტია ჩადებულია, აგრეთვე, საქართველოს კანონში „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“⁶⁰⁹, რომლის 47-ე მუხლის პირველი პუნქტით „საქართველოში უცხოელს უფლება აქვს, პირადი, ქონებრივი და სხვა უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოებსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებს, მიუხედავად თავისი სამართლებრივი მდგომარეობისა“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს, ინდივიდუალურ თუ სხვა სახის იურიდიული პირებს, სრული უფლება აქვთ, მიმართონ საქართველოს სასამართლოებს, მათ შორის - საკონსტიტუციო სასამართლოსაც. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით⁶¹⁰ საქართველოში მცხოვრებ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ, მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია კონსტიტუციით აღიარებული მათი უფლებები.

608. საქართველოს No 786 კონსტიტუციური კანონი, 24 აგვისტო, 1995; კონსოლიდირებული ვერსია: 23 მარტი, 2018.
 609. საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“;
 610. საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, No 2045 – II ს 5 მარტი, 2014; ძალაში შესვლის თარიღი 1 სექტემბერი, 2014, კონსოლიდირებული ვერსია: 31 ოქტომბერი, 2018.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „სამართალწარმოების დროს უცხოელი სარგებლობს ისეთივე საპროცესო უფლებებით, როგორებიცაა — საქართველოს მოქალაქე“. როგორც ზემოთ ნათქვამიდან შეიძლება დავასკვნათ, საქართველოს კანონმდებლობა ნებისმიერ პირს უზრუნველყოფს თანასწორი საფუძვლით იმისთვის, რომ მათ საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენონ. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამავე კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით უცხოელს შეიძლება, გადაუვადდეს საქართველოდან გასვლის ვალდებულება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს საერთო სასამართლოში მიმდინარეობს საქმე მისი მონაწილეობით და მის ყოფნას არსებითი მნიშვნელობა აქვს მისი ინტერესების დასაცავად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველო უზრუნველყოფს უცხოელებისთვის, მათ შორის, ევროკავშირის იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის, წვდომას სასამართლოზე დისკრიმინაციის გარეშე იმავე პირობებით, რაც საქართველოს მოქალაქეებისთვის არის გათვალისწინებული

105 **გადიან თუ არა საპატიმროების და სხვა დაწესებულებების თანამშრომლები სასწავლო-გადასამზადებელ კურსებს ადამიანის უფლებებზე, მათ შორის, ქალებისა და უმცირესობათა წარმომადგენლების უფლებებზე?**

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია საპოლიციო და სპეციალური პროფესიული განათლების მიღების უმთავრესი უწყებაა. ის უზრუნველყოფს პოლიციის თანამშრომელთა გადამზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას. სამინისტროს სტრუქტურაში განხორციელებულმა ბოლოდროინდელმა ცვლილებებმა⁶¹¹ გაზარდა მოთხოვნა იმ პირებზე, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვის ცოდნით არიან აღჭურვილნი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიამ თავის სასწავლო პროგრამებში შეიტანა ადამიანის და ქალთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საგნები და დისციპლინები. უმაღლესი საპოლიციო განათლების შემთხვევაში ადამიანის უფლებათა დაცვის სფერო სავალდებულო საგანია და ისევე ისწავლება, როგორც სხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში.

სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საგნები სასწავლო-მოსამზადებელ კურსებში შემდეგნაირად არის ჩართული:⁶¹² სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები უზნის ინსპექტორებისთვის, პატრულ-ინსპექტორებისთვის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ლეიტენანტებისთვის, მომავალი და მოქმედი პოლიციელებისა და დეტექტივ-გამომძიებლებისთვის; ამას გარდა, დაწინაურებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები, რომლებიც გამიზნულია საპატრულო პოლიციის მოქმედი მოსამსახურეებისთვის და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და ტერიტორიულ ორგანოებში მოსამსახურეებისთვის; ასევე გათვალისწინებულია სასწავლო მოდული „ადამიანის უფლებები და პოლიცია“.

სპეციალური პროფესიული განათლების ფარგლებში დამოუკიდებელი მოდული „ადამიანის უფლებები“ გამიზნულია საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის

611. 2018 წლის იანვარში შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ადამიანის უფლებათა დეპარტამენტი. დეპარტამენტი ზედამხედველობს ოჯახურ ძალადობასთან, ქალთა უფლებების დარღვევასთან, სიძულვილთან და დისკრიმინაციასთან და აგრეთვე ადამიანით ვაჭრობასთან დაკავშირებული საქმეების გამოძიებას; <http://agenda.ge/en/news/2018/128>.

612. იხილეთ აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამა ბმულზე:

სასაზღვრო პოლიციისა და საპატრულო პოლიციის მოსამსახურეებისთვის. სასაზღვრო პოლიციის ოფიცრები გადიან მოსამზადებელ კურსს ადამიანის უფლებებში და საპოლიციო ეთიკის საკითხებში.

ადამიანის უფლებებთან ერთად სპეციალური პროფესიული განათლების ფარგლებში ტარდება ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული სასწავლო და გადამზადების კურსები უბნის ინსპექტორებისთვის, პატრულ-ინსპექტორებისა და საპატრულო პოლიციის მოსამსახურეებისთვის.

უბნის და პატრულ-ინსპექტორები დამატებით კურსს გადიან გენდერულ თანასწორობაზე.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახური სახელმწიფო უწყებაა, რომელიც პასუხისმგებელია საპატიმროებისა და სხვა პენიტენციური დაწესებულებების მართვაზე. შესაბამისად, მისი სასწავლო ცენტრი ის ძირითადი უწყებაა, რომელიც განკუთვნილია საპატიმროების მოსამსახურეთა მოსამზადებლად. ბოლო არსებული ინფორმაციით, სამსახურის საგანმანათლებლო პროგრამა⁶¹³ მოიცავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებთან დაკავშირებულ საგნებს და ასევე ე.წ. „ბანგოვის წესებს“⁶¹⁴, რომლებიც პენიტენციურ დაწესებულებებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრევენციას ეხება.

როგორც ზემოთ თქმულიდან გამომდინარეობს, ნათელია, რომ იუსტიციის სამინისტრო ისევე, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტრო, უზრუნველყოფენ საკუთარი მოსამსახურეებისთვის ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ცოდნის მიცემას.

106 უშვებს თუ არა თქვენი კანონმდებლობა პატიმრობის ალტერნატიულ ღონისძიებებს, მაგ., ზედამხედველობას, პრობაციას და პირობით ვადამდე გათავისუფლებას?

იხილეთ 107-ე კითხვის პასუხი.

107 აღწერეთ თქვენი გეგმა პრობაციის სისტემის განვითარებისთვის. გაქვთ თუ არა პირობითი გათავისუფლება და პირობითი სასჯელი და, თუ – კი, ზედამხედველობს თუ არა სასჯელმისხილ პირს პრობაციის ოფიცერი პრობაციის პერიოდში?

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა მიზნად ისახავს საპატიმრო სასჯელების შერბილებას. ამჟამად სასჯელის დანიშვნის საკითხები ორი ძირითადი აქტით რეგულირდება, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსით⁶¹⁵ და კანონით „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“⁶¹⁶.

პირველი, სისხლის სამართლის კოდექსი, ადგენს და განმარტავს სასჯელის სახეებს. კოდექსის 39-ე

613. იხილეთ სპეციალური პენიტენციური სამსახურის საგანმანათლებლო პროგრამა ბმულზე: http://pptc.moc.gov.ge/?action=page&p_id=58&lang=geo;

614. გავროს წესები ქალ პატიმართა მოპყრობასთან დაკავშირებით;

615. სისხლის სამართლის კოდექსი, 22 ივლისი, 1999, კონსოლიდირებული ვერსია: 5 ივნისი, 2018;

616. კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“; 19 ივნისი, 2001, კონსოლიდირებული ვერსია: 5 ივნისი, 2018.

მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით სასჯელის მიზნებია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. მიუხედავად კანონის კეთილშობილური განზრახვისა, დასახელებული მიზნების მიღწევა თითქმის შეუძლებელი იყო, რადგან პატიმრობა სასჯელის ზოგად ფორმად გამოიყენებოდა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, როცა პოსტრევოლუციურმა ხელისუფლებამ ღიად გამოაცხადა ე.წ. „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკა კრიმინალისადმი. მსგავსი მიდგომა, ჩვეულებრივ, ძალზე ეფექტიანია მოკლევადიან პრესპექტივაში, მაგრამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ის კონტრპროდუქტიული შეიძლება, გახდეს, რადგან, ერთი შეხედვით, ყველა დამნაშავე მიდის ციხეში, ქუჩები უფრო უსაფრთხო ხდება, მაგრამ ამავე დროს, უმნიშვნელო დანაშაულისთვის არაპროპორციულად მკაცრი სასჯელების დადების მიზეზიც ხდება. ეს კი ნეგატიურ გავლენას ახდენდა დამნაშავეზე და უმეტეს შემთხვევაში მისი გაშვება ციხეში მცირე დანაშაულისთვის რესოციალიზაციას კი არ ემსახურებოდა, არამედ თავად დანაშაულს აქცევდა პროფესიად.

ამას გარდა, ცხადია, რომ ვერცერთი სახელმწიფო ვერ ახერხებს დამნაშავის მუდმივად შენახვას პატიმრობაში. გათავისუფლების შემდეგ ადამიანი ბრუნდებოდა იმ რეალობაში, სადაც დანაშაულის მდგენელები ისევ არსებობდა. დანაშაულთან ბრძოლა მის მიზეზებთან ბრძოლის გარეშე და საზოგადოებისგან დამნაშავის მხოლოდ მცირე ხნით მოცილება საუკეთესო მეთოდი არ არის საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის კიდევ ერთი მიზნი – დანაშაულის პრევენციის – მისაღწევად. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სასამართლო სისტემამ ხელი შეუწყოს პატიმრობის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენებას.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით სასჯელის სახეებია: ჯარიმა, თანამდებობის დაკავების ან კონკრეტული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, თავისუფლების აღკვეთა, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, უვადო თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაცია.

კოდექსის 41-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები განსაზღვრავს ძირითად და დამატებით სასჯელებს. გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირისთვის სამსახურებრივი შეზღუდვა, ვადიანი და უვადო პატიმრობა შეიძლება, დაინიშნოს მხოლოდ როგორც ძირითადი სასჯელი, დანარჩენი კი, ქონების კონფისკაციის გარდა, როგორც ძირითად, ისე – დამატებით სასჯელად. ქონების კონფისკაცია ყველა შემთხვევაში დამატებითი სასჯელია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, დაინიშნოს ამ მუხლის მე-2 ნაწილით დაწესებული სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება. ამავე მუხლის მე-5 პუნქტი ითვალისწინებს სხვა პირობასაც ალტერნატიული ღონისძიების შეფარდებისთვის ან პატიმრობის შემსუბუქებას. უფრო ზუსტად კი, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას, სასამართლოს შეუძლია, განაჩენით დაადგინოს სასჯელის ნაწილის მოხდა, ხოლო დანარჩენი ნაწილი პირობით მსჯავრად ჩათვალოს, თუ ბრალდებული (მსჯავრდებული) აღიარებს დანაშაულს (თუ მას არ წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე), ასახელებს დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეებს და თანამშრომლობს გამოძიებასთან. საპროცესო შეთანხმების დადების გარდა, თუ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, პირობით მსჯავრად შეიძლება, ჩაითვალოს დანიშნული სასჯელის ერთი მეოთხედი, მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში – სასჯელის ერთი მესამედი, ხოლო ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში – სასჯელის ნახევარი.

პირობითი მსჯავრი, როგორც პატიმრობის ალტერნატიული სასჯელი, რეგულირდება კოდექსის 63-ე მუხლით. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება,

სასამართლო უფლებამოსილია, დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად“. პირობითი მსჯავრის დადებას ითვალისწინებს 63-ე მუხლის მე-3 პუნქტიც, რომლის მიხედვით: „თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განზრახი ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებელი დანაშაული და იგი აღიარებს დანაშაულს ან/და თანამშრომლობს გამოძიებასთან, სასამართლო უფლებამოსილია, დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად, თუ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა განსაკუთრებით მძიმე ან განზრახ მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის“.

თუ მსჯავრდებულს ჩადენილი აქვს განსაკუთრებით მძიმე ან განზრახ მძიმე დანაშაული, ან თუ მას წარსულში აქვს ჩადენილი ორი ან ორზე მეტი განზრახ მძიმე დანაშაული, დანიშნული სასჯელი არ ჩაითვლება პირობით მსჯავრად, როგორც ამას იმავე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტები ითვალისწინებს.

კოდექსის მომდევნო - 64-ე, 65-ე, 66-ე, 67-ე და 68-ე - მუხლები ადგენენ და აზუსტებენ პრობაციის პირობების, მოვალეობის დაკისრების, კონტროლისა და დახმარების, პირობითი მსჯავრის გაუქმების ან პრობაციის ვადის გაგრძელება/შემცირების და სამოქალაქო შეთანხმების საკითხებს.

კოდექსის 64-ე მუხლის მიხედვით „ამ კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილითა და 63-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას სასამართლო ადგენს გამოსაცდელ ვადას, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებულმა არ უნდა ჩაიდინოს ახალი დანაშაული და უნდა შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობა. თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სახის სასჯელის დანიშვნისას გამოსაცდელი ვადა უნდა იყოს არანაკლებ ერთი და არაუმეტეს სამი წლისა, თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას – არანაკლებ ერთი და არაუმეტეს ექვსი წლისა, ხოლო დანაშაულთა ერთობლიობის ან განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელთა შეკრების შედეგად საბოლოო სასჯელის დანიშვნისას – არანაკლებ ორი და არაუმეტეს ექვსი წლისა“.

65-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ „პირობითი მსჯავრის დროს, თუ არსებობს საამისო საფუძველი, სასამართლოს შეუძლია, დააკისროს მსჯავრდებულს განსაზღვრული მოვალეობის შესრულება: პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი, არ დაამყაროს ურთიერთობა იმასთან, ვინც შეიძლება, იგი ჩააბას ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში, არ მოინახულოს განსაზღვრული ადგილი, მატერიალურად დაეხმაროს ოჯახს, გაიაროს ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ტოქსიკომანიის ან ვენერიული სენის მკურნალობის კურსი, ხოლო თუ მსჯავრდებული ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირია – ასევე ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსი. სასამართლოს შეუძლია, დააკისროს მსჯავრდებულს სხვა მოვალეობაც, რომელიც ხელს შეუწყობს მის გამოსწორებას“.

კოდექსის 65-ე მუხლი მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ ის ცალკე ამახვილებს ყურადღებს იმ გარემოებაზე, როდესაც ხდება ოჯახში ძალადობა.

კოდექსის 66-ე მუხლი კი განსაზღვრავს იმ პასუხისმგებელ უწყებებს, რომლებსაც ევალებათ მსჯავრდებულთა დახმარება და მონიტორინგი. კოდექსის თანახმად, ეს პრობაციის სამსახურია, რომელიც იუსტიციის სამინისტროსთან ფუნქციონირებს.

ამ კითხვაზე პასუხი რომ შევავამოთ, ნათელია, რომ საქართველოს კანონმდებლობა უშვებს პატიმრობის ალტერნატიულ სასჯელს. ბოლო სტატისტიკური მონაცემების მიხედვით^{617, 618} ალტერნატიული სასჯელების დანიშვნის სიხშირე მატულობს. მაგალითად, 2012 წლის იანვარში და 2018 წელს მსჯავრდებულთა თითქმის ერთნაირი რაოდენობა ფიქსირდებოდა - 991 (2012) და 1051 (2018). 2012 წელს 416 პირი იყო

617. იხილეთ: http://geostat.ge/cms/site_images/files/georgian/crime/ianvari/Report_ianvari%202018.pdf

618. იხილეთ: http://geostat.ge/cms/site_images/files/georgian/crime/ianvari/Report_ianvari%202018.pdf

პატიმრობაში, რაც მსჯავრდებულთა მთლიანი რაოდენობის 42%-ია, ხოლო 2018 წელს – 259 პირი, რაც მთლიანი რაოდენობის 24.6%-ია.

ამჟამად პრობაციის სისტემაში ინსტიტუციური რეფორმები აღარ იგეგმება. ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ თვალთვალი ან სხვა სახის ფარული საგამოძიებო ზომები აღარ ტარდება მსჯავრდებულთა გაკონტროლების უზრუნველსაყოფად. საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც სასჯელთა სამართლებრივ ჩარჩოებს მოიცავს და არეგულირებს პრობაციის სამსახურის საქმიანობას, არ ითვალისწინებს მსგავს ნორმებს.

108 დაკავება:

ა) არსებობს თუ არა დაკავების ვადის მინიმალური ზღვარი? თუ – კი, რამდენია? (დაკავება, ჩვეულებრივ, შეეფარდება იმ დანაშაულისთვის, რომლის ჩადენისთვის განსაზღვრული ვადის, მაგალითად, 1 წლიანი ან მეტი პატიმრობაა გათვალისწინებული, როგორც ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში).

საქართველოს კანონმდებლობით დაკავების მინიმალური ზღვარი დადგენილი არ არის. განსაზღვრულია მხოლოდ დაკავების მაქსიმალური ვადა, რომელიც 72 საათია⁶¹⁹.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, პირის დაკავება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა⁶²⁰.

ბ) საშუალოდ რა ხანგრძლივობას ითვალისწინებს დაკავება?

სრული ინფორმაციის უქონლობის გამო დაკავების საშუალო ხანგრძლივობა უცნობია.

გ) აღწერეთ დაკავების მარეგულირებელი წესები და პროცედურები და მისი განხორციელების წესებიც. რა წესები არეგულირებს თავისუფლების აღკვეთის და დაკავების შესახებ გადაწყვეტილებების გადასინჯვას (ავტომატურია თუ ეჭვმიტანილის თხოვნით)? რამდენი ხნით შეიძლება ეჭვმიტანილისთვის თავისუფლების აღკვეთა სასამართლო განხილვამდე? არსებობს თუ არა მაქსიმალური ზღვარი დაკავების მთლიანი ვადისთვის?

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ცნობს ორი სახის დაკავებას: სასამართლოს განჩინებით და განსაკუთრებულ გარემოებებში. ორივე შემთხვევაში უნდა არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც კანონი თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სასამართლოს განჩინება პირის დაკავებაზე გამოაქვს მაშინ, როცა არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც კანონით თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული, ან როცა არსებობს ვარაუდი, რომ ის შესაძლოა, გაიქცეს და არ გამოცხადდეს სასამართლოზე, გაანადგუროს

619. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი მე-13 (3); (გამოქვეყნებულია ოფიციალურ გაზეთში, 24 აგვისტო, 1995 (ბოლო ცვლილება 23 მარტი, 2018); სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 174 (5)-ე; გამოქვეყნებულია მაინც, 31 მარტი, 2009, ბოლო ცვლილება 30 ნოემბერი, 2018.

620. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 171 (1).

საქმისთვის აუცილებელი ინფორმაცია, ჩაიდინოს ახალი დანაშაული ან როცა შესაბამისი უცხო ქვეყნის თანხმობაა მისაღები. პროკურორი გამოძიების ადგილის მიხედვით მიმართავს სასამართლოს განჩინებისთვის. მოსამართლე ზეპირი განხილვის გარეშე შეისაწვლის პირის დაკავების საკითხს და თუ კანონით დადგენილი მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, ის გასცემს დაკავების შესახებ განჩინებას. მოსამართლის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

სასამართლოს განჩინების გარეშე პირი შეიძლება, დაკავებული იქნეს შემდეგი საფუძვლებით: ა) პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე; ბ) პირი დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას და მის მიმართ დაუყოვნებლივ ხორციელდება სისხლის სამართლებრივი დევნა მისი დაკავების მიზნით; გ) პირზე ან მის ტანსაცმელზე ან მის სიახლოვეს აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი; დ) პირი მიიმალა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მაგრამ შემდგომ იგი თვითმხილველმა ამოიცნო; ე) პირი შესაძლოა, მიიმალოს; ვ) პირი ძებნილია; ზ) დაკავება განჩინების გარეშე შესაძლებელია აგრეთვე „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით. პირის დაკავება განჩინების გარეშე ნებადართულია, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული და თუ საფრთხე, რომ ის მიიმალება, არ გამოცხადდება სასამართლოზე, გაანადგურებს საქმესთან დაკავშირებულ მასალას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს, ვერ იქნება თავიდან აცილებული ალტერნატიული ღონისძიებით, რომელიც, სავარაუდოდ, ჩადენილი დანაშაულის გარემოებებისა და ბრალდებულის პირადი მონაცემების პროპორციული იქნება⁶²¹.

დაკავების უფლება აქვთ იმ ორგანოს მოსამსახურეებს, რომელიც ატარებს გამოძიებას, ასრულებს ოპერატიულ ფუნქციებს, იცავს საზოგადოებრივ წესრიგს ან ახორციელებს სისხლის სამართლებრივ დევნას⁶²².

პირს აკავებენ შემდეგი პროცედურების დაცვით: დაკავების საფუძვლის არსებობისას უფლებამოსილი პირი ნათლად უხსნის დაკავებულ პირს მისი დაკავების საფუძვლებს და თუ რა დანაშაულის ჩადენაშია ის ეჭვმიტანილი; აცნობებს მის უფლებებს, კერძოდ, ადვოკატის აყვანის, დუმილის, შეკითხვების უპასუხოდ დატოვების უფლებას; უფლებას, რომ არ დაიბრალოს დანაშაული. უფლებამოსილი პირი ატყობინებს ეჭვმიტანილს ასევე, რომ რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია, მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული სასამართლოში. განცხადება, რომელიც დაკავებულმა მისთვის უფლებების გაცნობამდე გააკეთა, ჩაითვლება დაუშვებელ მტკიცებულებად. დაკავებაზე უფლებამოსილ პირს დაუყოვნებლივ მიჰყავს დაკავებული პოლიციის უახლოეს დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში⁶²³.

დაკავების შემდგომ პირი წარდგება სასამართლოს წინაშე, უფრო ზუსტად, დაკავებიდან არა უგვიანეს 48 სთ-ში პროკურორი წარუდგენს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების შესახებ შესაბამის მაგისტრატ მოსამართლეს, გამოძიების ადგილის მიხედვით. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა დაკავებული პირის მიყვანა სასამართლოში ვერ ხერხდება მისი ავადმყოფობის ან სტიქიური უბედურების თუ სხვა ობიექტური მიზეზების გამო, შესაძლებელია, მოსამართლემ სასამართლო სხდომა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ჩაატაროს. თუ შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შესახებ არ აღიძრა დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა, მაშინ დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.⁶²⁴ პირველად ბრალდებული ჩნდება მოსამართლის წინაშე, როცა ეს უკანასკნელი განიხილავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობას მისი წარდგენიდან არა უგვიანეს 24 საათისა და იღებს გადაწყვეტილებას

621. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 171 (№1772, 09/10/2009, გამოქვეყნებულია მაცნეში, 31, 03/11/2009, ბოლო ცვლილება 30/11/2018).

622. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 172.

623. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 174-ე;

624. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 205-ე;

აღკვეთის გამოყენების შესახებ. აღკვეთის ღონისძიებებია: დაკავება, გირაო ან სხვა არასაპატიმრო ღონისძიება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში პირი თავისუფლდება⁶²⁵.

თუ დაკავება გამოიყენება, როგორც აღმკვეთი ღონისძიება, მისი მთლიანი ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. ამას გარდა, კანონის მიხედვით ბრალდებულის დაკავების ვადა წინასასამართლო სხდომაზე არ უნდა აღემატებოდეს 60 დღეს დაკავების დღიდან. ამ 60 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს⁶²⁶. პირისთვის პატიმრობის შეფარდება შეიძლება, გადაიხედოს წინასასამართლო სხდომაზე⁶²⁷ მოსამართლის მიერ მისივე ინიციატივით, ხოლო ამის შემდგომ – ყოველ ორ თვეში ერთხელ⁶²⁸.

სისხლის სამართლის საქმის პროცესის მხარეს უფლება აქვს, მიმართოს მაგისტრატ მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ⁶²⁹. პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება აღმკვეთი ღონისძიების შესახებ შეიძლება, გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში⁶³⁰.

დ) როგორ არის დაკავებული პირის მიმართ ჰუმანური მოპყრობა და უსაფრთხოება (ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების კუთხით) უზრუნველყოფილი პოლიციის, იუსტიციის, პროკურატურისა და პენიტენციური სისტემების მიერ? რა ღონისძიებები ტარდება იმ შემთხვევაში, თუ სტანდარტები არ კმაყოფილდება?

საქართველოს რატიფიცირებული აქვს გაეროს კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ (საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია, 22 სექტემბერი, 1994) და მისი ფაკულტატური ოქმი (საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია, 8 ივლისი, 2005). საქართველო აღიარებს გაეროს მიერ 1975 წელს მიღებული წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციით შექმნილი გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის უფლებამოსილებებს (საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია, 7 ივნისი 2002). საქართველოს რატიფიცირებული აქვს, აგრეთვე, წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენცია (პარლამენტის რეზოლუცია, 3 მაისი, 2000) და მისი ფაკულტატური ოქმი (პარლამენტის რეზოლუცია, 3 მაისი, 2000)

საქართველოს კონსტიტუცია (№786, 24/08/1995, გამოქვეყნებულია პარლამენტის ოფიციალურ გაზეთში, 31-33, 24/08/1995, ბოლო ცვლილება: 23/03/2018) კრძალავს წამებას, არაჰუმანურ და სასტიკ მოპყრობას და სასჯელის გამოყენებას და ასევე პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და სასჯელის გამოყენებას. ის დაუშვებლად აცხადებს დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშემზღუდული პირის ფიზიკურ ან ფსიქიკურ იძულებას⁶³¹.

ამას გარდა, საქართველოს კონსტიტუციით ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია და მისთვის თავისუფლების აღკვეთა ან სხვაგვარად შეზღუდვა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე აკრძალულია.

625. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 205-ე;
 626. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 219-ე;
 627. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 219 (4)-ე;
 628. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 230¹-ე;
 629. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 206-ე;
 630. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 207-ე.
 631. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი მე-9.

ადამიანის დაკავება დასაშვებია მხოლოდ სპეციალურად ამ უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების მიერ კანონით დადგენილ შემთხვევებში. ნებისმიერი დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშემზღუდული პირი შესაბამის სასამართლოში წარდგენილი უნდა იყოს არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შემზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. დაპატიმრებულ ან დაკავებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განუმარტონ მისი უფლებები და თავისუფლების შემზღუდვის საფუძველი. მას დაკავების/დაპატიმრებისთანავე აქვს ადვოკატის მოთხოვნის უფლება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს. წინასწარი პატიმრობა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს⁶³².

იუსტიციის სამინისტროსთან შექმნილია წამების, არაპუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელიც პრეზიდენტის №369 ბრძანებულებით შეიქმნა. 2009 წლის 27 ნოემბერს ბრძანებულებაში შეტანილი ცვლილების ძალით იუსტიციის სამინისტრო განისაზღვრა, როგორც საჭოს სამოქმედო გეგმის შესრულებასა და კოორდინაციაზე პასუხისმგებელი და ორგანიზაციულ-ტექნიკურად უზრუნველყოფი უწყება. საბჭოს მიზნებია: წამების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მდგომარეობის მონიტორინგი; წამების წინააღმდეგ ბრძოლის, წამების მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის სფეროში შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების ხელშეწყობა მათი ფუნქციების ეფექტიანად განსახორციელებლად და მათი საქმიანობის კოორდინაცია; წამების წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის შესახებ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, პერიოდული განახლება, მონიტორინგი განხორციელებაზე და საქართველოს პრეზიდენტისთვის რეკომენდაციების წარდგენა. საბჭოს შემადგენლობაში არიან სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (№1772, 09/10/2009, გამოქვეყნებულია საკანონმდებლო მაცნეში, 31, 03/11/2009, ბოლო ცვლილება: 30/11/2018) უზრუნველყოფს პირის საპროცესო გარანტიებს დაკავების განმავლობაში. კერძოდ, პირს დაკავებისას ან ბრალდებულად ცნობისთანავე და ასევე დაკითხვამდე უნდა ეცნობოს მისთვის გასაგებ ენაზე, თუ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელი დანაშაულის ჩადენაშია ეჭვმიტანილი დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე. მას უნდა გადაეცეს დაკავების ოქმი და განემარტოს, რომ მას აქვს უფლება ადვოკატზე, დუმილსა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავებაზე. ამას გარდა, აქვს იმის უფლებაც, არ დაიბრალოს დანაშაული. პირს უნდა განუმარტონ აგრეთვე, რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია, მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული სასამართლოში. დაკავებულ პირს უფლება აქვს, მოითხოვს ასევე უფასო სამედიცინო შემოწმება დაპატიმრებისას და შესაბამის დაწესებულებაში მიყვანისთანავე⁶³³.

დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათის განმავლობაში პროკურორი გამოძიების ადგილის მიხედვით მაგისტრატ მოსამართლეს წარუდგენს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ. თუ შუამდგომლობა დაკავებიდან 48 საათში არ წარედგინება მაგისტრატ მოსამართლეს, დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს⁶³⁴, შუამდგომლობის წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში კი უნდა გაიმართოს პირველი წარდგენის სხდომა.

2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლი, რომლის საფუძველზეც თუ მოსამართლეს სისხლის სამართლის პროცესის რომელიმე ეტაპზე გაუჩნდება ეჭვი, რომ ბრალდებული/მსჯავრდებული აწამეს ან მოექცნენ არაადამიანურად და დამამცირებლად, ან თუ

632. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი მე-13.
 633. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 38-ე.
 634. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 196-ე.

ბრალდებული/ მსჯავრდებული შეატყობინებს ამის შესახებ მოსამართლეს, მოსამართლე მიმართავს შესაბამის უწყებას რეაგირებისთვის. თუ პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე დაემუქრა და/ან მოსამართლეს გაუჩნდა ეჭვი, რომ ბრალდებული/ მსჯავრდებული აწამეს ან შესაძლოა, აწამონ ან მას არაადამიანურად და დამამცირებლად მოეპყრნენ ან შესაძლოა, მოექცნენ, მოსამართლე უფლებამოსილია, განჩინებით მიმართოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურ დირექტორს, რათა მოცემული ბრალდებულის/მსჯავრდებულის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გატარდეს განსაკუთრებული ზომები.

საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“ (N1444-ს, 04/10/2013, გამოქვეყნებულია ვებგვერდზე, 28/10/2013, ბოლო ცვლილება: 21/07/2018) შეიცავს პირის დაკავებისას პოლიციის მიერ იძულების ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებულ ნორმებს. საპოლიციო ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად პოლიციის თანამშრომელი უფლებამოსილია, პროპორციულად გამოიყენოს იძულების ღონისძიებები აუცილებელი შემთხვევების დროს და იმ ინტენსივობით, რომელიც საჭიროა ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად⁶³⁵. კანონი კრძალავს ასევე პირის წამებას და მისდამი არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას საპოლიციო ღონისძიებების განხორციელებისას⁶³⁶. პოლიციის აკადემიის სასწავლო მოდულები, რომლებიც საპატრულო ოფიცრებისა და უბნის ინსპექტორებისთვისაა გამიზნული, ითვალისწინებს მოქალაქეებთან ურთიერთობებისა და კონფლიქტის მოგვარების სტანდარტების სწავლებას. სასწავლო პროგრამა შეიცავს ასევე დამოუკიდებელ კურსს ადამიანის უფლებებზე, რომელშიც თითქმის ყველა ფუნდამენტური უფლება ცალკე თემის სახით განიხილება. ამავე პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსის მონაწილეები სწავლობენ ძალის გამოყენების პრინციპებს, ძალის გამოყენებასა და მის მოსალოდნელ შედეგებს და აგრეთვე წამების აკრძალვასთან დაკავშირებულ თემებს. პროგრამა ასევე მოიცავს იმ უფლებებს, რომლებიც დაკავშირებულია დაკავებასა და პატიმრობასთან, უფრო ზუსტად კი, როდის მიიჩნევა დაკავება ლეგიტიმურად და როგორ უნდა განხორციელდეს.

2014 წელს საქართველოში ოფიციალური ვიზიტის დასრულების შემდეგ წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა თავის ანგარიშში საგანგებოდ აღნიშნა დამოუკიდებელი და ეფექტიანი მექანიზმის შექმნის აუცილებლობა იმ საქმეების გამოსაძიებლად, რომლებშიც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ არაადამიანური მოპყრობის ფაქტებია დაფიქსირებული, რაც უზრუნველყოფდა ამ საქმეების მიუკერძოებლად გამოძიებას.⁶³⁷ ამ რეკომენდაციის საფუძველზე საქართველოში საკანონმდებლო დონეზე შეიქმნა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულების გამოსაძიებელი მექანიზმი. კერძოდ, 2019 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევა „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ კანონის (N3273-რს, 21/07/2018, გამოქვეყნებულია ვებგვერდზე: 09/08/2018, ბოლო ცვლილება: 30/11/2018) დებულებები, რომელთა მიხედვით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო უფლებამოსილებები ვრცელდება: ა) სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების გამოძიებაზე: 144¹-144³-ე მუხლები (წამება, წამების მუქარა, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა), 332-ე მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტები (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ძალადობით ან ი არალის გამოყენებით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით), 335-ე მუხლი (განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება) და 378-ე მუხლის მე-2 პუნქტი (პენიტენციური დაწესებულება ის საქმიანობისთვის ხელის შეშლა ან/და ამ საქმიანობის დემორგანიზაცია), თუ ჩამო თვლილი დანაშაული ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, აგრეთვე

635. კანონი პოლიციის შესახებ, მუხლი 31-ე.

636. კანონი პოლიციის შესახებ, მუხლი მე-9.

637. იხილეთ: <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168069d4a3> <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168069d4a3>

მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ; ბ) „სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, აგრეთვე მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილ სხვა დანაშაულზე, რომელმაც გამოიწვია პირის სიცოცხლის მოსპობა და რომლის ჩადენის დროს ეს პირი იმყოფებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორში ან პენიტენციურ დაწესებულებაში ანდა ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, აკრძალული ჰქონდა ადგილსამყოფლის დატოვება, ანდა აღნიშნული პირი სხვაგვარად იმყოფებოდა სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ“⁶³⁸.

პატიმრობის კოდექსი ((N2696, 09/03/2010, გამოქვეყნებულია საკანონმდებლო მაცნეში: 24/03/2010, ბოლო ცვლილება: 21/07/2018) ითვალისწინებს რიგ გარანტიებს პატიმრებისა და მსჯავრდებულთათვის. კოდექსის მიხედვით წამებასთან, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრები განეკუთვნება განსაკუთრებულ შემთხვევას და განხილული უნდა იქნეს დაუყოვნებლივ. ამ შემთხვევებთან დაკავშირებული საჩივრების შესახებ უნდა ეცნობოს დაწესებულების დირექტორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს ან/და სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს 24 საათის განმავლობაში⁶³⁹.

პატიმრობის კოდექსის მიხედვით ბრალდებულს/მსჯავრდებულს ქვემოთ ჩამოთვლილი უფლებები აქვს: ჰქონდეს საცხოვრებელი სივრცე, საკვები, პირადი ჰიგიენის დასაცავი საშუალებები და პირობები, ტანსაცმელი, სამუშაო და უზრუნველყოფილი იყოს პირადი უსაფრთხოებით, სამედიცინო მომსახურებით; შეხვედეს ნათესავებს (ვიზიტები), ადვოკატს და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებს (უცხოელის შემთხვევაში). მას აქვს სატელეფონო საუბრებისა და მიმოწერის, ამანათებისა და ფულის მიღება-გაგზავნის, აგრეთვე უფასო იურიდიულ მომსახურებისა და სამართლებრივი კონსულტაციების მიღების უფლება.

ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს აგრეთვე: მიიღოს ზოგადი და პროფესიული განათლება; მონაწილეობა მიიღოს სპორტულ, კულტურულ, საგანმანათლებლო და რელიგიურ ღონისძიებებში; მიიღოს ინფორმაცია პრესისა და მასმედიის სხვა საშუალებებით, ხელი მიუწვდებოდეს მხატვრულ და სხვა სახის ლიტერატურაზე; ინდივიდუალურად დაკავდეს გარკვეული საქმიანობით და ჰქონდეს ამისთვის საჭირო ინვენტარი და პენიტენციური დაწესებულების დახმარებით გაყიდოს ინდივიდუალური საქმიანობის შედეგად დამზადებული ნივთი (ნაკეთობა); შეიტანოს თხოვნა და საჩივარი; სულ მცირე ერთი საათით იმყოფებოდეს სუფთა ჰაერზე (გასეირნების უფლება); დატოვოს პენიტენციური დაწესებულება მცირე დროით პირად გარემოებებთან დაკავშირებით; მონაწილეობა მიიღოს რელიგიურ რიტუალებში და შეხვედეს სასულიერო პირებს მინისტრის რეზოლუციით განსაზღვრული წესების მიხედვით; მონაწილეობა მიიღოს სარეაბილიტაციო პროგრამებში; გაყიდოს ინდივიდუალური საქმიანობის შედეგად დამზადებული ნივთი (ნაკეთობა) შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული წესების მიხედვით⁶⁴⁰.

პატიმრობის კოდექსის მიხედვით სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტი სისტემატურად ზედამხედველობს სამსახურის თანამშრომლების მიერ ადამიანის უფლებათა დაცვას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა შესრულებას⁶⁴¹.

უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდებულს ათავსებენ ისეთ დაწესებულებაში, სადაც არ არიან მსჯავრდებულები. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს შერეული ტიპის დაწესებულება, რომელშიც ბრალდებული

638. კანონი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ, მუხლი 19.

639. პატიმრობის კოდექსი, მუხლი 105-ე.

640. პატიმრობის კოდექსი, მუხლი მე-14.

641. პატიმრობის კოდექსი, მუხლი 31-ე;

იზოლირებული უნდა იყოს მსჯავრდებულისგან, სულ მცირე, განცალკევებული საცხოვრებელი სივრცით.⁶⁴² ერთსა და იმავე საქმეში ბრალდებული პირებიც ცალ-ცალკე უნდა განთავსდნენ⁶⁴³.

დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებული პირების წამებისა და სასტიკი მოპყრობისგან დაცვის გარანტიები მოცემულია შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებაში (N423, 02/08/2016, გამოქვეყნებულია ვებგვერდზე: 03/08/2016, ბოლო ცვლილება: 26/02/2018)⁶⁴⁴. პირის დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსებამდე ის გადის თავდაპირველ სამედიცინო შემოწმებას. შემოწმების დროს მას სამედიცინო პერსონალი დაუსვამს შეკითხვებს ჯანმრთელობაზე და ეს ინფორმაცია დაფიქსირდება. ბრალდებულს ვიზუალურად შეამოწმებენ იმის დასადგენად, აქვს თუ არა დაზიანება სხეულზე. იმ შემთხვევაში, თუ ექიმს გაუჩნდება წამებისა და სასტიკი მოპყრობის ეჭვი, ის ატყობინებს ამის შესახებ იზოლატორის უფროსს, რომელიც, თავის მხრივ, საქართველოს პროკურატურასა და სამინისტროს გენერალურ ინსპექციას აცნობებს საქმის კურსში. თუ იზოლატორს არ გააჩნია სამედიცინო პუნქტი, ცვლის უფროსი იძახებს სასწრაფო დახმარების ბრიგადას იზოლატორში მოსათავსებელი პირის პირველადი სამედიცინო შემოწმების ჩასატარებლად. გარეგნული დათვალიერების ოქმი უნდა შეიცავდეს იზოლატორში განსათავსებელი პირის გარეგნული მდგომარეობის აღწერას, სხეულის დაზიანების ნიშნებს და ინფორმაციას, თუ სად, რა გარემოებებში და ვის მიერ იქნა დაზიანებები მიყენებული და აქვს თუ არა იზოლატორში განსათავსებელ პირს საჩივარი ვინმეზე. შემდეგ ოქმს ხელს აწერს მოცემული პირი. თუ ის ოქმზე ხელმოწერის წინააღმდეგია, იზოლატორის მოსამსახურემ ეს ინფორმაცია ოქმში უნდა შეიტანოს. თუ იზოლატორში განსათავსებელ პირს აქვს საჩივარი და/ან აღენიშნება ახლად მიღებული დაზიანებები სხეულზე, იზოლატორის უფროსი დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ პროკურატურასა და გენერალურ ინსპექციას. თუ პირის ჯანმრთელობა არ იძლევა მისი იზოლატორში განთავსების საშუალებას, ის უნდა გაიგზავნოს შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში.

იგივე ბრძანება განსაზღვრავს დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებული პირის სამართლებრივ სტატუსს⁶⁴⁵. მოთავსებული პირი უბრუნველყოფილი უნდა იყოს: სპეციალური საცხოვრებელით (საკნით), კვებით, პირადი ჰიგიენით, ტანსაცმლითა და პირადი უსაფრთხოებით; სამედიცინო მომსახურებით; მას უფლება აქვს, შეხვდეს ადვოკატს, დიპლომატიური წარმომადგენლობის, საკონსულო დაწესებულების და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს (უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის); უფლება აქვს, მიიღოს ამანათი, უფასო იურიდიული დახმარება და სამართლებრივი კონსულტაცია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; და არ განიცადოს იზოლატორის მოსამსახურეთა და სხვა მოთავსებულ პირთა მხრიდან დისკრიმინაცია.

დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებულ პირს აქვს სხვა უფლებებიც, კერძოდ, შეიტანოს განცხადება ან/და საჩივარი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; დაცული იქნეს სხვა მოთავსებულ პირთა მხრიდან ძალადობისა და შეურაცხყოფისაგან; შეინახოს და გამოიყენოს შინაგანაწესით გათვალისწინებული ნივთები; მისთვის გასაგები ფორმით და გასაგებ ენაზე მიიღოს ინფორმაცია უფლება-მოვალეობების შესახებ; საქართველოს სახელმწიფო ენის არცოდნის შემთხვევაში ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით. მოთავსებულ პირს აქვს იმის უფლება, რომ მას ჰუმანურად მოექცნენ. მის მიმართ გამოყენებული შეზღუდვები „არ უნდა იყოს იმაზე უფრო მკაცრი, რაც საჭიროა იზოლატორში მოთავსებული პირის მიერ საკუთარი თავის, გარშემომყოფთა და ქონების დაზიანების თავიდან აცილების,

642. პატიმრობის კოდექსი, მუხლი მე-9;

643. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 205-ე;

644. შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N423, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ, მუხლი მე-6;

645. შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N423, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ, მუხლი 23-ე.

იზოლატორში დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აღკვეთის, მოთავსებული პირის მიერ მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის, თავდასხმის მოგერიების, ჯგუფური დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღკვეთის, გაქცევის ან სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის ხელშემშლის მცდელობის თავიდან ასაცილებლად“. დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებულ პირს უნდა ჰქონდეს წვდომა ტელეფონზე, რათა ცხელ ხაზზე დაუკავშირდეს სამინისტროს გენერალურ ინსპექციას და/ან სახალხო დამცველის აპარატს. თუ ის ახორციელებს თავის უფლებას – ცხელ ხაზზე დაუკავშირდეს სამინისტროს გენერალურ ინსპექციას და/ან სახალხო დამცველის აპარატს, იზოლატორის მოსამსახურებმა უნდა დაიცვან მისი საუბრის კონფიდენციალურობა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 12 ივნისს მიიღო (N3708-III, 12/06/2015, გამოქვეყნებულია ვებგვერდზე, 24/06/2015, ბოლო ცვლილება: 05/07/2018), საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში მოჰყავს საერთაშორისო სტანდარტებთან არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის სფეროში. ის შეიცავს სპეციალურ ნორმებს არასრულწლოვანთა დაკავებისა და პატიმრობის შესახებ. კოდექსი კრძალავს არასრულწლოვნისთვის თავისუფლების აღკვეთას, თუკი კანონის მიზნის მიღწევა სხვა ნაკლებ მკაცრი ზომების გამოყენებით არის შესაძლებელი. არასრულწლოვნის დაკავება, დაპატიმრება და მისთვის თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ როგორც უკიდურესი ღონისძიება, რომელიც შეძლებისდაგვარად მოკლე ვადით და რეგულარული გადასინჯვის პირობით უნდა იქნეს გამოყენებული⁶⁴⁶.

არასრულწლოვნის დამკავებელი პირი, გამომძიებელი და პროკურორი მისი დაკავებისთანავე იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს არასრულწლოვნის მშობელს, ხოლო თუ ეს შეუძლებელია – სხვა ახლო ნათესავს ან/და არასრულწლოვნის მიერ მითითებულ სხვა პირს. არასრულწლოვნის დამკავებელმა პირმა, გამომძიებელმა და პროკურორმა არასრულწლოვნის სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე უნდა აცნობოს კანონიერ წარმომადგენელს არასრულწლოვნის დაკავების და მისი ადგილსამყოფელის შესახებ. მან უნდა განუმარტოს მას აგრეთვე დაკავების მიზეზი და დაკავებულის უფლებები⁶⁴⁷.

იზოლატორში დაკავებული არასრულწლოვნები უნდა განთავსდნენ სრულწლოვნებისგან განცალკევებით. არასრულწლოვანი გოგონები და ბიჭებიც ერთმანეთისგან განცალკევებით უნდა განთავსდნენ.⁶⁴⁸

არასრულწლოვნის დაკავებიდან შეძლებისდაგვარად მალე, მაგრამ არა უგვიანეს 48 საათისა, პროკურორი გამოძიების ადგილის მიხედვით მაგისტრატ მოსამართლეს წარუდგენს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ⁶⁴⁹.

ე) რა ზომებია გატარებული წამებისა და სხვა არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აღსაკვეთად ან სისხლის სამართლის საქმის აღსაძვრელად?

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველომ მოახდინა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ გაერო-ს კონვენციის რატიფიცირება (საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია, 1994 წლის 22 სექტემბერი) და წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური

646. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი მე-9;
 647. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 49-ე;
 648. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 51-ე;
 649. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 54-ე;

ოქმის რატიფიცირება (საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია, 2005 წლის 8 ივლისი). საქართველომ აღიარა აგრეთვე გაეროს მიერ 1975 წელს მიღებული წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენციით შექმნილი გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის უფლებამოსილებები (საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია, 2002 წლის 7 ივნისი). საქართველოს რატიფიცირებული აქვს წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენცია (საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია, 2000 წლის 3 მაისი) და მისი ფაკულტატური ოქმი (საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია, 2000 წლის 3 მაისი). ამ საერთაშორისო ინსტრუმენტების საფუძველზე სახელმწიფომ აიღო წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საწინააღმდეგო ეფექტიანი ღონისძიებების გატარების პასუხისმგებლობა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ წამება და არასათანადო მოპყრობა ექვემდებარება ბლანკეტურ აკრძალვას საქართველოს კანონმდებლობით და მისგან დაცვა აბსოლუტური უფლებაა.

საქართველოს კონსტიტუციის ძალით (№786, 24/08/1995, გამოქვეყნებულია საქართველოს პარლამენტის ოფიციალურ გაზეთში, 31-33, 24/08/1995, ბოლო ცვლილება: 23/03/2018) ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას სახელმწიფო იცავს. ადამიანის წამება, მის მიმართ არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა და არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება აკრძალულია⁶⁵⁰.

წამება და არაადამიანური მოპყრობა სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დანაშაულია (N2287, 22/07/1999, გამოქვეყნებულია საქართველოს მაცნეში 41(48), 13/08/1999, ბოლო ცვლილება: 30/11/2018).

სისხლის სამართლის კოდექსის 144¹-ე მუხლში წამება განსაზღვრულია, როგორც პირისათვის ან მისი ახლო ნათესავისთვის ან მასზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირისთვის ისეთი პირობების შექმნა ან მათდამი ისეთი მოპყრობა, რომელიც იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება, ანდა პირის დასჯა მისი ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის და რომელიც ისჯება 7-10 წლიანი პატიმრობით, ჯარიმით და იარაღის უფლების შეზღუდვით ან უამისოდ.

სისხლის სამართლის კოდექსის 144²-ე მუხლის მიხედვით იმ პირობების შექმნა ან მოპყრობისა თუ დასჯის მუქარა, რასაც 144¹-ე მუხლი ითვალისწინებს და რაც იმავე მიზნითაა განხორციელებული, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

კოდექსის 144³-ე მუხლის მიხედვით პირის დამცირება ან იძულება ან მისი ჩაყენება არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში, რის შედეგადაც მას ძლიერი ფიზიკური, ფსიქიკური ტკივილი ან მორალური ტანჯვა ადგება, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

აღსანიშნავია, რომ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შემთხვევებისთვის კანონი ითვალისწინებს რიგ დამამძიმებელ გარემოებებს, რაც უფრო მკაცრ სასჯელს ექვემდებარება, ზოგ შემთხვევაში კი – უვადო თავისუფლების აღკვეთასაც, მაგალითად: წამება სექსუალური სახის ძალადობის გამოყენებით. წამების შემთხვევებში ისევე, როგორც, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისას, სახელმწიფო მოხელის მიერ დანაშაულის ჩადენა უტოლდება დამამძიმებელ გარემოებას.

650. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი მე-9.

მოხელის მიერ (მათ შორის, სამართალდამცავების მიერ) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება⁶⁵¹ და უფლებამოსილების გადამეტება⁶⁵² დამოუკიდებელ დანაშაულად განიხილება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას შემდეგნაირად განმარტავს: „მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო სამსახურის მოთხოვნათა დარღვევით, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე“.

კოდექსის 333-ე მუხლი ითვალისწინებს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების შემდეგნაირ განმარტებას: „მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით, ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით, ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ვადით სამ წლამდე“.

ამის გარდა სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე თავში მოცემულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩამონათვალი. მათ შორისაა ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა, რასობრივი დისკრიმინაცია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირისთვის უფლებების შეზღუდვა, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობა, მიქველად ჩაგდება, წამება ან წამების მუქარა, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა, დანაშაულის პროვოცირება, უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში, განზრახ უკანონო დაკავება ან პატიმრობა, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უკანონო მოთავსება ან დაკავება და ა.შ.

მოსამართლე, რომელიც სისხლის სამართლის საქმეს განიხილავს, ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე ადგენს, აქვს თუ არა ბრალდებულს წარდგენილი საჩივარი ან შუამდგომლობა თავისი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით⁶⁵³.

დღეისათვის სამართალდამცველების მიერ ჩადენილი დანაშაულის, მათ შორის, წამებისა და არასათანადო მოპყრობის გამოძიება ექვემდებარება პროკურატურის საგამოძიებო იურისდიქციას. პროკურატურისა და საპროკურორო ზედამხედველობის წარმომადგენლების მიერ ჩადენილ დანაშაულებსაც პროკურატურა იძიებს, მაგრამ 2019 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევა „გენერალური ინსპექციის შესახებ“ კანონი (N3273-რს, 21/07/2018, გამოქვეყნებულია ვებგვერდზე, 09/08/2018, ბოლო ცვლილება: 30/11/2018), რომლის ძალით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო იურისდიქცია გავრცელდება: ა) სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე: 144¹-144³-ე (წამება, წამების მუქარა, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა), 332-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ძალადობის ან იარაღის გამოყენებით და მსხვერპლის ღირსების შელახვით და/ან 378-ე მუხლის მე-2 პუნქტი (პენიტენციური დაწესებულების საქმიანობისთვის ხელის შეშლა და/ან ამ საქმიანობის დეზორგანიზაცია), თუ ეს დანაშაულები ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ; ბ) სხვა

651. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 332-ე;

652. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 333-ე;

653. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 197.

დანაშაულებზე, რომლებიც ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, რომელმაც ადამიანის სიკვდილი გამოიწვია და რომლის ჩადენის დროს ეს პირი იმყოფებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორში ან პენიტენციურ დაწესებულებაში ანდა ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, აკრძალული ჰქონდა ადგილსამყოფლის დატოვება, ანდა აღნიშნული პირი სხვაგვარად იმყოფებოდა სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ⁶⁵⁴.

აქვე უნდა აღინიშნოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020 წლების ეროვნული სტრატეგია, რომლის მიზანია წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის გამჭვირვალე და დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარება. სტრატეგის დანარჩენ მიზნებს შორისაა:

- „ა) სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციას და წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების დროულ, სრულყოფილ და ეფექტიან გამოძიებას;
- ბ) წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ საბრძოლველად ეფექტიანი მექანიზმის ჩამოყალიბება, რომელიც სისტემურად მიუდგება პრობლემას;
- გ) ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება პენიტენციურ სისტემაში, სამართალდამცავი ორგანოებისა და სახელმწიფო მოხელეების/მოსამსახურეების მიერ განხორციელებული წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციის უზრუნველსაყოფად და ნებისმიერ გადაცდომაზე დროული, მიუკერძოებელი და სრულყოფილი რეაგირების განხორციელება;
- დ) წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციის ეფექტიანი მექანიზმების არსებობა;
- ე) საზოგადოების დროული და ეფექტიანი ინფორმირება წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების აკრძალვის, პრევენციისა და გამოძიების შესახებ“.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველომ მიზანმიმართული ნაბიჯები გადადგა წამებისა და არასათანადო მოპყრობის აღსაკვეთად, სახელდობრ:⁶⁵⁵

1. გაიზარდა მოსამართლის როლი წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლაში სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებით, რომელიც 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება, თუ პროცესის რომელიმე ეტაპზე მოსამართლეს ეჭვი გაუჩნდება, რომ ბრალდებული/მსჯავრდებული დაექვემდებარა წამებას, დამამცირებელ და/ან არაადამიანურ მოპყრობას, ან ბრალდებული/მსჯავრდებული ამგვარი მოპყრობის შესახებ მოსამართლეს შეატყობინებს, მოსამართლე მიმართავს შესაბამის საგამოძიებო უწყებას შემდგომი რეაგირებისთვის;
2. თუ პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული ბრალდებულის/მსჯავრდებულის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშ დადგა და/ან მოსამართლეს ეჭვი გაუჩნდა, რომ ბრალდებული/მსჯავრდებული დაექვემდებარა წამებას, დამამცირებელ და/ან არაადამიანურ მოპყრობას, მოსამართლე უფლებამოსილია, უბრძანოს სპეციალური პენიტენციური სამსახურის (იუსტიციის სამინისტროსთან არსებული ორგანო) უფროსს, მიიღოს სპეციალური ზომები ამ ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაცვის უზრუნველსაყოფად;
3. სახალხო დამცველს და მის მიერ უფლებამოსილი სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს უფლება მიენიჭათ, ფოტოზე აღბეჭდონ ბრალდებული/მსჯავრდებული და/ან მათი განთავსების

654. კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“, მუხლი მე-19.
655. საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისთვის) შესრულების ანგარიში: <http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/6971Report2016-2017.pdf>, გვ. 96-114

ადგილი, სეირნობის ადგილი, სამედიცინო პუნქტი, საერთო საშხაპეები და აბაზანები, შეხვედრის ოთახები ბრალდებულის/მსჯავრდებულის თანხმობით⁶⁵⁶;

4. სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვით ხანდაზმულობა არ გამოიყენება იმ დამნაშავეის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისას, რომელიც დადანაშაულებულია წამებაში, წამების მუქარაში და დამამცირებელ და არასათანადო მოპყრობაში;
5. დამცველზე ბრალდებულის/მსჯავრდებულის წვდომის და კლიენტი/დამცველის კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად შემუშავდა წესი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ დამცველის უფლების განსახორციელებლად. ამას გარდა, პატიმრობის კოდექსი და პენიტენციური დაწესებულებების დებულებები უზრუნველყოფენ ბრალდებულისა/მსჯავრდებულის ადვოკატთან შეხვედრის კონფიდენციალურობას⁶⁵⁷;
6. დროებითი მოთავსების იზოლატორში იმ პირებისთვის, რომლებიც ადმინისტრაციული წესით არიან დაკავებული, პატიმრობის და თავისუფლების აღკვეთის/ფსიქიატრულ დაწესებულებებში 2015 წლის ოქტომბერში გაიხსნა სამედიცინო დახმარების ცენტრი სამედიცინო პერსონალთან დროული წვდომის უზრუნველსაყოფად. ცენტრი მედიცინის მუშაკებს ხელშეკრულებით იღებს. თბილისისა და რეგიონულ დროებითი განთავსების იზოლატორებში სამედიცინო დახმარებას დაკავებულებს უწევს ადგილობრივი პერსონალი, ხოლო დანარჩენი იზოლატორები სასწრაფო დახმარების ბრიგადებს იძახებენ. პირი სამედიცინო შემოწმებას გადის იზოლატორში მოთავსებამდე, ხოლო იზოლატორში სამედიცინო მომსახურება უზრუნველყოფილია საჭიროების საფუძველზე და დაკავებული პირის თხოვნით ნებისმიერ დროს. იმ შემთხვევაში, როცა გარკვეული სამედიცინო მომსახურების გაწევა დაკავებული პირისთვის ადგილზე შეუძლებელია, ის დაუყოვნებლივ გადაჰყავთ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში ექიმის გადაწყვეტილების საფუძველზე. პენიტენციური სისტემის ჯანმრთელობის სტანდარტის მიხედვით სამედიცინო მომსახურება პენიტენციურ დაწესებულებებში ხელმისაწვდომია შეზღუდვის გარეშე –ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, შეუზღუდავად იურთიერთოს ექიმთან, თუკი ჩივილები აქვს. დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთავსებისთანავე ის კონსულტაციას გადის ექიმთან, მოწმდება გარეგნულად (დაზიანებები შეაქვთ ოქმში, არსებობის შემთხვევაში) და ანამნეზის საფუძველზე იგეგმება შემდგომი გამოკვლევა ან მკურნალობა;
7. შემუშავდა და მიღებული იქნა წამებისა და არასათანადო მოპყრობის დასაფიქსირებელი ფორმა სტამბოლის პროტოკოლის მიხედვით;
8. წამებისა და არასათანადო მოპყრობის დასაფიქსირებლად და აღსაკვეთად გადამზადდა სამედიცინო პერსონალი. ნებისმიერ დაწესებულებაში პერსონალს უკვე შეუძლია წამებისა და არასათანადო მოპყრობის შედეგად მიღებული დაზიანებების აღნუსხვა;
9. პენიტენციურ დაწესებულებებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში გაუმჯობესდა საკვების ხარისხი, სანიტარიული, ჰიგიენის დაცვისა და სხვა მატერიალური პირობები;
10. საკანონმდებლო დონეზე შეიქმნა დამოუკიდებელი მექანიზმი სამართალდამცავების მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიების მიზნით, რომელიც ძალაში 2019 წლის 1 იანვრიდან შევა.

ჩამოთვლილი ღონისძიებების პარალელურად ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018–2022 წლებისათვის განსაზღვრავს შემდეგ ამოცანებს: არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ

656. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება 126 (N123, 01/09/2016, გამოქვეყნებულია ვებგვერდზე, 02/09/2016, ბოლო ცვლილება: 14/12/2016) სახალხო დამცველისა სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ფოტოს გადაღების უფლებამოსილებების შესახებ პენიტენციურ დაწესებულებებში.

657. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება 126 (N 157, 02/11/2015, გამოქვეყნებულია ვებგვერდზე, 04/11/2015).

მიმართული სამართლებრივი, პროცედურული და ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება; წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების დაფიქსირება სტამბოლის ოქმის შესაბამისად; გამოძიების დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა; არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა დაცვის, კომპენსაციისა და რეაბილიტაციის ხელშეწყობა; სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება; იძულების ღონისძიებების გამოყენების პრინციპებისა და პროცედურების შემუშავება⁶⁵⁸.

სახალხო დამცველი ადამიანის უფლებების დაცვის გარანტორია. საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის მიხედვით სახალხო დამცველს პარლამენტი ირჩევს სრული შემადგენლობის უმრავლესობით ხუთი წლის ვადით. სახალხო დამცველი ზედამხედველობს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას მთელ ქვეყანაში.

სახალხო დამცველის სამსახური ასრულებს ასევე პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციას, რომელსაც ითვალისწინებს გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის კონვენციის ფაკულტატური ოქმი⁶⁵⁹.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის განხორციელების მიზნით სახალხო დამცველის აპარატთან უნდა შეიქმნას სპეციალური პრევენციული ჯგუფი, რომელიც „რეგულარულად ამოწმებს დაკავებულ, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაშემზღუდულ პირთა და მსჯავრდებულთა, აგრეთვე ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში მოთავსებულ პირთა მდგომარეობას და მათდამი მოპყრობას წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისაგან ან სასჯელისაგან დაცვის მიზნით“⁶⁶⁰.

109 წინასწარი პატიმრობის შემთხვევაში საშუალოდ რამდენ ხანს ეზღუდება ეჭვმიტანილ პირს თავისუფლება, სანამ უფლებამოსილი სასამართლო გადაწყვეტს მსჯავრდებულ პირის კანონიერ დაპატიმრებას? რა ვადაში იწყება სასამართლო განხილვა პირის კანონიერი დაკავებიდან?

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით (№786, 24/08/1995, გამოქვეყნების წყარო: საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31–33, 24/08/1995, კონსოლიდირებული ვერსია: 23/03/2018) ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში კანონით უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. ბრალდებულის პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს.⁶⁶¹

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (№1772, 09/10/2009, გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31, 03/11/2009, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018) მიხედვით დაკავების

658. იხილეთ სამოქმედო გეგმა: <http://myrights.gov.ge/ka/plan/Action%20Plan%202020?sphere=737&goal=>

659. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ (N230, 16/05/1996, გამოქვეყნებულია პარლამენტის გაზეთში, 13, 07/06/1996, ბოლო ცვლილება: 05/09/2018), მუხლი 3’.

660. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“, (N230, 16/05/1996, გამოქვეყნებულია პარლამენტის გაზეთში, 13, 07/06/1996, ბოლო ცვლილება: 05/09/2018), მუხლი 19’.

661. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი მე-18;

ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს. დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა დაკავებულს უნდა გადაეცეს ბრალდების შესახებ დადგენილება. თუ ამ ვადაში დაკავებულს დადგენილება არ გადაეცა, იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.⁶⁶² დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა პროკურორი გამოძიების ადგილის მიხედვით მაგისტრატ მოსამართლეს წარუდგენს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ. თუ ამ მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობა დაკავებიდან 48 საათში არ წარუდგინება მაგისტრატ მოსამართლეს, დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.⁶⁶³ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენიდან არა უგვიანეს 24 საათისა იმართება ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომა. აღნიშნულ სასამართლოზე მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას აღკვეთი ღონისძიების გამოყენების თაობაზე. თუ არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება პირის მიმართ პატიმრობის გამოყენების თაობაზე, იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდება.⁶⁶⁴ შესაბამისად დაკავებიდან 72-ე საათის განმავლობაში პირი აუცილებლად წარუდგინება სასამართლოს და ხდება დაკავებაზე სასამართლოს ზედამხედველობის განხორციელება.

როგორც დაკავების, ასევე აღკვეთი ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ხანგრძლივობა კანონმდებლობით ექვემდებარება მკაცრ შემღუღვევს. ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან. ბრალდებულის პატიმრობის ვადა აითვლება მისი დაკავების მომენტიდან, ხოლო თუ დაკავება არ მომხდარა — ამ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ სასამართლოს განჩინების აღსრულების მომენტიდან საქმის არსებითად განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე.

ბრალდებულის პატიმრობის ვადა წინასასამართლო სხდომამდე არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავებიდან 60 დღეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან.⁶⁶⁵ თუ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაა გამოყენებული, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე განაჩენის გამოტანამდე თავისი ინიციატივით პერიოდულად, ორ თვეში ერთხელ მაინც განიხილავს აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხს. ეს ორთვიანი ვადა აითვლება წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან.⁶⁶⁶

რაც შეეხება ინფორმაციას დაკავებიდან სასამართლოში წარდგენამდე საშუალო პერიოდს, მსგავსი სტატისტიკა არ წარმოებს.

110 მსჯავრდების შემდგომი პატიმრობა

როგორია პატიმართა საშუალო რაოდენობა საკნის ერთ კვადრატულ მეტრზე?
როგორია ციხის კონტიგენტის რაოდენობა?

662. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 174-ე;
 663. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 196-ე;
 664. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 197-ე;
 665. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 205-ე;
 666. სისხლის სამართლის საპროცესო, მუხლი 230¹-ე;

კანონმდებლობა⁶⁶⁷ განსაზღვრავს პატიმრებზე მინიმალურ ფართოს: მინიმუმ 4 კვადრატულ მეტრს მსჯავრდებულზე და მინიმუმ 3 კვადრატულ მეტრს ბრალდებულზე. პრაქტიკაში არ არსებობს დადგენილი საშუალო რაოდენობა, რადგან პატიმართა რაოდენობა თითო საკანში დამოკიდებულია დაწესებულების ტიპზე (დაბალი რისკის, მაღალი რისკის, ნახევრად ღია ტიპის დაწესებულება). ზოგიერთ პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრები განთავსებული არიან პრაქტიკულად სამართლო პატიმრობაში (თითო პატიმარი თითო საკანში მაღალი რისკის დაწესებულებებში) მაშინ, როდესაც სხვა ტიპის დაწესებულებებში თითო საკანში მათი რაოდენობა შეიძლება, იყოს 2-8.

პატიმართა საერთო რაოდენობა ამჟამინდელი მონაცემებით⁶⁶⁸ შეადგენს 9990-ს, მათ შორის - 1637 ბრალდებულს და 7985 მსჯავრდებულ პატიმარს (აქედან 320 ქალს, 48 არასრულწლოვანს, 572 უცხოელ/ მოქალაქეობის არმქონე პირს).

ქვემოთ მოცემული ცხრილი უჩვენებს პატიმართა განაწილებას პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსების ლიმიტების გათვალისწინებით⁶⁶⁹:

	პენიტენციური დაწესებულებები	ოფიციალური განთავსების ლიმიტები ⁶⁷⁰	კონტიგენტის რაოდენობა 31.08.2018-ის მონაცემებით	
1.	ქუთაისის N2-ე დაწესებულება	1068	1228	გადატვირთულია
2.	ბათუმის N3 დაწესებულება	92	54	
3.	ქალთა N5 დაწესებულება	867	304	
4.	N6 დაწესებულება	309	179	
5.	N7 დაწესებულება	29	9	
6.	N8 დაწესებულება	3170	2857	
7.	N9 დაწესებულება	72	37	
8.	არასრულწლოვანთა N 11 სარეაბილიტაციო დაწესებულება	106	25	
9.	N 12 დაწესებულება	335	266	
10.	გეგუთის N14 დაწესებულება	1362	974	
11.	ქსნის N 15 დაწესებულება	1388	1820	გადატვირთულია
12.	რუსთავის N 16 დაწესებულება	856	167	
13.	რუსთავის N 17 დაწესებულება	2000	1877	
14.	N 18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება	140	111	
15.	N 19 ტუბ-ით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება	698	82	
	ჯამში	12492	9990	

667. საქართველოს პატიმრობის კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N12, 24/03/2010, მე-15 მუხლი. საცხოვრებელი პირობები (15.2 და 15.3)

668. საქართველოს სასჯელაღსრულების სამინისტროს მიერ 2018 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით მოწოდებული სტატისტიკა, წერილი დათარიღებული 2018 წლის 26 სექტემბრით, N MOC 3 18 00885839

669. იქვე

670. დამტკიცებულია სასჯელაღსრულების მინისტრის N106 ბრძანებით (2015 წლის 27 აგვისტოს)

111 არსებობს ალტერნატიული სანქციების სისტემა ქვეყანაში? (რომელიც არ ითვალისწინებს პატიმრობას). როგორია საპატიმრო და არასაპატიმრო სასჯელების თანაფარდობა? აღკვეთის ღონისძიებებისა და პატიმრობის ალტერნატიული ღონისძიებები უკვე ხორციელდება თუ ამჟამად ვითარდება? თუ არსებობს, გთხოვთ, აღწეროთ ეს ღონისძიებები.

საქართველოს გააჩნია პრობაციისა და ალტერნატიული, არასაპატიმრო სანქციების სისტემა, რომლის აღსრულებას ახდენს იუსტიციის სამინისტროს (2018 წლის ივლისამდე, სასჯელაღსრულების სამინისტროს) პრობაციის ეროვნული სააგენტო.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით⁶⁷¹ ზრდასრული მსჯავრდებულებისთვის გათვალისწინებულია შემდეგი არასაპატიმრო სასჯელები: ჯარიმა, თანამდებობის დაკავებისა ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, შინაპატიმრობა და ქონების ჩამორთმევა. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, შინაპატიმრობა, ჯარიმა და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება, პირს შეეფარდოს, როგორც ძირითადი, ასევე – დამატებითი სასჯელის სახით. ქონების ჩამორთმევა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ როგორც დამატებითი სასჯელი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი⁶⁷² ითვალისწინებს შემდეგ არასაპატიმრო სასჯელებს არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის: ა) ჯარიმა; ბ) შინაპატიმრობა; გ) საქმიანობის განხორციელების უფლების ჩამორთმევა; დ) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. ჯარიმა, საქმიანობის განხორციელების უფლების ჩამორთმევა, შინაპატიმრობა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება, პირს შეეფარდოს, როგორც ძირითადი, ასევე – დამატებითი სასჯელის სახით. მხოლოდ ერთი დამატებითი სასჯელის დაკისრება შეიძლება ძირითად სასჯელთან ერთად.

ჯარიმა წარმოადგენს ფულად გადასახდელს⁶⁷³. ჯარიმის მინიმალური ოდენობაა 2000 ლარი. თუ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამისი მუხლის სანქცია სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით, ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები. ჯარიმის ოდენობას სასამართლო ადგენს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც განისაზღვრება მისი ქონებით, შემოსავლით და სხვა გარემოებით.

თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა⁶⁷⁴ ნიშნავს იმას, რომ მსჯავრდებულს ეკრძალება, ეკავოს დანიშნითი თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ანდა ეწეოდეს პროფესიულ ან სხვაგვარ საქმიანობას. ეს სანქცია ძირითად სასჯელად ენიშნება ერთიდან ხუთ წლამდე ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად — ექვსი თვიდან სამ წლამდე ვადით.

აღნიშნული სანქციის დამატებით სასჯელად დანიშნა შეიძლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელად არაა გათვალისწინებული ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით,

671. მუხლი 40-ე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, N2287, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 41(48), მიღებულია 22/07/1999, გამოქვეყნებულია 13/08/1999, ბოლო ცვლილება 21/07/2018

672. 66-ე მუხლი, საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, N 3708-III, მიღების თარიღი: 12/06/2015, გამოქვეყნდა 24/06/2015, ბოლო ცვლილება on 05/07/2018. URL: <https://matsne.gov.ge/en/document/view/2877281?publication=11>

673. 42-ე მუხლი, იქვე

674. 43-ე მუხლი, იქვე

თუ დანაშაულის საშიშროების ხასიათის, ხარისხისა და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევა, შეუნარჩუნოს მას თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლება. არასრულწლოვანს საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ენიშნება 1-დან 3 წლამდე ვადით⁶⁷⁵.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა⁶⁷⁶ ნიშნავს მსჯავრდებულის უსასყიდლო შრომას, რომლის სახეს განსაზღვრავს პრობაციის ბიურო. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ინიშნება ორმოციდან რვაას საათამდე ვადით, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ზოგიერთ შემთხვევაში – უფრო მეტი ვადით. ყოველდღიურად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს რვა საათს. თუ მსჯავრდებულის უარს განაცხადებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაზე ან განზრახ თავს აარიდებს მას, ეს სასჯელი შეიცვლება ჯარიმით, შინაპატიმრობით ან თავისუფლების აღკვეთით. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ დაენიშნება პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი, საპენსიო ასაკის პირს, აგრეთვე გაწვეულ სამხედრო მოსამსახურეს. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა დამატებით სასჯელად შეიძლება, დაინიშნოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით სასჯელის სახით გათვალისწინებული არ არის.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 71-ე მუხლი ითვალისწინებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენებას არასრულწლოვანთა მიმართ. არასრულწლოვანს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ენიშნება 40-დან 300 საათამდე ვადით. ყოველდღიურად ასეთი შრომის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს. თავისუფლების აღკვეთის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის ან მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების არსებობის შემთხვევაში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება, უფრო მეტი ვადითაც დაინიშნოს. დამატებით სასჯელად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება, უფრო ნაკლები ვადითაც დაინიშნოს. არასრულწლოვანს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ისე უნდა დაენიშნოს, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნისას სასურველია, არასრულწლოვანი მსჯავრდებული სამუშაოდ ისეთ ადგილზე გამწესდეს, სადაც იგი საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებისათვის საჭირო გამოცდილებასა და უნარებს შეიძენს.

არასრულწლოვანს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა დამატებით სასჯელად შეიძლება, დაენიშნოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით სასჯელის სახედ გათვალისწინებული არ არის.

გამასწორებელი სამუშაო⁶⁷⁷ ინიშნება ერთი თვიდან ორ წლამდე ვადით და მოხდელი უნდა იქნეს მსჯავრდებულის სამუშაო ადგილზე. გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნისას მსჯავრდებულის ხელფასიდან სახელმწიფოს შემოსავალში დაიქვითება თანხა განაჩენით დადგენილი ოდენობით არანაკლებ ხუთისა და არა უმეტეს ოცი პროცენტისა. თუ მსჯავრდებულის განზრახ თავს აარიდებს გამასწორებელ სამუშაოს, ეს სასჯელი შეიცვლება შინაპატიმრობით ან თავისუფლების აღკვეთით.

შინაპატიმრობა⁶⁷⁸ შინაპატიმრობა ნიშნავს მსჯავრდებულისათვის დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრებას. შინაპატიმრობა ენიშნება ნასამართლობის არმქონე პირს ექვსი თვიდან ორ წლამდე ვადით. თავისუფლების აღკვეთის, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, გამასწორებელი სამუშაოს ან ჯარიმის შინაპატიმრობით

675. მუხლი 70-ე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი

676. გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლით

677. მუხლი 45-ე, იქვე

678. გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 471-ე;

შეცვლის შემთხვევაში იგი შეიძლება, დაინიშნოს ექვს თვეზე მცირე და ორ წელზე მეტი ვადითაც. თუ მსჯავრდებული განზრახ თავს აარიდებს შინაპატიმრობას, ეს სასჯელი შეიცვლება თავისუფლების აღკვეთით — განაჩენით დანიშნული შინაპატიმრობის ვადით. ამასთანავე, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება თავისუფლების აღკვეთის ვადაში შემდეგი გაანგარიშებით: შინაპატიმრობის ერთი დღე — თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე.

შინაპატიმრობა, როგორც წესი, აღსრულდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით. ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

შინაპატიმრობა არ დაენიშნება გაწვეულ სამხედრო მოსამსახურესა და ოჯახური დანაშაულის ჩამდენ პირს. შინაპატიმრობის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულს ეკრძალება საქართველოს საზღვრის გადაკვეთა.

არასრულწლოვანს შინაპატიმრობა ენიშნება 6 თვიდან 1 წლამდე ვადით⁶⁷⁹ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. არასრულწლოვანს შინაპატიმრობა ისე უნდა დაენიშნოს, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს. შინაპატიმრობა, როგორც წესი, აღსრულდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით. ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პრობაციის ეროვნული სააგენტო.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლი და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 74-ე მუხლი ითვალისწინებს პირობითი მსჯავრის გამოყენებას, შესაბამისად, ზრდასრული და არასრულწლოვანი მსჯავრდებულების მიმართ.

სასამართლო უფლებამოსილია, დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება; თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განზრახი ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებელი დანაშაული და იგი აღიარებს დანაშაულს ან/და თანამშრომლობს გამოძიებასთან და თუ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა განსაკუთრებით მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის; თუ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა ორი ან მეტი განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის. პირობითი მსჯავრის დროს შეიძლება, დაინიშნოს დამატებითი სასჯელი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი პირობით მსჯავრად ჩაითვალოს, თუ არასრულწლოვანმა, რომელიც განზრახი დანაშაულისათვის მსჯავრდებული არ ყოფილა, ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა.

პირობითი მსჯავრის დროს⁶⁸⁰, თუ არსებობს საამისო საფუძველი, სასამართლოს შეუძლია, დააკისროს მსჯავრდებულს განსაზღვრული მოვალეობის შესრულება: პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი, არ დაამყაროს ურთიერთობა იმასთან, ვინც შეიძლება, იგი ჩააბას ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში, არ მოინახულოს განსაზღვრული ადგილი, მატერიალურად დაეხმაროს ოჯახს, გაიაროს ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ტოქსიკომანიის ან ვენერიული სენის მკურნალობის კურსი, ხოლო თუ მსჯავრდებული ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირია – ასევე ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსი. სასამართლოს შეუძლია, დააკისროს მსჯავრდებულს სხვა მოვალეობაც, რომელიც ხელს შეუწყობს მის გამოსწორებას.

679. მუხლი 69-ე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი;

680. სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლი;

ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას სასამართლო უფლებამოსილია, განაჩენით დაადგინოს სასჯელის ნაწილის მოხდა, ხოლო დანარჩენი ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა, თუ ბრალდებული (მსჯავრდებული) აღიარებს დანაშაულს (თუ პირს არ წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე), ასახელებს დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეებს და თანამშრომლობს გამოძიებასთან. საპროცესო შეთანხმების დადების გარდა, თუ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, პირობით მსჯავრად შეიძლება, ჩაითვალოს დანიშნული სასჯელის ერთი მეოთხედი, მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში — სასჯელის ერთი მესამედი, ხოლო ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში — სასჯელის ნახევარი⁶⁸¹.

ასევე, როცა მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება⁶⁸², სასამართლო უფლებამოსილია, დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მსჯავრდებულმა ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე ან განზრახ მძიმე დანაშაული, ან მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევი იყო განსაკუთრებით მძიმე ან განზრახ მძიმე დანაშაულისათვის ან ორი განზრახი დანაშაულისათვის.

პირობითი მსჯავრის ზემოთ აღწერილ გარემოებებში გამოყენების შემთხვევაში (სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილითა და 63-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას) სასამართლო ადგენს გამოსაცდელ ვადას, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებულმა არ უნდა ჩაიდინოს ახალი დანაშაული და უნდა შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობა. გამოსაცდელი ვადა თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სახის სასჯელის დანიშვნისას უნდა იყოს არანაკლებ ერთი და არაუმეტეს სამი წლისა, თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას — არანაკლებ ერთი და არაუმეტეს ექვსი წლისა, ხოლო დანაშაულთა ერთობლიობის ან განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელთა შეკრების შედეგად საბოლოო სასჯელის დანიშვნისას — არანაკლებ ორი და არაუმეტეს ექვსი წლისა.

საპატიმრო სასჯელებისა და ალტერნატიული სანქციების თანაფარდობა (სტატისტიკა⁶⁸³ 2018 წლის 7 თვის მდგომარეობით):

- თავისუფლების აღკვეთა — 2010 საქმე (ყველა დაკისრებული სასჯელის 24.3%) — 2328 პირი (ყველა მსჯავრდებულის 25.2%);
- პირობითი მსჯავრი — 4146 საქმე (50.2%) — 4565 პირი (49,5%);
- ჯარიმა — 1598 საქმე (19.4%) — 1812 პირი (19.6%);
- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა — 478 საქმე (5.8%), 495 პირი (5.4%);
- სხვა — 0.3%.

საქართველოს კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს სასჯელისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებას. სისხლის სამართლის კოდექსი⁶⁸⁴ ითვალისწინებს, რომ პირი, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა ან შინაპატიმრობა, შეიძლება, პირობით ვადამდე გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისაგან, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა, ხოლო პირი, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, გარდა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულისა, შეიძლება, პირობით ვადამდე გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისაგან, თუ საქართველოს

681. სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილი;

682. 63-ე მუხლი, იქვე;

683. საქართველოს უზენაესი სასამართლო, სისხლის სამართლის საქმეების მიმოხილვის სტატისტიკური მონაცემები, URL: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2018w-statistic-3.pdf>

684. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლი;

იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა. ამასთანავე, იგი შეიძლება, მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულების პირობით ვადამდე გათავისუფლების საქმეებს განიხილავს ცალკე ადგილობრივი საბჭო. მსჯავრდებულის არასრულწლოვანის პირობით ვადამდე გათავისუფლებამდე არა უგვიანეს სამი თვისა პენიტენციური სამსახური აცნობებს პრობაციის ეროვნულ სააგენტოს მისი შესაძლო გათავისუფლების შესახებ. პრობაციის ეროვნული სააგენტო შეისწავლის არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ოჯახურ მდგომარეობას და საცხოვრებელ პირობებს, რომლებმაც შეიძლება, გავლენა მოახდინოს პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებაზე. შესწავლის შედეგებს პრობაციის ეროვნული სააგენტო უგზავნის პენიტენციურ სამსახურს⁶⁸⁵.

პირობით ვადამდე გათავისუფლებისას და შესაბამისი საფუძვლების არსებობისას სასამართლომ შეიძლება, მსჯავრდებულს დააკისროს გარკვეული მოვალეობების შესრულება, როგორც ეს გათვალისწინებულია კოდექსის 65-ე მუხლით, რომელსაც ის მოიხდის ძირითადი სასჯელის მოხდის პერიოდში. ეს მოვალეობები/პირობით ვადამდე გათავისუფლების პირობები მოიცავს: პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი, არ დაამყაროს ურთიერთობა იმასთან, ვინც შეიძლება იგი ჩააბას ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში, არ მოინახულოს განსაზღვრული ადგილი, მატერიალურად დაეხმაროს ოჯახს, გაიაროს ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ტოქსიკომანიის ან ვენერიული სენის მკურნალობის კურსი, ხოლო თუ მსჯავრდებულის ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირია – ასევე ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსი. სასამართლოს შეუძლია, დააკისროს მსჯავრდებულს სხვა მოვალეობაც, რომელიც ხელს შეუწყობს მის გამოსწორებას. მსჯავრდებულის მიერ ფაქტობრივად მოხდილი თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა იყოს ექვს თვეზე ნაკლები.

თუ მსჯავრდებულმა, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა, ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცი წელი, სასამართლო უფლებამოსილია, იგი პირობით გაათავისუფლოს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ამ კოდექსის 64-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამოსაცდელი ვადით. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს დანაშაულის ხასიათის, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევის, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტის, სასამართლობის, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის, ოჯახური პირობებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით⁶⁸⁶.

კანონმდებლობა ასევე იძლევა საპატიმრო სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესაძლებლობას. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოს შეუძლია, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის დროს მისი ყოფაქცევის გათვალისწინებით შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სახის სასჯელით. ამასთანავე, იგი შეიძლება, მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის (გარდა ქონების ჩამორთმევისა) მოხდისაგან. სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეიძლება, შეიცვალოს მხოლოდ მაშინ, თუ მსჯავრდებულმა ფაქტობრივად მოიხადა დანიშნული სასჯელის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების

685. მუხლი 95-ე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი;

686. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 72-ე;

– სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივ საბჭოს შეუძლია მსჯავრდებულს, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, გარდა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულისა, სასჯელის მოხდის დროს მისივე თანხმობით შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივ საბჭოს შეუძლია, მსჯავრდებულს, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, გარდა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულისა, მისივე თანხმობით შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი შინაპატიმრობით

კანონმდებლობა⁶⁸⁷ ასევე ითვალისწინებს მსჯავრდებულის ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობას ავადმყოფობის ან ხანდაზმული ასაკის გამო. სასამართლო უფლებამოსილია სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს მსჯავრდებული, თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა შეუსაბამოა სასჯელის მოხდასთან და, ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მსჯავრდებულის გამოჯანმრთელება ან/და ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესება მოსალოდნელი არ არის.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისია უფლებამოსილია, სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებული, თუ მას აქვს დაავადება ან დაავადებათა ერთობლიობა და მკურნალობის ფონზე მისი ძირითადი სასიცოცხლო მაჩვენებლების შენარჩუნება გართულებულია, ამასთანავე, ექიმთა კონსილიუმის მიერ კონსენსუსის საფუძველზე განსაზღვრული ლეტალურობის პროგნოზი მაღალია. სასამართლო უფლებამოსილია, სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს სასჯელის მოხდის პერიოდში ხანდაზმულობის ასაკს მიღწეული პირი (ქალი — 65 წლიდან, მამაკაცი — 70 წლიდან), თუ მას სასჯელის სახით დანიშნული არ აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა და მოხდელი აქვს სასჯელის არანაკლებ ნახევარი.

კანონმდებლობა ითვალისწინებს სასჯელის მოხდის გადავადებას ორსული ქალებისთვის. სისხლის სამართლის კოდექსის 75-ე მუხლის მიხედვით სასამართლოს შეუძლია, გადაუვადოს სასჯელის მოხდა ორსულ ქალს მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე. თუ მსჯავრდებული უარს იტყვის შვილზე ან თავს აარიდებს შვილის აღზრდას მას შემდეგ, რაც იგი გააფრთხილა პრობაციის ბიურომ, სასამართლოს შეუძლია, ამ ორგანოს წარდგინებით გააუქმოს სასჯელის მოხდის გადავადება და მსჯავრდებული სასჯელის მოსახდელად გაგზავნოს განაჩენით დანიშნულ ადგილას.

ოდესაც შვილი 1 წლის ასაკს მიაღწევს, სასამართლო გაათავისუფლებს მსჯავრდებულს სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოხდისაგან ან სასჯელის მოუხდელ ნაწილს შეუცვლის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით ანდა მიიღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულის სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად შესაბამის დაწესებულებაში დაბრუნების შესახებ.

კანონმდებლობის მიხედვით⁶⁸⁸ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო (მოკლედ, პრობაციის ეროვნული სააგენტო), იუსტიციის სამინისტროს იურისდიქციაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, პასუხისმგებელია იმ მსჯავრდებულთა ზედამხედველობაზე, რომელთაც შეფარდებული აქვთ არასაპატიმრო სასჯელები (გარდა ჯარიმისა და სამხედრო პირის სამსახურებრივი

687. სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე მუხლი;

688. კანონი არასაპატიმრო სასჯელებისა და პრობაციის აღსრულების პროცედურების შესახებ, N 4956, მიღებულია 19/06/2007, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე N24 (02/07/2007), ბოლო ცვლილება 11/07/2018

შეზღუდვისა), პრობაცია ან გათავისუფლებული არიან პირობით ვადამდე ან სხვა ღონისძიებები მისი ტერიტორიული ორგანოების — პრობაციის ბიუროების მეშვეობით.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტატისტიკური მონაცემებით⁶⁸⁹ 2018 წლის სექტემბერში 21203 მსჯავრდებული იყო აღრიცხვაზე, მათ შორის 20,651 პრობაციაზე (პრობაციონერები) და 552 ალტერნატიული, არასაპატიმრო სასჯელშეფარდებული პირი (მათ შორის 1287 ქალი და 85 არასრულწლოვანი).

552 პირი, რომელიც ალტერნატიულ სასჯელს იხდიდა ძირითადი სასჯელის სახით, მოიცავდა 220 პირობით ვადამდე გათავისუფლებულს, 13 პირს, რომელსაც სასჯელი მოხდა გადაუვადეს, 104 პირს, რომელსაც ჩამორთმეული ჰქონდა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლება და 215 საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაშეფარდებულ პირს. ამასთანავე, 830 პირი იხდიდა დამატებითი სასჯელის სახით ალტერნატიულ სანქციებს (მათ შორის 329 – თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და 501 – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით).

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული და გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლი კოდექსით, იუსტიციის სამინისტროს პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭო არის კვანძისასამართლო ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია პატიმართა ვადამდე გათავისუფლების შესახებ (მათ შორის, პირობით ვადამდე) და ასევე სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაზე.

პატიმრობის, როგორც აღკვეთი ღონისძიების, ალტერნატიული სასჯელები კანონმდებლობის⁶⁹⁰ მიხედვით მოიცავს შემდეგს: გირაო, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა.

აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად ბრალდებულის მიმართ შეიძლება, აგრეთვე გამოყენებულ იქნეს: ვალდებულება, დანიშნულ დროს ან გამოძახებისთანავე გამოცხადდეს სასამართლოში; გარკვეული საქმიანობის ან პროფესიის განხორციელების აკრძალვა; სასამართლოში, პოლიციასა ან სხვა სახელმწიფო ორგანოში ყოველდღიურად ან სხვა პერიოდულად გამოცხადებისა და ანგარიშგების ვალდებულება; სასამართლოს მიერ დანიშნული უწყების ზედამხედველობა; ელექტრონული მონიტორინგი; ვალდებულება გარკვეულ ადგილას ყოფნისა გარკვეულ საათებში ან უამისოდ; გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის ან მასში შეღწევის აკრძალვა; სპეციალური ნებართვის გარეშე გარკვეულ პირებთან შეხვედრის აკრძალვა; პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულება; სასამართლოს მიერ განსაზღვრული ნებისმიერი სხვა ღონისძიება, რომელიც აუცილებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების მისაღწევად.

112 როცა უზენაესი სასამართლოდან საქმე ქვედა ინსტანციის სასამართლოში ბრუნდება ხელახალი განხილვისთვის, ვალდებულია თუ არა ქვედა ინსტანციის სასამართლო, დაიცვას უზენაესი სასამართლოს პოზიცია იმ სამართლებრივ საკითხებზე, რომლებიც უზენაესმა სასამართლომ განიხილა? ხშირად ხომ არ ხდება, რომ ერთი და იგივე საქმე უზენაესი სასამართლოდან რამდენჯერმე ბრუნდება? თუ – კი, ფიქრობთ თუ არა, რომ ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს?

689. სტატისტიკური მონაცემები, პრობაციის ეროვნული სააგენტო, 2018 წლის სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <http://probation.moc.gov.ge/eng/main/index/1167>

690. 199-ე მუხლი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, N 1772, მიღებულია 09/10/2009, გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში 31, 03/11/2009, უკანასკნელი ცვლილებები 21/09/2018

„საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის (N2257, 04/12/2009, გამოქვეყნებულია საკანონმდებლო მაცნეში, 41, 08/12/2009, ბოლო ცვლილება: 30/11/2018) მიხედვით უზენაესი სასამართლო საქართველოს მასშტაბით უზენაესი მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის სასამართლოა⁶⁹¹.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს დაბალი ინსტანციის სასამართლოში ხელახალი განხილვისთვის საქმის დაბრუნების მექანიზმს სისხლის სამართლის საქმეებში. როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს (№1772, 09/10/2009, გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში, 31, 03/11/2009, ბოლო ცვლილება: 30/11/2018), საქართველოს უზენაესი სასამართლო განაჩენით იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას: „ა) აუქმებს სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამართლებელ განაჩენს; ბ) აუქმებს სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს; გ) ცვლილება შეაქვს სააპელაციო სასამართლოს განაჩენში; დ) უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს განაჩენს და უარს ამბობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე. საკასაციო სასამართლოს განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება⁶⁹².

რაც შეეხება სამოქალაქო საქმეებს, როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (N786, 26/06/1997, გამოქვეყნებულია საპარლამენტო გაზეთში 31, 24/07/1997, ბოლო ცვლილება: 30/11/2018) ითვალისწინებს, საკასაციო სასამართლო აუქმებს განაჩენს და აბრუნებს საქმეს განსახილველად სააპელაციო სასამართლოში იმ შემთხვევაში, თუ: ა) საქმის გარემოებები დადგინდა პროცედურული წესების დარღვევით, რამაც არასწორი გადაწყვეტილება განაპირობა საქმეზე და დამატებით ითხოვს ფაქტების გამოკვლევას; ბ) არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები, მაგალითად: საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ; სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით, ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის მართლზომიერებას; გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება; გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები; გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია; გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც ადრე მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში; საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი.

ზემოთ ჩამოთვლილ საქმეებში საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეყრდნობა სამართლებრივ შეფასებას, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსთვის. საქმე ხელახალი განხილვისთვის შეიძლება, დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას⁶⁹³.

რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს მიერ საქმის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნებას ადმინისტრაციული საქმისწარმოების დროს, ეს რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, რომლის მოქმედი ნორმებიც ზემოთ განვიხილეთ.

იმ სამოქალაქო ან ადმინისტრაციული საქმეების რაოდენობა, რომელთა დაბრუნება შეიძლება ქვედა ინსტანციის სასამართლოში ხელახალი განხილვისთვის, განსაზღვრული არ არის. თუმცა უზენაესი სასამართლოს სულ 27 საქმე აქვს დაბრუნებული სააპელაციოში და მათგან უკანასკნელი – 2013 წელს.

691. კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, მუხლი მე-14;

692. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 307-ე;

693. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 412-ე;

ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით კი გადაწყვეტილება საქმის დაბრუნებაზე უფრო ხშირად მიიღება. კერძოდ, უზენაესი სასამართლოს მონაცემების მიხედვით ქვედა ინსტანციის სასამართლოში ხელახალი განხილვისთვის 1174 საქმე დაბრუნდა.

სამართლიანი სასამართლოს უფლება

113 როგორ რეგულირდება სამართლიანი სასამართლოს უფლება კანონმდებლობით?

საქართველოს კონსტიტუციის (№786, 24/08/1995, გამოქვეყნების წყარო: საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995, კონსოლიდირებული ვერსია: 23/03/2018) მიხედვით განსაზღვრულია, რომ: 1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს; 2. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე; 3. დაცვის უფლება გარანტირებულია; 4. არავის შეიძლება, განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის; 5. არავინ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს; 6. ბრალდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს; 7. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს; 8. არავინ არის ვალდებული, მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით; 9. ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისი სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.⁶⁹⁴

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, თავის მხრივ, შეიცავს სამართლიანი სასამართლოს ძირითად პრინციპებს, კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (№1772, 09/10/2009, გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31, 03/11/2009, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018) განსაზღვრავს, რომ პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. არავინ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. ბრალმდებელს უფლება აქვს, უარი თქვას ბრალდებაზე. მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ.⁶⁹⁵

ამავე კოდექსით განსაზღვრულია, რომ ბრალდებულს (მსჯავრდებულს, გამართლებულს) აქვს სამართლიანი პროცესის უფლება. ბრალდებულს აქვს უფლება სწრაფი მართლმსაჯულებისა ამ კოდექსით დადგენილ ვადებში. პირს უფლება აქვს, უარი განაცხადოს ამ უფლებაზე, თუ ეს აუცილებელია დაცვის სათანადოდ მომზადებისათვის. სასამართლო ვალდებულია, პრიორიტეტულად განიხილოს სისხლის სამართლის ის საქმე, რომელშიც ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა.⁶⁹⁶

694. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 42-ე;

695. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი მე-5;

696. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი მე-8;

სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შევიბრებითობის საფუძველზე. მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება.⁶⁹⁷

სსსკ-ის მიხედვით პირის ბრალდება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა. სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, რა დროსაც ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესებით.⁶⁹⁸

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა განამტკიცებს ბრალდებულის უფლებას, რომ დაკავების მომენტში ან, თუ დაკავება არ ხდება, ბრალდებულად ცნობისთანავე, ბრალდებულს დაუყოვნებლივ, ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ მისთვის გასაგებ ენაზე ეცნობოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელი დანაშაულის ჩადენაში არსებობს მის მიმართ დასაბუთებული ვარაუდი. ბრალდებულად ცნობისთანავე, დაუყოვნებლივ, ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ ბრალდებულს უნდა ეცნობოს, რომ მას აქვს უფლება ადვოკატზე, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება, უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული, რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია, მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული და უფლება, დაპატიმრებისას, ხოლო დაკავებისას — მისი მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამის დაწესებულებაში მიყვანისთანავე მიიღოს უფასო სამედიცინო შემოწმება. ბრალდებულს შეუძლია, ნებისმიერ დროს გამოიყენოს დუმილის უფლება. თუ ბრალდებული ირჩევს დუმილის უფლებას, ეს არ შეიძლება, შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად. ბრალდებულს აქვს ადვოკატის არჩევისა და ყოლის, ასევე მის მიერ არჩეული ადვოკატის ნებისმიერ დროს შეცვლის უფლება, ხოლო თუ ის უქონელია, უფლება, დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. ბრალდებულს უნდა ჰქონდეს გონივრული დრო და საშუალება დაცვის მომზადებისათვის. ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობა კონფიდენციალურია. აკრძალულია ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობაზე ისეთი შეზღუდვების დაწესება, რომლებიც ხელს შეუშლის დაცვის სათანადოდ განხორციელებას. ბრალდებულს უფლება აქვს, უარი თქვას ადვოკატის მომსახურებაზე და დამოუკიდებლად დაიცვას თავი, რისთვისაც მას უნდა მიეცეს საკმარისი დრო და საშუალება. ბრალდებულს არ შეუძლია, უარი თქვას ადვოკატის მომსახურებაზე, თუ არსებობს ამ კოდექსით დადგენილი სავალდებულო დაცვის შემთხვევა. ბრალდებულს უფლება აქვს: დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება, კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულება ამ კოდექსით დადგენილი წესით; მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და გამოითხოვოს მტკიცებულება, რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად; მონაწილეობა მიიღოს მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში; მოითხოვოს ადვოკატის დასწრება მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების დროს. ბრალდებულს უფლება აქვს, დაკითხვის და სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე, თუ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა ან აქვს ისეთი ფიზიკური ნაკლი, რომელიც თარჯიმნის გარეშე მასთან კომუნიკაციას გამორიცხავს. ბრალდებულს უფლება აქვს: მონაწილეობა მიიღოს მისი ბრალდების საქმის გამოძიებაში, ასევე უშუალოდ ან დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით – სასამართლო განხილვაში; დააყენოს შუამდგომლობა და განაცხადოს აცილება; დაცვის მხარის მტკიცებულება გამოიკვლიოს იმავე პირობებში, როგორშიც ბრალდების მხარის მტკიცებულების გამოკვლევა ხდება; გაეცნოს მხარის მიერ შეტანილ საჩივარს და მასზე გამოთქვას მოსაზრება; გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმს და მასზე გამოთქვას შენიშვნა.⁶⁹⁹

697. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი მე-9;

698. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი მე-16;

699. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 38-ე;

სამართლიანი სასამართლოს უფლება ასევე ვრცელდება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა.⁷⁰⁰ მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე.⁷⁰¹

“საერთო სასამართლოების შესახებ” კანონის (N2257, 04/12/2009, გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 41, 08/12/2009, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018) მიხედვით მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. არავის აქვს უფლება, მოსამართლეს მოსთხოვოს ანგარიში ან მიუთითოს, როგორი გადაწყვეტილება მიიღოს კონკრეტულ საქმეზე. მოსამართლის ჩამოცილება საქმეთა განხილვისაგან, მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დაუშვებელია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.⁷⁰²

114 როგორ არეგულირებს ადგილობრივი საკანონმდებლო ჩარჩო იურიდიული დახმარების ეფექტური ხელმისაწვდომობის საკითხს? როგორია გაწეული სერვისის მასშტაბი და რესურსი?

საქართველოს კონსტიტუციის (N786, 24/08/1995, გამოქვეყნების წყარო: საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995, კონსოლიდირებული ვერსია: 23/03/2018) 42-ე მუხლი, რომელიც ეხება სამართლიანი სასამართლოს უფლებას, განმარტავს, რომ დაცვის უფლება გარანტირებულია. საქართველოს კონსტიტუცია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს დაკავებულ თუ დაპატიმრებულ პირთათვის დაცვის უფლების რეალიზებაზე. კერძოდ, მე-18 მუხლის მიხედვით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია, მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.

სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიულ დახმარებას ახორციელებს იურიდიული დახმარების ცენტრი, რომელსაც აქვს იურიდიული დახმარების 19 ბიურო და საკონსულტაციო ცენტრი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

უფასო იურიდიული დახმარების საკითხს არეგულირებს იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონი (N 4955, 19/06/2007, გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 24, 02/07/2007, კონსოლიდირებული ვერსია: 30/05/2018), რომელიც 2007 წელს იქნა მიღებული. აღნიშნული კანონი დეტალურად განსაზღვრავს იურიდიული დახმარების სახეების და იმ პირთა წრის ჩამონათვალს, ვისაც შეუძლია, სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარებით ისარგებლოს. კერძოდ, აღნიშნული კანონი იცნობს იურიდიული დახმარების შემდეგ სახეებს: ა) სამართლებრივი დოკუმენტების (განცხადება, სარჩელი, საჩივარი, შესაგებელი, შუამდგომლობა და სხვა დოკუმენტები) შედგენა; ბ) ბრალდებულის, მსჯავრდებულისა და გამართლებულის ინტერესების დაცვა სისხლის სამართლის პროცესში; გ) დაზარალებულის დაცვა სისხლის სამართლის პროცესში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ, სახელმწიფოს ხარჯზე დაცვის განხორციელების შემთხვევებში; დ) წარმომადგენლობა სასამართლოში ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით; ე) წარმომადგენლობა ადმინისტრაციულ ორგანოში.

700. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი მე-2;

701. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი მე-5;

702. “საერთო სასამართლოების შესახებ” კანონი, მუხლი 7 (1)

115 რამდენად არის უზრუნველყოფილი უფასო იურიდიულ დახმარებაზე ეფექტური ხელმისაწვდომობა სისხლის სამართლის საქმეებში? შესაძლებელია თუ არა უფასო იურიდიული დახმარების მიღება სამოქალაქო საქმეებში? გთხოვთ, მიუთითოთ დეტალური ინფორმაცია სამოქალაქო საკითხებზე იურიდიული დახმარების მიღების კრიტერიუმების შესახებ.

სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში პირი ისარგებლებს სახელმწიფოს ხარჯზე დაცვის უფლებით, თუ იგი უქონელია ან ადგილი აქვს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ რომელიმე საფუძველს და საქმეში არ მონაწილეობს ადვოკატი.⁷⁰³

თავის მხრივ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (№1772, 09/10/2009, გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31, 03/11/2009, კონსოლიდირებული თარიღი: 21/07/2018) განსაზღვრავს, რა შემთხვევებში ისარგებლებს ბრალდებული დაცვის უფლებით სახელმწიფოს ხარჯზე. ბრალდებულს აქვს ადვოკატის არჩევისა და ყოლის, ასევე მის მიერ არჩეული ადვოკატის ნებისმიერ დროს შეცვლის უფლება, ხოლო თუ ის უქონელია — უფლება, დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე.⁷⁰⁴ ამავე კოდექსით მიხედვით დაცვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს, თუ: ა) გადახდისუუნარო ბრალდებული მოითხოვს ადვოკატის დანიშვნას; ბ) არსებობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი სავალდებულო დაცვის შემთხვევა და სისხლის სამართლის საქმეში არ მონაწილეობს ბრალდებულის მიერ აყვანილი ადვოკატი (დაცვა შეთანხმებით).⁷⁰⁵

საპროცესო კანონმდებლობა სავალდებულო დაცვას ითვალისწინებს შემდეგ შემთხვევებში: სავალდებულოა ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი: ა) თუ არასრულწლოვანია; ბ) თუ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა; გ) თუ აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რაც ხელს უშლის მის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებას; დ) თუ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ; ე) თუ ჩადენილი ქმედებისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით; ვ) თუ მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე; ზ) თუ სისხლის სამართლის საქმეს იზილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო; თ) თუ თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას; ი) თუ გააძვევს სასამართლო სხდომის დარბაზიდან; კ) თუ არაიდენტიფიცირებული პირია; კ¹) თუ განიხილება მისი გამარტივებული პროცედურის გამოყენებით უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციის საკითხი; ლ) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.⁷⁰⁶

სისხლის სამართლის საქმეებზე უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობენ არა მხოლოდ ბრალდებული/მსჯავრდებული/გამართლებული არასრულწლოვნები, არამედ ასევე დაზარალებული არასრულწლოვნები. ასევე უფასო იურიდიული დახმარებით შეუძლია, ისარგებლოს არასრულწლოვან მოწმეს, თუ იგი გადახდისუუნაროა.⁷⁰⁷

გარდა სისხლის სამართლის საქმეებისა, იურიდიული დახმარების შესახებ კანონი (N 4955, 19/06/2007, გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 24, 02/07/2007, კონსოლიდირებული ვერსია: 30/05/2018) ასევე ითვალისწინებს უფასო იურიდიული მომსახურების გაწევას ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე. კერძოდ, ზემოაღნიშნული განსაზღვრავს, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ

703. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 46-ე;
 704. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 38-ე;
 705. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 46-ე;
 706. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 45-ე;
 707. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი მე-15;

საქმეებზე სასამართლოში წარმომადგენლობა, აგრეთვე ადმინისტრაციულ საქმეზე ადმინისტრაციულ ორგანოში წარმომადგენლობა უზრუნველყოფილია, თუ პირი გადახდისუუნაროა და მისთვის იურიდიული დახმარების გაწევა (მისი სასამართლოში წარმომადგენლობა, ადმინისტრაციულ ორგანოში წარმომადგენლობა) მიზანშეწონილია საქმის მნიშვნელობისა და სირთულიდან გამომდინარე.⁷⁰⁸ თავის მხრივ, აღნიშნული კანონის გარდამავალი დებულება განსაზღვრავს იმ საკითხთა ჩამონათვალს, რომლებზეც შესაძლებელია ზემოაღნიშნული საფუძვლით ადვოკატის მიერ სახელმწიფოს ხარჯზე დახმარების გაწევა.⁷⁰⁹ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება და მიმართავს იურიდიული დახმარების სამსახურს ადვოკატის სახელმწიფოს ხარჯზე დანიშვნის მოთხოვნით. იურიდიული დახმარების სამსახური ვალდებულია, შეასრულოს სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება ადვოკატის სახელმწიფოს ხარჯზე დანიშვნის შესახებ.⁷¹⁰

ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (N786, 26/06/1997, გამოქვეყნების წყარო: პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997, კონსოლიდირებული ვერსია: 05/07/2018) ითვალისწინებს სავალდებულო დაცვის შემთხვევას, კერძოდ, პირს, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც განიხილება, უნდა ჰყავდეს ადვოკატი.⁷¹¹ შესაბამისად, თუ მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხის განხილვისას პირს არ ყავს ადვოკატი, მას სახელმწიფოს ხარჯზე დაენიშნება დაცვა.

სავალდებულო დაცვის შემთხვევებს ითვალისწინებს ასევე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი (N2352, 23/07/1999, გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 39(46), 06/08/1999, გამოქვეყნების წყარო: 05/07/2018), კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც იხილება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საკითხი, პირს აუცილებელია, ჰყავდეს ადვოკატი. თუ პაციენტს/მსჯავრდებულს არა აქვს ადვოკატის აყვანის შესაძლებლობა, სასამართლო ვალდებულია, დაუნიშნოს მას ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (N161,15/12/1984, გამოქვეყნების წყარო: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 12-ის დანართი, 31/12/1984, კონსოლიდირებული ვერსია: 20/07/2018) განსაზღვრავს, რომ თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის სახდელის სახით გათვალისწინებულია მხოლოდ ადმინისტრაციული პატიმრობა ან ადმინისტრაციული პატიმრობა სხვა სახის სახდელთან ერთად, პირს, თუკი იგი გადახდისუუნაროა, უფლება აქვს, მოითხოვოს ადვოკატის სახელმწიფოს ხარჯზე დანიშვნა.⁷¹²

იურიდიული დახმარების სამსახური გადახდისუუნარო პირისთვის უზრუნველყოფს სამართლებრივი დოკუმენტების შედგენას სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე, საქმის მნიშვნელობისა და სირთულის მიუხედავად.⁷¹³

116 როგორ ინიშნებიან სისხლის სამართლის ადვოკატები იმ შემთხვევაში, თუ მათი მომსახურების საფასურს ფარავს იურიდიული დახმარების სისტემა? არის თუ არა საადვოკატო მომსახურების ტარიფი იგივე, რაც ნორმალურ შემთხვევაში იქნებოდა?

708. იურიდიული დახმარების შესახებ კანონი, მუხლი მე-5;

709. იურიდიული დახმარების შესახებ კანონი, მუხლი 23¹-ე;

710. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 47(2)-ე;

711. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 363¹⁹-ე;

712. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 21¹⁸-ე;

713. იურიდიული დახმარების შესახებ კანონი, მუხლი მე-5(2¹);

როდესაც იურიდიული დახმარება ხორციელდება სახელმწიფოს ხარჯზე, მას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – იურიდიული დახმარების სამსახური. იურიდიული დახმარების სამსახურში, თავის მხრივ, არის სტრუქტურული ერთეული – იურიდიული დახმარების ბიურო, რომელშიც დასაქმებული ადვოკატები უშუალოდ ახორციელებენ იურიდიულ დახმარებას. ასევე ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით იურიდიული დახმარების ბიუროში წარმოებს მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი, რომლებიც საქმეში ერთვებიან იმ შემთხვევაში, როდესაც ბიუროს დახმარებისთვის დაპირისპირებული მხარეები მიმართავენ დასახელმწიფოს ხარჯზე ახორციელებენ იურიდიულ დახმარებას. ასევე იურიდიული დახმარება შესაძლებელია, განხორციელდეს მიმწოდებლის მიერ. მიმწოდებელი არის ტენდერის საფუძველზე შერჩეული კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ადვოკატი, რომელიც ახორციელებს იურიდიულ დახმარებას ამ კანონის საფუძველზე და ხელშეკრულებით განსაზღვრული სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებში.

საზოგადოებრივი ადვოკატის ჩართვა ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესში საზოგადოებრივი ადვოკატის საქმეში ჩართვას უზრუნველყოფს იურიდიული დახმარების ბიურო, მიმწოდებელი ან საკონსულტაციო ცენტრი: ა) ბრალდებულის, მსჯავრდებულის ან/და გამართლებულის ან მისი წარმომადგენლის ან/და ახლო ნათესავის მიმართვის საფუძველზე; ბ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართვის საფუძველზე.⁷¹⁴

იურიდიული დახმარების სამსახურის დაფინანსების წყაროებია: ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები; ბ) შემოწირულობები და გრანტები; გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.⁷¹⁵

იურიდიული დახმარების სამსახურში დასაქმებული საზოგადოებრივი ადვოკატი სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე იურიდიული დახმარების გაწევისათვის იღებს ხელფასს, ხოლო მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატის მიერ გაწეული იურიდიული დახმარება ანაზღაურდება საბჭოს მიერ დამტკიცებული შრომის ანაზღაურების ოდენობისა და გაცემის წესის შესაბამისად.⁷¹⁶

რაც შეეხება კერძოდ ადვოკატებისა და სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნულ ადვოკატების ანაზღაურებას შორის განსხვავებას, ვინაიდან საქართველოში არ არსებობს ადვოკატთათვის რაიმე წინასწარ განსაზღვრული ტარიფები და ნიხრები, მსგავსი შედარების გაკეთება შეუძლებელია. ყველა კერძო ადვოკატი თუ საადვოკატო ბიურო თავად წყვეტს შრომის ანაზღაურების ტარიფებს.

117 დაცვის უფლებებთან დაკავშირებით გთხოვთ, აღწეროთ, თუ როგორ არის გარანტირებული შემდეგი უფლებები საკანონმდებლო და პრაქტიკული თვალსაზრისით (გთხოვთ, კომენტარი გააკეთოთ რესურსების გამოყოფასა და ინსტიტუციურ ჩარჩოზე, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ამ უფლებების განხორციელებას).

ა) ბრალდებულის უფლება, მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დაწვრილებით ეცნობოს წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი;

714. იურიდიული დახმარების შესახებ კანონი, მუხლი 21(1);
 715. იურიდიული დახმარების შესახებ კანონი, მუხლი 22-ე;
 716. იურიდიული დახმარების შესახებ კანონი, მუხლი 21 (7)-ე;

საქართველოს კონსტიტუციის (№786, 24/08/1995, გამოქვეყნების წყარო: საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995, კონსოლიდირებული ვერსია: 23/03/2018) მიხედვით საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე — აფხაზური.⁷¹⁷ სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი.⁷¹⁸

კონსტიტუცია განამტკიცებს დაკავებული ან დაპატიმრებული პირის უფლებას, განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი.⁷¹⁹ თავის მხრივ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (№1772, 09/10/2009, გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31, 03/11/2009, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018) განსაზღვრავს, რომ დაკავების მომენტში ან, თუ დაკავება არ ხდება, ბრალდებულად ცნობისთანავე, დაუყოვნებლივ, ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ ბრალდებულს მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელი დანაშაულის ჩადენაში არსებობს მის მიმართ დასაბუთებული ვარაუდი.⁷²⁰

ბრალდებულს უფლება აქვს, დაკითხვის და სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე, თუ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა ან აქვს ისეთი ფიზიკური ნაკლი, რომელიც თარჯიმნის გარეშე მასთან კომუნიკაციას გამორიცხავს. თუ ბრალდებულმა არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, განაჩენი გამოცხადებისთანავე ან სინქრონულად უნდა ეთარგმნოს ბრალდებულს მშობლიურ ან მისთვის გასაგებ სხვა ენაზე.⁷²¹

სავალდებულო დაცვას ექვემდებარება ის ბრალდებული, რომელიც არ ფლობს სამართალწარმოების ენას.⁷²²

გარდა ბრალდებულისა, თარჯიმნის მომსახურებით სარგებლობს ასევე პროცესის ნებისმიერი მონაწილე (მოწმე, დაზარალებული), რომელმაც არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა. სისხლის სამართლის პროცესში თარჯიმანს იძახებენ, როცა: ა) პროცესის მონაწილემ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა; ბ) საჭიროა სისხლის სამართლის პროცესის ენაზე ითარგმნოს ტექსტი.⁷²³

მსგავს რეგულაციას ითვალისწინებს ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (N161, 15/12/1984, გამოქვეყნების წყარო: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 12-ის დანართი, 31/12/1984, კონსოლიდირებული ვერსია: 20/07/2018), რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციული დაკავების დროს დამკავებელი მოხელე ვალდებულია, დაკავებულს დაკავებისთანავე გასაგები ფორმით განუმარტოს: ა) მის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და დაკავების საფუძველი; ბ) რომ აქვს უფლება ადვოკატზე; გ) რომ აქვს უფლება, მისი სურვილის შემთხვევაში, მისი დაკავების ფაქტი და ადგილსამყოფელი ეცნობოს მის მიერ დასახელებულ ახლობელს, აგრეთვე მისი სამუშაო ან სასწავლო ადგილის ადმინისტრაციას.⁷²⁴

717. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი მე-2;

718. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 85 (2)-ე;

719. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი მე-18 (5);

720. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 38 (1)-ე;

721. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 38 (8)-ე;

722. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 45-ე;

723. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 53-ე;

724. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 245-ე;

ბ) თარჯიმნის უფასო დახმარების უფლება, თუ პირს არ შეუძლია, გაიგოს ან ილაპარაკოს ენაზე, რომელსაც იყენებს სასამართლო;

როგორც ზევით უკვე განვმარტე, თუ პირმა არ იცის სამართალწარმოების ენა, მას დაენიშნება ადვოკატი. “საერთო სასამართლოების შესახებ” კანონი (N2257, 04/12/2009, გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 41, 08/12/2009, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018) განსაზღვრავს, რომ თარჯიმნის მომსახურება ანაზღაურდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.⁷²⁵

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს დებულებას, რომლის მიხედვითაც როგორც ბრალდებულისთვის, ისე პროცესის სხვა მონაწილისთვის დანიშნული თარჯიმნის ხარჯს გაიღებს სახელმწიფო. ბრალდებულს უფლება აქვს, დაკითხვის და სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე, თუ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა ან აქვს ისეთი ფიზიკური ნაკლი, რომელიც თარჯიმნის გარეშე მასთან კომუნიკაციას გამორიცხავს.⁷²⁶ მოწმეს უფლება აქვს, თუ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, ჩვენება მისცეს მშობლიურ ან მისთვის სასურველ სხვა ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე.⁷²⁷

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (N161,15/12/1984, გამოქვეყნების წყარო: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 12–ის დანართი, 31/12/1984, კონსოლიდირებული ვერსია: 20/07/2018) მიხედვით ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს, გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და, თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით.⁷²⁸

გ) ბრალდებულის უფლება, ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა საკუთარი დაცვის მოსამზადებლად;

ბრალდებულს აქვს ადვოკატის არჩევისა და ყოლის, ასევე მის მიერ არჩეული ადვოკატის ნებისმიერ დროს შეცვლის უფლება, ხოლო თუ ის უქონელია, უფლება, დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. ბრალდებულს უნდა ჰქონდეს გონივრული დრო და საშუალება დაცვის მომზადებისათვის. ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობა კონფიდენციალურია. აკრძალულია ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობაზე ისეთი შეზღუდვების დაწესება, რომლებიც ხელს შეუშლის დაცვის სათანადოდ განხორციელებას.⁷²⁹

ბრალდებულს დროულად უნდა შეატყობინონ მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დრო და ადგილი. თუ ბრალდებულს ან/და მის ადვოკატს გონივრულ ვადაში არ ეცნობა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დრო და ადგილი, ასეთი საგამოძიებო მოქმედება არ უნდა ჩატარდეს, ხოლო ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.⁷³⁰

725. “საერთო სასამართლოების შესახებ” კანონი, მუხლი მე-10;
 726. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 38-ე;
 727. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 49-ე;
 728. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 252-ე;
 729. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მული 38-ე;
 730. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მული 40 (2)-ე;

დ) უფლება, დაიცვას თავი პირადად ან თავის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით;

საქართველოს კონსტიტუცია (№786, 24/08/1995, გამოქვეყნების წყარო: საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995, კონსოლიდირებული ვერსია: 23/03/2018) განამტკიცებს სამართლიანი სასამართლოს უფლებას და სხვა უფლებებთან ერთად განსაზღვრავს, რომ დაცვის უფლება გარანტირებულია.⁷³¹

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (№1772, 09/10/2009, გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31, 03/11/2009, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018) განსაზღვრავს ბრალდებულის უფლებებს. აღნიშნული მუხლი ასევე არეგულირებს ბრალდებულის დაცვის უფლებას და განმარტავს, რომ ბრალდებულს აქვს ადვოკატის არჩევისა და ყოლის, ასევე მის მიერ არჩეული ადვოკატის ნებისმიერ დროს შეცვლის უფლება, ხოლო თუ ის უქონელია, უფლება, დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობა კონფიდენციალურია. აკრძალულია ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობაზე ისეთი შეზღუდვების დაწესება, რომლებიც ხელს შეუშლის დაცვის სათანადოდ განხორციელებას. ბრალდებულს უფლება აქვს, უარი თქვას ადვოკატის მომსახურებაზე და დამოუკიდებლად დაიცვას თავი, რისთვისაც მას უნდა მიეცეს საკმარისი დრო და საშუალება. ბრალდებულს არ შეუძლია, უარი თქვას ადვოკატის მომსახურებაზე, თუ არსებობს ამ კოდექსით დადგენილი სავალდებულო დაცვის შემთხვევა. სავალდებულო დაცვას ექვემდებარება ბრალდებული, თუ იგი არასრულწლოვანია; არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა; აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რაც ხელს უშლის მის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებას; გამოტანილია განჩინება (დადგენილება) სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ; ჩადენილი ქმედებისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით; მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე; სისხლის სამართლის საქმეს იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო; თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას; გააძევეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან; არაიდენტიფიცირებული პირია; განიხილება მისი გამარტივებული პროცედურის გამოყენებით უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციის საკითხი.

ასევე ბრალდებულს უფლება აქვს: დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება, კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულება ამ კოდექსით დადგენილი წესით; მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და გამოითხოვოს მტკიცებულება, რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად; მონაწილეობა მიიღოს მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში; მოითხოვოს ადვოკატის დასწრება მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების დროს. ბრალდებულს უფლება აქვს: მონაწილეობა მიიღოს მისი ბრალდების საქმის გამოძიებაში, ასევე უშუალოდ ან დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით – სასამართლო განხილვაში; დააყენოს შუამდგომლობა და განაცხადოს აცილება; დაცვის მხარის მტკიცებულება გამოიკვლიოს იმავე პირობებში, როგორშიც ბრალდების მხარის მტკიცებულების გამოკვლევა ხდება; გაეცნოს მხარის მიერ შეტანილ საჩივარს და მასზე გამოთქვას მოსაზრება; გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმს და მასზე გამოთქვას შენიშვნა. ბრალდებულს უფლება აქვს, ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით გაასაჩივროს გამოძიებლის მოქმედება პროკურორთან, პროკურორის მოქმედება და გადაწყვეტილება – ზემდგომ პროკურორთან, ხოლო ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოში. ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილება, მიიღოს გასასაჩივრებელი გადაწყვეტილების ასლი.⁷³²

731. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 42-ე;

732. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 38-ე;

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (N161,15/12/1984, გამოქვეყნების წყარო: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 12-ის დანართი, 31/12/1984, კონსოლიდირებული ვერსია: 20/07/2018) განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემულ პირს უფლება აქვს, გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და, თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება იმ პირის თანდასწრებით, რომელიც მიცემულია ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში. ამ პირის დაუსწრებლად საქმე შეიძლება, განხილულ იქნეს მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა არის ცნობა მისთვის საქმის განხილვის ადგილისა და დროის დროული შეტყობინების შესახებ და მისგან არ შემოსულა შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე.⁷³³ შესაბამისად ადმინისტრაციულ წარმოებაში ადვოკატის ყოლა არის უფლება და არა ვალდებულება, გარდა კანონით გათვალისწინებული სავალდებულო დაცვის შემთხვევებისა. სავალდებულო დაცვას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი იცნობს შემდეგ შემთხვევებში: თუ საქმე მიმდინარეობს არაიდენტიფიცირებული სამართალდამრღვევის მიმართ.⁷³⁴

ე) უფლება, დაკითხოს ან დააკითხვინოს მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი მოწმეები, გამოაძახებინოს და დააკითხვინოს თავისი მოწმეები ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში.

საქართველოს კონსტიტუციის (N786, 24/08/1995, გამოქვეყნების წყარო: საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995, კონსოლიდირებული ვერსია: 23/03/2018) მიხედვით, რომელიც პირის საპროცესო უფლებებს არეგულირებს, ბრალდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი მოწმეების გამოძახება და ისეთივე პირობებში დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს.⁷³⁵

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (N1772, 09/10/2009, გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31, 03/11/2009, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018) განსაზღვრავს, რომ ბრალდებულს უფლება აქვს: მონაწილეობა მიიღოს მისი ბრალდების საქმის გამოძიებაში, ასევე უშუალოდ ან დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით – სასამართლო განხილვაში; დააყენოს შუამდგომლობა და განაცხადოს აცილება; დაცვის მხარის მტკიცებულება გამოიკვლიოს იმავე პირობებში, როგორშიც ბრალდების მხარის მტკიცებულების გამოკვლევა ხდება; გაეცნოს მხარის მიერ შეტანილ საჩივარს და მასზე გამოთქვას მოსაზრება; გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმს და მასზე გამოთქვას შენიშვნა.⁷³⁶

118 ალწერეთ კანონმდებლობის შემუშავებისა და განხორციელების პროცესი შემდეგ სამართლებრივ კონცეფციებთან დაკავშირებით:

ა) პრინციპი, რომ პირზე დაუშვებელია, დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა ისეთ დანაშაულზე, რაც ჩადენის მომენტში ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით არ

733. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 252-ე;
734. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 312-ე;
735. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 42-ე;
736. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 38-ე;

წარმოდგენდა სისხლის სამართლის დანაშაულს;

საქართველოს კონსტიტუცია (№786, 24/08/1995, გამოქვეყნების წყარო: საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995, კონსოლიდირებული ვერსია: 23/03/2018) სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას. საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.

საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს, რომ არავინ აგებს პასუხს იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.⁷³⁷

სისხლის სამართლის კოდექსი (№1772, 09/10/2009, გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31, 03/11/2009, გამოქვეყნების თარიღი: 30/11/2018) განსაზღვრავს, რომ ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებად მისი ჩადენის დროს. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს.

თუ ახალი სისხლის სამართლის კანონი ამსუბუქებს სასჯელს ქმედებისათვის, რომლის გამოც დამნაშავე მას იხდის, ეს სასჯელი უნდა შემცირდეს ამ სისხლის სამართლის კანონის სანქციის ფარგლებში. თუ დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე სისხლის სამართლის კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გამოიყენება ყველაზე მსუბუქი კანონი.⁷³⁸

ბ) გამოყენებული არ იქნეს იმაზე მძიმე სასჯელი, ვიდრე განსაზღვრული იყო სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის დროს;

როგორც ზემოთ უკვე ვახსენე, საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს ნორმის უკუძალით გავრცელების წესს, კერძოდ, კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.

სისხლის სამართლის კოდექსი (N2287, 22/07/1999, გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 41(48), 13/08/1999, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018) ასევე ამკვიდრებს მსგავს პრინციპს და განსაზღვრავს, რომ ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებად მისი ჩადენის დროს. დანაშაულის ჩადენის დროა ის დრო, როდესაც მოქმედებად ამსრულებელი ან თანამონაწილე ანდა უნდა ემოქმედა მას. შედეგის დადგომის დროს მნიშვნელობა არა აქვს.⁷³⁹ სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას

737. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 42-ე;

738. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი მე-3;

739. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი მე-2;

ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს. თუ ახალი სისხლის სამართლის კანონი ამსუბუქებს სასჯელს ქმედებისათვის, რომლის გამოც დამნაშავე მას იხდის, ეს სასჯელი უნდა შემცირდეს ამ სისხლის სამართლის კანონის სანქციის ფარგლებში. თუ დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე სისხლის სამართლის კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გამოიყენება ყველაზე მსუბუქი კანონი.⁷⁴⁰

თავის მხრივ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი (N161, 15/12/1984, გამოქვეყნების წყარო: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 12-ის დანართი, 31/12/1984, კონსოლიდირებული ვერსია: 20/07/2018), რომელიც სანქციების კუთხით სისხლის სამართლებრივი ხასიათისაა, განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენმა პასუხი უნდა აგოს სამართალდარღვევის ჩადენის დროს და ადგილას მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან გამაუქმებელ აქტებს აქვს უკუქვევითი ძალა, ესე იგი, ვრცელდება ამ აქტების გამოცემამდე ჩადენილ სამართალდარღვევებზეც. აქტებს, რომლებიც აწესებს ან აძლიერებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, უკუქვევითი ძალა არა აქვს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს აწარმოებენ სამართალდარღვევის შესახებ საქმის განხილვის დროს და ადგილას მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.⁷⁴¹

გ) სისხლის სამართლის დანაშაულსა და სასჯელის სიმძიმეს შორის პროპორციულობა;

საქართველოს კონსტიტუცია (№786, 24/08/1995, გამოქვეყნების წყარო: საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995, კონსოლიდირებული ვერსია: 23/03/2018) განსაზღვრავს, რომ დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება.⁷⁴²

თავის მხრივ, სისხლის სამართლის კოდექსი (N2287, 22/07/1999, გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 41(48), 13/08/1999, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018) განსაზღვრავს, რომ სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძობით. სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ღირსების დამცირება. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება, დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას.⁷⁴³

სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით, მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს.⁷⁴⁴

740. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი მე-3;
 741. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი მე-9;
 742. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი მე-17;
 743. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 39-ე;
 744. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 53-ე;

დნაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დნაშაულისათვის. ასევე დნაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, არასრულწლოვნის მიმართ ან მისი თანდასწრებით, განსაკუთრებული სისასტიკით, იარაღის გამოყენებით ან იარაღის გამოყენების მუქარით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დნაშაულისათვის.⁷⁴⁵

თუ დნაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავე გამოცხადდა ბრალის აღიარებით, აქტიურად შეუწყო ხელი დნაშაულის გახსნას და არ არსებობს დამამძიმებელი გარემოებანი, სასჯელის ვადა ან ზომა არ უნდა აღემატებოდეს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის ან ზომის სამ მეოთხედს.⁷⁴⁶

აღსანიშნავია, რომ თუ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლი ან მუხლის ნაწილი დნაშაულის შემადგენლობის ნიშნად ითვალისწინებს შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებას, იგივე გარემოება სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში არ მიიღება.⁷⁴⁷

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (N161,15/12/1984, გამოქვეყნების წყარო: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 12-ის დანართი, 31/12/1984, კონსოლიდირებული ვერსია: 20/07/2018) მიხედვით ადმინისტრაციული სახდელი წარმოადგენს პასუხისმგებლობის ზომას და გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის აღსაზრდელად კანონების დაცვის, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე როგორც თვით სამართალდამრღვევის, ისე - სხვა პირთა მიერ ახალი სამართალდარღვევების ჩადენის აცილების მიზნით.⁷⁴⁸ სახდელის დადებისას მხედველობაში მიიღება ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი.⁷⁴⁹

ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებად ითვლება: 1) ბრალეულის გულწრფელი მონანიება; 2) ბრალეულის მიერ სამართალდარღვევის მავნე შედეგების აცილება, ზარალის ნებაყოფლობით ანაზღაურება ან მიყენებული ზიანის გამოსწორება; 3) სამართალდარღვევის ჩადენა ძლიერი სულიერი აღელვების გავლენით ან მძიმე პირადი თუ ოჯახური გარემოებების დამთხვევის გამო; 4) სამართალდარღვევის ჩადენა არასრულწლოვნის მიერ; 5) სამართალდარღვევის ჩადენა ორსული ქალის ან იმ ქალის მიერ, რომელსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავს.

საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება, გათვალისწინებულ იქნეს აგრეთვე ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი სხვა გარემოებანიც. ორგანოს

745. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 53-ე;

746. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 54-ე;

747. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 53-ე;

748. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 23-ე;

749. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 33-ე;

(თანამდებობის პირს), რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს წყვეტს, შეუძლია, შემამსუბუქებლად მიიჩნიოს ისეთი გარემოებანიც, რომლებიც არ არის აღნიშნული კანონმდებლობაში.⁷⁵⁰

ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ითვლება: 1) მართლსაწინააღმდეგო ქცევის განგრძობა მისი შეწყვეტის შესახებ საამისოდ უფლებამოსილ პირთა მოთხოვნის მიუხედავად; 2) წლის განმავლობაში ერთგვაროვანი სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა, რომლის გამოც პირს უკვე დაედო ადმინისტრაციული სახდელი, სამართალდარღვევის ჩადენა წინათ დანაშაულის ჩამდენი პირის მიერ; 3) არასრულწლოვნის ჩაბმა სამართალდარღვევაში; 4) სამართალდარღვევის ჩადენა პირთა ჯგუფის მიერ; 5) სამართალდარღვევის ჩადენა სტიქიური უბედურების პირობებში სხვა საგანგებო გარემოებათა დროს; 6) სამართალდარღვევის ჩადენა ნასვამ მდგომარეობაში, ადმინისტრაციული სახდელის დამდებ ორგანოს (თანამდებობის პირს) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ხასიათის კვალობაზე შეუძლია, არ ცნოს ეს გარემოება დამამძიმებლად.⁷⁵¹

119 გთხოვთ, მიუთითოთ დეტალები, როგორ განიმარტება ეროვნულ კანონმდებლობაში ერთი და იმავე დანაშაულისათვის ერთი და იმავე პირის ორჯერ გასამართლებისა და დასჯის აკრძალვის საკითხი.

საქართველოს კონსტიტუცია (№786, 24/08/1995, გამოქვეყნების წყარო: საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995, კონსოლიდირებული ვერსია: 23/03/2018) განამტკიცებს იმ საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს, რომელიც ეწინააღმდეგება ერთი და იმავე ქმედებისთვის პირის ორჯერ მსჯავრდებას და განსაზღვრავს, რომ არავის შეიძლება, განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.⁷⁵²

აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, რომელიც განსაზღვრავს, რომ დაუშვებელია პირის განმეორებით დაკავება მხოლოდ ერთი და იმავე მტკიცებულებების ან/და ინფორმაციის საფუძველზე. არ შეიძლება, პირს წაეყენოს ბრალი ან/და დაედოს მსჯავრი იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც იგი ერთხელ უკვე გამართლებულ ან მსჯავრდებულ იქნა.⁷⁵³

120 აღწერეთ, როგორაა დაცული მსხვერპლის უფლებები სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას. არსებობს თუ არა კანონმდებლობა სამართლიან და სათანადო კომპენსაციასთან დაკავშირებით იმ ტრავმებისათვის, რაც დანაშაულის მსხვერპლებმა მიიღეს?

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დაზარალებული სისხლის სამართლის პროცესში არ წარმოადგენს მხარეს. მხარებად გამოდიან მხოლოდ პროკურორი, გამომძიებელი, ბრალდებული/მსჯავრდებული/გამართლებული და მისი ადვოკატი. რაც შეეხება დაზარალებულს, იგი პროცესის

750. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 34-ე;

751. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 35-ე;

752. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 42-ე;

753. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი მე-18;

მონაწილეა, თუმცა მოკლებულია შესაძლებლობას, ისარგებლოს ისეთი უფლებებით, როგორც ალტერნატიული არიან მხარეები. მაგალითად, დაზარალებული ვერ მიიღებს მონაწილეობას საქმის განხილვის სხდომებში, ვერ დაკითხავს მოწმეებს, ვერ გაასაჩივრებს სასმართლოს გადაწყვეტილებებს და ა.შ.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (№1772, 09/10/2009, გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31, 03/11/2009, კონსოლიდირებული ვერსია: 21/07/2018) მიხედვით დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად.⁷⁵⁴

სსსკ-ის მე-7 თავი მთლიანად ეძღვნება დაზარალებულის უფლებრივ მდგომარეობას და განსაზღვრავს, რომ დაზარალებულს ენიჭება მოწმის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა.

იმდანაშაულის საქმეში, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, დაზარალებულის უფლებები ენიჭება და მისი მოვალეობები ეკისრება მის რომელიმე ახლო ნათესავს („დაზარალებულის უფლებამონაცვლე“). გამომძიებელს, პროკურორსა და მოსამართლეს უფლება არა აქვთ, უარი უთხრან დაზარალებულის უფლებამონაცვლეს დაზარალებულისათვის მინიჭებული რომელიმე უფლებით სარგებლობაზე. ერთი დონის ახლო ნათესავებს შორის დავის შემთხვევაში დაზარალებულის უფლებამონაცვლე წილისყრით განისაზღვრება. დანაშაულის მომზადების ან მცდელობის შემთხვევაში დაზარალებულია სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც შეიძლება, მისდგომოდა ზიანი.

პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის სათანადო საფუძვლის არსებობისას პროკურორს გამოაქვს დადგენილება საკუთარი ინიციატივით ან ამ პირის მიერ შესაბამისი განცხადებით მიმართვის შემთხვევაში. თუ პროკურორმა განცხადება არ დააკმაყოფილა მისი შეტანიდან 48 საათის განმავლობაში, აღნიშნულ პირს უფლება აქვს, დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის მოთხოვნით ერთჯერადად მიმართოს ზემდგომ პროკურორს. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ან დანაშაული, რომელიც, კანონის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა. ამ შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, აღნიშნულ პირს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

პროკურორი ან მისი დავალებით გამომძიებელი პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილებას გააცნობს დაზარალებულს და განუმარტავს მას ამ კოდექსით გათვალისწინებულ ყველა უფლებას და მათ განხორციელებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, რის შესახებაც ადგენს ოქმს. ამ ოქმს ხელს აწერენ დაზარალებული და ოქმის შემდგენი. დაზარალებულს უფლება აქვს, შენიშვნა გააკეთოს ოქმზე. თუ დაზარალებული უარს ამბობს ოქმის ხელმოწერაზე, ოქმში აღინიშნება ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი.

თუ პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ გაირკვევა, რომ ამის საფუძველი არ არსებობს, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას ამ დადგენილების გაუქმების თაობაზე, რის შესახებაც დაზარალებულს წერილობით ეცნობება. დაზარალებულს უფლება აქვს, პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გაუქმების თაობაზე პროკურორის გადაწყვეტილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ან დანაშაული, რომელიც, კანონის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა. ამ შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, დაზარალებულს უფლება აქვს, პროკურორის

754. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი მე-3;

გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.⁷⁵⁵

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით დაზარალებულს უფლება აქვს: ა) იცოდეს ბრალდებულისათვის წარდგენილი ბრალდების არსი; ბ) მიიღოს ინფორმაცია ამ კოდექსის 58-ე მუხლით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედებების შესახებ; გ) სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის განხილვისას და სასჯელის შეფარდების სასამართლო სხდომაზე მისცეს ჩვენება იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას დანაშაულის შედეგად მიაღწია, ან წერილობით წარუდგინოს სასამართლოს აღნიშნული ინფორმაცია; დ) უფასოდ მიიღოს გამოძიების ან/და სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილები/განჩინების, განაჩენის, სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ასლი; ე) მიიღოს პროცესში მონაწილეობის შედეგად გაწეული ხარჯების ანაზღაურება; ვ) დაიბრუნოს გამოძიებისას და სასამართლო განხილვისას საქმის საჭიროებისათვის დროებით ჩამორთმეული მისი კუთვნილი ქონება; ზ) მოთხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება, თუ საფრთხე ემუქრება როგორც მის, ისე მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და საკუთრებას; თ) მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს; ი) მოთხოვნის შემთხვევაში მიიღოს ინფორმაცია ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების თაობაზე და ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვების შესახებ, თუ ამით ბრალდებულს/მსჯავრდებულს რეალური საფრთხე არ ემუქრება; კ) წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 10 დღისა გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს; ლ) მიმართოს ბრალდების მხარეს ამ კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მიზნით სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ შუამდგომლობის დაყენების მოთხოვნით; მ) მიიღოს განმარტება თავისი უფლება-მოვალეობების შესახებ;

გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების და სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებისას პროკურორი/გამომძიებელი ადგენს ოქმს. თუ მოთხოვნის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს, პროკურორი/გამომძიებელი ვალდებულია, მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლის აღმოფხვრისთანავე აცნობოს დაზარალებულს ამის შესახებ და, შესაბამისად, მიაწოდოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გააცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალები. მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევაში პროკურორს გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება. დაზარალებულს უფლება აქვს, ეს დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან.⁷⁵⁶

პროკურორმა დაზარალებულის მოთხოვნის შემთხვევაში წინასწარ უნდა შეატყობინოს მას შემდეგი საპროცესო მოქმედებების ჩატარების ადგილი და დრო: ა) ბრალდებულის პირველი წარდგენა მაგისტრატ მოსამართლესთან; ბ) წინასასამართლო სხდომა; გ) სასამართლოს მთავარი სხდომა; დ) სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის განხილვის სასამართლო სხდომა; ე) სასჯელის შეფარდების სასამართლო სხდომა; ვ) სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო სხდომა.

აღნიშნული ინფორმაცია დაზარალებულს წერილობით უნდა გადაეცეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვაგვარი საშუალებით გადაცემა გონივრულია მოცემულ გარემოებებში და საკმარის დროს იძლევა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

755. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 56-ე;

756. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 57-ე;

პროკურორი ასევე ვალდებულია შეატყობინოს დაზარალებულს საპროცესო შეთანხმების დადება.⁷⁵⁷

გამოძიების ან/და სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას, გარდა ამ მუხლის ბრალდებულის შეურაცხადობის მოტივით გამოძიების ან/და სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტისა, იღებს პროკურორი დადგენილებით. ამ დადგენილების ასლს პროკურორი უგზავნის დაზარალებულს გადაწყვეტილების მიღებიდან 1 კვირის ვადაში. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანამდე პროკურორი ვალდებულია, დაზარალებულს შეატყობინოს ამის შესახებ და შეადგინოს ოქმი.

დაზარალებულს უფლება აქვს, გამოძიების ან/და სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ან დანაშაული, რომელიც, კანონის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა. ამ შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, დაზარალებულს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. სასამართლოს განჩინება გამოაქვს 15 დღის ვადაში, ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე.⁷⁵⁸

სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების გამოტანამდე პროკურორი ვალდებულია, კონსულტაცია გაიაროს დაზარალებულთან და შეადგინოს ოქმი, ხოლო დადგენილების გამოტანის შემთხვევაში გაუგზავნოს მისი ასლი დაზარალებულს დადგენილების გამოტანის 1 კვირის ვადაში.

დაზარალებულს უფლება აქვს, სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ან დანაშაული, რომელიც, კანონის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა. ამ შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, დაზარალებულს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. სასამართლოს განჩინება გამოაქვს 15 დღის ვადაში, ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.⁷⁵⁹

სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ განჩინების გამოტანის მიუხედავად, მოსამართლე უფლებამოსილია, ამ საქმეში დაზარალებულად ცნობილ პირს მისცეს სხდომაზე ან სხდომის ნაწილზე დასწრების უფლება.⁷⁶⁰

რაც შეეხება დაზარალებულის მიერ დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხს, აღნიშნული გასულია სისხლის სამართლებრივი რეგულირების სფეროდან. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს, რომ პირს უფლება აქვს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.⁷⁶¹ საპროცესო შეთანხმება დაზარალებულს არ ათმევს უფლებას, შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი.⁷⁶²

757. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 58-ე;

758. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 106-ე;

759. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 168-ე;

760. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 182-ე;

761. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 92-ე;

762. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 217 (3)-ე;

დამარაღებულს ზიანის ანაზღაურება შეუძლია, მოითხოვოს სამოქალაქო წესით, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (N786, 26/06/1997, გამოქვეყნების წყარო: პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997, კონსოლიდირებული ვერსია: 05/07/2018) ითვალისწინებს დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესს,⁷⁶³ რა დროსაც მატერიალური ზიანზე დავის ფარგლებში მოსარჩელები თავისუფლდებიან ბაჟის გადახდის ვალდებულებისგან.⁷⁶⁴

უმცირესობებისა და კულტურული უფლებების დაცვა

121 როგორ იცავენ ანტიდისკრიმინაციისა და უმცირესობების თანასწორობის პრინციპებს საქართველოში? გთხოვთ, აღწეროთ არსებული საკონსტიტუციო და სამართლებრივი ბაზა, ასევე ინსტიტუციონალური ჩარჩო.

ანტიდისკრიმინაციისა და უმცირესობების თანასწორობის პრინციპების დაცვა მთავრობის მიერ ინიცირებული რიგი სამართლებრივი დებულებებითაა გარანტირებული. საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის“ შესახებ მიიღეს 2014 წლის მაისში. ის კრძალავს დისკრიმინაციის ნებისმიერ ფორმას და სხვა დებულებათა შორის ასევე იცავს სხვადასხვა უმცირესობათა ჯგუფების იურიდიულ ინტერესებს. კერძოდ, კანონი უზრუნველყოფს თანასწორობის პრინციპს რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური და ჯანმრთელობის მდგომარეობის, შებღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

2014 წელს საქართველოს მთავრობამ ასევე დაამტკიცა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია და შესაბამისი 2014–2020 წლების სამოქმედო გეგმა, რომლის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს სწორედ ეთნიკური/ეროვნული უმცირესობათა უფლებები შეადგენს. სხვა საკითხებთან ერთად, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას, ასევე უმცირესობათა უფლებების დაცვას პრიორიტეტულ მიმართულებად გამოყოფს და ითვალისწინებს ამ მხრივ არსებული დისკრიმინაციის პრევენციისა და აღმოფხვრის ზომებს, დებულებებს რელიგიური გაერთიანებების და მათი შეუფერხებელი საქმიანობის შესახებ, ეთნიკურ უმცირესობათა შორის სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესებას, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში უმცირესობათა ჩართულობის გაზრდას, მათი ცნობიერების ამაღლებას თანასწორობისა და ტოლერანტობის და სხვა მნიშვნელოვანი ზომების შესახებ.

ამ გეგმით ხსენებული ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტის გარდა საქართველოს სამართლებრივი ჩარჩო სხვა მოქმედ ანტიდისკრიმინაციულ ზომებსაც ითვალისწინებს, რომლებიც ეფექტურად ხორციელდება და ამით უმცირესობათა უფლებების დაცვის გარანტიას წარმოადგენს. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია საქართველოს კონსტიტუციის ის დებულებები, რომლებიც თანაბარ უფლებებს იცავს და კრძალავს ეთნიკური და რელიგიური ნიშნით მოტივირებულ დისკრიმინაციას. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად

763. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თავი XXXIV³

764. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 46 (1(დ))

რასისა, კანის ფერისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“.

საქართველოს არსებული კანონმდებლობის სხვა დებულებებიც აწესრიგებს თანასწორობისა და ანტიდისკრიმინაციის საკითხებს, მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ვალისწინებს სანქციებს თანაბარი უფლებების დარღვევისათვის (მუხლი 142-ე). სანქციები ითვალისწინებს ასევე რასობრივ დისკრიმინაციას, რომელიც ჩადენილია ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2012 წელს მიღებული ცვლილებების მიხედვით სანქციები დაწესდა დისკრიმინაციის ნებისმიერი ნიშნით მოტივირებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. აღნიშნული ცვლილების მიხედვით დადგინდა, რომ „დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის“.

მნიშვნელოვანი ანტიდისკრიმინაციული დებულებები ასევე შეტანილია 2011 წლის 28 დეკემბერს მიღებულ კანონში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის“ შესახებ. კანონში ინფორმაცია პიროვნების რასობრივი და ეთნიკური მიკუთვნების შესახებ მიიჩნევა, როგორც კონფიდენციალური ინფორმაცია და მისი დაცვა სავალდებულოა. კანონი ითვალისწინებს აღნიშნული კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვის ზომებსაც.

ანტიდისკრიმინაციულ საკითხებს ეხება ასევე განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელი სამართლებრივი ბაზაც. კერძოდ, საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების“ შესახებ უზრუნველყოფს განათლების მიღების უფლებას ყველა პირისთვის (მუხლი მე-9) და განათლებაზე თანაბარი წვდომის უფლებას (მუხლი მე-3.2ა). კანონი ავალდებულებს უმაღლესი განათლების დაწესებულებებს, უზრუნველყონ თანაბარი მოპყრობა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიმართ (მუხლი მე-16.1დ) და კრძალავს დისკრიმინაციას რელიგიური ან ეთნიკური ნიშნით (მუხლი მე-3.2თ).

საქართველოს მედია პოლიტიკის მარეგულირებელი კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს ანტიდისკრიმინაციულ დებულებებს. კერძოდ, „საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ“ კრძალავს ისეთი პროგრამების გაშუქებას, რომლებიც რაიმე ფორმით რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისკენ წაქეზების აშკარა და პირდაპირ საფრთხეს ქმნის. ის ასევე კრძალავს იმდაგვარი პროგრამების გაშუქებას, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეურაცხყოფისაკენ, დისკრიმინაციისა ან ამ თვისებისა თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისაკენ (მუხლი 56-ე). აღსანიშნავია, რომ ზემოთხსენებული კანონი ავალდებულებს საზოგადოებრივ მაუწყებელს, თანაბრად ასახოს თავის გადაცემებში ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით საქართველოს კულტურის სფეროშიც, რომელიც რეგულირდება „კულტურის შესახებ საქართველოს კანონით“. არსებული კანონის თანახმად საქართველოს მოქალაქეები თანასწორნი არიან კულტურულ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა (მუხლი მე-6).

ამას გარდა აღსანიშნავია საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, რომელიც საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინიციატივით მიიღეს 2014 წლის 5 თებერვალს. კანონი განსაზღვრავს ეროვნული უმცირესობების თანასწორობას ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ადგილობრივი თვითმმართველობის რეგულირების კვალდაკვალ, ახალი კოდექსი იცავს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის, მათ შორის, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების თანასწორობას კანონის წინაშე და მათი უფლებების თანაბარ დაცვას.

მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ, ამ კანონითა და საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით აირჩიონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და არჩეულ იქნენ ამ ორგანოებში განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა. ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა. ასევე, მ-5-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, შესაბამისად, ნებისმიერ პირს აქვს უფლება, ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ ფარგლებში და დადგენილი წესით, შეუზღუდავად ისარგებლოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმით. იმავე მუხლის მე-4 პუნქტი შემდეგნაირად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებს: ა) დასახლების საერთო კრება; ბ) პეტიცია; გ) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო; დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა; ე) მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა. ასევე აღსანიშნავია, რომ ნებისმიერ პირს აქვს უფლება, წინასწარი შეტყობინების ან/და წინასწარი ნებართვის გარეშე დაესწროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის საჯარო სხდომას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ორგანული კანონის – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისათვის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით აშშ-ს განვითარების სააგენტოს დაფინანსებით „დემოკრატიული მმართველობა საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინაციით 2014 წელს აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ითარგმნა და გამოიცა კოდექსი. განხორციელდა ასევე მისი გავრცელება უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

რაც შეეხება ინსტიტუციონალურ ჩარჩოს, უმცირესობების საკითხებს და მასთან დაკავშირებულ პოლიტიკას ავგარებს და აწესრიგებს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, რომლის კოორდინირებითაც 2009 წელს მიიღეს „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია“. აღნიშნული სახელმწიფო დოკუმენტი, რომელიც 2015 წელს კიდევ უფრო განავრცეს და დახვეწეს, მიზნად ისახავს უმცირესობების სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობას. დოკუმენტს თან ერთვის 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა. ჩარჩო დოკუმენტზე სახელმწიფო მინისტრის აპარატთან ერთად დამოუკიდებელი ექსპერტებიც მუშაობდნენ. მუშაობის პროცესში ასევე ხდებოდა საკოორდინაციო შეხვედრები უმცირესობების წარმომადგენლებთან. დოკუმენტი ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლესმა კომისარმაც დადებითად შეაფასა. დოკუმენტის განვითარება დაახლის სამოქმედო გეგმის მონახაზი ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურად შეფასდა, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ექსპერტების მიერ. იგი ემყარება თანასწორობის პრინციპს და „მეტი მრავალფეროვნება, მეტი ინტეგრაცია“ მიდგომას. დოკუმენტის ზოგადი მიზანია კულტურული ღირებულებების და საზოგადოების თითოეული წევრის იდენტობის დაცვა მაშინ, როცა სამოქალაქო ინტეგრაცია მიხნულია ქვეყნის განვითარებაში ეთნიკური ჯგუფების ჩართვის აუცილებელ წინაპირობად.

სტრატეგიის დოკუმენტი 4 ძირითად მიმართულებას გამოყოფს: თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში; თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა; ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება; ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფა (სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015–2020 წწ. სამოქმედო გეგმა, საქართველოს მთავრობა 2015). სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გაწერილია კონკრეტული სამოქმედო გეგმები 5 წლის ვადით შესაბამისი პასუხისმგებელი ინსტიტუტების მითითებით. სტრატეგია ასევე ადგენს ყოველწლიურ სამოქმედო გეგმას, რომელიც შეიცავს შესაბამის შეფასებით და ანგარიშგებით მექანიზმებს. სტრატეგია ხელს უწყობს უმრავლესობასთან მეტ ურთიერთობას და ინტერაქციას, რამდენადაც სამოქალაქო ინტეგრაცია გულისხმობს მთლიანი საზოგადოების, მისი ყოველი წევრის ჩართულობას. სტრატეგიის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს მცირე და მოწყვლადი ეთნიკური ჯგუფების ინტერესების გათვალისწინება, კერძოდ, მთავრობა იღებს ვალდებულებას, დაიცვას მცირე და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების საგანმანათლებლო და იურიდიული ინტერესები, ასევე დაუშვას მათი მშობლიური ენების სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში. დოკუმენტის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ასევე გენდერული საკითხის წინ ჩამოწევა. კერძოდ, უმცირესობების თემებში ქალთა უფლებების დაცვა და მათი საჭიროებების გათვალისწინება, მათი ინტეგრაციის ხელშეწყობა. დასახული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო მინისტრის აპარატი კოორდინირებას უწევს უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობას, რომელიც აერთიანებს ეთნიკურ უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ყველა სამინისტროსა და სახელმწიფო ინსტიტუტს. კომისიის ფარგლებში ორგანიზებული შეხვედრების რიცხვი და განხილულ საკითხთა ფართო სპექტრი მიუთითებს კომისიის მუშაობის შედეგიანობაზე. გამოიკვეთა თითოეული უწყების როლი და ფუნქცია. კომისიის ფარგლებში ჩამოყალიბდა თემატური ჯგუფები, სადაც კომისიის წევრები არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად განიხილავენ არსებულ საკითხებს და გამოწვევებს, რაზე დაყრდობითაც გამოსცემენ მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს. 2017 წლისთვის დაგეგმილი ღონისძიებები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია შემდეგ სამინისტროებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებზე: კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო; განათლების და მეცნიერების სამინისტრო, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; სახალხო დამცველის აპარატი; საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია; თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო; ბათუმის მერია; სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ქვემო ქართლში; სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია სამცხე-ჯავახეთში; სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია კახეთში; საზოგადოებრივი მაუწყებლობა; სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია; პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა; სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია; სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციები ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების პოლიტიკის მართვის გამიჯვნა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა, რომელიც საქართველოს ამჟამინდელმა ხელისუფლებამ მიიღო უმცირესობების ინსტიტუციონალური მართვის სფეროში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის საკითხებს კურირებს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ხოლო რაც შეეხება რელიგიურ მრავალფეროვნების საკითხებს, ასევე რელიგიური უმცირესობების პრობლემებს, მათ კურირებს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, რომელიც 2014 წელს ჩამოყალიბდა სახელმწიფო დადგენილების საფუძველზე.

122 როდის იგეგმება მოსახლეობის მომდევნო აღწერა? უკვე შემუშავდა თუ არა აღწერის კითხვარისთვის საჭირო კანონები და მეთოდოლოგია? მოგვარებულია თუ არა ფინანსური მხარე? შეიცავს თუ არა კითხვარი ინფორმაციას ეთნიკური მიკუთვნების შესახებ? უმცირესობების შესახებ მონაცემთა შეგროვების პროცესში როგორ უზრუნველყოფენ პერსონალურ მონაცემთა დაცვას? გთხოვთ, განავრცოთ.

შემდეგი აღწერის ზუსტი თარიღი ჯერ დადგენილი არ არის. მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ბოლოს 2014 წლის 5-19 ნოემბერს ჩატარდა 2009 წლის 11 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის „საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საფუძველზე. კანონი ადგენს აღწერის თარიღებს, მისი ჩატარების, შეგროვებულ მონაცემთა დამუშავების, ასევე შედეგების გამოქვეყნების და გავრცელების წესებს. ის ამასთანავე განსაზღვრავს აღწერის ძირითად მეთოდებს და დებულებებს, მოსახლეობის მონაწილეობას. აღწერის ჩატარებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ინსტიტუტია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), თუმცა აღწერის მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული საკითხების განსაზღვრაში ასევე ჩართულია რიგი სახელმწიფო ინსტიტუტები, სამეცნიერო დაწესებულებები და სხვა პარტნიორი მხარეები. აღწერის ჩატარებამდე საქსტატმა გაითვალისწინა გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები მეთოდოლოგიასა და კითხვართან დაკავშირებით. გამოკითხვაში ჩართულმა პერსონალმა, ჯამში 15 000 ადამიანმა, გაიარა სპეციალური მოსამზადებელი ტრენინგი. აღწერა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. კითხვარი ასევე შეიცავს მონაცემებს მოსახლეობის ეთნიკური წარმოშობის, რელიგიური მიკუთვნების და მშობლიური ენის შესახებ. თუმცა, მოქალაქეებს უფლება აქვთ, არ უპასუხონ კითხვას ეთნიკური წარმოშობის შესახებ. მოსახლეობის აღწერა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე არ ჩატარებულა (ქვემოთ მოცემულია საქართველოს ეთნიკური შემადგენლობის ამსახველი დანართი).

პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნით მიღებული ზომები:

ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მიხედვით პერსონალურ მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა სავალდებულოა და მისი გასაჯაროება დასჯადია. ამასთანავე, საქსტატის ორგანოებში დასაქმებულებს ეკრძალებათ ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის გასხვისება.

ცხრილი 1. საქართველოს ეთნიკური ჯგუფები 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით

ეთნიკური	სულ	პროცენტული მაჩვენებელი
ქართველი	3,224,564	86.83%
აზერბაიჯანელი	233,024	6.27%
სომეხი	168,102	4.53%
რუსი	26,453	0.71%
ოსი	14,385	0.39%
იფიდი	12,174	0.33%
ქურთი	1,596	0.04%
უკრაინელი	6,034	0.16%
ქისტი	5,697	0.15%

ბერძენი	5,544	0.15%
ასირიელი	2,377	0.06%
თურქი	1,663	0.04%
ებრაელი	1,405	0.04%
ავარი	1,060	0.03%
აფხაზი	864	0.02%
მოდოველი	770	0.02%
პოლონელი	740	0.02%
ბოშა	604	0.02%
გერმანელი	438	0.01%
ბელორუსი	431	0.01%
უდინი	174	0.00%
ბულგარელი	98	0.00%
ლიტუველი	98	0.00%
ლატვიელი	81	0.00%
ესტონელი	47	0.00%
ჩეხი	37	0.00%
სხვა ეროვნება	4,240	0.11%
არ არის მითითებული	1,104	0.03%

123 გთხოვთ, გაგვიზიაროთ სტატისტიკური მონაცემები, თუკი ასეთი მოიპოვება, უმცირესობა / უმრავლესობის მიმართებაში ქვემოთ მოცემული მაჩვენებლების მიხედვით:

- საცხოვრებელი ადგილი
- განათლება
- ჯანდაცვა
- დასაქმება და უმუშევრობა

საქსტატი არ იძლევა ინფორმაციას უმცირესობების შესახებ თქვენ მიერ დასახელებული მაჩვენებლების მიხედვით, თუმცა, მოიპოვება ინფორმაცია რეგიონების მიხედვით მშობლიური ენისა და ქართული ენის სრულყოფილად ფლობის შესახებ. უფრო მეტიც, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აქვს ინფორმაცია არაქართული სკოლებისა და უმცირესობების წარმომადგენელ მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ.

23-ე თავის დანართი

კითხვა 123

ცხრილი 1. მოსახლეობის მოცემულობა რეგიონის, მშობლიური ენის და ქართული ენის სრულყოფილად ფლობის მაჩვენებლების მიხედვით

	სულ								
	სულ	მშობლიური ენები:							
		ქართული	აფხაზური	ოსური	აზერბაიჯანული	რუსული	სომხური	სხვა	არ არის მითითებული
საქართველო	3,713,804	3,254,852	272	5,698	231,436	45,920	144,812	30,742	72
თბილისი	1,108,717	1,014,079	96	1,281	14,640	25,993	37,500	15,086	42
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	333,953	321,823	113	23	232	6,500	3,237	2,017	...
გურია	113,350	111,343	...	15	33	742	998	215	...
იმერეთი	533,906	530,672	12	43	85	1,755	528	810	...
კახეთი	318,583	272,737	...	1,953	32,183	2,310	1,483	7,902	...
მცხეთა-იმერეთი	94,573	90,370	...	578	2,297	332	150	843	0
რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	32,089	31,992	0	21	...	50	...	23	0
სამეგრელო ზემო სვანეთი	330,761	328,570	17	17	55	1,585	117	399	...
სამცხე ჯავახეთი	160,504	79,065	...	91	74	979	79,878	413	0
ქვემო ქართლი	423,986	219,706	13	277	176,417	4,849	20,095	2,620	...
შიდა ქართლი	263,382	254,495	...	1,399	5,419	825	824	414	...

ქართული ენის სრულყოფილი ფლობა								
სულ	მშობლიური ენები:							
	ქართული	აფხაზური	ოსური	აზერბაიჯანული	რუსული	სომხური	სხვა	
3,409,015	3,254,852	163	4,831	43,579	29,179	57,316	19,095	
1,082,680	1,014,079	57	1,010	10,121	18,171	29,584	9,658	
328,651	321,823	70	17	160	3,595	2,233	753	
112,653	111,343	19	394	745	139	
532,786	530,672	12	37	38	1,152	411	464	
290,873	272,737	...	1,729	8,068	1,437	1,251	5,649	
93,702	90,370	0	501	1,816	221	98	696	
32,059	31,992	0	16	...	34	0	16	
329,711	328,570	11	12	19	795	88	216	
96,649	79,065	...	72	40	468	16,676	326	
247,822	219,706	...	209	18,983	2,356	5,573	990	
261,429	254,495	...	1,218	4,314	556	657	188	

ქართული ენის არასრულყოფილი ფლობა							
სულ	მშობლიური ენები						
	ქართული	აფხაბური	ოსური	აბერბაიჯანული	რუსული	სომხური	სბვა
263,706	X	19	189	172,134	9,099	74,258	8,007
13,299	X	...	46	3,034	4,002	2,889	3,320
3,098	X	...	0	32	1,598	511	950
269	X	0	144	72	47
556	X	0	0	20	253	30	253
24,249	X	0	58	21,672	552	110	1,857
341	X	0	15	198	47	...	75
12	X	0	0	0
688	X	...	0	21	507	19	140
57,610	X	0	...	27	384	57,132	62
162,400	X	...	16	146,276	1,493	13,423	1,189
1,184	X	0	48	849	113	65	109

არ არის მითითებული							
სულ	მშობლიური ენები:						
	აფხაბური	ოსური	აბერბაიჯანული	რუსული	სომხური	სბვა	არ არის მითითებული
41,083	90	678	15,723	7,642	13,238	3,640	72
12,738	31	225	1,485	3,820	5,027	2,108	42
2,204	36	...	40	1,307	493	314	...
428	0	204	181	29	...
564	0	...	27	350	87	93	...
3,461	...	166	2,443	321	122	396	...
530	...	62	283	64	46	72	0
18	0	...	0	0
362	15	283	...	43	...
6,245	...	14	...	127	6,070	25	0
13,764	...	52	11,158	1,000	1,099	441	...
769	...	133	256	156	102	117	...

ცხრილი 2. შინამეურნეობების მოცემულობა რეგიონულ დონეზე ქართული ენის სრულყოფილად ფლობის მანქანების მიხედვით

	ვერსიო შინამეურნეობები	შინამეურნეობების ყველა წევრი სრულყოფილად ფლობს ქართულ ენას	შინამეურნეობების ყველა თუ არა, ერთი წევრი მაინც ფლობს ქართულ ენას სრულყოფილად	ქართული ენის უცოდინარი შინამეურნეობები	არ არის მითითებული
საქართველო	1,109,130	1,009,810	39,898	59,403	19
თბილისი	339,304	322,622	11,448	5,224	...
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	83,782	80,320	1,964	1,493	...
გურია	34,931	34,475	305	151	0
იმერეთი	169,016	168,166	539	310	...
კახეთი	98,975	90,631	4,789	3,554	...
მცხეთა-მთიანეთი	29,863	29,369	420	74	0
რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	12,902	12,877	16	...	0
სამეგრელო-ზემო სვანეთი	101,507	100,684	557	266	0
სამცხე-ჯავახეთი	43,981	25,040	6,545	12,396	0
ქვემო ქართლი	114,579	66,614	12,322	35,641	...
შიდა ქართლი	80,290	79,012	993	285	0

ცხრილი 3 არაქართული საჯარო სკოლების და მოსწავლეების რიცხვი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით:

საჯარო სკოლები არა ქართული ენის სექტორით	სკოლების რაოდენობა	მოსწავლეების რაოდენობა
სომხური	115	12,657
აზერბაიჯანული	82	15,597
ქართულ-აზერბაიჯანული	229	11,926
ქართულ-რუსული	20	16,801
რუსული	10	2,610
ქართულ-სომხური	8	1,242
სომხურ-აზერბაიჯანული	2	143
აზერბაიჯანულ-რუსული	2	290
ქართულ-სომხურ-რუსული	1	593
სომხურ-რუსული	1	11
ქართულ-აზერბაიჯანულ-რუსული	1	1,218
სულ	271	63,088

124 რამდენი ბოშა ცხოვრობს საქართველოში? რა ზომები ტარდება მათი ინტეგრაციის მიზნით?

2014 წლის ოფიციალური მონაცემებით საქართველოში 604 ბოშა ცხოვრობს. თუმცა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ბოშათა რიცხვი 1200 ადამიანს აჭარბებს. 2012 წლიდან საქართველოს მთავრობის მთავარ პრიორიტეტს ამ კატეგორიის მიმართ წარმოადგენს სამართლებრივი პრობლემების მოგვარება, რაც გამოიხატება მოქალაქეობის საკითხის დადგენასა და ბოშების დოკუმენტაციის მოწესრიგებაში, მეორე მხრივ კი – საგანმანათლებლო საჭიროებების შესწავლა და მოგვარება. საქართველოს მთავრობის ასეთი პოლიტიკა ასახულია კიდევ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიაში, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მცირერიცხოვან და მოწყვლად ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერის საკითხს. სტრატეგიის ფარგლებში საქართველოს მთავრობამ ვალდებულებად აიღო სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში მცირერიცხოვან და მოწყვლად ეთნიკურ ჯგუფებთან დაკავშირებული პრობლემების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს აღნიშნულ ჯგუფებთან მიმართებაში ინტეგრაციაზე ორიენტირებული ძირითადი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. ეთნიკურ უმცირესობებს შორის ასეთ კატეგორიად, პირველ რიგში, ბოშები და ბოშებთან ასოცირებული სხვა ჯგუფები აღიქმებიან.

მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების შესწავლის და მათ მიმართ შესაძლო დისკრიმინაციის აღკვეთის გარდა საქართველოს მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურების, განსაკუთრებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული დანაყოფის წარმომადგენელთა მომზადებასა და გადამზადებას ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვის და დისკრიმინაციის აღმოფხვრის თვალსაზრისით. ძირითადი სამთავრობო ინსტიტუციები, რომლებიც ამ პრობლემების მოგვარებაზე მუშაობენ, არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და შინაგან საქმეთა სამინისტრო.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინირებით 2016 წლიდან ფუნქციონირებს უწყებათაშორისი სააკორდინაციო შეხვედრების ფორმატი, რომელშიც მონაწილეობს სხვადასხვა რელევანტური სამთავრობო უწყება (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს კულტურის სამინისტრო), ასევე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც განიხილავენ მოწყვლადი ეთნიკური ჯგუფების, მათ შორის, ბოშების პრობლემეტიკას და მუშაობენ კონკრეტული საჭიროებების გამოვლენისა და მათი გადაჭრის გზებზე.

მოწყვლადი ეთნიკური ჯგუფებისათვის სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრა და მათთვის იურიდიული დოკუმენტაციის მოგვარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საქმიანობა იქნა გაწეული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ. 2012–2016 წლების მანძილზე საქმისწარმოებაში მიღებულ იქნა ბოშათა საქმეები, 65 მათგანს მიენიჭა შესაბამისი სამართლებრივი სტატუსი;

მოწყვლადი ეთნიკური ჯგუფების საგანმანათლებლო საჭიროებების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მიმდინარე სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში ახორციელებს ბოშათა ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირების პოლიტიკას. კერძოდ, სამინისტროს სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში 2016 წლის მდგომარეობით სხვადასხვა

საჯარო სკოლებში უკვე ჩარიცხულია 225 ბოშა მოზარდი. შედარებისათვის, აღსანიშნავია, რომ 2008 წელს ჩატარებული დამოუკიდებელი კვლევის მიხედვით (უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრის სამუშაო მოხსენება) საქართველოს საჯარო სკოლებში მხოლოდ 5 ბოშა ბავშვი ირიცხებოდა. ამას გარდა, აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში 2016 წელს მომზადდა ტრენინგის მოდული, რომლის მიზანია არის ზოგადად ქართულ საზოგადოებაში ბოშების შესახებ ცნობადობის და ცნობიერების ამაღლება.

125 რა ზომები გატარდა უმცირესობების, განსაკუთრებით, ბოშებისა და ეგვიპტელების, დაბადების რეგისტრაციის დროს მონაცემთა აღრიცხვის მიზნით? მიეთითება თუ არა ეთნიკური წარმომავლობა დაბადების მოწმობაში, განსაკუთრებით, ბოშების შემთხვევაში? როგორ ხორციელდება აღნიშნული პროცედურა ადგილობრივ დონეზე?

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით დაბადების რეგისტრაციის პროცედურა ერთნაირია ყველასათვის, როგორც უმცირესობების, ასევე უმრავლესობის წარმომადგენლებისათვის, თუმცა ბოშებისთვის, რომლებიც მოწყვლად და მარგინალურ ჯგუფს მიეკუთვნებიან, დაბადების მოწმობის დროული აღება ჯერ კიდევ სირთულეს წარმოადგენს. ბოშათა გაძლიერებისა და მათი ინტეგრაციის წახალისების საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციის (უმცირესობათა საკითხთა ევროპული ცენტრი, ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი) მონაცემების მიხედვით 2005–2010 წლებში ბოშა ბავშვების მხოლოდ 50% ფლობდა დაბადების მოწმობას. მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა 2009 წელს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და მასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდეგ. სტრატეგიის ფარგლებში სახელმწიფომ სხვადასხვა შესაბამისი სტრუქტურის მონაწილეობით, პირველ რიგში კი – იუსტიციის სამინისტროს, ჩამოაყალიბა ბოშათა საკონსულტაციო უწყება, რომლის მიზანს წარმოადგენს ბოშებისათვის დაბადების მოწმობების გაცემის პროცესის გაიოლება და კოორდინირება. დღეისათვის ბოშა ბავშვების უმრავლესობა ფლობს დაბადების მოწმობას. საბუთების დროული მოპოვება ხშირად ფერხდება ბოშებში გავრცელებული სახლში მშობიარობის ტრადიციით. ცნობიერების დაბალი დონითაა გამოიწვეული ის, რომ ბევრი ბოშა ჯერ კიდევ სახლში ამჯობინებს მოლოგინებას.

არსებული კანონმდებლობით ეთნიკური წარმომავლობა არ მიეთითება არც დაბადების მოწმობაში და არც პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში.

126 ენასთან დაკავშირებით არსებული საკანონმდებლო ბაზა თუ შეესაბამება ევროპის საბჭოს რეკომენდაციებს? როგორ ხდება წერილობითი და ზეპირი თარგმნის უზრუნველყოფა?

ენის პოლიტიკა, მათ შორის, ის საკითხები, რომლებიც უკავშირდება უმცირესობათა ენების განვითარებას, რეგულირდება 2015 წელს მიღებული კანონით სახელმწიფო ენის შესახებ. ეს კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო ენის სტატუსს, მისი გამოყენებისა და დაცვის საშუალებებს. კანონი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ ის შეიცავს მთელ რიგ დებულებებს ეთნიკურ/ეროვნულ უმცირესობათა ენების გამოყენების შესახებ. კანონი განსაზღვრავს „ეროვნული უმცირესობის ენას“, როგორც არასახელმწიფო ენას, რომელსაც ტრადიციულად იყენებენ საქართველოს გარკვეულ ტერიტორიაზე კომპაქტურად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები. ეთნიკურ/ეროვნულ უმცირესობათა ენებისათვის კანონი შემდეგ შესაძლებლობებს იძლევა: *სკოლამდელი, ზოგადი და უმაღლესი განათლების მიღება უმცირესობათა ენებზე.*

სახელმწიფო უზრუნველყოფს ეთნიკურ/ეროვნულ უმცირესობისათვის მიკუთვნიებული პირის სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან უმცირესობის ენაზე თარჯიმნის დახმარებით ურთიერთობას; საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უზრუნველყოფს მის მიერ მიღებული ნორმატიული აქტის უმცირესობის ენაზე თარგმანს; ეროვნულ უმცირესობის ენა შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ადგილობრივ ენაზე სხვადასხვა ღონისძიების ჩასატარებლად, გარდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს სხდომისა; იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც ეროვნული უმცირესობები კომპაქტურად ცხოვრობენ, შესაძლებელია, ეროვნულ უმცირესობათა ენები გამოყენებულ იქნეს საჯარო ინფორმაციის გავრცელებისათვის პლაკატის, აბრის, რეკლამის თუ აფიშის სახით.

ცალკე აღნიშვნის ღირსია განათლების სფეროში დამკვიდრებული საშეღავათო პრაქტიკა ეთნიკური უმცირესობებისათვის, რომელსაც განათლების სფეროში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ეწევა. 2010 წლიდან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს საშუალება აქვთ მიიღონ უმაღლესი განათლება გამარტივებული წესით. გამარტივებული სისტემა, ე.წ. „1+4 პროგრამა“ ითვალისწინებს ზოგადი უნარების გამოცდის ჩაბარებას აფხაზურ, ოსურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და სათანადო ქულების დაგროვების შემთხვევაში უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას. ახალგაზრდები ერთი წლის განმავლობაში გადიან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო კურსს და შემდგომ, 60 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში, აგრძელებენ სწავლას მათთვის სასურველ ფაკულტეტზე. აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი 2011 წლიდან 2015 წლის ჩათვლით აფხაზურენოვანი აბიტურიენტებისთვის უზრუნველყოფდა რუსულ ენაზე ზოგადი უნარებისა და აფხაზური ენის ტესტის შეთავაზებას აბიტურიენტთათვის, რაც შესაძლებლობას უქმნიდა აფხაზურენოვან აბიტურიენტებს, აფხაზურ ენაზე ჩაებარებიანათ მისაღები გამოცდები გამარტივებული ფორმით. მხოლოდ ზოგადი უნარების აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე საქართველოს მოქალაქის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა 2016-2017 სასწავლო წლის დასაწყისიდან. 2012 წლიდან უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული ეთნიკური უმცირესობების რაოდენობას და შესაბამის დინამიკას თუ გადავალვებით თვალს, აშკარად სახეზე გვაქვს ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში უმცირესობათა წარმომადგენლების რაოდენობის მკვეთრი მატება. მაგალითისათვის, 2015 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა: აზერბაიჯანულენოვანი ტესტების საფუძველზე - 522-მა აბიტურიენტმა, ხოლო სომხურენოვანი ტესტების საფუძველზე - 219-მა აბიტურიენტმა. 2016 წელს კი აზერბაიჯანულენოვანი ტესტების საფუძველზე ჩარიცხულთა რაოდენობა 660-მდე გაიზარდა, სომხურენოვანისა კი - 300 აბიტურიენტამდე. სახელმწიფო სასწავლო გრანტით 2016 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე დაფინანსდა 194 აბიტურიენტი (ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტის საფუძველზე - 99, ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის საფუძველზე - 95 აბიტურიენტი). სტატისტიკა: პროგრამის ფარგლებში 2012 წელს 589 არაქართულენოვანი სტუდენტი ჩარიცხა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, 2013 წელს - 890, 2014 წელს - 673, 2015 წელს - 741; 2016 - 960.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს არაქართულენოვანი სკოლებისა და არაქართულენოვანი სექტორების მხარდაჭერას. არაერთმა არაქართულენოვანმა სკოლამ (განსაკუთრებით რუსულენოვანმა) ოპტიმიზაციის პროცესის შედეგად არსებობა შეწყვიტა, თუმცა, იქ, სადაც ამის მზარდი მოთხოვნა არსებობს, სახელმწიფო ინარჩუნებს მსგავს სკოლებს. ასევე, უზრუნველყოფილია ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენებზე განათლების მიღების შესაძლებლობა (აზერბაიჯანული, სომხური, რუსული). საქართველოში ფუნქციონირებს 298 არაქართულენოვანი საჯარო სკოლა და 81 არაქართულენოვანი სექტორი. მათ შორის - 118 აზერბაიჯანულენოვანი, 131 -

სომხურენოვანი, 49 – რუსულენოვანი სკოლები. ასევე ქართულ-აზერბაიჯანული სექტორი – 32, ქართულ-რუსული სექტორი – 42, ქართულ-სომხური სექტორი-10, ქართულ-აზერბაიჯანულ-რუსული სექტორი – 1, ქართულ-რუსულ-სომხური სექტორი-1, რაც წარმოადგენს მთლიანად სკოლების 14%.

მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების ენების (სომხური და აზერბაიჯანული) სწავლებას საქართველოში უწყვეტი ტრადიცია გააჩნია, არსებობს შესაბამისი სტანდარტები და მეთოდოლოგია, შესაბამისად, საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა ადვილად ახერხებს მშობლიური ენის სწავლების პროგრამის განხორციელებას სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეებისათვის. პრობლემურ საკითხად განიხილებოდა მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების ენების სწავლება. საბჭოთა პერიოდში საქართველოში რამდენიმე ენის სწავლების (მაგალითად, ბერძნული, ოსური, ქურთული) ტრადიცია არსებობდა, თუმცა თანამედროვე ეტაპზე ამ ენების სწავლება უკავშირდებოდა სტანდარტიზაციას და მეთოდოლოგიის გამართვასაც. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა 2016 წელს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 20 ნოემბრის N1255 ბრძანებით განისაზღვრა სკოლები/კლასები, სადაც დაინერგა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების შემდეგი ენების სწავლება: ოსური, ხუნძური, უდიური, ასურული, ქურთული. 2016 წლის 13 სექტემბრის მინისტრის N702 ბრძანებით ცვლილება შევიდა ზემოაღნიშნულ N1255 ბრძანებაში და 1-ელ პუნქტს დაემატა “ვ” ქვეპუნქტი, რომლითაც განისაზღვრა ჩეჩნური ენის, როგორც არჩევითი საგნის, სწავლება კვირაში ორსაათიანი დატვირთვით.

127 რამდენად დაცულია თარგმნის უფლება სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სასამართლოს საქმის წარმოებისას და თუ მოდის იგი ევროპის საბჭოს დოკუმენტებთან შესაბამისობაში? თუ – კი, გთხოვთ, განავრცეთ.

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ევროპული ჩარჩო კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლების მიხედვით საქართველოს კანონმდებლობა უზრუნველყოფს ეროვნული უმცირესობებისათვის ინფორმაციის მიწოდებას მათთვის გასაგებ ენაზე. კერძოდ: საქართველოს ორგანული კანონი “საერთო სასამართლოების შესახებ” (მუხლი მე-10) უზრუნველყოფს სასამართლო პროცესის წარმოებას უმცირესობებისათვის გასაგებ ენაზე. ამავე დროს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (მუხლი 38-ე) უზრუნველყოფს დაკითხვისა და გამოძიების პროცესის დროს უმცირესობის ენაზე ინფორმაციის მიწოდებას და, საჭიროების შემთხვევაში, თარგმნის უფასო მომსახურებას. საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ ასევე ავალდებულებს სახელმწიფოს, უზრუნველყოს ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში უმცირესობების ენების თავისუფალი გამოყენება, რაც ასევე გულისხმობს უმცირესობების წარმომადგენლებისათვის უფასო თარგმნის მიწოდებას ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან კომუნიკაციის დროს.

„სახელმწიფო ენის შესახებ კანონი“ ასევე არეგულირებს ადგილობრივ დონეზე უმცირესობათა ენების გამოყენებას, კერძოდ, „იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობენ, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უფლებამოსილი არიან, დაადგინონ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული წესი, რომელიც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში ეროვნული უმცირესობისათვის მიკუთვნებული პირის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში ამ ეროვნული უმცირესობის ენაზე წარდგენილი განცხადების, საჩივრის, მასზე გაცემული პასუხის თარგმნას. ამასთანავე, ოფიციალური ძალა მხოლოდ შესაბამისი ტექსტის დედანს აქვს“;

იმავე კანონის მიხედვით „იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები

კომპაქტურად ცხოვრობენ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მის მიერ მიღებული ნორმატიული აქტის ამ ეროვნული უმცირესობის ენაზე თარგმნას. ამასთანავე, ოფიციალური ძალა მხოლოდ შესაბამისი ტექსტის დედანს აქვს“.

მიუხედავად ზემოთქმულისა, აღნიშნული უფლების უზრუნველყოფას აფერხებს კვალიფიციური თარგმნების ნაკლებობა. ხშირად ხდება, რომ უმცირესობები ვერ იღებენ მათ ენაზე მაღალკვალიფიციური თარგმნის მომსახურებას სასამართლო პროცესის დროს, რაც უარყოფითად აისახება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

128 თუ არსებობს უმცირესობებისათვის დაწესებული პროფესიული შეზღუდვები (დე იურე ან დე ფაქტო)?

საქართველოს კანონმდებლობით შრომით ურთიერთობებში იკრძალება დისკრიმინაცია. საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლით (მიღებული 2010 წლის 17 დეკემბერს) აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით.

სინამდვილეში კი უმცირესობების წარმომადგენლების დასაქმება გამოწვევად რჩება საქართველოში. უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში უმუშევრობის უფრო მაღალი მაჩვენებელია ვიდრე საქართველოს სხვა მხარეებში. ამის ძირითადი მიზეზებია: სახელმწიფო ენის არასაკმარისი ცოდნა და შეზღუდული პროფესიული უნარ-ჩვევები. ამის საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა გარკვეული პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს სამუშაოს მაძიებელი უმცირესობების წარმომადგენლებისათვის გარკვეულ შეღავათებს. მაგალითად, 2016 წლიდან მოყოლებული, უმცირესობების წარმომადგენლებს შესაძლებლობა აქვთ, ჩააბარონ პროფესიული ტესტები რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე და მიიღონ სრული სახელმწიფო დაფინანსება პროფესიული განვითარების პროგრამებში ჩასარიცხად. ამას გარდა, პროფესიული გადამზადების პროგრამებში ჩარიცხულ სტუდენტებს, რომლებიც უმცირესობებს წარმოადგენენ, შეუძლიათ, სწავლის დაწყებამდე გაიარონ ქართული ენის შემსწავლელი კურსი.

129 რამდენად და როგორაა უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობა გარანტირებული?

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში სრული და ნაყოფიერი ჩართულობის უზრუნველყოფა გათვალისწინებულია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტსა და მის შესაბამის სამოქმედო გეგმაში. სტრატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტს სწორედ უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობის წახალისება წარმოადგენს. აღნიშნულის მისაღწევად 2015-2020 წლებისათვის შემდეგი ამოცანებია დასახული: უმცირესობებისათვის ინფორმირებული არჩენისა და ხმის მიცემის უფლება, უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ პარტიებსა და არჩევნებთან დაკავშირებულ

ღონისძიებებში მონაწილეობის წახალისება, ასევე მათი სახელმწიფო სამსახურში ჩართვის ხელშეწყობა.

პრაქტიკული თვალსაზრისით, უმცირესობების ჩართულობის პოლიტიკა ძირითადად ორი განზომილებისაგან შედგება: სამოქალაქო და პოლიტიკური. სამოქალაქო მონაწილეობის თვალსაზრისით უკანასკნელი წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეთნიკურ უმცირესობებს გააჩნიათ სამოქალაქო პროცესებში მონაწილეობის ადეკვატური შესაძლებლობები, სახელმწიფოს მხრიდან ასევე ხელშეწყობილია კომუნიკაციის, კონსულტირების და ადვოკატირების ინსტიტუციური მექანიზმები. ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს სახალხო დამცველის ოფისთან დანერგილი საკონსულტაციო სტრუქტურის არსებობა, სახელწოდებით ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო, რომელიც 2005 წლიდან ფუნქციონირებს, როგორც ხელისუფლებასა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის საკომუნიკაციო და საკონსულტაციო არხი. საბჭო აერთიანებს ეთნიკურ უმცირესობათა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს განურჩევლად მათი წევრების რაოდენობისა და გეოგრაფიული მდებარეობისა. საბჭო ასევე უფლებამოსილია, გააჟღეროს ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემა და შეიმუშაოს პოლიტიკური რეკომენდაციები. უკანასკნელ წლებში საბჭოს დანიშნულება და მანდატი კიდევ უფრო გაფართოვდა და ის აღიჭურვა მონიტორინგის და შეფასების ფუნქციებით, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბჭოს ყოველწლიური ჩართულობა ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული სტრატეგიის შესრულების მონიტორინგის განხორციელებისათვის.

ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო ჩართულობის თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანი მექანიზმი არსებობს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, კერძოდ, 2016 წელს დამტკიცებული სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიხედვით 2017 წელს ამოქმედდა საკონსულტაციო მექანიზმი სამხარეო ადმინისტრაციების ბაზაზე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე შესაბამის სამხარეო ადმინისტრაციის ფარგლებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.

მნიშვნელოვანი საკონსულტაციო მექანიზმია ასევე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო ჩართულობაზე ორიენტირებული სტრუქტურა „მეგობრობის სახლი“, რომელიც ბათუმის მერიის მიერ იქნა დაარსებული 2006 წელს და აერთიანებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებულ ყველა ეთნიკურ გაერთიანებას. სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოსაგან განსხვავებით ბათუმის მეგობრობის სახლი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, აქტივობების ძირითადი ნაწილი მიმართულია აჭარის ეთნიკური მრავალფეროვნების წარმოჩენასა და კულტურული თვითმყოფადობის დაცვაზე.

როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საკონსულტაციო და ჩართულობაზე ორიენტირებული სტრუქტურების მნიშვნელობა ასევე გამოიხატება მათ მონაწილეობაში სხვადასხვა საერთაშორისო მექანიზმისათვის საქართველოში არსებული უმცირესობათა მდგომარეობის შესახებ ალტერნატიული მოხსენებების მომზადებაში. ასეთი მოხსენებები უკვე იქნა მომზადებული უნივერსალური პერიოდული მიმოხილვისათვა და რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტისათვის (CERD), ანალოგიური მოხსენება ასევე მზადდება საქართველოს მიერ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის შესრულების შესახებ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში გააჩნიათ სამოქალაქო აქტივობისა და საკუთარი პრობლემებისა თუ მიმდინარე გამოწვევების გააჟღერების და ადვოკატირების შესაძლებლობა, სახელმწიფოს მხრიდან კი უზრუნველყოფილია შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმების არსებობა; თუმცა, ასეთი პოზიტიური ფონის მიუხედავად, მთავარ გამოწვევად რჩება ეთნიკურ უმცირესობათა ორგანიზაციებისა და სათემო გაერთიანებების არამდგრადობა და არასაკმარისი მომზადება, დამოუკიდებლად აწარმოონ სამოქალაქო აქტივიზმი, კერძოდ, ადვოკატირება, მონიტორინგი თუ ლობირება. ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო

მონაწილეობა დიდწილად დამოკიდებულია გარეშე ფინანსურ უზრუნველყოფაზე, რომლის არარსებობის შემთხვევაში აღნიშნული ორგანიზაციები ვერ ახერხებენ თვითმობილიზებას. უკანასკნელი წლების მანძილზე ამის საუკეთესო მაგალითია ჯავახეთში (ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები) არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საკონსულტაციო ქსელის ფაქტობრივი გაქრობა. 2005 წლიდან ჯავახეთში ეთნიკურ უმცირესობათა სათემო მობილიზაციამ ინტენსიური ხასიათი მიიღო, რაც გამოიხატა ადგილობრივ დონეზე საკონსულტაციო მოქალაქეთა ფორუმის ჩამოყალიბებით, რომელიც რამდენიმე წლის მანძილზე ეფექტურად ახორციელებდა ადგილობრივი პრობლემატიკის როგორც გაჭვდერებას, ასევე ადვოკატირებას და უფლებების დაცვას, თუმცა, მას შემდეგ, რაც 2012 წლიდან ფორუმს შეეზღუდა შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერა საერთაშორისო დონორების მხრიდან, მისი საქმიანობა სრულად შეწყდა. ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო აქტივობის მთავარი ხელშემშლელი ფაქტორი სწორედ მათი არამდგრადობა და გარეშე დაფინანსებაზე მუდმივი დამოკიდებულებაა. ასეთივე არამდგრადობა ახასიათებს ზემოთ ნახსენებ სახალხო დამცველთან არსებულ ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს, რომლის აქტივობებიც ძირითადად მხარდაჭერილია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის მიერ. სავარაუდოა, რომ დაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში მისი ეფექტურობა და გავლენაც მნიშვნელოვნად შემცირდება.

ეთნიკურ უმცირესობათა მონაწილეობის პოლიტიკურ შემადგენელს რაც შეეხება, სამოქალაქო ჩართულობისაგან განსხვავებულ მდგომარეობას ვაწყდებით. თუ ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო ორგანიზაციებს გააჩნიათ სამოქალაქო აქტივობის განხორციელებისათვის საჭირო მექანიზმები, ეთნიკურ უმცირესობათა პოლიტიკური ინტერესები და მათი მონაწილეობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვნად ლიმიტირებულია. მართალია, აღნიშნული საკითხი ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციასა და სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად დასახელებული, თუმცა რეალურ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრირება ადეკვატური ხარისხით არ არის რეალიზებული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს მიერ არჩეული პოლიტიკა ეთნიკურ უმცირესობათა დაცვისა და ინტეგრაციის მიმართულებით ხასიათდება მულტიკულტურალიზმის კონცეფციის გაზიარებით, თუმცა პოლიტიკური ჩართულობის კონტექსტში იგივე მიდგომა მხოლოდ ფრაგმენტულად არის გაზიარებული. იმ ქვეყნების უმეტესობაში, რომლებიც მულტიკულტურალიზმს აღიარებენ, უმცირესობათა ჩართულობის უზრუნველყოფელი მთელი რიგი პრაქტიკული მექანიზმები არის დანერგული, რომელთაც ხშირ შემთხვევაში პოზიტიური დისკრიმინაციის ხასიათი გააჩნია; კერძოდ, ასეთ ღონისძიებებს შორის მოიაზრება ეთნიკურ უმცირესობათა ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური პარტიების არსებობა როგორც პარლამენტში, ასევე ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებში ეთნიკურ უმცირესობათა გარანტირებული წარმომადგენლობის არსებობა კვოტირების პრაქტიკის დანერგვით, პოლიტიკური პარტიებისათვის წამახალისებელი შეღავათების დაწესება ეთნიკურ უმცირესობათა საარჩევნო სიებში წამოყენების სანაცვლოდ და სხვა. თუმცა მსგავსი წამახალისებელი ქმედებები ეთნიკურ უმცირესობათა პოლიტიკური ჩართულობის გაძლიერებისათვის არ არის გათვალისწინებული ქართული კანონმდებლობით.

ეთნიკური უმცირესობების ნაყოფიერი და სრულყოფილი ჩართვა ზოგად პოლიტიკურ პროცესებში სრულად დამოკიდებულია კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიებსა და მათი კონკრეტული ლიდერების კეთილ ნებაზე. ეთნიკურ უმცირესობათა პოლიტიკური მონაწილეობის განმსაზღვრელ ინდიკატორად თუ მივიჩნევთ უმცირესობათა მონაწილეობას საპარლამენტო საქმიანობასა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში, მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელო იქნება. ეთნიკური უმცირესობები ყოველი მოწვევის საქართველოს პარლამენტში არიან წარმოდგენილები, თუმცა მათი რაოდენობა და პროცენტულობა მუდმივად მერყეობს. ქვეყანაში ეთნიკური უმცირესობის საერთო რაოდენობის გათვალისწინებით ყველაზე ადეკვატური და პროპორციული წარმომადგენლობა 2016 წელს არჩეულ საქართველოს პარლამენტშია, სადაც ეთნიკური უმცირესობები პარლამენტის 11 წევრით არიან წარმოდგენილები, რაც დეპუტატთა საერთო რაოდენობის 7.3 პროცენტს შეადგენს. ეს წინა მოწვევის პარლამენტებისაგან განსხვავებით შედარებით უახლოვდება

ქვეყანაში ეთნიკურ უმცირესობათა საერთო პროცენტულ მაჩვენებელს, რაც 2016 წლისათვის 13.2 პროცენტს შეადგენს.

არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს გათვალისწინებით ეთნიკური უმცირესობების არჩევა პარლამენტის წევრებად დამოკიდებულია პროპორციული სისტემის შემთხვევაში პოლიტიკური პარტიების მხრიდან საარჩევნო სიებში ეთნიკური უმცირესობების კანდიდატების გათვალისწინებაზე, მაჟორიტარული სისტემის შემთხვევაში კი – ანალოგიურად პოლიტიკური პარტიების ან საინიციატივო ჯგუფების მიერ ეთნიკური უმცირესობების დასახელებაზე მაჟორიტარული ოლქის კანდიდატად. დამკვიდრებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ წამყვანი პოლიტიკური პარტიები ნაკლებად არიან ორიენტირებულები პარტიულ საქმიანობაში ეთნიკური უმცირესობების მოზიდვით, რაც შემდგომში აისახება კიდევ პარტიულ საარჩევნო სიებში ეთნიკურ უმცირესობათა სიმცირეში. ანალოგიური პრობლემა იჩენს თავს მაჟორიტარული სისტემით არჩევნებშიც, გასული წლების არჩევნების პრაქტიკა აჩვენებს რომ ეთნიკურ უმცირესობებს გარანტირებული წარმომადგენლობა მხოლოდ ორ საარჩევნო ოლქში ჰქონდათ – ახალქალაქის და ნინოწმინდის ოლქებში. ეთნიკური უმცირესობებით სხვა კომპაქტურად დასახელებული ოლქებიდან კი მათი არჩევა დამოკიდებული იყო იმაზე, პოლიტიკურმა პარტიამ შეაჩერა თუ არა არჩევანი უმცირესობის წარმომადგენელზე. 2015 წელს საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით, რასაც შედეგად მოყვა შედარებით წერილი საარჩევნო ოლქების გამსხვილება და გაერთიანება, მაჟორიტარული სისტემით ეთნიკური უმცირესობების არჩევის ალბათობა კიდევ უფრო შეამცირა, რადგან გაერთიანებაში მოყვა რამდენიმე ის ოლქი, საიდანაც ეთნიკურ უმცირესობებს რამდენიმე კანდიდატის არჩევის საშუალება გააჩნდათ; კერძოდ, ახალქალაქისა და ნინოწმინდის საარჩევნო ოლქების გაერთიანებით 2016 წლიდან ფაქტობრივად რეგიონიდან ერთით ნაკლები უმცირესობის წარმომადგენელი აირჩევა.

აღმასრულებელ ხელისუფლებას რაც შეეხება, უმცირესობათა თემების ინტერესების გამომხატველი წარმომადგენლობა ძირითადად გვხვდება ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახელებულ რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში. ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების შემთხვევაში მართვის სადავეები მთლიანად მინდობილია ადგილობრივი სომხური ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლისათვის, რომლებიც იკავებენ როგორც გამგებლის, ასევე გამგებლის მოადგილეების თუ სხვა საკვანძო თანამდებობებს. ქვემო ქართლის რეგიონის შემთხვევაში კი ადგილობრივი ეთნიკური აზერბაიჯანული თემი მხოლოდ ფრაგმენტულად და არასრულფასოვნად ინაწილებს ადგილობრივ ხელისუფლებას. ახალქალაქისა და ნინოწმინდისაგან განსხვავებით ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში ეთნიკურ აზერბაიჯანულს არასდროს დაუკავებია გამგებლის თანამდებობა, ასევე იშვიათი გამონაკლისების გარდა ყველა სხვა საკვანძო თანამდებობებიც არააზერბაიჯანელების ხელშია თავმოყრილი.

ამავე დროს, ამ გამოწვევებზე საპასუხოდ აღსანიშნავია საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმილი შემდეგი ნაბიჯები:

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) მიერ ეთნიკური უმცირესობებისთვის განხორციელებული საქმიანობების კუთხით ბოლო წლებში დადებითი ტენდენციები გამოიკვეთა. აღნიშნული მიმართულებით ცესკო არაერთი მნიშვნელოვანი საქმიანობას ახორციელებს. კერძოდ, უზრუნველყოფს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მომზადებას საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით, საარჩევნო დოკუმენტაციის თარგმნას სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, საინფორმაციო-სარეკლამო ვიდეორგოლების დამზადებას სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და გაშვებას საზოგადოებრივი მაუწყებლისა და რეგიონული ტელევიზიების ეთერში, ეთნიკური უმცირესობების ამომრჩეველთა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, საინფორმაციო შეხვედრების გამართვასა და საარჩევნო პერიოდში ცესკოს აპარატში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების დასაქმებას. აღსანიშნავია, რომ ცესკო ყოველწლიურად განსაზღვრავს საგრანტო კონკურსის დაფინანსების მიმართულებებს, მათ შორის – კონკრეტულად ეთნიკური უმცირესობების ამომრჩეველთა სამიზნე

ჯგუფებისთვის. სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა (ცესკოს სწავლების ცენტრი) წინა წლების მსგავსად ამ მიმართულებით 2016 წელს გასცა მიზნობრივი გრანტები 8 ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციაზე და დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტმა 200 000 ლარზე მეტი შეადგინა.

ეთნიკურ/ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის ამაღლებას ისახავს მიზნად შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს საჯარო სექტორში ეთნიკურ/ეროვნულ უმცირესობათა სტაჟირების პრაქტიკის დანერგვას. პროგრამის ფარგლებში მოხდება სხვადასხვა საჯარო დაწესებულებაში (სამინისტროები, ადგილობრივი რეგიონულ სამსახურები, სახალხო დამცველის წარმომადგენლობები და სხვა უწყებები) კონკურსის წესით შერჩეული ეთნიკურ/ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული ახალგაზრდების სტაჟირებად დასაქმება. ამ საპილოტე პროექტის განხორციელება დაწყებულია.

მექანიზმები რასიზმისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ

130 რა საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები არსებობს რასიზმისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ?

საკანონმდებლო ჩარჩო:

კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი დაცულია საქართველოს კონსტიტუციით (*კანონი №786, მიღებულია: 24/08/1995, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 24/08/1995, ბოლო ცვლილება: 23/03/2018*). კონსტიტუციის მე-11 მუხლის მიხედვით “ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.”

საქართველომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის რატიფიცირება 1999 წელს მოახდინა. იმავე წელს მოხდა კიდევ ერთი საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირება – საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად. აქედან გამომდინარე, საქართველო წარმოადგენს ზემოაღნიშნული საერთაშორისო შეთანხმებების ხელშემკვერელ სახელმწიფოს. ბოლო პერიოდული ანგარიში სახელმწიფომ რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტს 2014 წლის ივლისში წარუდგინა.

2014 წლის მაისში საქართველომ მიიღო ახალი კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შე-სახებ (*კანონი №2391-III, მიღებულია: 02/05/2014, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 07/05/2014; ბოლო ცვლილება: 07/05/2014*). ეს კანონი აწესრიგებს დისკრიმინაციის აკრძალვას და მის აღმოსაფხვრელად კონკრეტულ მექანიზმებს ითვალისწინებს. აგრეთვე, განსაზღვრავს დისკრიმინაციის ფორმებს და უზრუნველყოფს მსხვერპლთა დაცვის სამართლებრივ საშუალებებს.

კანონის მიხედვით საქართველოს სახალხო დამცველს აქვს უფლებამოსილება, მონიტორინგი გაუწიოს დისკრიმინაციის აღმოფხვრას და თანასწორობის უზრუნველყოფას. სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტი იკვლევს დისკრიმინაციის შემთხვევებს ფიზიკური პირების განცხადების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით და იღებს შესაბამის რეკომენდაციებს. თუმცა, სახალხო დამცველის

რეკომენდაციებს არ აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა. მეორე მხრივ, კანონი უზრუნველყოფს დისკრიმინაციის მსხვერპლთა მიერ სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლებას და ითვალისწინებს გარკვეულ ზომებს, მათ შორის – კომპენსაციას მიყენებული მორალური ზიანისთვის.

საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ განსაზღვრავს დისკრიმინაციის ორ ფორმას: პირდაპირს და ირიბს. თუმცა, არ განსაზღვრავს შევიწროების ცნებას, რომელიც დისკრიმინაციის კონკრეტულ ფორმას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს შრომის კოდექსი (*კანონი №4113, მიღებულია: 17/12/2010, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ბოლო ცვლილება: 05/09/2018*) აგრეთვე უზრუნველყოფს დისკრიმინაციის აკრძალვას. შრომის კოდექსის მიხედვით ყველა სახის დისკრიმინაცია აკრძალულია შრომით ურთიერთობებში. განსხვავებით კანონისგან დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, შრომის კოდექსი შევიწროებას განსაზღვრავს, როგორც დისკრიმინაციის ფორმას სამუშაო ადგილზე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (*კანონი №2287, მიღებულია: 22/07/1999, გამოქვეყნდა: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 13/08/1999, ბოლო ცვლილება: 31/10/2018*) განსაზღვრავს დანაშაულის კონკრეტულ შემადგენლობას და რასობრივი დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აწესებს. ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა სისხლის სამართლის დანაშაულად განსაზღვრულია სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით. შესაბამისად, კანონის წინაშე ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა, თუ იგი ადამიანის უფლებებს არსებითად დაარღვევს, დამნაშაისთვის გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ცალკე განსაზღვრავს რასობრივ დისკრიმინაციას, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულს. აღნიშნული კოდექსის 142¹-ე მუხლის თანახმად რასობრივი დისკრიმინაცია არის ქმედება, ჩადენილი ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით, აგრეთვე რასის, კანის ფერის, ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილების ნიშნით ადამიანის უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა ანდა იმავე ნიშნით ადამიანისათვის უპირატესობის მინიჭება, რამაც არსებითად ხელყო მისი უფლება.

2012 წლის მარტში სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილება შევიდა, სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით კოდექსს სპეციალური ჩანაწერი დაემატა. შესაბამისად, სიძულვილი, როგორც დანაშაულის მოტივი, წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა სისხლის სამართლებრივი დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებას (სისხლის სამართლის კოდექსის 53¹-ე მუხლი).

დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ დებულებები ადმინისტრაციულ სამართალშიც იძებნება. მაგალითად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (*კანონი №2181, მიღებულია: 25/06/1999, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 15/07/1999, ბოლო ცვლილება: 31/10/2018*) უზრუნველყოფს კანონის წინაშე თანასწორობას და განსაზღვრავს, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ საკუთარი ვალდებულებები ნეიტრალობის დაცვით უნდა შეასრულოს. კოდექსი კრძალავს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღებას სხვადასხვა საქმეში, როდესაც ფაქტობრივი გარემოებები მსგავსია (მე-4 მუხლი).

ჩანაწერები თანასწორობის უზრუნველყოფისა და დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ ჯანდაცვის, განათლების და სხვა სფეროებშიც გვხვდება.

მაგალითად, საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ (*კანონი №1139, მიღებულია: 10/12/1997,*

გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ბოლო ცვლილება: 05/07/2018) მიუთითებს, რომ დაუშვებელია პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადი უარყოფითი დამოკიდებულების გამო (მე-6 მუხლი). დამატებით, საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ (კანონი №283, მიღებულია: 05/05/2000, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 25/05/2000, ბოლო ცვლილება: 05/07/2018) ასევე უზრუნველყოფს დისკრიმინაციის აკრძალვას ჯანდაცვის სფეროში.

საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ მე-3 მუხლის პირველი ნაწილის “თ” ქვეპუნქტის მიხედვით (კანონი №688, მიღებულია: 21/12/2004, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 10/01/2005, ბოლო ცვლილება: 20/09/2018) საქართველოში უმაღლესი განათლების მიზნების მისაღწევად უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაცია აკრძალულია, მათ შორის – აკადემიური, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით.

საქართველოს კანონის საჯარო სამსახურის შესახებ (კანონი №4346, მიღებულია: 27/10/2015, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 11/11/2015, ბოლო ცვლილება: 05/09/2018) მე-9 მუხლის დებულება განსაზღვრავს საჯარო მოსამსახურეების კანონის წინაშე თანასწორობას და კრძალავს დისკრიმინაციას. ამ კანონის დებულებები უზრუნველყოფს კანონის წინაშე ყველა საჯარო მოსამსახურის თანასწორობას. ნორმის მითითებით დაუშვებელია სამოხელეო სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილე საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის კანონიერი უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ან საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი კუთვნილების, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ (კანონი №1444, მიღებულია: 04/10/2013, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 28/10/2013, ბოლო ცვლილება: 21/07/2018) მე-11 მუხლი უზრუნველყოფს პოლიციის ვალდებულებას, პატივი სცეს და დაიცვას ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, ასაკისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა მახასიათებლებისა.

ინსტიტუციური ჩარჩო:

საქართველოს შესახებ მე-5 ანგარიშში ევროპულმა კომისიამ რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI)⁷⁶⁵ ხელისუფლებას რეკომენდაცია მისცა, ჩამოეყალიბებინა პოლიციის შიდა სპეციალიზებული ერთეული, რომელიც იმუშავებდა რასობრივ და ჰომო-ტრანსფობიური სიძულვილის დანაშაულებზე; აგრეთვე, ერთეულის ჩამოყალიბებამდე მიეღო რეკომენდაციები სახალხო დამცველისა და შესაბამისი

765. რასიზმისა და შეუწყნარებლობის შესახებ ევროპული კომისიის ანგარიში საქართველოზე, მონიტორინგის მეხუთე ციკლი, გამოქვეყნებული 2016 წლის 1 მარტს, პარ. 99 <https://rm.coe.int/fourth-report-on-georgia/16808b5773>

არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებისგან. შედეგად 2018 წლის დასაწყისში **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი** ჩამოაყალიბა. დეპარტამენტის მთავარ მისიაა ქალთა წინააღმდეგ ჩადენილ, ოჯახური ძალადობის, სიძულვილით მოტივირებულ, ტრეფიკინგსა და არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე მიმდინარე გამოძიების ოპერატიულობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა. დეპარტამენტი ასევე თანამშრომლობს სახელმწიფო უწყებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. *თუმცა*, დეპარტამენტის მანდატი ვერ განიხილება, როგორც საერთაშორისო რეკომენდაციების სრული გათვალისწინება, რადგანაც რეკომენდაცია ითვალისწინებდა სპეციალური პოლიციის ერთეულის ჩამოყალიბებას საგამოძიებო მანდატით, რომელიც გამოიძიებდა სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულებს. ახალ დეპარტამენტს კი საგამოძიებო მანდატი არ გააჩნია. დეპარტამენტისთვის მინიჭებული უფლებამოსილება გულისხმობს გამოძიების მონიტორინგს (მათ შორის, რასობრივი მოტივით ჩადენილი დანაშაულების) და უფლებას, მინისტრს წარუდგინოს შესაბამისი რეკომენდაციები, აგრეთვე იდენტიფიცირება მოახდინოს ადმინისტრაციული წარმოების და გამოძიების პროცესის ნაკლოვანებების.

გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებების ერთეული სრულად ამონიტორინგებს და ზედამხედველობს სისხლის სამართლებრივი დევნის წარმოების ადამიანის უფლებათა ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას. დეპარტამენტი განიხილავს რეკომენდაციებს, ამზადებს სტატისტიკურ და ანალიტიკურ მონაცემებს და აყალიბებს პროკურორებისთვის შესაბამის რეკომენდაციებს. გენერალური პროკურატურის ანგარიშის⁷⁶⁶ მიხედვით სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა პრიორიტეტს წარმოადგენს. 2017 წელს, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიებისათვის პროკურორებისთვის შექმნილი რეკომენდაციების ეფექტური იმპლემენტაციის მიზნით სპეციალური კითხვარი შეიქმნა, რომელიც მოიცავდა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სავარაუდო მსხვერპლის, მოპასუხის და მოწმის გამოკითხვა/დაკითხვის ინსტრუქციას. აღნიშნული კითხვარი გადაეგზავნათ პროკურატურის ოფიცრებს, რამაც, პროკურატურის განცხადებით, გააუმჯობესა სისხლის სამართლის საქმეებზე სიძულვილის მოტივის საზღვარის მიზნით მიღებული ზომების ხარისხი და ეფექტურობა.

თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურას არ აქვს უფრო კონკრეტული სახელმძღვანელო პრინციპები რასიზმისა და ქსენოფობიის აღმოსაფხვრელად. რასობრივი მოტივით ჩადენილი დანაშაულების მზარდი რაოდენობისა და ქსენოფობიის გაძლიერების გათვალისწინებით, სახელმწიფოს პრობლემის გადასაჭრელად მკაფიო და ზუსტი პოლიტიკა არ აქვს. სამართალდამცავთა ცოდნა და მგრძობელობა დისკრიმინაციის შემთხვევების მიმართ არ არის საკმარისი (იხ. კითხვა 132-ე).

დისკრიმინაციასთან ბრძოლაში და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან მიმართებით **სასამართლო** მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს. **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო** ფუნდამენტური უფლებების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გარანტორია. კონსტიტუციის მიხედვით საკონსტიტუციო სასამართლო ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას განიხილავს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში გათვალისწინებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით ფიზიკური, იურიდიული პირის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე (საქართველოს კონსტიტუცია, მე-60 მუხლი, მე-4 პუნქტი, “ა” ქვეპუნქტი) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის მიხედვით (კანონი N95, მიღებულია: 31/01/1996, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 27/02/1996, ბოლო ცვლილება: 21/07/2018) . საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: საქართველოს მოქალაქეებს, სხვა ფიზიკურ პირებს და იურიდიულ პირებს, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია, დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის

766. საქართველოს გენერალური პროკურატორის ანგარიში, 2018 <https://bit.ly/2PuAali>

მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი; საქართველოს სახალხო დამცველს, თუ მას მიაჩნია, რომ დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი (საქართველოს ორგანული კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, 39-ე მუხლი, 1-ლი პუნქტი, “ა” ქვეპუნქტი). იქიდან გამომდინარე, რომ დისკრიმინაციის საქმეებზე სპეციალური დებულებები დაემატა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს (კანონი № 1106, მიღებულია: 14/11/1997, გამოქვეყნებულია: 31/12/1997 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ბოლო ცვლილება: 31/10/2018), 2014 წლის მაისიდან საერთო სასამართლოები დისკრიმინაციის აკრძალვისთვის მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს. ამ კოდექსის 363²-ე მუხლის თანახმად ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/ დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა. პირს უფლება აქვს, ამ მუხლით გათვალისწინებული სარჩელით მოითხოვოს: დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტა ან/და მისი შედეგების აღმოფხვრა და აგრეთვე მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

საქართველოს სახალხო დამცველი ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვისა და ზედამხედველობის მნიშვნელოვანი ინსტიტუციაა. სახალხო დამცველი აირჩევა 5 წლის ვადით, საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით. საქართველოს ორგანული კანონის სახალხო დამცველის შესახებ (კანონი N 230, მიღებულია: 16/05/1996, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 07/06/1996, ბოლო ცვლილება: 05/09/2018) მე-4 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით საქართველოს სახალხო დამცველი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და ნორმებით, ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით. 2005 წლიდან საქართველოს სახალხო დამცველთან ფუნქციონირებს ორი საბჭო: ეროვნულ უმცირესობათა საბჭო და რელიგიათა საბჭო. საბჭოები უნიკალური და მნიშვნელოვანი საკონსულტაციო ერთეულებია სახალხო დამცველისა და საქართველოს მთავრობისთვის. რელიგიათა საბჭო 32 რელიგიურ ორგანიზაციას აერთიანებს, ეროვნულ უმცირესობათა საბჭო კი 100-მდე ეთნიკურ უმცირესობათა ორგანიზაციასა და დიასპორას.

131 როგორია საქართველოში მისი განხორციელების პრაქტიკული გამოცდილება?

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ 2014 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 ივლისამდე აღწერილია სისხლის სამართლებრივი დარღვევის 65 საქმე 53¹-ე მუხლით (დამამძიმებელი გარემოებები სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულებისთვის) გათვალისწინებული დამამძიმებელი საფუძვლით.

2016 წელს: 1 საქმე – სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ეროვნული ნიშნით, 3 საქმე – სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ეთნიკურ ნიადაგზე, 27 საქმე – სიძულვილით მოტივირებული დანაშაული რელიგიური ნიშნით, 4 საქმე – სიძულვილით მოტივირებული დანაშაული რასობრივი ნიშნით; 2017 წელს: 1 საქმე – სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ეროვნული ნიშნით, 1 საქმე – სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ეთნიკური ნიშნით, 10 საქმე – სიძულვილით მოტივირებული დანაშაული რელიგიური ნიშნით; 2018 წელს (1 ივლისამდე): 1 საქმე – სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ეროვნული ნიშნით, 3 საქმე – სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ეთნიკური ნიშნით, 1 საქმე – სიძულვილით მოტივირებული დანაშაული კანის ფერის ნიშნით, 13 საქმე – სიძულვილით მოტივირებული დანაშაული რელიგიური ნიშნით).

ზემოაღნიშნულ საქმეებში 6 პირის მიმართ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა და პირებს ბრალი წარედგინათ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულში (4 პირს წარედგინა ბრალი სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულში რელიგიური ნიშნით; 1 პირს წარედგინა ბრალი სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულში ეთნიკური ნიშნით; 1 პირს წარედგინა ბრალი სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულში ეროვნული ნიშნით). სისხლის სამართლის კოდექსის 142¹-ე მუხლთან (რასობრივი დისკრიმინაცია) მიმართებით 17 პირის მიმართ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა (2015 წელი – 3 პირი; 2016 წელი – 14 პირი).

ბოლო წლების განმავლობაში ახლად შექმნილი რასისტული, ექსტრემისტული და ნეონაციონალისტური ჯგუფების შემამოფთებელი ზრდა ფიქსირდება. მათი სამიზნე ჯგუფი არის უცხოელები ამიხსა და აფრიკის ქვეყნებიდან, არადომინანტი რელიგიური ჯგუფები, უფლებადამცველი არასამთავრობოები, ლგბტ+ და ლიბერალური ჯგუფები.

2018 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა ორ პირს, რომლებსაც ბრალად რასობრივი დისკრიმინაცია ედებოდათ. დამნაშავედ ცნობილი პირები ფაშისტური ჯგუფი “ბერგმანის” წევრები იყვნენ. 2017 წლის შემდეგ ნეონაციონალური ჯგუფები ონლაინ და საჯარო სივრცეებში უფრო მეტად გააქტიურდნენ, ონლაინ გვერდებისა და პროფილების რაოდენობა, რომლებიც ნეონაციონალისტების მიერ იმართება, გაზრდილია. ისინი ავიწროებენ უცხოელებს (უმეტესად აზიური და აფრიკული ქვეყნების მოქალაქეებს), ზოგიერთი უკანონოდ თხოვს უცხოელებს, რომ წარმოადგინონ იდენტობის დამადასტურებელი დოკუმენტები და დაამტკიცონ, რომ საქართველოში კანონიერად ცხოვრობენ; მოითხოვენ სახელმწიფოსგან მიწების არაქართველებზე გაყიდვის და უცხოელების საქართველოში ცხოვრების აკრძალვას; აგრეთვე, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების⁷⁶⁷ “სახელმწიფოს მოღალატეებად” გამოცხადებას; იბრძვიან გამოხატვის თავისუფლების, ღამის კლუბების, ხელოვნების, ლიტერატურის და ფილმების წინააღმდეგ. სამიზნეები მიმდინარე პოლიტიკური, სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით იცვლება.

როგორც წესი, აგრესია მიმართულია იმ პირებისკენ, ვინც საკუთარ არსებობას და უფლებებს საჯარო სივრცეში გამოხატავენ. მაგალითად, 2018 წლის 13 მაისს თვითგამოცხადებული ფაშისტური ორგანიზაციის “ქართული ნაციონალური ერთობა – ნაციონალისტურ-სოციალისტური მოძრაობა”⁷⁶⁸ წევრებმა და მათმა მხარდამჭერებმა თბილისში ახალგაზრდების, რომლებიც ღამის რეიდებს და სამართალდამცავების მიერ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას აპროტესტებდნენ, ორგანიზებული აქციის კონტრაქცია⁷⁶⁹ გამართეს. ჯგუფი ნაციონალურ მისალმებას იყენებდა და სკანდირებდნენ: “დიდება ერს – სიკვდილი მტერს”. შეკრებილი ულტრანაციონალისტური ჯგუფები თბილისში ნაციონალური სიმბოლოების დემონსტრაციას ახდენდნენ. მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც ორგანიზაციის ლიდერი იარაღის⁷⁷⁰ უკანონო

767. “ქართული მარშის” მსვლელობა რუსთაველის მეტროდან სოროსის ფონდის ოფისისკენ” 12/09/2017 <https://netgazeti.ge/news/219990/>

768. ორგანიზაციის ფეისბუქის გვერდი https://www.facebook.com/pg/GeoNSM/about/?ref=page_internal

769. ულტრანაციონალისტების კონტრაქციის ამსახველი ვიდეო, კვირის პალიტრა, მაისი, 2018. <https://palitraneews.ge/video/chven-vart-kartveli-fashistebi-danarchenze-pasukhi-metaurma-gasts-sakartvelos-erovnuli-ertobis-tsevrebikashvetis-tadzarshe-mividnen>

770. ფაშისტური მოძრაობის ლიდერი, გიორგი ჭელიძე უკანონო იარაღისთვის დააკავეს, სექტემბერი, 2018 <http://www.tabula.ge/ge/story/136399-fashisturi-modzraobis-lideri-giorgi-chelidze-ukanono-iaraghistvis-daakaves>.

შენახვის ბრალდებით დააკავეს, იმავე ჯგუფის წევრებმა სასამართლო სხდომაზე გამოიყენეს ნაცისტური მისალმება⁷¹.

ხშირად მთავრობის რეაგირება რასობრივ ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულზე არ არის საკმარისი. ზოგიერთ შემთხვევაში გამოძიება არ იწყება ან არ ვლინდება დანაშაულის რასობრივი მოტივი. ამავდროულად უცხოელები (მეტწილად აფრიკული და აზიური ქვეყნებიდან) აღნიშნავენ, რომ ისინი ხშირად ხდებიან რასობრივი სიძულვილის მსხვერპლი საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ქუჩებსა და სხვადასხვა საჯარო სივრცეში. სახელმწიფოს ოფიციალური მონაცემები რასობრივი მოტივით ჩადენილ სიძულვილის დანაშაულზე შესამჩნევად ნაკლებია მსხვერპლთა მიერ აღნიშნულთან შედარებით. ზოგჯერ ენობრივი ბარიერი წარმოადგენს დაბრკოლებას შესაბამისი წარმოების დასაწყებად მოძალადეების მიმართ; ნდობის ნაკლებობა და შიში სამართალდამცავი სტრუქტურების მიმართ კიდევ ერთი დაბრკოლებაა, რომელსაც მსხვერპლები აწყდებიან დარღვევებზე განცხადების დროს.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე საქმე რასიზმის პრობლემისა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე სახელმწიფოს რეაგირების დემონსტრაციისთვის.

სავარაუდო რასობრივი ნიშნით ძალადობა ნიგერიელ სტუდენტებზე

2018 წლის 8 აპრილს თბილისში ბელიაშვილის ქუჩაზე მდებარე მუნიციპალურ სტადიონზე საქართველოს მოქალაქეები უცხოელ სტუდენტებს თავს დაესხნენ. საქართველოს მოქალაქეებმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს უცხოელ სტუდენტებს, რომლებიც ფეხბურთს თამაშობდნენ და საბოლოოდ სტადიონიდან გააძევეს. მოძალადეები თავდასხმის დროს, სავარაუდოდ, იყენებდნენ დისკრიმინაციულ და რასისტულ ენას, მიუთითებდნენ სტუდენტების კანის ფერსა და წარმოშობაზე, მოუწოდებდნენ ქვეყნის დატოვებისკენ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე (ძალადობა) მუხლით დაიწყო. საგამოძიებო მოქმედებების დროს გამოიკვეთა, რომ გამოკითხვისას შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლები ცდილობდნენ მოწმეების (უცხოელი სტუდენტების) ჩვენებებში არ აღესახათ შესაძლო რასობრივი მოტივი. სავარაუდოდ, ამ ქმედებების მიზანი იყო გამოძიების სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით გაგრძელება, რათა არ გადაკვალიფიცირებულიყო 142¹-ე (რასობრივი დისკრიმინაცია) ან 53¹-ე მუხლით, რომელიც შეუწყნარებლობას (რასობრივის ჩათვლით) დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად განიხილავს.

2018 წლის ივლისის ბოლოს ორ ნიგერიელ სტუდენტს, ფიზიკური ძალადობის მსხვერპლებს, ოფიციალურად მიენიჭათ დაზარალებულის სტატუსი სისხლის სამართლებრივი გამოძიების ფარგლებში. საქართველოს მოქალაქეებიდან ერთმა პირმა აღიარა ორი ნიგერიელი სტუდენტის ფიზიკური შეურაცხყოფა, პროკურატურამ კი მის მიმართ განრიდების მექანიზმის გამოყენება გადაწყვიტა. აღნიშნული გულისხმობდა 500 ლარიანი ჯარიმის დაკისრებას ნასამართლეობის წარმოშობის გარეშე. აღნიშნული მექანიზმის გამოყენებისთვის პროკურატურის წარმომადგენლებმა მსხვერპლებს თანხმობის გაცხადება სთხოვეს, რათა პროცედურა დასრულებულიყო და შეწყვეტილიყო გამოძიება.

771. გიორგი ჭელიძის პროცესი ადვოკატების რაოდენობის გამო დიდ დარბაზში გადაიტანეს ოქტომბერი, 2018. <https://imednews.ge/ge/dzalovnebi/81621/giorgi-chelidzis-protsesi-advokatebis-raodenobis-gamo-did-darbazshi-gadaitanes>

ულტრანაციონალისტური მოძრაობების მარში აღმამენებლის გამზირზე

2016 წლის სექტემბერი ულტრანაციონალისტური და ნეოფაშისტური ჯგუფების აქტიურობით გამოირჩეოდა. 27 სექტემბერს მოძრაობების, “ქართული ძალა”, “ბერგმანი”, “დინამო ულტრა”, “ედელვაისი” – წევრებმა თბილისში, რუსთაველისა და აღმამენებლის გამზირებზე მსვლელობა გამართეს. დემონსტრაციის მონაწილეები დისკრიმინაციულ და ქსენოფობიურ ენას იყენებდნენ და უცხოელებს ქვეყნის დატოვებისკენ მოუწოდებდნენ. მოგვიანებით ძალადობრივი ქმედებები დაიწყო: არაერთი თურქული რესტორნის ბანერი დააზიანეს, ერთ-ერთ რესტორანში შეაგდეს პიროტექნიკის ცეცხლმოკიდებული საშუალება. მონაწილეებმა ასევე დააზიანეს რესტორნების ფასადები. დემონსტრაციაზე ნათელი იყო, რომ მათი აგრესიის სამიზნე უცხოელები და მათი ბიზნესები იყო. პოლიციამ არაერთი მონაწილე გააჩერა და წესრიგის დაცვისაკენ მოუწოდა, აღნიშნულმა კი დემონსტრაციის მონაწილეებში უკმაყოფილება გამოიწვია და სწორედ ამის შემდეგ დაიწყო პოლიციასა და მსვლელობის მონაწილეებს შორის ფიზიკური დაპირისპირება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა 11 მონაწილე დააკავეს, მათ შორის – 7 არასრულწლოვანი⁷⁷². სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით დაკავებულებს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ხულიგნობის ბრალდება წაუყენეს (239-ე მუხლი).

საქართველოს პროკურატურიდან გამოთხოვილი ოფიციალური ინფორმაციის⁷⁷³ მიხედვით 2016 წლის 29 სექტემბერს პასუხისგებაში მიეცა 12 პირი (მათ შორის – 7 არასრულწლოვანი). მათ ბრალი რასობრივი დისკრიმინაციისა და ხულიგნობისთვის წაუყენათ.

ნეონაციისტური ჯგუფი “ბერგმანის” წევრების მიერ ნიგერიელ მოქალაქეზე ძალადობა

2015 წელს, ერთ-ერთი ნეონაციისტური ჯგუფის “Georgian Ultras” ფეისბუკ გვერდზე ვიდეო გამოქვეყნდა. ვიდეო ასახავს ფაშისტური ჯგუფის “ბერგმანის” წევრების ფიზიკურ თავდასხმას ნიგერიელ ახალგაზრდებზე. ინციდენტი 2015 წლის 19 სექტემბერს მოხდა თბილისში, რუსთაველის გამზირზე. საქართველოს მოქალაქეებმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ნიგერიის ორ მოქალაქეს და მათ ქართველ მეგობრებს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 142¹-ე მუხლით დაიწყო (რასობრივი დისკრიმინაცია).⁷⁷⁴

საქართველოს პროკურატურის ოფიციალური წერილის⁷⁷⁵ მიხედვით 2015 წლის 19 სექტემბერს რუსთაველის გამზირზე ნიგერიის მოქალაქეების მიმართ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტზე 2015 წლის 27 სექტემბერს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში სამი პირი მიეცა (მათ შორის – ერთი არასრულწლოვანი). 2018 წლის 20 აპრილს ორი პირის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი. რაც შეეხება არასრულწლოვანს, მის მიმართ გამოყენებული იყო განრიდების მექანიზმი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შესაბამისად. შესაბამისად, მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა.

772. წყარო: <https://police.ge/ge/shss-m-khulignobis-braldebit-11-piri-daakava/10030> <http://liberali.ge/news/view/24891/qartuli-dzalis-tsevrebs-rasobriv-diskriminatsiis-braldeba-aqvt-tsayenebuli>

773. 07.09.2018 საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილი N13/68380

774. წყარო: <http://www.tabula.ge/ge/story/129183-sasamartlom-rasobriv-diskriminaciis-gamo-2-adamians-4-4-tslit-patimroba-miusaja>

775. 07.09.2018 საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილი N13/68380

ფიზიკური ძალადობა ნიგერიის მოქალაქეებზე

2016 წლის 17 ოქტომბერს თბილისის ერთ-ერთ მაღაზიაში საქართველოს ორმა მოქალაქემ ნიგერიის მოქალაქეზე რასობრივი ნიშნით იძალადა. სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებისას საქართველოს მოქალაქეები რასისტულ ტერმინოლოგიას იყენებდნენ. ქართველებმა მაღაზიის მენეჯერს დაუძახეს და მოსთხოვეს, რომ არ დაეშვა რიგში ნიგერიის მოქალაქის მათ წინ მისვლა. კონფლიქტიდან გარიდების მიზნით მაღაზიის მენეჯერმა ნიგერიის მოქალაქე გაატარა რიგში, მან კი მალევე დატოვა მაღაზია. ქართველები მას უკან დაედევნენ და ქუჩაში ცემა დაუწყეს. გამვლელების ნაწილმა ინციდენტში ჩარევა ცადა, რათა ფიზიკური ძალადობა შეეჩერებინათ. ფიზიკური ძალადობისას საქართველოს მოქალაქეებმა გააგრძელეს სიძულვილის ენის გამოყენება და მოწოდებები, რომ მას დაეტოვებინა საქართველო, რადგან მისი ადგილი არ იყო საქართველოში.

საქართველოს მოქალაქეებს ბრალი წარედგინათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით (რასობრივი დისკრიმინაცია). 2016 წლის 9 ნოემბერს საპროცესო შეთანხმება დაიდო ბრალდებულებსა და პროკურატურას შორის, რაც სასამართლომ დაადასტურა. შესაბამისად, საქართველოს ორივე მოქალაქე სასამართლომ დამნაშავედ ცნო რასობრივი დისკრიმინაციისთვის, თუმცა მათ სასჯელად 3 წლის ვადით პირობითი მსჯავრი განესაზღვრათ, თავისუფლების აღკვეთის გარეშე⁷⁷⁶.

132 არსებობს თუ არა სპეციალური პოლიტიკა, პროგრამები, სტრატეგიები, ა.შ. რასიზმისა და ქსენოფობიის აღმოსაფხვრელად?

საქართველოში არ არსებობს სპეციალური სახელმწიფო პოლიტიკა, პროგრამები თუ სტრატეგიები რასიზმისა და ქსენოფობიის აღმოსაფხვრელად.

საქართველოს პროკურატურის მიერ მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციის⁷⁷⁷ მიხედვით პროკურატურას არ აქვს სპეციალური პროგრამა ან სამოქმედო გეგმა რასიზმისა და ქსენოფობიისთან საბრძოლველად. თუმცა, ოფიციალურ წერილში აღნიშნულია, რომ სპეციალური რეკომენდაცია სიძულვილის დანაშაულის გამოძიებასთან დაკავშირებით შემუშავებულია პროკურორებისთვის და პროკურატურის 2017-2021 წლის სტრატეგიაში კონკრეტული თავი ეძღვნება დისკრიმინაციისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღმოფხვრას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ასევე არ აქვს ცალკე პოლიტიკა და პროგრამა რასობრივი დისკრიმინაციის და ქსენოფობიის წინააღმდეგ. სამინისტროდან მიღებული ოფიციალური წერილის⁷⁷⁸ მიხედვით მომზადდა სპეციალური სახელმძღვანელო დისკრიმინაციის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთან საბრძოლველად, რომელიც გამოძიების მიმდინარეობისას გამოიყენება.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია წერილში⁷⁷⁹ მიუთითებს 2015 წლის სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის სტრატეგიაზე და ასევე 2015-2020 წლის სამოქმედო გეგმაზე, რომელიც ითვალისწინებს ნაბიჯებს რასიზმისა და ქსენოფობიის აღმოსაფხვრელად.

776. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, 2016 წლის 16 ნოემბერი, მოსამართლე ევატერინე გაბრიჩიძე.

777. 19.11.2018 საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილი №13/87765.

778. 30.10.2018 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი N 3 18 02654561.

779. 30.10.2018 საქართველოს მთავრობის წერილი N 9 18 00035448.

თუმა, მაგალითისთვის, საქართველოს მთავრობა მიუთითებს, რომ აღნიშნული სამოქმედო გეგმა მოიცავს საჯარო მოხელეების და ეთნიკური უმცირესობების ცნობიერების ამაღლებას ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაზე, რაც არ შეიძლება, განიხილებოდეს, როგორც სპეციალური სტრატეგია და რასიზმისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ მიღებული ზომები.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით ადამიანის უფლებათა დაცვის 2018-2020 წლის სამოქმედო გეგმა ასევე ითვალისწინებს მიზნებსა და აქტივობებს რასიზმისა და ქსენოფობიის აღმოსაფხვრელად.

თუმა, ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმა თემატურ თავებს მოიცავს, რომელთაგანაც არც ერთი ეძღვნება რასიზმის და ქსენოფობიის წინააღმდეგ მუშაობას. მთავრობის ოფიციალურ წერილში მითითებულია მე-18 თავზე – რელიგიის თავისუფლების და რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვა, რომელიც არ მოიცავს კონკრეტულ მიზნებს და მოქმედებებს რასიზმთან და ქსენოფობიასთან საბრძოლველად.

როგორც აღნიშნულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან მიღებულ ოფიციალურ წერილში⁷⁸⁰, ანტიდისკრიმინაციული მიდგომები და ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებული საკითხები ინტეგრირებულია სამინისტროს მიერ მიღებულ რამდენიმე ეროვნულ სტრატეგიაში. სამინისტროს განცხადებით, ეროვნული სასკოლო გეგმა მე-9-10 კლასებისთვის ითვალისწინებს სამოქალაქო განათლების სავალდებულო საგანს. ეს საგანი მოსწავლეებს ასწავლის ადამიანის უფლებებს, ტოლერანტობას, თანასწორობას და ფუნდამენტურ დემოკრატიულ ღირებულებებსა და პრინციპებს. მე-3-4 კლასებისთვის დანერგილია საგანი “მე და საზოგადოება”, ხოლო მე-5-6 კლასებისთვის – საგანი “ჩემი საქართველო”. სამინისტროს მითითებით აღნიშნული საგნები მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ტოლერანტული ღირებულებების მქონე, კულტურული და ეთნიკური განსხვავების მქონე ხალხის, შშმ პირების მიმართ პატივისცემით განწყობილი პიროვნების ჩამოყალიბებას. დამატებით, სასწავლო პროგრამა “მოქალაქეობა”, რომელიც შემუშავდა მე-7-9 კლასებისთვის, უკვე დანერგილია. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიხედვით ეს პროგრამა დაეხმარება მოსწავლეებში დემოკრატიული ღირებულებების, ეთიკური და ჰუმანური დამოკიდებულებების განვითარებას. სამინისტრო წერილში ასევე აღნიშნავს, რომ მითითებული სასკოლო პროგრამების გარდა არაფორმალური განათლების ფარგლებში სისტემატიურად ტარდება თემატური სასკოლო კონკურსები.

იმის მიუხედავად, რომ ზემოაღნიშნულ სამთავრობო უწყებებს აქვთ სხვადასხვა ტიპის დოკუმენტი დისკრიმინაციასთან საბრძოლველად და ცნობიერების ასამაღლებლად, რასიზმისა და ქსენოფობიის აღმოსაფხვრელად აუცილებელია უფრო მეტი ნაბიჯების გადადგმა შესაბამისი პროგრამებით და სტრატეგიებით.

780. 02.11.2018 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წერილი N 5 18 01414250.

როგორც უკვე აღინიშნა, ბოლო წლების განმავლობაში ახლად ჩამოყალიბებული რასისტული, ექსტრემისტული და ნეონაციონალისტური ჯგუფების შემამფოთებელი ზრდა ფიქსირდება. ნეონაციონალისტური ჯგუფები გააქტიურდნენ როგორც ვირტუალურ სივრცეში, სოციალური მედიის საშუალებით, ისე – საჯარო სივრცეში. ასევე შემამფოთებელია რასობრივი და ქსენოფობიური ნიშნით მოტივირებული დანაშაულების მზარდი რაოდენობა.

ბოლო პერიოდში ქსენოფობიური და ფაშისტური ჯგუფების გაძლიერების ფონზე, როდესაც ასეთი ტიპის ახალი ჯგუფები ყალიბდება, რასობრივი დისკრიმინაციის უფრო და უფრო მეტი შემთხვევების, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის და ქსენოფობიის ფონზე, მთავრობის ზოგადი ანტიდისკრიმინაციული სახელმძღვანელო მითითებები არასაკმარისი და შეუსაბამოა რასობრივი დისკრიმინაციის და ქსენოფობიის პრობლემის გადასაჭრელად.

აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავრობას სჭირდება მკაფიო და ზუსტი პოლიტიკა არსებული პრობლემის გადასაჭრელად. ხელისუფლებამ უნდა იმუშაოს მეტი, რათა რასობრივი სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს შესაბამისად და ეფექტურად უპასუხოს.

133 არსებობს თუ არა სახელმწიფო ორგანოები რასიზმისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტული ამოცანით და უფლებამოსილებებით?

კონკრეტული ამოცანით – რასიზმისა და ქსენოფობიის აღმოსაფხვრელად და შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი სახელმწიფო ორგანოები არ არსებობს. თუმცა არსებობს უწყებები, რომლებიც დისკრიმინაციის შემთხვევებზე საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებენ, მაგალითად, საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი.

საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ განსაზღვრავს სახალხო დამცველის კომპეტენციას საქართველოში დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიმართულებით. საქართველოს სახალხო დამცველი დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და თანასწორობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს უწევს მონიტორინგს. აღნიშნული მიმართულებით ომბუდსმენი განიხილავს განცხადებებს და საჩივრებს დისკრიმინაციასთან დაკავშირებით; საკუთარი ინიციატივით შეისწავლის დისკრიმინაციის შემთხვევებს; გამოსცემს შესაბამის რეკომენდაციებს დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად; ამზადებს და წარუდგენს ზოგად წინადადებებს შესაბამის დაწესებულებებს ან ფიზიკურ პირებს დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან დაკავშირებულ საკითხებზე; ამზადებს მოსაზრებებს საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით და წარუდგენს საქართველოს პარლამენტს; აწარმოებს და ახალიზებს დისკრიმინაციული შემთხვევების სტატისტიკურ მონაცემებს; ორგანიზებას უწევს ღონისძიებებს დისკრიმინაციის საჯარო ცნობიერების ამაღლებაზე და ა.შ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მისიაა, უზრუნველყოს დროული და ეფექტიანი რეაგირება ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახური ძალადობის, სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების, ტრეფიკინგისა და არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე მიმდინარე გამოძიებაზე. დეპარტამენტი ასევე თანამშრომლობს სახელმწიფო უწყებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. თუმცა, დეპარტამენტის მანდატი და ფუნქციები შეიძლება, არ იყოს საკმარისი სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ეფექტური გამოძიების პრობლემის გადასაჭრელად.

134 გთხოვთ, წარმოადგინოთ სტატისტიკური მონაცემები სიძულვილის, რასობრივი და ქსენოფობიური მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესახებ, როგორც მსხვერპლთან, ასევე დამნაშავეებთან მიმართებით, თუ შესაძლებელია.

ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები მიღებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოდან, საქართველოს გენერალური პროკურატურიდან და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან რასობრივ, ეროვნულ, ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე სიძულვილის მოტივით ჩადენილ სისხლის სამართლის დანაშაულებზე. სტატისტიკური მონაცემები მოიცავს შემდეგ პერიოდს: 2014 წლის პირველი იანვარი – 2018 წლის 1 ივლისი (4 წელიწადი და 6 თვე).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მონაცემები:

ოფიციალურად მოწოდებული ინფორმაციის⁷⁸¹ თანახმად ზემოაღნიშნული პერიოდის განმავლობაში 142-ე (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა) და 531-ე (სასჯელის დამამძიმებელი გარემოებები) მუხლის საფუძველზე არც ერთი საქმე არ ყოფილა შესული განსახილველად პირველი ინსტანციის, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში.

რაც შეეხება სისხლის სამართლის დანაშაულს, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142¹-ე მუხლით (რასობრივი დისკრიმინაცია), პირველი ინსტანციის სასამართლოში განსახილველად შევიდა 6 საქმე (2015 წელი – 1, 2016 წელი – 4, 2017 წელი – 1); სააპელაციო სასამართლოში განსახილველად შევიდა 2 საქმე (2017 წელი – 1, 2018 წლის პირველი 6 თვე – 1); საკასაციო სასამართლოში განსახილველად არც ერთი საქმე არ შესულა.

რაც შეეხება გამამტყუნებელ განაჩენების რაოდენობას ზემოაღნიშნულ საქმეებზე, პირველი ინსტანციის სასამართლომ 2016 წელს მიიღო ერთი გამამტყუნებელი განაჩენი და აგრეთვე ერთი გამამტყუნებელი განაჩენი მიიღო 2018 წლის პირველ ექვს თვეში. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს, 2018 წლის პირველი ექვსი თვის მანძილზე სასამართლომ გამოიტანა 2 გამამტყუნებელი განაჩენი (როგორც უკვე აღნიშნა, საკასაციო სასამართლოში არც ერთი საქმე არ შესულა განსახილველად).

საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაცემები:

ოფიციალურად მოწოდებული ინფორმაციის⁷⁸² თანახმად ზემოაღნიშნული პერიოდის განმავლობაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლით (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა) გათვალისწინებულ დანაშაულზე სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა.

თუმცა, რაც შეეხება სისხლის სამართლის კოდექსის 142¹-ე მუხლს (რასობრივი დისკრიმინაცია), აღნიშნული მუხლის საფუძველზე 2015 წელს სამი პიროვნების მიმართ, ხოლო 2016 წელს 14 პირის მიმართ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 531-ე მუხლით (სასჯელის დამამძიმებელი გარემოებები) გათვალისწინებულ დანაშაულებთან მიმართებით პროკურატურამ აწარმოა: 1 საქმე – ეროვნული ნიშნით,

781. 10.08.18 საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილი N ა-405-18.
782. 23.08.2018 საქართველოს გენერალური პროკურატურის ოფიციალური წერილი N 13/65109.

3 საქმე – ეთნიკური ნიშნით, 27 საქმე – რელიგიური ნიშნით, 4 საქმე – რასობრივი ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე.

2017 წელს პროკურატურამ აწარმოა: 1 საქმე – ეროვნული ნიშნით ჩადენილ სიძულვილის დანაშაულზე, 1 საქმე – ეთნიკური ნიშნით, 10 საქმე – რელიგიური ნიშნით, 0 საქმე – რასობრივი ნიშნით.

რაც შეეხება ზემოაღნიშნულ მონაცემებს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლთან მიმართებით, სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 4 ადამიანის მიმართ, სადაც მათ ბრალად ედებოდათ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ჩადენა რელიგიური ნიშნით.

2018 წლის პირველი ექვსი თვის მანძილზე საქართველოს პროკურატურამ აწარმოა: სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ეროვნული ნიშნით – 1 საქმე, ეთნიკური ნიშნით – 3 საქმე, კანის ფერის ნიშნით – 1 საქმე, რელიგიური ნიშნით – 13 საქმე. აღნიშნული საქმეებიდან სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ, რომელსაც რომელსაც ბრალი წარედგინა ეროვნების ნიშნით მოტივირებული სიძულვილის დანაშაულისთვის.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემები:

ოფიციალურად მოწოდებული ინფორმაციის⁷⁸³ თანახმად ზემოაღნიშნული პერიოდის განმავლობაში 2014 წელს სისხლის სამართლებრივი გამოძიება დაიწყო 1 საქმეზე 142-ე მუხლის (რასობრივი დისკრიმინაცია) საფუძველით, 2015 წელს სისხლის სამართლებრივი გამოძიება დაიწყო 1 საქმეზე 142-ე მუხლის (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა) საფუძველით. უკანასკნელ შემთხვევაში გამოძიება სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ნიშნების არარსებობის საფუძველით შეწყდა. 2016 წელს გამოძიება დაიწყო 1 საქმეზე ასევე სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლის (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა) საფუძველით. ამ უკანასკნელი საქმის შემთხვევაშიც შეწყდა გამოძიება, ასევე დანაშაულის ნიშნების არარსებობის მოტივით. 2017 წლის მონაცემების მიხედვით არც ერთი საქმე არ აღრიცხულა, ხოლო რაც შეეხება 2018 წლის პირველ 6 თვეს, სისხლის სამართლებრივი გამოძიება დაიწყო 3 საქმეზე, ასევე სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლის საფუძველით, რომლებიც ასევე შეწყდა, ასევე დანაშაულის ნიშნების არარსებობის საფუძველით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვერ შეძლო სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლთან (დამამძიმებელი გარემოებები სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულებისთვის) დაკავშირებით სტატისტიკური ინფორმაციის მოწოდება. ოფიციალურ წერილში განმარტებული იყო, რომ სამინისტრო ამ მიმართულებით სტატისტიკურ მონაცემებს არ აწარმოებს.

783. 20.08.2018 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წერილი N შსს 6 18 02023410.

რელიგიური ნიშანი	2014	2015	2016	2017	2018 (6 თვე)	2014	2015	2016	2017	2018 (6 თვე)	2014	2015	2016	2017	2018 (6 თვე)	
შინაგან საქმეთა სამინისტრო																
იმ საქმეების რაოდენობა, რომლებზეც გამოძიება დაიწყო	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
წარმატებული გამოძიება	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
განიხილა სასამართლომ	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
შეწყდა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
გენერალური პროკურატურა																
შესწავლილი საქმეების რაოდენობა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	27	10	13
დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ბრალი წარედგინა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	16	2	-
საერთო სასამართლოები																
<i>პირველი ინსტანციის სასამართლო</i>																
საქმეების სრული რაოდენობა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
გამამართლებელი განაჩენი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
გამამტყუნებელი განაჩენი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
<i>მეორე ინსტანციის სასამართლო</i>																
სრული რაოდენობა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
გამამართლებელი განაჩენი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
გამამტყუნებელი განაჩენი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტო

135 რა ნაბიჯებს (საკანონმდებლო, ინსტიტუციონალური და სხვა) დგამს/აპირებს რომ გადადგას საქართველო სააგენტოს საქმიანობაში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობის მისაღებად?

ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტოს შექმნის შესახებ ევროპის საბჭოს რეგულაციის (EC) No 168/2007 28-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად სააგენტო ღია კანდიდატი ქვეყნებისთვის, რათა მათ სააგენტოს საქმიანობაში მონაწილეობა მიიღონ დამკვირვებლის სტატუსით.⁷⁸⁴ ამასთან, ამავე მუხლის

784. ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტოს შექმნის შესახებ საბჭოს რეგულაციის (EC) 28-ე მუხლის პირველი პუნქტი, 2007 წლის 15 თებერვალი, No 168/2007.

მე-3 პუნქტის თანახმად, ქვეყანა, რომელმაც ევროკავშირთან გააფორმა სტაბილიზაციისა და ასოცირების შეთანხმება, შესაძლოა, სააგენტოში მიწვეულ იქნეს, როგორც დამკვირვებელი. შესაბამისად, ეს საკითხი საქართველოსათვის ამ ეტაპზე არარელევანტურია. საქართველოს კანდიდატი ქვეყნის სტატუსი უნდა ჰქონდეს იმისათვის, რომ დამკვირვებლის სახით იქნეს მიწვეული სააგენტოში.

პერსონალური მონაცემების დაცვა

136 პერსონალური მონაცემების დაცვა: წარმოადგინეთ ინფორმაცია აღნიშნული სფეროს მარეგულირებელი ნებისმიერი კანონმდებლობის ან სხვა სამართლებრივი ნორმების/წესების და მათი საერთაშორისო კონვენციებთან შესაბამისობის შესახებ. რა ღონისძიებები ხორციელდება პერსონალური მონაცემების ეფექტიანი დაცვისთვის?

პერსონალური მონაცემების დაცვის მარეგულირებელ ძირითად კანონს წარმოადგენს საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ (კანონის ნომერი: 5669-რს, მიღებულია: 28/12/2011, გამოქვეყნებულია: ვებგვერდი, 16/01/2012, ბოლო ცვლილება: 21/07/2018). ამ კანონის მიზანია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფა, მათ შორის, პირადი ცხოვრების უფლების დაცვა პერსონალური მონაცემების დამუშავებისას. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს განსაზღვრავს იმსაჯარო/სახელმწიფო თანამდებობის პირად, რომელიც პასუხისმგებელია, განახორციელოს ზედამხედველობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის აღსრულებაზე. გარდა ამისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობისა და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესის შესახებ დებულებით“ (დადგენილების ნომერი: 180, მიღებულია: 19/07/2013, გამოქვეყნებულია: ვებგვერდი, 22/07/2013).

საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ (კანონის ნომერი: 3273-რს, მიღებულია: 21/07/2018, გამოქვეყნებულია: ვებგვერდი, 09/08/2018), რომელიც ძალაში შედის 2019 წლის პირველი იანვრიდან. ეს უკანასკნელი ადგენს საფუძვლებს სახელმწიფო ინსპექტორის ინსტიტუტის შესაქმნელად, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საქართველოში პერსონალური მონაცემების დაცვა და, ასევე, სამართალდამცავი ორგანოების და თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიება.

საქართველომ განახორციელა „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ კონვენციის რატიფიცირება (საქართველოს პარლამენტის დადგენილება, დათარიღებულია 2005 წლის 28 ოქტომბრით). საქართველო კონვენციის მონაწილე მხარე გახდა 2006 წლის პირველ აპრილს. საქართველომ ასევე განახორციელა „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმის რატიფიცირება, რომელიც მოიცავს ზედამხედველობით ორგანოებსა და მონაცემების ტრანსსაზღვრო გადინებასთან დაკავშირებულ საკითხებს (საქართველოს პარლამენტის დადგენილება, დათარიღებულია 2013 წლის 27 ივლისით). აღნიშნული ძალაში შევიდა 2014 წლის პირველი მაისიდან. საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებს, შეესაბამება ზემოაღნიშნულ საერთაშორისო სტანდარტებს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი თავისი ფუნქციების შესასრულებლად გადააწყდა მრავალ პრობლემას, რომელიც მიუთითებდა საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ქმედებების განხორციელების აუცილებლობაზე. მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მრავალი ნაბიჯი გადაიდგა. ინსპექტორის მიერ განხორციელებული ქმედებები მოიცავს შემდეგს:

1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელდა:
 - საგანმანათლებლო აქტივობები, მათ შორის, ტრენინგების და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება;
 - სხვადასხვა ბეჭდვითი მასალების, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული რეკომენდაციების, ბროშურების, პოსტერების მომზადება;
 - სოციალური რეკლამის მომზადება და განთავსება მედია სივრცეში, მათ შორის, ვიდეორგოლების მომზადება და სოციალურ ქსელებში გავრცელება;
 - ოფიციალური ვებგვერდის შექმნა.
2. სამართალშემოქმედებით საქმიანობაში მონაწილეობა;
3. საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, ფორუმებში, სამუშაო ჯგუფებში ჩართულობა;
4. პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული რეკომენდაციების გაცემა;
5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამოვლენა და დროული რეაგირების განხორციელება;
6. დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში საქართველოს მთავარი პროკურატურისთვის მიმართვა და სხვა.⁷⁸⁵

137 ითვალისწინებს თუ არა მოქმედი კანონმდებლობა სანქციებს მისი დებულებების დარღვევისთვის? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, მიუთითოთ.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (კანონის ნომერი: 5669-რს, მიღებულია: 28/12/2011, გამოქვეყნებულია: ვებგვერდი, 16/01/2012, ბოლო ცვლილება: 21/07/2018) 43-54-ე მუხლები ადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს და ჯარიმებს. მონაცემთა საფუძვლების გარეშე დამუშავება (მუხლი 43-ე), მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა (მუხლი 44-ე), ვიდუთვალთვალის წესების დარღვევა (მუხლი 48-ე), მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების შეუსრულებლობა (მუხლი 46-ე), მონაცემთა დამუშავებლის მიერ მონაცემთა დამუშავების უფლებამოსილი პირისათვის დავალება წესების დარღვევით (მუხლი 51-ე), მონაცემთა დამუშავებლის ან უფლებამოსილი პირის მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის ინფორმაციისა და დოკუმენტის წარდგენის წესის დარღვევა (მუხლი 53-ე), „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 (1¹) მუხლის დარღვევა გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 500 ლარის (დაახლოებით 160 ევრო) ოდენობით. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა საფუძვლების გარეშე დამუშავება (მუხლი 45-ე), უფლებამოსილი პირის მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული წესების დარღვევა (მუხლი 52-ე) ან მონაცემთა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლით დადგენილი წესის დარღვევით გადაცემა გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის (დაახლოებით 320 ევრო) ოდენობით. საჯარო და კერძო დაწესებულებათა შენობაში შესვლისა და შენობიდან გამოსვლის შესახებ მონაცემთა დამუშავების წესების დარღვევა (მუხლი 49-ე), ან მონაცემთა დამუშავებლის მიერ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების

785. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ყოველწლიური ანგარიშები: <https://personaldata.ge/en/publications/annual-report>. ბოლოს ნანახია: 31/08/2018

წესების დარღვევა (მუხლი 50-ე) გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 100 ლარის (დაახლოებით 32 ევრო) ოდენობით. მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის წესების დარღვევით გამოყენება გამოიწვევს დაჯარიმებას 3000 ლარის (დაახლოებით 970 ევრო) ოდენობით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (კანონის ნომერი 2287, მიღებულია: 22/07/1999, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 41(48), 13/08/1999, ბოლო ცვლილება: 21/07/2018) ადგენს, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გამოყენება, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ისჯება ჯარიმით ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე (მუხლი 157-ე). სისხლის სამართლის კოდექსი 157¹-ე მუხლში განსაზღვრავს, რომ პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გამოყენება, გავრცელება ან ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე. 158-ე მუხლის შესაბამისად კერძო საუბრების უნებართვო ჩაწერა ან მიყურადება, აგრეთვე კომპიუტერულ სისტემაში ან სისტემიდან კერძო კომუნიკაციისა და გადაცემული კომპიუტერული მონაცემის ან ამგვარი მონაცემის მატარებელი ელექტრომაგნიტური ტალღების უნებართვო მოპოვება ტექნიკური საშუალების გამოყენებით ან კერძო კომუნიკაციის ჩანაწერის, ტექნიკური საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის ან კომპიუტერული მონაცემის უკანონოდ შენახვა ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე. 159-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ პირადი მიმოწერის ან საფოსტო გზავნილის, ტელეფონით ან სხვა ტექნიკური საშუალებით საუბრის ჩანაწერის ან ტელეგრაფით, კომპიუტერული სისტემით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით მიღებული ან გადაცემული შეტყობინების უკანონოდ მოპოვება, გახსნა, შინაარსის გაცნობა ან შენახვა ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

138 მოქმედი კანონმდებლობა მოიცავს თუ არა მონაცემთა დაცვის შემდეგ პრინციპებს:

ა) მიზნობრივი შეზღუდვის პრინციპი: მონაცემი უნდა მუშავდებოდეს სპეციალური მიზნით და შემდგომი გამოყენება ან ხელახლა გადაცემა შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ არის შეუთავსებელი გადაცემის მიზანთან.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (კანონის ნომერი: 5669-რს, მიღებულია: 28/12/2011, გამოქვეყნებულია: ვებგვერდი, 16/01/2012, ბოლო ცვლილება: 21/07/2018) მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი მოითხოვს, რომ მონაცემები შეიძლება, დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისთვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით.

ბ) მონაცემთა ხარისხისა და პროპორციულობის პრინციპი: მონაცემები უნდა იყოს ზუსტი და, საჭიროების შემთხვევაში, უნდა მოხდეს მისი განახლება. მონაცემები უნდა იყოს ადეკვატური, შესაბამისი და არ აჭარბებდეს იმ მიზნებს, რისთვისაც განხორციელდა მათი გადაცემა ან შემდგომი დამუშავება.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები განსაზღვრავს, რომ მონაცემები შეიძლება, დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც

აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევადაც მუშავდება ისინი. მონაცემები ნამდვილი და ზუსტი უნდა იყოს და, საჭიროების შემთხვევაში, უნდა განახლდეს. კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზნის შესაბამისი მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს. მონაცემები შეიძლება, შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

გ) გამჭვირვალობის პრინციპი: ფიზიკური პირები უნდა ფლობდნენ ინფორმაციას დამუშავების მიზნის და ასევე შესაძლებელია სახელმწიფოში მონაცემთა დამუშავების ვინაობის შესახებ და ნებისმიერ სხვა ინფორმაციას, რამდენადაც ეს აუცილებელია სამართლიანობის უზრუნველსაყოფად.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი ადგენს, რომ თუ მონაცემთა შეგროვება ხორციელდება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისაგან, მონაცემთა დამუშავებული ან უფლებამოსილი პირი ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) მონაცემთა დამუშავებისა და უფლებამოსილი პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვინაობა და რეგისტრირებული მისამართი;
- ბ) მონაცემთა დამუშავების მიზანი;
- გ) სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითია მონაცემთა მიწოდება; თუ სავალდებულოა – მასზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგები;
- დ) მონაცემთა სუბიექტის უფლება, მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ დამუშავებულ მონაცემთა თაობაზე, მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება.

აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება არ არის სავალდებულო, თუ მონაცემთა სუბიექტს უკვე აქვს იგი. გარდა ამისა, თუ მონაცემთა შეგროვება არ ხორციელდება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისაგან, მონაცემთა დამუშავებული ან უფლებამოსილი პირი ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ინფორმაცია. მაგრამ სტატისტიკური, სამეცნიერო და ისტორიული მიზნებისთვის ინფორმაციის შეგროვებისას მისი მიწოდება არ არის სავალდებულო, თუ მონაცემთა სუბიექტისათვის ინფორმაციის მიწოდება დაკავშირებულია არაპროპორციულად დიდ ძალისხმევასთან.

მეტეც, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი განსაზღვრავს მონაცემთა სუბიექტის უფლებას, მონაცემთა დამუშავებულს მოსთხოვოს ინფორმაცია მის შესახებ მონაცემების დამუშავების თაობაზე (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ კითხვა 148-ე).

დ) უსაფრთხოების პრინციპი: მონაცემთა დამუშავების მიერ უნდა იქნეს მიღებული ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოების ისეთი ზომები, რომლებიც შეესაბამება მონაცემთა დამუშავების რისკებს. ნებისმიერმა პირმა, რომელიც მოქმედებს მონაცემთა დამუშავების ნებართვით, მათ შორის, უფლებამოსილმა პირმა, არ უნდა დაამუშავოს მონაცემები დამუშავების ინსტრუქციების გარეშე.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად,

მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისგან, გამჟღავნებისგან, მოპოვებისგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. მონაცემთა უსაფრთხოებისთვის მიღებული ზომები მონაცემთა დამმუშავებასთან დაკავშირებული რისკების ადეკვატური უნდა იყოს. მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამმუშავებაში, ვალდებულია, არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. ამასთანავე, მას ეკისრება ვალდებულება, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.

მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა. არაელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემთა დამმუშავებისას მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, უზრუნველყოს მონაცემთა გამჟღავნებასთან ან/და ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების აღრიცხვა. გარდა ამისა, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლში აღნიშნულია, რომ მონაცემთა გამჟღავნებისას მონაცემთა დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ შემდეგი ინფორმაციის რეგისტრაცია: რომელი მონაცემი იქნა გამჟღავნებული, ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით. ეს ინფორმაცია უნდა ინახებოდეს მონაცემთა სუბიექტის შესახებ მონაცემებთან ერთად მათი შენახვის ვადის განმავლობაში.

139 მონაცემთა დაცვის მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს თუ არა მონაცემთა დაცვის გარკვეული პრინციპებისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების შეზღუდვის ან გამონაკლისის დაშვების შესაძლებლობას მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის საფუძველზე? დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ, მიუთითოთ.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (კანონის ნომერი: 5669-რს, მიღებულია: 28/12/2011, გამოქვეყნებულია: ვებგვერდი, 16/01/2012, ბოლო ცვლილება: 21/07/2018) მე-5 მუხლი არა შეზღუდვის, არამედ პერსონალურ მონაცემთა დამმუშავების ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითებს, რომ მონაცემების დამმუშავება დასაშვებია, როდესაც ის აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად.

გარდა ამისა, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლი განსაზღვრავს, დასაშვებ ფარგლებში შეიზღუდოს მონაცემთა სუბიექტის უფლებები: მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია, მოითხოვოს ინფორმაციის შესწორება, განახლება, დამატება, ბლოკირება, წაშლა და განადგურება, თუ უფლების რეალიზებამ შეიძლება, საფრთხე შეუქმნას:

- ა) სახელმწიფო უსაფრთხოების ან თავდაცვის ინტერესებს;
- ბ) საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს;
- გ) დანაშაულის გამოვლენას, გამოძიებასა და აღკვეთას;
- დ) ქვეყნის მნიშვნელოვან ფინანსურ ან ეკონომიკურ (მათ შორის, მონეტარულ, საბიუჯეტო და საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებულ) ინტერესებს;
- ე) მონაცემთა სუბიექტისა და სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ შეზღუდვის ზომა უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შეზღუდვის მიზნის მისაღწევად.

140 მოქმედი კანონმდებლობა მოიცავს თუ არა დებულებებს:

ა) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შესახებ (სენსიტიური მონაცემები)?

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (კანონის ნომერი: 5669-რს, მიღებულია: 28/12/2011, გამოქვეყნებულია: ვებგვერდი, 16/01/2012, ბოლო ცვლილება: 21/07/2018) მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი არის მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიულ კავშირში გაწევრებასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან, ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან, განრიდებასთან, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასა ან დაზარალებულად ცნობასთან, აგრეთვე ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემები, რომლებიც ზემოაღნიშნული ნიშნებით ფიზიკური პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი ადგენს, რომ განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავება შესაძლებელია მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობით ან იმ შემთხვევაში, როცა:

- ა) ნასამართლობასა და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება აუცილებელია შრომითი ვალდებულებების და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად;
- ბ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან მესამე პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და მონაცემთა სუბიექტს ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არა აქვს, მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობა განაცხადოს;
- გ) მონაცემები მუშავდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის ან დაწესებულების (მუშაკის) მიერ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე, თუ ეს აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვისა ან ფუნქციონირებისათვის;
- დ) მონაცემთა სუბიექტმა საჯარო გახადა მის შესახებ მონაცემები მათი გამოყენების აშკარა აკრძალვის გარეშე;
- ე) მონაცემები მუშავდება პოლიტიკური, ფილოსოფიური, რელიგიური ან პროფესიული გაერთიანების ან არაკომერციული ორგანიზაციის მიერ ლეგიტიმური საქმიანობის განხორციელებისას. ასეთ შემთხვევაში მონაცემთა დამუშავება შეიძლება, დაკავშირებული იყოს მხოლოდ ამ გაერთიანების/ორგანიზაციის წევრებთან ან პირებთან, რომლებსაც მუდმივი კავშირი აქვთ ამ გაერთიანებასთან/ორგანიზაციასთან;
- ვ) ხდება მონაცემთა დამუშავება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმეებისა და რეესტრების წარმოების, მსჯავრდებულის მიმართ მის მიერ სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ან/და მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან და მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით;
- ზ) მონაცემები მუშავდება „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების აღსრულების მიზნით;

- თ) მონაცემები მუშავდება „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- ი) მონაცემები მუშავდება მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის ფუნქციონირებისათვის.

ამასთან, ზემოხსენებული საფუძვლებით მონაცემთა დამუშავების შემთხვევაში დაუშვებელია მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე მონაცემთა გასაჯაროება და მესამე პირისათვის გამჟღავნება.

ბ) პირდაპირი მარკეტინგის შესახებ?

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის „უ“ პუნქტში პირდაპირი მარკეტინგი განმარტებულია, როგორც ფოსტის, სატელეფონო ზარების, ელექტრონული ფოსტის ან სხვა სატელეკომუნიკაციო საშუალებით საქონლის, მომსახურების, დასაქმების ან დროებითი სამუშაოს შეთავაზება.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის შეიძლება, დამუშავდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან მოპოვებული მონაცემები. ასევე, მონაცემთა შეგროვების მიზნის მიუხედავად, პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის შეიძლება, დამუშავდეს შემდეგი მონაცემები: სახელი (სახელები), მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსის ნომერი. ამასთან, მონაცემთა სუბიექტის მიერ ამ კანონით დადგენილი წესით გაცემული წერილობითი თანხმობის საფუძველზე პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის შეიძლება, ნებისმიერი მონაცემი დამუშავდეს.

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მონაცემთა დამუშავებელს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა. ხოლო მონაცემთა დამუშავებელი ვალდებულია, შეწყვიტოს მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავება ან/და უზრუნველყოს უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავების შეწყვეტა მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავებისას მონაცემთა დამუშავებელი ვალდებულია, შეატყობინოს მონაცემთა სუბიექტს მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის უფლების შესახებ და უზრუნველყოს, რომ მონაცემთა სუბიექტს ჰქონდეს მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგული მიზნებისათვის დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის შესაძლებლობა იმავე ფორმით, რა ფორმითაც ხორციელდება პირდაპირი მარკეტინგი, ან/და განსაზღვროს ხელმისაწვდომი და ადეკვატური საშუალება მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნისთვის.

გ) ავტომატიზირებული ინდივიდუალური გადაწყვეტილებების შესახებ?

არსებული კანონმდებლობა არ შეიცავს ავტომატური ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მარეგულირებელ ნორმებს.

141 ფარავს თუ არა მოქმედი კანონმდებლობა პერსონალური მონაცემების საზღვარებს გარეთ გადაცემის საკითხს? გთხოვთ, მიუთითეთ ინფორმაცია იმ პრინციპის გამოყენების შესახებ, რომლის თანახმადაც მონაცემების ტრანსსასაზღვრო გადინება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მიმღები სახელმწიფო უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვის გარკვეული სტანდარტის დაცვას (ადეკვატურობა)?

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (კანონის ნომერი: 5669-რს, მიღებულია: 28/12/2011, გამოქვეყნებულია: ვებგვერდი, 16/01/2012, ბოლო ცვლილება: 21/07/2018) VI თავი არეგულირებს მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემის საკითხს. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის თანახმად მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ კანონით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და თუ შესაბამის სახელმწიფოში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები. გარდა ამისა, მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ:

- ა) მონაცემთა გადაცემა გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით;
- ბ) მონაცემთა დამუშავებელი უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიებს და მონაცემთა სუბიექტის ძირითადი უფლებების დაცვას მონაცემთა დამუშავებელსა და შესაბამის სახელმწიფოს, ასეთი სახელმწიფოს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს ან საერთაშორისო ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამ შემთხვევაში მონაცემთა გადაცემა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ნებართვის მიღების შემდეგ.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის თანახმად სხვა სახელმწიფოში ან/და საერთაშორისო ორგანიზაციაში მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არსებობას აფასებს და გადაწყვეტილებას იღებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური მონაცემთა დამუშავების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე.

142 გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია მონაცემთა დაცვის განხორციელების მონიტორინგზე პასუხისმგებელი საზედამხედველო ორგანოს შესახებ, კერძოდ, მისი სრული დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად მიღებული სამართლებრივი და პრაქტიკული ღონისძიებების, ასევე საზედამხედველო ორგანოს ორგანიზაციული სტრუქტურის, მათ შორის, თანამშრომლების, განსაკუთრებით კი, ინსპექტორების რაოდენობის შესახებ.

საზედამხედველო ორგანოს დამოუკიდებლობა

საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვას უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი. ინსპექტორის თანამდებობას შექმნის დღიდან, 2013 წლის პირველი ივლისიდან, იკავებს თამარ ქალდანი, რომელსაც ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მრავალწლიანი გამოცდილება აქვს და რომელიც მეორედ იქნა არჩეული ამ თანამდებობაზე.

საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ (კანონის ნომერი: 3273-რს, მიღებულია: 21/07/2018, გამოქვეყნებულია: ვებგვერდი, 09/08/2018), რომელიც ძალაში შევა 2019 წლის პირველი იანვრიდან. ამ უკანასკნელის საფუძველზე იქმნება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, რომელიც ჩაანაცვლებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის სამსახურს.

ორივე კანონი, როგორც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი (კანონის ნომერი: 5669-რს, მიღებულია: 28/12/2011, გამოქვეყნებულია: ვებგვერდი, 16/01/2012, ბოლო ცვლილება: 21/07/2018), ასევე „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, ადგენს სახელმწიფო ინსპექტორის დანიშვნის წესს და მისი დამოუკიდებლობის გარანტიებს. კერძოდ, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად ინსპექტორი აირჩევა საქართველოს პარლამენტის მიერ 6 წლის ვადით, კონკურსის წესით შერჩეული და პრემიერმინისტრის მიერ წარდგენილი რამდენიმე კანდიდატისგან. ინსპექტორი ანგარიშვალდებულია მხოლოდ პარლამენტის წინაშე და სწორედ მას წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ (მუხლი მე-12). სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი უფლებამოსილებების განხორციელებისას დამოუკიდებელია და არ ექვემდებარება არც ერთ ორგანოსა და თანამდებობის პირს. ინსპექტორზე ან მისი სამსახურის მოსამსახურეზე ზემოქმედება აკრძალულია და ისჯება კანონით (მუხლი მე-11).

„სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი ადგენს, რომ არავის აქვს უფლება, დააკავოს, დააპატიმროს ან სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაში მისცეს ინსპექტორი, განახორციელოს მისი პირადი ან სახლის, მანქანის ან სამუშაო ადგილის ჩხრევა საქართველოს პარლამენტის წინასწარი თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს პარლამენტს და თუ ის თანხმობას არ გასცემს 48 საათის განმავლობაში, ინსპექტორი უნდა გათავისუფლდეს.

კანონით ასევე უზრუნველყოფილია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ფინანსური დამოუკიდებლობა. კერძოდ, სამსახურის საქმიანობა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, საჭირო ასიგნებები განისაზღვრება ცალკე კოდით და ინსპექტორის წინასწარი თანხმობის გარეშე დაუშვებელია მიმდინარე ხარჯების შემცირება წინა წლის ხარჯებთან შედარებით (მუხლი მე-10).

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2014–2017 წლების დამტკიცებული ბიუჯეტი იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში⁷⁸⁶:

წელი	ლარი	ევრო
2014	600000	დაახლოებით 194000
2015	1450000	დაახლოებით 468000
2016	2100000	დაახლოებით 677000
2017	1900000	დაახლოებით 613000

„სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლის სფეროში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- ა) პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე საჯარო და კერძო ორგანიზაციებისთვის, ასევე ფიზიკური პირებისთვის კონსულტაციის გაწევა;

786. <https://personaldata.ge/en/about-us/budget>. ბოლოს ნანახია: 31/08/2018

- ბ) პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვა;
- გ) პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება) საჯარო და კერძო ინსტიტუციებში;
- დ) საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდება.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურა და ადამიანური რესურსები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად ინსპექტორის აპარატი შედგება 4 დეპარტამენტისგან, 2 სამმართველოსგან, 3 სამსახურისგან, სულ 43 საშტატო ერთეულისგან. ერთი საშტატო ერთეული კი პირდაპირ ექვემდებარება ინსპექტორს.⁷⁸⁷

ამასთან, ინსპექტორის ძირითდი ფუნქციების განხორციელებაში (კონსულტაციების გაწევა, განცხადებების განხილვა და მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება) ჩართულია 28 თანამშრომელი, მათ შორის, იურიდიული დეპარტამენტის – 7, ინსპექტირების დეპარტამენტის – 9, ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის – 4, ადმინისტრაციული სამსახურის – 3, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის – 2 თანამშრომელი, ასევე ინფორმაციული უსაფრთხოების ოფიცერი, ინსპექტორის მოადგილე და თავად ინსპექტორი.

143 გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, სტატისტიკური ინფორმაციის ჩათვლით, საზედა-მხედველო ორგანოს საგამოძიებო უფლებამოსილებების შესახებ, მათ შორის: მონაცემთა ფორმირებაზე წვდომა მონაცემთა დამუშავების მიზნებისა და საზედამხედველო უფლებამოსილების განხორციელებისთვის აუცილებელი ყველა ინფორმაციის შეგროვებისათვის; აქვს თუ არა საზედამხედველო ორგანოს პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული ნებისმიერი პირის სარჩელის/განცხადების განხილვის უფლებამოსილება?

„სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (კანონის ნომერი: 3273-რს, მიღებულია: 21/07/2018, გამოქვეყნებულია: ვებგვერდი, 09/08/2018) მე-14 მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ვალდებულია, განიხილოს მონაცემთა სუბიექტის განცხადება პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით და გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადეკვატური ღონისძიებები. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური უფლებამოსილია, მონაცემთა სუბიექტის განცხადებასთან დაკავშირებული გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის მიზნით განახორციელოს შემოწმება. მონაცემთა ნებისმიერი დამუშავებელი ან/და უფლებამოსილი პირი ვალდებულია, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში გადასცეს მას შესაბამისი მასალა, ინფორმაცია ან/და დოკუმენტი.

„სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის თანახმად ინსპექტორი უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით ან დანიტერესებული პირის განცხადების საფუძველზე განახორციელოს მონაცემთა ნებისმიერი დამუშავების ან/და უფლებამოსილი პირის შემოწმება/ინსპექტირება. ამ მუხლით გათვალისწინებული შემოწმების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებას

787. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის სტრუქტურა იხილეთ: <https://personaldata.ge/en/about-us/office/structure>. ბოლოს ნანახია: 31/08/2018.

იღებს სახელმწიფო ინსპექტორი. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური უფლებამოსილია, შემოწმების განხორციელებისას ნებისმიერი დაწესებულებისგან, ფიზიკური პირისგან ან/და იურიდიული პირისგან გამოითხოვოს დოკუმენტი ან/და ინფორმაცია, მათ შორის, სახელმწიფო, საგადასახადო, საბანკო, კომერციული, პროფესიული საიდუმლოებების ან/და პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და დანაშაულის გამოძიების ამსახველი მასალა ან/და დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება და აუცილებელია შემოწმების განსახორციელებლად. გარდა ამისა, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური უფლებამოსილია, შემოწმების განსახორციელებლად შევიდეს ნებისმიერ დაწესებულებაში და ორგანიზაციაში და გაეცნოს ნებისმიერ დოკუმენტსა და ინფორმაციას, მათ შორის, სახელმწიფო, საგადასახადო, საბანკო, კომერციული, პროფესიული საიდუმლოებების ან/და პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციას, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და დანაშაულის გამოძიების ამსახველ მასალას ან/და დოკუმენტაციას ან/და ინფორმაციას, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება, მიუხედავად მათი შინაარსისა და შენახვის ფორმისა.

„სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი განსაზღვრავს ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების მაკონტროლებელ ზომებს. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ფარული საგამოძიებო მოქმედებების კონტროლის განხორციელებისას უფლებამოსილია:

- ა) შევიდეს საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შეზღუდული დაშვების არეალში და მიმდინარე რეჟიმში დააკვირდეს უფლებამოსილი ორგანოების მიერ საქმიანობის განხორციელებას;
- ბ) გაეცნოს საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს საქმიანობის მარეგულირებელ (მათ შორის, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ) სამართლებრივ დოკუმენტებს და ტექნიკურ ინსტრუქციებს;
- გ) მიიღოს ინფორმაცია ფარული საგამოძიებო მოქმედებების მიზნებისთვის გამოყენებული ტექნიკური ინფრასტრუქტურის შესახებ და შეამოწმოს ეს ინფრასტრუქტურა;
- დ) საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს მოსამსახურეებს მოსთხოვოს ახსნა-განმარტებები შემოწმების (ინსპექტირების) განხორციელებისას გამოვლენილ ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემები ინსპექტორის მიერ განხილული განცხადებების და ჩატარებული შემოწმებების შესახებ წარმოდგენილია შემდეგი ცხრილის სახით:

	2013	2014	2015	2016	2017	2018 (დღემდე)
შემოსული განცხადებების რაოდენობა	2	22	120	216	240	296
ჩატარებული ინსპექტირებების რაოდენობა	2	13	54	87	114	90 დასრულებულია; 38 მიმდინარეობს.

144 გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, მათ შორის, სტატისტიკური, გედამხედველი ორგანოს ისეთი ეფექტური ინტერვენციის უფლებამოსილებების შესახებ, როგორებიცაა:

ა) მონაცემთა დამუშავების განხორციელებამდე მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა;

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (კანონის ნომერი: 5669-რს, მიღებულია: 28/12/2011, გამოქვეყნებულია: ვებგვერდი, 16/01/2012, ბოლო ცვლილება: 21/07/2018) 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი (2019 წლის პირველი იანვრიდან „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (კანონის ნომერი: 3273-რს, მიღებულია: 21/07/2018, გამოქვეყნებულია: ვებგვერდი, 09/08/2018) მე-13 მუხლის „ა“ პუნქტი) განამტკიცებს, რომ ინსპექტორის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციის გაწევა.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის (2019 წლის პირველი იანვრიდან „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის) თანახმად ინსპექტორი ვალდებულია, შესაბამისი თხოვნის არსებობის შემთხვევაში კონსულტაცია გაუწიოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და მუნიციპალიტეტის ორგანოებს, სხვა საჯარო დაწესებულებებს, კერძო სამართლის იურიდიულ პირებს და ფიზიკურ პირებს მონაცემთა დამუშავებასა და დაცვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა მოგვაწოდა შემდეგი სტატისტიკური მონაცემები საკონსულტაციო ფუნქციის განხორციელების ინტენსიურობის შესახებ:

	2014	2015	2016	2017	2018 (დღემდე)
კერძო და საჯარო ორგანიზაციებისთვის, მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოებისთვის გაწეული კონსულტაციები	924	1216	3840	4800	4575

ბ) მონაცემთა დაბლოკვის, წაშლის ან განადგურების შესაძლებლობა;

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის (2019 წლის პირველი იანვრიდან, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის) თანახმად, თუ ინსპექტორი გამოავლენს კანონის ან მონაცემთა დამუშავების მარეგულირებელი სხვა ნორმატიული აქტის დარღვევას, იგი უფლებამოსილია, მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, მონაცემთა დაბლოკვა, წაშლა, განადგურება ან დეპერსონალიზაცია, თუ მიიჩნევს, რომ მონაცემთა დამუშავება საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით ხორციელდება.

გ) დამუშავების დროებითი ან საბოლოო აკრძალვის დაწესების შესაძლებლობა;

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის (2019 წლის პირველი იანვრიდან, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის) თანახმად, თუ ინსპექტორი გამოავლენს ამ კანონის ან მონაცემთა დამუშავების მარეგულირებელი სხვა ნორმატიული აქტის დარღვევას, იგი უფლებამოსილია, მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების დროებით ან საბოლოოდ შეწყვეტა, თუ მონაცემთა დამუშავების ან უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა უსაფრთხოების დაცვისთვის მიღებული ზომები და განხორციელებული პროცედურები არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ მოწოდებული იქნა მონაცემთა წაშლის, შეწყვეტის, განადგურების, დაბლოკვის შემთხვევების შესახებ შემდეგი სტატისტიკური მონაცემები:

2014	2015	2016	2017	2018 (დღემდე)
➤ 5 შემთხვევაში მოითხოვა მონაცემების დამუშავების შეწყვეტა;	➤ 21 შემთხვევაში მოითხოვა მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა	➤ 21 შემთხვევაში მოითხოვა მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა	➤ 30 შემთხვევაში მოითხოვა მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა	➤ 35 შემთხვევაში მოითხოვა მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა
➤ 6 შემთხვევაში მონაცემების დაბლოკვა	➤ 3 შემთხვევაში მოითხოვა მონაცემთა დაბლოკვა	➤ 3 შემთხვევაში მოითხოვა მონაცემთა დაბლოკვა	➤ 1 შემთხვევაში მოითხოვა მონაცემთა დაბლოკვა	➤ 16 შემთხვევაში მონაცემების წაშლა
➤ 1 შემთხვევაში მონაცემების წაშლა	➤ 3 შემთხვევაში მონაცემების წაშლა	➤ 13 შემთხვევაში მონაცემების წაშლა	➤ 24 შემთხვევაში მონაცემების წაშლა	➤ 6 შემთხვევაში მონაცემების განადგურება
	➤ 4 შემთხვევაში მონაცემების განადგურება	➤ 1 შემთხვევაში მონაცემების განადგურება	➤ 2 შემთხვევაში მონაცემების განადგურება	

დ) მონაცემთა დამუშავების სანქციების დაწესების შესაძლებლობა;

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის (2019 წლის პირველი იანვრიდან „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის) თანახმად, თუ ინსპექტორის სამსახური გამოავლენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, იგი უფლებამოსილია, შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და, შესაბამისად, მონაცემთა დამუშავებელს ან/და უფლებამოსილ პირს დააკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. (ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ კითხვა 137-ე).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სტატისტიკის შესახებ იხილეთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ მოწოდებული შემდეგი ინფორმაცია:

	2014	2015	2016	2017	2018
გამოვლენილი სამართალდარღვევების რაოდენობა ჯამში	4	64	221	274	216
სამართალდამცავი ორგანოების მიმართ	n/a	11	46	42	32
ჯარიმა	3	41	63	145	58
გაფრთხილება	0		35	53	44
ხანდაზმული	1	23	47	76	74

145 გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, მათ შორის, სტატისტიკური, მონაცემთა დაცვის ნორმების დარღვევის შემთხვევაში ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოს სამართლებრივ პროცესებში ჩართვის უფლებამოსილებების შესახებ.

„სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (კანონის ნომერი: 3273-რს, მიღებულია: 21/07/2018, გამოქვეყნებულია: ვებგვერდი, 09/08/2018) მე-16 მუხლის თანახმად, თუ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური გამოავლენს მონაცემთა დამუშავების მარეგულირებელი ნორმების დარღვევას, იგი უფლებამოსილია, გამოიყენოს შესაბამისი ღონისძიებები. ასეთ შემთხვევაში მონაცემთა დამუშავებელი ან/და უფლებამოსილი პირი ვალდებულია, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ მითითებულ ვადაში შეასრულოს მისი მოთხოვნები და მათი შესრულების შესახებ აცნობოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. ინსპექტორის მიერ შესაბამისი ღონისძიებების გამოყენების სტატისტიკა იხილეთ 143-ე კითხვის პასუხში.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ინსპექტორი ადმინისტრაციული საქმის განხილვისას გამოავლენს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის ნიშნების არსებობას, საქმეს უგზავნის საქართველოს პროკურატურას ან შესაბამის საგამოძიებო ორგანოს. „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური საქმიანობის განხორციელებისას მიიჩნევს, რომ არსებობს დანაშაულის ნიშნები, იგი ვალდებულია, ამის შესახებ კანონით დადგენილი წესით აცნობოს უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს, თუ საქმე მისი ქვემდებარე (სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის ცალკეული შემთხვევები) არ არის. თუ საქმე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური იწყებს გამოძიებას.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ მოწოდებული სტატისტიკა დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შესახებ:

	2014	2015	2016	2017	2018
მთავარი პროკურატურისთვის გადაგზავნილი საქმეების რაოდენობა	0	1	4 (2 შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 159-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების სავარაუდო დარღვევის გამო)	0	0
შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გადაგზავნილი საქმეების რაოდენობა	0	2	0	6 (4 შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის სავარაუდო დარღვევის გამო)	4

146 უფლებამოსილია თუ არა საზედამხედველო ორგანო, სასამართლო ხელისუფლების მსჯელობის საგანი გახადოს მონაცემთა დაცვის დებულებების დარღვევის შემთხვევები? საზედამხედველო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც გახდა საჩივრის წარმოშობის საფუძველი, შესაძლებელია თუ არა, გასაჩივრდეს სასამართლო წესით? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, მიგვითითოთ და მოგვაწოდოთ სტატისტიკა.

„სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილების თანახმად პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა. თუ მონაცემთა დამმუშავებელი ან/და უფლებამოსილი პირი არ შეასრულებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მოთხოვნებს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს, სამართალდამცავ ორგანოებს ან/და შესაბამისი სფეროს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სახელმწიფო დაწესებულებას. ხოლო თუ ადრესატი არ ეთანხმება ინსპექტორის გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს, გაასაჩივროს მხოლოდ სასამართლოში.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ მოწოდებული სტატისტიკა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევის გადაწყვეტილებების სასამართლო წესით გასაჩივრების შესახებ:

	2014	2015	2016	2017	2018
გასაჩივრებული გადაწყვეტილებების რაოდენობა	1	16	33	40	25
დარჩა ძალაში	1	14	28	35	9
ხელახლა განსახილველად დაბრუნდა	0	1	3	2	0
გაუქმდა	0	1	2	0	0
<i>ამჟამად მიმდინარეა 18 საქმე</i>					

147 მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა ითვალისწინებს თუ არა დამუშავების მიმდინარეობის შესახებ საზედამხედველო ორგანოს შეტყობინების საკითხს?

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 ივლისის №180 დადგენილებით დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობისა და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესის შესახებ დებულების“ (დადგენილების ნომერი: 180, მიღებულია: 19/07/2013, გამოქვეყნებულია: ვებგვერდი, 22/07/2013) მესამე თავი არეგულირებს ინსპექტორისათვის შეტყობინების ვალდებულების საკითხს. მე-15 მუხლის თანახმად ნებისმიერი პირი ვალდებულია, საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეატყობინოს ინსპექტორს მონაცემთა დამუშავების შესახებ. მე-16 მუხლი კონკრეტულად მიუთითებს, რომ თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, ბიომეტრულ მონაცემთა გამოყენებამდე მონაცემთა დამმუშავებელმა კერძო პირმა წერილობითი ფორმით ინსპექტორს უნდა მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია ბიომეტრულ მონაცემთა დამუშავების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია, რომელიც მიეწოდება მონაცემთა სუბიექტს, მონაცემთა დამუშავების მიზნი და მონაცემთა დაცვის გარანტიები. თუ ინსპექტორი ჩათვლის, რომ ბიომეტრული მონაცემების დამუშავება არ შეესაბამება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებსა და პრინციპებს, იგი წერილობით ატყობინებს მონაცემთა დამმუშავებელს ამის შესახებ და უფლებამოსილია, მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, მათი დაბლოკვა, წაშლა, განადგურება ან დეპერსონალიზაცია. მონაცემთა დამმუშავებელს შეუძლია, გამოიყენოს ბიომეტრული მონაცემები ინსპექტორის მოთხოვნის გათვალისწინებამდეც, თუ ეს აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან მესამე პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად. ასეთ შემთხვევაში მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის შესახებ ინსპექტორს დასაბუთებული განცხადებით.

დებულების მე-17 მუხლის თანახმად მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, ფაილური სისტემის შექმნამდე და მასში ახალი კატეგორიის მონაცემთა შეტანამდე წერილობითი ან ელექტრონული ფორმით შეატყობინოს ინსპექტორს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) ფაილური სისტემის სახელწოდება;
- ბ) მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის დასახელება/სახელი, გვარი და მისამართი, მონაცემთა შენახვის ან/და დამმუშავების ადგილი;
- გ) მონაცემთა დამმუშავების სამართლებრივი საფუძველი;
- დ) მონაცემთა სუბიექტის კატეგორია;
- ე) მონაცემთა კატეგორია ფაილურ სისტემაში;
- ვ) მონაცემთა დამმუშავების მიზანი;
- ზ) მონაცემთა შენახვის ვადა;
- თ) მონაცემთა სუბიექტის უფლების შემზღუდვის ფაქტი და საფუძველები;
- ი) ფაილურ სისტემაში განთავსებულ მონაცემთა მიმღები და მათი კატეგორიები;
- კ) ინფორმაცია მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემის შესახებ და ასეთი გადაცემის სამართლებრივი საფუძველი;
- ლ) მონაცემთა უსაფრთხოების დაცვისათვის დადგენილი პროცედურის ზოგადი აღწერილობა.

მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, შეატყობინოს ინსპექტორს ზემოთ გათვალისწინებულ ინფორმაციაში ცვლილების შეტანის შესახებ ცვლილების განხორციელებიდან არა უგვიანეს 30 დღისა. თუ ინსპექტორი ჩათვლის, რომ ფაილური სისტემის კატალოგი არ შეესაბამება მონაცემთა დამმუშავების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის მიზნებსა და პრინციპებს, იგი წერილობით ატყობინებს მონაცემთა დამმუშავებელს ამის შესახებ და მოითხოვს ფაილური სისტემის კატალოგის შესაბამისობაში მოყვანას კანონმდებლობის მიზნებსა და პრინციპებთან.

გარდა ამისა, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (კანონის ნომერი: 5669-რს, მიღებულია: 28/12/2011, გამოქვეყნებულია: ვებგვერდი, 16/01/2012, ბოლო ცვლილება: 21/07/2018) მე-20 მუხლი ადგენს, რომ სამართალდამცავი ორგანოს მიერ მოთხოვნილი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის ან მისი ჩატარების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის განჩინების ერთი ეგზემპლარი (გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის დადგენილების ეგზემპლარი), რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, აგრეთვე სამართალდამცავი ორგანოს მიერ სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად/უკანონოდ ცნობის შესახებ მოსამართლის განჩინების ერთი ეგზემპლარი, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, წარედგინება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით (კანონის ნომერი: 1772, მიღებულია: 09/10/2009, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31, 03/11/2009, ბოლო ცვლილება: 21/07/2018).

ამასთან, ელექტრონული კომუნიკაციის კომპანია სამართალდამცავი ორგანოსთვის ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით გადაცემის შესახებ უნდა აცნობოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ამ მონაცემების გადაცემიდან 24 საათში.

148 გთხოვთ, მიუთითოთ, მოქმედი კანონმდებლობით უზრუნველყოფილია თუ არა მონაცემთა სუბიექტის უფლებები. მონაცემთა სუბიექტს აქვს თუ არა საკუთარ მონაცემებზე ხელმისაწვდომობის, საკუთარი მონაცემების დამუშავების გასაჩივრების, საკუთარი მონაცემების გასწორების ან წაშლის მოთხოვნის უფლება და რა პირობით?

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (კანონის ნომერი: 5669-რს, მიღებულია: 28/12/2011, გამოქვეყნებულია: ვებგვერდი, 16/01/2012, ბოლო ცვლილება: 21/07/2018) IV თავი განსაზღვრავს მონაცემთა სუბიექტის უფლებებს. კერძოდ, 21-ე მუხლის თანახმად მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მონაცემთა დამმუშავებელს მოსთხოვოს ინფორმაცია მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე. ხოლო მონაცემთა დამმუშავებელმა მონაცემთა სუბიექტს მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ ან კანონით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევაში 10 დღის ვადაში უნდა მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) რომელი პერსონალური მონაცემები მუშავდება;
- ბ) მონაცემთა დამუშავების მიზანი;
- გ) მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი;
- დ) რა გზით შეგროვდა მონაცემები;
- ე) ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები, მონაცემთა გაცემის საფუძველი და მიზანი (თუ მონაცემები კანონის თანახმად საჯაროა, ამ ინფორმაციის მიწოდება სავალდებულო არ არის).

მე-5 პუნქტის თანახმად პირს უფლება აქვს, გაცენოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები გარდა იმ მონაცემებისა, რომელთა გაცემისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საფასური.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლი ადგენს, რომ მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან განადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ. მონაცემთა დამმუშავებელმა მონაცემთა ყველა მიმღებს უნდა აცნობოს მონაცემთა გასწორების, განახლების, დამატების, დაბლოკვის, წაშლის ან განადგურების შესახებ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ინფორმაციის მიწოდება შეუძლებელია მონაცემთა მიმღებების სიმრავლისა და არაპროპორციულად დიდი ხარჯების გამო. ამ უკანასკნელი გარემოების შესახებ უნდა ეცნობოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. ინფორმაციის მიღების შემთხვევაში მისი მიმღები მხარე ვალდებულია, შესაბამისად გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან განადგუროს მონაცემები.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის თანახმად მონაცემთა გასწორების, განახლების, დამატების, დაბლოკვის, წაშლისა და განადგურების მოთხოვნის წარდგენა შესაძლებელია წერილობით, ზეპირად ან ელექტრონული საშუალების გამოყენებით. მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის ვადაში მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან განადგუროს მონაცემები ან მონაცემთა სუბიექტს აცნობოს უარის თქმის საფუძველი. თუ მონაცემთა დამმუშავებელი მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის გარეშე თავად ჩათვლის, რომ მის ხელთ არსებული მონაცემები არასრულია, არაზუსტია ან არ არის განახლებული, მან შესაბამისად უნდა გაასწოროს ან განაახლოს მონაცემები და ეს აცნობოს მონაცემთა სუბიექტს. მოთხოვნის წარდგენის შემდეგ მონაცემთა დამმუშავებელი უფლებამოსილია, განმცხადებლის თხოვნის საფუძველზე დაბლოკოს მონაცემები. მონაცემთა დაბლოკვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი მოთხოვნის

წარდგენიდან 3 დღის ვადაში და ძალაშია მონაცემთა დამუშავებლის მიერ მონაცემთა გასწორების, განახლების, დამატების, წაშლისა და განადგურების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის თანახმად მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, განმარტების გარეშე უარი განაცხადოს მის მიერვე მიცემულ თანხმობაზე და მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებულ მონაცემთა განადგურება. თავის მხრივ, მონაცემთა დამუშავებელი ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შესაბამისად შეწყვიტოს მონაცემთა დამუშავება ან/და გაანადგუროს დამუშავებული მონაცემები განცხადების წარდგენიდან 5 დღის ვადაში, თუ არ არსებობს მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი. აღნიშნული უფლება არ ვრცელდება მონაცემთა სუბიექტის მიერ ფულადი ვალდებულებების შესრულების შესახებ მისივე თანხმობით დამუშავებულ ინფორმაციაზე.

149 გთხოვთ დააზუსტოთ, მონაცემთა სუბიექტს შეუძლია თუ არა საკუთარი უფლების პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით განხორციელება. გთხოვთ, მიუთითოთ, შესაბამისი პროცედურა და არსებობს თუ არა ამ უფლების განხორციელების საგამონაკლისო ან შემზღვეველი გარემოება.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (კანონის ნომერი: 5669-რს, მიღებულია: 28/12/2011, გამოქვეყნებულია: ვებგვერდი, 16/01/2012, ბოლო ცვლილება: 21/07/2018) 26-ე მუხლის თანახმად ამ კანონით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით მიმართოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ან სასამართლოს, ხოლო თუ მონაცემთა დამუშავებელი საჯარო დაწესებულებაა, საჩივრის წარდგენა შესაძლებელია ასევე იმავე ან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში. ამასთან, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით გაასაჩივროს სასამართლოში.

ხოლო საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობისა და მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების წესის შესახებ დებულების“ (დადგენილების ნომერი: 180, მიღებულია: 19/07/2013, გამოქვეყნებულია: ვებგვერდი, 22/07/2013) მე-9 მუხლი ადგენს, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლების დარღვევის შემთხვევაში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის განცხადებით მიმართვის უფლება აქვს როგორც უშუალოდ მონაცემთა სუბიექტს, ასევე მის უფლებამოსილ წარმომადგენელს.

150 რა ღონისძიებები ტარდება პოლიციისა და სასამართლო ხელისუფლების მიერ სისხლის სამართლის სფეროში პერსონალურ მონაცემთა ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად?

პოლიციის და სხვა სამართალდამცავი ორგანოების მიერ პერსონალური მონაცემების დაცვა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (კანონის ნომერი: 1772, მიღებულია: 09/10/2009, გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31, 03/11/2009, ბოლო ცვლილება: 21/07/2018) მე-7 მუხლი განსაზღვრავს სისხლის სამართლის პროცესში პირადი ცხოვრების

ხელშეუხებლობის პრინციპს და ადგენს, რომ საპროცესო მოქმედებების ჩამტარებელმა არ უნდა გაამჟღავნოს ცნობები პირადი ცხოვრების შესახებ, ასევე პირადი ხასიათის ცნობები, რომელთა საიდუმლოდ დაცვაც პირს საჭიროდ მიიჩნია. ხოლო პირს, რომელსაც ზიანი მიადგა მისი პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების/პერსონალური მონაცემების უკანონოდ გამჟღავნებით, აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზიანის სრულად ანაზღაურების უფლება.

პირადი ცხოვრების დაცულობის პრინციპს განსაზღვრავს ასევე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის (კანონის ნომერი: 3708-III, მიღებულია: 12/06/2015, გამოქვეყნებულია: ვებგვერდი, 24/06/2015, ბოლო ცვლილება: 05/07/2018) მე-13 მუხლი, რომლის შესაბამისადაც არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა უზრუნველყოფილია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. არასრულწლოვნის ნასამართლობისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაცია საჯარო არ არის. დაუშვებელია არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების გამჟღავნება და გამოქვეყნება, გარდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ამასთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის (2019 წლის პირველი იანვრიდან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის) ინსპექტირების დეპარტამენტში გამოყოფილია სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის სამმართველო, რომლის ფუნქციას წარმოადგენს სამართალდამცავი ორგანოების მიერ პერსონალური მონაცემების დაცვის კონტროლი. ინსპექტორს აქვს ექსკლუზიური უფლებამოსილება პერსონალურ მონაცემთა დაცვის კონტროლის შემდეგი მექანიზმების განახორციელებაზე:

- ა) სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის კონტროლი – ინსპექტირებით, კონტროლის ელექტრონული სისტემით და კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემით, რაც გულისხმობს ინსპექტორის შესაძლებლობას თვალყური ადევნოს ფარული საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობის კანონიერებას;
- ბ) კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურე აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) ინფორმაციის მოხსნისა და ფიქსაციის და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაციის კონტროლი – ინსპექტირებით;
- გ) გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის კონტროლი გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემით და ინსპექტირებით;
- დ) საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (დიპლომატიური ფოსტის გარდა) კონტროლის კანონიერების შემოწმება;
- ე) ფარული ვიდეოჩაწერის ან/და აუდიოჩაწერის, ფოტოგადაღების კანონიერების შემოწმება;
- ვ) ტექნიკური საშუალებებით (რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს) ელექტრონული თვალყურის დევნების კანონიერების კონტროლი.

გარდა ამისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატს (2019 წლის პირველი იანვრიდან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს) აქვს ექსკლუზიური უფლებამოსილება, გააკონტროლოს კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერება ინსპექტირებით და ასევე სასამართლოს, პროკურატურის და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შედარებით. მეტიც, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი (2019 წლის პირველი იანვრიდან სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი) ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებულ აქტივობებს აკონტროლებს მონაცემთა ცენტრალური ბანკის კონტროლის ელექტრონული სისტემით, რომელიც

შესაძლებლობას იძლევა ბანკში განხორციელებული მოქმედებების მუდმივ დაკვირვებაზე და, ასევე, მონაცემთა დამუშავების/უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებით (ინსპექტირებით).

გარდა ზემოაღნიშნული ექსკლუზიური უფლებამოსილებების განხორციელებისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი (2019 წლის პირველი იანვრიდან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური) სხვა სამართალდამცავი ორგანოების მიერ პერსონალური მონაცემების დაცვის კანონიერებას ამოწმებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ“ საქართველოს კანონის მიერ დადგენილი ზოგადი მოთხოვნებისა და რეგულირებების საფუძველზე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ მოწოდებული იქნა შემდეგი სტატისტიკური მონაცემები ინსპექტორის მიერ სამართალდამცავი ორგანოების მიმართ განხორციელებული საკონსულტაციო და მაკონტროლებელი ფუნქციების ინტენსიურობის შესახებ:

სამართალდამცავი ორგანოების მიმართ განხილული განცხადებები და ჩატარებული შემოწმებები

	2015	2016	2017	2018 (დღემდე)
შემოსული განცხადებები	4	38	43	29
ჩატარებული ინსპექტირებები	სულ 6 შემოწმება. აქედან: სასჯელ-აღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 1 შემოწმება; შინაგან საქმეთა სამინისტროს 4 შემოწმება; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 1 შემოწმება.	სულ 60 შემოწმება. აქედან: მთავარი პროკურატურის 35 შემოწმება; შინაგან საქმეთა სამინისტროს 14 შემოწმება; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს - 9, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის - 1 ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის - 1.	სულ 77 შემოწმება. აქედან: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს - 34, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მისი სსიპ-ების - 28, საქართველოს პროკურატურის - 8, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და სსიპ „ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს - 5, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის - 2.	დასრულებულია 46 შემოწმება. აქედან: შინაგან საქმეთა სამინისტროს 20; მთავარი პროკურატურის 10; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 11; სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს 2 შემოწმება; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 1 შემოწმება; ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის - 2 შემოწმება.

გაცემული კონსულტაციები:

	2014	2015	2016	2017	2018 (მიმდინარე პერიოდამდე)
ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით	n/a	50	68	125	82

გამოვლენილი სამართალდარღვევები

	2014	2015	2016	2017	2018
სამართალდამცავი ორგანოების მიმართ	n/a	11	46	42	32

სასამართლო ხელისუფლების მიერ პერსონალური მონაცემების დაცვა

სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას პერსონალური მონაცემების დაცვა უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით (კანონის ნომერი: 786, მიღებულია 24/08/1995, გამოქვეყნებულია 31-33, 24/08/1995, ბოლო ცვლილება: 23/03/2018) და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის მესამე ნაწილი ადგენს, რომ სასამართლო საქმეს განიხილავს ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მე-10 მუხლში განამტკიცებს, რომ სასამართლო სხდომა, როგორც წესი, ტარდება საჯაროდ და ზეპირად. მაშინ როდესაც, 182-ე მუხლი ადგენს, რომ სასამართლოს შეუძლია, მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ:

- ა) პერსონალური მონაცემების, პროფესიული ან კომერციული საიდუმლოების დაცვის მიზნით;
- ბ) პროცესის მონაწილის ან/და მისი ოჯახის წევრის (ახლო ნათესავის) პირადი უსაფრთხოების დაცვის მიზნით ან თუ გამოიყენება პროცესის მონაწილის დაცვის ის სპეციალური ღონისძიება, რომელიც მოითხოვს სასამართლო სხდომის დახურვას;
- გ) სექსობრივი დანაშაულის, ადამიანთა უფროსების (ტრეფიკინგის) ან ოჯახური დანაშაულის მსხვერპლის ინტერესების დაცვის მიზნით;
- დ) პირადი მიმოწერის და პირადი შეტყობინების სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებისას, თუ ამაზე თანახმა არ არის პირი.

უფრო მეტიც, სასამართლოს შეუძლია, დაავალდებულოს დახურულ სხდომაზე დამსწრე პირი, არ გაახმაუროს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ამ სხდომაზე გახდა ცნობილი.

თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, სასამართლო სხდომა ღიაა თუ დახურული, როგორც საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის მესამე ნაწილი, ასევე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლი ადგენს, რომ სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ. მოქმედი საკანონმდებლო რეგულირებით და დამკვიდრებული პრაქტიკით უზრუნველყოფილი არ არის ბალანსი ინფორმაციის თავისუფლებასა და პერსონალური მონაცემების დაცვას შორის. კერძოდ, საქართველოს საერთო სასამართლოები, მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება ღია სასამართლო განხილვის საფუძველზე იყო მიღებული, გადაწყვეტილება საჯაროდ


იყო გამოცხადებული და საქმისადმი არსებობდა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, უარს აცხადებენ გადაწყვეტილებების გასაჯაროვებაზე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული პერსონალური მონაცემების და განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძვლის არ არსებობის გამო. გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება შეიცავს პერსონალურ მონაცემს, კანონი არ იძლევა სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჯაროების შესაძლებლობას, როდესაც გადაწყვეტილების, როგორც საჯარო ინფორმაციის, მოთხოვნა ხდება. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს სჯერა, რომ არსებული რეგულირება სასამართლოს გადაწყვეტილებებზე წვდომის უფლებასთან დაკავშირებით ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და მან შეიტანა სარჩელი აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პერსპექტივიდან ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა მიმართ დაცვის სპეციალური საშუალებების გამოყენების წესს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 67-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის მიმართ სპეციალური საშუალებების გამოყენებას, თუ:

- ა) განიხილება საქმე ისეთი ქმედების ჩადენის ფაქტზე, რომლის საჯარო განხილვაც თავისი ბუნებით არსებით ზიანს მიყენებს პროცესის მონაწილის პირად ცხოვრებას;
- ბ) პროცესის მონაწილის ვინაობისა და საქმეში მონაწილეობის გასაჯაროებით მნიშვნელოვანი საფრთხე დაემუქრება მის ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას;
- გ) პროცესის მონაწილე დამოკიდებულია ბრალდებულზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68-ე მუხლი დაცვის საშუალებებად ადგენს შემდეგს:

- ა) მიკვლევის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება – საჯარო რეესტრში ან სხვა საჯარო ხასიათის ჩანაწერში პროცესის მონაწილის ამოცნობისა და იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველი მონაცემების, კერძოდ, სახელის, გვარის, მისამართის, სამუშაო ადგილის, პროფესიის ან სხვა შესაბამისი ინფორმაციის შეცვლა ან ამოღება;
- ბ) ვინაობის შეცვლა და მასზე ახალი დოკუმენტების გაცემა – ფსევდონიმის მიჭება, გარეგნობის შეცვლა, ამოცნობისა და იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველი საპროცესო და სხვა დოკუმენტების გასაიდუმლოება;
- გ) უსაფრთხოების ზომების მიღება (პირადი დაცვა, განგაშზე გამოძახება და სხვა);
- დ) საცხოვრებელი ადგილის დროებით ან სამუდამოდ შეცვლა;
- ე) სხვა სახელმწიფოში გაყვანა (რელოკაცია).



IV
თავი

ევროკავშირის
ამჟამინდელი
უფლებები

მუნიციპალურ არჩევნებში კენჭისყრისა და ხმის მიცემის უფლება

151 რა სამართლებრივი პროცედურებია საჭირო იმისათვის, რომ ევროკავშირის მოქალაქეს თქვენს ქვეყანაში ადგილობრივ არჩევნებში კენჭისყრის და/ან ხმის მიცემის უფლება ჰქონდეს, ან იმისათვის, რომ ისარგებლოს სხვა საარჩევნო უფლებებით?

იმისათვის, რომ მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროკავშირის კანონმდებლობასთან, რათა ევროკავშირის მოქალაქეებს საქართველოში მუნიციპალურ არჩევნებში კენჭისყრისა და ხმის მიცემის უფლება ჰქონდეთ, საჭიროა შემდეგ რეგულაციებში ცვლილებების შეტანა:

- საქართველოს კონსტიტუცია (№783, 24/08/1995, გამოქვეყნების წყარო: პარლამენტის უწყებანი, 31-33, 24/08/1995, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 23/03/2018 ძალაში შევა 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ);
- საქართველოს საარჩევნო კოდექსი (№5636, 27/12/2011, გამოქვეყნების წყარო: ვებგვერდი, 10/01/2012, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 21/07/2018);
- საქართველოს ორგანული კანონი “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” (№1958, 05/02/2014, გამოქვეყნების წყარო: ვებგვერდი, 19/02/2014, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 20/07/2018);
- საქართველოს კანონი “უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ” (№2045, 05/03/2014, გამოქვეყნების წყარო: ვებგვერდი, 17/03/2014, ძალაში შევიდა: 01/09/2014, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 05/07/2018).

ცვლილებები უნდა შეესაბამებოდეს ევროპის საბჭოს 1994 წლის 19 დეკემბრის 94/80/EC დირექტივას, რომელიც უზრუნველყოფს ევროკავშირის ყველა მოქალაქის მიერ ხმის მიცემის უფლებისა და მუნიციპალურ არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის მიღების უფლების განხორციელებას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ არიან იმ ქვეყნის მოქალაქეები, სადაც ცხოვრობენ.

ამ მიზნით ზემოთ ჩამოთვლილ კანონებში საჭიროა შემდეგი ცვლილებების განხორციელება:

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად⁷⁸⁸ საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. საჭირო იქნება აღნიშნულ მუხლში ცვლილების შეტანა ევროკავშირის მოქალაქეებისათვის რეფერენდუმებსა და არჩევნებში მონაწილეობის უფლების უზრუნველსაყოფად გარკვეული პირობების არსებობისას (ბინადრობის ხანგრძლივობა, მხოლოდ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა და ა.შ.).

788. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტი (№783, 24/08/1995, გამოქვეყნების წყარო: პარლამენტის უწყებანი, 31-33, 24/08/1995, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 23/03/2018 ძალაში შევა 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ);

საჭირო იქნება შესაბამისი ცვლილებების შეტანა საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის “ნ” და “ო” ქვეპუნქტებში⁷⁸⁹, რომლებიც აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებებს შეეხება, რათა ევროკავშირის მოქალაქეებს მიენიჭოთ არჩევნებში ხმის მიცემისა და კენჭისყრის უფლება. თუმცა, აღნიშნული ცვლილებები იმოქმედებს გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში, როგორც ეს წინა პუნქტშია აღნიშნული.

საჭირო იქნება ცვლილებების განხორციელება საქართველოს ორგანულ კანონში – “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში”. კერძოდ, საჭირო იქნება 6⁷⁹⁰-ე მუხლში შესწორებების შეტანა, რათა ევროკავშირის მოქალაქეს, რომელიც საქართველოში ცხოვრობს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ხმის მიცემისა და კენჭისყრის უფლება მიენიჭოს.

ცვლილებების შეტანა ასევე საჭირო იქნება საქართველოს კანონში “უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.”⁷⁹¹ ამ კანონის 42-ე მუხლის თანახმად საქართველოში უცხოელს უფლება არ აქვს, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში და არჩეულ იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში, აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს რეფერენდუმში. საჭირო იქნება ამ მუხლის შესწორება, რათა ევროკავშირის მოქალაქეებს მიენიჭოთ ადგილობრივ არჩევნებში ხმის მიცემისა და კენჭისყრის უფლება.

გადაადგილებისა და თავისუფლად ცხოვრების უფლება

152 რა დოკუმენტები სჭირდებათ ევროკავშირის მოქალაქეებსა და მათი ოჯახის წევრებს საქართველოში შესასვლელად?

“იმ ქვეყნების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა მოქალაქეებსაც შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა” საქართველოს მთავრობის N255 განკარგულების თანახმად⁷⁹² (№255, 05/06/2015, გამოქვეყნების წყარო: ვებგვერდი, 08/06/2015, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 24/01/2017) ევროკავშირის მოქალაქეებს საქართველოში შესასვლელად ვიზა არ სჭირდებათ.

ევროკავშირის მოქალაქეებს საქართველოში შემოსვლა შეუძლიათ სამგზავრო დოკუმენტის, ასევე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემული პირადობის მოწმობის საფუძველზე, რომელშიც აღნიშნულია პირის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და დატანილია ფოტოსურათი.⁷⁹³

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს უფლება აქვთ, საქართველოში უვიზოდ დაყონ სრული 1 წელი.

789. საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის (ბ) და (ო) პუნქტები; (№5636, 27/12/2011, გამოქვეყნების წყარო: ვებგვერდი, 10/01/2012, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 21/07/2018);

790. საქართველოს ორგანული კანონის, “საქართველოს თვითმმართველობის კოდექსის” მე-6 მუხლი, (№1958, 05/02/2014, გამოქვეყნების წყარო: ვებგვერდი, 19/02/2014, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 20/09/2018);

791. უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის 42-ე მუხლი (№2045, 05/03/2014, გამოქვეყნების წყარო: ვებგვერდი, 17/03/2014, ძალაში შევიდა: 01/09/2014, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 05/07/2018);

792. “იმ ქვეყნების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა მოქალაქეებსაც შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა” საქართველოს მთავრობის N255 განკარგულება, (№255, 05/06/2015, გამოქვეყნების წყარო: ვებგვერდი, 08/06/2015, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 24/01/2017),

793. იქვე

153 რა დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ ევროკავშირის მოქალაქეებმა, რომლებიც არ ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას და რა ღირებულების გადახდა მოუწევთ მათ ბინადრობის მოწმობის მისაღებად?

“იმ ქვეყნების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა მოქალაქეებსაც შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა” საქართველოს მთავრობის N255 განკარგულების თანახმად ევროკავშირის მოქალაქეებს შეუძლიათ, საქართველოში უვიზოდ შემოვიდნენ და დარჩნენ 1 სრული წლის მანძილზე. თუ ევროკავშირის მოქალაქე საქართველოში 1 წელზე მეტი ხნით აპირებს დარჩენას, მათ ბინადრობის მოწმობის აღება მოეთხოვებათ.

“უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-15 მუხლში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის ბინადრობის მოწმობების ჩამონათვალი.⁷⁹⁴ რადგან კითხვა შეეხება ევროკავშირის მოქალაქეებს, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობას არ ახორციელებენ, მათ მხოლოდ გარკვეული ტიპის ბინადრობის მოწმობის აღება შეუძლიათ.

“უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად “საქართველოში ბინადრობის ნებართვის მისაღებად უცხოელი განცხადებით მიმართავს სააგენტოს პირადად ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით.”⁷⁹⁵

“საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად (№520, 01/09/2014, გამოქვეყნების წყარო: ვებგვერდი, 02/09/2014, ძალაში შესვლის თარიღი: 01/09/2014, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 27/01/2017) ბინადრობის ნებართვის მისაღებად განცხადება წარედგინება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს.⁷⁹⁶

ბინადრობის ნებართვის ღირებულება განსხვავდება და დამოკიდებულია ნებართვის ტიპზე. სასწავლო ბინადრობის ნებართვისა და ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის შემთხვევაში მომსახურების ღირებულება და ვადები შემდეგია: 30-ე კალენდარული დღე - 210 ლარი (67.74 ევრო), მე-20 კალენდარული დღე - 330 ლარი (106,45 ევრო), 10 დღის ვადაში - 410 ლარი (132.25 ევრო). სპეციალური ბინადრობის ნებართვა არის უფასო. მუდმივი ბინადრობის ნებართვის შემთხვევაში მომსახურების ღირებულება და ვადები შემდეგია: 30-ე კალენდარული დღე - 180 ლარი (58.08 ევრო), მე-20 კალენდარული დღე - 300 ლარი (96.77 ევრო).⁷⁹⁷

1. “საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის განკარგულების მე-6

794. უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის 15-ე მუხლი (№2045, 05/03/2014, გამოქვეყნების წყარო: ვებგვერდი, 17/03/2014, ძალაში შევიდა: 01/09/2014, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 05/07/2018)

795. უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი (№2045, 05/03/2014, გამოქვეყნების წყარო: ვებგვერდი, 17/03/2014, ძალაში შევიდა: 01/09/2014, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 05/07/2018)

796. საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის განკარგულების მე-3 მუხლი (№520, 01/09/2014, გამოქვეყნების წყარო: ვებგვერდი, 02/09/2014, ძალაში შესვლის თარიღი: 01/09/2014, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 27/01/2017)

797. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი: https://sda.gov.ge/?page_id=7445&lang=en

მუხლის თანახმად **სასწავლო ბინადრობის**⁷⁹⁸ მოსაპოვებლად წარდგენილ უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტები:

- საქართველოში ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (საიმიგრაციო ვიზა D3);
- დადგენილი ფორმის განცხადება;
- ფოტოსურათი, ზომით 3/4;
- მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
- საქართველოში ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა უცხოელის სწავლის თაობაზე (სწავლის სავარაუდო ხანგრძლივობის მითითებით);
- უცხოელის და/ან საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში ბინადრობის უფლების მქონე მისი ნათესავის საქართველოში ლეგალური შემოსავლისა და აღნიშნულ პირთან ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი. შემოსავლად ასევე შეიძლება, ჩაითვალოს უცხოელის პირად საბანკო ანგარიშზე რიცხული თანხა, რომლის ოდენობაც სასწავლო ბინადრობის ნებართვის ხანგრძლივობის გათვალისწინებით ყოველთვიურად არ უნდა იყოს საქართველოში განსაზღვრულ საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის ორჯერად ოდენობაზე ნაკლები.

2. “საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის განკარგულების მე-7 მუხლის თანახმად **ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის მოსაპოვებლად**⁷⁹⁹ წარდგენილ უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტები:

- უცხოელის სამგზავრო დოკუმენტის ასლი;
- საქართველოში ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (საიმიგრაციო ვიზა D4);
- დადგენილი ფორმის განცხადება;
- ფოტოსურათი, ზომით 3/4;
- მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
- ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- უცხოელის და/ან საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში ბინადრობის უფლების მქონე მისი ნათესავის საქართველოში ლეგალური შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტი. შემოსავლად ასევე შეიძლება, ჩაითვალოს უცხოელის პირად საბანკო ანგარიშზე რიცხული თანხა, რომლის ოდენობაც, ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, ყოველთვიურად არ უნდა იყოს საქართველოში განსაზღვრულ საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის ორჯერად ოდენობაზე ნაკლები.

3. “საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის განკარგულების მე-9 მუხლის თანახმად **სპეციალური ბინადრობის ნებართვის მოსაპოვებლად**⁸⁰⁰ წარდგენილ უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტები:

798. საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის განკარგულების მე-6 მუხლი (№520, 01/09/2014, გამოქვეყნების წყარო: ვებგვერდი, 02/09/2014, ძალაში შესვლის თარიღი: 01/09/2014, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 27/01/2017)

799. საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის განკარგულების მე-7 მუხლი (№520, 01/09/2014, გამოქვეყნების წყარო: ვებგვერდი, 02/09/2014, ძალაში შესვლის თარიღი: 01/09/2014, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 27/01/2017)

800. საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის განკარგულების მე-9 მუხლი (№520, 01/09/2014, გამოქვეყნების წყარო: ვებგვერდი, 02/09/2014, ძალაში შესვლის თარიღი: 01/09/2014, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 27/01/2017)

ა. საქართველოს მთავრობის წევრის ინიციატივით უცხოელზე ბინადრობის ნებართვის გასაცემად:

- დადგენილი ფორმის განცხადება;
- უცხოელის სამგზავრო დოკუმენტის ასლი;
- საქართველოს მთავრობის წევრის წერილობითი მიმართვა;
- საქართველოში ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (საქართველოს ვიზა);
- ფოტოსურათი, ზომით 3/4.

ბ. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლსა ან დაზარალებულზე სპეციალური ბინადრობის ნებართვის გასაცემად – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების ან პროცესის მწარმოებელი ორგანოს შუამდგომლობა;

გ. კანონის მე-60 მუხლით გათვალისწინებულ პირებზე სპეციალური ბინადრობის ნებართვის გასაცემად:

- დადგენილი ფორმის განცხადება;
- უცხოელის სამგზავრო დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ფოტოსურათი, ზომით 3/4.

4. “საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის განკარგულების მე-10 მუხლის თანახმად **მუდმივი ცხოვრების ნებართვის მოსაპოვებლად**⁸⁰¹ წარდგენილ უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტები:

ა. საქართველოს მოქალაქის მეუღლეზე, მშობელსა ან შვილზე მუდმივი ცხოვრების ნებართვის გასაცემად:

- უცხოელის სამგზავრო დოკუმენტის ასლი;
- საქართველოში ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (საიმიგრაციო ვიზა D4);
- დადგენილი ფორმის განცხადება;
- ფოტოსურათი, ზომით 3/4;
- მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
- საქართველოს მოქალაქესთან ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- უცხოელის და/ან საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში ბინადრობის უფლების მქონე მისი ნათესავის საქართველოში ლეგალური შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტი. თუ საქართველოს მოქალაქე საპენსიო ასაკის ან სოციალური დახმარების მიმღები პირია – სახელმწიფო პენსიით ან სოციალური დახმარებით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. შემოსავლად ასევე შეიძლება, ჩაითვალოს უცხოელის პირად საბანკო ანგარიშზე რიცხული თანხა;

ბ. საქართველოში დროებითი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე ბოლო 6 წლის განმავლობაში მცხოვრებ უცხოელზე მუდმივი ცხოვრების ნებართვის მოსაპოვებლად:

801. საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის განკარგულების მე-10 მუხლი (№520, 01/09/2014, გამოქვეყნების წყარო: ვებგვერდი, 02/09/2014, ძალაში შესვლის თარიღი: 01/09/2014, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 27/01/2017)

- უცხოელის სამგზავრო დოკუმენტის ასლი;
- საქართველოში ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დადგენილი ფორმის განცხადება;
- ფოტოსურათი, ზომით 3/4;
- მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
- საქართველოში დროებითი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე ბოლო 6 წლის განმავლობაში ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი (საქართველოში დროებითი ბინადრობის მოწმობის/ბინადრობის ნებართვის ასლი);
- უცხოელის და/ან საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში ბინადრობის უფლების მქონე მისი ნათესავის საქართველოში ლეგალური შემოსავლის და ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი; ხოლო თუ საქართველოს მოქალაქე საპენსიო ასაკის ან სოციალური დახმარების მიმღები პირია – სახელმწიფო პენსიით ან სოციალური დახმარებით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. შემოსავლად ასევე შეიძლება, ჩაითვალოს უცხოელის პირად საბანკო ანგარიშზე რიცხული თანხა.

ამასთან, “უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-15 მუხლის თანახმად დროებითი ბინადრობის ნებართვა გაცემა უცხოელზე, რომელსაც „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს მსხვერპლის სტატუსი. ამავე მუხლის თანახმად, მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა გაცემა უცხოელზე, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვს საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა), რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 35000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში და მისი ოჯახის წევრებზე. მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გასაცემად უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულებას ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული ორგანოს სერტიფიცირებული შემფასებელი.

სასწავლო, ოჯახის გაერთიანების მიზნით, სპეციალური, დროებითი და მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვები გაცემა დროებითი ბინადრობის ნებართვის უფლებით, 6 წლის ვადით. ბინადრობის ნებართვის გაცემის პროცედურა 1 თვემდე გრძელდება, თუმცა, მათი გაცემა დაჩქარებულადაც არის შესაძლებელი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტი ამჟამად განიხილავს “უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის პროექტს, რომლის შედეგადაც დაწესდება უფრო მკაცრი მოთხოვნები იმ უცხოელებზე, რომელთაც საქართველოში ბინადრობის ნებართვის მოპოვება სურთ. კანონპროექტი ითვალისწინებს ცვლილებებს საინვესტიციო, მოკლევადიანი და მუდმივი საცხოვრებელი ნებართვის გაცემისა და ასევე D5 ტიპის ვიზის გაცემის პროცედურებში. ცვლილებები ძირითადად შეეხება უცხო ქვეყნის იმ მოქალაქეებს, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ.

154 ევროკავშირის მოქალაქეებს რა მიზეზით შეიძლება, ეთქვათ უარი ქვეყანაში შესვლას ან ბინადრობაზე?

“უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის “ლ” პუნქტის თანახმად⁸⁰² საქართველოში შემოსვლაზე შეიძლება, უარი ეთქვას უცხოელს, რომლის მიმართაც მიმდინარეობს სისხლის სამართლებრივი დევნა ისეთ საერთაშორისო დანაშაულებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: ტერორიზმი, ნარკოტიკების კონტრაბანდა, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი).

ამასთან, მე-11⁸⁰³ მუხლის თანახმად უცხოელს საქართველოში შესვლაზე შეიძლება, უარი ეთქვას, თუ:

1. მას არ აქვს საქართველოში შემოსვლისათვის აუცილებელი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული, დოკუმენტები;
2. მას აკრძალული აქვს საქართველოში შემოსვლა ან არ გადაუხდია ჯარიმა, რომელიც დაწესებულია საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე ყოფნისათვის;
3. მან საქართველოს ვიზის მისაღებად ან მისი მოქმედების ვადის გასაგრძელებლად წარადგინა არასრული ან ყალბი მონაცემები ან დოკუმენტები;
4. მას არ აქვს ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევა ან საქართველოში ცხოვრებისათვის და უკან დასაბრუნებლად საკმარისი ფინანსური სახსრები;
5. საქართველოში მისი ყოფნა საფრთხეს შეუქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს, საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში მცხოვრები სხვა პირების ჯანმრთელობის, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. დაავადებათა ჩამონათვალს, რომლებიც საფრთხეს უქმნის საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში მცხოვრები სხვა პირების ჯანმრთელობის დაცვას, ადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
6. საგარეო-პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე მიუღებელია მისი საქართველოში ყოფნა;
7. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ იგი ვიზის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ კანონიერი საფუძვლის გარეშე დარჩება საქართველოში;
8. იგი არ იძლევა ინფორმაციას ან იძლევა ყალბ ინფორმაციას თავისი პიროვნებისა და მგზავრობის მიზნის შესახებ;
9. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მე-18⁸⁰⁴ მუხლის თანახმად უცხოელს შესაძლოა, უარი ეთქვას ბინადრობის ნებართვაზე იმ შემთხვევაში, თუ:

1. არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეწონილობის შესახებ;
2. აღარ არსებობს ის საფუძველი, რომლის გამოც მან მოიპოვა საქართველოში ყოფნის ნებართვა;
3. იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს;

802. უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის “ლ” ქვეპუნქტი (№2045, 05/03/2014, გამოქვეყნების წყარო: ვებგვერდი, 17/03/2014, ძალაში შევიდა: 01/09/2014, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 05/07/2018)

803. უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი (№2045, 05/03/2014, გამოქვეყნების წყარო: ვებგვერდი, 17/03/2014, ძალაში შევიდა: 01/09/2014, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 05/07/2018)

804. უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი (№2045, 05/03/2014, გამოქვეყნების წყარო: ვებგვერდი, 17/03/2014, ძალაში შევიდა: 01/09/2014, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 05/07/2018)

4. მას ჩადენილი აქვს დანაშაული მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ;
5. იგი იძებნება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის ან მსჯავრდებულია შესაბამისი განცხადების წარდგენამდე ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩადენილი მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულისათვის (თუ ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არ არის) ან მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე — სისხლის სამართლის საქმის წარმოების დასრულებამდე;
6. იგი დაავადებულია ისეთი ინფექციური ან სხვა დაავადებით, რომლის ხასიათმა, სიმძიმემ და ხანგრძლივობამ შეიძლება, საფრთხე შეუქმნას საქართველოს მოსახლეობას. ამგვარ დაავადებათა ჩამონათვალს ადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
7. მან საქართველოში ბინადრობის ნებართვის მისაღებად ყალბი ან იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტები წარადგინა;
8. მან შესაბამის განცხადებაში არასწორი მონაცემი მიუთითა ან დამალა მნიშვნელოვანი ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

დიპლომატიური და საკონსულო დაცვა

155 რომელი ზომები (სამართლებრივი, ინსტიტუციური და სხვა) იქნება საჭირო იმისათვის, რომ ევროკავშირის მოქალაქეებმა ისარგებლონ საქართველოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობების დაცვით, მათ შორის – გადაუდებელ შემთხვევებში გაცემული სამგზავრო დოკუმენტით?

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების (TFEU) 23-ე მუხლის მეორე პუნქტის “გ” ქვეპუნქტი და ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის 46-ე მუხლი ადგენს ევროკავშირის თითოეული მოქალაქის მიერ თანაბარი მოპყრობით სარგებლობის სამართლებრივ საფუძველს.

TFEU-ს 23-ე მუხლის თანახმად “წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საჭირო დებულებები და დაიწყონ საერთაშორისო მოლაპარაკებები აღნიშნული დაცვის უზრუნველსაყოფად.”⁸⁰⁵

ამჟამად “უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ” საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად უცხოელს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს მიმართოს იმ ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას, რომლის მოქალაქეც არის იგი ან რომელიც ის მუდმივად ცხოვრობს ან რომელიც უფლებამოსილია, დაიცვას მისი უფლებები და კანონიერი ინტერესები.⁸⁰⁶

“საკონსულო საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად⁸⁰⁷ (№6438, 12/06/2012, გამოქვეყნების წყარო: ვებგვერდი, 22/06/2012, ბოლოს შეტანილი ცვლილებები:

805. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 23-ე მუხლი, ოფიციალური ჟურნალი C 326, 2012

806. უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მესამე პუნქტი (№2045, 05/03/2014, გამოქვეყნების წყარო: ვებგვერდი, 17/03/2014, ძალაში შევიდა: 01/09/2014, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 05/07/2018)

807. საკონსულო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი (№6438, 12/06/2012, გამოქვეყნების წყარო: ვებგვერდი, 22/06/2012, ბოლოს შეტანილი ცვლილებები: 29/06/2014)

29/06/2014) საკონსულთნო თანამდებობის პირი იცავს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში საქართველოს ფიზიკური პირებისა და საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირების (შემდგომ – საქართველოს იურიდიული პირები) უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ასევე საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს. შესაბამისად, იმისათვის, რომ ევროკავშირის მოქალაქეებმა შეძლონ, ისარგებლონ დაცვით საქართველოს საკონსულთნო წარმომადგენლობებისგან, საჭირო იქნება ცვლილებების შეტანა აღნიშნულ მუხლში.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ “საკონსულთნო საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მეხუთე პუნქტი მიუთითებს, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ ძირითადი საკონსულთნო ფუნქციები სრულდება მინისტრის ბრძანებით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით, ხოლო დელეგირებული საკონსულთნო ფუნქციები – ამ კანონის 25-ე მუხლით დადგენილი წესით.

ასევე საჭირო იქნება ცვლილებების განხორციელება საქართველოს კანონში “საკონსულთნო საქმიანობის შესახებ” და საქართველოს კანონში “საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ”, მათი “გადაუდებელ შემთხვევებში გაცემული სამგზავრო დოკუმენტის შექმნის შესახებ 96/409/CFSP გადაწყვეტილებასთან” შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

აბრევიატურები:

- დმი – დროებითი მოთავსების იზოლატორი
- შსს – შინაგან საქმეთა სამინისტრო
- CPT – წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის პრევენციის ევროპული კომიტეტი
- NPM – წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმი
- UN – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
- CoE – ევროპის საბჭო
- IOM – მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
- ILO – შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
- LEPL – საჯარო სამართლის იურიდიული პირი
- IDPs – იძულებით გადაადგილებული პირები
- MoLHSA – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
- MIA – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
- SSA – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო